

პაატა ცხადია

საკუთარი სახელი მებრულ
(ზანურ) ენაში
(მებრული ტოკონიმიის, ანთროპონიმიისა
და ზოონიმიის მასალების მიხედვით)



გამომცემლობა „უნივერსალი“
თბილისი 2016

წინამდებარე მონოგრაფიაში გაანალიზებულია კოლხურ საკუთარ სახელთა (ტოპონიმთა, ანთროპონიმთა, ზოონიმთა) აწმყო და წარსული, სტრუქტურა და სემანტიკა. ენობრივი მასალა და ისტორიული წყაროები ადასტურებს, რომ უხსოვარი დროიდან კოლხეთში მკვიდრობდნენ „სვანო-კოლხოი“ და მეგრელები. ხოლო აფხაზთა წინაპრები XVI საუკუნეში გადმოხვეწილან კავკასიის მთებს იქიდან. მამასადამე, აფხაზეთში სვანური და მეგრული ტოპონიმია სუბსტრატულია, ხოლო აფხაზური გეოგრაფიული სახელწოდებანი – სუპერსტრატული. ამის გარდა, სასაზღვრო (მეგრულ-აფხაზურ და მეგრულ-იმერულ-გურულ) ზონებში იშვიათი არაა საკუთარ სახელთა ინტერფერენცია და ნასესხობანი.

წიგნში დაწვრილებითაა გაანალიზებული მეგრული საკუთარი სახელების ფონეტიკა (რედუქცია, ჰაპლოლოგია...), ხაზგასმულია აფიქსთა (განსაკუთრებით – პრეფიქსთა) მნიშვნელოვანი მარედუქცირებელი ძალა, ყურადღება გამახვილებულია საკუთარ სახელთა (განსაკუთრებით – ტოპონიმთა) ენობრივი და გარეენობრივი ანალიზის აუცილებლობაზე. ბოლო თავები ეძღვნება ანთროპონიმისა და ზოონიმის.

რედაქტორი ზურაბ ჭუმბურიძე

რეცენზენტები: თეიმურაზ გვანცელაძე
იგორ კეკელია

© p. cxadaia, 2016

gamomcemloba `universal~, 2016

Tbilisi, 0179, i. WavWavaZis gamz. 19, ☎: 2 22 36 09, 5(99) 17 22 30
E-mail: universal@internet.ge; universal505@ymail.com

ISBN 978-9941-22-????

შესავალი

ბუნებასა და საზოგადოებაში ყველაფერს მწყობრი და სისტემური ხასიათი აქვს, მათ შორის ენასაც, რომელსაც „სისტემათა სისტემასაც“ უწოდებენ, რადგანაც, თავის მხრივ, შედგება სისტემებისა და ქვესისტემებისაგან (ფონემატური სისტემა, უღვლილების სისტემა, სიტყვათწარმოების სისტემა...). სისტემა კი, როგორც ცნობილია, გარკვეული მთლიანობაა ელემენტებისა, რომელთაგან თითოეული არსებობს მხოლოდ და მხოლოდ ყველა სხვა ელემენტთან ერთად.

ენის ლექსიკური ფონდი შედგება საზოგადო და საკუთარი სახელებისაგან (ე.ი. აპელატივებისა და ონიმებისაგან). მათ შორის ორი მნიშვნელოვანი განსხვავებაა:

1. საზოგადო სახელი აღნიშნავს ცნებას და, მაშასადამე, მისი მნიშვნელობა **ცნებითია**; საკუთარი სახელი კი მიემართება უშუალოდ კონკრეტულ ობიექტს (მათ შორის ცოცხალ არსებას) და, მაშასადამე, მისი მნიშვნელობა **საგნობრივია**.

2. საზოგადო სახელს აქვს **გამოყოფისა და გაერთიანების ფუნქცია**, რადგანაც არაერთგვაროვან საგანთაგან ერთგვაროვან საგნებს გამოყოფს და იმავდროულად ერთ ლექსიკურ რიგში (კლასში) აერთიანებს მათ; საკუთარ სახელს კი აქვს მხოლოდ **ინდივიდუალიზაციის ფუნქცია**, რადგანაც მსგავს საგანთაგან გამოყოფს, გამოაცალკევებს ერთ კონკრეტულ საგანს სახელდებისათვის. „საკუთარი სახელების მნიშვნელობა, განსხვავებით საზოგადო სახელისაგან, გარეენობრივია, საგნობრივია“ და „საკუთარი სახელი აცალკევებს, გამოყოფს იმას, რასაც საზოგადო სახელი აერთიანებს“ (ჯორბენაძე, 1993, გვ. 19-20).

ონიმური ლექსიკა მრავალფეროვანია. დადგენილია მისი წარმოქმნისა და შევსების გზები: ა) აპელატივთა ბუნებრივი ონიმიზაცია; ბ) მზა სახელთა და სახელურ ფუძეთა (განსაკუთრებით პირსახელთა) სესხება სხვა ენებიდან; გ) ხელოვნური სახელდება (ბრძანებით, შეთანხმების გზით); დ) საკუთარ სახელთა დერივაცია და ტრანსონიმიზაცია (თეორია... 1986, გვ.71).

თითოეულ ენას მოეპოვება თავისი ონიმური სისტემა, რომელიც წარმოადგენს ონიმურ მოდელთა, მორფემათა და ფორმანტთა შინაგანად ორგანიზებულ ერთობლიობას. ონიმია (საკუთარ სახელთა ერთობლიობა) მოიცავს ტოპონიმებს (გეოგრაფიული სახელების ერთობლიობას), ანთროპონიმებს (ადამიანთა სახელ-გვარებს), ზოონიმებს (ცხოველთა საკუთარ სახელებს), კოსმონიმებს (ციურ მნათობთა სახელებს) და სხვ. ამის კვალობაზე ონიმური სისტემა, თავის მხრივ, შედგება ტოპონიმური, ანთროპონიმური, ზოონიმური, კოსმონიმური... სისტემებისაგან.

მეგრულის მონაცემების გათვალისწინებას ფასდაუდებელი მნიშვნელობა აქვს როგორც საერთოდ ქართველური ენების წარსულისა და აწმყოს, ისე კონკრეტულად თვით ქართული და სვანური ენების სტრუქტურისა და ლექსიკის შესასწავლად. ნიკო მარის აზრით, მეგრულის „შესწავლა გვიქადის ქართველთა ეროვნული სულის ჰორიზონტის გაფართოებას, ჩვენი დედა-ენის შეგნებასა და გაღრმავებას“. რა თქმა უნდა! მაგრამ ფაქტია, რომ ნიკო მარამდე, ნიკო მარის დროსაც და შემდეგაც მეგრულის მეცნიერულ შესწავლას ბევრი დამწუნებელი და ხელის შემშლელი გამოუჩნდა. მიზეზი ერთი იყო: სეპარატიზმის მოლანდება, ერთიანი ქართული ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ცნობიერების შესუსტების შიში. ალ. ცაგარელმა და ი. ყიფშიძემ სპეციალურად შეისწავლეს მეგრული და შექმნეს ფუნდამენტური შრომები. სამეგრელოში დაბადებულ-გაზრდილებმა და, მაშასადამე, ბავშვობიდანვე მეგრულის ზედმიწევნით მცოდნე ლინგვისტებმა, რომელთაც იბერიულ-კავკასიურ ენათმეცნიერებას მთელ მსოფლიოში აღიარებული გამოკვლევები შესძინეს, ასეთივე გულმოდგინებით ვერ იკვლიეს მეგრული. მიზეზი ალბათ ობიექტურიც იყო და სუბიექტურიც. ანტონ კიზირიასაგან მომისმენია: ხუთწლიანი სამუშაო გეგმით უნდა გამეგრძელებინა მეგრულის სინტაქსის კვლევა. ბერია რომ დაიჭირეს, მეორე დღესვე დამიბარეს და თემა სასწრაფოდ შემაცვლევინეს, სამი წლის წინათ დაწერილი ოქმიც კათედრის სხდომისა გადავასხვაფერეთო.

მეგრულ-ქანურის ფონეტიკის, მორფოლოგია-სინტაქსისა თუ ლექსიკის მრავალი საკითხი არის შესწავლილი და გამოკვლეული ალ. ცაგარლის, ი. ყიფშიძის, ივ. ჯავახიშვილის, ა. შანიძის, არნ. ჩიქობავას, ს. ჯანაშიას, ნ. ბერძენიშვილის, ს. ქლდენტის, ვ. თოფურის, გ. როგავას, თ. გამყრელიძის, გ.

მაჭავარიანის, ტ. გუდავას, ა. კიზირიას, ნ. ქუთელიას, ზ. ჭუმბურიძის და სხვათა მიერ. **გაწეული კვლევა-ძიების შედეგების გათვალისწინების გარეშე ბუნდოვანი დარჩებოდა ქართველურ ენათა ისტორიის მრავალი ასპექტი.** კოლხური საკუთარი სახელის სტრუქტურა, სემანტიკა, ლექსიკა, ისტორია მონოგრაფიულად არავის უკვლევია, თუმცა კი ქართველი ხალხის წარსულისა და ქართველურ ენათა განვითარების რიგი საკითხების კვლევისას ფართოდ იყო გამოყენებული კოლხეთის ისტორიული ტოპონიმების მასალები. ალ. ცაგარლის „მეგრულ ეტიმოდებსა“ (1880 წ.) და ი. ყიფშიძის „მეგრული ენის გრამატიკაში“ (1914 წ.), მოგვიანებით კი არნ. ჩიქობავას მონოგრაფიაში „სახელის ფუძის უძველესი აგებულება ქართველურ ენებში“ (1942 წ.) უკვე გამოყოფილია კოლხურ გეოგრაფიულ სახელწოდებათა მაწარმოებელი ძირითადი აფიქსები. „მეგრულ-რუსულ ლექსიკონში“, რომელიც ერთვის ი. ყიფშიძის „მეგრული ენის გრამატიკას“, დასახელებულია რამდენიმე ათეული ტოპონიმი და აფიქსის გამოყოფით თუ სხვადასხვა ხასიათის ინფორმაციით მინიშნებულია მათს ეტიმოლოგიაზე. ცალკეულ საკითხებზე მოაპოვება ისეთი გამოკვლევები, როგორიცაა: არნ. ჩიქობავას „-ონ სუფიქსი მეგრულში“ და „წარ- პრევერბის მნიშვნელობისათვის ქართულში“, გ. როგავას „ზოგი გეოგრაფიული სახელწოდების (ოჩამჩირე, ტყაურუ) შედგენილობისათვის“, გ. კაჭარავას „ზოგი გეოგრაფიული სახელწოდების აგებულებისათვის ქართველურ ენებში“, შ. მესხიას „ზუგდიდი“ თუ „ზუბდიდი“ და სხვ. ოდიშის ისტორიული ტოპონიმების რიგი საკითხები განხილულია ისტორიკოს თ. ბერაძის შრომებში.

გასული საუკუნის 70-80-იან წლებში დაიბეჭდა სამეგრელოს ტოპონიმების მასალების ოთხი წიგნი. მათგან მეცნიერული მიდგომითა და კვალიფიციურობით გამოირჩევა ალ. ლლონტის „ტოპონიმიკური ძიებანი, I“ (1971 წ.), რომელშიც განხილულია 5 ათასამდე მეგრული გეოგრაფიული სახელწოდება. მარტვილის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის თანამშრომლებმა – გივი ელიავამ, გივი ფარულავამ, გრიგოლ შენგელაიამ – აბაშის, მარტვილის, სენაკისა და ჩხოროწყუს რაიონების ტოპონიმების მასალების გამოცემით მნიშვნელოვანი საქმე გააკეთეს, მაგრამ ტოპონიმიკა, უპირველეს ყოვლისა, ენათმეცნიერების დარგია და ხსენებულ ლექსიკონებს სწორედ ეს აკლია – კვალიფიციური

ენათმეცნიერული მიდგომა, ლექსიკონის შედგენის პრინციპების დაცვა და თანმიმდევრულობა, ეტიმოლოგიისადმი მკაცრი და სერიოზული მიდგომა. ყოველივე ამის უზღუდებელყოფის შედეგია კუროზები, რაც მკვლევარს აიძულებს, დიდი სიფრთხილე გამოიჩინოს კვლევა-ძიებისათვის ამ მასალების გამოყენებისას: **ნაცონა დიხა** „ნაყანევი მიწა“ თარგმნილია როგორც „დამყნობილი მიწა“ (ელიავა, 1989, გვ. 62), **ჩეშონა** „ჩემის (ვაზის ჭიშია) ადგილი“ განმარტებულია როგორც „თეთრსვანური“ (იხ. ელიავა, ფარულავა, შენგელია, 1983, გვ.56), ხოლო **მენჯი** „ვეძა“ ტოპონიმის ეტიმონად მიჩნეულია მელენი ჯიმუ, ანუ გაღმა მარლი“.

უკანასკნელ ათწლეულში მეგრულის ფონეტიკის, გრამატიკისა და ლექსიკის კვლევა ფართოდ გაიშალა: მომზადდა მრავალი სადისერტაციო ნაშრომი, გამოქვეყნდა ახალი სალექსიკონო მასალები (ბ. კილანავას „900 მეგრული სიტყვა“, ა. ჩიქვანიას „მეგრული ხატოვანი სიტყვა-თქმანი“, რ. შეროზიასა და ო. მემიშ-იშის „ხალხური სიბრძნე, 1. მეგრული და ლაზური ანდაზები, „ქართულ მემკიდრეობაში“ გამოქვეყნებული მეგრული ტექსტები და სხვ.). ბოლოს და ბოლოს, ედირსა დაბეჭდვა პეტრე ჭარაიას „მეგრულ-ქართულ ლექსიკონს“ (გამოსაცემად მოამზადა დ. თვალთვაძემ. რედაქტორი ზ. სარჯველაძე). აღსანიშნავია გ. ელიავას „მეგრულ-ქართული ლექსიკონი“ (1997 წ.), რომელიც წარმატებული ცდაა მეგრულის სალექსიკონო მასალების შეკრება-გამომზეურებისა და ეს სწორედ იმის შედეგად, რომ ავტორს კვალიფიციურ კონსულტაციებს სწორედ პროფესიონალი ენათმეცნიერები უწევდნენ – კორნელი დანელია (რედაქტორი), მაგული მარგველაშვილი, ლილი ბასილაია.

საკუთარი სახელი (ტოპონიმი, ანთროპონიმი, ზოონიმი...) ენის ლექსიკური ფონდის სპეციფიკური და განუყოფელი ნაწილია. ამიტომ იგი ონომასტიკაში ჩახედულმა მეცნიერმა (ენათმეცნიერმა, ისტორიკოსმა, გეოგრაფმა...) უნდა იკვლიოს. ეს განსაკუთრებით შეეხება ეტიმოლოგიას, ასეული წლების წინათ შექმნილი, მაგრამ დღეისთვის მნიშვნელობადაბინდული სახელწოდების წარმომავლობის დადგენას, რაც მეტად რთული და საპასუხისმგებლო საქმეა, მაგრამ მავანს გასაოცრად ეადვილება. სამიოდე წლის წინათ დაიბეჭდა ალ. შანავას „ეტიუდები მეგრული ენის შესახებ“. ანოტაციაში აღნიშნულია, რომ ავტორი „განიხი-

ლავს აფხაზეთის ტოპონიმებს და ნათელს ფენს მათ ქართველურ წარმოშობას“. პირველ თავს ასეც ეწოდება: „აფხაზეთის ტოპონიმების მეგრული ლექსიკა“. აქ მკითხველი გაეცნობა ეტიმოლოგიური აზროვნების ასეთ „მარგალიტებს“: აგუძერა „ტოპონიმი ნაწარმოებია შეძახილიდან: აუ, ძერა“; აკარმარა ←აკა რე მარა „ერთადერთია, მაგრამ...“; აძიუბუა ← აძიუთ ბუა „აივდივის მზე...“; გუდაუთა ← გუდა-უთა „გუდა, ნატარები ზურგით“; კვეზანი ← ქუა ზენი „ქვებით მოფენილი ბარი“; ოჩამჩირე ←ოჩამი ჩირე „ვაციანი ჭაობი“; სოჭი ← სო ჩა „სად აჭმევ?“ (თურმე ერთმა მეგრელმა მეურმემ ამ ადგილას ჰკითხა მეორეს, კამჩიებს სად აჭმევო); სოხუმი ←სო ხუმი „სად გახმი?“ (ასე მიმართა თურმე მეგრელმა ამ ადგილას გამხმარ თხმელას). მაგრამ ასეთი კურიოზები სპეციალისტებსაც მოსდით. 1984 წელს ქ. ლაიფციგში (მაშინდელი გდრ) გაიმართა XV საერთაშორისო კონგრესი ონომასტიკაში, სადაც ჩებოქსარელმა გ. კორნილოვმა წაიკითხა მოხსენება „ჰუნურ-ბულგარულ-ჩუვაშური სახელები კავკასიაში“, სადაც ნათქვამი იყო, რომ სამეგრელო „ცნობილია თხებით, რომლებიც წყვილ თიკნებს შობენ“ და ამიტომაც დაერქვა ეგრისი, რომლის ფუძე არის ჩუვაშური „იეგირ“ (იგივე თურქული ეკიზ), რაც სწორედ ტყუბს, წყვილს, ორმაგს ნიშნავს (იხ. კორნილოვი, 1984, გვ.97-98).

თითქმის მეოთხედი საუკუნე (1969-1993 წწ.) დამჭირდა სამეგრელოსა და სამურზაყანოს სრული ტოპონიმური აღწერილობისათვის: დავიარე ყველა სოფლის ყველა უბანი და შემოგარენი, მთები და ხეობები, ვესაუბრე სამი ათასამდე ინფორმატორს, თავისი კუთხე-კუნჭულისა და მეგრულის ზედმიწევნით მცოდნე ხანდაზმულებს, და ჩავიწერე 45 ათასამდე დიდი თუ მცირე, ბუნებრივი თუ ხელოვნური (ადამიანის ხელით შექმნილი) ობიექტის სახელი. ჩემი აზრით, ეს მეტად საინტერესო მასალაა როგორც კონკრეტულად მეგრულის, ისე ზოგადად ქართველური ენების მკვლევართათვის. „კოლხეთის გეოგრაფიულ სახელწოდებათა ლექსიკონი“ მზადაა გამოსაცემად, განხილულია თსუ ფილოლოგიის ფაკულტეტის სამეცნიერო საბჭოზე 1995 წელს და რეკომენდებულია დასაბუქდად, მაგრამ ჭერჯერობით ჩვენი ტოპონიმიკური ნაკვლევის მხოლოდ მცირე ნაწილის დასტამბვა მოხერხდა (იხ. „ძიებანი კოლხეთის ტოპონიმიდან“, I, 1999).

მეგრული ანთროპონიმის, განსაკუთრებით კი გვარსახელების, აღნუსხვა-პუბლიკაციისა და კვლევის საქმეში კიდევ უფრო მეტი ხარვეზები იყო (ეს საერთოდ შეეხება ყველა ქართველურ ენას), მიუხედავად იმისა, რომ კოლხურ გვარსახელთა ისტორიის, სტრუქტურისა და სემანტიკის ცალკეულ საკითხებზე მოგვეპოვება ს. ჯანაშიას, ვ. თოფურისა, გ. როგავას, მ. ქალდანის, ზ. ჭუმბურიძის, ო. სოსელიას, ვ. ზუხბაიას, თ. გვანცელაძის, თ. მიბჩუანის, ჯ. ონიანის, ჯ. როგავას, ც. ნარაკიძის და სხვათა მალაქვალ-ლიფიციალური ნაშრომები. კოლხურ პირსახელთა ერთი ნაწილი შევიდა ალ. დლონტის „ქართველურ საკუთარ სახელებში“, ხოლო გვარსახელთა ძირითადი ფონდი – ა. სილაგაძისა და ა. თოთაძის საჭირო და დროულად გამოცემულ ცნობარში “გვარ-სახელები საქართველოში“. **რა თქმა უნდა, ანთროპონიმულ კვლევა-ძიებას გლობალური (ამ შემთხვევაში საერთოქართველური თვალსაზრისით) ხასიათი უნდა ჰქონდეს, მაგრამ ამას წინ უნდა უძღოდეს რეგიონების მიხედვით სათანადო მასალის სრული აღნუსხვა და თითოეული მათგანის ისტორიისა და მიგრაციის, წარმომავლობა-გენეალოგიის დადგენა ეთნოგრაფიული მონაცემების საფუძველზე.** როგორც ი. მაისურაძე წერდა: „ზოგადი და ეპიზოდური დაკვირვებანი, თუნდაც კამერალური ძიებანი ამ მხრივ მაინც შორს ვერ წაგვიყვანს. საჭიროა სპეციალური კვლევის ფართოდ გაშლა, რასაც წინ უნდა უძღოდეს ფაქტობრივი მასალის გამოვლენა და შეკრება-პუბლიკაცია“ (მაისურაძე, 1979, გვ.5).

1996 წელს გამოვიდა ნ. ჯომიდავას „კოლხური გვარსახელები“. ავტორი ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატია, რაც მასალისადმი მის მიმართებას ერთგვარად ამართლებს კიდევ. წიგნის ანოტაციაში აღნიშნულია, რომ “ნაშრომი წარმოადგენს კოლხური (მეგრული) გვარსახელების მონოგრაფიულად შესწავლის პირველ ცდას“. ფაქტობრივად, იგი მხოლოდ გვარსახელთა ლექსიკონია და შორს დგას ყოველგვარი მონოგრაფიულობისაგან, ამასთანავე, უხვად შეიცავს ფანტასტიკურად გულუბრყვილო ეტიმოლოგიებს. საილუსტრაციოდ წარმოვადგენთ ორიოდე ნიმუშს: გვარი **აბაკელია** თურმე ნიშნავს: „ჯარის ნაწილების სადგომი ან ნადგომი, საიდანაც ბაკი-ბუკი (ნაბიჯის ხმა) ისმის“. გვარ **ალასანი**-ს თავდაპირველი ფორმა ყოფილა ა-ლას(ო)-ნია, სადაც ა წინაკიდური ბგერაა, ხოლო ლასო არის „მარყუჟიანი ქამანი,

რომელსაც ძველად ხმარობდნენ ზოგი ნადირის დასაჭერად“ (–ნია დაბოლოებაზე არაფერია ნათქვამი. ამასთანავე: 1. ესპანური სიტყვა ლასო „მარყუჟი“ დიდი ხანი არაა, რაც შემოვიდა ქართულში; 2. ოდესმე ვინმეს უნახავს საქართველოში, რომ ნადირს ლასოთი იჭერდნენ?); გვარ **გელანტი**–ში გამოყოფილია ლა(ნ)ტი და მითითებულია „ნაძვი (ჩუბ)“. ნიკო და დავით ჩუბინაშვილები მართლაც განმარტავენ: „ნაძვი (ხე) ელატი“, მაგრამ რა შუაშია ეს ელატი გვარ გელანტიასთან? ასევე: გვარ **სესქურია**–ში სე – თურმე წინაკიდური სართია, ხოლო სქური კურორტის სახელია, ტაბალუა თურმე წყლის ჭიაა და ა.შ.

იმ საბაბით, რომ პირველი გამოცემა „მოკლე ხანში ბიბლიოგრაფიულ იშვიათობად იქცა, რაც ამ თემის მიმართ მკითხველის ინტერესზე მიგვანიშნებს“ (წინასიტყვაობიდან), ნ. ჯომიდავამ 2000 წელს გამოსცა ახალი მასალებით შევსებული „3000 მეგრული გვარ–სახელი“, რომელშიც, სამწუხაროდ, ისევ და ისევ მრავლადაა უზუსტობანი და გაიოლებული „ეტიმოლოგიები“. აქაც მხოლოდ ორიოდ ნიმუშს დავასახელებთ: თურმე გვარი **რუ–რუა** ეტიმოლოგიურად დაკავშირებულია რუ ლექსემასა და რუსადმი თაყვანისცემასთან(?). გვარი **ღელეყვა** თურმე ნიშნავს: „ღელემ შობა“; გვარ სობელიას (?) თავდაპირველი მნიშვნელობა „აღდგენილია“ ვეფხისტყაოსნისეული „ლახვართა სობილნი“–ს მიხედვით და ა.შ. საკმარისია, ავტორმა გვარსა და რომელიმე სიტყვაში ორიოდ იდენტური ბგერა იპოვოს, რომ ეტიმოლოგია უკვე მზადაა. მაგალითად, გვარი **ძღირუა** დაკავშირებულია მეტსახელთან ძღი–ნი, „წიწალია ნაწარმოებია წიწილ შერქმეული სახელისაგან“, **ჭუბაბრია** დაკავშირებული ყოფილა ჭუბურ „წაბლი“ ფუძესთან (მაშინ რაღაა –აბრ კომპლექსი?), გვარი **საკორია** ასეა განმარტებული: „სკორი – ქათმის განავალი“; კასტელის ჩანაწერებში მოხსენიებული **ტოკარია**–ს წარმომავლობა ასეა „ახსნილი“: „ტოკარი რუსული წარმოშობისაა და ნიშნავს ზეინკალს“. კი, მაგრამ XVII ს. პირველ ნახევარში რუსული სიტყვა ტოკარი საიდან იცოდნენ მეგრელებმა? „3000 მეგრულ გვარ–სახელში“ ბევრი ისეთი გვარია დასახელებული, რომელთა წყარო ან გავრცელების არეალი არაა მითითებული, რაც მათს რეალურობას საეჭვოს ხდის. მაგალითად: რეზვია, სეტაია, სიდავა, სვიტერია, სონძია, სურმელია, სქვამაია, წკაეზი, სადაია, სამხეშია, ტაბილავა და სხვ. სრულიად გაუგებარია, ბოლნისის რ–ნის სოფ.

წინწყაროში დადასტურებული „სისკალა“ რა ნიშნითაა მეგრული გვარი?

ტოპონიმიკურ მასალასთან ერთად ექსპედიციების პერიოდში ვიწერი ყოველგვარ აპელატიურ და ონომასტიკურ მასალას, მათ შორის გვარსახელებსაც. მოპოვებული მასალა გადავამოწმე და შევავესე 1990-1996 წლებში, დავაზუსტე სამეგრელოს სოფლების მოსახლეთა გვარები, დავადგინე მათი კომლობრივი რაოდენობა (სამწუხაროდ, ამ სამუშაოს შესრულება სამურზაყანოში მხოლოდ სანახევროდ მოვასწარი). ამისი შედეგი იყო წიგნი „გვარები და გვართა დასახლებანი სამეგრელოში“, რომელიც 2000 წელს გამოვიდა და მიზნად ისახავდა, შეჰმატებოდა ქართულ ანთროპონიმულ ლიტერატურას საქართველოს ერთი დიდი რეგიონის გვარსახელთა სრული ლექსიკონი, შედგენილი ენათმეცნიერული თვალთახედვით.

თავი პირველი

მაგრული ტოპონიმის სტრუქტურის, სამანტიკისა და ლექსიკის საკითხები

ტოპონიმი მრავალპლანიანია. მას შეისწავლის (სხვადასხვა კუთხით) ენათმეცნიერებაც, ისტორიაც, ეთნოგრაფიაც, გეოგრაფიაც... დროთა განმავლობაში ჩამოყალიბდა ტოპონიმთა ენათმეცნიერული კვლევის ორი ასპექტი: ა) სისტემური და სტრუქტურული დახასიათება; ბ) წარმომავლობის (ამოსავალი ფუძის ტოპონიმამდელი მნიშვნელობის, ანუ ეტიმოლოგიის) ამოხსნა და, სადაც ეს საჭიროა და შესაძლებელი, შემდგომი ფორმობრივი თუ ფუნქციური ცვლილებების დადგენა. დიდი ხნის მანძილზე ტოპონიმთა კვლევის ძირითადი მიზანი იყო სწორედ და მხოლოდ და მხოლოდ ეტიმონის (ამოსავალი ფუძის) ძიება. მაგრამ მეცნიერების განვითარების კვალდაკვალ ცხადი გახდა, რომ მეთოდოლოგიურად უფრო მიზანშეწონილია საკუთრივ ტოპონიმურ წარმოებაზე ყურადღების გადატანა. როგორც ივ. ჯავახიშვილი აღნიშნავდა, ტოპონიმის მკვლევარმა „უპირველესად ამა-თუ-იმ ადგილის მდებარეობისა და თვისების დამახასიათებელი გარემოებანი უნდა გაითვალისწინოს და ჩაუკვირდეს სხვა იქაურ მსგავსივე გეოგრაფიული სახელების აგებულებასა და მნიშვნელობას“ (ჯავახიშვილი, 1950, გვ.109).

ტოპონიმური სისტემა მკაცრად ტერიტორიულია:

”

—

—

“ (სუპერანსკაია, 1985, გვ. 108). ჩვენს სინამდვილეში ტოპონიმური სისტემა, უპირველეს ყოვლისა, არის ზოგადქართველური, ე.ი. შეიცავს ქართული, სვანური და მეგრულ-ლაზური ტოპონიმური სისტემების საერთო ნიშან-თვისებებს, მოდელებსა და ტოპოფუძეებს. ამასთანავე, თითოეულ ქართველურ ენას მოეპოვება თავისი ტოპონიმური სისტემა, რომელიც, თავის მხრივ, იყოფა დიალექტურ ტოპონიმურ სისტემებად. სწორედ მათში ვლინდება

შესაბამისი დიალექტურ-ეთნოგრაფიული და ტერიტორიული ერთეულებისათვის ნიშანდობლივი მოდელები, ფუძეები და აფიქსები. მაგალითად, გვართა დასახლებების სახელების (მიკროოიკონიმთა) საწარმოებელი სპეციალური პრეფიქსი ლე- მხოლოდ მეგრულს მოეპოვება. ეს ლე- სვანურიდანაა ნასესხები, მაგრამ სვანურში მას მსგავსი ფუნქცია არ უჩანს.

ქართველური ტოპონიმური სისტემა ათასწლეულების მანძილზე ყალიბდებოდა. ქრონოლოგიური თვალსაზრისით, უძველეს ფენას ქმნიან -თ (თა), -ის (მეგრულში -იში), -ევ ბოლოკიდურიანი ტოპონიმები. ეს -ევ რომელიდაც კილოში გამოხატავდა მრავლობით რიცხვს (ფუნქციურად უდრიდა ამჟამინდელ -ებ-ს) და შემოგვრჩა მხოლოდ გეოგრაფიულ სახელებში (აკ. შანიძე). -თ თანხმონის შემცველი სუფიქსების (-ათ, -ეთ, -ით, -ოთ, -უთ) ფუნქცია მრავლობითობის, კრებითობის გამოხატვა უნდა ყოფილიყო (ზურაბიშვილი, 1961). -თა და -ის დაბლოებიანი ტოპონიმების ძირითადი ნაწილი ნანათესაობითარი (საზღვრულდაკარგული) სახელებია (შანიძე, 1973, გვ.114). -ის საფლექსიო ელემენტს სადერევაციო (სიტყვაწარმოებითი) ფუნქცია ჯერ კიდევ ფუძენაში (ე.ი. ქართულ-ზანურ-სვანური ენების ერთიანობის ხანაში) ჰქონდა მოპოვებული (კლიმოვი, 1962).

მიუხედავად ყოველივე ამისა, როგორც ჩანს, მსაზღვრელ-საზღვრულიანი სინტაქსური კონსტრუქციის გამარტივება ერთ-ერთი კომპონენტის მოკვეცის (ელიპტირების) გზით და დარჩენილი კომპონენტის ტოპონიმიზაცია, როგორც ერთსიტყვიან ტოპონიმთა წარმოქმნის ერთ-ერთი გზა, ათასწლეულების მანძილზე მოქმედებდა. ამ პროცესისათვის თვალის გადავინება შესაძლებელია ძველი ქართული მწერლობის ძეგლებზე დაკვირვებით. „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების“ ავტორი ერთგან წერს: „ჟამსა ... ხანძთას ეპიფანედს მამობისასა იყო ვინმე კაცი მდიდარი ანჰკორას და სახელი მისი წერტად და აწ რომელ წერტადანი ჰქჳან, თხათა მისთა სადგური ყოფილ არს“. აქ სადგური სადგომს ნიშნავს. აშკარაა, წერტადანი წარმოქმნილია საზღვრული სიტყვის ელიპტირების გზით: ადგილნი წერტადანი → წერტადანი.

მეთე საუკუნეშივე (I მეოთხედში) დაწერილი „სერაპიონ ზარზმელის ცხოვრების“ ერთ მონაკვეთში აღწერილია სერაპი-

ონისა და ძმათა მისთა მიერ სამცხეში მონასტრის ასაშენებელი ადგილის ძიების ამბავი. ავტორი ბასილ ზარზმელი ასახელებს იმ პირთა და გეოგრაფიულ ადგილთა სახელებს, რომელთაც გზადაგზა ხვდებოდნენ ხოლმე. ჩვენი ყურადღება განსაკუთრებით იმ ეპიზოდებმა მიიპყრო, რომლებშიც ახსნილია ტოპონიმთა წარმომავლობა. მწერლისეული ეტიმოლოგიების ექსტრალინგვისტური და ლინგვისტური საბუთიანობა ყველა შემთხვევაში მეცნიერულია, მოტივაცია დამაჯერებელია. ეპიზოდი პირველი: სერაპიონი იკითხავს: “რა» ეწოდების ადგილსა ამას?“. მასპინძელი (სახელად ია) უპასუხებს: “რამეთუ არს ესე შესაკრებელი ნადირთა ველისათაჲ და ბაკთა ეწოდების“. ტოპონიმი წარმოქმნილია საზღვრული კომპონენტის დაკარგვით: ბაკთა ← ადგილი ბაკთა (ბაკი საჩხია). ეპიზოდი მეორე: სამონასტრე ადგილის მაძიებელნი მიეახლნენ ტბას. ია განმარტავს: „ესე არს ტბაჲ მღვრიე ყოვლადვე, რომელსა ეწოდების სათახვე, და არს ამას შინა სიმრავლე თახვთა...“ აქ ტოპონიმი (ჰიდრონიმი) მოტივირებულია ფუძისეული ლექსემითა და დანიშნულების აფიქსებით. სათახვე წარმოქმნილი სახელწოდებაა. ეპიზოდი მესამე: სერაპიონი დაინტერესდება მთით, რომელიც მის წინ აღიმართა. მასპინძელი განმარტავს: „მთაჲ ესე მალალი არს თავი ყოველთა ამათ ქედთაჲ, რომელსა ჰრქჳან თავი შეშათაჲ, რამეთუ თავი არს ყოველთა ამათ მალნართაჲ, ამისათვის შეშისთავ ეწოდების“. შეშისთავი ტყის თავს ნიშნავს. სახელდებისათვის გამოყენებულია სიტყვათშეერთების მეთოდი.

ცხადად ჩანს, რომ ქართული მხატვრული და საისტორიო მწერლობის უძველეს ძეგლებშივე არის მსჯელობა ტოპონიმთა წარმოშობის გზებსა და საშუალებებზე. ზემოთ გაანალიზებულ ეპიზოდებში გამოკვეთილია ტოპონიმიკური სიტყვაწარმოების ძირითადი პრინციპი – სახელწოდების შინაარსი შეესაბამება სახელდებულ ობიექტს. ეს მიიღწევა რამდენიმე საშუალებით: 1. ელიპტირებით (მოკვეცილია საზღვრული ან მსაზღვრელი კომპონენტი: წერტადსნი ← ადგილნი წერტადსნი, ბაკთა ← ადგილი ბაკთა); 2. წარმოქმნით (სათახვე, სტრუქტურული თვალსაზრისით, დერივაციული ფორმაა); 3. სიტყვათშეერთებით (შეშისთავი შედგენილობით რთული, ორკომპონენტიანი ერთეულია).

ტოპონიმის მკვლევარი აღიარებენ ტოპონიმთა წარმოქმნის ორ ძირითად გზას: ა) აპელატივის (საზოგადო სახელის) ტოპონიმიზაცია დერევაციის გარეშე (რასაც სემანტიკური სიტყვათ-წარმოება ეწოდება: იცვლება ლექსემის სტატუსი, ხოლო ფორმა უცვლელი რჩება) ან დერევაციის საშუალებით; ბ) საკუთარი სახელის ტრანსონიმიზაცია, რაც გულისხმობს როგორც საკუთარი სახელის გადასვლას ერთი ონიმური კლასიდან მეორეში (მაგალითად: ანთროპონიმი → ტოპონიმი), ისე ტრანსტოპონიმიზაციას, ტრანსპიდრონიმიზაციას, ტრანსოიკონიმიზაციას და ა.შ. პირველი (ტოპონიმიზაციის) მეთოდით წარმოქმნილ ტოპონიმებს ეწოდება **პირველადი ტოპონიმები**, ხოლო მეორე (ტრანსონიმიზაციის) მეთოდით წარმოქმნილებს – **მეორეული ტოპონიმები**.

ონომასტიკაში ფართოდაა გავრცელებული ტოპონიმთა ანალიზი ოთხი ძირითადი ასპექტით: ა) ფონეტიკური; ბ) მორფოლოგიურ-სიტყვაწარმოებითი; გ) შინაარსობრივი; დ) გენეტიკური (ანუ მოტივაციური). ტოპონიმთა ამგვარ კლასიფიკაციას განაპირობებს განსხვავებული საწარმოქმნო საშუალებანი, საწარმოებელ ფუძეთა მრავალფეროვნება და მოტივირების სხვადასხვა საფუძველი (ჯორბენაძე, 1993, გვ.59).

მეგრული ტოპონიმის ანალიზს ქვემოთ რამდენიმე ასპექტის სახით წარმოვადგენთ.

§ I. მეგრულ ტოპონიმიაში გამოვლენილი ორი ფონეტიკური პროცესის უმსახეობ

ტოპონიმთა ფორმობრივი კლასიფიკაციის ერთ-ერთი ძირითადი ასპექტია ფონემატური სტრუქტურის დადგენა, ფონეტიკურ თავისებურებათა კვლევა და ფონეტიკური პროცესების ანალიზი. ვითვალისწინებთ რა ნაშრომის მოცულობის შეზღუდულობას, შევჩვებით მხოლოდ ორ საკითხს, რომელთა გასარკვევად ტოპონიმია უფრო მეტ მასალას შეიცავს, ვიდრე საზოგადო ლექსიკა. მკვლევარი სამეგრელო-სამურზაყანოს ტოპონიმისა და ანთროპონიმიაში თითქმის ყველა ფონეტიკური მოვლენის საანალიზოდ იპოვის მეტად საინტერესო მასალას, განსაკუთრებით აფრიკატიზაცია-დეზაფრიკატიზაციის, ასიმილაცია-დისიმილაციის,

ბგერათა დაკარგვის, კუმშვა-კვეცის საილუსტრაციოდ. ქვემოთ კი წარმოდგენილი იქნება მხოლოდ ის მასალა, რომლის ანალიზის შედეგებს შესაძლოა გარკვეული მნიშვნელობა ჰქონდეს ქართველურ ენებში რედუქციისა და ჰაპლოლოგიის ისტორიისა და გავრცელებულობის შესასწავლად.

1.1. პრეფიქსის მარედუცირებელი ძალისათვის მეგრულში. მეგრულის აპელატიურ და ონომასტიკურ ლექსიკაში შემჩნეული რედუქციის შემთხვევებს განვიხილავთ საკითხისადმი მიძღვნილი ორი სპეციალური გამოკვლევის ფონზე. ესენია აკ. შანიძის „წელიწადის ეტიმოლოგიისათვის“ და ვ. თოფურიას „რედუქციისათვის ქართველურ ენებში“. აკ. შანიძის ნააზრევინად ამჟამად გვანტერესებს მხოლოდ ის დებულება, რომ რედუქცია მეგრულ-ჭანურში უკვე უძღურია. ს. ჟღენტის შეხედულებითაც, რედუქცია ჭანურს „ფაკულტატურად ახასიათებს“, ხოლო მეგრულისათვის „თითქმის უჩვეულოა“ (ჟღენტი, 1960, გვ. 155).

ვ. თოფურიას ნაშრომის დასკვნისწინა ნაწილში განხილულია რედუქციის საკითხი ზანურში, დასახელებულია მეგრულში რედუქციის რამდენიმე ფაქტი (რჩხ-ულა ← რაჩხ- : ქართ. რეცხ-, ჩქვ-აფა : ქართ. ციქვ-ა, უ-ფრ-აში ← უ-ფურ-აში ← ფური „ცული“ და სხვ.) და გაკეთებულია დასკვნა: „რედუქცია ზანურსაც ახასიათებდა, მაგრამ იგი იმთავითვე სუსტი უნდა ყოფილიყო. ამით აიხსნება ზანურში შემონახული სრულხმოვანება“ (თოფურია, 1979, გვ. 170). სამურზაყანული მეგრულის ფონეტიკისადმი მიძღვნილ ნაშრომში მ. ციკოლია ასახელებს რამდენიმე სიტყვას, ქართულიდან ნასესხებსა თუ საკუთრივ მეგრულს, რომლებშიც აშკარად ჩანს რედუქციის კვალი და ასკვნის: „სამურზაყანულ მეგრულში მახვილი უფრო ინტენსიურია, ვიდრე მეგრულის სხვა თქმებში“ (ციკოლია, 1954, გვ. 343).

ბოლო პერიოდში მოპოვებული მეგრული მასალა, განსაკუთრებით კი ონომასტიკური ხასიათისა, იძლევა საშუალებას, გარკვეული კორექტივი შევიტანოთ იმ დასკვნებსა და წარმოდგენებში, რომლებიც დღემდე არის გაბატონებული მეგრულში რედუქციის საკითხთან დაკავშირებით.

მეგრულში შეიმჩნევა დერივაციული მორფემის დართვის გარეშე ფუძერედუცირებულ სიტყვათა ორი რიგი: ა) ქართულიდან

შეთვისებული; ბ) საკუთრივ მეგრული. ორივე შემთხვევაში მიზეზი უნდა იყოს იგივე, რაც ქართულში, სადაც „ხმოვანთრედუქციის უმთავრესი ფაქტორია დინამიკური სიტყვათმავილი“ (ახვლე-დიანი, 1999, გვ. 217). ვ. თოფურიაც აღნიშნავს, რომ ზანურში რედუქცირებული ზოგი ფორმა შეკუმშული სახით არის შესული ქართულიდან და გაზანურებულია, ან ხმოვანი სესხებისას არის ამოღებული, მაგალითად: მელიტონ → მელტონ, კვირიკე → კვირ-კვე „კვირიკობისთვე“, საარიკო → საარკო „საარაკო“... ქართულიდან ან სხვა ენიდან სესხებისას ხმოვანამოღებული ლექსიკურ ერთეულთა სია შეიძლება ბევრად გაიზარდოს: ჭირისუ-ფალი → წირსფალი, თავისუფალი → თავისფალი, კანცელარია → კანცლარია, მეურნეობა → მეურნობა, კომუნა → კომნა (→ კომნაშა „კომუნისაქენ“), სამოთხეკარი → სამთხეკარი (მინდორი და სასაფლაო სოფ. ლევახანეში), მეჭინბე → მეჭნებე (სამეჭნებო – სახნავი სოფ. ურთაში, ჭუმისპირა ჭალაში, სადაც მდგარა მეჭნებე, ანუ „მეორინჯე“); ჯაფარიძე → ჯაფარძე (ლეჯაფარძე უბანია სოფ. ხანწყში), ლორთქიფანიძე → ლეთქფანიძე, ბიძინაშვილი → ბიძნასქუა (საბიძნასქუო უბანია სოფ. დარჩელში), გოგებაშვილი → გოგბასქუა (საგოგბასქუო უბანია სოფ. პირველ ნოსირში), გოგენაშვილი – გოგნასკუა (საგოგნასკუო უბანია სოფ. უფალკარში), ირემაძე → ირმაძე (საირმაძო უბანია სოფ. პირველ გურიფულში); აბულაძე → აბლანძე (სააბლანძო უბანია სოფ. ცვანეში), ალფენიძე → ალფენძე (საალფენძო უბანია სოფ. ორსანტიაში), მიმინოშვილი → მიმნოსქუა (სამიმნოს-ქუო//სამნოსქუო უბანია ქ. აბაშაში), ქაშიბაძე → ქაშბაძე (საქაშბაძო უბანია დიდ ხორშში), ჭიჭინაძე → ჭიჭნაძე (საჭიჭნაძო უბანია სოფ. რიყეში), მაქსიმე → მაქსმე, ზოსიმე → ზოსმე, ელისაბედი → ელსაბედი და სხვ.

აფიქსის დართვის გარეშე ხდება ფუძის შიგნიდან ხმოვნის ამოვარდნა საკუთრივ მეგრულის აპელატიურსა თუ ონიმურ მასალაში. რამდენიმე მაგალითი: ობიშხია (პირსახელი) → ობშხიაკარი (ობიშხია თოფურიას ნასახლარია სოფ. ჯოლევში), ხიბულა (სოფელი) → ხიბლა (ადგ. ვარიანტი); მრავალ გვარს მოე-პოვება ადგილობრივი ხმოვანრედუქცირებული ვარიანტი: აქუბარ-

დია → აქბარდია, შამუგია → შამგია, ხუბუტია → ხუბტია, ჩიქო-
ვანი → ჩიქვანი, ჩაჩბაია → ჩაჩბაია, გაბისონია → გაბსონია, კაკუ-
ბერი → კაკბერი (ეკაკბერე უბანია სოფ. ჯოლეგში), უბილავა →
უბლა, გამისონია → გამსონია, ფილიპია → ფილპია, სოლომონია
→ სოლომონია, ქუჩულორია → ქუჩლორია, ქაჩბაია → ქაჩბაია,
ტყებუჩა(ვა) → ტყებჩა და სხვ. ამგვარი მასალა, რა თქმა უნდა, არ
შეგვაქვს პრეფიქსის მარედუცირებელი ძალის განხილვასთან
დაკავშირებულ მასალაში.

ვ. თოფურია საგანგებოდ აღნიშნავს, რომ მეგრულ-ქანურში,
სადაც საერთოდ ცოტაა შეკუმშული ფორმები, პრეფიქსის
გავლენის „დადგენა მასალების სიმცირის გამო ჭირს“. ჩვენ
მოვიძიეთ საკმაო ტოპონიმოკური მასალა, როგორც აპელატიური,
ისე ონიმური ფუძის მონაწილეობით წარმოქმნილი, რაც
ცხადყოფს, რომ მეგრულში პრეფიქსს დღემდე აქვს შენარ-
ჩუნებული გარკვეული მარედუცირებელი ძალა. სინკოპეს იწვევს
ყველა პრეფიქსი, რაც კი გამოიყოფა მეგრულ გეოგრაფიულ
სახელებში:

ა) **პრეფიქსი ლე-** (→ფე → ე): კაჭარა(ვა) → ლე-კაჭრ-ე,
ხარება(ვა) → ლე-ხარბ-ე, გოგილა(ვა) → ლე-გოგლ-ე, გოგინა(ვა)
→ ლე-გოგ(ი)ნ-ე, გაბუნია → ლე-გაბ(უ)ნ-ე, ჩომახია → ე-ჩმახი-ე,
ფართუხია → ლე-ფართხ-ე... ბ) **პრეფიქსი ნა-//ნო-**: მაკალათია
→ ნა-მკალათ-უ, მიკოლა(ვა) → ნა-მკოლ-უ („ნამიკოლავოს“ ადგ.
ვარიანტი), მიქა(ვა) → ნა-მქ-უ, შომახია → ნა- შმახ-უ, მიქელია
→ ნამქელუ (ბორცვი სოფ. ობუჯში), ოთიფურუ „სათიბარი“ →
ნა-თიფურ-ენ-ი//ნა-თიფრ-ენ-ი (საძოვარი სოფ. ჟინოთაში), ნა-
თფურ-ენ-ი (სახნავი სოფ. ეკში), ნა-თფურ-ე (სახნავი სოფ.
ქვაითში); ობირეში „ცეკვა-თამაშის ადგილი სოფელში“ → ნა-
ობ(ი)რე-ში (მინდორი სოფ. კოტიანეთში); ოკირე „საკირე“ → ნა-
ოკირე-ში → ნა-კრ-ე-ში (სერი სოფ. მაზანდარაში), ობინახე
„ვენახი. სავენახე ადგილი“ → ნა-ობნეხ-უ (ფერდობი სოფ. ზანაში;
ჯიხა „ციხესიმაგრე“ → ნო-ჯ(ი)ხ-ენ-ი → ნოჩხენი, ნო-ჯიხ-ონ-ი →
ნო-ჯხ-ონ-ი → ნოჩხონი (სოფელი ხობის რ-ნში); ბალილე
„ბელელი“ → ნო-ბაღლ-ენ-ი, ღარიბი → ნო-ღარბ-ენ-ი,
ლიმა//ლგმა „ომი, ბრძოლა“ → ნა-ლ(გ)მა, ნაჩიხა „საგუბარი,

ჯებირი“ → ნა-ნახხ, ოჭკად(,)რე → ნა-ოჭკადრ-ე (დავაკება სოფ. ფახულანში), ნა-ცილახ-ჟ//ნა-სლახ-ჟ (ამოსავალი ფუძე გვარი უნდა იყოს), ღვლამი „ღლავი“ → ნა-ღლამ-ჟ... გ) **პრეფიქსი ო-**: თიფუა „თიბვა“ → ო-თიფ-ჟრ-ე//ო-თფ-ჟრ-ე, რიკუა „რიკტაფელას თამაში“ → ო-რიკ-ე-ში → ო-რკ-ე-ში (ტყე კურორტ სქურის შემოგარენში და ბუჩქნარი სოფ. ნაფიხხოვოში), ფუტური „გამოფიტული მიწა“ → ოფ(ჟ)ტურე (საძოვარი დიდ ინხურში), ფუცხოლუა „კლდეზე ფხოწიალი; ტყეში წვრილი გამხმარი ტოტების შეგროვება“ → ოფ(ჟ)ცხოლ-ი (ვიწრობი მდ. აბაშაზე, კითამია „ჭაობის კანაფი“ → ო-კ(ი)თამი-ე//ოკიფე (ჭაობნარი სოფ. ჟინოთაში), კვინორი „კვერნა“ → ო-კნორ-ე (ოფიციალური: ოკვინორე – სოფელი გალის რ-ნში), პურასკია „პრასი“ → ო-პრასკი-ე, ტურა → ო-ტრ-ელალ, ქირი „ქორი“ → ო-ქ(ერ)-ე-ში, ჯიკი „ძირკი, კუნძი“ → ო-ჯკ-ეში//ოჭკეში, ზომეხი „ძმერხლი“ → ო-ზმეხ-ე, ტორონჯი „მტრედი“ → ო-ტ(ო)რონჯე (ტყე გამოღმა ხორგაში); სუმი „სამი“ → ნა-სუმ-ორ-ი „მესამედი“ → ო-ნამორ-ე „სამესამედო“, ღურინი „ღვრიალი“ → ო-ღურნ-ა-ია „ღვრიალი“, ჭუმე „ხვალ“ → ო-ჭმ-არე „დილა“, ჭინახუა „წნეხვა“ → ო-ჭ(ენახ „საწნახელი“, ბირა „მღერა. ცეკვა-თამაში“ → ო-ბრ-ეში (მინდორი სოფ. ბეთლემის ეკლესიასთან), ნიში „ნავი“ → ო-ნ(ი)შ-ოღალ (ღელე სოფ. გაღმა ქარიატაში) და სხვ. გ.) **პრეფიქსი სა-**: ომარული „უმარლი. ქალთა პირსაცხი“ → საო-მარულო წყუ (წყარო ახუთის განაპირას. ახუთში ბაზრობაზე მიმავალნი ამ წყაროსთან ჩაიცვამდნენ ფეხთ, ქალები წაიცხებდნენ ფერ-უმარლს); მაჭარი → სა-მაჭრ-ო → სამარჭო (ფერდობი ლემიქავეში); რიკუა „რიკ-ტაფელას თამაში“ → სა-რ(ი)კ-ი (მდინარე ლედგებეში); წ(ე)მოხონი „წინ მდებარე“ → სა-წმოხონ-ო „სამომავლო“ (მდრ. ი. ყიფშიძე: საწემოხონოთ „სამომავლოდ“); კილასონია → სა-კ(ი)ლასონი-ო (უბანი სოფ. ჯაბაშქარში), ღვლამი „ღლავი“ → სა-ღლამ-ო (რიონისპირა სახნავი სოფ. გაღმა კოდორში) და სხვ. დ) **პრეფიქსი მა-**: ჟერი „ორი“ → მა-ჟ(ერ)-ა → მაჟრალალ (ღელე გაღმა ქარიატაში. მდრ. მაჟრაშა „მეორედ“, მაგრამ მაჟრუა „მეორედ თოხნა სიმინდისა“); სუმი „სამი“ → მა-

ს(უ)მ-ა “მესამე“ → მა-სმ-აშა „მესამედ“, ლილოკუა//ღლოკუა „ღრეკა, კლაკვნა“ → მა-ღლოკ-ი→ მა-ღლოკ-ი (მდინარეები ჭალეში, დღვანაში, ტალერში), ლილაკუა ღლაკუა “ღრეკა, კლაკვნა“ → მა-ღლაკ-ია (წყლის ჭიაა ერთგვარი, წყალში იკლაკნება. ამ სიტყვისგან წარმოქმნილა მაღლაკონი (მდინარე სოფ. დიდ ხორაში). შდრ. მა-ღლაკ-ი - სოფელი ხონის რ-ნში, ტყე საგვიჩიოში (ზემო ჭალადიდის საკრ.).

მაშასადამე, რედუქციას იწვევს ყველა პრეფიქსი. ამასთანავე, რედუქციას ექვემდებარება ხუთივე სრული ხმოვანი და ირაციონალური გ. მაგალითები:

ა) **სინკოპირებულია ა:** ლაბახუა → ნა-ლბახ-უ; მაკალათია → ნა-მკალათ-უ, კაჭარა(ვა) → ლე-კაჭრ-ე, მაჭარი →სა-მაჭრ-ო → სამარჭო (ნავენახარი სოფ. ბობოთში) და სხვ. ბ) **სინკოპირებულია ე:** ხარება(ვა) → ლე-ხარბ-ე, სამელია → ლე-სამლ-ე და სხვ. გ) **სინკოპირებულია ი:** გოგინა(ვა) → ლე-გოგ(ი)ნ-ე, ჩიბარდანია → ნა-ჩბარდან-უ, ოკირეში → ნა-კრეში, ჩიხუა “მდინარის გადაკეტვა მცირე კაშხლით“ → ო-ჩიხ-ე „საგუბარი“ → ო-ჩხ-ე „თევზის საპყრობი მდინარეში“; მიგარია (ქართული მიქელ-გაბრიელის მეგრული ვარიანტი) → სა-მგარი-ო (ერთ-ერთი საოჯახო სალოცავი. ასახელებს ი. ყიფშიძეც), სერი „ღამე“ → სერიში “ღამისა“ → ო-სერშ-ე “ვახშამი“ და სხვ. დ). **სინკოპირებულია ო:** შომახია → ე-შმახი-ე, ტორონჯი → ო-ტორნჯ-ე (ტყე ლესხულუხეში), ქოთომი „ქათამი. ხოხობი“ → ო-ქ(ო)თომური (ტყე სოფ. ლეჟვანიეში) და სხვ. ე) **სინკოპირებულია უ:** ფართუხია → ე-ფართხ-ე; გაბუნია → ლე-გაბ(უ)ნ-ე; პურასკია → ო-პრასკი-ე, მუნჩქეი „მაჩვი“ → ომ(უნ)ჩქეფონი (ფონი ენგურზე, სოფ. ვეშკუდელოში და ფონი ერისწყალზე სოფ. რეფი-ეწერში), ომ(უნ)ჩქევხურუ (ვაკე-ხევი სოფ. პ. ბალდაში) და სხვ; **სინკოპირებულია გ:** ზგმეხი „ძმერხლი“ → ო-ზმეხ-ე, ზგმაკოჩი (პატარა ტანის კაცის მეტსახელი) → ნაზმაკოჩ-უ, ლგმა → ნაღმა კონკი, ღღლამი → სა-ღღლამ-ო და სხვ. (შდრ. ზანური ტოპონიმიკური სუბსტრატის ქვემო იმერეთში: ო-კრიბ-ა → კირიბი „კრავი“).

პრეფიქსის დართვის შედეგად შეიძლება ამოვარდეს ფუძის თავკიდური ან მეორე (დასაწყისიდან) ხმოვანი. **ამოვარდნილია**

პირველი მარცვლის ხმოვანი: ლაბახუა → ნა-ლბახ-უ, მიქე-ლა(ვა) → ნა-მქელ-უ, ნიში → ო-ნში-ოღალ, ბულია → ლე-ბლ-ე, შომახია → ე-შმახი-ე, ზემეხი → ო-ზმეხ-ე და სხვ. **ამოვარდნილია თავკიდურიდან მეორე მარცვლის ხმოვანი:** ხარება(ვა) → ლე-ხარბ-ე, სოსელია → ლე-სოსლ-ე, დემურია → ლე-დემრ-ე//ლე-ჯემრ-ე და სხვ.

პრეფიქსის დართვის შედეგად საწარმოებელი ფუძიდან ამოვარდება მხოლოდ ერთი ხმოვანი. რედუქცირებული დერივატი, ჩვეულებრივ, სამმარცვლიანია, იშვიათად ორ- (ლებლე, ნამქუ) ან ოთხმარცვლიანი (ნამკალათუ, ნაჩბარდანუ).

აკ. შანიძის, არნ. ჩიქობავას, ს. ჟღენტის დასკვნებით, ქართულში რედუქციას ძირითადად სუფიქსები იწვევენ, პრეფიქსები კი, ჩვეულებრივ, ვერ მოქმედებენ ფუძისეულ ხმოვნებზე. ვ. თოფურიაც აღნიშნავდა, რომ ქართულში „რედუქციას იწვევს სუფიქსი, უძლური ჩანს პრეფიქსი“, თუმცა იქვე დაასახელა რამდენიმე უდავო ფაქტი, სადაც აშკარად ჩანს, რომ ძველ ქართულში პრეფიქსიც კუმშავდა ფუძეს: ხამს → უ-ხმ-ს, ქამს → ვ-ი-ქმ, უ-ქმ-ი, ჩანს → უ-ჩნ-ს, დააკელ → მა-კლ-ს, რეცხს → სა-რცხ-ი, პირიანი → უ-პირიანი და სხვ. (თოფურია, 1979, გვ. 165). გ. გოგოლაშვილმა საკმაო მასალა მოიძია იმის დასასაბუთებლად, რომ ოდენ პრეფიქსიც ახდენს როგორც ფუძისეული, ისე ბოლოკიდური ხმოვნის დაკარგვას (აბჯარი → ნა-აბჯრ-ი, არამი → ნა-არმ-ი, საყდარი → ნა-საყდრ-ი, გუთანი → ნა-გუთნ-ი, მეწყერი → ნა-მეწყრ-ი... ფლატე → ნა-ფლატ-ი, ადრე → ნა-ადრი და სხვ. თვით პრეფიქ-სუფიქსური წარმოების დროსაც ფუძისეული ხმოვნის დაკარგვა პრეფიქსის გავლენის შედეგი უნდა იყოს (გოგოლაშვილი, 1975, გვ.23-24). ამასთანავე, პრეფიქსის გავლენით იკარგება მხოლოდ ორმარცვლიანი ფუძის ბოლოკიდური ხმოვანი, გამონაკლისია ორიოდ სამმარცვლიანი ფუძე, მაგალითად, მონაზონი, პამიდორი (იხ. გოგოლაშვილი, 1981).

რედუქცია მეგრულშიც მახვილთანაა დაკავშირებული. ჯერ კიდევ ი. ყიფშიძე აღნიშნავდა, რომ : ა) მეგრულში მახვილი მოუდის ორმარცვლიან ფუძეს ბოლოდან მეორე, ხოლო სამმარცვლიან ფუძეს – ბოლოდან მესამე მარცვალზე, მაგრამ ოთხ- და ხუთმარცვლიან სიტყვებს ორ-ორი მახვილი აქვთ: მთავარი –

თავმარცვალზე, ხოლო მეორეხარისხოვანი - ბოლოდან მეორე ან მესამე მარცვალზე. ეს დებულება მოკლედ შეიძლება ასეც ჩამოვყალიბოთ: **მეგრულში მახვილი აუცილებლად ახლავს თავმარცვალს.** ი. ყიფშიძემ ისიც გაარკვია, რომ ზმნისწინები და ნაწილაკები, რომლებიც ფუძეს წინიდან (პროკლიტიკურად) ერთვიან, ატარებენ მთავარ მახვილს: ჭარი „წერე“ → დრ-ჭარი „დაწერე“, ვაჭარა „არ დაწერო“, კირილე → რ, კირილე; უღუდას „ჰქონდეს“ → ქრ-უღუდას → ქჷღუდას და სხვ. (ყიფშიძე, 1994, გვ. 65). ზმნისწინებზე თქმული შეიძლება განვავრცოთ პრეფიქსებზეც: **მეგრულში პრეფიქსულ-სუფიქსური წარმოებისას სიტყვის მთავარი მახვილი პრეფიქსზე გადადის, რაც აადვილებს მომდევნო პირველი ან მეორე მარცვლის ხმოვნის დასუსტებასა და დაკარგვას:** მაკალათია → ნამკალათუ, სოსელია → ლე-სოსლე, მიქავა → ნამქუ და სხვ. „საერთოდ, ხმოვანთრედუქციის უმთავრესი ფაქტორია დინამიკური სიტყვათმახვილი“ და ხმოვან-დაკარგვითი რედუქცია „ჩვეულებრივ, გამოწვეულია დინამიკური სიტყვათმახვილის მეტი სიძლიერით“ (ახვლედიანი, 1999, გვ. 217). ამ დებულებიდან გამომდინარე, „უძველეს ქართულში იყო ძლიერი დინამიკური სიტყვათმახვილი“ (იქვე, გვ. 218). სამურზაყანულ მეგრულში რედუქციის საკითხთან დაკავშირებით მ. ციკოლია აღნიშნავს: „მახვილი მიგვაჩნია რედუქციის ერთ-ერთ მთავარ მიზეზად სამურზაყანულ მეგრულში“ (ციკოლია, 1954, გვ.326).

მაშასადამე: 1. მეგრულში ყველა პრეფიქსი იწვევდა (და იწვევს) ხმოვანთრედუქციას, რაც უძველესი დროიდან შემონახული ძლიერი დინამიკური მახვილის გამოძახილი ჩანს; 2. მეგრულში, ისევე როგორც სვანურსა და (ისტორიულად) ქართულშიც, რედუქცირდება ყველა ხმოვანი. 3. ხმოვანი სუსტდება და იკარგება პრეფიქსის მომდევნო ან მის შემდგომ მარცვალში. 4. რედუქციის შემდეგ უშუალო მეზობლობაში რჩება ჩქამიერი სონორთან (60%), სონორი ჩქამიერთან (30%), იშვიათად კი – ჩქამიერი ჩქამიერთან (8%) ან სონორი სონორთან (2%). საწარმოებელი ფუძისაგან დერივაციის შემდეგ რჩება: $cvcvcv \rightarrow cvcc$ (ხარება → ლე-ხარბ-ე), $cvcvcv \rightarrow ccvc$ (შომახია → ნა-შმახ-უ), $cvcv \rightarrow cc$ (მიქა – ნა-მქ-უ), $cvcvcvcv \rightarrow ccvcvc$ (მაკალათია → ნა-მკალათ-უ) და სხვ. 5. პრეფიქსს ყველა ქართველურ ენაში მოეპოვებოდა მარედუცი-

რებელი ძალა, რაც სვანურმა სრულად, ხოლო ქართულმა და მეგრულ-ჭანურმა გადმონაშთის სახით შემოინახეს.

დაბოლოს, ყველაზე მთავარი საკითხი: რედუქცია ფუძემდინდან მომდინარე ფონეტიკური პროცესია თუ ქართველურ ენათა წილში დამოუკიდებლად, შინაგანი განვითარების კანონზომიერებითაა ჩასახული და განვითარებული? ამ საკითხთან დაკავშირებით, როგორც ცნობილია, ორი საპირისპირო ვარაუდი არსებობს: ა) „რედუქცია შედარებით გვიანდელი მოვლენაა. იგი ერთნაირი ძალისა და ერთნაირად გავრცელებული არ ყოფილა ქართველურ ენებსა და მათს კილოებში“ (ვ.თოფურია); ბ) „პრეფიქს-სუფიქსების გავლენა ფუძის ხმოვნებზე... განსაკუთრებით ძლიერი უნდა ყოფილიყო ძველად, ქამესური ენების ერთობის ხანაში, ხოლო ერთობის დარღვევის შემდეგ, დაცალკევებისა და დაშორების პროცესში, თვითვე კილოში თავისებურად განვითარებულა ეს კანონი“ (აკ. შანიძე). ეს მეორე შეხედულება უფრო საბუთიანი და საფუძვლიანი ჩანს.

კიდევ ერთი გარემოება: არნ. ჩიქობავას ერთ-ერთი ფუძემდებლური დებულებაა, რომ ზანური, სვანური და ქართული ენებისათვის სრულხმოვანება პირვანდელი თვისებაა. სავარაუდოა, რომ ფუძემდენის ამ სრულხმოვანებაში მახვილის მოქმედების გააქტიურების შედეგად ჩაისახა რედუქციის პროცესიც, რაც გახდა კიდევ დასაწყისი ქართველურ ენათა ერთობის რღვევისა. ეთნოლოგიურ-ტერიტორიული განცალკევებულობის პირობებში რედუქციის წესი მეტ-ნაკლები ძალითა და ინტენსიურობით მოქმედებდა და მოქმედებს ყველა ქართველურ ენაში.

1.2. ჰაპლოლოგიისათვის მეგრულში.

ჰაპლოლოგია კომბინატორული (მეტყველების პროცესში ბგერების ერთმანეთზე გავლენით გამოწვეული) ერთ-ერთი ფონეტიკური მოვლენაა, რომლის ყველაზე მოკლე განმარტება ასეთია: „დისიმილაციურად სიტყვიდან მარცვლის ამოვარდნას ეწოდება ჰაპლოლოგია“ (ახვლედიანი, 1999, გვ. 204), მაგალითად: ბიცოლა ← ბიძის ცოლი, ფეხშველა (დიალექტ.) ← ფეხშიშველა. „პირველ შემთხვევაში მომხდარა რეგრესული დისიმილაცია, რომელშიც დისიმილატორია ც, ხოლო დისიმილირებული - ძ; მეორეში - დისიმილატორია მომდევნო შ... საყურადღებოა, რომ დისიმილაციურად ამოვარდნილ თანხმოვანს (ძ-სა და ც-ს)

გადაჰყვა ხმოვანიც (ი)“ (იქვე). გ. ნებიერიძის „ენათმეცნიერების შესავალში“ გ. ახვლედიანისეული დეფინიცია გავრცობილია იმ მნიშვნელოვანი მომენტის აღნიშვნით, რომ ჰაპლოლოგია არის ორი ერთნაირი მარცვლიდან ერთ-ერთის დაკარგვა (ნებიერიძე, 1991, გვ.112). „უცხო სიტყვათა ლექსიკონში“ დაზუსტებულია, რომ ეს ორი ერთნაირი მარცვალი უშუალოდ უნდა მოსდევდეს ერთმანეთს (უსლ, 1990, გვ.113). ს. ჟღენტი ასეთ ვრცელ განმარტებას იძლევა: „ჰაპლოლოგია, ანუ, როგორც მას სხვაგვარად უწოდებენ, მარცვლის დისიმილაციური დაკარგვა, უფრო ხშირად მაშინ წარმოიშობება, როდესაც ორი მომიჯნავე მარცვალი იწყება იდენტური თანხმოვნით ან კიდევ, თუ ხმოვანი ფონემა, რომელიც მარცვლის ცენტრს ქმნის, იმყოფება ორ იდენტურ თანხმოვანს შუა. ასეთ შემთხვევაში ჩვენი არტიკულაციური მოძრაობა ისწრაფვის, ერთბაშად გადავიდეს მეორე მარცვლის წარმოქმნაზე. ამის გამო ჩვეულებრივ იკარგვის პირველი მარცვალი“ (ჟღენტი, 1960, გვ.158). დაბოლოს, „ლინგვისტურ ენციკლოპედიურ ლექსი-კონში“ ჰაპლოლოგიისათვის აუცილებელი სამი პირობა ასეა ჩამოყალიბებული: ა) მარცვლები არის ერთნაირი () ან მსგავსი (); ბ) ისინი უშუალოდ მოსდევენ ერთმანეთს; გ) განლაგებულნი არიან მორფემათა (ორი ფუძის, შედარებით იშვიათად ფუძისა და აფიქსის) საზღვარზე (ლელ, 1990, გვ.113).

ყველა ამ პირობას ზედმიწევნით აკმაყოფილებს უცხოურ, მათ შორის რუსულ სამეცნიერო ლიტერატურაში დამოწმებული კლასიკური ნიმუშები ჰაპლოლოგიისა: stipendium („ჯამაგირი ჯარისკაცისა“) → stipendium, - → ,

- → , → ,
 → ... ცხადად ჩანს, რომ დისიმილაციური და დისიმილირებული მარცვლები ფუძეთა ან ფუძისა და სუფიქსის საზღვარზე, კერძოდ, მის მარჯვენა და მარცხენა მხარეს არიან განლაგებულნი.

ქვემოთ განვიხილავთ მეგრულში მარცვლის ჰაპლოლოგიური სინკოპირების სხვადასხვა შემთხვევას ძირითადად ტოპონიმიკური მასალის მიხედვით.

ა) **ჰაპლოლოგია ძირისეულ მორფემათა (ფუძეთა) საზღვარზე** (დაცულია ჰაპლოლოგიისათვის საჭირო ზემოთ აღნიშნული სამივე პირობა): კინოხორი (სახნავი სოფ. ნოლაში)

←კინო-ნოხორი ← კინოშ ნოხორი (კინო//კიმო პირსახელია),
ქინახორი (ფერდობი სოფ. თამაკონში) ← ქინა-ნახორი ← ქინაშ
ნახორი „ქინას ნასახლარი“. დასახელებულ მაგალითებში
დისიმილატორი და დისიმილირებული მარცვლები იდენტურია.
სხვა შემთხვევებში იდენტურია მხოლოდ თანხმონები ან მხოლოდ
ხმოვნები: კარობუ ← კარე-რობუ (ხევი სოფ. თაიაში) ← კარემ
რობუ „სადგომის ხევი“ (დისიმილატორია მომდევნო რო
მარცვალი: რე-რო → რო, ე.ი. დისიმილაცია რეგრესულია), ბოგო-
ტახილი (ღელე სოფ. ბეთლემში) ← ბოგა-გოტახილი „გატეხილი
ბოგირი“ (რეგრესული ასიმილაცია: გა-გო → გო)... ხმოვნების
იდენტურობის შემთხვევაში თანხმონები არიან მსგავსნი
ჩქამიერობის ან სონორობის მიხედვით: ფართობა (ვაკე-ხეობა სოფ.
ქალალაშში) ← ფართო ტობა (ტობა ამ შემთხვევაში ოროგრაფ-
იული ტერმინია. თანხმონები არიან ჩქამიერები, ჰომორგანულნი,
მაგრამ ჰეტეროგენურნი. ჰაპლოლოგია რეგრესულია: თო-ტო →
ტო), ჩანკითი „ცერა თითი“ ← ჩანჯი კითი (ეტიმოლოგია ი. ყიფ-
შიძისა. დისიმილაცია რეგრესულია: ჯი-კი → კი. ნ განვითარებუ-
ლია, ჯ და კ როგორობითა და წარმოთქმის ადგილით განსხვავე-
ბული ჩქამიერებია. შეუძლებელი არაა ბგერათცვლილების ასეთი
განვითარებაც: ჩანჯი კითი → ჩანჯკითი → ჩანკითი, მაგრამ შედეგი
მაინც ჰაპლოლოგიაა), ხუთი ჯიმა ჰყონი „ხუთი ძმა მუხა“ →
ხუჯმაჰყონი (ბორცვი ნაკიფუში); ბ) **ჰაპლოლოგია ძირისეულ და
დერივაციულ მორფემათა საზღვარზე.** მარცვლები იდენტურია:
ჰყონა „მუხნარი“ (ლანდშაფტურ ტერმინადაა ქცეული და
სამეგრელო-სამურზაყანოს ტოპონიმიამიც ხშირია) ← ჰყონ-ონა
← ჰყონი, ლეფონა (სახნავები ნაფიჩხოვოში, გახომელაში, კოკში,
მინდორი ნამიკოლავო პირველში) ← ლეფონ-ონა ← ლეფონი
„ლაფანი“, შონა (სახნავი სოფ. პ. ინჩურში) ← შონ-ონა ← შო-
ნურ-ონა ← შონური (ვაზის ჯიშია).

უფრო ხშირია **მარცვლის დაკარგვა ერთი ფუძის ფა-
რგლებში**, როცა ეს ფუძე დაირთავს აფიქსებს ან შეუერთდება სხვა
ფუძეს. ორივე შემთხვევაში ხდება ლექსიკური ერთეულის დაგრძე-
ლება და მახვილის გადანაცვლება თავკიდური მარცვლისაკენ, რაც
იწვევს კიდევ წინადადების უმცირესი სამეტყველო ერთეულის
დამოკლებას ჰაპლოლოგიის გზით. თავდაპირველად დავასახელებთ

დერივატებს (აპელატიურსა და ონიმურს): კიკიანი → ნა-კიკიანი-ი (დამოწმებულია XIX ს. საისტორიო საბუთებში) → ნაკიანი (სოფელი ჩხოროწყუს რ-ნში), წურწუმია → ლე-წურწუმ-ე (სოფელი ჩხოროწყუს რ-ნში) → ლერწუმე (ადგ. ვარიანტი), გეგეჰკორი → ე-გეგეჰკორ-ე → ეგეჰკორე (უბანი დიდ ინჩხურში), გეგელია – ე-გეგეი-ე//ეგეიე (უბანი ვახაში), გერგედავა – ლე-გერგედ-ე – ლეგერდე (ყოფილი დასახლებული უბანი სოფ. ფახულანში. გერგედავები დასახლდნენ 2 კმ. მოშორებით, სადაც მათს უბანს ეწოდება საგერგედა), ფიფია → ლე-ფიფი-ე → ლეფიე (ერქვა უბანს ნასოფლარ წყავაშში), ჩინჩია → ლე-ჩინჩი-ე → ლეჩიე (ბორცვი კუხეშში, სადაც, გადმოცემით, ჩინჩიები სახლებულან), ძიძიგური → ე-ძიძიგურ-ე → ეძიგურე (უბანი ხუნწში), ჰერჰელია → ლე-ჰერჰელ-ე → ლერჰელე (უბანი სოფ. ლეწურწუმეში. ცხოვრობენ წურწუმიები და გულუები), გიგიბერია → სა-გიგიბერ-ა//საგიბერა (უბანი გამოდმა პირველ ხორგაში) და სხვ. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ამგვარი სიტუაცია წარმოიქმნება მაშინაც, როცა ამოსავალია საზოგადო სახელი: გუგული → ნა-გუგულ-უ → ნაგულუ (სერი ლეჯოლიხეში), თუთუმი „თუთუნი“ → სა-თუთუმ-ო → სათ(უ)მო „ყალიონი“.

მრავლადაა ისეთი შემთხვევაც, როცა **ჰაპლოლოგია ხდება რთული სახელის ერთ-ერთ კომპონენტში**, რომელშიც არის სათანადო ფონეტიკური პირობები, ე.ი. ორი იდენტური ან მსგავსი მარცვალი. ამ გარემოების გათვალისწინებით განსახილველია ორნაირი სიტუაცია: ა) **სინკოპირებულია პირველი ფუძე**, რომელიც შეიძლება იყოს ზედსართავი ან არსებითი სახელი: ჯგეგე მარიამი „წმინდა მარიამი“ → ჯგემარიონი (მეორე მოხაშში, ჭკადუაშში, ბეთლემში და სხვაგანაც ასე ეწოდებათ ბორცვებს, რომლებზეც წმინდა მარიამის სახელობის საყდრების ნაშთებია), დიდი დობერა „დიდი დობირო“ → დიდობერა (ჩაის ფართობი მაზანდარაში), დიდი ცუ „დიდი თელა“ → დიცუ (ტყე ლარაში) და სხვ. შდრ. ქართულში: დიდი დედა → დიდედა, დიდი დუბე → დიდუბე, დიდი მღვიმე → დილომი, დიდი წვერი → დიწვერი (ნუკრიანის სერის ბოლო ქიზიყში), დიდი ჭალისთავი → დიჭალისთავი – ტოპონიმი რაჭაში და სხვ.; მარცვალ-დაკარგული არსებითი სახელი შეიძლება იყოს როგორც სახელობით, ისე

ნათესაობით ბრუნვაში: მამანთარი „მამამთავარი“ (მარცვალი ვა ამოღებულია ქართულიდან შეთვისებისას) → მანთარი (ორი ბორცვი ნახურცილაგომი. განარჩევენ დამატებითი სახელდებით: სკურდღიშ მამანთარი და ნახურცილუმ მამანთარი), ჭინჯი რჩე „ძირთეთრი“ → ჭირჩე „უცუნა“ (ჭირჩონა სახნავია კურზუს შემოგარენში), ჭინჯი ჭითა „ძირწითელი“ → ჭინჭითა „მსუქანა“, ღუდი რჩე „თავთეთრი“ → ღურჩე და სხვ. (შდრ. დედაკაცი → დეკაცი ინგილოურ და იმერხეულ მეტყველებაში: იხ. ცინცაძე, ფაღავა, 1998, გვ. 15); პაპაშ ჭკორი „მღვდლის ყმა“ → პაპაჭკორი → პაჭკორია (გვარი), პაპაშ წყუ „მღვდლის წყარო“ → პაპანწყუ → პანწყუ (ფერდობები ციხეთსა და საშურდაიოში) და სხვ. ბ) **სინკოპირებულია მეორე ფუძე**, რომელიც აგრეთვე შეიძლება იყოს არსებითი ან ზედსართავი სახელი: ჭყონიშ ჭინჯი „მუხის ძირი“ → ჭყონჭინჯი → ჭყონჯი (ბეჭი ბობოთში), სკური დიდი „დიდი წყლიან-ტყიანი ხეობა“ → სკურდი (სოფელი და ხეობა მარტვილის რ-ნში), ჭიმა დიდი „დიდი ძმა“ → ჭიმალი „ბიძია“ (მამის ან დედის ძმა. შდრ. ი. ყიფშიძის ეტიმოლოგია: ჭიმალი ← ჭიმა დიდაში), ნოსა დიდი „უფროსი რძალი“ → ნოსადი „ბიცოლა“ და სხვ.

ყველა ზემოთ დასახელებულ შემთხვევაში ერთი ფუძის ორი ზუსტად ერთნაირი მარცვლიდან იკარგება ერთ-ერთი. ფუძისეული ორი მარცვლიდან ერთ-ერთის დაკარგვა ხდება მაშინაც, როცა: ა) **მარცვალთა თანხმოვნები ერთნაირია, მაგრამ ხმოვნებია განსხვავებული**: თუთაშხა „ორშაბათი“ → ო-თუთაშხ-ურ-ე → ოთაშხურე „საორშაბათო“ (ორშაბათს შესასრულებელი საოჯახო ლოცვა სამეგრელოში), გაგესკუა „მზარეული“ → სა-გაგესკუ-ო → საგესკუ//საგესკო „სამზარეულო“, კეკუტია (გვარი) → ე-კეკუტი-ე//ეკუტიე (უბანი სოფ. ვახაში), კიკალია (გვარი) – ე-კიკაი-ე → ეკა(ი)ე (უბანი ბანძაში), კიკესქუა (ოფიც. კიკაღეიშვილი) → ე-კიკესქუ-ე//ეკესქუე (უბანი ბანძაში) და სხვ. ბ) **მარცვალთა ხმოვნები ერთნაირია, განსხვავებულია თანხმოვნები**: პიჯიშ ოქოსალი „პირსახოცი“ → პიშქოსალი, პიჯიშ ჩუალა „პირის შენახვა“ → პიჩუალა „მარხვის შენახვა“, კიწიშ ნოხორი „კიწის ნასახლარი“ → კიწინოხორი//კინოხორი (ბორცვი ვახაში) და სხვ. არის შემთხვევა, როცა დისიმილატორი და დისიმილირებული მარცვლები მდებარეობენ რთული სახელის სხვადასხვა ფუძეში: ცხიმურ-

მონწყვილი „მოთხრილი რცხილა“ → ცხირმონწყვილი (ტყე ქალაღ-
ლში), ფუქიშ სქური (ფუქი ფუტურო მიწაა) → ფუქისქური → ფუს-
ქური (ჭანისწყლის მარც. შენაკადი მაზანდარაში), ფუქიწყური
„დამეწყვილი ფუქი“ → ფუწყური (სოფელი გალის რ-ნში), რობუ
წყუპი „ვიწრო ხევი“ → როწყუპი (ხევი მეორე კიწიაში) და სხვ.

საინტერესოდ გვეჩვენება ისეთი შემთხვევები, როცა
იდენტური მარცვლები ორ-ორ თანხოვნებს შეიცავენ: დღუდღუში
(ვაზის ჭიშია) → დღუდღუშ-ონა – დღუშონა (სახნავი პირველ
კიწიაში. შდრ. დღურჩონა → სახნავი ახუთში), კვეკვეცია (გვარი)
→ ე-კვეკვეცი-ე//ეკვეციე (უბანი ნაჯახაოში) და სხვ.

ჰაპლოლოგია, ჩვეულებრივ, კონტაქტურია, მაგრამ იშვიათ
შემთხვევაში **დისტანციურიც** შეიძლება იყოს. დავასახელებთ ერთ
მაგალითს: წანამოწანა ფორმითაც და შინაარსითაც ქართული
„წელიწადის“ ეკვივალენტია. ი. ყიფშიძე ამ რთულ სახელს ასე
შლის და განმარტავს: „წანამო-წანა (. . . - ,
-)“. რ. შეროზიას მიერ ჩაწერილ მეგრულ ანდაზე-
ბშიც იგივე ფორმა ჩანს: ართი წანამოწანაშ უკული „ერთი წლის
შემდეგ“. მაგრამ ზუგდიდურ-სამურზაყანულ კილოში დღეს უფრო
გავრცელებულია „წამოწანა“ (მოწანუა ნიშნავს წლის გასვლას,
მოწლევენას, ხოლო წანაშ მოწანუა, ანუ წამოწანა აღნიშნავს
წლისთავს, წლის მოწევას, გარდაცვლილისათვის წლისთავის
გადახდას). მაშასადამე, **წანამოწანა** **≠** **წამოწანა**. სიტყვის
პირველი ფუძის **ნა** სინკოპირებულია დისტანციური დისიმილაციის
ნიადაგზე ბოლოკიდური ნა-ს მიერ. კიდევ ერთი მაგალითი: მიქელ-
გაბრიელი მეგრულში შემოსულა მიქამგარია ფორმით
(დასტურდება ტოპონიმიაში), მაგრამ დისტანციური რეგრესული
დისიმილაციის გზით **გა** მარცვალმა ამოაგდო წინმდებარე **ქა**,
ხოლო მ/ნ შეენაცვლა ერთმანეთს და წარმოიქმნა ორონიმი
მინგარია (მარტვილის რ.); კურთხუ ჰალე „კუთხე ჰალა“ →
კურჰალე (სახნავი თამაკონში).

ჰაპლოლოგიად უნდა ჩაითვალოს ისეთი შემთხვევებიც, როცა
დისიმილა-ციის საფუძველი არ ჩანს, მაგრამ მარცვალი ამოვარდ-
ნილია და სიტყვა ამ გზითაა დამოკლებული: ნათლისმცემელი →
ნათისცემი → ნაცმერი, გემინდორა → გენდორა (მინდორი ზემო
ნაგვაზავოში), მორძგვი დართუ „მარჯვნივ მოსაბრუნე“ →

მოზდართუ (მოსახვევი ეკლესიებისაკენ მიმავალ გზაზე გოდოგანსა და თაიაში), რობუ დიდი „დიდიხევი“ → როდიდი (ხევი კურზუში), თოჭუ თვალის ავადმყოფობაა ერთგვარი (თოლი → თო, (მ)ჭუ „მწველი“), ომანთხირე (ტყე სოფ. ქვაითში) ← ომანემ ოთხირე (ომანე „ნადირის ბუნაგი“, ოთხირე „თხილნარი“), ჟინი ლეკუკე „ზემო ლეკუკე“ → ჟინეკვე (კუკავების ნაცხოვრები ადგილია სოფ. ფახულანში), სუროვანდი „გველის სურო“ (იმერულიდან) → სურანდი (სახნავეები სოფ. ლეხანდრაგოში), ისინდი//ისინჯი „ისარი“ → ოისინჯე „ისლის სასროლი ადგილი“ → ნოისინჯერი//ნოინჯერი (მთა თამაკონში), (რ)თხინა „თხილნარი“ (ლანდშაფტური ტერმინია, ტოპონიმიაშიც დასტურდება) ← თხირ-ონა, ფერკომუ ← ფერიშ მკომუ „ფერისმჭამელი“, ფართოსაკარა →//ფარსაკარა (საძოვარი ყოფილ სალხინოს სატყეოში) და სხვ.

ს. ჟღენტი აღნიშნავს: „განზრახვა, სიტყვის ყველა მარცვალი იქნეს წარმოთქმული, ძალიან ხშირად ირღვევა სხვადასხვა მიზეზით, სახელდობრ: ა) სიტყვის ყოველდღიური ხშირი ხმარება, რაც ხელს უწყობს სიტყვის გაცვეთას, მის გარკვეულ დეფორმირებას; ბ) მოლაპარაკის არტიკულაციური დაუდევრობა; გ) მარცვლის იმპულსის გამოშვება ჰიატუსის შემთხვევაში; დ) ბოლოკიდური მჟღერი სონორების დაყრუება; ე) მეტყველების მეტად სწრაფი ტემპი და ვ) ძლიერი მახვილი (ჟღენტი, 1960). ძლიერი მახვილისა და მეტყველების სწრაფი ტემპით უნდა აიხსნას ისეთი შემთხვევები, როცა თითქოსდა დისიმილაციის საფუძვლის გარეშე ხდება მთელი მარცვლის ამოვარდნა ფუძიდან.

დასკვნები: 1. ჰაპლოლოგია მეგრულში ერთ-ერთი გავრცელებული ფონეტიკური მოვლენაა. იგი განსაკუთრებით პროდუქტიულია ტოპონიმიკურ მასალაში. 2. ჰაპლოლოგია ხდება როგორც იდენტურ, ისე მსგავს მარცვალთა შორის მორფემათა საზღვარზე და ერთი ფუძის ფარგლებშიც; 3. არაიდენტურ მარცვლებში ჰაპლოლოგიის საფუძველია ან თანხმოვნები ან ხმოვნები; 4. დისიმილატორი და დისიმილირებული მარცვლების თანხმოვნები ერთგვაროვანნი არიან ან ჩქამიერობის, ან სონორობის მიხედვით; 5. მიმართულების მიხედვით მარცვლის დისიმილაციური დაკარგვა შეიძლება იყოს პროგრესულიც (ძირითადად რთულ სახელებში) და რეგრესულიც (ძირითადად წარმოქმნილ სახელებში), ხოლო მანძილის მიხედვით – კონტაქტური (დისტანციური ჰაპლოლოგია

ძალზე იშვიათია). 6. სალიტერატურო ენაში ჰაპლოლოგია იშვიათია, რადგანაც იგი დარეგულირებულია ტრადიციებითა და ყველასათვის სავალდებულო ენობრივი ნორმებით (შდრ. ტელევიზიის ეკრანებიდან რესპოდენტის სწრაფი მეტყველებისას წაცდენილი ფრაზები: დიდბუნოვანი, ნაცვლად დიდბუნებოვანისა; დესტაბიზაცია, ნაცვლად დესტაბილიზაციისა და სხვ). დიალექტებისა და, განსაკუთრებით, უდამწერლობო ენებში მას მეტი გასაქანი აქვს, განსაკუთრებით მიკროტოპონიმიაში. საერთოდ კი, როგორც ი. ყიფშიძე ნაშრომში „ასიმილაციისა და დისიმილაციის წესი ქართულსა და მეგრულში“ აღნიშნავს, „მეგრულში, რომელიც სალიტერატურო ენა არ არის, უპირატესობა ეძლევა ფონეტიკურ დასაბამს, რომელიც არ არის შემოზღუდული არავითარი პირობითი მწიგნობრული საგრამატიკო კანონით“ (ყიფშიძე, 1994, გვ. 723).

განალიზებული მასალა ცხადყოფს, რომ ჰაპლოლოგიის ძირითადი მიზეზი არის ძლიერი მახვილი (უფრო სწორად, უწინ მოქმედი ძლიერი მახვილის ტრადიცია).

§2. მეგრულ ტოპონიმთა ფორმოზრევი ანალიზი

ტოპონიმი, ისევე როგორც საზოგადო სახელი, აგებულების თვალსაზრისით სამგვარია: მარტივი, წარმოქმნილი და რთული. ამათგან მრავალფეროვნებით გამოირჩევა წარმოქმნილი სახელები, რომელთა სეგმენტაცია ძირისეულ და დერივაციულ მორფემებად ტოპონიმთა სტრუქტურული კვლევის ფართოდ გავრცელებული მეთოდია, რომელიც გამოავლენს აფიქსთა სინონიმასაც (ერთ საწარმოებელ ფუძესთან გამოყენებული სხვადასხვა აფიქსი, მაგალითად: თელ-ავ-ი, თელ-ეთ-ი, თელ-იან-ი, თელ-ოვან-ი...) და პოლისონიმასაც (ერთი აფიქსის გამოყენება სხვადა-სხვა ლექსიკური რანგის ფუძესთან, მაგალითად: თელ-ეთ-ი, ამაშუკ-ეთ-ი, სიმონ-ეთ-ი...). ამგვარი სეგმენტაციის შემდეგ საჭიროა, დადგინდეს, გამოვლენილი სინონიმია თუ პოლისონიმია ქრონოლოგიურ-ისტორიული ხასიათისაა თუ სივრცით-დიალექტური. ამგვარი კვლევისათვის კი, უპირველეს ყოვლისა, საჭიროა

მოტივაციის დადგენა. **მოტივაცია** კი ორგვარია: **გარეენობრივი** და **შინაენობრივი**. „გარეენობრივი თვალსაზრისით ერთი და იგივე მოტივაცია აქვთ თელ-ავ-ი, თელ-ეთ-ი, თელ-იან-ი, თერნალი (←თელ-ნარ-ი) ტოპონიმებს: ყველა შემთხვევაში შემაპირობებელია მცენარე („თელა“). შინაენობრივი თვალსაზრისით კი მათ შორის სხვაობაა და ეს სხვაობა -ავ, -ეთ, -იან, -ნარ ფორმანტთა ფუნქციებითაა შეპირობებული“ (ჯორბენაძე, 1993, გვ. 68).

მეგრულ ტოპონიმთა დერივაციულ სისტემას, ისევე როგორც საზოგადო სახელებისას, განსაზღვრავს სიტყვაწარმოებითი მორფემებისა და ბაზისური მორფემების ურთიერთდაკავშირება. ბაზისური მორფემა წარმოდგენილია სახელური ან ზმნური ფუძით. ამასთანავე, სახელურფუძიანი და ზმნურფუძიანი დერივატები ერთმანეთისაგან განსხვავდებიან არა ოდენ საყრდენი ფუძეებით, არამედ, რაც მთავარია, სემანტიკით: ზმნურფუძიანი ტოპონიმი აღნიშნავს ერთჯერადი ან მრავალჯერადი მოქმედების ადგილს, ხოლო სახელურფუძიანი ტოპონიმი ახასიათებს ობიექტს დანიშნულების, წინავითარების, კუთვნილების ან რაიმე სხვა ნიშნის მიხედვით. საერთოდ, ონომასტიკა, როგორც ლექსიკის სპეციფიკური ნაწილი, ოპტიმალური სისტემაა და ცდილობს, უმცირესი ძალისხმევით მიაღწიოს მიზანს - აღსანიშნისათვის (სახელსაღები ობიექტისათვის) აღმნიშვნელის შერჩევას.

მთიანი სამეგრელოს ტოპონიმთა პრეფიქსული, პრეფიქსულ-სუფიქსური და სუფიქსური წარმოების მოდელები, აფიქსთა ფუნქციები და განაწილება საწარმოებელ ფუძეთა მიხედვით შესწავლილი და დადგენილია ჩვენს საკანდიდატო-სადისერტაციო ნაშრომში „მთიანი სამეგრელოს ტოპონიმია“ (გამოიცა 1985 წელს). კერძოდ, ზმნისეულ დერივატებში გამოყოფილია: ნა-//ნო-, ო-, ილ//ირ, -ელ//ერ, -ულ//ურ, ხოლო სახელისმიერ დერივატებში - ნა-//ნო-, ლა-//ლე-, სა-, ო-, -ონა, -ურ, -ოურ//ოულ, -ერ//ელ, -ალა, -ელა, -თი, -ა აფიქსები. ამ ნაშრომში კი ყურადღებას გავამახვილებთ ზოგ ახალ გარემოებაზე, რაც წარმოაჩინა ქვემო სამეგრელოსა და სამურზაყანოს ტოპონიმის მასალებმა: ა) **ნა-//ნო-** პრეფიქსები სახელთაგან აწარმოებს წინავითარების სახელებს, ხოლო ზმნათაგან - წარსული დროის მიმღებებს. ორსავე შემთხვევაში გამოხატულია წინა ვითარება: რას წარმოადგენდა საგანი წინათ; რა დაემართა საგანს წარსულში. განსხვავება ისაა, რომ ნო-, როგორც ქართულ-ზანური ნა- არქე-

ტიპის კანონზომიერი შესატყვისი, უძველესია მეგრულსათვის, ხოლო ნა- ქართულიდანაა შეთვისებული სალიტერატურო ენისა და დასავლურქართული დიალექტების უშუალო გავლენის გზით.

ნო- პრეფიქსიანი ტოპონიმების უმეტესი ნაწილი მოდის მთიან სამეგრელოზე (ესაა ოდიშის პლატო, ანუ „სამეგრელოს შუა ნაწილი ეგრისის ქედის ძირიდან კოლხეთის დაბლობის ჩრდ. კიდემდე. სამხრეთიდან შემოზღუდულია ურთა-ბიისა და უნაგირის სერების ... გორაკ-ბორცვებით“. იხ. ქსე, V), ხოლო ზღვისპირა ვაკეში იშვიათია, რადგან იქ მას ცვლის ნა-. ზუ- გდიდის რაიონის ბარის სოფლებში, როგორცაა: ახალკახათი, ანაკლია, განარჯის მუხური, დიდინეძი, ინგირი, კახათი, კოკი, ორსანტია, შამგონა, ჭითაწყარი და სხვ. დაფიქსირებულია (თითო-ეულში) რამდენიმე ათეული ნა- პრეფიქსიანი მიკროტოპონიმი, მაგრამ ნო- პრეფიქსიანი – აღარც ერთი. ამ ჩვენებას გარკვეული მნიშვნელობა აქვს, რადგან მიაჩნია **ნო- და ნა- პრეფიქსების მონაცვლეობის ქრონოლოგიაზე (მიახლოებით მაინც): ბარის სამეგრელოში მასობრივი გადმოსახლება მთიანი სამეგრელოდან და ახალ-ახალი სოფლების გაჩენა იწყება შუა საუკუნეების შემდეგ. მაშასადამე, ამ დროისათვის მეგრულში უკვე დამკვიდრებული იყო ნა- პრეფიქსი (ნო-მანდარინ -ბუჩქნარის სახელი პ. თამაკონში, აღრინდელი ტრადიციის გამოძახილია: მანდარინის კულტურა საქართველოში შემოდის მე-19 ს. დამლევადან). **ბ) ლე-** და **სა-** პრეფიქსები მეგრულში იდენტური ფუნქციისანი არიან: ორივე გამოხატავს დანიშნულებას და ერთი და იმავე გვარისაგან აწარმოებს ამ გვარის დასახლების სახელს, რის გამოც არაა იშვიათი ასეთი პარალელური ოიკონიმები: ლე-ჭითან-ე//სა-ჭითან-ო – უბანი ჭკადუაშში, სა-ხურცი-ო//ლე-ხურცი-ე – უბანი ლეკოკაიეში და სხვ. მაგრამ სვანური სუბსტრატული მორფემა ლე- ამ ფუნქციით უძველესია (შემორჩენილი ქრისტეს დაბადების შემდგომი პირველი ათასწლეულიდან), ხოლო ქართული სა- (ისევე, როგორც ნა-) შეთვისებულია შუა საუკუნეებში დასავლურ-ქართულ დიალექტებზე მოსაუბრე მოსახლე-ობასთან ხანგრძლივი და მჭიდრო მეზობლობა-ურთიერთობის შედეგად, რასაც თან სდევდა სამწერლობო და ოფიციალური საეკლესიო-საკანცელარო ენის გავლენა. ამის ერთ-ერთი საბუთია აღნიშნულ პრეფიქსთა სივრცით-ტერიტორიული განაწილება: მთიან სამეგრელოში (ვგულისხმობთ მთლიანად ოდიშის პლატოს) ლე- პრეფიქსიანი**

ანთროპოკონიმთა რაოდენობა ორჯერ და მეტად აღემატება სა-პრეფიქსიანებს; კოლხეთის ზღვისპირა დაბლობში (ურთა-ბიისა და უნაგირის სერებიდან შავ ზღვამდე) გვართა დასახლებების სახელთა საწარმოებლად გამოიყენება მხოლოდ სა- (ორიოდე გამონაკლისი: ზუგდიდის რ-ნის სოფ. ოირემეში XIX ს. მეორე ნახევარში ლექარჩიდან და ლეცალიჩიდან გადმოსულებმა თან გადმოიტანეს მშობლიური სოფლის სახელები); ზანურის აპელატიურ თუ ტოპონიმურ სიტყვაწარმოებაში პროდუქტიულია ზანური ო- და ქართული სა-პრეფიქსები (ისინი კანონზომიერ ფუძეთმესატყვი-სობად ითვლებიან). ისინი დანიშნულების სახელებს აწარმოებენ, მაგრამ სრულ სინონიმებს არ წარმოადგენენ: მათი გამოყენების სფერო განსხვავებულია როგორც საწარმოებელ ფუძეთა განაწი-ლების, ისე თვით დანიშნულების სემანტიკის თვალსაზრისით. მეგრული გაურბის დანიშნულების ო- და სა-პრეფიქსების ერთსა და იმავე ფუძესთან და, მით უმეტეს, ზუსტად ერთნაირი დანიშ-ნულებით გამოიყენებას. მეგრულში გვარისაგან სა-პრეფიქსით ნაწარმოები სახელი იმთავითვე ადგილის სახელია და საზოგადო სახელის ფუნქციით არ გამოიყენება. ანთროპოტოპონიმებსა და ეთნოტოპონიმებში სა- წარმოადგენს ტოპოფორმანტს, ანუ ადგილის სახელთა მაწარმოებელ სპეციალურ აფიქსს (იხ. უფრო ვრცლად ქვემოთ).

როგორც ზემოთ უკვე არის აღნიშნული, ამ ნაშრომში აფი-ქსთაგან მხოლოდ ოთხს შევხებით. ესენია: -იან, მა-, -ობა და -შურ.

-იან ბოლო ასწლეულში ჩანს შეთვისებული მეგრულის მიერ სალიტერატურო ენისა და იმერული დიალექტის გავლენით. იგი მხოლოდ რამდენიმე ტოპონიმში გამოვლინდა: **ჭვიჭვიანი** – წიწვნარი ტყე სოფ. გაღმა კოდორში (როგორც ჩანს, ქართ. წიწვ : მეგრ. ჭიჭვ), **შქვითიანი** „შვიდიანი“, **ჩხორიანი** „ცხრიანი“, **ვითაართიანი** „თერთმეტიანი“ – სახნავები სოფ. ახალ აბასთუმ-ანში (სადაც XIX საუკუნეში დღევანდელი მარტვილის რაიონის სოფლებიდან ჩასახლებულან. მათთვის წინასწარ იყო გადაზომილი 7, 9 და 11 საჟენი სიგანის სამოსახლოები), **ორთალიანი** (← ორთალი „ქცევა“) სახნავები სოფ. გაშფერდსა და ახალ აბასთუმ-ანში და სხვ.

მა- (რომელიც ქართული მე-პრეფიქსის კანონზომიერი ზანური შესატყვისია) მეგრულში მრავალფუნქციანია: აწარმოებს მიმღეობებს, რიგობით რიცხვით სახელებს, ხელობის სახელებს, თანაბრობის სახელებს, მცენარეთა და ფრინველთა სახელებს. გვხვდება ტოპონიმიაც. გავანალიზებთ ორ მათგანს: მა-ლემ-ი-ა//მა-ლემ-ი-ა (← მალემია//მალემია) ეწოდება დღვაბის მარჯ. შენაკადს სოფ. დღვაბაში (ხობის რ.). ამოსავალია **ილენს** ზმნის საწყისი **ლიმა** „ომი, ბრძოლა“; „ღელვა, ბორგვა, მოქცევა (ზღვისა)“; „წყალიდობა, მდინარის გადასვლა ნაპირებიდან და ზღვასავით ფართოდ გაშლა“. ტოპონიმი სწორედ ამ უკანასკნელი მნიშვნელობით არის მოტივირებული: მალემია მიედინება ვაკეზე, აქვს არალრმა კალაპოტი და ამის გამო მცირე წვიმების შემდეგაც კი გადადის ნაპირებიდან, ზღვასავით ფართოდ იშლება და ღელავს, ბორგავს. მალემიაც „მბორგავს, მღელვარეს, აფოფრებულს“ ნიშნავს (იხ. უფრო ვრცლად: ცხადია, 1999, გვ.44-46); მა-პრეფიქსი გამოიყოფა ტოპონიმ მალლაკშიც (ზანური სუბსტრატი ქვემო იმარეთში). მალლაკი და სამეგრელოში დადასტურებული ტოპონიმები მალლაკი, მალლეკი, მალლოკი **ლილაკ**- „ღრეკა, დაკლაკნა“ ზმნის სასუბიექტო მიმღეობებია და თავდაპირველად აღნიშნავდნენ (ზოგ შემთხვევაში დღესაც აღნიშნავენ) მდინარის მოსაბრუნს, დაკლაკნილ მონაკვეთს (იხ. სათანადო მასალის ანალიზი: ცხადია, 1999, გვ. 46-48). მაშასადამე, ოდენ მა-პრეფიქსი ზანურშიც აწარმოებდა სასუბიექტო მიმღეობებს, ისევე როგორც მე-, რომელიც ქართულში გამოხატავს რისამე დამახასიათებელ ნიშან-თვისებას (მე-ტეხ-ი, მე-რყევ-ი, მე-რხევ-ი, მე-სხლეტ-ი და სხვ). აქვე უნდა დასახელდეს ჰიდროგრაფიული ტერმინი **მა-რთ-უ**, რაც **ირთანს** „ადგილზე ტრიალებს“ ზმნის სასუბიექტო მიმღეობაა და მრავალი მორევის სახელწოდებად ქცეულა სამეგრელო-სამურზაყანოში. მა-პრეფიქსს -უ სუფიქსი ახლავს სხვა შემთხვევაშიც (მა-სასვანჯებ-უ „შესასვენებელი“ - მცირე მინდორი ნაგზაურზე, სოფ. ბეთლემში).

-**ობ-ა** რთული სუფიქსია. მისი ძირითადი ფუნქციებია აბსტრაქტული და კრებითი სახელების წარმოება. გარდა ამისა, -ობა აწარმოებს „არსებითი სახელების მრავლობითი რიცხვის ფორმებს (აღმოსავლეთ საქართველოს დიალექტებში: ქართლურში, ხევსურულში, მესხურ-ჯავახურში...): კაც-ობა „კაცები“,

ხარ-ობა „ხარები“, მეზობლ-ობა „მეზობლები“, სოფლ-ობა „სოფლები“ (მორფემების ლექსიკონი, 1988, გვ. 340). „ქართულ დიალექტოლოგიაში“ ბ. ჯორბენაძე მესხური (სამცხურ-ჯავახური) დიალექტის მიმოხილვისას ა. მარტიროსოვისა და გ. ბერიძის დიალექტოლოგიურ ნაშრომებზე მითითებით აღნიშნავს: „კრებითი მრავლობითობა გამოიხატება -ობა სუფიქსით: „ქალობამ (-ქალებმა) აფოცხოს, კაცობამ (-კაცებმა) თიბოს“, „სხვა ხარობა (-ხარები) შეგვიბეს“ (ჯორბენაძე, 1989, გვ.388). ლექსიკონში, რაც თან ახლავს ხევსურულ მასალას, ჯალაფნი და ჯალაფობა განმარტებულია თითქმის ერთნაირად: „ოჯახი, ოჯახის წევრები“ („მამკლავი და მამკლავის ბიძაშვილები ერთ ოთხ-ხუთიოდ მეკვამური უნდა თავის საქონ-ჯალაფობით სრუ აიყარან“ (ქართული დიალექტოლოგია, 1961, გვ. 11-12).

როგორც აღმოჩნდა, -ობა სუფიქსის ამგვარი ტენდენცია არაა უცხო დასავლურქართული დიალექტებისთვისაც. კერძოდ, გურულში -ობა გამოიყენება -ებ მრავლობითი რიცხვის ნიშნის ფუნქციით: ქსოულობა (-ქსოვილები), ხეობა (-ხეები), მოსახლობა (-მოსახლეები) (იხ. ზ. ტულუშის საკანდიდატო დისერტაცია „გურული დარგობრივი ლექსიკის სემანტიკური და დერივაციულ-კომპოზიტიური ანალიზი“, 1998, გვ. 121-122).

მეგრულსა და ლაზურში -ობა სუფიქსი აწარმოებს: ა) აბსტრაქტულ სახელებს: ჯიმალობა „ძმობა“, დიდადოსქუალობა „დედაშვილობა“ (მეგრ.), მსქევანობა „სილამაზე“ (ლაზ.) და სხვ. ბ) წმინდანის დღესასწაულის სახელწოდებას: გერგობა „გიორგობა“, პეტრობა „პეტრე-პავლობა“, თერდობა „თევდორობა“ (არაა გამორიცხული, ამ რიგის დერივატები უშუალოდ ქართულიდან იყოს გადმოდებული როგორც ქრისტოლოგიური ტერმინები)... გ) ამა თუ იმ ისტორიულ პიროვნებასთან დაკავშირებულ დროის მონაკვეთს: ნიკოლოზიშობა „ნიკოლოზ მეფის დრო“, სტალინიშობა „სტალინის ეპოქა“... დაბოლოს, რაც ჩვენ ამჟერად განსაკუთრებით გვაინტერესებს, მეგრულში -ობა გამოიხატავს სახელის მრავლობით რიცხვსაც. ეს აშკარად გამოიკვეთა მიკროტოპონიმიაში და ზოგი მათგანის მთხრობელისეულ განმარტებაში: **მენჯობა** – ღელე, ცანასკურის შენაკადი საგუნოში. მთქმელი განმარტავს: „ბევრგან ამოდის მენჯი („ვეძა“). ამიტომ ემატება -ობა“. **ნოხორობა** – 1. სახნავეები აბაშის მარჯ. ნაპირას, გაღმა ზანათში. მთქმელის კომენტარები: „ნოხოროი ერთი ნასახლარია,

ნოხორიობა კი – მრავალი“; 2. სახნავეები პირველ ნოსირში და ნასახლარები ისულაში. **კარობა** – სახნავეები პირველ ზანაში. მთქმელი: „კარი ერთი ადგილია, კარობა კი – მრავალი, მიმდებარე ადგილების ჩათვლით“. **აფაქური//აფაქურობა** – სახნავეები არჩა-იაშ დალის მარჯ. მხარეს, ფოცხოში. რესპ.: „აფაქიებისა ყოფილა, მაგრამ ცალ-ცალკე ჰქონიათ სახნავეები. ამიტომ დაუტყვევიათ აფაქურობა“ (შდრ.: ფალური //ფალურები – საძოვრები გაუწყინარში. „ბევრს ჰქონდა განაწილებული. ამიტომაა ფალურები“). **ეზობა//ნაეზვარები** – ტყე გეზათში. **ეწერობა** – დაბალი ადგილები წყემში. **კადარობა** – დღურუს მარჯ. შენაკადი და მისი ხეობა საგუგუნავოში. კადარი მზისკენ მიქცეული ფერდობია; **ტეხირიშპიჯობა** – სახნავეები ტეხურის ჭალაში (პირველი ნოსირი). შდრ.: მეზობელ სოფელ საკილასონიოში ტეხურის ჭალაშივე არსებულ სახნავს (ერთს) ეწოდება ტეხირპიჯი „ტეხურისპირი“; **ჭერეხობა** – სახნავეები მარაგანის მარჯ. ნაპირას, საოდიშარიოში. რესპ.: „წყალი რომ დატოვებს ქვიან ადგილს, ისაა ჭერეხი“.

-ობა სუფიქსს ამგვარი ფუნქცია (კონკრეტული სიმრავლის გამოხატვა) უჩანს ლაზურშიც. ჭანეთში მოგზაურობის დღიურში ი. ყიფშიძე სოფელ აბუ-ისლას ტოპონიმთა შორის ცომურძენის („ტყემლის ვაკე“) შემდეგ ასახელებს ტყის სახელს **ზენობა//ძენობა**. ი. სიხარულიძე აღნიშნულ მიკროტოპონიმს ასეთ კომენტარს ურთავს: „-ობ სუფიქსით ნაწარმოებ ამ სახელწოდების ფუძემიც „ზენი“ (ვაკე) გამოიყოფა“ (სიხარულიძე, 1977, გვ.53). ჩვენი აზრით, **ზენობა**-ში გამოიყოფა -ობა სუფიქსი, რომელიც დაერთვის გეოგრაფიულ ტერმინს და ისეთივე ფუნქცია აქვს, როგორც მეგრულ მენჯობა, ნოხორიობა, ტეხირიშპიჯობა... ტოპონიმებში (გამოხატავს გეოგრაფიული ობიექტის სიმრავლეს).

მაშასადამე, **ქართულისა და ზანურის დიალექტებში მოხდა კრებითი სახელის მაწარმოებელი -ობა სუფიქსის რინტერპრეტაცია კონკრეტული მრავლობითი რიცხვის ნიშნად**. ეს ფაქტი ქართველურ დიალექტებში მიმდინარე და მათი შინაგანი პოტენციით განპირობებული საერთო ტენდენციების ერთი კონკრეტული გამოვლინებაა (შდრ.: ჯავახური დიალექტის მისამართით ნათქვამი: „-ობა აბსტრაქტულ ცნებათა აღმნიშვნელი სახელების საწარმოებელი სუფიქსია, მაგრამ მისგან ნაწარმოებმა სახელმა შეიძლება კონკრეტული მნიშვნელობაც მოიპოვოს... -ობა სუ-

ფიქსით ნაწარმოებ სახელებს კონკრეტული მნიშვნელობა მოეპოვებათ, კრებითობას, მრავლობითობას გამოხატავენ. -**ობა** სუფიქსი ამ შემთხვევაში ფუნქციურად გვერდით უდგას მრავ-ლობითის აღმნიშვნელ -ებ მაწარმოებელს“ (მარტიროსოვი, 1984, გვ. 55).

-**შურ** დაბოლოება იშვიათია სამეგრელოს ტოპონიმიაში. დაფიქსირდა: კაკუშურ-ი (ვაკე სოფ. მონგირში) ← კაკუ, ახალიაშური//ახალიაშური მამული (სახნავი სოფ. ხანწკში) ← ახალია, ბა(ბუ)კოჩიშურ-ი//ბაბკოჩიმ ნოხორი (ტყე სოფ. ლედგებში) ← ბა(ბუ)კოჩი და სხვ.

როგორც ვხედავთ, ამოსავალი ფუძე პირსახელია. -შურ აღნიშნავს იმასვე, რასაც იმერული -ს-ეულ (მიღებულია ნათ. ბრუნვის ნიშნის ს თანხმოვნისა და -ეულ სუფიქსის შერწყმით), რაც იმერულში ერთ მაწარმოებელ ოდენობად აღიქმება. სავარაუდოა, რომ რეგრესული ასიმილაციის საფუძველზე მიღებული -სოულ მეგრულში შევიდა (იქნებ სულაც -ოურ სუფიქსთან კონტამინაციის შედეგად) -შურ ფორმით (სოულ → შოურ → შუურ → შურ).

§3. კოლხურ ტოპონიმთა შინაარსობრივი კლასიფიკაცია

ტოპონიმი, ანუ გეოგრაფიული სახელწოდება, დედამიწაზე არსებული ბუნებრივ-გეოგრაფიული თუ ადამიანის ხელით შექმნილი ობიექტის საკუთარი სახელია. ამათგან ბუნებრივ-გეოგრაფიული ობიექტის სახელს გეონიმსაც უწოდებენ (პოდოლსკაია, 1988, გვ. 127). შინაარსის (მნიშვნელობის) მიხედვით კლასიფიკაციის გამარტივებული ასპექტი გულისხმობს გეოგრაფიულ სახელწოდებათა დაჯგუფებას ამოსავალი ფუძეების მიხედვით (მცენარეთა სახელებიდან წარმოქმნილნი, ცხოველთა სახელებიდან წარმოქმნილნი და სხვ.). მაგრამ, ჩვენი აზრით, უფრო მნიშვნელოვანია ტოპონიმთა კვლევა აღსანიშნის მიხედვით, ანუ საგნობრივი მიმართების თვალსაზრისით. ამის მიხედვით გამოიყოფა ტოპონიმთა ნაირსახეობანი: **ჰიდრონიმი** – „წყალ-“ სემემასთან დაკავშირებული სახელწოდება, **ორონიმი** – რელიეფის კონკრეტული ფორმის სახელწოდება, **ოიკონიმი** – ნებისმიერი დასახლებული პუნქტის სახელწოდება, **სპელეონიმი** – მიწისქვეშა ობიექტის სახელწოდება,

ურბონიმი – ქალაქის ობიექტის სახელწოდება, **დრონიმი** – გზის სახელწოდება და სხვ. (იხ. პოდოლსკაია, 1988).

ტოპონიმთა შინაარსობრივი დაჯგუფება, რომლის საფუძველიც, როგორც ზემოთ აღინიშნა, საგნობრივი მიმართებაა, ძირითადად გარეენობრივი ფაქტორებითაა შეპირობებული, მაგრამ ხშირად საკუთრივ ენობრივი მოტივაციაც გარკვეულ როლს ასრულებს: მეგრულში –ონა დრიმონიმებს (ტყეთა სახელებს) აწარმოებს, ო- დაერთვის ცხოველ-ფრინველთა სახელებს და ბოსტნეულთა სახელებისაგანაც აწარმოებს აგროონიმებს, ნა- შედარებით ნეიტრალურია ფუძეთა მიმართ, ლე- და სა- გვართაგან აწარმოებს ოიკონიმებს, მაგრამ ლე- უწინარესია, ხოლო სა- მას შეენაცვლა გვიან, შუა საუკუნეებში.

ამ ნაშრომში თავდაპირველად განვიხილავთ ოიკონიმთა სისტემას მეგრულში (ქართველური ოიკონიმური სისტემის ფონზე), ხოლო შემდეგ –ჰიდრონიმიას.

3.1. ქართველური ოიკონიმური სისტემა.

ოიკონიმი დასახლებული პუნქტის სახელია (ბერძნ. ოიკოს “სახლი, საცხოვრისი“, ონიმი “საკუთარი სახელი“). ორმოციოდე წლის წინათ ეს ტერმინი ჯერ კიდევ არ იყო შემუშავებული. 1965 წელს ვ. ნიკონოვი აღნიშნავდა: „დასახლებული პუნქტების აღსანიშნავად არ მოგვეპოვება სპეციალური ტერმინი“ (ნიკონოვი, 1965). მაგრამ მალევე შეიქმნა და სამეცნიერო ლიტერატურაში მყარად დამკვიდრდა ტერმინები: ოიკონიმი (ზოგადად დასახლებული პუნქტის სახელწოდება), ოიკონიმია, ოიკონიმია; კომონიმი (სოფლის სახელწოდება), კომონიმია, კომონიმია; პოლისონიმი (ქალაქის სახელწოდება), პოლისონიმია, პოლისონიმია; ურბონიმი (საქალაქო ობიექტების – ქუჩის, მოედნის, პარკის... სახელწოდება) და სხვ. ამ პერიოდშივე დაიბეჭდა მრავალი გამოკვლევა, რომლებშიც გაშუქებულია ოიკონიმთა წარმოქმნის, სახელების მოტივირების, ეტიმოლოგიის, ფუნქციონირების გლობალური და რეგიონული პრობლემები.

ანთროპონიმის, მათ შორის გვარსახელის, მონაწილეობით წარმოქმნილ ოიკონიმს შეიძლება ვუწოდოთ **ანთროპოოიკონიმი**. ქართული გვარებისაგან ოიკონიმთა წარმოების საკითხის განხილვისას ვ. მალრაძე გამოყოფს სამ ჯგუფს: ა) ოიკონიმები, რომლებშიც ადამიანთა გვარები უაფიქსოდაა წარმოდგენილი; ბ) ოიკონიმები,

რომლებიც ადამიანთა გვარებისაგან სუფიქსებითაა ნაწარმოები; გ) ოიკონიმები, რომლებიც ნაწარმოებია გვარებზე თავსართ-ბოლოსართების დართვით (მაღრაძე, 1995, გვ. 149-156). ამგვარი კლასიფიკაცია უფრო ადრე გამოყენებული აქვს გ. კაჭარავასაც (იხ. კაჭარავა, 1960).

ტოპონიმი მრავალწახნაგოვანი სპეციფიკური ლექსიკური ერთეულია. იგი წარმოიქმნება როგორც ლინგვისტური (ენობრივი), ისე ექსტრალინგვისტური (გარეენობრივი) ფაქტორების მონაწილეობით. ამის შესაბამისად, მისი კვლევაც ორი ასპექტით უნდა წარიმართოს: **ლინგვისტური** (ფონეტიკური, მორფოლოგიური, სინტაქსური, სიტყვაწარმოებითი, სემანტიკური დონეების დადგენა) და **ექსტრალინგვისტური** (ისტორიული, სოციალური, გეოგრაფიული, ეთნოგრაფიული, ლოგიკურ-ფსიქიკური, ესთეტიკური საფუძვლების გამოვლენა). ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, ტოპონიმიკური მასალის კვალიფიკაციაც არ არის ერთგვაროვანი და მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული მკვლევრის მიზნებსა და ამოცანებზე.

ოიკონიმიკაში გავრცელებულია ორგანზომილებიანი ანალიზი: ა) წარმოქმნელ ფუძეთა სემანტიკის მიხედვით; ბ) წარმოქმნის გრამატიკულ საშუალებათა მიხედვით. გამოიყოფა ოთხი გრამატიკული (სიტყვაწარმოებითი) წესი (საშუალება): 1. მორფოლოგიური (აფიქსაცია და პლურალიზაცია, ანუ სახელის წარმოქმნა მრ. რიცხვის ფორმით); 2. მორფოლოგიურ-სინტაქსური (ზედსართავთა გაარსებითება-ოიკონიმიზაცია); 3. სინტაქსური (სიტყვათშეხამების გადაქცევა ოიკონიმად); 4. სემანტიკური (კონვერსია, მეტონიმია, მეტაფორიზაცია). საერთოდ, ონომასტიკურ სამეცნიერო ლიტერატურაში ცნობილია ოიკონიმთა მრავალგვარი კლასიფიკაცია. ძალზე გამარტივებული და გაუმართლებელი ჩანს დასახლებულ პუნქტთა სახელების კლასიფიკაცია აპელატივთა სემანტიკური ჯგუფების მიხედვით, როცა თვლიან, რომ სოფლის სახელწოდება **მუხნარი** მომდინარეობს ფიტონიმიური ტერმინისაგან. სინამდვილეში, ფიტონიმი მუხა არის ამოსავალი ფუძე ტყის სახელწოდებისათვის „მუხნარი“, ხოლო სოფლის სახელწოდება „მუხნარი“ წარმოქმნილია მეტონიმიის (სახელწოდების გადანაცვლების) გზით. ჩვენი აზრით, უფრო მისაღები ჩანს (ერთგვარი შესწორებით) ვ. ტაშიცკისეული კლასიფიკაცია ოიკონიმებისა: ა) ოიკონიმები, რომლებიც ყოველთვის იყვნენ ოიკონიმები და ბ)

ოიკონიმები, რომლებიც თავდაპირველად აღნიშნავდნენ ადამიანთა ჯგუფს და შემდეგ იქცნენ დასახლებული პუნქტების სახელებად.

როგორც ზემოთ უკვე არის აღნიშნული, დასახლებული პუნქტის (ისევე, როგორც ნებისმიერი ობიექტის) ნომინაციისას ერთდროულად მონაწილეობს ორი ფაქტორი: ფსიქიკურ-ლოგიკური (ექსტრალინგვისტური) და ლექსიკურ-სიტყვაწარმოებითი (ლინგვისტური). ინდივიდის ცნობიერებაში წარმოიქმნება გარკვეული ასოციაციები, რომლებიც რეალიზდება ენობრივი საშუალებებით. თითოეულ ოიკონიმს მოეპოვება თავისი მოტივაცია (ანუ სახელების მიზეზი) და გარკვეული გზა, რომელიც უნდა გაიაროს, რათა იქცეს მაინცდამაინც ამ დასახლებული პუნქტის საკუთარ სახელად.

ქართველთა (კერძოდ, ქართვების, სვანების, მეგრელთა, ლაზთა ტომების) სოფლები, ჩვეულებრივ, შედგება ერთმანეთის მიმდებარე ან გეოგრაფიულად მცირედ იზოლირებულ მიკროდასახლებათაგან – უბნებისაგან. მათ აღსანიშნად შეიძლება გამოვიყენოთ ტერმინი **მიკროოიკონიმი**.

მიკროოიკონიმია მიკროტოპონიმის ნაწილია. მიკროტოპონიმია კი, თავის მხრივ, ითვლება მეტად ფასეულ ბუნებრივ ტოპონიმურ ლაბორატორიად მკვლევართათვის. ამჟამად საქართველოში 4 ათასამდე ქართველურენოვანი სოფელია. მათში, წინასწარი დაახლოებითი გამოანგარიშებით, 50 ათასზე მეტი უბანია, რომელთა სახელები (მიკროოიკონიმები) უკვე საბოლოოდ ჩამოყალიბებული და ტრადიციით დამკვიდრებულია. ქართველურ ენებში მიკროოიკონიმთა წარმოქმნის საერთო, ზოგადი სქემის დასადგენად გამოვიყენეთ თსუ ტოპონიმიკის ლაბორატორიის (ამჟამად პროფ. ფ. ერთელიშვილის სახელობის ონომასტიკის სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორია) კარტოთეკები, კერძოდ, მცირე რეგიონებისა – მთლიანად, ხოლო დიდი რეგიონებისა – ამორჩევით (კერძოდ, კახეთის რეგიონში – თელავის რაიონისა, ქართლში – გორის რაიონისა, იმერეთში – ჭიათურის რაიონისა, სამეგრელოში – ჩხოროწყუს რაიონისა, სვანეთში – მესტიის რაიონისა).

მონათესავე ენათა ოიკონიმია (ისევე, როგორც მთლიანად ტოპონიმია) წარმოადგენს რთულ და მრავალფეროვან ენობრივ, სულიერ და ისტორიულ მოვლენას, რომლის კვლევა შესაძლებელია სხვადასხვა თვალსაზრისით, მკვლევრის მიერ დასახული მიზნის შესაბამისად. თანამედროვე ქართველური ოიკონიმის ანალიზმა უნდა

გამოავლინოს როგორც საერთოქართველური, ისე ლოკალური ოიკონიმური სისტემები და შესაძლებელი გახადოს ძველ დროში დასახლებული პუნქტების სახელწოდებათა წარმოქმნის პროცესის აღდგენა-რეკონსტრუქცია, გაუმჭვირვალე ოიკონიმთა ეტიმოლოგია.

სახელდების თანამიმდევრობის (პირველადობა-მეორადობის) პოზიციიდან გამომდინარე, მთელი ქართველური მიკროოიკონიმია შეიძლება დავეთვოთ ორ დიდ ჯგუფად: **პირველადი** (უშუალო) ნომინაციის მიკროოიკონიმები (რომლებიც იმთავითვე წარმოიქმნენ როგორც სწორედ დასახლებული პუნქტების სახელები) და **მეორეული** (გაშუალებული) ნომინაციის მიკროოიკონიმები (სხვა ობიექტთა სახელები, რომლებიც კონვერსიის ან მეტონიმის გზით იქცნენ მიკროდასახლებების სახელებად).

საკუთარი სახელის მთავარი დანიშნულებაა, გამოყოს ერთი კონკრეტული ობიექტი მსგავს ობიექტთა სიმრავლეში. ამ მიზნით პირველადი ნომინაციისას გამოიყენება მოტივირების ორი ხერხი: ა) მოტივირება ოიკონიმური ტერმინით ან საკუთრივ ოიკონიმით (იშვიათად); ბ) მოტივირება სპეციალური (საგანგებო), ოდენ ოიკონიმთა წარმომქმნელი ფორმანტით. შესაბამისად, პირველი ხერხი მოტივირებისა ქმნის თხზულ ოიკონიმს, ხოლო მეორე ხერხი – დერივაციულ (წარმოქმნილ) ოიკონიმს. თხზულ (შედგენილ) ოიკონიმებში საზღვრულს (მაიდენტიფიცირებელ კომპონენტს) წარმოადგენს დასახლების ტიპის (სახეობის) აღმნიშვნელი ტერმინები (ქალაქი, დაბა, სოფელი, უბანი...), ხოლო მსაზღვრელს (ანუ მადიფერენცირებელ კომპონენტს) – ზედსართავი ან არსებითი (როგორც საზოგადო, ისე საკუთარი) სახელი.

ა. პირველადი ნომინაცია. პირველადი მიკროოიკონიმები მოტივირების საშუალებათა მიხედვით იყოფა ორ ძირითად ქვეჯგუფად: ოიკონიმური ტერმინებით (ოტ) მოტივირებულნი და ოიკონიმური ფორმანტით (ოფ) მოტივირებულნი. ამასთანავე, ეს მეორე ხერხი ჩვეულებრივი და პროდუქტიულია მხოლოდ მეგრულისათვის. სვანეთში ერთი სოფლის შიგნით უბნები (მიკროუბნები) ცოტაა და, რაც არის, სახელდებულია მეორეული ნომინაციით. ქართული ენის დიალექტებში მიკროოიკონიმთა თითქმის ნახევარი მოტივირებულია დასახლების ტიპის აღმნიშვნელი სახეობითი ტერმინებით. ძირითადი ტერმინია “უბანი“, რომელსაც ახლავს მსაზღვრელი სიტყვა (შოშიაანთ უბანი, პეტრიაშვილების

უბანი, ბაზრისუბანი, ზემო უბანი და სხვ.). სვანურისა და მეგრულისათვის ეს მოდელი იშვიათია.

მიკროდასახლება, ჩვეულებრივ, წარმოიქმნებოდა სისხლითი ნათესაობის საფუძველზე, რაც განამტკიცებდა სოციალურ-ეკონომიკურ და ტერიტორიულ ერთიანობას. დასახლება და მის გარშემო მდებარე თუნდაც მცირე ტერიტორია ითვლებოდა გარკვეული საგვარეულო კოლექტივის კუთვნილებად, საკუთრებად. ამიტომაც სრულებით ბუნებრივია, რომ ამგვარ მიკროდასახლებათა სახელწოდებანი ხშირად წარმოადგენენ პოსესიურ (განკუთვნების გამომხატველ) სიტყვათშეერთებებს, რომლებშიც საზღვრული კომპონენტი ოიკონიმური ტერმინია, ხოლო მსაზღვრელი კომპონენტი არის ამ დასახლების მცხოვრებთა გვარსახელი, პატრონიმული სახელი, საოჯახო-ჯგუფური მეტსახელი, უფრო იშვიათად, ეთნიკური, სადაურობის, პროფესიის სახელი მრავლობითი რიცხვის ნათეს. ბრუნვაში. ოიკონიმურ ტერმინთაგან გვხვდება: **უბანი, კარი, კუთხე, მუხური, ყურე, გარემო...** ამათგან, ქეგლის განმარტებით, მხოლოდ “უბან” სიტყვისათვისაა ძირითადი მნიშვნელობა “ქალაქის ან სოფლის ერთ-ერთი კუთხე, ნაწილი” (თუმცა ძველ ქართულში უბანი, ილ. აბულაძის “ძველი ქართული ენის ლექსიკონის” თანახმად, ნიშნავდა სავაჭროს, ქუჩას, მოედანს, შარას). ხოლო კარი, კუთხე, ყურე, გარემო... ლექსემებისათვის სოფლის (დაბის, ქალაქის) ნაწილის აღნიშვნის ფუნქცია მეორეულია, დამატებითია.

საერთოდ, ოიკონიმური ტერმინით (იშვიათად თვით ოიკონიმიტ) მოტივირებულ ოიკონიმთა 4 ნომინაციურ-სემანტიკურ ტიპი გამოიყოფა (სხვადასხვა ლექსიკურ-სიტყვაწარმოებითი ქვეტიპებითა და მოდელებით). ესენია:

პოსესიურნი, ანუ ჯგუფური განკუთვნიების გამომხატველნი. ამ შემთხვევაში სუბსტანტიური მსაზღვრელით (რომელიც მრ. რიცხვის ნათესაობითი ბრუნვის ფორმითაა წარმოდგენილი) აღნიშნული ადამიანთა ჯგუფი ამავე უბანში მოსახლეობს. ლექსიკურ-სიტყვაწარმოებითი მოდელებია: შოშიანთ უბანი, პეტრიანვილების უბანი, გეიციანების უბანი, იმერლების უბანი, მჭედლების უბანი, ქლუხორლების უბანი... 2. **გეოგრაფიული (სივრცითი) მიმართების გამომხატველნი.** ამ შემთხვევაში მსაზღვრელი სუბსტანტიურია (საკუთარი თუ საზოგადო სახელი) ან ატრიბუტული. ლექსიკურ-სიტყვაწარმოებითი მოდელებია: ნაკალაურის

უბანი, საკირეების უბანი, ეკლესიისუბანი (კახეთში), მეჭულდისძირის უბანი, სიონისუბანი, ციხისუბანი (ქართლში), ზედვაკის უბანი, ჩეროსუბანი, ოტიას უბანი (იმერეთში), ბაზრისუბანი (მთიულეთში), ბალისუბანი (გურიაში), ხევისუბანი, დავითის უბანი (მესხეთში)... ზემო კრიხი, ქვემო კრიხი, შუა კრიხი (რაჭაში), გამოღმა ბოსლევი, გაღმა ბოსლევი (იმერეთში), წინუბანი... სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ ანტონიმები ზემო-ქვემო, მაღალი-დაბალი, დიდი-პატარა ტოპონიმებთან შეხამებისას წარმოქმნიან ოიკონიმებს (შ. აფრიდონიძე). 3. **ქრონოლოგიური და მოცულობითი მიმართების გამომხატველი:** ძველი აბაშა, ახალი მარაბდა, დიდი თონეთი, პატარა თონეთი... 4. **ექსპრესიულ-ემოციური, ანუ შეფასებითი:** ვარდისუბანი (რადგანაც ამ უბანში კეთილი და მშვიდი ხალხი ცხოვრობს), ძაღლისუბანი (რადგანაც ამ უბანში ძაღლებივით უღრენენ ერთმანეთს). სოფლის ნაწილის სახელდებისას იშვიათად არაორდინალური მოტივაციაც არის გამოყენებული: კახეთის ერთ სოფელში უბანს, სადაც ბადრიჯანი უხვად მოჰყავთ, ეწოდება ბადრიჯნისუბანი.

მიკროოიკონიმურ ტერმინთაგან „უბანი“ გვხვდება ქართული ენის ყველა დიალექტში, „კარი“ და „სოფელი“ - აღმ. საქართველოს მთიანეთში, ხოლო „კუთხე“ და „გარემო“ - მხოლოდ იმერეთსა და გურიაში.

პირველადი ნომინაციისას მიკროოიკონიმთა მნიშვნელოვანი ნაწილი მოტივირებულია **საგანგებო ოიკონიმური ფორმანტით**. ერთი ასეთი საერთო-ქართველური ფორმანტია -ეთ, რომელიც დღეს ამ დანიშნულებით არ გამოიყენება. ეთნონიმთაგან რეგიონის სახელთა წარმოებისას ამ სუფიქსს ზოგ შემთხვევაში „ეხმარებოდა“ სა- პრეფიქსიც: სვან-ეთ-ი, მესხ-ეთ-ი... სა-ბერძნ-ეთ-ი, სა-ფრანგ-ეთ-ი... ქართულის დიალექტებში დასტურდება სა-შაბურ-ო (ამოსავალია გვარი შაბური), სა-გურამ-ო (გურამი გვარად ზედგინიძე იყრ. გვარი გურამიშვილი მისგან მომდინარეობს) მოდელის ოიკონიმებიც.

სამეგრელოში მიკროოიკონიმთა თითქმის 9% მოტივირებულია ოიკონიმური ტერმინებით (კუნთხუ, კარი, მუხური, განი...), 12% წარმოქმნილია კონვერსიითა და მეტონიმით, ხოლო ძირითადი ნაწილი, თითქმის 77%, სპეციფიკური (საგანგებო) ოიკონიმური (მხოლოდ ოიკონიმთა წარმომქმნელი) ლე- და სა-პრეფიქსებით (სხვადასხვა სუფიქსის თანხლებით). სიცხადისათვის

მივმართოთ ასეთ შედარებას: სოფელ შუა გეზრულში (იმერეთი) სოფლის იმ ნაწილს, სადაც მკვიდრობს გვარი **გვალია**, დაერქვა **გვალიების უბანი**. გვალიები კომპაქტურად მოსახლეობენ სამეგრელოშიც (კერძოდ, მარტვილის რ-ნის სოფ. ლეციცხვაიეში), მაგრამ მათს უბანს ეწოდება **ლე-გვალი-ე**. ასეთი პარალელები მოსალოდნელია ერთი სოფლის ფარგლებშიც ოღონდ იმერული დიალექტის საზღვართან: სოფ. ბულშვანში ცანავეებით დასახლებულ უბანს ეწოდება **საცანო//ცანავეების უბანი**. ორივე შემთხვევაში მიკროოიკონიმის სემანტიკა და ინფორმაცია (შინაარსის პლანი) იდენტურია: მინიშნებულია უბნის დანიშნულება, განკუთვნიება გარკვეული საგვარეულო ჯგუფისათვის. მაგრამ გვაქვს განსხვავება ოიკონიმის შედგენილობისა (თხზული - წარმოქმნილი) და მოდელის (გვარი პლუს ოტ - ოფ პლუს გვარი) მიხედვით. მეგრულს მიკროოიკონიმის წარმოსაქმნელად, ფაქტობრივად, არ სჭირდება ოტ „უბანი“ (და მისი სინონიმები), რადგანაც საჭირო ინფორმაციის (უბნის დანიშნულების) გამოსახატავად მოეპოვება ლე-ე და სა-ო კონფიქსები. მათ მხოლოდ მეგრულში აქვთ მოპოვებული სპეციფიკური ანთროპოოიკონიმური ფორმანტის ფუნქცია.

ბ. მეორეული ნომინაცია. ოიკონიმიაში (ისევე როგორც ჰიდრონიმიაში, ორონიმიაში და ა.შ.) გამოიყოფა სახელწოდებათა ერთი ნაწილი, რომელიც წარმოქმნილია კონვერსიის, მეტონიმის ან სხვა საშუალებით (ვთქვათ, ხელოვნური ნომინაციათ). საერთოდ, **კონვერსია** (ლათ. *conversio* „შეცვლა“, ინგლ. *conversion* „გადაქცევა, გადასვლა ერთი მდგომარეობიდან მეორეში“) ლექსიკოლოგიაში ეწოდება სიტყვის გადასვლას ერთი სემანტიკური თანრიგიდან მეორეში ფორმისა და სტრუქტურის შეუცვლელად (კონვერსია ამით განსხვავდება აფიქსაციისაგან). ზოგ ენაში კონვერსია სიტყვაწარმოების ერთ-ერთი მთავარი საშუალებაა, თუმცა, ბ. ფოჩხუას აზრით, „კონვერსია არის მნიშვნელობის გადაწვევის ერთი სახეობათაგანი და ამიტომ მისი სიტყვაწარმოებად მიჩნევა გაუმართლებელი“ (ფოჩხუა, 1966, გვ. 104).

ოიკონიმიაში კონვერსია შეიძლება ეწოდოს ადამიანთა ჯგუფის აღმნიშვნელი სიტყვის გადაქცევას იმ ადგილის სახელად, სადაც ეს ჯგუფი მოსახლეობს. მაშასადამე, იცვლება სახელის დენოტატი, ანუ რეფერენტი (ე.ი. ობიექტი, რომელსაც მიემართება სახელი), ხოლო ფორმა-სტრუქტურა უცვლელი რჩება. ადამიანთა ჯგუფის აღნიშვნა შეიძლება სამგვარი საშუალებით: გვარის მრ. რიცხვის

ფორმით, პატრონიმული სახელით და ჯგუფური მეტსახელით. დასავლეთ საქართველოში, კერძოდ, იმერეთსა და აჭარაში კონვერსირებულ მიკროოიკონიმთა წარმოქმნის ორი მთავარი წყაროა – გვარები და ჯგუფური მეტსახელები მრ. რიცხვის ფორმით. მხოლოდ ერთი მაგალითი: სოფ. რგანში (ჭიათურის რ.) 25 მიკროოიკონიმი (უბნის სახელი) იმეორებს გვარის მრ. რიცხვის ფორმას (აბესაძეები, აბუთიძეები...), ხოლო 16 მიკროოიკონიმი – ჯგუფურ მეტსახელს (ბატონკალიები, ბლაგვეები...). აღმ. საქართველოს მთის დიალექტებში ჩვეულებრივია მრ. რიცხვში დასმული გვარსახელების გადაქცევა ოიკონიმებად და მიკროოიკონიმებად, მაგალითად: ბაბურაულნი, კაკაბაურნი... (ფშავში), ნარიმანიძეები, ბუჩუკურები... (ხევსურეთში), პატაშურნი, მამაცაშვილები... (მთიულეთ-გულდამყარში) და ა.შ. სამეგრელოსა და სვანეთში გვხვდება, თუმცა ძალზე იშვიათად, სადაურობის სახელებიდან მრ. რიცხვის ფორმით წარმოქმნილი მიკროოიკონიმები: ჟაბშარ „ზემოურები“, ჩუიშარ „ქვემოურები“ (სვანეთში), სუკარეფი „სერზე მცხოვრებნი“, რზენაღეფი „ვაკელები“ (სამეგრელოში) და სხვ.

ქართველურ ენათა დიალექტებში ხშირია პატრონიმულ სახელთა კონვერსია – ოიკონიმად ან მიკროოიკონიმად გადაქცევა. ქართულში პატრონიმებს აწარმოებს –ან (და მისი ვარიანტები), მეგრულში – თი, ხოლო სვანურში – (ი)შერ, –შა (←შან), –არ. კრებითობის სუფიქსი –ან დაერთვის ეპონიმის სახელის სახელობითი ან ნათესაობითი ბრუნვის ფორმას, რასაც, ჩვეულებრივ, მოსდევს მრ. რიცხვის ნიშანი: ბეჟანა-ან-ნ-ი, ადამა-ან-თ-ი, პავლიას-ან-ებ-ი, ოთიკი-ან-თ-ებ-ი... მეგრულსა და სვანურში პატრონიმული სუფიქსები დაერთვის სახელის ფუძეს: წაკო-თი, არჩილ-შერ, მარგი-ან-შა, გურამ-არ... სვანურში შტოგვარის აღმნიშვნელ სახელთა წარმოება-ბრუნების საკითხები ამომწურავადაა შესწავლილი და გაანალიზებული (იხ. ჩანტლაძე, 1998, გვ. 126-186). პროდუქტიულობის თვალსაზრისით კონვერსია: პატრონიმული სახელი → ოიკონიმი პირველ ადგილზეა მთიულეთ-გულდამყარში, ხევსურეთში, ჯავახეთსა და სვანეთში, მეორე ადგილზეა ქართლსა და კახეთში, ხოლო იმერეთსა და სამეგრელოში მხოლოდ ერთეული შემთხვევებით დასტურდება.

მეორეულ მიკროოიკონიმთა მნიშვნელოვანი ნაწილი წარმოქმნილია მეტონიმის, ანუ სახელწოდების გადანაცვლების

გზით ერთი ობიექტიდან მეორე (მიმდებარე) ობიექტზე. ამ შემთხვევაში მიკროდასახლება ითვისებს სახელს იმ ადგილისას, სადაც ან რომლის გვერდით იგი წარმოიქმნა. ეს მეთოდი გავრცელებულია ყველა ქართველურ ენასა და დიალექტში. დიდი თუ მცირე დასახლებული პუნქტების სახელებია: კლდე, მუხნარი, ვაშლიანი, პატარა ველი, ორწყალა, ფურნე, ხემაღალი, სუკი „ბორცი“ (მეგრ.), ნაკ „ვაკე“ (სვან.) და სხვ.

მიკროოიკონიმიში იშვიათია ძველი სახელწოდების დისტანციური გადატანა ახალ საცხოვრისზე, ხელოვნური ნომინაცია (მთავრობის დადგენილებით), აბრევიაცია, ტოლად შერწყმა. ყოველივე ზემოთქმული ჩამოყალიბებულია აქვე წარმოდგენილ „ქართველურ მიკროოიკონიმთა წარმოქმნის ზოგად სქემაში“:

ენები	პირველადი ნომინაციით წარმოქმნილი	მეორადი ნომინაციით წარმოქმნილი	სხვა			სულ
	ანთრ+ოტ	ოფ+ანთრ.	კონვერ-სია	მეტონიმია		
ქართ.	50%	1%	40%	7%	2%	100%
სვან.	10%	-	77%	11%	2%	100%
მეგრ.	9%	77%	3%	9%	2%	100%
სულ	23%	26%	40%	9%	2%	100%

დასკვნები:

1. ქართველურ ენათა მიკროოიკონიმიის 49% (გამოანგარიშება ამ და სხვა რუბრიკებშიც მიახლოებითია) პირველადი ნომინაციისაა, ე.ი. წარმოქმნილია როგორც სწორედ ამ უბნის, დასახლების სახელი (მეგრულში – 86%, ქართულში – 51%, სვანურში – მხოლოდ 10%).

2. პირველადი ნომინაციის მიკროოიკონიმები მოტივირებულია: ა) ოიკონიმური ტერმინით (რომელიც აღნიშნავს დასახლების სახეობას) ან თვით ოიკონიმით (იშვიათად). ამასთანავე, მსაზღვრელი კომპონენტი ამ უბნის მცხოვრებთა აღმნიშვნელი საკუთარი

ან საზოგადო სახელია (მრ. რიცხვის ნათეს. ბრუნვის ფორმით). ამ შემთხვევაში მიკროოიკონიმი წარმოადგენს სიტყვათ-შეხამებას (რთულ სახელს), რომელშიც გამოხატულია პოსესიურობა, სახელ-დარქმეული მიკროობიექტის დანიშნულება-განკუთვნიება მსახლ-ვრელი კომპონენტით აღნიშნული ადამიანთა ჯგუფისათვის (გვარისათვის, გვარის განაყოფისათვის, ამა თუ იმ პროფესიის ადამიანებისათვის...); ბ) ოიკონიმური ფორმანტით, რაც მხოლოდ მეგრულისთვისაა ნიშანდობლივი. ამ შემთხვევაში ოიკონიმი წარმოქმნილია. შედარებით მცირერიცხოვანია გეოგრაფიული თუ ქრონოლოგიურ-მოცულობითი მიმართების, ექსპრესიული შინაარსის გამომხატველი მიკროოიკონიმები.

3. ქართველური მიკროოიკონიმიის მეორე მნიშვნელოვანი ნაწილი, დაახლოებით 49%, წარმოქმნილია მეორეული ნომინა-ციით, კონკრეტულად კი – კონვერსიითა და მეტონიმიით (ქართუ-ლის დიალექტებში – 47%, სვანურში – 88%, მეგრულში – მხოლოდ 12%).

4. ქართველები, ისევე როგორც სხვა არამომთაბარე ხალხები, დასახლებებს ქმნიდნენ ნათესაობრივ-ტერიტორიული ერთიანობის საფუძველზე, ხოლო მისი მცხოვრებნი აღინიშნებოდნენ პატ-რონიმული სახელების ან ჯგუფური მეტსახელების (ხოლო როცა გვარი შეიქმნა, გვარსახელების) მიხედვით. ეს ვითარება აისახა დიდი თუ მცირე დასახლებული პუნქტების სახელებისას. **ქართველური მიკროოიკონიმიის 89 პროცენტი წარმოქმნილია პატ-რონიმების, გვარებისა და ჯგუფური მეტსახელებისაგან სიტყვათშეხამების, დერივაციის ან კონვერსიის გზით.** ეს გარემოება არ წარმოადგენს ქართველურ ენათა თავისებურებას. მსოფლიოს მრავალ ენაში ანთროპონიმს უკავია უპირველესი ადგილი არა მარტო დასახლებული პუნქტების, არამედ სხვა ობიექტებისათვის სახელების დარქმევისას.

3.2. **გვართა დასახლებანი სამეგრელოში.** ანთროპონიმ-თაგან და ეთნონიმთაგან ტოპონიმების წარმოქმნის ტრადიციას უძველეს დროშივე ჩაეყარა საფუძველი. ამისი გამოძახილია ზოგი ძველი თხზულების, თუნდაც ბიბლიის, ლეგენდები ქვეყნებისა და ხალხების წარმოშობაზე. XI საუკუნის ქართველი ისტორიკოსი ლეონტი მროველი „ქართლის ცხოვრებაში“ აღნიშნავს, რომ ნოეს შთამომავლის – თარგამოსის – შვილებმა დააარსეს ქვეყნები, კერ-

ძოდ, ქართლოსმა – ქართლი, ბარდოსმა – ბარდავი, მოვაკანმა – მოვაკნეთი, ჰეროსმა – ჰერეთი, ეგროსმა – ეგროსი და სხვ.

სხვადასხვა ხალხისა და ენის ტოპონიმების კვლევა-ძიებამ ცხადი გახადა, რომ ანთროპონიმები (გვარსახელები, პირსახელები, პატრონიმული სახელები, ინდივიდუალური და ჯგუფური მეტსახელები, ზედწოდებანი) განსაკუთრებით ხშირად მონაწილეობენ დასახლებული პუნქტების სახელწოდებათა ფორმირებაში. დადგენილია, რომ ცენტრალური რუსეთის სხვადასხვა ოლქის ოიკონიმთა 52-70% ანთროპონიმული წარმოშობისაა (გორბანევსკი, 1982). ისიც ცნობილი ფაქტია, რომ რუსეთში პირსახელი ივან და მისგან მომდინარე გვარსახელი ივანოვ ათასობით ქალაქის, სოფლისა თუ უფრო მცირე დასახლებული ერთეულის სახელწოდებას დასდებია საფუძვლად. როგორც ჩანს, ეს ვითარება საერთო (ზოგადტოპონიმიკური) სურათის ამსახველია.

ნებისმიერი ტოპონიმის მიმართ დაისმის ორი მთავარი კითხვა: რატომ დაერქვა? როგორ დაერქვა? პირველი კითხვის პასუხი დევს ექსტრალინგვისტურ სფეროში და მოტივაციის პრობლემებს შეეხება. მეორე კითხვის პასუხი ლინგვისტურ სფეროს განეკუთვნება და ნომინაციის ენობრივი საშუალებების დადგენას ითვალისწინებს.

ანთროპოოიკონიმთა სამი ჯგუფი გამოიყოფა: უაფიქსონი (პრიმარულნი), აფიქსიანი (დერივაციულნი) და შედგენილნი (თხზულნი, კომპოზიტები). უაფიქსო ანთროპოოიკონიმი ძალზე იშვიათია. შეიძლება დავასახელოთ მხოლოდ ორიოდ მაგალითი: მახუტია (უბანი სოფ. ლესიჭინეში), არონია (მიკროუბანი სოფ. მუხურში). მომხდარა კონვერსია: პირსახელი მახუტია და გვარსახელი არონია ქვეულან ადგილის (უბნის) სახელებად რაიმე მორფოლოგიური ელემენტის გამოყენების გარეშე. საბჭოთა პერიოდში სწორედ ამგვარი სახელები ერქმეოდა დასახლებულ პუნქტებს, ოღონდ ხელოვნურად, ხელისუფლების განკარგულებით (ორჯონიკიძე, ცხაკაია, გეგეჭკორი და სხვ.).

ლე-პრეფიქსიანი ოიკონიმები. გვარსახელისაგან მიკროოიკონიმებისა და ოიკონიმების საწარმოებლად მეგრულს მოეპოვება საგანგებო აფიქსები, რომელთა დანიშნულება სწორედ და მხოლოდ და მხოლოდ დასახლებული პუნქტის სახელის წარმოებაა. ესენია **ლე-** და **სა-** (იხ. ცხაკაია, 1976; ცხაკაია, 1985, გვ.145-146). დადგენილია, რომ სვანურ, მეგრულ და ქართულ (კერძოდ,

ლექსუმურ) გეოგრაფიულ სახელებში გამოყოფილი ლე- თავსართი სვანური წარმომავლობისაა და ტოპონიმიში მისი ფუნქცია ადგილის სახელთა წარმოებაა (ალ. ცაგარელი, მ. ჯანაშვილი, ნ. მარი, ი. ყიფშიძე, არნ. ჩიქობავა, ვ. თოფურია). სამეგრელოში დასახლებული პუნქტების სახელწოდებათა თითქმის 85% წარმოქმნილია ანთროპონიმთაგან, უპირატესად, გვართაგან. ამასთანავე, აქტიურადაა გამოყენებული ლე- პრეფიქსი, რომელიც საგანგებო ოიკოფორმანტია. ეს იმას ნიშნავს, რომ, თუ გვარს დავურთავთ ლე- თავსართს (-ე ბოლოსართით), აუცილებლად მივიღებთ ამ გვარის დასახლების სახელწოდებას – ოიკონიმს. სამეგრელოში 400-მდე ლე- პრეფიქსიანი ანთროპოოიკონიმი. ოღონდ მათი გავრცელების არეალია მხოლოდ ოდიშის პლატო. ადმინისტრაციულად ესაა წალენჯიხის, ჩხოროწყუსა და მარტვილის რაიონები, აგრეთვე ზუგდიდის, ხობისა და სენაკის რ-ნების აღმ. ნაწილი, რაც ესაზღვრება პირველად დასახლებულ სამ რაიონს. ზღვისპირა ბარში ლე- ადგილს უთმობს სა- პრეფიქსს. მიზეზი გასაგებია: მთიანი სამეგრელო სვანური სუბსტრატის ზონაა. როგორც ჩანს, სვანები ქრისტეს დაბადების შემდეგაც რამდენიმე საუკუნის განმავლობაში მოსახლეობდნენ (მეგრელებთან ერთად) ეგრისის ქედის წინამხარში. ამაზე მიანიშნებს სვანურის კვალი კოლხეთის ტოპონიმიში, რაც ადრეც იყო ცნობილი და შემდეგ შეივსო ახალი მასალით (იხ. ცხადაია, 1986).

ლე- პრეფიქსიანი 400-მდე ანთროპოოიკონიმიდან, რაც ზემოთ დავასახელეთ, 300 მაინც მოდის წალენჯიხის, ჩხოროწყუსა და მარტვილის რ-ნებზე, ხოლო 100-მდე – ზუგდიდის, ხობისა და სენაკის რაიონების გორაკ-ბორცვაკიან ზოლზე. თითოეული მათგანის ფუძეა გვარსახელი. ოიკონიმი გამოხატავს უბნის დანიშნულება-განკუთვნილებას სახელწოდების ფუძეში აღნიშნული გვარის მატარებლებისათვის. მაგალითად, ლე-გოგი-ე არის გოგიების სოფელი, ლე-ზარქუ-ე არის ზარქუების უბანი (სოფ. ჯიხა) და სხვ, XX ს. დამდეგსაც კი სამეგრელოში იშვიათი არ ყოფილა ტერიტორიულად განცალკევებული მონოგენური დასახლებანი. მაგალითად, 1904 წელს დღევანდელი მარტვილის რ-ნის სოფ. ლეცავეში მოსახლეობდა მხოლოდ ცაავას გვარი (31 კომლი). მაგრამ მეოცე საუკუნეში სურათი მნიშვნელოვნად შეიცვალა: კოლხეთის ბარში სოფლები მჭიდრო და მრავალრიცხოვანი, ხოლო უბნები მრავალგვარიანი გახდა. დროებით ვალდებულ გლახთა 1904

წლის საკომლო აღწერის მასალების თანახმად, სოფ. ლესიჭინეში მოსახლეობდა 250 კომლი სიჭინავა და თითო-თითო კომლი პაპავა და აბაკელია. მაგრამ 90 წლის შემდეგ ამავე სოფელში მკვიდრობდა სიჭინავათა 431 კომლი და 300-ზე მეტი სხვა გვარის თითქმის 700 კომლი.

სა- პრეფიქსიანი ოიკონიმები. ქართული სა- პრეფიქსი შეთვისებული და გავრცელებულია მეგრულშიც, სადაც იგი წარმოქმნის როგორც აბსტრაქტულ სახელებსა და ზედსართავეებს, ისე ადგილის სახელწოდებებსაც (ყიფშიძე, 1994, გვ. 181). აღნიშნულია ის ფაქტიც, რომ სა- პრეფიქსიანი მეგრული ოიკონიმებისათვის ამოსავალია გვარსახელი, რომლითაც დასახლებული იყო სოფელი (ჩიქობავა, 1942, გვ. 196-197; კაჭარავა, 1960, გვ. 219).

სამეგრელოში 1000-ზე მეტი ოიკონიმი წარმოქმნილია გვარსახელისაგან სა- პრეფიქსით. მათგან მხოლოდ 40-მდეა სოფლის სახელი (სა-კვიკვინი-ო, სა-ბუთბაი-ო, სა-ესებუ-ო...), ძირითადი ნაწილი კი უბნის სახელებია. ზოგ სოფელში სა- პრეფიქსიანი მიკროოიკონიმი ორ ათეულსაც კი აჭარბებს. მაგალითად, სოფ. კახათში (ზუგდიდის რ.) დადასტურდა: სააბსაო, სააკობიო, საბიჭიო, საგეთიო, საგუგუშიო, სადარასელიო, სათოლორაიო, სათორიო, საკაკულიო, საკეზუო, სალოგუო, სამოსიო, სანარმანიო, სანაყოფიო, სანაჭყებო, საპერტაიო-საფუტკარანძო, სასვირა, საქუხილო, საშამახიო, საშედანიო, საჩახაიო, საჭყეიო, საჭითანაო, საჭკადუო, საჯიქიო, საჯგვიშიო (სულ 26 ერთეული). ყველა ჩამოთვლილი ოიკონიმისათვის ამოსავალია ის გვარსახელი, რომელიც დამკვიდრებულია სახელდებულ უბანსა თუ მიკროუბანში.

როგორია ლე- და სა- აფიქსთა ურთიერთმიმართება ოიკონიმიში?

ისინი თითქმის ერთნაირი ფუნქციისანი არიან და მორფოლოგიური ეკვივალენტების შთაბეჭდილებას ტოვებენ: თანაბარი ძალით შეუძლიათ ერთი და იმავე გვარისაგან ოიკონიმის წარმოება. ეს იწვევს ასეთი პარალელური ფორმების წარმოქმნას: სა-გირგოლაი-ო//ლე-გირგოლაი-ე (უბანი ნარაზენში), სა-არზიან-ო//ლე-არზიან-ე (უბანი ლესაჯაიეში) და სხვ. ამგვარი სინონიმები ზემო სამეგრელოში ხშირია, ქვემო სამეგრელოსა და სამურზაყანოში კი მხოლოდ რამდენიმე შემთხვევაშია დადასტურებული.

დადგენილია ლე- და სა- პრეფიქსიანი ოიკონიმების ლოკალიზაციის სურათი: აშკარად გამოიყოფა სამი ზონა.

პირველი: **ლე-პრეფიქსის უპირატესობის ზონა**. ესაა მთიანი სამეგრელოს ძირითადი ნაწილი, დაწყებული ეგრისის ქედის წინამხრიდან დასავლეთით 25-30 კმ-ზე; მაგალითად, კუხეშში (სოფელი წალენჯიხის რ-ნში, ინწირის ხეობაში) ლე-პრეფიქსით ნაწარმოები 11 მიკროოიკონიმი დაფიქსირდა, სა-პრეფიქსით ნაწარმოები კი – არც ერთი. მეორე: **სა-პრეფიქსის ერთადერთობის ზონა**. ესაა ვაკე სამეგრელო, კოლხეთის დაბლობის ნაწილი, დაწყებული ზღვისპირეთიდან და გაგრძელებული აღმოსავლეთით 10-15 კმ-ზე (უფრო გვიან არის გამოყენებული მასობრივად დასახლებისათვის). მაგალითად, ხობის რ-ნის სოფ. გამოდმა პირველ ხორგაში დასახლებულ უბნებს ეწოდებთ: საანთალა, საბერაიო, სადოლბაიო, საკარტოზიო, სამირცხულა, სანარსქუო, საპაჭკორიო, საშელიო, საჩარგაზიო, საჭაჭიო; მესამე: **გარდამავალი ზონა**, ზემოთ აღნიშნულ ორ ზონას შუა მდებარე, სადაც ერთმანეთის გვერდით გვხვდება ლე- და სა-პრეფიქსიანი ტოპონიმები. ერთი მაგალითი: ახუთში სა-პრეფიქსით არის წარმოქმნილი 24 მიკროოიკონიმი, ლე-პრეფიქსით – 12 მიკროოიკონიმი, ხოლო ოთხში ეს ორი პრეფიქსი ენაცვლება ერთმანეთს (ლე-გერსამე//საგერსამიო და სხვ).

სამეგრელოს ტოპონიმის ანალიზი ადასტურებს იმ მოსაზრებას, რომ „გვართაგან სა-პრეფიქსით სოფლის სახელის წარმოება შედარებით ყველაზე ახალია. გაცილებით უფრო ძველია ლე-პრეფიქსის გამოყენება ამავე შემთხვევაში“ (ჩიქობავა, 1942, გვ. 197). ლე- აშკარად სვანური წარმომავლობის ფორმანტია, სა- კი ქართულია.

3. 3. მეგრული ჰიდროგრაფიული ტერმინოლოგია და მისი როლი ზემო სამეგრელოს ჰიდრონიმთა წარმოქმნაში. გეოგრაფიულ ობიექტს შეიძლება ერქვას ერთზე მეტი სახელი და, პირიქით, შესაძლოა, რამდენიმე ობიექტი ერთნაირ სახელს ატარებდეს. ამიტომაც ამა თუ იმ რეგიონის ტოპონიმთა, ამ ტოპონიმებით სახელდებულ ობიექტთა და ტოპოლექსემათა რაოდენობა, ჩვეულებრივ, არ ემთხვევა ერთმანეთს. მაგალითად, სამეგრელოსამურზაყანოში ფიქსირებული თითქმის 9 ათასამდე ჰიდრონიმით სახელდებულია 8200-მდე ობიექტი, ხოლო ჰიდროლექსემათა რაოდენობა ბევრად ნაკლებია.

ნომინაციის საწყისი მომენტის მიხედვით, ჰიდრონიმი ორგვარია: საკუთრივ (პირველადი) ჰიდრონიმი (ჰიდრონიმი

წარმოიქმნა როგორც ჰიდროგრაფიული ობიექტის სახელი) და მეტონიმირებული (მეორეული) ჰიდრონიმი. სამეგრელო-სამურზაყანოს ჰიდრონიმთა ძირითადი ფონდი (90%-მდე) საკუთრივ ჰიდრონიმია.

ჰიდრონიმთა წარმოქმნაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს ჰიდროგრაფიული ტერმინოლოგია. საკმარისია აღინიშნოს, რომ 4 სიტყვა-ტერმინით - დალ „დელე“, ტობა „მორევი“, წყუ „წყარო“ და წყარი „წყალი“ - წარმოქმნილია რეგიონის მთელი ჰიდრონიმიის თითქმის 66%. თვალსაჩინოებისათვის წარმოვადგენთ მეგრული ჰიდროგრაფიული ტერმინოლოგიის ძირითად ნაწილს სემანტიკური ჯგუფების მიხედვით (შემოკლება ჰტ - ჰიდროგრაფიული ტერმინი, სმ - საილუსტრაციო მასალა, ანუ ტოპონიმები).

ა. სემანტიკური ველი: „ნესტიანი, ტალახიანი, დაჭაობებული ადგილი“.

ჰყ (← ჰყერ), ლე-ჰყ ← ლე-ჰყე ← ლე-ჰყერ (ერთელიშვილი, 1969, გვ.164). კომპლექსების შემცველი ზმნური თუ სახელური ფუძეების მნიშვნელოვანი ნაწილი ქართულსა და მის დიალექტებში სემანტიკურად სითხესთან, კერძოდ, წყალთანა დაკავშირებული (ზმნური ფუძეები: ჰანჰყარი, ჰაჰყი-ჰუჰყი, ჰენჰყვა, ჰყამპალი, ჰყაპანი, ჰყაპა-ჰყუპი, ჰყაპუნი, ჰყეპა, ჰყუმპალი, ჰყურჰყური; სახელური ფუძეები: ლენჰყი, ლენჰყო, ლენჰყობი, ლეჰენჰყო, ლიჰყი; ჰენჰყი, ჰენჰყერი, ჰენჰყო, ჰენჰყობი, ჰონჰყი, ჰოჰყი, ჰყანტი, ჰყანტობი, ჰყაპი, ჰყიტორი, ჰყობი, ჰყორტი). მათი მნიშვნელობაა „სინედლე, სინოტივე, სისველე“ ან „სველი, ნესტიანი, ნოტიო, წყლიანი, ტალახიანი, დაჭაობებული ადგილი“. ხმაბაძვითია ამ რიგის მეგრული ჰიდროგრაფიული ტერმინებიც: ლე(ნ)ჰყ-ი, ჰყე(ნ)ჰყ-ი, ჰყო-ჰყ-ი. ქვემოთ მოცემულია მათი განმარტება და საილუსტრაციო მასალა. განმარტებისას ვეყრდნობით ინფორმატორებს ან სახელდებული ობიექტის გეოგრაფიულ აღწერას. ზოგ ტერმინს, განსაკუთრებით როცა ის მთელ რეგიონშია გავრცელებული, ახლავს რამდენიმე, სემანტიკურად ერთმანეთთან დაკავშირებული განმარტება, რაც თითოეულ შემთხვევაში შეესაბამება გარკვეულ მიკრორეგიონს.

ჰტ (ჰიდროგრაფიული ტერმინი): ლე(ნ)ჰყი. 1. სველი, წყლიანი ადგილი; 2. ნესტიანი ადგილი, სადაც ჭილი იზრდება; 3. წყლიან-ჰენჰყიანი მინდორი ან ტყე; 4. დაბალი, დაჭაობებული ადგილი; 5. ტალახიანი ადგილი. სმ (საილუსტრაციო მასალა):

ლენჭყი - 1. ლენჭყობი ზემო ხუნწში, ზუმში და სხვ. **ლექყი** - ლენჭყი პირველ ჭოღაში, ნახურცილაგოში და სხვ. **ლექყონი** - ლენჭყობი ფახულანში; **ლექყონა** - ღელე და მისი ხეობა ნაფიჩხოვოში. **ოლენჭყე** - ვაკე-ნაჭაობარი სამესხიოში.

ჰტ: **ჭ(ყ)ეჭყ-ი, ჭყე(ნ)ჭყ-ი, ჭ(ყ)ეჭყო, ჭყოჭყო** - 1. ტალახიანი ადგილი; 2. ლენჭყიანი მინდორი ან ტყე; 3. დაბალი, დაჭაობებული ადგილი; 4. წყლიანი ადგილი, სადაც ფეხი ეფლობა. სმ: **ჭენჭყი** - ჭყანტობი ზემო ხუნწში; **ჭეჭყიმ წყარი** - წყარო თამაკონში. **ჭეჭყონა** - ლენჭყობი ნაჯახავოში. **ჭყენჭყი** - ლენჭყობი დიდ ინჭხურში; ჭანჭრობ-ბუჩქნარი ჭალეში და სხვ. **ჭყენჭყონი //ოჭყენჭყე//ოლებე** - დაჭაობებული ადგილი ლეჭოლიხეში; **ოჭყენჭყე** - ლენჭყიანი ბუჩქნარი სარაქონში, ჭაობნარი ლეგახარეში, ჭილნარი ხაბუმეში და სხვ. **ჭყეჭყი** - ლენჭყობი თამაკონში, ალპური საძოვარი მთა აფიცარაზე. **ჭყეჭყონი** - სველი ფერდობი ნაკიფუმში. **ჭყეჭყონა** - ღელე საბერულავოში, ჭყანტობი აბედათში და სხვ. **ჭყეჭყონია** - ჭეჭყობი დღვანაში. **ოჭყენჭყე** - ბუჩქნარი ნოღასა და ბობოთში, ალპური საძოვარი ხობისწყლის ხეობაში. **ოჭყენჭყუმეში** - ჭენჭყობი ნახუნაოში. **ჭყეჭყო** - ლენჭყიანი ადგილი ნახუნაოში. **ჭყეჭყუ** - ბორცივი ნახუნაოში. **ჭყოჭყო** - ღელე ლეღვინჯ ილეში. **ჭყოჭყონა** - ჭენჭყობი ნაჯახავოში.

ჰტ: **ჭყები** - სველი, ჭყაპიანი, მცირეწყლიანი ადგილი. სმ: **ჭყებიში //ჭყებიში** - ჩავაკებული ადგილი ლეშამუგეში. **ჭყებონა//ტყაპონა** - ვაკე-საკარმიდამოები ქვემო ხუნწში. **ჭყებირზენი** - საძოვარი ნაშამგუმში.

ჰტ: **ლეჟა** - წყლისპირა ტყე, სადაც წყალია ჩამდგარი. **ლეჟერი** - 1. წყლით გაჟღენთილი ადგილი, სადაც თხმელები იზრდება; 2. ჭენჭყობი მდინარის პირას; 3. წყლიანი, დაჭაობებული ადგილი; 4. ტენიანი ადგილი, სადაც გვალვისას სიმინდის კარგი მოსავალი მოდის. სმ: **ლეჟა** - სქურჩის ხეობის მონაკვეთი ჟუმითში. **ლეჟერი** - სოფლის კუთხე ხაბუმეში, ვაკე-სახნავები პირველ ჭოღაში, ჭალა-სახნავები კირცხში და სხვ.

ჰტ: **ჟღებ-ი, ჟღვაბუ, ჟ(ღ)ჟღლი**. ჟღ - კომპლექსის შემცველი ჭიდროგრაფიული ტერმინების ზოგადი მნიშვნელობაა: 1. ნესტიანი ადგილი; 2. თხელი ჭენჭყი; 3. წყლიანი ადგილი, სადაც ფეხი არ ეფლობა; 4. დაცვარული ბუჩქნარი ან მაღალი ბალახი,

შამბი; 5. მდინარისპირა ნესტიანი ადგილი, ტყე-ჭენჭყი (შღრ. ქართ. ყუყლი, ჟღვიპი, ჟღერი, ჟინჟლი).

სმ: **ჟულუ** - ვაკე ოჩხომურის ორსავე ნაპირას პირველი ჭოლაში. **ჟლება** - ჭენჭყი მდ. აბაშის მარცხ. მხარეს, ორქაში. **ჟლები** - ჭყანტობი ნამიკოლავო პირველში და ვაკე-ჭენჭყობი პირველ ჭოლაში. **ჟლებონი** - სახნავი ზემო ნაგვაზავოში. **ოჟლებე** - გუბე ლეჯიქეში და ჭენჭყობი ლედარსალეში. **ჟღვაბუ** - ნესტიანი ადგილები მდ. »ადვანის ორსავე მხარეს, ვედიდკარში. **ჟღვაბუ(ონა)** - ჭეჭყობი ბალდაში. **ჟლუჟლუ** - ვაკე-ჭენჭყობი ისკიის მარჯ. მხარეს, სერგიეთში.

ჰტ: **ონწარე** - 1. ღრმა, გაუვალი ჭაობი; 2. დაჭაობებული ადგილი, სადაც ჭილი იზრდება; 3. ჭაობ-თხმელნარი; 4. გრილი, ნესტიანი ადგილი; 5. ჭენჭყობი.

სმ: **ონწარე** - ტორფნარი ხაბუმეში, ჭაობ-თხმელნარი ოჩეში, ტყე-ჭაობი დიდი ჭყონში, ლელე ხანწკში; **ონწარეში** - ჭაობი დამიანის ორსავე მხარეს, ეწერში. **ოწარეში//ოწერეში** - მდინარისპირა ადგილი ნაგებერავოში და სხვ.

ჰტ: **ფატე** - 1. რბილი ადგილი, სადაც ქვეშ წყალია. გავლი და მიწა ირყევა; 2. ტორფნარი, ჭაობიანი ადგილი. სმ: **ფატე** - ტორფნარ-ბუჩქნარი ნამიკოლავო მეორეში. **ფატე//ონწარე** - ჭაობი ნამიკოლავო პირველში.

ჰტ: **ჩირე, ჩგრე** - 1. ღრმა ტლაპო; 2. გაუვალი ტლახი; 3. მცირე ჭაობი-ისლნარი. სმ: **ჩირე** - ისლნარი ჭაობი ქვედა ჩხოროწყუში. **ლაჩირე//ლაჩგრე //ლაჩერე** ← ლალჩირე „ღელე-ჭაობი“ ან ლალგეშ ჩირე „ღელის ჭაობი“ - ლელე მონგირსა და ლესიჭინეში. **ნოჩგრია** - სახნავი დიდ ინჩხურში.

ჰტ: **ჩირქი** - 1. ჭენჭყიანი ადგილი; 2. დაბალი ადგილი, სადაც ნაწვიმარი წყალი დიდხანს რჩება. სმ: **ჩირქი** - ჩადაბლებული ადგილი, სადაც წყალი დგებოდა (ქ. წალენჯიხა. ყოფილი ჩაის საბჭოთა მეურნეობის ტერიტორია).

ჰტ: **პალოტი** (რუს.) - ჭაობი, დაჭაობებული ადგილი. სმ: **პალოტი** - ლენჭყობი მედანში.

ჰტ: **ღღვებუ, ღღობო** - 1. ტბორი, რომელსაც ფსკერი ტალახიანი აქვს და შესვლისას იმღვრევა; 2. თხელი, ღრმა ტლაპო; 3. ტალახიანი გუბე, წუმპე (რაც ხშირია ნამდინარეებში, მდინარისპირა ადგილებში). სმ: **ღღვებუ** - გუბეები, ტლაპოები

ახუთში, ზუმში, ლეგახარეში, ლესიჭინეში, ლეწურწუმეში, ლეჯი-ქეში და სახნავი მეორე ბალდაში; **დღვებუში** - მორვეი ხობის-წყალზე, ზუმში. უწინ აქ გუბე ყოფილა. მერე მდინარეს კალაპოტი შეუტვლია და ზედ გადაუვლია. **დღობუში//დღვებუში** - საძოვ-რები ხობისწყლის ხეობაში.

ჰტ: **ლეტა//მეტა** - 1. ტალახი; 2. ღრმა ტალახი; ტლაპო, ლია. სმ: **მაძინია(შ) ლეტა** - ჩავარდნილი ადგილი ეწერფერდში. **'ურუაშ ლეტა** - სახნავი საჩინოში. **ლეტაში** - მინდორი საბერულავოში. **ლეტეში** - ჰენჭყიანი ვაკე კირცხში. **მეტეეში** - გუბებეიანი ჩადებლელი ადგილი ლეფოჩხუეში. **ლეტონა** - სახნავი მაზანდარაში. **ლეტონი** - ფერდობი ვახაში. **ლეტონია** - სახნავი ქოყოში. **ოლეტელალ** - დეღე მუხურში. **ომეტე** - ლენჭყობ-ბუჩქნარი ნამიკოლავო მეორეში.

ჰტ: **ონდვალე//ონდვაშე** (← ნდუალა „ჩაფლობა, ჩადირვა“) - 1. რბილი, წყლით გაქდენთილი ადგილი; 2. ტლაპო, ლია, საფლობი. სმ: **ონდაე//ოლარი** - სერი ნალეფსაო-ჭაბურთაში. **ონდვალე** - ბუჩქნარი ხანწყვი. **ონდვაშე** - ტლაპო ლემიქავეში და დაჭაობებული ადგილები აბედათში.

ჰტ: **ო(რ)შუაფე** (← შე „სველი“) - ნესტიანი, ჰენჭყიანი ადგილი. სმ: **ო(რ)შუაფე** - ტყე ზედა ლიაში; **ოშუაფე** - ჰენჭყიანი ადგილი პალურში.

ჰტ: **ჭაჭახი** - სველი, ჰენჭყიანი ადგილი. სმ: **ჭაჭახი** - უბანი ობუჯში, წყარო და სახნავი გაჭედელში, ჭალა-სახნავი წაჩხურში.

ჰტ: **თქოფი//თქეფუ** - წუმპე, ტლაპოიანი გუბე. სმ: **თქოფონა** - ლენჭყიანი ხევი სამესხიოში.

ჰტ: **ოლონტყე//ოლენტყეში** (← ლონტყუა//ლენტყუა „წუმპეში, ლაფში ტოპვა, გორაობა“) - 1. ლია, საფლობი; 2. ღრმა ტალახი, სადაც სიცხეში საქონელი მიდის გასაგრილებლად; სატოპელა. სმ: **ოლონტყე** - ტლაპო ნაფიჩხოვოში. **ოლონტყეში** - ტლაპო ნოდაში, დაჭაობებული ადგილი დ. ჩხოროწყუში, ნატბევარი თაიაში. **ოლონტყეუეში** - ტლაპო სანაჭყებოში. **თუნთიშ ოლონტყეში** - საფლობი გაჭედელის სატყეო უბანში და სხვ.

ჰტ: **ონტყოლე** (← ნტყოლუა „ლაფაობა, ლაფში ტოპვა, წუმპეში გორაობა“) - 1. ხელოვნური ან ბუნებრივი საფლობი; 2. ტალახიანი გუბე, ლია, ტლაპო.

სმ: **ონტყოლ(ჯ)** - 1. ტყე-საძოვრები ჭალის სატყეო უბანში; 2. ტყე-ლენჭყობი ხობისწყლის ზემოთში; 3. საძოვარი მაგანის ხეობაში და სხვ. **ონტყოლე** - დეღე სალხინოში. ტყე ბარხის სატყეო უბანში. **ონტყოლეში** - საძოვარი ტალერის სატყეო უბანში. **ონტყოლიში** // **ონტყოლაშე** - ჩადაბლებული ადგილი ეწერფერდში. **ონტყოლუ** - გუბე მუხურში. **ონტყოლუე** - გუბე ლარაში.

ჰტ: **პაპანწყვილ-ი** - 1. ღრმა, გაუვალი ტალახი; 2. მცირე ტბორი-ჭაობი, რამდენიმე ათეული კვმ სიფართისა; 3. ცუდი, ტალახიანი გზა. სმ: **პაპანწყვილი** // **პაპაშ ნანწყვი** - მცირე ტბა-ჭაობი ფერდობის ძირას, მეორე ჭოლაში. **პაპანწყვილი** // **ჯაკონუ-რი** - ნამეწყრი ფერდობი, ნატბეური ხანწყვი.

ჰტ: **რახვინ-ი**//**რახვილ-ი**//**რახვი** - 1. გაუვალი ჭაობი; 2. დაბალი ჭაობიანი ადგილი; 3. უღრანი ტყე-ჭაობი; 4. მდინარის-პირა ტყე-ჭაობი; 5. ჭეჭყიანი ეწერი. სმ: **რახვინი** - მდინარისპირა ვაკე ლეჯოლიხეში. **რახვილი** - ჩაის ფართობი, უწინ ჭაობიანი ვაკე-ტყე ჟინოთაში. **რახვი** - მდ. აბაშის ჭალა დიდ ინჩხურში, აბაშისპირა დუბე ბობოთში, დეღე საელიავოში.

ჰტ: **ოწყარდე**//**ორწყანდე** - 1. სველი, წყლიანი ადგილი; 2. ჭენჭყიანი დაბალი ადგილი. სმ: **ოწყარდე**//**ო(რ)წყანდე** - დეღე და მისი ხეობა ნაკიფუში.

ჰტ: **ოცანცალეში** - 1. ზანზარა; 2. ჭაობი, რომელსაც მკვ-რივი ზედაპირი აქვს და ფეხის დადგმაზე ირყევა (← ცანცალი „რყევა, რხევა, ნძრევა, თრთოლა, ცანცახი, კანკალი“). სმ: **ოცან-ცალეში** - ჭაობი ნამიკოლავო მეორეში.

ჰტ: **პალურ-ი** - 1. გაუვალი ჭაობი; 2. მდინარისპირა ტყე-ჭაობი. სმ: **პალური** - ტყე-ჭაობი სარაქონში; 2. სოფელი ენგურის მარცხ. მხარეს.

ჰტ: **ლებ-ი** - 1. შავი მიწა, რბილი, წყლით გაჟღენთილი; 2. შავი მიწა-ტალახი, რომელსაც საღებავად იყენებენ; 3. სამკურნა-ლო ტალახი (ქარისა და რევმატიზმის წამალი); 4. დაჭაობებული ნიადაგი; 5. მერგელის სიპი ქანი. სმ: **ლები** - ლენჭყი-ბუჩქნარი ლარასა და სამეხსიოში; **ოლებე** - ლენჭყიანი ფერდობი ნაშამგუ-ში, ტლაპო ლეთკანთში, ჭაობიანი ბუჩქნარი ზუმში და სხვ. **ლებონა** - სახნავი ქვედა ჩხოროწყუში. **ოლებეში** - ტყე ლეა-ხალეში, **ლებტობა** - მორევი მდ. ოხოჯელალზე, კირცხში.

ჰტ: **ლეკ-ი** - 1. შავი მიწა, რომელსაც საღებავად იყენებენ; 2. რბილი, ლილისფერი მიწა, წყლის დანალექი; 3. მოლურჯო-მომწვანო სველი მიწა, რომელსაც საღებავად იყენებენ; 4. შლამი - მერგელის ნაშალი. სმ: **ლეკი** - 1. ხობისწყლის ჭალა-სახნავეები ლეგახარეში, ოჩხომურის ჭალა-სახნავეები პირველ ჭოლაში და სხვ. **ოლეკეში** - დაჭობებული ბუჩქნარი ზანის ჭალაში, ახუთში; სახნავი შების მარცხ. მხარეს, ნოლაში; ტყე-ხევი არჯანიაშ დეის ხეობაში, აბედათში; ვაკე-ჭაობნარი თარგამეულში. **ოეკეში** - სახნავი ლეგულორდეში, დელე-ხეობა ლეცავეში. **ოდეკე(ში)** - ლენჭყიანი ფერდობი წაჩხურში და სხვ.

ჰტ: **ლია** - ლამი, საფლობი ტალახი (ქეგლი); „ხოლო ლერ-წმონათა საფლობთა ეწოდებიან ლია“ (საბა). ლია, ლამი ანუ ტალახი (ნ. ჩუბინაშვილი). ცოცხალ მეტყველებაში არაა დადასტურებული. სმ: **ლია** - სოფელი ენგურის მარცხ. მხარეს, ვაკეზე, წალენჯიხის რ-ში. **ლიო** - დელე, ონახვამის შენაკადი (ილორი, ოჩამჩირის რ.). **ოლიე** - ჭაობნარი გინძე ეწერში (გალის რ.).

ჰტ: **თორსა** - რბილი, ნესტიანი ადგილი, სადაც ფეხი ეფლობა. სმ: **თორსა** - სოფელი ხობის რ-ში, ტყე ნასოფლარ წყავაშში (წალენჯიხის რ.).

ბ. სემანტიკური ველი: „**ღრმა, დაგუბებული წყალი**“.

ჰტ: **ზღვია, ზღვაურა** - მცირე ზღვა, ტბა. სმ: **ზღვია** - ნატბევარი ქ. წალენჯიხაში (ყოფილი ჩაის საბჭოთა მეურნეობის ტერიტორიაზე); 2. ტბა ეკის მთაზე, საჩიქობავოში და ხანჭკოლის მარჯ. შენაკადი გაღმა შუა ხორგაში (მოტივაცია: „წყალდიდობისას ფართოდ იშლება, იტბორება და ზღვას ემსგავსება“); **ზღვაურა//ბაახიას ზღვაურა** - ტბორი გაუწყინარში.

ჰტ: **ტობავარჩხილ-ი** - კამკამა ტბა. სმ: **ტობავარჩხილი** - მცირე ტბა ხობისწყალ-მაგანის წყალგამყოფზე. **ტობავარჩხილი//დიდი ტობავარჩხილი** - მცირე ტბა ტეხურის ზემოთში. **ტობავარჩხილი //ჭიჭე ტობავარჩხილი** - მცირე ტბა ჭვევე გვალაში (ტეხურის ზემოთი). **ტობავარჩხილი//ქუაშკარეშ ტობავარჩხილი** - მცირე ტბა ქუაშკარეში (ტეხურის ზემოთი).

ჰტ: **ტო(მ)ბა** - 1. ტბა, ტბორი; 2. მორვეი, ღრმა ადგილი მდინარეში. ვარიანტი „ტომბა“ იხმარება ძირითადად წალენჯიხისა და ჩხოროწყუს რაიონებში, ხოლო „ტობა“ - მარტვილის რ-

ნში. ამასთანავე, პირველი მნიშვნელობით (ტბა, ტბორი) გვხვდება მხოლოდ „ტობა“.

სმ: **ტობა** - 1. მცირე ტბა ბობოთსა და დიდ ინჩხურში; 2. საძოვარი ხობისწყლის ზემოთში; **ტობაში** - ტბა და საძოვარი ტაბაკოლაში. **ოტობაია** - სოფელი გალის რ-ნში და ტყე ხიფალალის (ტეხურის შენაკადი) ხეობაში (აქ სამგანაა მცირე ტბა); **ოტობეში** - ტბორი და სახნავი თამაკონში; **შონტობა** - მცირე ტბა და ტყე-საძოვრები გაჭედელის სატყეო უბანში; **ტობაუჩა** - ტბორი ქვაითში. **ონიორემ ტობა** - ტბორი აბაშის ზემოთში. ზემოთ მოყვანილ მაგალითებში ტობა ტერმინის მნიშვნელობა იყო „ტბა, ტბორი“. ტო(მ)ბა, როგორც ზემოთ უკვე ითქვა, აღნიშნავს აგრეთვე „მორევს, ღრმა ადგილს მდინარეში“. სმ: **ტობა** - მორევი ნოღელაზე, ონოლიაში. **ტობეში** - აბაშისპირა უბანი ორქაში. **ტობჩა** - საძოვარი მეორე ლესიჭინეში. **ტობაღულა** - მორევი ღაიჩაზე, ნამიკოლაგო მეორეში და სხვ.

ჰიდრონიმიული ტერმინი ტობა შედის აგრეთვე რვაასზე მეტი მიკროობიექტის - ძირითადად მორევების - სახელწოდებაში, სადაც მას ახლავს ატრიბუტული ან მართული მსაზღვრელი. „ტობა“ ინდიკატორიანი ჰიდრონიმების 80% მართულმსაზღვრელიანია. მართულ მსაზღვრელთაგან 20% წარმოადგენს ტოპონიმს ან გეოგრაფიული ობიექტის აღმნიშვნელ საზოგადო სახელს, ხოლო 80% - ანთროპონიმს ან, საერთოდ, ცოცხალი არსების აღმნიშვნელ საზოგადო სახელს (წურთულია ტობა, ჭიჭატობა, ოყორანე ტობა, ტკილტობა, ბირკაიაშ ტობა, ლაუტობა. გვაქვს ზმნური წარმომავლობის ჰიდრონიმებიც: დავითიმ ობონალი ტობა, ლევამ ნაშქვიდა ტობა და სხვ). ვარიანტი ტომბა გვხვდება მხოლოდ მორევების სახელწოდებებში და აუცილებლად ატრიბუტულ (იშვიათად) ან მართულ მსაზღვრელებთან ერთად (ლაგ, რძია ტომბა, შქაჭალემ ტომბა, ჭყონტომბა, კიმოშ ტომბა და სხვ.)

ჰტ: **ინწ(ი)რა** - 1. ვიწრო და გრძელი გუბე; 2. ჩაღრმავებული ადგილი, სადაც წვიმის წყალი გუბდება. სმ: **ინწ(ი)რა** - ვიწრო, წაგრძელებული გუბე მდ. ჭიჭელალის სათავესთან, ნაკიფუში. **ინწ(ი)რა//ინწგრა** - მდინარე, ჭანისწყლის მარჯ. შენაკადი.

ჰტ: **აზმახ-ი//აძმახ-ი** - გუბე, ტბორი მწყემსის სადგომთან, ალპურ საძოვრებზე. შეთვისებულია აფხაზურიდან. სმ: **აზმახი** - გუბე მთა კალამონაზე. **ეკუხონაშ აზმახი** - გუბე მესამე ბალდაში.

წიფერაშ აზმახუ - ტბორი აბაშის ზემოთში. **აძმახი** - გუბე დიდვეში (ყოფილი ჩხოროწყუს სატყეო უბანი). **შვამახიაშ აძმახ** - გუბე, **წორადილი აძმახი** - საფლობი (ორივე სალხინოს სატყეო უბანში). ტოპოლექსემა აძმახ ხშირია სამურზაყანოს ტოპონიმიშიც.

ჰტ: წყარგეხვილერ-ი//წყარგეხუნელ-ი//წყარგეხვილია - ტბორი; ჩაღრმავებული ადგილი, სადაც თოვლისა და წვიმის წყალი გუბდება. **სმ: წყარგეხვილერი** - ჩაღრმავება ნასოფლარ ხუდონთან. **წყარგეხვილირი** - ტლაპო-გუბურა პირველ ეწერში (ყოფილი ორჯონიკიძე). **წყარგეხვილია** - ქვაბური წისქვილარის ხეობაში. გალის ზღვას, რომელიც წარმოიქმნა ერისწყალზე კაშხლის აშენების შემდეგ, ადგილობრივნი უწოდებენ **წყარგეხუნელი** (წყალჩამდგარი) ან **გომბარილი** (გაბერილი).

ჰტ: მონია, მონია - მორევი, სადაც წყალი ბრუნავს, ტრიალებს. **სმ: ოძიგირეშ მონია//ოძიგირეშ ტობა** - მორევი ტეხურზე თარგამეულში, წყალტრიალა მორევი რიონზე, სოფ. სირიაჩქონში; **მონიაშდუდი** - მორევი ზანაზე, ძველ აბაშაში; **მონია** - მორევი რიონზე, ქვიშანჭალაში.

ჰტ: ნერა - 1. მდოვრი; ღრმა წყალი, ნელა მდინარი; 2. მდინარის უბე; გვერდითი მორევი, სადაც წყალი ღრმაა და ნელა ბრუნავს. **სმ: ნერა** - ენგურის მცირე უბე წყოლუში და მორევი რუხწყარზე, რუხში. **ბარდლუშ ნერა** - ღრმა მდოვრი ენგურის ტოტზე, სოფ. ჭალეში.

ჰტ: მართუ (← ირთუუ „ბრუნავს, ტრიალებს“) - 1. მორევი. ღრმა ადგილი მდინარეში, სადაც წყალი ბრუნავს და ტრიალებს; 2. საშიში ადგილი მდინარეში, სადაც წყალი ადამიანს ითრევს. **სმ: მართ(ო)უ** - მორევი ინჩხიაზე, დიდ ინჩხურში; **მართუ** - მორევი ოჩხომურზე, მეორე ჭოლაში, ტეხურზე, გახომელაში და სხვ. **მართუ//მორთუ** - მორევი ნოდელაზე, პ. ონტოფოში; **მართუ-წყარი//მართუ** - მორევი ჭუმზე, ცაცხვში; **უჩამართუ** - მორევი ინწირაზე, კუხეში და სხვ.

ჰტ: ნოყო, ნოცო - ჩაგუბებული წყალი, სასმელად უვარგისი. **სმ: ნოყო** - ლენჭყი ნაგურუში და რუხწყარის შენაკადი შამგონაში; **ნოცო//ნოყო** - ტეხურის შენაკადი ბეთლემში.

ჰტ: კოტო//კოტორო//კოტოტობა - 1. მორევი, რომელსაც ფსკერზე აქვს ქოთნისებური ორმო; 2. წყალი,

რომელიც ქოთნისებურ ორმოში დგას. სმ: **კოტო** - მორვეი ზანაზე, დოშაყეში; **კოტოტობა** - მორვეი ცენდერზე, კურზუში; მდ. ჭალა'ვანაზე, ნაკიანში და სხვ. **კოტორე** - მორვეი ნოღელაზე, ნაჯახავოში. **კოტოროტობა** - მორვეი ნოღელაზე, ზემო ნაგვ-ახავოში.

ჰტ: **ღვარღვაცი**-ი - მორვეი, სადაც წყალი ღურღურებს და ტრიალებს. სმ: **ღვარღვაცი** - მორვეი ინჩხიაზე, დიდ ინჩხურში.

ჰტ: **ფინჯი**-ი - 1. ღრმა, მღორე წყალი; 2. მორვეი კლდის ძირას, სადაც წყალი ტრიალებს. სმ: **ფინჯიში** - მორვეი ენგურზე, ჭველეში. **ბუჯგუშ ფინჯი** - ღრმა უბე ენგურის მარჯ. მხარეს, ჭალეში.

ჰტ: **ნაჩხა//ნაჩხა//ჩიხილ**-ი (← (გო)ჩიხუა - მდინარის გადატიხრვა, გადაკედლვა მთლიანად ან ნაწილობრივ საწისქვილე არხში წყლის გადაგდების ან წყლის დაგუბების მიზნით) - 1. მცირე კაშხალი, ჯებირი მდინარეზე; 2. დაგუბებული წყალი. სმ: **ნაჩხა** - 1. საწისქვილე არხის სათავე-საგუბარი ჭანისწყალზე, კირცხში; მორვეი ხობისწყალზე, ლეგახარეში; საგუბარი ჩხოლუმიანზე, პირველ ეწერში (ყოფილი ორჯონიკიძე); მორვეი წაჩხურზე, ლეგ-ულორდავეში და სხვ. **ნაჩხაშდული** - მორვეი მორინჯეზე, ნახინგუში; **ნაჩხა** - მორვეი-საწისქვილე არხის სათავე გურძე-მიაზე, მეორე კიწიაში; 2. მორვეი ნიშონზე, ზემო გალში და სხვ. **ჩიხილი** - მორვეი-საგუბარი ვა'უზე, ნაფიჩხოვოში და სხვ. **ნაჩხა//ჩანთაშ ნაჩხა** - მორვეი ოჯოლორეზე, რეფი-ეწერში (მდინარე გადაუხიდავს ჩანთა ემხვარს); **ნანაჩხ//ნაწისქვილ** - ნაწისქვილარი წკვიბლაზე, ლეღვინჯილეში. **ოჩიხე** - საწისქვილე არხის სათავე-საგუბარი სქურჩაზე, ნაკიფუში.

ჰტ: **ობონუე//ობონ(უ)ეში, ობონალ**-ი - საბანაო. სმ: **ობონუე** - ღელე გარახაში. **ობონუეში** - ნოწუნუერის შენაკადი ნახურცილაგოში. **ტანიშ ობონუე** - წყალვარდნილი ქორთუადა-ლზე, ფუქში. **ცხენიშ ობონუე** - მორვეი უჩადალზე, სარაქონში. **ბოშეფიშ ობონალი** - საბანაო ჩხოლუმიანზე, პ. გურძემში. **ზაკალნაშ ობონეში** - წყალვარდნილი ჯიხაწყარზე, ლექაჯაიეში.

ჰტ: **საგუბი**-ი, **საგუბარი**-ი - კაშხალი, საგუბარი. სმ: **საგუბი** - საგუბარი, არხის სათავე მუხუმ ღეფეზე, ბანძის, ონოლისა და ნაგებერავოს საზღვარზე. **საგუბარი** - აბჰესის კაშხალი გა-ჭედილში.

პტ: **გოდგინე(ლ)ი** (←გოდგინუა//დოდგინუა - წყლის ისე დატბორვა, რომ იგი ღელის ორსავე ნაპირს გასწვდეს) - დატბორილი წყალი. სმ: **გოდგინე(ლ)ი** - ნოდელის მონაკვეთი და მიმდებარე ჭალა სერგეთში.

პტ: **ოყა(რ)ყალე//ოყაყალე//ოყაყალაია** (←ყაყალი „ბაყაყის ყიყინი“) - ბაყაყიანი გუბე, გუბურა. სმ: **ოყარყალე** - გუბე ქორთულაღლის მარცხ. მხარეს, ლეწურწუმეში, სახნავები სკურ-ჭემიის მარცხ. მხარეს, ნამიკოლავო პირველში; **ოყაყალე** - სახნავი მეტერიის მარჯ. მხარეს, ფოცხოში; ბუჩქნარი მაჩხაპის მარცხ. მხარეს, ლეახალეში და სხვ. მრავალგან დასტურდება აგრეთვე: **ოყაყალაია, ოყაყალუ, ოყარყაეში, ოყაყადაში, ოყაყალეში** - და სხვ.

გ. სემანტიკური ველი: „**მიმდინარე წყალი**“

პტ: **წყარ-ი** - 1. წყალი; 2. მდინარე; 3. მცირე მდინარე; 4. წყარო. ტერმინი გვხვდება 800-მდე ჰიდრონიმში. აღსანიშნი ობიექტი, ჩვეულებრივ, არის მცირე ღელე (პარალელურ სახელწოდებაში ხშირად გვაქვს ტერმინი ღალ) ან წყარო (პარალელურ სახელწოდებაში შეიძლება იყოს ტერმინი წყურგელი), იშვიათად, მდინარე. სმ: **ხოპწყარი** (ხობისწყალი), **წენწყარი** (ჭანისწყალი), **ჩეწყარი, რგილწყარი, ბჟანოურიშ წყარი//ბჟანოურიშ ღეე, გვასაიეფიშ წყარი, ჩხოლუშ ოშუმ წყარი** და სხვ.

პტ: **ღალ(გ)** - ღელე; მცირე მდინარე, რომელიც ზოგჯერ (ხანგრძლივი გვალვისას) კიდევ შრება. გვხვდება 1000-ზე მეტ ტოპონიმში. მარტვილის რაიონში გავრცელებული ვარიანტებია **ღეე** და **ღალ**. ეს ჰიდროგრაფიული ტერმინები დამოუკიდებლადაც გვევლინებიან ჰიდრონიმებად, ჩვეულებრივ კი, მათ ახლავს ატრიბუტული ან, უფრო ხშირად, მართული მსაზღვრელები, მართულ მსაზღვრელთაგან 60% არის ტოპონიმი. ზმნური წარმოშობის ჰიდრონიმებში აღნიშნული ტერმინები იშვიათია (ღალ ტერმინს მთიან სამეგრელოში ოროგრაფიული მნიშვნელობაც აქვს: 1. მცირე ხეობა; 2. ხევი-ტაფობი; 3. სვანი, მშრალი ხევი ფერდობზე). სმ: **კუნტაღალ** - ნოჟალას მარჯვ. შენაკადი ნაგურუმში. **კარერობუმ ღალ** - მელისქურის შენაკადი თაიაში. **სუმღეე** - ჭუმღელის ზემო წელი ლეციცხვაიეში. **სქირულაი** - წაჩხურის მარჯვ. შენაკადი ლეჭაჯაიეში. **ღაია** - ჭიხაშწყარის მარჯ. შენაკადი ლეჭაჯაიეში. **ღაიჩა** (←ღაი უჩა) - ჭითაღელის შენაკადი ონოღიაში. **ღაჯიჯი** (←ღა-

ლდიდი) – ღელე, ხეობა კირცხში და სხვ. **ღალუ** – ცივის მარც. შენაკადი საადამიოში. **ღალძგა** – ღღვების მარც. შენაკადი თორსაში, მდინარე ოჩამჩირის რაიონში და სხვ.

ღალ ტერმინის სხვა, იშვიათად ხმარებული, ვარიანტებია: ღელე, ღელო, ღალი, ღალგ, ღაფ, ღარი. სმ: ჩეღელე, ფაღვეფიშ ღელე, სუშმელო, ხუტიაღელო, ქვაბღალი, ღულაღალი, ბარც-ხონაღალგ, გვაზაეშლაფ, წკირღარი და სხვ. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ღალი და ღეე ტერმინებს ერთმანეთისაგან შინაარსობრივად განასხვავებენ. მაგ., მარტვილის რ-ნის სოფ. ნახუნაოში განმარტავენ: ღალი-ში მცირე წყალი დის, ღეე-ში – მეტი, ხოლო სოფ. ქვემო ხუნწში აგვიხსნეს: ღალი ხევში მიმდინარე წყალია, ღეე კი ვაკეზე მიედინება.

ჰტ: **კვარჩხიღალი(ი)** – უკუღმართი ღელე. აღმა (დასავლეთიდან აღმო-სავლეთისაკენ) მიმდინარე ღელე. სმ: **კვარჩხიღალი** – სკურღღლის შენაკადი პ. გურძემში. **კვარჩხიღალ** – ოჩხომურის შენაკადი ქვედა ჩხოროწყუში. **კვარჩ(ხ)ღალ** – ღელე ულურიაში და სხვ. **კვარჩხიღალი** – სოფელი სენაკის რა-ნში ამავე სახელწოდების მდინარის ხეობაში.

ჰტ: **ნალუ** – 1. ძალზე მცირეწყლიანი მდინარე, რომელიც ადვილად შრება; 2. ღელე, რომელშიც ღალიზე მეტი და ღეეზე ნაკლები წყალი დის; 3. ღრმა ხევში მიმდინარე მცირე წყალი. ტერმინი გვხვდება მხოლოდ მარტვილის რ-ნის რამდენსამე სოფელში. სმ: **ნალუ** – 1. ღელე წინაკვირკვეში; 2. მცირე ღელე ნამიკოლავო პირველში. **ექურდიემ ნალუ** – ღეის მარჯვ. შენაკადი ნახუნაოში. **ფაღვეფიშ ნალუ**, **ფირცხელეფიშ ნალუ** – ღელეები წინაკვირკვეში და სხვ.

ჰტ: **ნოღა** – 1. მიმდინარე წყალი, რომელიც ღეეზე მეტია და ადვილად არ შრება; 2. მცირე მდინარე, რომელიც ვაკე-ხეობაში მოედინება. ამ მნიშვნელობით ტერმინი გავრცელებულია მარტვილის რ-ნში. წალენჯიხისა და და ჩხოროწყუს რ-ნებში მას აქვს ოროგრაფიული მნიშვნელობა: მდინარისპირა ვაკე, ვაკე-ხეობა. სმ: **ნოღა** – ისკიის მარჯვ. შენაკადი. ზემო წელზე ეწოდება ღეე. **ნოღაია** – ტეხურის მარცხ. შენაკადი წაჩხურში; გურძემის მარჯვ. შენაკადი პირველ კიწიაში. **ნოღელა** – მდინარე, რიონის მარჯვ. შენაკადი. **დიდი ნოღა** – ნოღელის ერთ-ერთი მდგენელი ქვაითში და სხვ.

ჰტ: **ნოლო** – ჩადაბლებული ადგილი (ინფ.: „ნოლოში წყალი უნდა იყოს ტბასავით“). ნოლა–ს ვარიანტი ჩანს. გავრცელებულია ქვემო სამეგრელოსა და სამურზაყანოში. სმ: **ნოლო** – სახნავი რიონისა და რუმეს შესართავთან თხმელარში, რიონის ტოტი გაღმა კოდორში, ხევი მახუნჯიაში და უბანი სამქვარში (ორივე გაღის რ.). ნოლო–ხაში ერქვა სოფელს. შეუერთდა ქ. აბაშას.

ჰტ: **შან-ი** – 1. მცირე წყალი, რომელიც არა ღრმა კალაპოტში მიედინება; 2. მცირე ღელე, რომელშიც მხოლოდ ნაწვიმარი წყალი დის. სმ: **შანი** – ღელე ჯოლევიში, ღეის მარჯვ. შენაკადი აბედათში, მცირე ღელე ონოლიაში, ჰეჭყობი საოდიშა–რიოში (ინფ.: „შანი უმოძრაო წყალია“) და სხვ. **ლოშიაშ შანი** – სქურჩის მარჯვ. შენაკადი ლეჩაჯაიეში.

ჰტ: **კიზუ//კიზულე** – 1. ძალზე მცირე მიმდინარე წყალი, რომელიც სათავეს წყაროდან იღებს; 2. მცირე წყალი, რომელიც კლდე–ფიქალებში მოედინება. ტერმინი მარტვილის რ–ნის ორ სოფელშია გავრცელებული. სმ: **კიზუ** – ეკვაშიემ ღაის მარცხ. შენაკადი ჯოლევიში. **ეხურციემ კიზუ** – ეკვაშიემ ღაის მარცხ. შენაკადი ჯოლევიში. **კიზულე** – ქვალრის მარცხ. შენაკადი ლემიქავეში. **ჩაბურიშ კიზულე** – ეკვაშიემ ღაიშ მარჯვ. შენაკადი ჯოლევიში.

ჰტ: **კოკულე** – ძალზე მცირე წყალი, რომელიც წყაროდან მოედინება და არ შრება. ტერმინი გვხვდება მარტვილის რ–ნის ორ სოფელში. სმ: **კოკულე** – არჯანიაშ ღეის მარჯვ. შენაკადი სოფ. აბედათში. **სიგუეფიშ კოკულე** – არჯანიაშ ღეის შენაკადი. **კიკესქუაეფიშ კოკულე** – არჯანიაშ ღეის შენაკადი /ორივე სოფ. ნახუნავოში/.

ჰტ: **ნაწიარ-ი//ნაწიორა** – 1. შენაკრები წყალი; 2. ნაწრეტი, ნაჟური ან წვიმის წყლისაგან წარმოქმნილი ღელე. სმ: **ნაწიარი** – ნოლის მარცხ. შენაკადი პირველ კიწიაში და ჰყონიშელას ერთ–ერთი სათავე წაჩხურში; **ნაწიორა** – ჩხოუშიის მარჯვ. შენაკადი პ. ეწერში (ყოფ. ორჯონიკიძე); ენგურის მარჯვ. შენაკადი ფოცხოეწერში. **ნაწიორაღალ** – ინწირის შენაკადი საჩინოში.

ჰტ: **ნოცია** – ტოტი, განშტოება. სმ: **საგუბიშ ნოცია** – საწისქვილე არხი ბანძაში. საგუბი ერქვა საგუბარს მუხუმ ღეეზე.

პტ: **ნორთ-ი** – განაყოფი, **ნოჭყვედი** – არხი, ნაწყვეტი. სმ. **ინჩხიაშ ნორთი//ინჩხიაშ ნოჭყვედი** – ინჩხიდან გამოყვანილი ძველთაძველი საწისქვილე არხი საელიავოში.

პტ: **სქურ-ი//სკურ-ი, სქურდილა//სკურდილა** – 1. მდინარე ღრმა, ფართო ხეობით; 2. მდინარე ტყიანი ხეობით; 3. ტყე-ხეობა. ტერმინის განმარტება სავარაუდოა.

სმ: **სქური** – მდინარე და კურორტი ჭანისწყლის ზემოთში (წალენჯიხის რ.). **სკურდი** (←სკურდილი) – უბანი და ხეობა, სადაც გაედინება სკურდლი – მდ. გურძემის მარცხ. შენაკადი ნახურ-ცილაგოში; სოფელი, საიდანაც გაედინება სკურდლე – მდ. აბაშის მარჯვ. შენაკადი გაჭედილში. **სკურეფია//სკურებია** – ინწირის მარჯვ. შენაკადი და მისი ხეობა საჩინოში. **სქურჩა** (←სქურჩა) – ტარჩენის მარჯვ. შენაკადი აბედათში, ზანის მარჯვ. შენაკადი ლესიჭინეში და სხვ. **სკურჩე** – ხობისწყლის მარჯვ. შენაკადი სარაქონში. **სქურჩელა** – ოჩხომურის მარცხ. შენაკადი ლეჭიქეში. **სქურდილა** – ჭანისწყლის მარჯვ. შენაკადი და მისი ხეობა. ზემო წელზე ეწოდება **სქუ(რ)ხუმილა//ხუმ(ლა) სქურდილა** (ობუჯი, ქ. წალენჯიხა); **ანგესქური** – ხევი კორჩის მარჯვ. მხარეს, მეორე კიწი-აში. **ბოკისქური** – ოჩხომურის მარჯვ. შენაკადი დ. ჩხოროწყულში. **მახასქური** – ენგურის მარჯვ. შენაკადი ჭალეში. **ფუ(ქ)ისქური** – ჭანისწყლის მარცხ. შენაკადი ლეკაკულეში. **ხომასქური** – წყარო, ღელე-ხეობა დოშაყეში და სხვ.

პტ: **ოღურღულე** (←ღურღული – ქვებს შორის წყლის ნელი დინების ხმა, ჩქამი, ბუტბუტი) – ღელე, რომელიც ქვებს შორის ღურღურით მიედინება. სმ: **ოღურღულე** – ოჩხომურის მარჯვ. შენაკადი და მისი ხეობა მოიდანახეში.

დ. სემანტიკური ველი: „**ზედაპირზე ამოხეთქილი მიწი-სქვეშა წყალი**“.

პტ: **წყუ, წყურგილი** – წყარო. „წყუ“ ძირითადად მარტვილისა და ჩხოროწყუს რ-ნებშია გავრცელებული, ხოლო „წყურგილი“ – ძირითადად წალენჯიხის, ჩხოროწყუსა და გალის რ-ნებში. დამოუკიდებლად და ატრიბუტული მსახღვრელით იშვიათია. მართულ მსახღვრელთა 80% ანთროპონიმია. სმ: **წყუ** – წყარო ქვედა ხუნწში. **წყუიში** – წყარო, ტყე ტაბაკოლას მთაზე, ტყე-საძოვარი აბაშის ზემოთში. **წყუში** – ფერდობი ლედგებეში. **საომარულო წყუ** – წყარო ახუთში. **თხომლოწყუ** – ტურათიმ

დაის მარჯვ. შენაკადი ლემიქავეში, **ძვაბაწყუ** – წყარო სოფ. ჩქვალერში და სხვ. **წყურგილი** – წყარო პირველ ჭოღაში, ტებენის შენაკადი ნაშამგუში. **სუმწყურგილი** – ფერდობი, სადაც სამი წყაროა (ყოფილი სალხინოს სატყეო). **ძვიაშ წყურგილი** – წყარო მუჟავაში და სხვ. ქვემო სამეგრელოში წყუ ეწოდება ჭას, ხოლო წყურგილი – წყაროს: კოტიანეთში ჭასთან მდებარე სახნავის სახელია **წყუმდუდი**.

წყუ//წყურგილი ტერმინების ვარიანტებია: წყურგილე, წყურგიე, წყურგიი, წყურგია, რომლებიც მარტვილისა და სხოროწყუს რ-ნების ათობით ჰიდრონიმებში გვხვდება. იშვიათად ხმარებული ვარიანტებია: წყურდგილი, წყურდგილე, წყურგულე, წყურგუი, წყურგულა, წურღუი. სამურზაყანოში გვხვდება წყურგილე ფორმაც.

ჰტ: **ბინური** – 1. გამორჩეული სასმელი წყალი. 2. უხვწყლიანი წყარო. სმ: **ბინური** – წყაროები კურორტ ლებარდეში, აგრეთვე ქვაითში, ქვემო ხუნწში, პატარა ინჩხურში, ნაკადული ზემო ნაგვაზავოში. **ხანაპიშ ბინური** – წყარო საელიავოში. **ბინურწყარი** – წყარო აბედათში.

ჰტ: **წყუთოლ-ი//წყუთოი//წყუთორ-ი** – 1. მცირე წყარო, რომელიც ზაფხულობით შრება; 2. წყარო, სადაც წყალი მხოლოდ ნაწვიმარზე მოდის; 3. „მიწის თვალი“, სადაც ნაწვიმარზე წყარო გამოდის. სმ: **წყუთოი** – წყარო სტეფასდაბალში. **წყუთოლი** – სახნავი თარგამელში. **წყუთორი** – სახნავი და წყაროები ზემო ნაგვაზავოში.

ჰტ: **ქოლო//ქოლოწყარ-ი//ქოლოწყუ** – წყარო, რომელიც დგას ქოლო, ანუ კოდი, რაც საჭიროა დაჭაობებულ ადგილებში წყლის შესაგროვებლად და სისუფთავის დასაცავად. ქოლოს ზოგან მილიც უდგას. ხის ჭურჭლის სახელი წყაროს აღმნიშვნელ ტერმინად იქცა. სმ: **ქოლო** – წყარო ლემიქავეში, მიქავაში, კირცხში, ნაფიჩხოვოში, მეორე კიწიაში და სხვ. **ქოლოია** – წყარო ახუთში. **ქოიში** – წყარო ლემიქავეში. **ქოლოში** – წყარო ნაფიჩხოვოში, ტყე ლედგებეში და სხვ. **ქოლოწყარი** – წყარო წყოუში. **ქოლოწყუ** – ოწყარის შენაკადი ახუთში. **ქოლოშ წყურგილი** – წყარო შქაშუკში (გალის რ.). **ქოლობანი** (← ქოლოშ უბანი) – სოფელი აბაშის რ-ნში.

პტ: **კოდ-ი//კოდიწყარ-ი//კოდიწყუ** – წყარო, რომელშიც ჩადგმულია კოდი (გულამოდებული ხის მორი). ტერმინი ძირითადად მარტილის რაიონშია გავრცელებული (შდრ. ქოლო). სმ: **კოდი** – წყაროები ქვაითში, ახუთში, სახნავი მონგირში და სხვ. **კოდიწყარი** – წყარო ბობოთსა და პატარა ონჩხურში. **კოდიწყუ** – წყარო ნახარებავოში, ღელე ნოლაში.

პტ: **კოტოწყარ-ი, კოტოწყუ** „ქოთნის წყარო“, ე.ი. წყალი, რომელიც ქოთნისებურ ორმოში ამოდის ან გროვდება წვიმისას. „კოტო“ შესაძლოა იყოს ბუნებრივი ან ხელოვნური. სმ: **კოტოწყარი** – წყარო ჩქვალერში ნაგურაში და სხვ. **კოტოწყუ** – წყარო ლეჟვანიესა და ლეწურწუმეში; კორჩის შენაკადი მეორე კიწიაში. **კოტოწყურგილი** – წყარო ხაბუმეში.

პტ: **ტოხილ-ი//ტოხირ-ი** (← ტოხუა – ამოკვეთა, ამოჭრა ქვაზე, ხეზე, საერთოდ, მაგარ საგანზე) – წყალი, რომელიც დგება (გროვდება) ქვაში, კლდეზე ამოჭრილ ორმოში. სმ: **ტოხილია** – ოჩხომურის შენაკადი მეორე ჭოლაში. **ტოხირი** – წყარო ბობოთში. **ტოხირა** – ფერდობები თარგამეულში. **ტოხრა** – გურძემიის შენაკადი მ. გურძემში; ოწყარიის შენაკადი ახუთში. **ტოხრე //ტოხირია** – წყარო გარახაში. **წყუტოხირი** – წყარო მესამე ბალდაში.

პტ: **წყარგიო(ნ)ტუ** – ადგილი, სადაც წყალი მოჟონავს (წყარი გიონტუ „წყალი მოჟონავს“). სმ: **წყარგიო(ნ)ტუ** – ფართო ლოდი, რომელზეც წყალი მოჟონავს და იქვე მცირე ჩაღრმავებაში გროვდება (სოფ. საბერულავო).

პტ: **წყურგუმალ(გ)** – ვოკლუზი. მდინარე, რომელიც ერთბაშად „გამოვარდება“ (წყარიშ გუმეულა „წყლის გამოსვლა, წყალდიდობა“). სმ: **წყურგუმალ(გ)//წყურგემალ(გ)** – ვოკლუზი, ოცალემის სათავე ნობულევიში.

ე. სემანტიკური ველი: „წყალი მაღლიდან გადმონადენი“

პტ: **ოგვარგვალე//ოგვარგვალაია** – 1. წყლის ნაკადი, რომელიც მცირე სიმაღლის კლდიდან თქრიალით გადმოდის და მორევს აჩენს; 2. მორევი, სადაც კლდიდან გადმონადენი წყალი ეცემა და ტრიალებს, „დულს“. სმ: **ოგვარგვალე** – მცირე ჩანჩქერები შებესა და ჩხოუშიაზე (გოდოგანი, ეწერი); მცირე ჩანჩქერი და მორევი ბებასა და ჯოდორღალზე (თაია, ნაკიანი); ლეფედარის ზემო წელი ლედგებეში. **ოგვარგვაეში** – სქურჩის

შენაკადი ლექსაჲეში. **ოგვარგვალეში** – თხვაპრის შენაკადი ნობულევეში, საჯიქიოღალის ზემო წელი ახუთში და სხვ. **ოგვარგვალაია** – მორევი ღვიაზე, ლეახალეში და კაკილიშ ღალზე, ლესალეში, ჩანჩქერი და მორევი ოჟვაბუეზე, დოშაყეში და სხვ.

ჰტ: **ოგურგინე, ოგურგინჯი** (← გურგინი „გრგვინვა, გრიალი, ქუხილი“) – 1. წყლის ნაკადი, რომელიც მცირე სიმაღლის კლდიდან გრიალით გადმოდის; 2. ვიწრო, კლდოვან კალაპოტში გრიალით მიმდინარე წყალი; 3. მორევი, სადაც ზემოდან ქუხილით გადმომდინარე წყალი ეცემა და ტრიალებს. ტერმინის ვარიანტები: ოგურგუნე, ოგურგენჯი, ოგურგინჯე, გორგონჯი (შდრ. ინგილოური ჩაგურგურაი „წყალვარდნილი“).

სმ: **ოგურგინე//მახასქურიშ ოგურგინჯი** – ჩანჩქერი და მორევი მახასქურზე ჰალეში. **ჰიჰე ოგურგინე** – ოლორის მონაკვეთი ნაშამგუში. **ოგურგინე//ოგვარგვალე** – ჩანჩქერი და მორევი ნეძონისა და შქედღალის შესართავთან, ლეახალეში. **ოგურგინეში** – ოგურგინეშ ღალის ზემო წელი ქვაითში. **ოგურგუნეში//ოგურგენჯი** – ჩანჩქერი და მორევი არჯანიაშ ღეეზე, ნახუნაოში. **ოგურგენჯი** – აბაშის მარჯვ. შენაკადი ბობოთში. **ოგურგინჯი** – ჩანჩქერი ფშქერღალზე, ჰველეში. **გორგონჯი//ოგურგინჯე** – მორევი ტეხურზე, ნამიკოლავო პირველში. **ოგურგუნჯეში** – დიდღაის მონაკვეთი ქვაითში და სხვ.

ჰტ: **წყარგიმაღაფუ** „წყლის გადმოსავარდნი“, **წყარგი(ნ)აღაფუ** „წყლის გადასავარდნი“ – 1. ჩანჩქერი, წყალვარდნილი; 2. დიდად დაქანებულ ვიწრო კლდოვან კალაპოტში უხმაუროდ მიმდინარე წყალი.

სმ: **წყარგიმალ(გ)** – ბუჯერღელის შენაკადი ზემო ხუნწში. **წყარგიმაღაფუ** – ცალრაწყარის შენაკადი ყოფილ მაგანის სატყეოში და ენგურის მარჯვ. შენაკადი ნასოფლარ ხუღონის შემოგარენში. **წყარგიმაღაფუ//წყარგიოღაფუ** – ლეჰეხის შენაკადი კურზუს სატყეოში. **წყარგინოღაფუ** – წყალვარდნილი დიდი ოქაჯის შუა წელზე, ყოფილ ტალერის სატყეოში. **წყარგიაფუ** – წყალვარდნილი ოჩხომურზე, საბერულავოში. **წყარგიაღაფუ** – ტეხურის შენაკადი ლებარდეში და სხვ.

ჰტ: **ოხარჩალე//ოხარჩალაია** (← ხარჩალი „ჩხრიალი, წყლის სწრაფი ღინების ხმა“) – ღარზე ან კლდეზე ჩხრიალით გადმომდინარე წყალი.

სმ: **ოხარჩალე** – ოტოფუეს მარჯ. შენაკადი ქ. წალენჯიხაში, წყარო და ნაკადული ნაკიანში. **ოხარჩალაია** – ლებოხალის მარცხ. შენაკადი პ. ეწერში, წყალ-ვარდნილი ფშქერდალზე, ჭველეში; წყარო ქალაღალში და სხვ.

ჭტ: **ოხხარჩხალე//ოხხარჩხალაია** (←ჩხარჩხალი „ჩხრი-ალი“). მნიშვნე-ლობა ისეთივე აქვს, როგორც ოხარჩა-ლე//ოხარჩალაია ტერმინს, მაგრამ უფრო ფართოდაა გავრცელებული. სმ: **ოხხარჩხალე** – წყალვარდნილი და მორვეი ცივზე, მეორე ლესიჭინეში; ოხხომურის მარცხ. შენაკადი გოდოგანში და სხვ. **ოხხარჩხაე** – კიზულეის ზემო წელი ლემიქავეში და წყარო ლედგებეში. **ოხხარჩხაეში** – ხუტიაღეის შენაკადი დიდ იხხურში, ბურტყონაშ ლეის შენაკადი სკურდში. **ოხხარჩხალაია** – წყალვარდნილი ქუაწყარზე, ჭველეში...

ჭტ: **ოფარხალაია** – 1. საჩქეფი, მცირე ჩანჩქერი; 2. წყლის ნაკადი, რომელიც კლდიდან ჩქრიალით გადმოედინება. ტერმინი გავრცელებულია წალენჯიხის რ-ნში. გალის რ-ნში გვხვდება ვარი-ანტი **ობარხალაია**. სმ: **ოფარხალაია** – საჩქეფი ფშქერდალზე, ჭველეში; მცირე ჩანჩქერი და მორვეი უბადოდალზე, ქალაღალში; **ობარხალაია** – წყალვარდნილი მენჯდალზე, ზემო ცხირში; წარჩის სათავე ხხორთოლში და სხვ.

ჭტ: **უხივ-ი** – უხივი, მცირე ჩანჩქერი. სმ: **უხივი** – მცირე ჩანჩქერი ხხოროწყუს (ტეხურის მარცხ. შენაკადი) ზემო წელზე (ლეხუმის სიახლოვეს. უხივი ლეხუმურ და იმერულ დიალექტებში გავრცელებული სიტყვაა).

ჭტ: **ოკარკალე//ოკარკალაია** (← იკარკალ „რაკრაკებს, ლიკლიკებს“) – 1. წყალი, რომელიც კლდეზე ან ღარიდან რაკრაკით ჩამოედინება; 2. ნაკადული, რომელიც მორაკრაკებს; 3. ანკარა, კამკამა წყალი.

სმ: **ოკარკალაია** – ნაკადული სარაქონში, წყარო აბასთუმ-ანში, სახალიკოს სათავე ხეთაში და სხვ. **ოკარკალე** – წყარო მოიდანახეში, ოკარკალეშ დალის სათავე ლეგახარეში, ჩეღალის შენაკადი ლეჯიქეში. **ოკარკალეში** – ნაკადულები პირველ ჭოლაში, გაშფერდში და სხვ.

ჭტ: **ღარა//ღარა(შ)წყარ-ი, ღარა(შ)წყურგილ-ი; ღარ-ი//ღარ(იშ) წყარ-ი; ღორა//ღორა(შ)წყარ-ი; ღორე//ღო-რე(შ)წყარ-ი** – „ღარი, ღარისწყალი, ღარისწყარო“ – 1. წყლის

ნაკადი, რომელიც ღარზე გადმოდის; 2. წყარო, რომელსაც ღარი უდგას. ღარა//ღარი გავრცელებულია მარტვილის, აბაშის, ჩხოროწყუს რ-ნის სოფლებში. ღორა//ღორე გვხვდება წალენჯიხის, ჩხოროწყუს, გალის რაიონებში:

სმ. **ღარაწყუგრილი** – წყარო ხანწყვი. **ღარი** – წყარო უფა-ლკარში, ლახვაშიის შენაკადი ლედგებეში. **ღარია** – წყარო საესებულოში; **ღარიწყარი** – ნაკადული ქვემო ხუნწში. **ღარუ** – მერსიოლეს შენაკადი ძველ სენაკში; **ღორა** – წყაროები ლეგახარეში, ლეწურწუმეში და სხვ. **რგილღორა** – წყარო ხობისწყლის ზემოთში. **ღორე** – ხევი სამარქვალოში; **ღორეშწყარი** – ოჯოლორედლის შენაკადი ფახულანში, წყარო ცხირში და სხვ.

ვ. სემანტიკური ველი: „მდინარეთა შეერთების ადგილი“

პტ: **აკათაფუ(რი)//ოკათაფუ(რი)** (და მათი ვარიანტები. ←კათაფა „შერევა, გარევა, შეერთება“) – წყალთშესართავი. ღე-ღეთა შეერთების ადგილი.

სმ: **აკათუ** – ოხურეისა და ალაკვარის შესართავი ოხურეში; **აკაკათუ** – ფიცარღალისა და ოკვინორის შესართავი გაგიდაში; ჭანისწყლისა და ინწირის შესართავი საჩინოში. **აკაკათაფუ** – ჭუმისა და ენგურის შესართავი დარჩელში; **აკაკათაფური** – სამი მდინარის – გურძემიის, ნოლაიისა და ლახვაჩიის – შესართავი პირველ კიწიაში. **ოკათაფუ** – ინჩიისა და აბაშის შესართავი მარტვილში; წკვიბლალის შესართავი სქურჩასთან ლეჯოლიხეში. **ოკათაფური** – ჭალა'ვანის შესართავი ზანასთან ნაკიანში. **ოკათუეში** – მოხაშურისა და ხანჯარის შესართავი ლეგოგინეში; **ოკათური** – ოჩხომურისა და ხობისწყლის შესართავი ოჩხომურში. **ოკათურეში** – არჯანიაშ ღეის შესართავი ნოლასთან აბედათში. **ოკაკათაფუ(რი)** – კადარღალისა და შქედღალის შესართავი ლეახალეში. **ღალაკათაფუ** – დოლბაძემ ღალის, ლეფირცხელემ ღალისა და პანაშონაშ ღალის შესართავი გარახაში. **ქრღალოკათაფუ** – გვალაიაშ ღალისა და ცხვაცხუნიაშ ღალის შესართავი ხობისწყლის ზემოთში და სხვ.

პტ: **ჟი(რ)პიჯ-ი** „ორპირი“ – მდინარეთა შეერთების ადგილი. სმ: **ჟი(რ)პიჯი** – რლოუწყარისა და ხარჩიოწყარის შესართავი აბაშის ზემოთში; **ჟირპიჯღაი** – სკურღდაისა და

ჟინოთაშ ღაის შესართავი სკურღში. **ჟიპიჯი** – ნარნესა და ნაურის შესართავი კეთილარში.

ზ. სემანტიკური ველი : „**ვეძა, მლაშე ან მჟავე მინერალური წყალი**“

ჰტ: **აბანა//აბანო** – 1. ბუნებრივი მინერალური წყალი, რომელსაც სამკურნალოდ იყენებენ (სვამენ, ისვამენ გამონაყარზე, იყენებენ სააბაზანოდ); 2. გოგირდოვანი სამკურნალო წყალი.

სმ: **აბანა** – სამკურ. წყალი ქალაქალში; დიჭყის მარჯვ. შენაკადი ხანწყვი და ლენჭყი ოჩხომურში; სამკ. ტალახი ზემო ნაგვ-აზავოში; წყარო რეჩხში და სხვ. **აბანაწყარი** – სააბაზანო-სამკურნალო წყალი პირველ ოხურეში, გოგირდოვანი წყალი წაჩხურში და სხვ. **აბანიეში** – წყარო და დეეფანის სათავე ლეციცხვაიეში. **აბანო** – მინ. წყალი აგარაკ სქურში (ცნობილი „სქურის“ სახელწოდებით); წყარო კოტიანეთში და სხვ.

ჰტ: **მენჯი//მეენჯი//მეინჯი** – 1. ვეძა, მჟავე მინერალური წყალი; 2. მლაშე, მარილიანი წყალი, რომელსაც საქონელი ეტანება; 3. სამკურნალო წყალი, სასმელი ან სააბაზანო; 4. მღვრიე, მაგრამ სასმელად ვარგისი წყალი; 5. უგემური, მყრალი სუნის მქონე წყალი; 6. ადგილი, სადაც მინერალური წყალი ამოდის და ტლაპოს აჩენს.

სმ: **მენჯი** – სოფლები სენაკისა და ზუგდიდის რ-ნებში; მლაშე, მყრალი წყალი ნაფიჩხოვოში; ინჩხიის შენაკადი საელი-ავოში; მინერალური წყალი (ხობისწყლის ხეობაში (ცნობილი „ლუგელას“ სახელწოდებით); ტლაპო აგვავერაში და სხვ. ტოპონიმებია აგრეთვე: **მე(ე)ნჯი, მეინჯი, მენჯიში, მენჯობა, მენჯონა, ომენჯე, ომენჯეში, მენჯლაი //მენჯლეე, სქვერმენჯი** და სხვ.

ჰტ: **ბჟეწყარი-ი** „მჟავე წყალი“ – ვეძა. მინერალური სასმელი წყალი. სმ: **ბჟეწყარი** – წყარო ლიაში; 2. მინერალური წყალი ტეხურის ზემოთში.

თ. სემანტიკური ველი: „**სასმელი წყალი**“

ჰტ: **ოწყარიეში, წყარიშ ეიობუნუ** – ადგილი მდინარ ეზე, საიდანაც სასმელი წყალი ამოაქვთ. სმ: **ოწყარიეში, ივაშ ოწყარიეში** და **ერმინეშ ოწყარიეში** – მორევები წაჩხურაზე, ლეს-ხულუხეში. **წყარიშ ეიობუნუ** – მორევი ინწირაზე, ჩქვალერში.

ჰტ: **წყარი(შ)ოშუმუ//ოშუმწყარი** – 1. სასმელი წყალი; 2. წყლის დასალევი ადგილი. სმ: **წყარი(ი)ოშუმუ** – ღუნჯის მარცხ.

შენაკადი და მისი ხეობა ხობისწყლის ზემოთში. **ჩხოლუმ ოშუმ (წყარი)** – სქურჩის მარჯვ. შენაკადი ნაგვაზუმი. **ცხენიმ წყარიმ ოშუმალი** – წყარო ლექობალეში.

ი. სემანტიკური ველი: „**ფონი, მარჩხობი**“

ჰტ: **ფონ-ი** - თავთხელი, მარჩხობი, მდინარეზე გასასვლელი ადგილი. სმ: **ფონ-ი** – ფონები ოჩხომურზე, დ. ჩხოროწყუსა და ნაფიჩხოვოში; წყალმარჩხი ერისწყალზე, მახუნჯიაში და სხვ. **სერგიაფონი** – ფონი ისკიაზე, სერგეთში. **ნაირემფონი** – ფონი ნაირემღალზე, ხობისწყლის ზემოთში. **თუდოლენი ფონი** – ფონი მაგანაზე, ნასოფლარ წყავაშუში.

ჰტ: **მარჩხა, მერჩხა** – მარჩხობი. ფონი, თავთხელი. სმ: **მარჩხა// თოლორაიაშ მარჩხა** – ფონი მორინჯზე, ნახინგუში; **მარჩხაფონი** – სოფელი გალის რაიონში (თავდაპირველად ერქვა ფონს ქირწყარზე). **მერჩხა** – მარჩხობი, ფონი ოჩხომურზე, პირველ ჭოღაში.

(სემანტიკური ველის - „თევზის ბუდობისა და ქვირითობის ადგილი“ – მასალა განხილულია ამავე ნაშრომში მეთევზეობის ლექსიკასთან დაკავშირებით).

ზემოთ დასახელებული და განმარტებული ჰიდროგრაფიული ტერმინები, იშვიათი გამონაკლისის გარდა, ქართველური წარმოშობისაა. გამოიყოფა ოთხი ფენა: საერთო მეგრულ-ქართული, საერთო მეგრულ-დასავლურქართული, ადგილობრივი (ოდენ მეგრული) და არაქართველური ენებიდან ნასესხები.

ა) **საერთო მეგრულ-ქართული ლექსიკა**. ამ ჯგუფში მოექცა ის მეგრული ჰიდროტერმინები, რომელთაც მოეპოვებათ ფონეტიკური თუ სემანტიკური ეკვივალენტები ქართულ სალიტერატურო ენასა და ქართულის აღმოსავლურ დიალექტებში. აქ პირველ რიგში უნდა დავასახელოთ საერთოქართველური წარმოშობის სიტყვები, როგორცაა: წყარი, წყუ (წყურგილი), ღალ და ტობა (ვარიანტებითურთ).

წყალ- სიტყვის შესატყვისი წყარ- მეგრულში ქართულიდანაა შეთვისებული სესხების გზით (არნ. ჩიქობავა), ოღონდ ამოსავალია არა წყალ-, არამედ წყარო (გ. მაჭავარიანი). კანონზომიერი ფონეტიკურ-სემანტიკური შესატყვისი ჰყორ- ან ჭორ- („წალ“-ისათვის) ტოპონიმიაში არ დასტურდება (ქ. ჯვარში ჭაობ მოღორინის ნაპირას მდებარე საძოვრის სახელწოდება ოჰყორე-სათვის ამოსავალია ჰყორი „მწყერი). თავის მხრივ, წყალ- ფუძის

მეგრულ-ჭანური შესატყვისია წყუ- (←წყოუ ← წყოლ ←წყალ: თ. გამყრელიძე, გ. მაჭავარიანი), რასაც „წყაროს“ მნიშვნელობა მიუღია.

წყუ ხშირია მთისძირა სოფლების მიკროჰიდრონიმიაში, მისგან დასავლეთით გვხვდება წყურგილი, ხოლო სამურზაყანოში – წყურგელი ვარიანტიც. წყუ//წყურგილი ტერმინების ერთმანეთის გვერდით არსებობა იშვიათია. თვლიან, რომ წყუ-ს წინა საფეხური წყოუ არის შემონახული სოფლის სახელწოდებაში წყოუში. არქაულობის თვალსაზრისით საინტერესოა წყუში (ტყე, წყარო ტაბაკოლის მთაზე) ტოპონიმიც.

წყარ- კომპონენტიანი რთული ჰიდრონიმები გამჭვირვალეა. მასთან გამოყენებულ მართულ მსაზღვრელთა უმეტესობა ანთროპონიმებია. პარალელურ სახელწოდებაში შეიძლება „წყარს“ ცვლიდეს „ღალ“.

ღლე სიტყვას სალიტერატურო ქართულსა და ქართულის აღმოსავლურ დიალექტებში ოროგრაფიული მნიშვნელობა აქვს („პატარა ხევი, ჩავარდნილი ადგილი. ჭალა, ხეობა, უღელტეხილი, გადასასვლელი მთაზე“), მაგრამ დასავლურ დიალექტებში მისი სემანტიკა უმთავრესად წყალთანაა დაკავშირებული. ზანური **ღალ(უ)** შესატყვისიც ძირითადად ჰიდროგრაფიული ტერმინია („მცირე მდინარე, რომელიც ხანგრძლივი გვალვისას კიდევ შრება“), მაგრამ მას შენარჩუნებული აქვს ოროგრაფიული მნიშვნელობაც, განსაკუთრებით, მარტვილის რაიონში (ღაი, ღეე „მცირე მდინარე ხეობითურთ; ხევი-ტაფობი; სვანი; მშრალი ხევი, რომელიც ჩამოუყვება მთის კალთას“) ღალ- და მისი ვარიანტები გვხვდება რამდენიმე ასეულ კომპოზიტურ ჰიდრონიმში. მართული მსაზღვრელები მეტ წილ შემთხვევაში საკუთარი სახელებია (ანთროპონიმები, ტოპონიმები).

ტბა ჰიდროგრაფიული ტერმინია. ზანურ ტობა//ტომბა-ს კი მნიშვნელობა გაფართოებული აქვს („მორევი; ღრმა წყალი მდინარეზე; ტბორი; ტბა“). ტობა მეგრულში აღნიშნავს ხეობას, ზოგადად, ჩავარდნილ ადგილს. ხომ არ ჰქონდა ტბას, ისევე როგორს ღელეს, იმთავითვე ოროგრაფიულ-ჰიდროგრაფიული შინაარსი? (შდრ. ტაბახმელა).

ჰყ კომპლექსის შემცველი ზმნური თუ სახელური ფუძეების მნიშვნელოვანი ნაწილი ქართულ-ზანურსა და მათს დიალექტებში სემანტიკურად სითხესთან, კერძოდ, წყალთანაა დაკავშირებული

და წარმოქმნილია ხმაბაძვის საფუძველზე. მათი მნიშვნელობაა: „სინედლე, სინოტივე, სისველე“, ან „სველი, ნესტიანი, ნოტიო, წყლიანი, ტალახიანი, დაჭაობებული ადგილი“. მეგრულში გავრცელებულია ჰიდროტერმინები: ლე(ნ)ჭყი, ჭე(ნ)ჭყი, ჭყე(ნ)ჭყი, ჭყეპი, ჭ(ყ)ეჭყო, ჭყეპი, ჭ(ყ)ოჭყო. აქვე უნდა დავასახელოთ ჭაჭახი, ჭეჭეხი.

ქართული სემანტიკური, სტრუქტურული თუ მასალობრივი პარალელები მოეპოვებათ აგრეთვე მეგრულ ჰიდროგრაფიულ ტერმინებს: მენჯი, ოშუაფე, ო(ნ)ძილე, აბანა, ბინური, ოგვარგვალე, ოგურგინე, ოჩხარჩხალე, ოტოფუ, ოციმუე, ოცანცალეში, ოკარკალე, ხუფინა, ხუხინა, ხაფანა, დღვებუ//დღობუ, ლეყერი, მონია, სიპი, ჩიბე, ღულღურა, ობონუე, ონტყოლაშე, ყი(რ)პიჯი და სხვ.

ბ) **საერთო მეგრულ-დასავლურქართული ლექსიკა.** მეგრული გეოგრაფიული ტერმინების ერთ ნაწილს პარალელები უჩანს ქართული ენის მხოლოდ დასავლურ დიალექტებში, რომლებიც ესაზღვრებიან მეგრულს (გურული, იმერული, ლეჩხუმური). კერძოდ, ჰიდროტერმინთაგან ასეთია: ნოლა, ღვარღვაცი, შხივი, ბეჩა... სამწუხაროდ, დასავლურ-ქართული დიალექტების (ისევე როგორც სვანურის) გეოგრაფიული ტერმინოლოგია არაა დაწვრილებით შესწავლილი, რაც ართულებს ამგვარი შედარების შესაძლებლობას.

გ) **ოდენ მეგრული ლექსიკა.** სამეგრელო-სამურზაყანოს ჰიდრონიმიაში გამოყენებულ გეოგრაფიულ ტერმინთა მნიშვნელოვანი ნაწილი ოდენ მეგრული ჩანს: აკაკათაფუ, გარამი, გასხაპუ, კიზუ, კოკუდე, ლეფეთქირი, მართუ, ნალუ, ნაწიორა, ნოია, ონწარე, ოფარხალაია, რახვილი, რეკა, პაპანწყვილი, ფატე, ფოთქვი, ფოქვა, ქოლო, ხანგუ და სხვ. ამათგან ზოგი **ვიწროლოკალურია**, გავრცელებულია მხოლოდ რამდენსამე მეზობელ სოფელში. ნალუ, ნოლა, ონწარე, რახვინი, ოცანცალეში... მხოლოდ მარტვილის რანის ტოპონიმიში გვხვდება; ობარხალაია, ოფარხალაია, ფინჯიში მხოლოდ ენგურის მარჯვენა ნაპირის სოფლებში დასტურდება; ჰტ კიზუ მხოლოდ ორ სოფელში (ჯოლევი, ლემიქავე) არის ცნობილი, ასევე ორ-ორ სოფელში გვხვდება შანი (აბედათი, ლექაჯაიე) და კოკუდელე (აბედათი, ნახუნავო).

დ. **უცხოური ლექსიკური მასალა** მეგრულ ჰიდრონიმიაში იშვიათია: აფხაზური ჰიდროტერმინი ამხახ(ი), უდავოდ, ბევრად უფრო ადრეა შეთვისებული, ვინემ რუსული დრენაჟი, კანავო, პალოტი, რომლებიც ფიქსირებულია ერთეულ ჰიდრონიმებში.

3.4. მეტონიმია და მისი როლი ჰიდრონიმთა წარმოქმნაში წარმოქმნის მომენტში ყველა საკუთარი სახელი (ტოპონიმი, ანთროპონიმი, ზოონიმი და ა.შ.) მოტივირებულია, ე.ი. სემანტიკურად გამჭვირვალეა, სახელდების მიზეზი ნათელია: ოქრუაშვილები დაერქვა ოქრუაშვილებით დასახლებულ სოფელს. იანვარა უწოდებიათ იანვარში დაბადებული ხბოსათვის, ცხვირა დიდცხვირიანი კაცის მეტსახელია და სხვ.

საერთოდ, ტოპონიმთა წარმოქმნის რამდენიმე გარეგნობრივი საფუძველი არსებობს: 1. ბუნებრივ-გეოგრაფიულ თავისებურებაზე მინიშნება, მაგ., შავდელე, ცივწყარო და სხვ. 2. სოციალური (პოსესიური) ან სივრცითი (გეოგრაფიული) მიმართების აღნიშვნა, მაგ., პეტრიაშვილის წყარო (გამოხატულია პოსესიურობა: წყარო პეტრიაშვილს ეკუთვნოდა), სერისუბანი (აღნიშნულია სივრცითი მიმართება: უბანი სერზე მდებარეობს) და სხვ. 3. მეტაფორიზაცია, მაგ., უნაგირა (უნაგირის მსგავსად ჩადრეკილი ადგილი სერზე), ნამგალა (ნამგალივით მოხრილი სახნავი) და სხვ. 4. ხელოვნური სახელდება, რაც გვაძლევს მიძღვნით-მემორიალურ სახელწოდებებს (მაგ., ოქტომბერი ეწოდა სოფ. კახათის ნაწილს 1927 წელს). 5. სახელწოდების გადატანა, მაგ., გელათი (ლაგოდების რ-ნში), სალმე (გაგრის საქალაქო საბჭოში) და სხვ. 6. ობიექტთან დაკავშირებული რაიმე შემთხვევის აღნიშვნა, მაგ., პეტრეს ნაკაფი სახნავია, რომელიც პეტრემ მოაახოვა. 7. მეტონიმია.

ბერძნული სიტყვა „მეტონიმია“ ნიშნავს სახელის გადარქმევას, მაგრამ როგორც ზოგადლინგვისტური ტერმინი, იგი ამგვარადაა განმარტებული სამეცნიერო ლიტერატურაში: „

“ (სელ, 1980, გვ.806); „

“ (როზენტალი, ტელენკოვა, 1976, გვ.177); „ტროპის სახე. მოვლენის, ცნების ან საგნის სახელწოდების შეცვლა სხვა სახელით...“ (ქსე, 6, გვ. 615)...

ტოპონიმოკაში მეტონიმია ეწოდება სახელწოდების კონტაქტურ გადატანას, გადანაცვლებას მომიჯნავე ობიექტზე. რუსი ტოპონიმისტები მას, ჩვეულებრივ, განიხილავენ

როგორც ტრანსონიმიზაციას, ე.ი. საკუთარი სახელის გადასვლას ერთი ონომასტიკური ველიდან მეორეში. ჩვენი აზრით, მეტონიმიად უნდა ჩაითვალოს ისეთი შემთხვევაც, როცა საზოგადო სახელი, კერძოდ, საგნის, ნაგებობის აღმნიშვნელი ლექსიკური ერთეული იქცევა იმ ადგილის საკუთარ სახელად, სადაც იგი მდებარეობს. მაშასადამე, გვაქვს ჰიდრონიმული მეტონიმიის ორი გზა: **საზოგადო სახელი E ჰიდრონიმი; საკუთარი სახელი E ჰიდრონიმი** (მეტონიმიას ზოგი მკვლევარი ირადიაციას უწოდებს, ზოგი – ალუზიას).

ტოპონიმიკური მეტონიმიის შედეგად ხშირად ვიღებთ ომონიმურ სახელწოდებებს, რაც განსაკუთრებით ხშირია მიკროტოპონიმიასში: ერთსა და იმავე სახელს შეიძლება ატარებდნენ ერთმანეთის გვერდით მდებარე წყარო და სახნავი, ტყე და ფერდობი, სერი და სოფელი... ხდება არაჰიდრონიმული სახელწოდების – ორონიმის, ოიკონიმის, დრიმონიმის, ფიტონიმის – გადაქცევა ჰიდრონიმად. ამ გადაქცევის გზა ასეა წარმოდგენილი: „ - -

“ (კატონოვა, 1975, გვ.11).

საერთოდ, ტოპონიმიკური მეტონიმიის მექანიზმი ჯერ არცაა სათანადოდ შესწავლილი, რაც აღიარებულია კიდევ სამეცნიერო ლიტერატურაში (ოტინი, 1980, გვ.106).

სამეგრელო-სამურზაყანოში აღნუსხულია 10 ათასამდე მიკროჰიდრონიმი. მათი ძირითადი ნაწილი, თითქმის 90%, წარმოადგენს საკუთრივ ჰიდრონიმს, ე.ი. თავიდანვე წარმოიშვა როგორც ჰიდროობიექტის სახელი. მათ წარმოქმნაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს ჰიდროგრაფიული ტერმინოლოგია. საკმარისია აღინიშნოს, რომ მეგრულ ჰიდრონიმთა თითქმის ორი მესამედი წარმოქმნილია 4 სიტყვა-ტერმინის მონაწილეობით. ესენია: **ღალ(გ)** „ღლე, მდინარე“, **ტობა** „ტბა, ღრმა წყალი; მორევი“, **წყუ** „წყარო“, **წყარი** „წყალი, მდინარე“ (ვარიანტებითურთ). ხოლო მეტონიმიას მეტად მოკრძალებული ადგილი უჭირავს ჰიდრონიმიის წყაროთა შორის. პროდუქტიულობით მას მხოლოდ მეტაფორიზაცია და ხელოვნური სახელდება ჩამოუვარდება.

ქვემოთ მოგვყავს მეტონიმის გზით წარმოქმნილ ჰიდრონიმ-თა ტიპური მაგალითები, ხოლო მერე ვისაუბრებთ მათ გარშემო:

ანდრიგორდოუ (← ანდრიშ გორდოუ) – მორევი აბაშაზე, ლეკეკელეში. ანდრის ამ მორევიში ჩადგმული ჰქონდა გორდოუ – თევზის საჭერი გოდორი.

ატამონა – ოჩხომურის მარჯ. შენაკადი კურზუში. ამოსავალი ფუძეა ატამა „ატამი“. –ონა მცენარეთა სიმრავლის მაჩვენებელი სუფიქსია.

ბეჩა – ჩელალის შენაკადი ლეთკანთში. ადგილობრივი გეოგრაფიული ტერმინი (აგტ) ბეჩა აღნიშნავს მღვიმეს და, თავდაპირველად, ერქვა იმ მღვიმეს, საიდანაც ეს მცირე მდინარე გამოედინება.

ბეხუშ დიდქუა „ბეხუს დიდი ქვა“ – მორევი კეიშზე, ფართოღალში.

ბულიშხინჯი „ბლის ხიდი“ – მცირე მდინარე და ხევი სოფ. ფახულანში. ბლის ხიდი დიდი ხანია არ არსებობს, მაგრამ მისი სახელი მდინარემ შემოინახა.

გვალაშარა „მთის გზა“ – ხობისწყლის მარჯ. შენაკადი და მისი ხეობა ლუგელაში. ხეობას აუყვება ალპური საძოვრებისაკენ მიმავალი გზა.

გოლწო „ვიწრობი“ – დიდი ტებენის შენაკადი ფახულანში. ერთგან აქვს კანიონი.

გორტყილი „ერთმანეთში გადახლართული ეკალ-ბარდი“ – მცირე მდინარე და მისი ხეობა სქურდილის ზემოთში (ქ.წალენჯიხა). სახელწოდება წარმოიქმნა როგორც დრიმონიმი (ტყის სახელი), შემდეგ იქცა ორონიმად, კერძოდ, ხეობის სახელად და ბოლოს ჰიდრონიმად – ამ ხეობაში გამდინარე წყლის სახელად.

გოშგრილი – ზაკალონდალის შენაკადი ლეწურწუმეში. გოშგრილი „ჩაცვეთილი“ აღნიშნავს ვიწრო გასასვლელს კლდეებს შორის.

დიდჭყონი „დიდი მუხა“ – ყორათის შენაკადი ახალსოფელში (ხობის რ.). ამას ერთვის **ჭყოროკი** (← ჭყონიშ როკი “გამხმარი ტოტი მუხისა“).

ვიაშ წისქვილი „ელიავას წისქვილი“ – მორევი ინჩხიაზე, ქ. მარტვილში. ელიავას წისქვილი არ შემორჩა, სახელწოდება კი მორევმა დაიტოვა.

ვეგიდე ← ვეგიდე „ველგრძელი“ – აბაშის მარცხ. შენაკადი ლეფოჩხუეში. ვეგიდე თავდაპირველად ალბათ ორონიმი ან აგრო-ონიმი იყო.

ზომოხონა „ძმერხლნარი“ – ოგვარგვალეშის მარცხ. შენაკადი ნაკიანში.

თხომკარი „თხმელის კარი“ – წყარო და სახნავი წაჩხურში. წყარო გამოდის თხმელის ძირიდან. „კარი“ გამოხატავს საზღვრული კომპონენტით აღნიშნული ობიექტის წინ მდებარე ადგილს.

იფონიშხინჯი „იფნის ხიდი“ – ბუახარის შენაკადი ზემო ხუნწში.

კამა – ოჩხომურის მარჯ. შენაკადი ლედარსალეში. მდინარის პირებზე ხარობს ტყის კამა. სხვა შემთხვევაში ასეთ ადგილს კამონი ეწოდება.

კერიშ ნაცვილა „სადაც ტახი მოკლეს“ – ჩელალის შენაკადი ნაკიფში.

კიმოშ ტკილი – მორევი ტეხურზე, ოჩეში. ტკილი მერგელის კლდეა. მორევი ასეთი კლდის ძირშია. კიმო (პირის სახელია) აქვე ესახლა.

კიფლონი „კანაფნარი“ – გურძემიის მარჯ. შენაკადი და მისი ხევი. ხევში ხარობს კიფი – კანაფისნაირი ველური მცენარე (სოფ. გურძემი).

კოსტაშ ღორე „კოსტას ღარი“ – მარჩხილის შენაკადი ნაკიფში. კოსტას ღელისათვის ერთგან ღარი შეუდგამს. ცოტა ზემოთ წყალვარდნილს ეწოდება **კოსტაშ წისკვილი**.

კუნტა ბარცხონა „მოკლე ბაძგნარი“ – სქურდღალის მარჯ. შენაკადი და ტყე-ხევი, სადაც იგი გადის. აქვეა **გენძე ბარცხონაც** (სოფ. ობუჯი).

ლაკანციონი – მორევი ჩხოუშიაზე, პირველ გურძემში. ლაკანცია „აკაცია“ ამ მორევის პირას ხარობს.

ლიარსანე – ყულიწყარის შენაკადი ალერტკარში. თავდა-პირველად ალბათ ერქვა უბანს, სადაც არსანიები (არსანია გვარია) ცხოვრობდნენ.

ლიასგმე – ჭანისწყალის მარცხ. შენაკადი ობუჯში. ლიასგმე ←ლეასგმე ←ასგმავა (გვარია). ოიკონიმი იქცა ჰიდრონიმად.

მიკობოგილი – ტეხურის მარჯ. შენაკადი კურზუს ზემოთ. მიკობოგილი ← მიკობოგუა „ფერდობზე ბოგირის გაკეთება“. ამ დელის ნაპირას, ფერდობზე, შედრმავებული ადგილის თავზე გზა ბოგირზე გადიოდა.

მიკოტახილი (←მგოტახუა „მომტრევა, მოხვევა“) – მორევი ჩხოუშიაზე, ნამიკოლავო პირველში. აქ კლდეზე გზა გაჭრეს. მორევი მის ძირასაა.

მოსაშ იოლაფუ „სალესი ქვის ჩამოსავარდნი (ადგილი)“ – წყალვარდნილი შებეზე, ნოლაში. მოსა სალესი ქვაა. აქ მოიპოვება.

მგონწყვილი „ჩამონამეწყვი, ჩამონაქცევი“ – წყარო და ფერდობი ნაგურუში. რასაკვირველია, სახელწოდება თავდაპირველად ფერდობმა მიიღო.

ნოხინჯენი „ნახიდარი“ – ტუტალის შენაკადი თამაკონში.

ოქაცარე „სათიკნე“ – მორევი ოჩხომურზეხ დ. ჩხოროწყუ-ში. მორევის მიმდებარე ტერიტორია თიკნისთვის ჰქონიათ შემოღობილი.

ოხოჯური – ზანის შენაკადი ახუთში. ცნობილი იყო ორი სახის სახნავ-სათესი – ობერგული (ბერგით, ანუ თოხით, დასამუშავებელი) და ოხოჯური (ხარით სახნავი). ობერგული, ჩვეულებრივ, ფერდობი იყო, ხოლო ოხოჯური – ფართო ვაკე. ე.ი. დღემდე მიიღო მის გვერდით მდებარე ვაკე-სახნავის სახელი.

ოჯოლორე „საძალღე“ – ჭალა'ვანის შენაკადი და მისი ხევი ნაკიანში. სოფლებში, ჩვეულებრივ, დანიშნული ჰქონდათ მოშორებით მდებარე ხრამი ან ხევი მკვდარი ძაღლების გადასადგებად. სწორედ მათ უწოდებენ ოჯოლორეს.

რეკა „მდინარისპირა ქვიანი ადგილი“ – ტეხურის მარცხ. შენაკადი თარგამეულში და ჩხოუშიის შენაკადი პირველ ეწერში (ყოფილი ორჯონიკიძე).

სამახარიო//მახარია – დღე და დასახლებული უბანი ლიაში. მახარია აქაური პირველი მოსახლის გვარი თუ სახელი ყოფილა.

ტახტი – მორევი ზანაზე, ლეჟვანიეში. ტახტი ეწოდება ფართო ლოდს ან კლდეს. მორევი ასეთი კლდე ჩადის.

უშქურია//უშქურონა – გურძემის მარცხ. შენაკადი და მისი ხეობა გურძემში. უშქური ვაშლია.

ფაფალა „ციცაბო კლდე“ – მორევი-საბანაო ხურჩაზე, ნაბაკევიში. კლდის სახელი მის ქვეშ მდებარე საბანაოს სახელად იქცა.

ფიცარხინჯი „ფიცრის ხიდი“ – ენგურის შენაკადი ჭუბურხინჯში.

ქვაბი „მღვიმე“ – ნაკადული მოიდანახეში. წყარო მღვიმიდან გამოდის.

ქვიშონა „ქვიშიანი“ – ერისწყლის მარცხ. შენაკადი ქ. გალში.

ქუაროხუ „ქვალოდი“ – მორევი ინწირაზე, საჩინოში.

ქუარხილი „გახვრეტილი ქვა“ – მორევი ოჩხომურზე, დაბა ჩხოროწყუში. მორევი გახვრეტილი ლოდი აგლია.

ქუაჩამური – „ქვის საცეხველი“ – წყარო ლეკუხონაში.

ქუაწუთურე – მორევი ოჩხომურზე, ლედარსალეში. წუთურე ნიშნავს წვრილს და მაღალს, აზიდულს. მორევი დგას მაღალი ქვის სვეტი.

ჩერტიშხინჯი „ჩელტის ხიდი“ – ანარიაწყარის მარცხ. შენაკადი ანარიაში.

ციკირქუა – მორევი ცივზე, ნოღაში. მორევი დგას მაღალი, წვეტიანი ქვა. ციკირი ნიშნავს აღმართულს, დამდგარს.

ციშხინჯი „თელის ხიდი“ – ხობისწყლის მარჯ. შენაკადი ლეწურწუმეში.

ციცნოური – წყარო, სახნავი მესამე ბაღდაში. –ოურ აწარმოებს ტყეებისა და სახნავების სახელებს, ემატება რა მფლობელის სახელს ან გვარს. ამ შემთხვევაში ამოსავალია ქალის სახელი ციციწო//ციცნა.

ცურნა (← ცურუნა „სუროვანი“) – ღელე და ხეობა ლეხარჩილეში. მაშასადამე, ტყის სახელი იქცა ჰიდრონიმად.

ჭითა ძერწი „წითელი ძეწნა“ – მორევი ზანაზე, სეფიეთში.

ჭითა ხიარი „წითელი შიშველი კლდე“ – ღელე და ხეობა ლეხარდეში.

ჭუბურონა „წაბლნარი“ – ქირწყარის შენაკადი სიდაში.

ხაბო „ციცაბო კლდე“ – ეზარქუემ ლაის მარჯ. შენაკადი აბედათში.

ხაია „ისლურა“ – ენგურის მარჯ. შენაკადი თაგილონში.

ხანგუ „მერგელის ქანი“ - მორევი ჩხოუშიაზე (სოფ. ზემო ეწერი).

ხანჭოლა „თერმია, ლოპინარი“ - დღეე გაღმა შუა ხორგ-აში.

ხარდანონი - მორევი ცივზე, საშურლაიოში. ხარდანი ვაზის ჯიშია. -ონ კრებითობის სახელის მაწარმოებელი სუფიქსია.

ხახუშ რობუ „ხახუს ხევი“ - წკვიბლალის შენაკადი ლეღვინჯილეში.

ხაჯიეთი - წყარო, ხევი ნახუნავოში. -თი მეგრულში ემატება ანთროპონიმს და აწარმოებს პატრონიმულ სახელს.

ხეირი - ტეხურის მარცხ. შენაკადი სოფ. თამაკონში. ხეირი//ხიირი აღნიშნავს შიშველ კლდეს, საიდანაც ქვები ცვივა.

ხოჯიშ გინალეფი „ხარის გაღანავარდნი“ - მორევი ოჩხომურზე, პირველ ჭოღაში. თავდაპირველად ერქვა კლდეს მორევის თავზე.

ხუკუნიშ ნაკუნუ - მორევი ზორღათზე, სადაც ხუკუნს ჩადგმული ჰქონდა კუნო (სოფ. განარჯიის მუხური). კუნო თევზის საჭერი მახეა ერთგვარი.

ხუნა - მორევი სქურჩაზე, ზუმში. ხუნა არის ჯებირი, წისქვილის არხის სათავე-ნაგებობა. მისი სახელი შემორჩა მორევეს, რომელიც აქ წარმოიშვა.

ხურუ - ოჩხომურის მარჯ. შენაკადი და მისი ხეობა ლეღარსალეში. ხურუ აღნიშნავს თაროსებურ შეღრმავებას ფერდობზე, ვაკე-ხევს ფერდობის ძირას. ეს ოროგრაფიული ტერმინი ჯერ იქცა ორონიმად, ხოლო შემდეგ ჰიდრონიმად.

ხურჩა (← ხურუ უჩა „შავი ხურუ“) - ლარაწყარის მარჯ. შენაკადი სოფ. ლარაში და ჭანისწყლის მარცხ. შენაკადი კურორტ სქურის შემოგარენში.

ხუფათი - ლარწყუპის მარჯ. შენაკადი სოფ. ჯოლევეში. -თი სუფიქსი აწარმოებს პატრონიმულ სახელს, რომელიც შემდგომ იქცევა ოიკონიმად. ბოლო საფეხურზე იგი ჰიდრონიმად მოგვევლინა.

ჯებირეფი „ჯებირები“ - საბანაო ნოღელაზე, ქ. აბაშაში.

ჯღერკი//ჯღერკონა - მორევი ცივის ნაპირას, მეორე ლესიქინეში. ჯღერკი ეწოდება დატოტვილ გამხმარ ბუჩქს.

რა სურათს იძლევა მოპოვებული მასალა?

უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს ჰიდრონიმული მეტონიმიის ორი გზა: ა) საზოგადო სახელი → ჰიდრონიმი; ბ) საკუთარი სახელი (გეოგრაფიული სახელწოდება) → ჰიდრონიმი.

პირველი გზა ასე წარმოგვიდგება: ჰიდრონიმიქტთან დაკავშირებული ბუნებრივი ან ხელოვნური საგნის სახელი შემდგომში თვით ამ ჰიდრონიმიქტის საკუთარ სახელად იქცევა. ბუნებრივი საგნის სახელთაგან ჰიდრონიმიაში გვხვდება: ქვა (ქუარხვილი, ქუაწუთურე, ციკირქუა. . .), ლოდი (ქუაროხუ), ფართო ლოდი (ტახტი), მერგელის კლდე (ხანგუ, ტკილი) . . . ხოლო ხელოვნურ საგანთა სახელთაგან დადასტურებულია ნაგებობათა სახელები: ხიდი (ბულიშხინჯი, ციშხინჯი), წისქვილი (ეიამ წისქვილი), ღარი (კოსტამ ღორე), თევზის დასაჭერი გოდორი (ანდრიგორდოუ) და სხვ.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ზოგ შემთხვევაში ძნელი სათქმელია, ჰიდრონიმული მეტონიმია ერთსაფეხურიანია თუ ორსაფეხურიანი. მაგ., კოსტამ ღორა უშუალოდ ეწოდა დეღეს (ერთსაფეხურიანი მეტონიმია), თუ ჯერ თვით ღარის მიერ შექმნილი მცირე წყალვარდნილის სახელი იყო და შემდეგ იქცა მდინარის სახელად (ორსაფეხურიანი მეტონიმია: საზოგადო სახელი → ჰიდრონიმი → ჰიდრონიმი). მსგავსი კითხვა ზოგი სხვა მეტონიმიურებული ჰიდრონიმის მიმართაც დაიბადება.

მეტონიმიის მეორე გზა: საკუთარი სახელი → ჰიდრონიმი უფრო პროდუქტიულია. რას წარმოადგენს საკუთარი სახელი ასეთ შემთხვევაში?

ა) ყველაზე ხშირად იგი არის ორონიმი. ოროგრაფიული ობიექტის სახელი გადადის მომიჯნავე ჰიდროგრაფიულ ობიექტზე და ვიღებთ ჰიდრონიმს. ასეთ შემთხვევაში ჭარბობს ადგილობრივი ოროგრაფიული ტერმინები, მაგალითად: ბეჩა, გოლწო, გომ, რილი, მიკოტახილი, მკონწყვილი, რეკა, რობუ, ტკილი, ქვაბი, ხაბო, ხეირი//ხიირი, ხიარი, ხურუ და სხვ. ორონიმებად გვხვდება არა მარტო სპეციალური ტერმინებისაგან, არამედ სხვა საშუალებებით წარმოქმნილი სახელებიც. მათ შორის ისეთებიც, რომლებიც გამოხატავენ დანიშნულებას (მაგ.: ოჯოდორე „საძაღლე“ ის ხრამია, რომელიც ამოჩემებული ჰქონდათ მკვდარი ძაღლების გადასაყრელად), წინავითარებას (მაგ.: ნოხინჯენი უთუოდ ერქვა წყლისპირს, სადაც ნახიდარი იყო) ან ამ ობიექტთან დაკავშირებულ რაიმე

შემთხვევას (ხოჯიმ გინალეფი „ხარის გადანავარდნი“ კლდეა, სადაც ხარი გადავარდნილა).

ბ) ორონიმების კვალდაკვალ ჰიდრონიმებად გადაქცევის მის-წრაფებას იჩენენ დრიმონიმები (ბოტანონიმები). ამგვარი სახელები, ჩვეულებრივ, წარმოიშვება ფიტოტერმინებზე -ონა სუფიქსის დართვით. ეს ტერმინებია: ატამა, ბარცხი, ბურლი, კამა, კიფი, ლაკაცია, ლული, უშქური, ცურუ და სხვ.

გ) იშვიათია ოიკონიმთა ჰიდრონიმიზაცია. რეგიონში შეგვხვდება ლე-, სა- ტოპოფორმანტთა მეშვეობით წარმოქმნილი რამდენიმე ჰიდრონიმი: ლეარსანე, ლიასგმე, სამახარიო. ეს სახელწოდებები წარმოიშვნენ როგორც საკუთარი სახელები იმ უბნებისა, სადაც ფუძეში აღნიშნული გვარებია დამკვიდრებული.

ამავე ჯგუფში უნდა გავაერთიანოთ პატრონიმული (-თი სუფიქსით ნაწარმოები) სახელები. ხაჯიეთი ის ადგილია, სადაც ცხოვრობენ ხაჯიას შთამომავლები, ხუფათი კი ხუფას შთამომავლებით დასახლებული უბანია და ა.შ. აღნიშნული ოიკონიმები შემდგომში ჰიდრონიმებად იქცნენ. ამას ხელი შეუწყო სახელწოდების დაცლამ შინაარსისაგან: ხაჯიეთსა და ხუფათში დიდი ხანია არავინ ცხოვრობს. მეტონიმია ორსაფეხურიანია: პატრონიმული სახელი → ოიკონიმი → ჰიდრონიმი.

დ) ზოგი ჰიდრონიმი თავდაპირველად წარმოადგენდა აგრონიმს, ანუ სასოფლო-სამეურნეო სავარგულის (სახნავის, სათიბის, საძოვრის) სახელს. მაგალითად, თხომკარი „თხმელის კარი“, რა თქმა უნდა, ერქვა თხმელის წინ მდებარე მცირე ტერიტორიას. გარკვეული დროის შემდეგ კი ეს სახელწოდება აქვე მდებარე წყაროზეც გადავიდა. ოხოჯური ღელეა, ნიშნავს კი ხარით სახნავ ადგილს. ასეთი ადგილები კი ხშირად მდინარეთა პირებზე იყო. -ურ სუფიქსი ემატება ანთროპონიმს - სახელს ან გვარს და აღნიშნავს, რომ სახელდებული ობიექტი ეკუთვნოდა ამ ანთროპონიმით აღნიშნულ პირს. მაშასადამე, ციცნოური თავდაპირველად წარმოადგენდა აგრონიმს და არა ჰიდრონიმს.

ე) ორიოდ შემთხვევაში მდინარეთა სახელებად ქცეულან დრომონიმები, ანუ გზათა სახელები: გვალაშარა „მთის გზა“, ჯაღრაფონი „ჯაღრის ფონი“.

ვ) მეტონიმია ხდება ჰიდრონიმთა შორისაც. კერძოდ, უფრო მცირე ჰიდროობიექტის, მაგალითად, წყაროს ან წყალვარდნილის,

სახელი შესაძლოა უფრო დიდი ობიექტის, მაგალითად, მდინარის სახელად იქცეს: მენჯი „ვეძა, წყარო“ ღელის სახელია; მდინარეები ბულმენჯი „ბლის ვეძა“, წყარგიოლაფუ „წყალსავარდნი, წყალვარდნილი“ და სხვ.

მეტონიმით წარმოქმნილ ჰიდრონიმთა უმეტესობა მხოლოდ ჰიდროგრაფიულ ობიექტს აღნიშნავს. მაგრამ არის ომონიმის შემთხვევებიც: ერთი და იგივე სახელი ჰქვია ჰიდროობიექტსაც და იმ ობიექტსაც, რომელსაც ეს სახელი თავდაპირველად ეწოდა: უმქურონა – ხეობა და მდინარე, ცურნა – ტყე-ხეობა და მდინარე, ჭყეჭყონა – ჭეჭყობი და მდინარე, ხაბო – ხევი და მდინარე, ხახუმრობუ – ხევი და მდინარე, ხოჯიმ გინალეფი – კლდე და მორევი... ომონიმური ჰიდრონიმები ცოცხალი საბუთებია მეტონიმის პროცესისა.

ჰიდრონიმული მეტონიმია, ჩვეულებრივ, ერთსაფეხურიანია: ორონიმი → ჰიდრონიმი, ოიკონიმი → ჰიდრონიმი და სხვ. იშვიათად გვხვდება ორსაფეხურიანი მეტონიმიაც, მაგალითად, დრიმონიმი (ცურნა – ტყის სახელი) → ორონიმი (ცურნა – ხეობის სახელი) → ჰიდრონიმი (ცურნა – მდინარის სახელი).

სემანტიკის გაბუნდოვანების შემთხვევაში შეუძლებელია დადგენა, თუ რომელი მნიშვნელობაა თავდაპირველი ომონიმური ტოპონიმისათვის – ჰიდრონიმული, ორონიმული, ოიკონიმური თუ სხვა. მაგალითად, ვახა მდინარეცაა და სოფელიც ამ მდინარის ნაპირებზე (მარტივლის რ.), ცხვარკალი მდინარეცაა, ვაკეც და დასახლებული უბანიც ამ ღელის ნაპირას (სოფ. ზუმი). ამგვარი შემთხვევები იშვიათი როდია.

ზოგი ავტორი, მაგალითად, ე. ს. ოტინი (ოტინი, 1980) ჰიდრონიმულ მეტონიმიად თვლის ისეთ შემთხვევასაც, როცა ჰიდრონიმი წარმოშობილია ოიკონიმისაგან გარკვეული ფორმანტის მეშვეობით. მეგრულში ამისი მაგალითი იქნებოდა წყავაშალა. ეს მდინარე ჩაუდის ნასოფლარ წყავაშს (წალენჯიხის რ.), ე.ი. -ალა ჰიდროფორმანტია. მამასადამე, წყავაშალა წარმოქმნილია მორფოლოგიური სიტყვაწარმოების და არა მეტონიმის გზით. ამგვარივე წარმომავლობისაა ჰიდრონიმი ნოდელაც, სადაც -ელა ჰიდროფორმანტია. როგორც ე. მურზაევი აღნიშნავს, მეტონიმიად უნდა ჩაითვალოს მხოლოდ ისეთი შემთხვევა, როცა ობიექტის

სახელწოდება გადადის მეზობლად მდებარე ობიექტზე ყოველგვარი მოდიფიკაციის გარეშე (მურზაევი, 1982, გვ.93).

ჰიდრონიმი, რომელიც თავისი შინაარსით წარმოადგენს ორონიმს, ფიტონიმს, დრიმონიმს, ოიკონიმს და სხვ., ზოგ შემთხვევაში მიღებული უნდა იყოს არა მეტონიმიით, არამედ საზღვრული სიტყვის ჩამოშორებით, რასაც ტოპონიმთა წარმოქმნის **მორფოლოგიურ-სემანტიკური გზა** ეწოდება. ამ დასკვნის გაკეთების საშუალებას იძლევა პარალელურ სახელწოდებათა (ომონიმთა) არსებობა. მდ. ოჩხომურზე მორევს ჰქვია ჭანდარიში//ჭანდარიშ ტობა (სოფ. ოჩხომური), ხოლო მდ. ნოლაზე – კოტორო//კოტორო ტობა (სოფ. ნაგვაზავო). საზღვრული სიტყვა ტობა „ღრმა წყალი, მორევი“ ჩამოცილდა სინტაქსურ კონსტრუქციას, რის შედეგადაც ერთ შემთხვევაში ობიექტს შერჩა მართული მსაზღვრელი, მეორე შემთხვევაში კი – შეთანხმებული მსაზღვრელი (კოტორო „მცირე, პატარა“). ასეთი გამარტივება ხშირია მაშინაც, როცა მსაზღვრელად ანთროპონიმი გვაქვს: ქვათიში//ქვათიშ დალ, არჯანია//არჯანიაშ დეე, თოსქვამია//თოსქვამიაშ წყურგილი, ჭითანა//ჭითანაშ ტობა და სხვ. აქედან გამომდინარე, უნდა ვივარაუდოთ, რომ ანთროპონიმების სხვა სემანტიკურ ველში გადასვლა შედეგია არა მეტონიმიისა, არამედ სინტაქსური კონსტრუქციის გამარტივებისა. დავასახელებთ სხვა მაგალითებსაც: ღოშქუა – დედე და ხეობა ულურიანში, ვახტაია – წყარო ქ. მარტილში, გამახარა – მორევი აბაშაზე (სოფ. ბობოთი) და სხვ.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ხდება პირუკუ პროცესიც: წყაროს, მდინარის, მორევის სახელწოდება გადადის მოსაზღვრე ობიექტზე – საძოვარზე, ტყეზე, სახნავზე, სოფელზე. მოგვყავს რამდენიმე ნიმუში: წყარიოშუმუ „წყლის დასაღვი“ – მდინარე, საძოვარი და ხეობა ჩხოროწყუს სატყეოს ზონაში; წყუთოლი „წყაროსთვალი“ – სახნავი თარგამეულში; წყურგილი „წყარო“ – წყარო და სახნავი ნახუნავოში; ჭითაწყარი „წითელი წყალი“ – მდინარე და ტყე მთა ტორჩაზე, ქალაღალი „ქალაქის დედე“ – სოფელი (წალენჯიხის რ.) და სხვ.

საერთოდ, **მეტონიმია მეგრულში ჰიდრონიმთა წარმოქმნის ნაკლებპროდუქტიული გზაა**. მისი ძირითადი ფორმებია: ორონიმი → ჰიდრონიმი და დრიმონიმი → ჰიდრონიმი, იშვიათია ოიკონიმის, დრიმონიმისა და ფიტონიმის, აგრეთვე

აგროონიმიისა და ცალკეულ ნაგებობათა თუ საგანთა სახე-
ლების გადაქცევა ჰიდრონიმად. ზოგ შემთხვევაში მეტონიმიის
შემდეგაც შენარჩუნებულია პირველადი – მეტონიმამდელი –
მნიშვნელობა, რაც ქმნის ტოპონიმურ ომონიმიას. ჰიდრონი-
მული მეტონიმია ძირითადად ერთსაფეხურიანია.

ტოპონიმიკური მეტონიმია ზოგადონომასტიკური მოვლენაა.
გეოგრაფიული სახელწოდების გადანაცვლება მომიჯნავე ობიექტზე
მსოფლიოში გავრცელებული პროცესია, თუმცა კი მეტ-ნაკლებ
პროდუქტიულობას ამჟღავნებს სხვადასხვა ხალხში. ამ მხრივ მეგ-
რული რაიმიე არსებით თავისებურებას არ იჩენს.

§4. ბარენოზრივი ფაქტორების მნიშვნელობა ტოპონიმთა ეტიმოლოგიისას

ობიექტის სახელდებისას ორი ფაქტორი მოქმედებს და ორივე
ურთიერთშემავსებელი: გეოგრაფიულ-ეკონომიკური და ისტორი-
ული. „ისტორიული ვითარება განაპირობებს იმას, თუ ობიექტის
მრავალი ნიშან-თვისებისაგან კონკრეტულ ეპოქაში რომელი
იქნება ამორჩეული მისი სახელდებისათვის, მაგრამ,
იმავედროულად, რა სახელიც უნდა იქნეს ამორჩეული, იგი ისევ და
ისევ ობიექტის თავისებურებით იქნება განსაზღვრული“
(ჯორბენაძე, 1993, გვ. 76).

სიტყვა, როგორც ცნობილია, შეიძლება მოტივირებული იყოს
გრამატიკულადაც (ე.ი. წარმოებით) და სემანტიკურადაც (ე.ი.
სიტყვის აღრინდელი მნიშვნელობით). მოტივაციის გარკვევა
გვეხმარება, დავადგინოთ, თუ რატომ დაერქვა ამ კონკრეტულ
ობიექტს მაინცდამაინც ეს სახელი. ფოიერბახის თვალსაზრისით, სა-
ხელი არის განსასხვავებლად გამოყენებული ნიშანი; ამასთანავე, ეს
ნიშანი არის თვალშისაცემი, რომელსაც სახელმდებელი აკისრებს,
იყოს საგნის, ობიექტის მთლიანობაში აღქმისა და წარმოქმნის საშ-
უალება. „მოტივაცია საგნის მხოლოდ თვალშისაცემი თვისებაა და
არა უთუოდ კონსტიტუციური, არსებითი ნიშან-თვისება“ (ფოიხუა,
1974, გვ. 121). ერთი მაგალითი: **საპონელა** ქართლურსა და კახურში
აღნიშნავს მცენარეს, რომელსაც ბოტანიკურ ლიტერატურაში
შეესაბამება ტერმინი აბრეშუმა (რუს.: ,).

სახელდების საფუძველია მცენარის მიმსგავსება აბრეშუმის დაფთან. ქეგლ-ი განმარტავს: „**აბრეშუმა** – უფოთლო და უფესვო ერთწლოვანი პარაზიტი მცენარე; დაფისებრი ხვიარა ღეროები და ჯგუფ-ჯგუფად შეკრებილი წვნიკი ყვავილები აქვს; ეხვევა მწვანე მცენარეებს (იონჯას, სამყურას, ჭინჭარს, ანწლსა და სხვ.), ძალიან ასუსტებს და ზოგჯერ სრულიად სპობს მათ“. სიმღერა „საპოვნელაში“ გაცხადებულია კიდევ ერთი ნიშანი: საპოვნელა თურმე „პაწაწინა მარჯნისფერი ყვავილია“, მინდორ-ველად მიმოზნეული.

ყველა აღნიშნული ნიშან-თვისება გარეგნულია და თვალში საცემი. მათგან ქართული ენის სხვადასხვა დიალექტში ამ მცენარის („აბრეშუმას“) სახელდებისათვის სხვადასხვა ნიშანია გამოყენებული: ა) ყვავილი რომ მიუგავს ბეჭედსა თუ მძივს (კახ. ბეჭედა, მოხ. საბეჭდიაი, თუშ. გველიმძივა); ბ) დაფს რომ ჰგავს (ლექს. გველიძაფი, ერწოთიანური – ჭინჭრის დაფი); გ) ვენახივით რომ ეხვევა (რაჭ. გველივენახი); დ) გაბლანდული რომ იზრდება (მესხ.-ჯავახ. გაბლანდულა) და სხვ. ყველა სამოტივაციო ნიშანი გარეგნულია და ადვილად შესამჩნევი. მაგრამ დიალექტთა ერთ წყებაში აბრეშუმას სახელდებისათვის აღებულია, ასე ვთქვათ, შინაგანი ნიშანი: აბრეშუმა ხელით რომ გასრისო, საპონივით აქაფდება. ამიტომ დარქმევი მას გურულსა და ქვემოიმერულში ბუჟუჟა „ქაფიანი“ (ბუჟუჟი „ქაფი“), ლექსუმურში – ხელსაბანი, თუშურში – ქაფუნა და საპონა, ქართლურში – საპონელა, ე.ი. საპნის მსგავსი, კახურში – საპონელა და საპნიყვავილა. როგორც ჩანს, საპონელა იმერულში „პოვნა“ ზმნასთან დაუკავშირებით და „საპოვნელად“ გაუაზრებით. საპონელა სიტყვას მეგრულშიც შეუღწევიან, მაგრამ მისი მნიშვნელობა დაიწყებას მისცემია. ამიტომაც ტოპონიმ **ნასაპონ**-ს ასე განმარტავენ: „აქ აღმართია და ურმის ღერძს აუცილებლად წაუსვამდნენ საპონს“ (ნასაპონ ეწოდება მცირე ტყე-შემადლებას სენაკის რ-ნის სოფ. ახალსოფელში). როცა ახლომახლო მცხოვრებ ხანდაზმულებს ვთხოვეთ, დაწვრილებით მოეთხროთ ამ ადგილის შესახებ, თქვენს: „გაზაფხულობით აქა-იქ გამოჩნდება პაწაწკინტელა წითელი ყვავილი, მიწაზეა გართხმული. რომ გასრეს, საპონივითა“. მამასადამე, მეგრულშიც ერქვა ამ მცენარეს საპონელა (და იგი ამ ადგილას უხვად ხარობდა).

მოტივაციური (ანუ გენეტური) კლასიფიკაცია ტოპონიმთა დაჯგუფების ერთ-ერთი ძირითადი პრინციპია. ამ შემთხვევაში მთავარია, გაირკვეს, რას უკავშირდება ტოპონიმი. ხშირად ხდება,

რომ ფორმობრივად (წარმოების მიხედვით) და შინაარსობრივად (საგნობრივი მიმართების თვალსაზრისით) ერთნაირი ტოპონიმები მოტივაციის თვალსაზრისით განსხვავებულნი არიან: თელ-ეთ-ი და სიმონ-ეთ-ი ოიკონიმებია (შინაარსობრივი პლანი), წარმოქმნილი - ეთ სუფიქსით (ფორმობრივი პლანი), მაგრამ მოტივაციები განსხვავებულია: თელეთი უკავშირდება აპელატივ თელას, ხოლო სიმონეთი - გვარ სიმონიშვილს. ამასთანავე, ერთნაირი მოტივაციის მქონე სახელები შესაძლოა შინაარსობრივი თვალსაზრისით იძლეოდნენ სხვაობას: კაცხ-ურ-ა და ქედ-ურ-ა მოტივაციით (ორივე უკავშირდება ტოპონიმს) და ფორმობრივად (ნაწარმოებია -ურ-ა სუფიქსით) ერთნაირია, მაგრამ არსებითი სხვაობაა შინაარსობრივად: კაცხურა ჰიდრონიმია, ხოლო ქედურა - ყურ-ძნის ჭიშის სახელი.

ტოპონიმიკური კვლევა-ძიების ერთ-ერთი მთავარი მიზანია მნიშვნელობაგაუჩინარებული გეოგრაფიული სახელწოდების ეტიმოლოგია, რაც საშუალებას მოგვცემს წავიკითხოთ ქვეყნისა და ხალხის წარსული. „სიტყვის ეტიმოლოგიის გარკვევა პირვანდელი მნიშვნელობის გათვალისწინებაა, იმ წარმოდგენის ამო-ფესვაა, რომელიც სიტყვაშია ჩამარხული და რომელიც ცხადყოფს, რატომ დაერქვა ეს სიტყვა ამ ობიექტურ მონაცემს. პირვანდელი მნიშვნელობა ისევე, როგორც საერთოდ მნიშვნელობა, სიტყვის ფუძეშია მოცემული: ეტიმოლოგიაც, მამასადამე, სიტყვის ფუძეში უნდა უნდა ვეძიოთ“ (ჩიქობავა, 1937, გვ.48). არნ. ჩიქობავას ეს დებულება ტოპონიმსაც მიესადაგება: ტოპონიმისტიკისათვის უპირველესი ამოცანაა ტოპონიმის ამოსავალი ფუძისა და მისი ლექსიკური მნიშვნელობის დადგენა. მაგრამ ხშირ შემთხვევაში ესეც კი ვერ გვაძლევს ამომწურავ პასუხს კითხვაზე, თუ **რატომ დაერქვა** ეს სახელი, რადგანაც ტოპონიმის წარმოქმნაში მონაწილეობენ ექსტრალინგვისტური, ხშირად შემთხვევითი ფაქტებიც კი. ამასთან დაკავშირებით ვ. ნიკონოვი აღნიშნავს, რომ ტოპონიმისტიკისათვის მთავარია არა ეტიმოლოგია, არამედ ეტიოლოგია, არა მექანიკური დადასტურება ამა თუ იმ ამოსავალი ფუძისა, არამედ სახელდების მიზეზის გახსნა. ეს, რა თქმა უნდა, არ ამცირებს ეტიმოლოგიის აუცილებლობასა და მნიშვნელობას. პირიქით. სწორედ ეტიოლოგიაზე დაყრდნობა აძლევს ეტიმოლოგიას საიმედო დასაყრდენს (ნიკონოვი, 1962, გვ.113-114). როგორც ვხედავთ, ეტიმოლოგია მჭიდროდ არის დაკავშირებულია ეტიოლოგიასა და მოტივაციასთან.

მოვიყვანთ რამდენიმე მაგალითს იმის დასასაბუთებლად, რომ ამოსავალი ფუძის მექანიკური დადასტურება არაა საკმარისი ტოპონიმთა ეტიმოლოგიისათვის, თუ არ გავითვალისწინებთ გარეენობრივი ფაქტორები, კერძოდ, ეტიმოლოგია-მოტივირება, ე.ი. სახელდების უშუალო მიზეზი:

ნაჯვარა სახანავია რიონის მარჯ. მხარეს, სოფ. პირველ ეწერში (აბაშის რ.). მეგრულში **ჯვარუა** იგივეა, რაც ქართულში „ყვერა“, ხოლო ნაჯვარა ნაყვერს ნიშნავს. ამიტომაც სამეგრელოს ტოპონიმის მასალების ზოგი გამომცემელი აღნიშნულ ტოპონიმთან დაკავშირებით ეყრდნობა ხალხურ ეტიმოლოგიას: „ამ მიწის გამო დასჯის მიზნით კაცი დაუკოდავთ“ (ელიავა, 1977, გვ. 53). ამოსავალი ფუძის მნიშვნელობა „ნაყვერი“ მართლაც სწორადაა განმარტებული, მაგრამ არაა დადგენილი ადგილის სახელდების მიზეზი. აღმ. საქართველოს მთიანეთში და რაჭულშიც ნაყვერი ეწოდება მოახოების მიზნით ქერქშემოცლილ ხეს, ან ტყის შემოყვერვით „გამოღებულ“ მამულს (ხორნაული, 1983, გვ. 169; კობახიძე, 1987, გვ. 83). ამ სემანტიკას მეგრულში შეიცავს ზმნა **კაკუა** (წარსული დროის მიმღობა „ნაკაკა“ ხშირად გვხვდება სამეგრელო-სამურზაყანოს მიკროტოპონიმიაში). მეგრულში **ჯვარუა** ზმნას თავის ძირითად (დაკოდვა; საზარდულების ამოცლა) მნიშვნელობასთან ერთად მიუღია მნიშვნელობა „ხის დაკოდვა“, ოღონდ ეს არ ხდება ხის გახმობის, ე.ი. მოახოების, მიზნით.

სამეგრელოში (და, საერთოდ, საქართველოს მრავალ სხვა რეგიონში) არსებობს ერთი ასეთი ხალხური წეს-ჩვეულება: ახალი წლის დილას პატრონი მიაღება უკვე მობერებულ, მსხმოიარობაშეწყვეტილ მსხალს, ვაშლს... და ხმამაღლა იტყვის: არ ისხამს, მოსაჭრელიაო. ნაჯახსაც მოუქნევს, ერთ-ორს შემოჰკრავს, დაკოდავს კიდევ. ამ დროს წინასწარშეპირებული ვინმე მიეჭრება და სთხოვს, არ მოჭრას, ერთ წელს კიდევ მოიცადოს (გაიხსენეთ ნ. დუმბაძის მოთხრობა „ხაზარულა“). ასეთი „შემინებული“ ხე იმ წელს მართლაც მოისხამს (სხვათაშორის, მეცნიერულად დადგენილია, რომ დაკოდვა იწვევს მცენარის სასიცოცხლო ძალების მობილიზებას). ონომასტიკური მასალის ჩაწერისას ასეთი „ნაჯვარა ჯა“ ხშირად შემხვედრია ეზოშიც და სოფლის შემოგარენშიც. მაშასადამე, ამ კონკრეტულ შემთხვევაში **ნაჯვარა არის ხალხური რწმენა-ჩვეულების ამსახველი სახელწოდება**. იგი თავდაპირვე-

ლად ფიტონიმს (ერთეული ხის სახელწოდებას) წარმოადგენდა და ტოპონიმიაში ცნობილი მეტონიმის წესის მოქმედების შედეგად იქცა აგრონიმად.

სამეგრელოში რამდენიმე მცირე მდინარეს და სენაკის რაიონში ერთ სოფელსაც ეწოდებათ **კვარჩხილალ(ი)**, რასაც კოლხურ ტოპონიმთა ლექსიკონებში განმარტავენ როგორც „მარცხიან ღელეს“. აქაც ამოსავალი ფუძის მხოლოდ მექანიკურ დადასტურებასთან გვაქვს საქმე, რადგანაც „კვარჩხი“, მართლაც, მარცხს ნიშნავს. ი. ყიფშიძე განმარტავს: „კვარჩხი

“; პ. ჭარაია: კვარჩხი „უკულმართი“. გ. ელიავაც ამ განმარტებას იმეორებს. მაგრამ ყოველივე ეს ვერ აგვიხსნის, თუ რატომ არის მდინარე მარცხიანი ან უკულმართი. კვარჩხილალ მართლაც არის უკულმართი (ახირებული, არასწორად მავალი მდინარე), თუკი იგი დის არა იმ მიმართულებით, რა მიმართულებითაც სხვა მდინარეები მიედინებიან. ოდიშის ზეგანი დახრილია ჩრდილო-დასავლეთისაკენ, კავკასიონის ქედიდან შავი ზღვისაკენ. მდინარეებსაც, ბუნებრივია, ამ მიმართულებით აქვთ სადინარი. მაგრამ რელიეფის თავისებურების გამო ზოგი ღელე მიემართება ადგილობრივთათვის უჩვეულოდ, სხვა მდინარეთა საპირისპიროდ – ზღვის მხრიდან მთებისაკენ. სწორედ ესაა მათი უკულმართობა, “მემარცხენეობა“. მასასადამე, **კვარჩხილალ სინამდვილეში არის „უკულმა მიმავალი მდინარე“** (შდრ. თავუკულმა ღელე ბაღდათის რაინის სოფ. წითელხევში).

მიგარია (აღგ. ვარიანტი: მინგარიე) ეწოდება მაღალ მთას (სიმაღლე 2024 მ.) მდ. ოჩხომურის სათავესთან, მარტვილის რ-ნში (მეორე სახელწოდებაა ოხაჩქუე). კოლხურ ტოპონიმთა სალექსიკონო მასალების ავტორები ამ სახელწოდებას განმარტავენ როგორც „მტირალას“: „მთაა, რომელზედაც მუდამ ღრუბელია. ხშირი წვიმა იცის. სულ ტირისო, იტყვიან. აქედან წარმომდგარა სახელწოდებაც“ (ელიავა, 1977, გვ. 148), „აქ სულ ნისლი და ღრუბელი დგას, სულ ცრის და წვიმს“ (ელიავა, ფარულავა, შენგელია, 1983, გვ. 79). მეგრულში მინგარი მართლაც ნიშნავს „მტირე“-ს, მაგრამ ტოპონიმის წარმომავლობასთან მას კავშირი არა აქვს.

სამეგრელოსა და სამურზაყანოში ერთ-ერთი მთავარი ღვთაებაა მიქამგარიო (რაც მთავარანგელოზების – მიქეილისა და გაბრიელის – ადაპტირებული ფორმაა). მისი „ერთ-ერთი ძირითადი ფუნქციაა საქონლის, მწყემსისა და საერთოდ მესაქონლეობის

მფარველობა“ (მაკალათია, 1979, გვ. 68). ამასთანავე, „მიქამ-გარიას ადგილსამყოფელია ზეცა. იგი მალა მთაზე ზის, მისი ფერი თეთრია“ (აბაკელია, 1985, გვ.202).

შუშელეებისაკენ (მთის საძოვრებისაკენ) მიმავალ მწყემსებს პირველი დიდი აღმართის თავზე ჰქონდათ ამორჩეული ადგილი შესასვენებლად. აქედან კარგად ჩანდა ბარიც, რომელსაც ეთხოვებოდნენ, და მთაც, სადაც უნდა გამოეზაფხულებინათ საქონელი. სწორედ მთისა და ბარის ამ საზღვარზე ადავლენდნენ ლოცვას მეგრელი მწყემსები და **შესთხოვდნენ მიქამგარიას ან ჭეგეს შეწევნას, კაცისა და საქონლის დაცვას**. აქვე ათევდნენ ღამეს და კლავდნენ შესაწირავს. უკან დაბრუნებისას აქვე ემშვიდობებოდნენ მთას და მადლობას შესწირავდნენ მიქამგარიოს. თ. სახოკიაც მიქამგარიოს „მწყემსების ყველაზე დიდ მფარველსა“ და „მთის პატრონს“ უწოდებს (სახოკია, 1950, გვ.289). მიგარიეც ერთ-ერთი ასეთი მთა ყოფილა. აქ ფართო ველზე დაიბანაკებდნენ მთისკენ დაძრული მწყემსები, ადავლენდნენ ლოცვას მიქამგარიოს სახელზე, დაკლავდნენ შესაწირავს და მეორე დღეს გაუდგებოდნენ გზას. მაშასადამე, **მიგარია არის მიქამგარიოს შემოკლებული ფორმა**, ხოლო მიქამგარიო ქართული მიქელ-გაბრიელის ეკვივალენტი. მთას თავდაპირველად უნდა რქმეოდა მიქანგარიე, საიდანაც ჰაპლოლოგიის გზით ამოვარდა ქა-მარცვალი. ამგვარი შემოკლება ამ კომპოზიტურ ფუძეს განუტვდია არა მარტო ტოპონიმიაში: ეთნოგრაფების მიერ შესწავლილ კოლხურ საოჯახო სალოცავებში ერთს ეწოდება „ოდუდია სამგარიო“ („მთავარი სამიქელ-გაბრიელო“), ხოლო მეორეს - „სამგარიო ოხვამერი“ (ასახელებს ი. ყიფშიძე).

მაშასადამე, **მიგარია კოლხთა ერთ-ერთი რელიგიური რწმენა-წარმოდგენის ამსახველი ორონიმია**.

ოჩხონაფუ ეწოდება სახნავს მდ. ტუხურის ჭალაში, ვედიდის მთის ძირას. გ. ელიავას ერთ-ერთ ადრინდელ ნაშრომზე დაყრდნობით ეთნოგრაფიულ სამეცნიერო ლიტერატურაში გამოითქვა შეხედულება, რომ ოჩხონაფუ არის სახელწოდება საკულტო მიწის ნაკვეთისა, „რომელიც ყველაზე პირველად უნდა დაემუშავებინათ და ნერჩი პატენის (მიწის ბატონის) ან ჟინი ანთარისათვის (ზეციური ანთარი) ოჯახის კეთილდღეობა გამოეთხოვათ. ამის შემდეგ მზენელ-მთესველი ხვავითა და ბარაქით ივსებოდა, იგი ჩხონაფირი იყო“ (რუხაძე, 1970, გვ. 14-18). ავტორი შემდგომშიც დაუბრუნდა

ამ საკითხს, გაიმეორა ადრე გამოთქმული მოსაზრება და დაამატა: „**ოჩხონაფუ, ალბათ, ღვთაებისადმი შეწირული მიწის ნაკვეთის სახელი იყო**“.

ჩვენი აზრით, აგრონომი **ოჩხონაფუ დაკავშირებულია მიწათმოქმედების ადგილობრივ სისტემასთან და წარმოადგენს შხუნა//შხონა ლექსებიდან წარმოქმნილი მოშუნაფა//მოშხონაფა ზმნის მომავალი დროის ფორმას**. არსებული ლექსიკონებისა და გურული დიალექტის, აგრეთვე ადგილობრივ ხანდაზმულთა გამოკითხვით დადგინდა შხონა//შხუნა სიტყვის სამი მნიშვნელობა: ა) საახოვე ტყე. დასასვენებლად შერჩეული ადგილი. „შხუნა ორ-სამ წელიწადს დასვენებულ მიწას გულისხმობს“ (ჯალაბაძე, 1990, გვ. 71); ბ) ახო. ყანა ტყე-ნაკაფზე; გ) ნაყოფიერი, მოსავლიანი მიწა. ამათგან ძირითადია პირველი მნიშვნელობა. სემანტიკური გადაწევა: შხუნა „საახოვე ტყე“ → ახო → „კარგი საყანე ადგილი“, რადგანაც ახალ ნაკაფზე გამართული ყანა ყოველთვის უხვმოსავლიანია. სამეგრელოს ტოპონიმიში დადასტურებულია ტოპონიმები: შხუნა, შხონა, ნაშხვენი, ნაშხვენი//ნაჩხვენი, ნოშხუნენი//ნოშხვენი, ნაშხუნი. ახოს სისტემით მიწის დამუშავება კი საქართველოში უკვე ნეოლითის ეპოქიდან სცოდნიათ (ბრეგაძე, 1969, გვ. 104). „მოჭული“ ახოს გაგდება-გაკორდება და რამდენიმე წლის შემდეგ ისევ გაკაფვა და საყანედ ქცევა მეგრულში აღინიშნებოდა ტერმინით მოშხუნაფა „მოშხუნება“. ახალათვისებულ მიწას ეწოდებოდა მოშხუნაფილი ან შხუნადიხა.

მაშასადამე, მოშხუნაფა//მოშხონაფა, როგორც სამიწათმოქმედო ტერმინი, გამოხატავდა ერთსა და იმავე ადგილას გატყევება-გაყამირებისა და გაახოების პროცესის **პერიოდულ მონაცვლეობას**. საობიექტო მიმღეობა მომავალი დროისა ოშხუნაფუ//ოშხონაფუ სწორედ ფუძით გამოხატული პროცესის განმეორადობა-მრავალგზისობას გულისხმობს. ოშხუნაფუ, ჩვეულებრივ, გარყყანა იყო. „გარყყანებს არ აპატივებდნენ ნაკელის ნაკლებობა-სიმცირისა და, მეორე მხრივ, თვით ყანის სიშორისა თუ საქონლისათვის ძნელად მისადგომი მდგომარეობისა გამო. ამასთან, გარყყანებში უპირატესად ახოები იყო“ (ბრეგაძე, 1969, გვ. 123). გარდა ამისა, ახოს ასაღებად საუკეთესოდ იყო მიჩნეული მდინარის ახლოს მდებარე ჭალის ტყე (რუხაძე, 1985, გვ.211,212). ზემოაღნიშ-

ნული ომხუნაფუ//ოჩხონაფუ სწორედ მდინარისპირა გარეყანაა, სოფ. დობერაზენისათვის მდ. ტეხურს გაღმა მდებარე. როგორც ჩანს, აქ პერიოდულად ენაცვლებოდა ერთმანეთს მიწის გაყამი-რება-გაკორდება და გაახოება, ე.ი. ხდებოდა “მომხუნაფა“. ამიტომაც დაურქმევიათ ამ ადგილისათვის დანიშნულების გამომხატ-ველი სახელი ომხუნაფუ//ოჩხონაფუ. **ტოპონიმის მნიშვნელობის გაზუნდოვანებამ, აგრეთვე მეგრულში შხ და ჩხ კომპლექსების ადვილად შენაცვლებადობამ განაპირობა გადააზრება, რის შედეგადაც ომხონაფუ „მოსაშხუნებელი, საახოვედ გასაკორდებელი“ იქცა ოჩხონაფულ, რაც მართლაც საცხონებელს ნიშნავს.**

§5. კოლხეთის ტოპონიმიური გამოვლენილი ახალი პართულ-მეგრული ფუძეთშესატყვისოგანი

ქართველური ენების ისტორიულ-შედარებითი ლექსიკის კვლევა-ძიებისა და არქეტიპების გამოვლენის სფეროში მნიშვნელოვანი შედეგებია მიღწეული. ამის მიუხედავად, „ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონის“ მეორე გამოცემის (თბ., 2000 წ.) წინასიტყვაობაში ჰაინც ფენრიხი და ზურაბ სარჯველაძე აღნიშნავენ: „ერთგვარი უკმარისობის გრძნობა მაინც რჩება თუნდაც იმის გამო, რომ ჯერჯერობით, სამწუხაროდ, არ არსებობს ქართველური ენებისა და მათი დიალექტების ლექსიკური ფონდის ბანკი, რაც შესაძლებელს გახდიდა მრავალი საერთო ძირის გამოვლენას. ამგვარი სამუშაოს ჩატარების აუცილებლობა, ვფიქრობთ, სადავო არავისთვის უნდა იყოს“. რა თქმა უნდა! მაგრამ ცნობილია, რომ მონათესავე ენების ფუძეენისეული ლექსიკური ფონდის გამოვლენისა და ახალ-ახალი ფუძეთშესატყვისობების დადგენის საქმეში, წერილობითი ძეგლებისა და სალიტერატურო ენისა თუ დიალექტების ლექსიკონების გარდა, მეტად ფასეულია ონომასტიკური, კერძოდ კი ტოპონიმიური მონაცემების გათვალისწინებაც. რამდენი შემთხვევაა ცნობილი, როცა თუნდაც მხოლოდ ტოპონიმიურ მასალაზე დაყრდნობით გამოუთქვამთ ანგარიშგასაწევი ვარაუდი ამა თუ იმ გამქრალი ან ადგილგადანაცვლებული ეთნოსის უწინდელი განსახლების არე-

ალის შესახებ. მაგალითისათვის შორს წასვლა არ დაგვჭირდება: სწორედ ტოპონიმთა ანალიზის შედეგების გათვალისწინებამ მისცა ივ. ჯავახიშვილს ლოგიკური წანამძღვრები ქართველური ტომების მიგრაციასთან დაკავშირებით ორი მნიშვნელოვანი დასკვნის გასაკეთებლად: ა) „კოლხეთის სამხრეთსა და აღმოსავლეთს ნაწილში მხოლოდ მეგრულ-ლაზების ტომები ცხოვრობდნენ“; ბ) „ძველად სვანები გაცილებით უფრო სამხრეთით ბინადრობდნენ, ვიდრე ეხლა ცხოვრობენ“.

ქართველურ კომპარატივისტიკაში ცნობილია შემთხვევები, როცა საერთო ქართველური ან ქართულ-ზანური ფუძის დასადგენად ერთ-ერთ შესადარებელ ენაში მხოლოდ ტოპონიმური ეკვივალენტი მოიპოვება. მეგრულ-ლაზური ჰყონ-//ჰკონ- „მუხა“ ძირის ქართული შესატყვისი წყან-//წყნ- დადასტურებულია მხოლოდ ტოპონიმების სახით. ესაა, უპირველეს ყოვლისა, **წყნეთი** (ჩიქობავა, 1938, გვ.128) და, შესაძლებელია, **წყან-ა-რა** (ორონიმი გურიაში, აცანის მახლობლად) და **წყან-ი-მერ-ი** (ტყე აჭარაში, სხალთასთან), რომლებიც ჰ. ფენრიხმა აგრეთვე ჰყონ- ფუძეს დაუკავშირა (იხ. ქეელ, 2000, გვ. 676).

მონათესავე ენების ისტორიულ-შედარებითი ლექსიკის კვლევისას ტოპონიმისა რომ განსაკუთრებული როლი ეკისრება, ეს კარგად ჩანს ჰაინც ფენრიხის „ქართველური ტოპონიმის“ ბოლო თავიდანაც, რომელიც სწორედ ასეა დასათაურებული: „ტოპონიმი და რეკონსტრუქცია“ (იხ. ფენრიხი, 1998). ამ თავში თავმოყრილია როგორც სხვადასხვა დროის ქართველ მკვლევართა, ისე თვით ავტორის მიერ საგანგებოდ ამ დანიშნულებით გამოვლენილი ფუძისეული თუ არაფუძისეული მასალა: ტოპონიმებს – ტაბახმელასა და ტაბაწყურს – შემოუნახავთ საერთოქართველური **ტაბ-** ძირი (მეგრ. ტობა : ლაზ. ტობა : სვან. ტუბ, ტვიბ); ტოპონიმი წყნეთი და მეგრული ჰყონ-, ლაზური ჰკონ- ალაღგენენ საერთოქართველურ **წყან-** ძირს; ქართული შინდ- სიტყვის ფონეტიკურ-სემანტიკური შესატყვისი **შქიდ-** შემოუნახავს ტოპონიმ შქინდონას ლაზეთში... მსგავსი მაგალითები, ერთხელ კიდევ გავიმეორებთ, იმის უტყუარი მაჩვენებელია, რომ **ისტორიულ-შედარებითი კვლევისას აუცილებელია ტოპონიმური მონაცემების მაქსიმალურად ჩართვა.**

ყოველივე აქედან გამომდინარე, არაა მოულოდნელი, რომელიმე მივარდნილი, უკვე ნახევრად დაცარიელებული სოფლის ხან-

დაზმული მაცხოვრებლის ხსოვნაში ჯერ კიდევ იყოს შემონახული (მიკრო)ტოპონიმური მარგალიტი, რომლის აღმოჩენაც გულწრფელ სიხარულს მოჰგვრიდა ქართველური ენების ნებისმიერ მკვლევარს. საქართველოს ყველა კუთხის მიკროტოპონიმის თითქმის მთელი ფონდი, რომელიც აღნუსხულია სპეციალისტთა ოცწლიანი სავსე მუშაობის შედეგად, ინახება თსუ ონომასტიკის სამეცნიერო-კვლევით ლაბორატორიაში, მაგრამ იმის გამო, რომ არაა დაბეჭდილ-გამომზეურებული, მკვლევართა ჯეროვანი ყურადღების გარეშეა დარჩენილი.

ქართველურ ენებში მომხდარი სპონტანური თუ კომბინატორული ბგერათცვლილებანი მეცნიერულად შესწავლილია, დადგენილია და შეჯამებულია ჰაინც ფენრიხისა და ზურაბ სარჯველაძის „ქართველურ ენათა ეტიმოლოგიურ ლექსიკონში“ (პირველი გამოცემა – 1990 წელი, მეორე შეესებული და გადამუშავებული გამოცემა – 2000 წელი). ამ ფუნდამენტურ ლექსიკონს წინ უძღოდა არნ. ჩიქობავას „ჭანურ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი“ და გიორგი კლიმოვის „ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონი“ (რუსულ ენაზე, მოსკოვი, 1964 წ.). მაგრამ კვლევაძიებანი ამ მიმართულებით არ დასრულებულა, მით უმეტეს, ქართველურ ენათა ლექსიკა და ონომასტიკა ჯერ კიდევ არაა სათანადოდ შესწავლილი. ეს განსაკუთრებით შეეხება უმწერლობო ენებს – სვანურსა და მეგრულ-ჭანურს, სადაც ბევრზე ბევრი ლექსიკური ერთეულია მოსაძიებელი და სამეცნიერო მიმოქცევაში გასათვალისწინებელი. სვანურ-კოლხური ტოპონიმისა და ანთროპონიმის შესწავლასაც შეუძლია ბევრი საინტერესო მასალის მოწოდება უკვე გამოვლენილი რეგულარული თუ კომბინატორული ფუძეთშესატყვისობების ახალ-ახალი მაგალითებით გასამდიდრებლად.

სამეგრელოს გეოგრაფიულ სახელწოდებათა განმარტებით ლექსიკონზე მუშაობის პროცესში, განსაკუთრებით, მნიშვნელობადაბინდული ტოპონიმების ეტიმოლოგიის ცდისას, აღმოჩნდა, რომ ზოგ კოლხურ ტოპოლექსემას მოეპოვება რეგულარული ეკვივალენტები ქართულ ენასა თუ მის დიალექტებში. ამ მიმართულებით ზოგი ჩვენი დაკვირვება მოკლედ აისახა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და ენათმეცნიერების ინსტიტუტის, აგრეთვე რესპუბლიკური დიალექტოლოგიური სამეცნიერო სესიების თეზისებში.

1. ქართ. **ბზეკ**- : მეგრ. **ზაკ**- ბზეკ- ფუძის შემცველი ზმნები ქართულში აღნიშნავენ რაიმე გაჭიმულის აშვერას, მაღლა აწევას, გაფშევას. ხშირად იხმარება სიტყვათშეხამებაში: კულის აბზეკა, ულვამის აბზეკა. ს.-ს. ორბელიანი და ნ. ჩუბინაშვილი განმარტავენ: „გაბზეკა - გაშვერასავით“. დ. ჩუბინაშვილის „ქართულ-რუსულ ლექსიკონში“ განსამარტავ ერთეულებად შეტანილია: აბზეკა (ავიბზეკ, ავიბზიკე) , (); ბზეკა (გავჭიმავ, გავბრეკ) , ; გაბზეკა (გაჭიმვა)

; ვიბზიკები (გავიჭიმები) . ჩვენთვის საინტერესო ზმნური ფუძის მრავალი პირიანი თუ უპირო ფორმა განმარტებული ქეგლ-ში. დავასახელებთ რამდენიმეს: აბზეკს - გაჭიმულს აიშვერს, მაღლა (ა)სწევს; აიბზეკს - აბზეკს თავისას; ბზეკს - გაჭიმულს აშვერს, (გა)სწევს, -ფშეკს; აბზეკილი - რაც ააბზეკეს ან აიბზეკა... სხვათაშორის, სადოკუმენტაციო მასალა, იშვიათი გამონაკლისის გარდა, აღებულია დასავლეთ საქართველოდან გამოსულ მწერალთა (აკაკი, დ. კლდიაშვილი, ლ. ქიაჩელი, დ. შენგელაია) ნაწარმოებებიდან.

ბზეკ- ძირის მეგრული ფონეტიკურ-სემანტიკური ეკვივალენტია ზაკ-. შესატყვისობა ქართ. ე : მეგრ. ა დიდი ხანია ცნობილია. ტ. გუდავას მიერ დადგენილი წესის თანახმად, ჩქამიერის წინ მოქცეული ბ მეგრულში იკარგება (ტ. გუდავა, 1979, გვ. 81-88). დავასახელებთ საილუსტრაციო მაგალითებს ქეგლ-იდან: ქართ. ბზარ- : მეგრ. ზიორ- (←ბზიორ); ქართ. ბგერ- „ხმა, ხმაური“ : მეგრ. (ნ)გარ- : ლაზ. ბგარ-//გარ- „ტირილი“; ქართ. ბლაგვ- : მეგრ. ლუგა „უხეირო“; ქართ. ბლნეჯ-//ბლნიჯ- : მეგრ. ლინჯგ- „ღრეჯა“; ქართ. ბლლა(რ)ძ- : მეგრ. ლურჯ- (ღურჯოლაფა „მოხვევა, ბლლარძუნი“) და სხვ. სხვათა შორის, იდენტურ სიტუაციაში ანლაუტის ბ იკარგება ქართულიდან ნასესხებ სიტყვებშიც, მაგალითად: ბზრიალი - რზიალი (←ზრიალი), ბლიკვი - ლიკვი „მუშტი“ (შესაძლოა, აქ საერთო ფუძე გვქონდეს და არა ნასესხობა), ბრავგანი - დო-რავგ-აფ-ი „დაბლერტება“ და სხვ. (სხვა გზა მიუღებელი ფონოტაქტიკის თავიდან აცილებისა არის ხმოვნის ჩართვა: ბრმა →ბგრმა, ბროწეული → ბერწული).

მეგრულში ზაკ- ფუძის ზმნურ ფორმებს იგივე მნიშვნელობა აქვთ, რაც ბზეკ- ფუძისას ქართულში: უ-ზაკ-უ-ან-ს „ატოკებს, ზევით და ქვევით სწევს, აქანავებს, აქანქარებს, ფშეკს“. ხშირად

გამოიყენება გამოთქმებში: კუდელს უზაკუნს „კუდს აქანქარებს“, ონწეს უზაკუნს „აკვანს არწევს“. სათანადო სასუბიექტო მიმღეობაა **მა-ზაკ-ელ-ა**, ხოლო საობიექტო მიმღეობა – **ო-ზაკ-ა-ია**. მაზაკელა „ქანქარა. რაც კუდს აქანქარებს“ გაარსებითებულია, ფრინველის სახელადაა ქცეული. ი. ყიფშიძის დასკვნითაც, მა- პრეფიქსის ერთ-ერთი ფუნქცია არის მცენარეთა და ფრინველთა სახელების წარმოება. სადოკუმენტაციოდ დასახელებულია (სხვა მაგალითებთან ერთად) **მა-ბზაკუნა**, იგივე მა-ზაკელა, მაზაკელი (ყიფშიძე, 1994, გვ.180), რომლებიც მეგრულ-ქართულ ლექსიკონში ავტორს განმარტებული აქვს რ. ერისთავის მოკლე სამე-ნოვან (ქართულ-რუსულ-ლათინურ) ლექსიკონზე მითითებით: „მა-ბზაკუნა, მა-ზაკელა, მაზაკელი, მა-საქილა (-)“. მეგრულში მაზაკელა ეწოდება პატარა ჩიტს, რომელიც ქართულში ცნობილია როგორც წყალწყალა, ბოლო-ქანქარა. სამივე ტერმინი მოტივირებულია ფრინველის ქცევა-მოქმედებით, თვალმისაცემი თავისებურებით: წყალ-წყალ დაფრენს, ხოლო როცა ქვაზე დაჯდება, კუდს აქანქარებს (შდრ. ქეგლ-ი: “ბოლოქანქარა- მონაცრისფრო ჩიტი. აქვს გრძელი წვრილი ბოლო, დახტის და ბოლოს ატოკებს“).

მეგრულში მაზაკელა-ს სინონიმია მა-საქ-ელ-ა, რაც აგრეთვე სასუბიექტო მიმღეობაა. ამოსავალი პირიანი ფორმა უ-საქ-უ-ან-ს ნიშნავს: „კუდს აქნევს, აფშევს, აქანქარებს“. ანდა-ზაცაა ასეთი: მასაქელას ქუა ქაყოთია დო - ქემოხვადუადა, ჯგირია, ვარდა, ქუა ქუას მიაძინუხნია „მასაქელას ქვა ესროლე და, თუ მოხვდა, ხომ კარგი, თუ არადა, ქვა ქვას მიემატებაო“. ლექსიკონებში განმარტებულია: მაზაკელია „მწყერჩიტა“, მასაქელა (მაბზაკუნა) „ჩიტი“ (გ. ელიავა), მასაქელა (მასაქილე) „მაბზაკუნა, ბოლოქანქალა“ (პ. ჭარაია).

იმერულ და გურულ დიალექტებში ქართული ბოლოქანქარას, მეგრული მაზაკელასა და მასაქელას მნიშვნელობით გავრცელებულია მათი სემანტიკური ეკვივალენტი **მა-ბზაკ-უნ-ა** „პატარა ჩიტი, ბედურისოდენა, ბოლოქანქალა; როცა არ ფრინავს, უფრო ხშირად ქვას დააჯდება, წმუკავს, ბოლოს აქანქალებს და ურტყამს ქვას“ (ლონტი, 1984, გვ. 338). ლექსემა **მაბზაკუნა-სათვის** ამოსავალია **ბზაკ- ფუძე**, რაც ქართ. **ბზეკ- : მეგრ. ზაკ- ფუძეთვისა- ტყვისობის შუალედური (გარდამავალი) საფეხურია და დასავლუ-**

რქართულ კილოებში ზანიზმია, ისევე როგორც სალიტერატურო ქართულში გავრცელებული ბზაკუნი „სკუპ-სკუპით სიარული“ (ნ. ჩუბინაშვილი: ბზაკუნი „უმვერი სლვა“).

ზაკ- ზმნური ფუძის საობიექტო მიმღობა **ო-ზაკ-ა-ია** გაარსებითებულა და აღნიშნავს ფიცრის საქანელას, სარწვევლას (სინონიმი: ოკვანწაია „სარწვევლა“). ოზაკაია ტოპონიმიცაა. ასე ეწოდება დავაკებას ჭიჭე ტებენის სათავესთან, სოფ. ნაშამგუში. აქ, დიდი საჩრდილობელი ხის ქვეშ, მწყემს ბიჭებს გამართული ჰქონიათ ოზაკაია – ფიცრის საქანელა: ძელზე გარდიგარდმო გადებულა ფიცარი. მის ბოლოებზე სხდებიან ბავშვები და მიწაზე ფეხის დაკვრით აიწვიან და დაიწვიან (ასეთ სათამაშოს ქვემო ქართლში ბროწიალა//პროწიალა ეწოდება).

მაშასადამე, **ოზაკაია** მორფოლოგიურად და სემანტიკურად ქართული საქანელას ეკვივალენტია. **სათამაშოს სახელი იმ ადგილის სახელად იქცა (კონვერსიისა და მეტონისიის გზით), სადაც იგი იყო გამართული.**

ხალხური რწმენით, ტყეში, მიუვალ ადგილას ბინადრობს კუდიანი დედაბერი, რომელსაც შეუძლია ადამიანის გათვალვა-მონუსხვა, ბოროტების ჩადენა. კუდის მთავარი თვისებაა გაბზეკა, გაფშეკა, ქანქარი. მეორე მხრივ, კუდიანი დედაბერი ბოროტი და ავისმოქმედი. ამ ორი გარემოებიდან გამომდინარე, ზაკუა ზმნის სასუბიექტო მიმღობა მა-ზაკ-ალ-ი „ვინც კუდს ბზეკს, აქანქარებს“ იქცა კუდიანი დედაბრის სინონიმად. ჩვენი აზრით, მეგრული ზაკუა გარკვეული სემანტიკური გადაწევით („ფლიდობა, ცბიერება, ვერაგობა, მუხანათობა“) შესულია ქართულში და სწორედ მისი სასუბიექტო მიმღობაა მ-ზაკ-ვ-არი „ცბიერი, ფლიდი, ვერაგი“).

დასასრულ, დავასახელებთ ზაკ- ფუძის შემცველ კიდევ ორ ტოპონიმს: **ოზაკაია ხიდე** „მოქანავე ხიდი“ – ჯაჭვის ხიდი მდ. რუხწყარზე, სოფ. შამგონაში (ზუგდიდის რ.) და **ოზაკეში** (ო-ზაკ-ეში „სარწვევისი“) – ბორცვი სოფ. უფალკარში (სენაკის რ.). ხალხის რწმენით, ელიობა ღამეს აქ თავს იყრიდნენ კუდიანი დედაბრები, ანუ მაზაკვალეები. ისინი სხდებოდნენ მაღალ ხეთა კენწეროებზე და ქანაობდნენ (სხვა ვარიანტით: კუდებს აქანქარებდნენ). ბორცვის ციცაბო კლდეები აქვს და კაცთათვის თითქმის მიუვალა.

2. ქართ. **ბრეგ-** : მეგრ. **რაგ-**. ბრეგი დიალექტური სიტყვაა, გავრცელებულია იმერულში. თავდაპირველად იგი დააფიქსირა 96

ილია ჭყონიამ (ჭყონია, 1910) და ამგვარად განმარტა: „მიწის მომადლო ადგილი, მთის მცირე კონცხი“. თითქმის ამავე მნიშვნელობით იმერულში (და ლეჩხუმურშიც) უფრო გავრცელებულია ბრეკი „გორაკი, შემადლებული ადგილი, ბეგი“. თანაფარდობა დაცულია ზემო იმერეთის მიკროტოპონიმიაშიც: ბრეგი დადასტურდა მხოლოდ ერთხელ (ბრეგიწყალი – წყარო სოფ. ნავარძეთში), ხოლო ბრეკი – 6 შემთხვევაში (იხ. საქ. ტოპონიმია, I, 1987).

მთიან სამეგრელოში, კერძოდ, მარტვილის რაიონის ლაკადებში, ორგანაა დაფიქსირებული მიკროტოპონიმი **რაგა**. ერთ შემთხვევაში იგი ბორცვის სახელია მდ. ოსოხის სათავესთან, სოფლების – ლეცავესა და მესამე ბაღდის საზღვარზე (იყოფა: დიდი რაგა, ჭიჭე რაგა. შუაში ვაკეს ეწოდება რზენი ლობური); ხოლო მეორე შემთხვევაში ფერდობის სახელია მასქურღაის (წაჩხურას მარც. შენაკადი) მარჯვენა მხარეს, უნწასა და რეხერზენს შუა (სოფ. ლესხულუხე). სახელდებული გეოგრაფიული ობიექტების ვიზუალური დათვალიერებისას გამოვლენილმა ფიზიკურ-გეოგრაფიულმა მახასიათებლებმა შესაძლებელი გახადა **რაგა** ტოპოლექსემის აპელატიური მნიშვნელობის დადგენა, რაც იმერული „ბრეგ“-ის მნიშვნელობას დაემთხვა: „ბორცვი, შემადლებული ადგილი“.

უეჭველია, რომ **მეგრული რაგა არის ქართული ბრეგ-ის კანონზომიერი ფონეტიკურ-სემანტიკური შესატყვისი**: მაშასადამე, ქართ. ბრეგ- : მეგრ. რაგ- (←ბრაგ-). თავკიდურ კომპლექსში ბ თანხმოვნის დაკარგვას ანალოგი მოეპოვება. როგორც ცნობილია, მეგრულის ფონოტაქტიკური წესების თანახმად, საერთოქართველური ფუძე-სიტყვის ანლაუტის თანხმოვანთკომპლექსი, რომელიც იწყება ბ ხშულით, იცვლება ორი მიმართულებით: ა) ხმოვნის ჩართვით (ქართ. ბრაგუნ- : მეგრ. ბურგინ-, ქართ. ბრდღუნენ-ა : მეგრ. ბურდღინ-); ბ) თავკიდური თანხმოვნის დაკარგვით, რაც ახსნილია ტოგო გუდავას მიერ (გუდავა, 1979).

დასკვნა: **ქართული** (იმერული დიალექტის) **ბრეგ- ფუძის კანონზომიერი მეგრული შესატყვისი რაგ-** (← ბრაგ) **შემოინახა მხოლოდ ტოპონიმიაში**. ასახსნელია მეგრული ეკვივალენტის ბოლოკიდური –ა ხმოვანი.

3. ქართ. **ლაფ-** : მეგრ. **ლოფ-**. ლაფი, ნ. და დ. ჩუბინაშვილების ლექსიკონების მიხედვით, არის თხელი ტალახი (დ. ჩუბინა-

შვილი ასახელებს ღლაფი ვარიანტსაც). უფრო ადრე კი სულხან-საბამ განმარტა: „ლაფი - ბილწები, ასვრილი ტალახივით“. ქეგლის მიხედვითაც, ლაფი არის თხელი ტალახი, ტლაპო. ქიზიყურში ლაფა ეწოდება თიხის გუნდს, რომელსაც მეჭურჭლენი ხმარობენ ჭურჭლის კეთებისას (ბოლოკიდური -ა მორფოლოგიურ-სიტყვაწარმოებითი დანიშნულებისა ჩანს).

ქართული ლექსემა **ლაფი** მეგრულს, როგორც ჩანს, გვიან შეუთვისებია ფორმისა და მნიშვნელობის ცვლის გარეშე (ი. ყიფშიძე: ლაფი - ; პ. ჭარაია: ლაფი „ტალახი“; გ. ელიავა: ლაფი//ღაფი „ლაფი“ (მეგრული დუსლაფიც ქართული თავსლაფის ნახევარკალკია: მეგრ. დუდი პლუს ქართ. ლაფი. დუსლაფეწიმილი „თავლაფდასხმული“ და დუსლაფიმ გებუნა „თავლაფის დასხმა“ მეგრულში ხშირად იხმარება ადამიანის შერცხვენისა და მის მიმართ უარყოფითი ემოციის გამოსახატავად. როგორც ჩანს, ამ მყარ გამოთქმათა საყოველთაოდ გავრცელებამ შეუწყო ხელი თვით ლაფი სიტყვის სესხებას. გვიანნასესხობის გამო იგი სამეგრელოს მიკროტოპონიმიაში არ ჩანს).

როგორც ცნობილია, გაუმჭვირვალე ტოპონიმის ეტიმოლოგიის დადგენის ერთ-ერთი ეფექტური მეთოდია მონათესავე ენების ლექსიკასთან მისი შედარება. ენათმეცნიერული თვალსაზრისით მრავალი საინტერესო ფაქტი გამოავლინა სამეგრელოს დეტალურმა მიკროტოპონიმურმა აღწერამ. კერძოდ, ქართულ ლაფ-ლექსემას აღმოუჩნდა მოსალოდნელი მეგრული შესატყვისი ლოფ-მარტვილის რაიონის სოფ. დღვანაში, ჭოღაღალის ხეობაში, ტლაპოიანი ადგილის სახელად ჩაგვაწერინეს ლოფო//ონდლუეში. ინფორმანტმა განმარტა: „ლოფო ტალახია, თხელი და არადრმა... ონდლუეშიც ტალახია, ოღონდ ოდნავ უფრო სქელი“. სოფ. კვაუთში (სენაკის რ.) ხევსა და ტეხურის მარცხ. შენაკადს ეწოდება (ო)ლოფუეში (//→ ოფუეში).

მაშასადამე, **ქართ. ლაფ- და მეგრ. ლოფ-ო კანონზომიერ ფუძეთშესატყვისებს წარმოადგენენ.** ასახსნელია ლოფო-ს ბოლოკიდური -ო-ს დანიშნულება (შდრ. ქიზიყურში: ლაფ-ა).. გურულსა და ზემოქართულში დაფიქსირებული დლოფო, რომლის ერთ-ერთი ძირითადი მნიშვნელობაა „საფლოზი ჭაობი“, ზანიზმს უნდა წარმოადგენდეს (შდრ. ქართულშივე: ლაფი - ღ-ლაფი),

ისევე როგორც დ. ჩუბინაშვილის მიერ დასახელებული დღოფო „დიდი წვიმა შხაპიშხუპიანი და დამაბნეველი“.

4. ქართ. მერ-ე : მეგრ. მარ-ა. მერე ძველ ქართულშივე ფართოდ გავრცელებული ლექსიკონი ყოფილა. ამას ადასტურებენ ლექსიკონები და ტოპონიმები. უძველესი ისტორიულ-ლიტერატურული ძეგლი, სადაც რამდენიმეჯერ არის დასახელებული დაბა მერე (ერთ-ერთი კლარჯეთის თორმეტი სავანიდან), არის გრიგოლ ხანძთელის მიერ 951 წელს დაწერილი თხზულება „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“ (ერთი ციტატა: „ხოლო სანატრელი და სასწაულთა მიერ შემკული დედა» ფებრონია მოიწია სამცხით და დაემკვიდრა მერესა შინა“). ქართული საისტორიო წყაროები კლარჯეთში მერეს მონასტრის აშენებას ვახტანგ გორგასალს მიაწერენ (ქ.ც., 1955, გვ. 178; ქ.ც., 1973, გვ. 682). ვახუშტი ბატონიშვილი ერთ მერეს ქართლშიც ასახელებს: „აშატურთკარს ქუემოთ ერთვის მეჯვდას დასავლიდამ მერისხევი“ (ქ.ც., 1973, გვ. 361); ამ მდინარეს დღეს ეწოდება მერია - „მდინარე ცხინვალის რაიონში, მეჯუდის მარჯვ. შენაკადი“ (ორთოგრაფიული ლექსიკონი, 1987). მერე ფუძის შემცველი რამდენიმე ტოპონიმი დასახელებულია ს. ჯიქიას მიერ გამოცემულ „გურჯისტანის ვილაიეთის დიდ დავთარში“. ქართლში სოფელს ეწოდება მერეთი, იმერეთში - მერევი, აჭარაში - მერისი და სხვ. ისტორიულ წყაროებში დაფიქსირებულია თურდოსპირა სოფელი მერე (სახლ-თხუციშვილი, 1997, გვ. 144-147). ტოპოლექსიკონი მერე დასტურდება ხევში (ითონიშვილი, 1971, გვ. 19), მთიულეთში (სადაც ეს სიტყვა „დღეს აღარ იხმარება და ტოპონიმად შემონახულიც გაუგებარია“. იხ. ხორნაული, 1983, გვ. 90, 165), ქვემო იმერეთში (ბაკურაძე, ფუტკარაძე, 1996, გვ. 24) და სხვ. იოანე ბატონიშვილის „ქართლ-კახეთის აღწერაში“ შესულია ხუთი ტოპონიმი მერე. ივ. ჯავახიშვილი ასახელებს მერე ფუძის შემცველ 15-მდე ტოპონიმს საქართველოს სხვადასხვა კუთხეში (ჯავახიშვილი, 1986, გვ. 139-140). მერე სიტყვას ზოგადი მნიშვნელობა დაუკარგავს სამცხე-ჯავახეთშიც, მაგრამ შემონახულა ტოპონიმებში - მერენია და მერიები (ბერიძე, 1992, გვ. 71).

სულხან-საბას ლექსიკონის მიხედვით, მერე არის „მედანი, სწორი ვაკე“, „სწორი ადგილი“, „მდინარის კიდე... ვაკე“. ნ. და დ. ჩუბინაშვილების განმარტებით, მერედე, მერედი არის „მდინარის კიდე დაცემული ვაკე ადგილი, ანუ მეიდანის, ფორე“.

ჩუბინაშვილი ასახელებს მერე სიტყვასაც და განმარტავს მას როგორც ყამირს. ქეგლ-ი **მერე**-ს განმარტებისას ეყრდნობა ივ. ჯავახიშვილს: „ყოველ ვაკე ადგილს მერე არ ეწოდებოდა, არამედ მხოლოდ წყლის სანაპიროზე მდებარეს“. ალ. ლლონტის „სიტყვის კონაში“ თავმოყრილია მერე სიტყვის ის მნიშვნელობანი, რაც მას აქვს გურულსა და ზემოაჭარულში: „მდინარის ნაპირზე მდებარე სახნავ-სათესი ვაკე“. „დაბალი, ნოყიერი სახნავ-სათესი მიწა“; „მდინარის პირს მდებარე საყანე“. ეს განმარტებანი ორასპექტიანია: იგი ობიექტს განსაზღვრავს როგორც გეოგრაფიული მდებარეობის („მდინარისპირა ვაკე“), ისე სამეურნეო დანიშნულების მიხედვით („სახნავ-სათესი“). ჩვენი აზრით, მერეს ძირითადი მნიშვნელობაა „წყლისპირა ვაკე“.

უწინ ფართოდ გავრცელებული „მერე სიტყვა დღეს ორიოდ დიალექტში გვხვდება“ (ჭუმბურიძე, 1987, გვ. 469). ეს დიალექტებია აჭარული და გურული. ი. სიხარულიძის „სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტოპონიმიაში“ (წიგნი I) დადასტურებულია 24 მერე, 7 მერია, 3 მერისი, 4 მერიეთები, ხოლო თითოჯერ: მერედიდი, მერეყანა, მერიაყელი, მერიახევი, მერიბოლო, მერისირითი (სირითი – თურქ.„სერი“), მერისნალი, მერისწვერი. რ. ძნელაძის „გურიის ტოპონიმიაში“ (ხელნაწერი, გამოსაცემად გამზადებული. ინახება თსუ ონომასტიკის ს/კ ლაბორატორიაში) დაფიქსირებულია 42 მერე, 4 მერია, 2 მერეგრძელა და კიდევ 15 ტოპონიმი, რომელთა ფუძეში ჩანს ლექსემა „მერე“. გურიის ერთ ნაწილში მერე ტოპოლექსემის პროდუქტიულობის შესახებ მკითხველს საჭირო წარმოდგენას აძლევს აგრეთვე ალ. ლლონტის „სუფსა-ნატანების ხეობები“ და ი. სიხარულიძის „მასალები გურიის ისტორიული გეოგრაფიისათვის“. ზემო იმერეთის ტოპონიმიაში, უკვე აღნიშნული მერევის გარდა, დაფიქსირებულია: მერისა – წყლისპირი სოფ. ნავარძეთში და საძოვარი სოფ. წინსოფელში, მერიჭალა – ტყე სოფ. წაქვაში. ტოპოლექსემა მერე არაა იშვიათი ქვემო იმერეთის ტოპონიმიაშიც.

მაშასადამე, როგორც დასაწყისშივე იყო ნათქვამი და აღნიშნულიცაა სამეცნიერო ლიტერატურაში, ლექსემა **მერე ფართოდ ყოფილა გავრცელებული** სალიტერატურო ქართულსა და მის დიალექტებში, ხოლო აჭარულსა და გურულში ბოლო დრომდე შემონახავს თავისი სემანტიკა.

ამასთანავე, **„მერეს** პარალელურად ამავე მნიშვნელობით გვხვდება **მარა**. ამ უკანასკნელისაგან ნაწარმოებია სოფლის სახელწოდება **მარადიდი** (აჭარაში). აქედანვე არის მიღებული ბახმაროს სახელწოდებაც“ (ჭუმბურიძე, 1987, გვ. 431). „ისეთ ვაკეს, რომელიც წყლის სანაპიროზე მდებარეობს, წინათ მერე ანუ მარა ეწოდებოდა. ეს სიტყვა გურიასა და აჭარაში დღესაც იხმარება“ (იქვე, გვ. 466). ნიგალის სოფელ მარადიდთან (ამჟამად სოფელია ხელვაჩაურის რ-ნი, კირნათის საკრებულოში) დაკავშირებით ი. სიხარულიძე წერს: „ამ სოფლის ძირობაზე, მდინარე ჭოროხის მარცხენა სანაპიროზე დიდი ვაკე ძევს, საიდანაც მიუღია სოფელს სახელი მარადიდი ანუ მერედიდი. ჩვენს საზღვრებში ამ სოფლის მხოლოდ ერთი ნაწილი, ქვედა მარადილია წარმოდგენილი. მისი დიდი ნაწილი კი, ზედა მარადიდი, საზღვარგარეთაა დარჩენილი“ (სიხარულიძე, 1958, გვ. 183).

მერე და მარა ფონეტიკური ვარიანტები როდია. აქ დაცულია კანონზომიერი ფონეტიკურ-სემანტიკური შესატყვისობა – ქართ. **მერე**: ზან. **მარა**. მაშასადამე, აჭარის ტოპონიმიაში ერთდროულად წარმოდგენილია შესატყვისი ტოპოლექსემები – სუბსტრატული „მარა“ და ადსტრატული (პირობით) „მერე“. თითქმის ასეთივე ვითარებაა მეგრულშიც. „თითქმის“ იმიტომ, რომ მერე შეთვისებული ჩანს იმერულ-გურული დიალექტებიდან. თუმცა კი დღეს დავიწყებულია როგორც მერე, ისე მარა ლექსემათა მნიშვნელობა. უკვე გამოქვეყნებულ მეგრულის სალექსიკონო მასალებში (ი. ყიფშიძისა, პ. ჭარაიასი, გ. ელიავასი) აღნიშნულია **მარა** სიტყვის ორი მნიშვნელობა: 1. კვირა (შვიდი დღე); 2. მაგრამ (კავშირი). სხვა მნიშვნელობა, მიუხედავად სათანადო მცდელობისა, ვერც ჩვენ დავადასტურეთ. მაგრამ **სამეგრელოს ტოპონიმიაში შემოინახა ორი სახელწოდება, ორი უტყუარი მოწმობა, რომ მარა ცოცხალ მეტყველებაში გავრცელებული ლექსემა იყო**. ერთი მათგანია მარა. ასე ეწოდება მდ. ჩხოლუმის ერთკილომეტრიან მონაკვეთს და ფართო სახნავებს მის ორსავე ნაპირას ჩხოლუმსა და ოქტომბერში (ზუგდიდის რ.). ხალხური ეტიმოლოგიები (რაც უპირველესი ნიშანია ტოპონიმის ამოსავალი მნიშვნელობის გაბუნდოვანებისა) ასეთია: 1. ართი მარაშ ოხაჩქალი ცოფე „ერთი კვირის სათოხნი ყოფილა“; 2. ართი მარაშ დინახალე არძა წისქვილი მიდულალ წყარს „ერთ კვირაში ყველა წისქვილი წაუღია წყალს“. მეორეა **მარაგანი** – ტეხურის მარცხენა შენაკადი სენაკის

რ-ში (სოფლები – საკილასონიო, საოდიშარიო). **განი** „მხარე, კუთხე“ ხშირად კომპოზიტიური ტოპონიმის ერთ-ერთი, კერძოდ, საზღვრული კომპონენტი. **შდრ.:** ილორგანი – სოფელი ოჩამჩირის რ-ში (ოხუტრის საკრებულო. მდებარეობს სოფ. ილორის საზღვართან), გოდოგანი – სოფელი მარტვილის რ-ნის კურზუს საკრებულოში. (**შდრ.** გურიაში „თხილაგანი“, აჭარაში „დოლოგანი“).

ზემოთ დასახელებული მარა და მარაგანი ქვემო სამეგრელოშია. აქვეა დადასტურებული მერე ტოპოლექსემაც:

მერე – 1. ფართო ვაკე დარჩელსა და ჭითაწყარში (ზუგდიდის რ.). მიჰყვება ჯუმის მარცხენა ნაპირს 1,5 კმ-ზე. უწინ ტყე-ჭაობები ყოფილა, დღეს სახნავებია. მის ერთ ნაწილს ერქვა ფართო მერე. აქედანვე გადის მერეწყარი – ჯუმის მარცხენა შენაკადი. 2. ტყე-ფერდობები და ფართო ხეობა მინდვრებითა და ტყე-ფერდობებით ეკის მთაზე, კოტიანეთში (სენაკის რ.) აქედან გაედინება და მდ. კვარჩხილას ერთვის მარცხნიდან მერეწყარი (სოფ. კვარჩხილალი).

მერია – 1. ფართო ვაკე რიონის მარჯ. ნაპირას, ნარიონალზე, უწინ ყოფილა ტყე-ჭაობები (ხობის რ-ნის სოფლები: ქვემო ჭალა-დიდი, საგვიჩიო, ახალსოფელი); 2. ტბორი რკინიგზის ხაზთან (ხობის რ., სოფ. ჭიხუ). მატოპონიმებელი – სუფიქსის დართვა იწვევს დისიმილაციას ეა → ია.

ტოპონიმოკაში ცნობილია ამა თუ იმ სახელწოდებით აღნიშნული ობიექტის გეოგრაფიულ-ლანდშაფტური მახასიათებლების მიხედვით ამოსავალი ფუძის მნიშვნელობის დადგენის მეთოდი. როგორც ზემოთ ვნახეთ, სამეგრელოს **მერე**, **მერია** ძირითადად ისეთი წყლისპირა ვაკე ადგილებია, სადაც უწინ ყოფილა ტბორი ან ტყე-ჭაობები.

ხომ არ შეიცავდა მერე „წყალ“ სემემასაც? (თუ ეს მეორეულია, რადგან მდინარისპირა ვაკე ხშირად იფარება წყლით?). **შდრ.** „მერეხი“ ქართულშიც და მეგრულშიც აღნიშნავს დელემას, თავს-ხმა წვიმას.

მაშასადამე, ქართული **მერ-ე** ფუძის კანონზომიერი მეგრული შესატყვისია მარ-ა, რომელიც გამოვლინდება სამეგრელოსა და გურია-აჭარის ტოპონიმიაში. გურისა და აჭარაში მარა-ფუძიანი ტოპონიმები ზანური სუბსტრატია. სამეგრელოშიც, გურიაშიც და აჭარაშიც დასტურდება მერე-ფუძის შემცველი

ტოპონიმებიც: სამივე ამ რეგიონში მერე გავრცელებული უნდა იყოს შავიზღვისპირეთის „ქართიზაციის“ (VII-VIII სს.) შემდეგ. ფაქტია, რომ დასახელებული რეგიონების ტოპონიმიაში გამოვლინდა ქართულ-ზანურ კანონზომიერ შესატყვისთა ერთ-დროულად არსებობა.

5. ქართ. **ნოყ-ო** : მეგრ. **ნოც-ო**. ნოყა ლექსემა ძველ ქართულშივეა ცნობილი. სულხან-საბა მას განმარტავს როგორც ლიას, საფლობს, უფრო ზუსტად კი ასე: „ტევრთა შინა და მინდორთასა (საფლობთა) ეწოდებიან ნოყა“. სხვა ვარიანტით: „კორდთა ადგილთა ანუ ტევრთა შინა წყალთა ნადინობთა საფლობთა ეწოდების ნოყა“. დ. ჩუბინაშვილისთვისაც ნოყა არის „ლია, საფლობი ადგილი, “. ქეგლ-ი ნოყა-ს განმარტავს სულხან-საბას სიტყვებით და ამატებს: „ჭაობი“, ხოლო „ნოყო“ განმარტებისას აღნიშნავს: „კუთხ. (გურ., იმერ.) პატარა, მდორე ლორწომოდებული მდინარე... გუბე, ტბორი, ჭოჭი“. ე. ნინოშვილის მოთხრობიდან მოყვანილ წინადადებაში ნათქვამია: „პატარა მდინარე - გურულად “ნოყო“. „ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა“ იმეორებს: „ნოყო (გურ.-იმერ.) - ორმოში ჩამდგარი ლორწოიანი წყალი, ჭაობი; დამდგარი ლორწომოდებული წყალი“. ი. ყიფშიძე ნოღა, ნოღო („მდინარის ტოტი“) სიტყვებთან მიუთითებს: „იხ. ქართ. ნოყო, ნოყა“.

გ. კლიმოვმა შეაპირისპირა ერთმანეთთან ქართული ნოღ- და მეგრული ნოღ- და დაასკვნა, რომ ნოღა ქართულში ზანიზმია, ხოლო მეგრულ ფუძეს ქართული ნოყა შეესატყვისება. მანვე ქართულ-ზანური ერთიანობის ხანისათვის აღადგინა ნოყა არქეტიპი. ზ. სარჯველადემ გამოავლინა ლაზური ეკვივალენტი ნოღ- და ქართულ-მეგრულ-ლაზურისათვის აღადგინა არქეტიპი ნოღ-. მაშასადამე, ნოყ- სხვა ფუძეა. ჩვენი აზრით, **ქართულ ნოყო ფუძეს მეგრულში შეესატყვისება ნოც-ო** (შდრ. ქართ. ყორ- : მეგრ. ყორ-უა, ქართ. ყელ- : მეგრ. ყალ-, ქართ. ყულ- : მეგრ. ყულ და სხვ.).

დასავლეთ და სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში დადასტურებულია მიკროტოპონიმები: **ნოყო** - სათიბი სამცხეში (სიხარულიძე, 1964, გვ.135), ტყე ცუცხვათში, ვენახი ბაღდათში, ჭაობიანი ადგილი ნახშირღელესა და სიქთარვაში, ჩავაკება კვან-

ჭირში... (იმერეთი), ნოყოსწყალი – ღელე სოფ. ორმეთში (გურია) და სხვ.

სამეგრელოს ტოპონიმიაში დადასტურებულია როგორც ნასესხები ნოყო, ისე ნოყო, რომელიც, უეჭველია, მისი ზანური (მეგრული) შესატყვისია ორივე მთავარი პარამეტრით: ფონეტიკურად და სემანტიკურად. ტოპონიმებია: **ნოყო** – რუხწყარის მარჯ. შენაკადი (სოფ. შამგონა, ზუგდიდის რ.) და წყარო, ქორსუს შენაკადი (სოფ. ნაგურუ, წალენჯიხის რ.). ინფორმანტის განმარტება: „ნოყო სასმელად უვარგისი წყალია, ნაგუბარი, უსუფთაო, ლორწოვანი“. **ნოცო**//ნოყო – ტობღალის ქვემო წელი, ტეხურის მარჯ. შენაკადი (სოფ. ბეთლემი, სენაკის რ.).

ნოცოწყარი – ცხენისწყლის ტოტი სოფ. ლეხაინდრაოში (მარტვილის რ.).

„ნოყოს“ მნიშვნელობით მეგრულში დადასტურებულია **ნაცუ** ლექსემაც. არაა გამორიცხული, იგი მასალობრივადაც ნოყოსთან იყოს დაკავშირებული. ტოპონიმებია: ნაცუ – ხობისწყლის ტოტი ჭიხუში (ქ. ხობი) და გოყოს ზემო წელი სოფ. ტყაიაში (ზუგდიდის რ.). **ფართონაცუ**//**ფართანაცუ** – ენგურის მოკლე ტოტი სოფ. კახათში (ზუგდიდის რ.).

მეგრულის სალექსიკონო მასალებში (ი. ყიფშიძე, პ. ჭარაია, გ. ელიავა) არაა დაფიქსირებული მერე//მარა და ნოყო//ნოყო, ნოცია.

ქართულ-მეგრული ენობრივი შესატყვისების ერთდროულად არსებობის ფაქტი შეიძლება საზოგადო ლექსიკაშიც დაიძებნოს. ი. ყიფშიძე წერს: „ბურჩხა ბალახის სახელია. იხმარება ქართულშიც. როგორც ჩანს, მეგრული წარმომავლობისა“ (ყიფშიძე, 1994, გვ.413). დ. ჩუბინაშვილის ლექსიკონში ბურჩხა და ბურცხალა დასახელებულია სინონიმებად და განმარტებულია ზოგადად და ერთი სიტყვით: „მცენარენია“. ალ. მაყაშვილის „ბოტანიკურ ლექსიკონში“ ქართული ღიჟა-ს იმერულ-გურული სინონიმებია „ბურცხალა, ბურცხალი“, ხოლო მეგრული სინონიმია „ბურცხალე“. მაშასადამე, ქართულშიც და მეგრულშიც ბალახების სახელეზად გვხვდება როგორც ბურჩხა, ისე ბურცხალი. ამის გათვალისწინებით ო. კახაძე თვლის, რომ „ბურცხალა და ბურჩხა შესატყვისები... ორივე ბალახის სახელია... ამ ბალახებს შორის არსებული განსხვავება, ვფიქრობთ, დაბრკოლება ვერ იქნება „ბურჩხასა“ და „ბურცხალის“ დასაკავშირებლად“ (კახაძე, 1987, გვ.169). ეს დაკავ-

შირება გაზიარებულია და ქველ-ის მეორე გამოცემაში შეტანილია ფუძეთმესატყვისობა: ქართ. ბურცხ- : მეგრ. ბურჩხ- : ლაზ. ბურჩხ-. აქვე გაკეთებულია შენიშვნა: „ბურჩხა გვხვდება სულხან-საბას ლექსიკონში: „ბეცუნა“. იგი მეგრულიდან უნდა იყოს ნასესხები“ (ქველ, თბ., 2000, გვ.125).

როგორც ცნობილია, კანონზომიერ ბგერათმესატყვისობათა არსებობა გამოყენებულია ენისა და დიალექტების გამიჯვნის ერთ-ერთ მთავარ კრიტერიუმად. თუმცა ზოგ შემთხვევაში კანონზომიერ ბგერათმესატყვისობათა მსგავსი ბგერათვარიანტები ერთი ენის ფარგლებშიც დასტურდება.

6. ქართ. **ფეხვ-** (← ***ფახვ-**) : მეგრ. **ფოხვ-**. ფეხვ- ზმნური ფუძე და მისგან წარმოქმნილი გარდამავალი თუ გარდაუვალი ფორმები ქართულსა და მის დიალექტებში ორ განსხვავებულ მნიშვნელობას გამოავლენენ: 1. გადავარდნა, გადაჩეხვა; 2. დაკოჭლება, დაკუტება, დახუთვა. პირველი მნიშვნელობა დაფიქსირებული და დოკუმენტირებულია სამ დიალექტში: „ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა“ გვაწვდის ინფორმაციას: დაფეხვა (ქიზიყ.) – გადავარდნა, გადაჩეხა. „გუშინ ჩვენებიანთ გიორგი დამთვრალიყო და ხევში დაფეხვილიყო“; ფეხვა (ქიზიყ.-გურ.) – წაქცევა, დაცემა; ჩაფეხვა (კახ.) – თხრილში, ორმოში, ჩავარდნა. მაშასადამე, ქართულის დიალექტებში (კახურში, ქიზიყურში, გურულში) ფეხვ- ძირის ერთ-ერთი ძირითადი მნიშვნელობაა: გადავარდნა, გადაჩეხვა, ჩანარცხება, ჩაჩეხვა, წაქცევა, დაცემა, დავარდნა. ძველი ქართული ენის ლექსიკონებში ფეხვ- ფუძე არ გვხვდება.

ქართულ ფეხვ- ძირს კანონზომიერად შეესატყვისება მეგრული ფახ-უ. მისგან ნაწარმოები დინამიკური (გარდამავალი) და სტატიკური ზმნების ზოგადი მნიშვნელობაა ვინმეს ან რაიმეს მსუბუქად დავარდნა, დაცემა ან ზედაპირზე გდება: **ქგლა-ფახუ** – დაეფეხვა, დაეცა, დავარდა (მსუბუქი რამე ან ვინმე, ვთქვათ, ბავშვი, ქული); **ქგლა-ფახვე** – დავარდნილა, დაფეხვილა (მსუბუქად); **გე-ფახუ** – დევს, აგდია. აქ უადგილო არ იქნება, გავიხსენოთ მეგრული ხალხური სიმღერის სიტყვები: „თაქი მუ რე გეფახუნი, ქული რე დო ბოხოხია“.

ფეხვ- ზმნური ფუძის მეორე მნიშვნელობა გამოხატავს ადამიანის ჯანმრთელობის გაუარესებულ მდგომარეობას, კერძოდ,

დაკოჭლებას, დახუთვას, დაკუტებას (იხ. დაიფხვება: ქეგლ, III). ნაზმნარ სახელთაგან გავრცელებულია: დაფხვილი – ვინც ან რაც დაიფხვა. ქართლურში იგი ნიშნავს: „ორივე ფეხით დაკოჭლებული (თედოს ამოვარდნის გამო)“, ხოლო იმერულში, ლეჩხუმურსა და გურულში – „კოჭლი, დაკუტებული, დახუთული“. ქეგლ-ში საილუსტრაციო მასალად მოყვანილია ფრაზა თ. სახკიას გურიაში მოგზაურობის დღიურიდან: „დაფხვილი, ისლით გადახურული და განზე წაწოლილი ფიცრის სახლი“. სიტყვის კონაში“ კი აღნიშნულია: „დაფხვა (იმერ., გურ., ლეჩხ.) – დაკუტვა, დახუთვა; დაფხვილი – დაკუტებული, ფეხდაზიანებული. „ერ დროს კაი ყმაწვილი იყო, მარა ახლა დაფხვილი გდია და კარში ვერ გამოდის“ (გვ. 189). ფეხვ- ზმნური ფუძე გვხვდება ჩა- ზმნისწინითაც. ქეგლ: „ჩაფხვილი – ძველი, დანგრევის პირას მისული, – დაფხვილი“. სადოკუმენტაციო მასალა აღებულია დ. კლდიაშვილის შემოქმედებიდან („...ჩაფხვილი გლეხის ქოხი“).

ზანურში ზმნური ფორმები, რომლებიც გამოხატავენ დაკოჭლებას, დაკუტებას, დახუთვას, დაუძღურებას, მოდუნებას, დაქცევას, დანგრევის პირამდე მისვლას, წარმოქმნილი არიან ფორხვ- სახელური ფუძიდან. მართალია, ი. ყიფშიძის, პ. ჭარაიას, გ. ელიავას ლექსიკონებში ეს სიტყვა არაა შესული, მაგრამ იგი ათეულზე მეტ ტოპონიმში ჩანს. ამ ტოპონიმებთან დაკავშირებით ინფორმატორებისაგან ასეთი განმარტებანი მივიღეთ: **ფოხვი** – 1. „ჩიბესავით გამოფლათული ადგილი კლდის ძირას, სადაც ღამით საქონელი აფარებს თავს“; 2. „გამოდრანტული ადგილი ხის ძირას“; 3. „მცირე გადმოხურული კლდის ძირას“; 4. „კლდეები, სადაც ხეები ხარობს“; 5. „პატარა ქოხი, ტალახით შელესილი და ისლით გადახურული“; 6. „დაფუტუროებული: ფოხვი ჯა „ფუ- ტურო ხე“. **ფორხვი** – 1. „ოდროზოდრო, ხევებითა და დრანტეებით დასერილი ტყიანი ფერდობი“; 2. „დაქცეული და წასაქცევად გამზადებული ქოხი“.

ტოპონიმური მასალა: **ფოხვი** –1. ხევი ოწყარიის მარც. მხარეს (ახუთი). 2. დავაკება ძირშეწეული კლდის ძირას, ზანის მარჯ. მხარეს (ლექობალე): 3. სკურდის ხეობის მონაკვეთი (ნახურცილაგო); 4. დაფერდება მეტერიის მარჯ. მხარეს (ლეგოგე- ნასაჯუ) და სხვ. **ფორხვი** – 1. ტყე, ფერდობი სქურჩის მარჯ. მხარეს (ჯუმითი, ხაბუმის თემი); 2. ფერდობი ჩეღალის მარჯ. მხარეს (ნაგვ- ახუ) და სხვ. **ფოხი** – ძირგამორღვეული კლდე ლახვაშიის

მარც.მხარეს (ლედგებე). **ფოხუ//ფახუ** – ფერდობი ოკვაცის მარჯ. მხარეს (საადანაიო).

ზემოთ მოყვანილი ტოპონიმური მასალიდან ჩანს, რომ ფოხვ-//ფორხვ- ძირს განუცდია რიგი სემანტიკური ცვლილება: 1. პირველადი, ძირითადი მნიშვნელობა: კოჭლი, დაკუთებული, დახუთული; 2. მეორეული ზოგადი მნიშვნე-ლობა: ცუდი, დაქცეუ-ლი, დაძველებული, დაუძღურებული, მოფამფალეებული; 3. დამატებითი კონკრეტული მნიშვნელობანი: ა) წასაქცევად გამზა-დებული ქოხი; ბ) ფულურო, დამპალი ხე, ძირგამოდრანტული ხე ან კლდე; გ) ცუდი ადგილი: ოღროჩოღრო კლდე, ღრანტეებიანი ფერდობი.

მაშასადამე, მეგრული ფოხვ- (და მისი ვარიანტები) ქართული ფეხვ- ფუძის (ზემოთ აღნიშნული მეორე მნიშვნელობით) სემანტიკური ეკვივალენტებია. მაგრამ არა მხოლოდ სემანტიკური!

ბგერათშესატყვისობა ქართ. ე : მეგრ. ო სამეცნიერო ლიტე-რატურაში სხვადასხვაგვარადაა ახსნილი იმის მიხედვით, ზმნურ ფუძესთან გვაქვს საქმე თუ სახელებთან. თ. გამყრელიძემ და გ. მაჭავარიანმა დაუშვეს გახმოვანების ორი ვარიანტი ა : ე უფ-უნქციო მონაცვლეობით. კერძოდ, ქართული ენის აღმოსავლურ დიალექტებში უნდა გვქონოდა ე, ხოლო დასავლურ დიალექტებში – ა. **მეგრულის ო სწორედ ამ ა-ს შესატყვისია.** მაგალითად: ქართ. ღერღედ-// *ღარღად- : მეგრ. ღორღონჯ-; ქართ. მწყერ-//*მწყარ- : მეგრ. მ-ჰყორ-; ქართ. ტრედ-//*ტრად- : მეგრ. ტოროჯ- ... „მეგრულ-ჭანური ო ასახავს არა საერთოქართველურ ე გახმოვანებას, არამედ პარალელურად არსებულ ა გახმოვანებას“ (გამყრელიძე, მაჭავარიანი, 1965, გვ. 159).

ზ. სარჯველაძემ რეგულარული ბგერათშესატყვისობის ასეთი დარღვევა (ქართ. ე : მეგრ. ო) ახსნა ოდესღაც **ქართულში არსებული უმლაუტით**, რის შედეგადაც სახელობითის -ი, ნათესაობითის -ის და მოქმედებითის -ით ბრუნვის ნიშნების წინ სახელურ ფუძეებში რეგრესული ასიმილაციის საფუძველზე ა→ე, მაგალითად: მეგრ. ხორხ- : *ხარხ- → ქართ. ხერხ-; მეგრ. ჰყორ- : *მწყარ- → ქართ. მწყერ- და სხვ. (სარჯველაძე, 1985, გვ.199).

ქართულში ფეხვ- მხოლოდ ზმნურ ფუძედაა დადასტურე-ბული, მეგრული ფო(რ)ხვ- კი სახელია და ნიშნავს: „კოჭლი, დაუ-ძღურებული, დაძველებული, მოღუნებული, დაქცეული, მოფამფა-

ლებული“. ამ სახელური ფუძისაგანაა წარმოქმნილი ვნებითი გვარის ზმნები: ი-ფორხვ-ე-ბუ „ძველდება, უძღლურდება, უღონო ხდება“; და-ფორხვ-ეზე „დაუძღლურებულა, დაძველებულა, მოფამფალეებულა“. ამათგან ნაწარმოები ვნებითი გვარის მიმღეობა ფორხვილი მნიშვნელობით იგივეა, რაც ფორხუ: „დაუძღლურებული, დაძველებული, დაქცეული, მოფამფალეებული“ (ზმრ. ძველი → დაძველება → დაძველებული, კოჭლი → დაკოჭლება → დაკოჭლებული).

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, უნდა ვივარაუდოთ, რომ ქართულ-ზანური ერთიანობის ხანაში *ფახვ-წარმოადგენდა სახელს, რომელმაც უმლაუტის გზით ქართულში მოგვცა ფეხვ- (რაც მხოლოდ ზმნურ ფუძედ შემორჩა), ხოლო მეგრულში ტრანსფორმირდა ფოხვ- ფორმით. აღნიშნული მსჯელობა სქემატურად ასე გამოიხატება: მეგრ. ფოხვ- : *ფახვ- → ქართ. ფეხვ- (ზუსტი ანალოგი ქეელ-ის 1990 წლის გამოცემის მიხედვით: ქართ. ფესუ- ← *ფასუ- : მეგრ. ფოსვ-. აქვე ხაზგასმულია, რომ ამ ფუძეებში -ე და -ო მეორეული ელემენტებია, ხოლო ქართულ-ზანური ერთიანობის ხანისათვის აღდგენილია *ფასუ. უნდა აღინიშნოს, რომ ქეელ-ის 2000 წლის გამოცემისათვის ბგერათმესატყვისობის სქემა ასეა შეცვლილი: ქართ. ფოსუ-//ფესუ- : მეგრ. ფოსვ- : ლაზ. ფოს-. ამასთანავე, გ. კლიმოვი „ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონის“ 1964 წლის გამოცემაში ქართულ-ზანური ერთიანობის ხანისათვის აღადგენს ფასუ არქეტიპს, ხოლო ამავე ლექსიკონის 1998 წლის გამოცემაში – *ფესუ არქეტიპსაც).

მაშასადამე, ქართული ფეხვ- ძირის პირველ მნიშვნელობას „გადავარდნა, გადაჩეხვა, წაქცევა, დაცემა“ მეგრულში შეესატყვისება ფახ-უ, ხოლო მეორე მნიშვნელობას – „დაკოჭლება, დაკუტება, დახუთვა, დაუძღლურება, დაძველება, დაქცევა“ – ფოხვ-. ქართულში გვაქვს არა პოლისემია, არამედ ერთი მნიშვნელობის ბგერითი გამოხატულებების დამთხვევა სხვა მნიშვნელობის ბგერით გამოხატულებასთან ფონეტიკური პროცედურის (უმლაუტის) შედეგად. მეგრულში რ განვითარებულია.

ასახსნელია ფოხვ-, ფოლხვ- ფუძის პოვნეირება სალიტერატურო ქართულსა და დიალექტებში. ძველი ქართული ენის ლექსიკონებში დაფიქსირებულია: დაფოლხუება „მოდუნება“

(ზ. სარჯველაძე) და მოფოლხუება „მოშვება“, მოფოლხუებული „მოშვებული“ (ი. აბულაძე). ამ ჩვენებაზე დაყრდნობით ბ-ნი ზურაბ სარჯველაძე არ ეთანხმება ქართული ფეხვ- და მეგრული ფო(რ)ხვ- ფუძეების ჩვენებულ დაკავშირებას (ცხადია, 1996, გვ. 33) და გვთავაზობს: ქართ. ფოლხუ- : მეგრ. ფორხვ- (ქეელ, 2000, გვ. 469-470).

ცხადია, ზანური ფო(რ)ხვ- ფუძე შესულია ქართული ენის დასავლურ კილოებში. აღსანიშნავია, რომ დ. კლდიაშვილის მოთხრობებში გვხვდება როგორც ჩაფეხვილი, ისე ჩაფოხვილი ფორმებიც. „ქამუშაძის გაჭირვების“ ბოლო თავში ვკითხულობთ: „ჩაფოხვილი დაბალი სახლის კარებთან... იდგა ტანმორჩილი გამხდარი ყმაწვილი ქალი“. ქეგლ-ი ჩაფოხვილთან მიუთითებს: „კუთხ. (იმერ). იხ. ჩაფეხვილი“. „სიტყვის კონა“ კი განმარტავს: „ჩაფოხვილი (იმერ.) – ჩაქოხვილი, დაძველებული“. ჩვენი აზრით, ფოლხვი დასავლური კილოებიდან არის გავრცელებული სამხრეთ-დასავლურ კილოებსა და სალიტერატურო ქართულში. ყურადღება უნდა მიექცეოდნენ იმ გარემოებასაც, რომ ყველა სადოკუმენტაციო მასალა, რაც ახლავს ფოლხვ- ფუძიან ზმნურ ფორმებს ძველი ქართული ენის ლექსიკონებსა და ქართ. ფოლხვ- : მეგრ. ფორხვ- ბგერათშესატყვისობის დასაბუთებას ქეელ-ის მეორე გამოცემაში, ემყარება ერთადერთ ლიტერატურულ წყაროს – გრიგოლ ნოსელის თხზულებას „აგებულებისათვის კაცისა“, რომელიც ბერძნულიდან უთარგმნია თრიალეთელი დიდებულის შვილს, სამხრეთ საქართველოს მონასტერში განათლებამიღებულ გრიგოლ მთაწმინდელს XI ს-ში (ქართული ენის დასავლური და სამხრეთ-დასავლური დიალექტები გარკვეული თვალსაზრისით ახლოს დგანან ერთმანეთთან). სვანურის ლაშხურ დიალექტში დაფიქსირებული ფოლხ- „დავრდომილი, დაუძლურებული“ (თოფურია, ქალდანი, 2000, გვ. 765) ქართული ენის დასავლური დიალექტებიდან ჩანს შეთვისებული.

7. დადგენილია ფონემური შესატყვისობა ქართ. **მახ-ა** : ლაზ. **მოხ-ა** (აღნიშნავს ხორბლის ჯიშს). როგორც ტოპონიმური მასალა აჩვენებს, მახა არქეტიპს მეგრულშიც მოეპოვებოდა შესატყვისი ფუძე, რომელიც შემოინახა ტოპონიმმა **მოხაში** (სოფელია სენაკის რ-ნში). აუსლაუტში შესატყვისობა ქართ. ა : მეგრ. ა : ლაზ. ა კანონზომიერია. ამ სახელწოდებაში -ში ფლექსიის ნიშანია და არა დერვიაციისა: საზღვრული კომპონენტის ჩამოცილების შემდეგ

დარჩენილ მართულ მსაზღვრელს დართვია სახელობითი ბრუნვის ნიშანი, რაც გასუბსტანტივება-გატოპონიმების ნიშანია (ეს ხერხი მრავალ ენაში, მათ შორის ქართველურ ენებშიც, ტოპონიმთა წარმოქმნის ერთ-ერთი აქტიური საშუალებაა). მაშასადამე: მოხაშმ ცვანა „მახას ყანა“ → მოხაში.

ზემოთ გაანალიზებული მასალა ერთხელ კიდევ ცხადყოფს, რომ ქართველური ტოპონიმია, ზოგადად, და კერძოდ კი კოლხური ტოპონიმია, ქართველურ ენებში ახალ-ახალი ფუძეთშესატყვისობების დადგენის მნიშვნელოვანი წყაროა.

§6. მებრული ტოპონიმის ლექსიკა

კოლხეთის ტოპონიმია ათასწლეულების მანძილზე იქმნებოდა: ჩერქეზულ-ადიღეური ელემენტი, რა თქმა უნდა, სუბსტრატს არ წარმოადგენს; ბერძენ კოლონიზატორთა მიერ დატოვებული გეოგრაფიული სახელები იშვიათია; სვანური სუბსტრატი თავს იჩენს რიონ-ცხენისწყლიდან გუმისთამდე; აჭარული, გურული და იმერული დიალექტების ლექსიკასა და ტოპონიმიაში უხვადაა წარმოდგენილი ზანიზმები, ხოლო ლეჩხუმურისაში – სვანიზმები, რაც, ცხადია, ინტერფერენციის (ძირითადად) ან მარგინალური კონტაქტირების შედეგია. სამურზაყანო-აბჟუის ზოგ სასაზღვრო სოფელსა და მარტვილის რაიონის ზოგ ცხენისწყლისპირა სოფელში (მაგალითად, ხუნწში), ფაქტობრივად, ორენოვნებაა (პირველში აფხაზურ-მეგრული, მეორეში ქართულ-მეგრული).

ტოპონიმური ლექსიკა არის ჯგუფი ცალკეული სიტყვებისა ან სიტყვათშეხამებებისა, რომლებიც გრამატიკულად შეიძლება წარმოადგენდნენ ნებისმიერ მეტყველების ნაწილს, მაგრამ, როგორც საკუთარი სახელი, ემსახურებიან ცალკეული ობიექტების გამოყოფა-ინდივიდუალიზაციას. ყოველგვარი საზოგადო სახელი საკუთარი სახელის საპირისპიროდ იწოდება აპელატივად მაშასადამე, ენის ლექსიკა, ჩვეულებრივ, იყოფა ორ ნაწილად – **აპელატიურ ლექსიკად** და **ონიმურ ლექსიკად**. მეორე მხრივ, ტოპონიმის ფუძეში შეიძლება იყოს როგორც საზოგადო, ისე საკუთარი სა-

ხელი. ამის მიხედვით შეიძლება ტოპონიმთა ორი ჯგუფის გამოყოფა: **აპელატივისმიერი** (მაგ.: ზედუბანი, ნაკიფარი, სხანარი, მლაშე, სარკინეთი, შინდისი...) და **ონიმისმიერი** (დადიანეთი, საგურამო, კვირიაული, ნამიკოლაჲო, ნაკაიძეები...). მაშასადამე, ერთ შემთხვევაში ტოპონიმის ეტიმოლოგიისათვის საჭირო იქნება აპელატივის, ხოლო მეორე შემთხვევაში - ონიმის ძიება. ამჯერად გვინტერესებს მეგრული ტოპონიმის აპელატიური ლექსიკის ენობრივ-დიალექტური შრეების ზოგი საკითხი, კერძოდ, ყურადღებას გავამახვილებთ ფუძეენის მასალაზე, ძველი ქართულის ლექსიკაზე, მეზობელი ქართველური ენებიდან ნასესხობაზე, სვანურ სუბსტრატზე.

მეგრული ტოპონიმის კვლევის ერთ-ერთი მთავარი მიზანია, გაირკვეს, ესა თუ ის ლექსიკური თუ სიტყვაწარმოებითი ფაქტი, მოვლენა არქაიზმია, ნასესხობაა თუ ინოვაციაა. და თუ ინოვაციაა, მაშინ დადგინდეს, იგი ქართულ-ზანური ერთობის დროინდელია თუ მათი განკერძოების შემდეგაა წარმოქმნილი ენის შინაგანი განვითარების კანონზომიერებით. კოლხური ონიმის ამ თვალსაზრისით კვლევა მოგვცემს მნიშვნელოვან მასალას ზანურისა და მისი მეზობელი ენებისა თუ დიალექტების ისტორიის შესასწავლად.

6.1. არქაული ფენა. არქაულ ფენაში ვგულისხმობთ ფუძე-ენიდან მომდინარე მასალას, რაც გამოვლენილია ფუძეთშესატყვისობების სახით და შესულია არნ. ჩიქობავას, გ. კლიმოვის და ზ. სარჯველაძე-ჰ. ფენრიხის შედარებით-ეტიმოლოგიურ ლექსიკონებში. ამჯერად სანიმუშოდ გამოვყოფთ რამდენიმე ტოპოლექსემას:

მალლაკი სოფელია ქვემო იმერეთში, მდ. გუბისწყლის მარც. მხარეს და ზანურ სუბსტრატს წარმოადგენს. მალლაკი ტყის სახელია სირიაჩქონშიც, უკვე სამეგრელოში (სენაკის რ.). ორივე შემთხვევაში ტოპონიმი წარმოიქმნა ჰიდროგრაფიული ტერმინისაგან.

ძველსა და ახალ ქართულში ფართოდ გამოიყენება ფუძე-დრეკადი ზმნური ფუძე დრეკ-//ღრიკ-. ზ. სარჯველაძემ და ჰ. ფენრიხმა ქართულ-ზანური ერთიანობის ხანისათვის აღადგინეს ხმოვანმონაცვლე ვარიანტი ღრაკ//ღრეკ (ქეელ, 2000, გვ. 516-517). ამის საფუძველს იძლევა მეგრულში დადასტურებული ღილოკ-//ღგლოკ-, ღირიკ-//ღგრიკ- და ღილაკ-//ღგლაკ- „ღრეკა“. დავასახელებთ ამ ზმნური ფუძის სხვა ვარიანტებსაც: ღირიკ-უა (მო-ღირიკ-ი „მოდრიკე“), ღგრკოლ-უა (ი-ღგრკ-ოლ „იღრიკება“) და ღვარკალ-უა (ი-ღვარკ-ალ „იღრიკება“). ტოპონიმიაში

გვხვდება ღლეკ- ზმნური ფუძეც. ზემოთ დასახელებული მეგრული შესატყვისობანი და ვარიანტები დასტურდება მეგრულის დღევანდელი და ზანურის ისტორიული გავრცელების რეგიონის ტოპონიმიაში. იმ ორი მა- პრეფიქსიანი ტოპონიმის გარდა, რომლებიც ზემოთ უკვე დავასახელეთ, წარმოვადგენთ სათანადო ძირის შემცველ სხვა მასალასაც: **მალლეკი** - ციას შენაკადი გაღმა შუა ხორგაში და ჯუმის შენაკადი აბასთუმანში. **მალლოკი** (← ღლეკ. შდრ. ქართ. ღრაკ) - ოკალმახის შენაკადი მთა ოხაჩქუეს ძირას (ზემო წელზე ეწოდება ღვრკოლირწყარი//ღვარკალერწყარი) და ორი მდინარე დღვანაში (ორივე აკეთებს დიდ რკალს. განარჩევენ: დიდი მალლოკი, ჭიჭე მალლოკი). **მალლოკია** - ჩხოუ- შიის შენაკადი ზედა ეწერში. **მალ(გ)ლოკი//მალლოკირი** - წყარო ოფუჯეში. კლაკნილად მიედინება და მიწაში იკარგება (სამურზა- ყანოს მთა).

მალლაკი, მალლეკი, მალლოკი ტოპონიმების ეტიმონები ღგლაკ, ღლეკ, ღგლოკ ზმნათა მიმღეობებია, რომლებიც და- კლაკნილი, დაღრეკილი, გამრუდებული მდინარეების (ან მათი მონაკვეთების) აღმნიშვნელ ტერმინებად გადაქცეულან. ამგვარი ოდენპრეფიქსული წარმოება რელიქტურია. ქართულში მას შეესაბამება მე-, მო- პრეფიქსებით ნაწარმოები მიმღეობები: მეღრეკი, მეგრევი, მეტეხი, მერხევი, მოზარდი... მაშასადამე, **სამეგრელოში დადასტურებული ჰიდრონიმები მალლაკი, მალლეკი და მალლოკი ძველთაძველია.** ქრონოლოგიით, სტრუქტურითა და სემანტიკით ანალოგიურია ოიკონიმი მალლაკი. როგორც ცნობილია, „მდინარე გუბისწყალი... მეტად დაკლაკნილად მიედინება და ქმნის ფართო ნახევარკუნძულებს ფლატე ნაპირებით ალაზნის მოსაბრუნების მსგავსად“ (ბერძენიშვილი, 1990, გვ. 461). ჩვენი ვარაუდით, მალლაკი თავდაპირველად იყო ჰიდრონიმი - გუბისწყლის ერთი მონაკვეთის სახელწოდება, ხოლო შემდეგ იქცა ოიკონიმად - აქ გაშენებული სოფლის სახელწოდებად (იხ. ვრცლად: ცხადაია, 1999, გვ. 46-48).

ხურუ მთიან სამეგრელოში გავრცელებული სიტყვაა და აქვს რამდენიმე ერთმანეთთან დაკავშირებული მნიშვნელობა: ა) მცირე მღვიმე, გამოქვაბული; ბ) კლდის ძირას მიმწყვდეული ვაკე-ხევი, რომლის იქით გზა არ გადის; გ) თაროსებური შევაკება მთის კალთაზე; დ) ღუბე; ე) მიდამოს კუთხე, წვეტი, რომელიც ფერდობს

ებჯინება. როგორც ცნობილია, „ქართულ ხურელ- ფუძეს შეესატყვისება ხურ-უ... რომელიც მეგრულში შემოგვინახა თუნთ- ი-ხურუ („დათვის ხევი, სორო“) კომპოზიტმა“ (ქეელ, 2000, გვ.723). ხურუ ფუძეს შეიცავს ათეულზე მეტი ტოპონიმი სამეგრ- ელოში. ვასახელებთ რამდენიმეს: **ხურუ** – ოჩხომურის შენაკადი ლედარსალეში; ვაკე-ხევი მენჯღაის სათავესთან, ნობულევში; დუბე-ტაფობი მთა აფიცარას კალთაზე (მარტვილის რ.) და სხვ. **ხურჩა** (← ხურუ უჩა „შავი ხურუ“) – სოფელი ენგურის მარჯვენა ნაპირას; ლარაწყარის შენაკადი და მისი ხეობა (სოფ. ლარა, კუხეში, ნაგურუ) და ჭანისწყლის შენაკადი კურორტ სქურის შე- მოგარენში. **თუნთხურუ** – ტყე-ფერდობი ტორჩინასა და ჭვარიშს შუა (ყოფილი გაჭედის სატყეო); **ხურამაში** (← ხურუ მამული) – ტყე- ხევი ნოდის ნაპირას, ჭაბურთაში.

მუხური ქართული მუხლ- ძირის კანონზომიერ შესატყვისად ითვლება, თუმცა კი სემანტიკურად “მხარე“ ლექსემასთან მეტ სიახლოვეს იჩენს. გურულსა, იმერულსა და ლეჩხუმურში გავრც- ელებული მუხურო „უბანი, კუთხე“ უთუოდ ზანური ლექსიკური სუბსტრატია. მეგრულში ტოპოლექსემა მუხურის მნიშვნელობებია: ა) კლდის ძირას მიმწყვედელი ადგილი, რომლის იქით გზა არ გადის; ბ) მდინარის რკალში მოქცეული ადგილი; გ) უბანი, ანუ კუთხე. მუხური ტოპოლექსემა გვხვდება სამეგრელოშიც და სამურ- ზაყანოშიც: **მუხური** – სოფლები გალის (ოქუმის ნაპირას. მოიხსენიება მე-17 ს. I ნახევრის საეკლესიო საბუთში), ჩხოროწყუს (ხობისწყლის ორსავე ნაპირზე), სენაკის (რიონის მარჯვენა **მხარეს**) რ-ნებში; **მუხური** ეწოდება აგრეთვე სახნავს ტეხურის რკალში (ნახურცილაგო), მინდორს კახათწყარის რკალში (ახალკახათი) და სხვ. **მუხურა** – ცივის რკალში მოქცეული სახნავი მეორე ლესიჭინეში; ტყე-საძოვარი ქვიბიაში (მარტვილის რ.) და სხვ. **მუხურია** – სახნავი შებეს რკალში (ალერტი). **მუხურიაზენი** – სახნავი უმპიის ნაპირას, აბასთუმანში. **მუხურჩა** (←მუხურ უჩა „შავი მუხური“. მიწის სიშავის ან ტყით დაბურულობის გამო) – სოფელი აბაშის მარცხენა მხარეს (მარტვილის რ.). **დიდმუხური** – ჭალა სკურდის რკალში (ნახურცილაგო). **მუხურკალო** – საძოვარი უტორის ნაპირას, საბუჯიოში.

ცალიში, ოცალეში მეგრულში მეტაფოროული ოროგრაფ- იული ტერმინებია და აღნიშნავენ უღელტეხილს, გადასასვლელს

მთაზე, სერის ჩადაბლებას. საერთოდ, გეოგრაფიული ტერმინოლოგიის შედგენილობისა და ფორმირების გზების კვლევა-ძიება, მათი სემანტიკური ცვალებადობის გათვალისწინება იძლევა საინტერესო მასალას როგორც ენის განვითარების ზოგადი სურათის, მისი შემოქმედი კოლექტივის აზროვნებისა და საქმიანობის, ისე ხალხის წარსული ყოფა-ცხოვრების დასადგენადაც. კოლხეთის ტოპონიმის უძველეს ფენაზე დაკვირვება აცოცხლებს მრავალ მივიწყებულ სიტყვას ან ამჟამადაც ცოცხალი ლექსიკური ერთეულის ცალკეულ ნიუანსურ მნიშვნელობას. ზემოთ დასახელებული ორი სიტყვის ისტორიის გარკვევაც ამაში გვარწმუნებს.

დადგენილია ფუძეთშესატყვისობანი ქართ. ყელ- : მეგრ. ყალ- : ლაზ. ყალ-//ყალ-//ალ-. ამჟამად მეგრულში ყელის („კისრის წინა ნაწილი“) მნიშვნელობით გამოიყენება მხოლოდ კისერი (თუშუცა პ. ჭარაიაც და გ. ელიავაც ამ მნიშვნელობით ყალი სიტყვა-საც ასახელებენ). არქეტში ყელ- აღნიშნავდა კისერს, ე.ი. სხეულის იმ ნაწილს, რომელიც თავს აერთებს ტანთან. მაგრამ დროთა განმავლობაში მოხდა სემანტიკური ცვლილება და ქართულში ყელ-მა აღნიშნა კისრის წინა (ქვედა) ნაწილი, ხოლო კისერ-მა – უკანა ნაწილი, ანუ კეფა, ქედი, კინწი. მეგრულში საპირისპირო ვითარებაა: თავ-ტანის შემაერთებელი ნაწილის წინა მხარეს (ქართ. „ყელი“) ეწოდება კისერი, ხოლო უკანა მხარეს, ანუ კეფას, ქედს – ოცულე(ში). ამავე ფუძიდან არის წარმოქმნილი ოცალეში, (ი. ყიფშიძე:), ანუ საყელო „ამონაჭერი ტანსაცმლის ზედა ნაწილში ყელ-კისრის ირგვლივ“. მაშასადამე, ქართულ საყელო და მეგრულ ოცალეში სიტყვებში შემონახულია ყელ- ფუძის თავდაპირველი მნიშვნელობა.

ადგილობრივი (ზოგ შემთხვევაში ვიწროლოკალური) გეოგრაფიული ტერმინოლოგია დიალექტური ლექსიკის მეტად მნიშვნელოვანი ფონდია. მისი ერთი ნაწილი, ისევე როგორც მრავალი ტოპონიმი, წარმოქმნილია გარეგნული მიმსგავსების, ანუ მეტაფორიზაციის, საფუძველზე. შეიძლება ითქვას, ადამიანისა თუ ცხოველის სხეულის სახელების მეტაფორიზაცია და გეოგრაფიულ ტერმინებად გადაქცევა გლობალური ტოპონიმური მოვლენაა. მიმსგავსებისათვის, როგორც წესი, გამოყენებულია სხეულის ისეთი ნაწილები, როგორიცაა: თავი, თვალი, ცხვირი, ყური, ენა, კისერი, ყელი, ფეხი (ჩაიკო, 1974). უღელტეხილის მთავარი ნიშანი არის ჩადაბლება, ჩაზნექა, ამიტომაც მის აღსანიშნად მსოფლიოს მრავალ

ხალხში გამოყენებულია ყელ- ლექსემა (მაგალითად, ყირგიზებში, ჩუკჩებში... იხ. მურზაევი, 1974, გვ. 130; ნიკონოვი, 1978, გვ. 90, 100). რა თქმა უნდა, მეგრული ცალიში „ყელისი“ და ოცალეში „სა-ყელისი“ ამგვარ ტერმინთა რიგში ჩადგება. ბ.-მ თქმაში **ლ** დასუსტებულია და დაკარგულია. ზოგ შემთხვევაში ტოპონიმი ყ ბგერას გამოაჩენს. საილუსტრაციო მასალა ასეთია: **ყალიში** – ტყე-ფერდობები ზემო ხუნწში; **ცალიში** – სერი მუჟავიდან მთა ოხაჩქუესაკენ მიმავალ გზაზე (წალენჯიხის რ.); **ცალიში//გოშირილი** – ვიწრო გადასასვლელი სერზე, ნამიკოლავო მეორეში. **ყაიში//ცაიში** – უღელტეხილი ბჟერის მთაზე (ნახუნაო, თამაკონი); დაბალი სერი ლეცავეში და სხვ. **ცაიში** – გადასასვლელი მამანთარის სერზე, ნახურცილავოში და ხევი-უღელტეხილი გახომელაბერთემის გზაზე. **ცაიში//გგმახორხილი** – მცირე მინდორი ვიწრო გადასავლელთან, ქვაითში. **ოცალეში//ოცაეში** – ოცალეშღალის ხეობის ვიწრო შესასვლელი ნობულევში. სემემა „უღელტეხილის“ აღსანიშნად მეგრულში მოიპოვება სხვა ლექსემებიც, რომელთა სტრუქტურა და სემანტიკა გამჭვირვალეა. ესენია: გოხორხილი „გახერხილი“, გოტოხირი „გაჭრილი, ჩაჭრილი“, გოშირილი „ჩაცვეთილი“, გოთხორილი „ჩათხრილი“, გოდირაკილი „ჩადრეკილი“ (ვარიანტებითურთ). ყელ- ფუძე ქართულშიც აღნიშნავს უღელტეხილს, გადასავლელს, რაც ასახულია კიდევ აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ტოპონიმიში (ბედოშვილი, 1980, გვ. 191; ხორნაული, 1983, გვ. 23).

წარმოდგენილი მასალა იძლევა ასეთი დასკვნების გაკეთების საშუალებას: 1. ცალიში//ყალიში და ოცალეში მეტაფორიზაციის გზით წარმოქმნილი ოროგრაფიული ტერმინებია და თავის დროზე აღნიშნავდნენ უღელტეხილს, გადასასვლელს სერზე, ვიწრო გასასვლელს. მათი სემანტიკის გაბუნდოვანების შემდეგ ამავე მნიშვნელობით მეგრულში სხვა ტერმინები დამკვიდრდა. 2. ცალიში და ოცალეში ტოპონიმებს შემოუნახავთ ყელ- არქეტისის ქართულ-ზანური ერთობის დროინდელი სემანტიკა („თავისა და ტანის შემერთებელი ვიწრო და ჩადაბლებული ადგილი“). ტერმინს მეტაფორიზაცია ჯერ კიდევ ამ ერთობის ხანაში განუცდია, რისი გამოცხადილიცაა აღმ. საქართველოს მთიანეთში ყელ- სესემის გამოყენება „უღელტეხილის“ მნიშვნელობით. ქართულ-ზანური ერთობის დაშლის შემდეგ ჩანს ზანურში წარმოქმნილი ყალიში//ცალიში და

ოცალეში, რადგანაც შესაბამისი „ყელისი“ და „საყელისი“ ოროგრაფიულ ტერმინებად ქართულში არ განვითარდა. 3. მეტაფორიზაციისათვის ყელი → უღელტეხილი აუცილებლად საჭირო იყო მთის ლანდშაფტი. მაშასადამე, ქართულ-ზანური ერთიანობის ხანაში ქართვებისა და ზანების წინაპრები მთიან მხარეში ცხოვრობდნენ (შენიშვნა: ჩვენთვის მიუღებელია ასეთი განმარტება სოფ. მუჟავაში დაფიქსირებული ცალიში ტოპონიმისა: „ცალი სვანურად ერთგვარ ფრინველს ჰქვია. მაშასადამე, ცალიში – ადგილი, სადაც ეს ფრინველი გვხვდება“. იხ. მიბზუანი, 1989, გვ. 253).

6.2. **ძველი ქართულის ლექსიკა.** კოლხური ონიმური და აპელატიური ლექსიკის კვლევის ერთ-ერთი მიმართულებაა ძველი ქართული ენის ფაქტების დადასტურება და სათანადო **ფონეტიკურ თუ სემანტიკურ** ცვლილებათა დადგენა. საამისოდ ფასდაუდებელ მასალას იძლევა ტოპონიმია, სადაც შეიძლება დაუნჯებელი იყოს მრავალი ტოპოლექსემა, რომელსაც ძალზე იშვიათად შეხვდები ან საერთოდ ვერ შეხვდები ცოცხალ მეტყველებაში.

აკვანი – „სარწებელი“ (სულხან-საბა), „სარწევი საწოლი ხისა ჩვილი ბავშვისათვის...“ (ქეგლ). მეგრულში ამ მნიშვნელობით გამოიყენება **არკვანი**-ც და **ონწე**-ც, რომელიც მოდელით მეგრულია, მაგრამ ამოსავალი ზმნური ფუძე „რწევა“ ამჟამად შეცვლილია „ქანცუა“ ფუძით (ონწეს უქანცუანს „აკვანს არწევს“). აკვან-ლექსემას მეგრულში, დაწყებული ცხენისწყლით და დამთავრებული ღალიძგით, მიუღია ოროგრაფიული მნიშვნელობა (მიმსგავსების ნიადაგზე) და აღნიშნავს ყოველგვარ ვიწრობს: ვიწრო და ღრმა კლდოვან კალაპოტს მდინარისას, კლდეში ჩაჭრილ ვიწრო გზა-გასავლელს. ამას დაადასტურებს ქვემოთ წარმოდგენილი მასალა: **არკვანი** – ინწირის ვიწრო კალაპოტი ნაგურაში; მორინჯის ვიწრო, ღრმა კალაპოტი აგვავერაში; ობარხა-ლაიას ვიწრო კლდოვანი კალაპოტი ჩხორთოლში. **არკვანტობა//არკვანცალტობა** – მორევი ოჩხომურის კანიონში (საბერულავო); **არკვანია // ობონეშია** – ჩხაიას ვიწრობი აბასთუმანში და სხვ.

აკლდამა არის „საძვლე საფლავი“ (ს.-საბა), „ქვიტიკირის სამარე , რომელშიც მარხავენ მიცვალებულს“ (ქეგლ). მეგრულში მას მიუღია „აკარდამა“ ფორმა, მაგრამ მნიშვნელობას ცვლილება არ განუცდია. მთიანი სამეგრელოს სოფლებში დღემდეა შემორჩენილი კლდეში ან ბორცვზე ამოჭრილი ძველებური სამარხები,

რომელთა შიგა კედლებს ზოგ შემთხვევაში ქვის თარო-სარეცელი გასდევს ხოლმე. აკარდამაც სწორედ ესაა. ტოპონიმებია: **აკარდამა** – ბორცვები ჭაქვინჯსა და კაციჰაბლაში (ორივეგან სამარხების ნაშთებით); სახნავი ოქუმიწყარის ნაპირას, წარჩეში. **აკარ-დამა//ჯვეშ ცაცხუონი** – ბორცვი ჭიხაშკარში; **ნააკარდამუ** – ბორცვი ცვანეში.

ბაბილო „მაღალი ვენახი, ხის ვენახი, გინა გრძელი ვენახი; დობილო, ხეზე ვენახი“ (ს.-საბა). ქეგლ-ი ბაბილოს განმარტავს ტყის ვაზად, უსურვაზად. გურულში ბაბილო აღნიშნავს ვაზის ფოთოლს. ქართლურსა და მთიულურში – უნაყოფო უსურვაზს. და **მხოლოდ მეგრულში შემოუნახავს** ამ სიტყვას ძველქართულისებური მნიშვნელობა: **ბაბილო, ბაბილოში** ეწოდება ვაზის მაღლარს, რომელიც თეთრ ყურძენს ისხამს. ტოპონიმებია: **ბაბლონა** – ტყე-ფერდობები ქალაქალში; **ბაბლოშანა** – ვაკე-სახნავები წარჩეში.

ბაერაყი „ეკლესიის დროშა; სამღრდელი დროშა; საყდრის დროშა“ (ს.-საბა). ქეგლ-ის მიხედვით, ეს არის ბაირალი, ანუ დროშა, ან კიდევ „ლათანზე ჩამობმული ქსოვილი, რომელზედაც ქრისტე, ანგელოზები ან წმინდანები იყო გამოხატული. გამოჰქონდათ ხოლმე ეკლესიიდან რაიმე საგანგებო შემთხვევის გამო...“ მთიულურში ბაერაყი არის ხატის დროშა. მეგრულში მას მიუღია ფორმა **ბერალი, ბერაყი, ბერახი**, რომელნიც ჩვენმა ინფორმანტებმა ასე განმარტეს გასული საუკუნის 70-იან წლებში: 1. ეკლესიის დროშა, რომელიც სატირალში მიჰქონდათ“; 2. „მაღალი ქვა-სვეტი ან თავზე ქსოვილშემოხვეული მაღალი ლატანი, რომელსაც მეჭევანიის დროს აღმართავდნენ ბორცვზე, მთის წვერზე“; 3. სამკუთხედად დამდგარი სამი ბოძი, თავშეკრული“. როგორც ჩანს, ასეთი სემანტიკური გადასხვაფერების ძირითადი პირობაა ორი ნიშანი: გრძელი ლატანი და მასზე ქსოვილის შემოხვევა. მაშ ასე: ბერალი, ბერაყი, ბერახი ეწოდა სატრიანგულაციო (გეოდეზიურ) ნიშანს. ტოპონიმიკური მასალა: **ნაბერალ //ბერალიშდუდი** – ეგრისის ქედის უმაღლესი მწვერვალი სამეგრელო-ლეჩხუმ-სვანეთის საზღვარზე. **ბერალსუკი** – ბორცვი ოცინდალეში (სოფ. თაია); **ნაბერალ** – მანცხვარგას მწვერვალი ზუმში; საძოვარი მთა ასხში. ბორცვი ქ. წალენჯიხის განაპირას და სხვ. **ბერალი//ნაბერალ** – ქვა-სვეტი ეკის მთაზე, საადამიოში; **ნაბერალი//ნაბერაყი** – გორა ლესალეში. **ნაბერალუ** – ურთის ქედის მწვერვალი ცაიში; **ნაბერაყ** – მთა ოხაჩქუეს მწვერვალი

(წალენჯიხის რ.); ბორცვი სამეცხიოში და სხვ. **ნაბერაყსუკი** – გორა ფახულანში; ბორცვი ყულიშკარში. **ნაბერახ//ნაბერალ** – ბჟერის მწვერვალი (მარტვილის რ.). **ბერაყსუკი** – ბორცვი ილორგანში.

კაპარი სულხან-საბასთვის ბალახია. დ. ჩუბინაშვილის განმარტებით, კაპარი არაბულიდან შემოსული სიტყვაა, აღნიშნავს მცენარეს და იგივეა, რაც რუსული . ნ. ჩუბინაშვილი ასახელებს ბერძნულ „კაპარე“ ეკვივალენტსაც. ი. ყიფშიძე განმარტავს: „კაპარი, კამპარი ()“. **კაპარი და ჯონჯოლი მცენარეთა სხვადასხვა ოჯახს განეკუთვნება** და განსხვავებული ლათინური ტერმინებითაც აღინიშნება. კაპარი ხეები, ბუჩქები, ბუჩქბალახები და მრავალწლოვანი ბალახებია. აღმ. საქართველოში გვხვდება ე.წ. ეკლიანი კაპარი, რომელიც „ბუჩქბალახია, აქვს გართხმული ღეროები და თეთრი ან მოთეთროვარდისფერი გრძელყუნწა ყვავილები... კოკორს, მკვახე ნაყოფს და ნორჩ ყლორტებს ამწნილებენ, მწიფე ნაყოფი იჭმება“ (ქსე, ტ.5, გვ.376). ქეგლ-ის განმარტებით, კაპარი არის მრავალწლოვანი ბალახოვანი მცენარე, აქვს გართხმული ეკლიანი ღერო, მთლიანი ფოთლები და მსხვილი თეთრი ყვავილები; გაუშლელი კოკრები იხმარება მწნილად (ქეგლ, ტ. IV). ჯონჯოლი ბუჩქები ან პატარა ხეებია. საქართველოში გვხვდება მისი 2 სახეობა: კოლხური ჯონჯოლი და ჩვეულებრივი ჯონჯოლი (რომელიც კოლხეთის გარდა ქართლსა და კახეთშიც იზრდება)... ჯონჯოლის გაუშლელ ყვავილებს ამწნილებენ (ქსე, ტ. 11). ქეგლ-ის მიხედვითაც, ჯონჯოლი საშუალო ზომის ხეა, აქვს რთული ფოთლები და თეთრი, ლამაზი ყვავილები. ასე ეწოდება ამ მცენარის ყვავილებისაგან დამზადებულ მწნილსაც (ქსე, ტ.8). მაგრამ დასავლურქართულ დიალექტებში **კაპარი ეწოდება მცენარეს, ხოლო ჯონჯოლი – მის ყვავილებს:** „კაპარი ტყის მცენარეა, ჯონჯოლს ისხამს“. „ფოთლეფს რო აკეთებენ ჯონჯოლათ, ისაა კაპარი“ (ძოწენიძე, გვ. 1974). „ბოტანიკური ლექსიკონის“ მიხედვითაც, ჯონჯოლს () გურულსა, იმერულსა, რაჭულსა და ლეჩხუმურში მნიშვნელობით შეესაბამება კაპარი, ხოლო გურულსა და მეგრულში – კამპარი (ქვემო რაჭულში კაპარს თრიმლსაც უწოდებენ. აღმ. საქართველოს დიალექტებში კაპარი ბურახსაც აღნიშნავს. იხ. ქართლური დიალექტის ლექსიკონი, გვ. 241).

როგორც ვხედავთ, **კაპარი აღმ. საქართველოში ბალახოვანი მცენარეა, ხოლო დას. საქართველოში - ხე-ბუჩქი.** ამ ორ გასხვავებულ მცენარეს ერთნაირი სახელი შერქმევია ორი საერთო ნიშნის მიხედვით. ესენია: ა) თეთრი ყვავილი; ბ) რომელსაც ამწნილებენ. მეორე მხრივ, დასავლურ დიალექტებში მოხდა ფუნქციითა გადანაწილება: სახელი **კამპარი** შერჩა ხეს, ხოლო **ჯონჯოლი** ეწოდა მის ნაყოფს. მიუხედავად ამისა, ზემო იმერეთის ტოპონიმიში დადასტურებულია (უმეტესად ტყეთა სახელებად): **ჯონჯოლი, ჯონჯლარი, ჯონჯნარი, ჯონჯლები.** მეგრულში გავრცელებულია ვარიანტები: **კამპარი, კამპური, კამფარი, კაფარი.** სიტყვა მეგრულიდან შესულა აფხაზურში აქამპგრ ფორმით. ტოპონიმებია: **კამპარონი** – ტყე თიქორში; **კამპურონი** – ტყე რეჩხი-ოჭაკის გზაზე (სამურზაყანოს მთა); **კამფარონა** – ტყე კურორტ სქურის შემოგარენში; **კამფარ(ო)ნა** – ბუჩქნარი ლეჩაჭაიეში; **კაფარონი** – ტყე ხურუს სათავესთან (ჩხოროწყუს რ.), ბუჩქნარი საბერულავოში და სხვ.

კბოდე და კმოდე სალექსიკონო ერთეულებს სულხან-საბა ცალ-ცალკე, მაგრამ შინაარსობრივად თითქმის ერთნაირად განმარტავს: „**კბოდე** არს წყლის პირი კლდოვანი, ძნელად შთასავალი და ჩაუვალი“, ხოლო კლდე სიტყვასთან ნათქვამია: „**კმოდე** არს კლდე ზღვისა და მდინარისა კიდისა ჩაუვალი“. ამ მნიშვნელობას ემყარება ქეგლ-იც კბოდე-ს განმარტებისას და დამატებს: „ციცაბო კლდე ზღვის (მდინარის) ... ნაპირას“. გურულში გავრცელებულია ოროგრაფიული ტერმინი კოდმე. მისი მნიშვნელობებია: მთის კონცხი; გორის ფერდობი; გვერდობი; მდინარის მაღალი (ამაღლებული) ნაპირი (ქეგლ, „სიტყვის კონა“). ამასთანავე, ქეგლ მიანიშნებს: „**შდრ. კბოდე**“. ამ ორი სიტყვის სემანტიკური იდენტურობა ნათელია. **კბოდე, კმოდე** ძველ ქართულში ნიშნავს „ციცაბო დაღმართს“ (სარჯველაძე, 2001, გვ.104). როგორც ცნობილია, ზოგი დიალექტი თავკიდურა კომპლექსებში ჰომოგენურობის პრინციპის დარღვევას „ასწორებს“ ნაწილობრივი ასიმილაციის გზით: **კბილი → კპილი, ტბა → ტპა...** მეორე გზა სუბსტიტუციაა: „**უხერხულ**“ **კბ** კომპლექსს ენაცვლება **კმ**. მაგალითად, კახურში: **კბენა → კმენა; ლეჩხუმურში: კბილი → კმილი; იმერულში: კბენს → კმენს; გურულში: უკბინა → უკმინა** (ჯორბენაძე, 1989, გვ.გვ: 319, 456, 500, 582). მაშასადამე, **კბოდე →**

კმოდე შესაძლებელი ფონეტიკური პროცესია როგორც აღმოსავლური, ისე დასავლური დიალექტებისათვის. მაგრამ კოდმე, რაც აშკარად მეტათეზისის (კმოდე → კოდმე) შედეგია, მხოლოდ დასავლურ კილოებში (გურულსა და იმერულში) არის დადასტურებული და იქიდანაა შეთვისებული მეგრულის მიერ, სადაც მას **კოდე** და **კოდუმე** ვარიანტებიც გაუჩნდა. კოდე, კოდმე, კოდუმე მეგრულში აღნიშნავს მდინარის ფრიალო ნაპირს, კბოდეს ფლატეს 5-6 მ. სიმაღლიდან 15-20 მ. სიმაღლემდე. ასეთ ფლატეთა ძირას ხშირად მორევიცაა. ამიტომ ბუნებრივია ასეთი სემანტიკური იდენტიფიკაცია: „კოდუმე არის მორევი მაღალი ნაპირის ძირას“ (ინფ.). ტოპონიმები: **კოდმე** – ცვანალის მაღალი ნაპირი ზუმში; ფლატისძირა მორევი ტეხურზე, გახომელაში და სხვ. **კოდე//კოდმე** – სახნავი აბაშის ნაპირას, ნალეფსაოში; **კოდუმე** – დაბალი კბოდე აბაშის ნაპირას, ნახარებავოში და მორევი ტეხურზე, ნოსირში. როგორც მასალა აჩვენებს, მეგრულში კოდმე მხოლოდ მდინარის ნაპირია, მაღალი ან დაბალი (ხოლო მთის კონცხს, ან ფერდობს, გვერდობს იგი არ აღნიშნავს).

კალო – სალექსავი ადგილი. ეს სულხან-საბას განმარტებაა. ნ. ჩუბინაშვილი უფრო სრულ და ვრცელ ინფორმაციას გვაწვდის: „კალო – მრგვალი ადგილი ძნათ გასალეწი“. ლექსემა დადასტურებულია ქართული მწერლობის უძველეს ძეგლებში. კალოობა კი ეწოდება „ლეწის დროსაც“ (დ. ჩუბინაშვილი) და კალოზე დაყრილი ძნის კევრით ლეწვასაც (ქეგლ). დასავლეთ საქართველოში სიმინდის კულტურის გავრცელების შემდეგ **კალო** დაერქვა სიმინდის ახალშეტეხილი ტაროების დასახვავებელ ადგილსაც (მაგალითად, გურულში. იხ. სიტყვის კონა). ამჟამად ეს მნიშვნელობა აქვს კალო სიტყვას მეგრულში. ბ.-მ. თქმის ზონაში მას მიუღია კაე ფორმა, რასაც დაგვიდასტურებს ტოპონიმია: **კაეგი(რ)ძე//კაიგიძე** „გრძელი კალო“ – ვაკე-სერი მეორე ბალ-დაში; **კაეში//კალეში** – საძოვარი პატარა ინჩხურში; **კალოში** – სახნავი აბაშის ჭალაში, სადაც სიმინდის კალო ჰქონიათ (სოფ. ბობოთი); **ნაკალუ** – მინდორი ჯალრაში; **ნაკალუუ** – სახნავი ლექაჯაიეში („კალოს“ მნიშვნელობით სამეგრელოში ასევე გავრცელებული ყოფილა კელუა „კალოობა“ ზმნის მიმღეობა **ოკელაშე** „სალეწი ადგილი“ და მისი ვარიანტები: **ოკეაში**, **ოკეეში**, **ონკეეში**. იხ. უფრო ვრცლად: ცხადაია, 1999, გვ.31-33).

ქვემო სამეგრელოში, განსაკუთრებით ნესტიან-ჭაობიან ზღვისპირეთში, კალო ლექსემას განუცდია სემანტიკური გადაწევა: იგი აღნიშნავს მშრალ, შემადლებულ ადგილს. ასეთი მნიშვნელობის შექენა მოულოდნელი არაა. კალო ხომ, როგორც წესი, მშრალ ადგილასაა გამართული. ეს მშრალი ადგილი კოლხეთის ზღვისპირეთში იმავე დროს შემადლებულიცაა. ამიტომაც კალო მშრალი, შემადლებული, მწყემსის კარვის გასამართავად ვარგისი ადგილის სინონიმადაც ქცეულა. ტოპონიმიაში დასტურდება: **კალო** – შემადლებული მინდორი სირიაჩქონში; **სხულონკალო** „მსხლნარის კალო“ – შემადლებული ადგილი თორსაში (ინფ.: „კალო იმიტომ ეწოდება, შემადლებულია, მშრალია და წყალდიდობისას წყლით არ იფარება“). **მუხურკალო** – საძოვარი საბუკიოში. მამასადამე, სამეურნეო ტერმინი ლანდშაფტურ-გეოგრაფიულ ნომენად იქცა. დაახლოებით ამგვარ ვითარებას გულისხმობდა ე. მურზაევი, როცა წერდა: „

()
,

“

(მურზაევი, 1970, გვ. 21).

მეედანი, მეედანი „სხვათა ენაა, ქართულად მერე და მინდორი და ფორე ჰქვიან“, – განმარტავს სულხან-საბა. სალიტერატურო ქართულის ნორმად ითვლება „მოედანი“. დასავლური კილოების (მაგალითად, გურულის, იმერულის) საზოგადო ლექსიკასა და ტოპონიმიაში გავრცელებულია როგორც მოედანი, ისე მაიდანი (იმერეთში) და მეედანი (გურიაში) ფორმები. ი. ყიფშიძის, პ. ჭარაიას, გ. ელიავას ლექსიკონებში ეს სიტყვა არაა შეტანილი. მეგრელთა მეტყველებაში მოედანი მხოლოდ ფეხბურთის მოედანს გულისხმობს. უძველესი მნიშვნელობა კი მხოლოდ ტოპონიმებშია შემონახული: **მაიდანი** – სოფელი აბაშის რ-ნში; ვაკე-სახნავი ძველ აბაშაში; **მაიდანი//მეედანი** – ვაკე-სახნავები მენჯში (ქ. სენაკი); **მეედანი** – სოფელი წალენჯიხის რ-ნში; სახნავი ფოცხოში; პ. დაქანებული ვაკე მეორე ლესიჭინეში; **მეედანი//მოიდანსუკი** – ვაკე-ბორცვი ლეახალეში. **მეედანი//მოედანი** – ვაკე-ბორცვი, უბანი კურზუში; **მე(ე)ედანი //მოედანი** – ვაკე-საძოვარი ასხში, ლეჩხუმის საზღვართან (მარტვილის რ.). აქ, „2000-2100 მ.

სიმაღლეზე მდებარეობს სამკუთხედის ფორმის უტყეო პლატო „მოედანი“ (ქსე, ტ. I, გვ. 664). **მე(ი)დანი** – სახნავები მეორე კიწი-აში; მინდორი ოქუმში. **მოიდანი** – ვაკე-სახნავები ნაგვაზუში. **მოედანი** – ვაკე ნოლაში. შდრ. დ. ჩუბინაშვილი: მეიდანი, მაედანი, მოედანი არაბული სიტყვაა.

6.3. დასავლურქართული დიალექტური ლექსიკა. ამ პარაგრაფში განვიხილავთ ზოგ ლექსემას, რომელნიც მხოლოდ დასავლურქართულ დიალექტებშია გავრცელებული ან ქართული სალიტერატურო ენის კუთვნილებაა, მაგრამ დასავლურ დიალექტებში ფორმა ან შინაარსი უცვლიათ და ასე გადასხვაფერებული შეუთვისებია მეგრულს.

ანგარი ჩვენთვის საჭირო მნიშვნელობით მხოლოდ დასავლურ (იმერულ, ლეჩხუმურ) კილოებშია დაფიქსირებული: „ეკლის ღობე, მცენარეთა საფარი; ეზოს ან ყანის საზღვარზე არსებული ბუნებრივი ან ხელოვნური ზღუდე“ („სიტყვის კონა“). ამ სიტყვას უმნიშვნელო ფონეტიკური და სემანტიკური ცვლილებით „გაულწევია“ ცხენისწყალს გაღმა და გავრცელებულა ბ.-მ. თქმის ზონაში, სადაც ანგარო აღნიშნავს სახნავი ფართობების გამყოფ ვიწრო ბუჩქნარ ზოლს. **ანგარო** ეწოდება სახნავს ლეციცხვაიში.

ბეჩა, ბეჩო ერთ-ერთი ფართოდ გავრცელებული ოროგრ-აფიული ნომენია მეგრულის საზოგადო ლექსიკასა და ტოპონიმიაში, სადაც მისი მნიშვნელობაა: მცირე შეღრმავება ლოდის ქვეშ ან კლდის ძირას; მღვიმე წყალქვეშ ან ხმელეთზე; გამოქვაბული (ამ უკანასკნელი მნიშვნელობით ბეჩას შეიძლება შეენაცვლოს ქვაბი). მაშასადამე, მეგრული ბეჩა, ბეჩო თითქმის სრულად იმეორებს იმ მნიშვნელობებს, რაც **ბეჩო** სიტყვას აქვს ლეჩხუმურსა და იმერულში: ღრუ მდინარეში, მდინარის ნაპირში, სადაც ბუღობს თევზი და კიბო, ჭილე; დათვის ბუნაგი; დათვის ბუნაგი გამოქვაბულში. სიტყვის ბოლოკიდურში -ა და -ო ხმოვნების მონაცვლეობა ფაკულტატიური, უფუნქციო ჩანს, თუმცა ქვემო სამეგრელოში უპირატესად ბეჩა ვარიანტი იხმარება: ალერტკარში, ყულიწყარის მარცხ. მხარეს სამი მცირე მღვიმეა. ერთს ეწოდება **სგემტამი ბეჩა** („სვეტებიანი მღვიმე“), მეორეს – **ცხოცხობეჩა** („ქაცვის ბეჩა“), ხოლო მესამეს – **გვრძე ბეჩა** („გვრძელი მღვიმე“). ზემო სამეგრელოს ტოპონიმიაში შეიძლება შეგვხვდეს როგორც მარტივი, ისე სუფიქსდართული ფორმებიც: **ბეჩა** – კლდე ჭალეში; ლოდი ნაფიჩხოვოში; ჭილე კინესქურზე, ჯაღრაში; ჩეღალის შე-

ნაკადი ლეთკანთში და სხვ. მრ. **ბეჩა**//**ცალიჩონაშ ქვაბი** – მღვიმე დ. ჩხოროწყუში. **ბეჩელა**//**ბეჩოლა** – კლდისძირი ვახაში; ბეჩო – მაღალი კლდე გოდოგანში; **ბეჩო(ლა)** – მღვიმე ლექობალეში; **ბეჩო(ნა)** – ბეჭი ონოლიაში; **ბეჩუნა** – ალპ. საძოვარი უჩაღალის სათავესთან (ყოფილი ტალერის სატყეო); **დადბეჩა** – ტყე-ხეობა ჩქვალერის შემოგარენში. ბეჩო ლექსემა სვანურშიც აღნიშნავს დათვის ბუნაგს და სვანეთის ტოპონიმიაშიც გვხვდება (იხ. ლიპარტელიანი, 1994, გვ. 68).

„მთა არს ადგილი მაღალი და ცივი“, – განმარტავს სულხან-საბა. სალიტერატურო ქართულშიც ეს ფორმაა გაბატონებული. დასავლურ დიალექტებში კი, კერძოდ, იმერულში, რაჭულში, ლეჩხუმურში, აჭარულში, ჩვეულებრივ, დაკარგულია თავკიდური ბგერა და მთა შეცვლილია **თა** ვარიანტით. თუმცა სალიტერატურო ენის ნორმის გავლენით მთა ფორმაც არაა იშვიათი, რასაც ადასტურებს ზემო იმერეთის ტოპონიმია (ზედა(მ)თა, მაღლა(მ)თა, ლომის(მ)თა, ვანის(მ)თა და სხვ). მეგრულში დედამიწის მნიშვნელოვნად ამაღლებულ ადგილს აღნიშნავს **გვალა** (//გოლა) ლექსემა, **თა** კი მეტყველებაში არ ჩანს, მაგრამ რომ გამოიყენებოდა, ამას სამეგრელოს ტოპონიმური მასალაც ადასტურებს: 1. **თატგბ** „თბილი მთა“, **თარზენი** „მთა-ვაკე“, **თანწყერი**, **თაკადარი** „მთის მზიანი ფერდობი“, **თაია** „პატარა მთა“ – სოფელი ჩხოროწყუს რ-ნში (იხ. უფრო ვრცლად ამ ტოპონიმებზე: ცხადია, 1999, გვ. 23-24).

იელი ყვითელყვავილებიანი ფოთოლცვენია ბუჩქოვანი მცენარეა. ამ ბოტანიკურ ტერმინს ქართველურ დიალექტებში მრავალი ფონეტიკური და ლექსიკური ეკვივალენტი მოეპოვება, მათ შორის გურული ელა-ი და იმერულ-რაჭულ-ლეჩხუმური ელი, რასაც მეგრულში რამდენიმე ვარიანტი მოუცია: **ელი**, **იბლი**, **იოლი**, **იოი** (ი. ყიფშიძე), **ივლი**, **ეი** (ალ. მაყაშვილი). ამათგან იბლი მხოლოდ ზუგდიდურ-სამურზაყანული კილოკავისათვის არის დამახასიათებელი. ვასახლებთ აღნიშნულ ფუძეთა შემცველ მეგრულ ტოპონიმებს: **ელ(ი)ონა** – ბუჩქნარი ლეჟვანიეში; **ელიონი** – ბორცვი წაჩხურში; **ელონა** – ბუჩქნარები მონგირსა და ალერტში; **ეღონი** – მინდორი ზემო ხუნწში; **იბლონია** – ბუჩქნარი თარზენის კალთაზე, სოფ. მუხურში; **იოენა** – ბუჩქნარი საელიავოში;

ოფონა – ტყე ქ. მარტვილში. მაშასადამე, იელ- ლექსემის მეგრულ სახესხვაობებს შეემატა ეფ, ოფი, ოფ (შდრ. ლაზური: ფელი).

კაკუტი და **კაკუჭი** საერთო ძირის მქონე სიტყვებია დასავლურ კილოებში: კაკუტი იმერულში არის სიმინდის საფშენელი ხელკავი, ღომის საცეხვი; გურულში კაკუტა, კაკუტე ეწოდება კაკვს, მოკაუჭებულ ჯოხს. კაკუჭიც თავმოკაუჭებული ჯოხია, ოღონდ ლეჩხუმურში. ამავე **კაკ-** ძირს უკავშირებენ მასალობრივადაც და მნიშვნელობითაც **კაკ-ფ-ი** ლექსემასაც, რომელიც აგრეთვე აღნიშნავს კაუჭს („კაკუჭი იგივეა, რაც კაუჭი“: ქეგლ, ტ. 4). კაკუტი ლექსემას მეგრულში ორი ძირითადი მნიშვნელობა აქვს: 1. სიმინდის (ტაროს) საფშენი ან ღომის საცეხვი ხელკავი, რომელსაც თავი მსხვილი და მოხრილი აქვს (როგორც ზემოთ ვნახეთ, ასეთივე მნიშვნელობისაა კაკუტი იმერულსა და გურულში და კაკუჭი ლეჩხუმურში); 2. სახურავის ქვეშ დადებული გრძელი ხე, რომელზეც აჭედებენ ყავრის, ისლის, კრამიტის დასამაგრებელ ლატანს (შდრ. კაკვის მნიშვნელობა ლეჩხუმურში). ი. ყიფშიძეც პარალელურად ასახელებს კაკუტი და კაკვი ლექსემებს. სულხან-საბაც და დ. ჩუბინაშვილიც კაკვ ფუძეს უკავშირებენ მოკაკვს, კაუჭს. მთიან სამეგრელოში ტყეებს, სადაც კაკუტს ამზადებდნენ, დარქმევია: **კაკუტ-ონა** – წაბლის ტყე რაქაში (ყოფილი კურზუს სატყეო); **ო-კაკუტ-ე(ში)** – ტყე-სერი აბაშის ხეობაში, სადაც თხმელნარში თლიდნენ ღომის საცეხველ კაკვებს. ქართულ **კაკ-** ძირს ლაზურში კანონზომიერად შეესატყვისება **კოკ-//კუკ-**. მართალია, მეგრული შესატყვისი კოკ- არ ჩანს, მაგრამ იგი რომ უნდა არსებულებოდა, ამას ადასტურებს სვანური კონკ-, რომელიც მეგრულიდანაა ნასესხები (ქეგლ, 2000, გვ. 260).

კვანტილა. აღ. მაყაშვილის „ბოტანიკურ ლექსიკონში“ დასახელებულია მცენარე ბუსკანტურა (სხვა ლექსიკონებში არ ჩანს) და მისი დიალექტური სემანტიკური ეკვივალენტები: ზემო-იმერული და ქვემოთაჭული სკვანტილა, სკვანტილო, ქვემოთერული და მთარაჭული კვანტილა და მურკაფხალა, ზემოთერული ჯდომელა და ჯდომიერა, მეგრული კვატალა და ქუჩუბენია. იმერულში სკვანტილა მხალია ერთგვარი. მცენარის დაწვრილებითი აღწერა არ მოიპოვება. როგორც ჩანს, ბუსკანტურას ვარიანტებად დასახელებული დიალექტური სიტყვების მნიშვნელობა ზუსტად

ერთნაირი არ უნდა იყოს. სკვანტილას ვარიანტია მურკაფხალა. მურკი კი არის „კომბოსტოს ძირთ ხვითი“ (სულხან-საბა, ნ. და დ. ჩუბინაშვილები), ანუ „კომბოსტოს ღეროს გამსხვილებული ნაწილი ძირიდან ფოთლამდე. - ხვითი“ (ქეგლ, ტ.5). ხვითი კი კომბოსტოს ძირია (სულხან-საბა). ამაზე მსჯელობა იმიტომ დაგვჭირდა, რომ მეგრულში **კვანტილა** (ზ.-ს. კილო) და **კვანტია** (ბ.-მ. თქმა) აღნიშნავს ტკბილძირხვნიან მცენარეს. ტოპონიმებია: **ო-კვანტილ-ე** – ტყე-ხეობა ნაფიჩხოვოში; **ო-კვანტი-ემი** – დავაკება ქვაითში. მაშასადამე, კვანტილა ქვემოიმერულიდან შესულა მეგრულში მნიშვნელობის შეუცვლელად.

კორდი ძველ ქართულშივე ფართოდ გავრცელებული და ხშირად გამოყენებული სიტყვაა ნათარგმნ თუ ორიგინალურ მხატვრულ ლიტერატურაში, სადაც მისი მნიშვნელობებია: უდაბნო, უშენი, მოუხნავი მიწა, ყამირი და სხვ. (იხ. აბულაძე, 1973). კორდი შესულია სულხან-საბასა და ნ. ჩუბინაშვილის ლექსიკონებში როგორც უხნავი და დაუმუშავებელი მიწის აღმნიშვნელი სიტყვა. დიალექტური სალექსიკონო მასალების (ფშაური, ქართლური, აჭარული, ზემოიმერული) მიხედვითაც, კორდი არის ყამირი, ე.ი. დაუმუშავებელი, მინდვრადქცეული მიწა, ბალახით დაფარული. კორდი სიტყვასთან ერთად ზემოიმერულში დადასტურებულია ასიმილაციის შედეგად მიღებული ფორმები **კორთი** (ტოპონიმებია: კორთისერი, კორთები და სხვ.) და **კორტი** (ტოპონიმებია: კორტი, კორტები, კორტნალა, კორტის სერი და სხვ.). როგორც ვხედავთ, ყრუ მკვეთრი კ „აყრუებს“ მჟღერ დ ბგერას და შედეგად ერთ შემთხვევაში ვიღებთ ყრუ ფშვინვიერ თ, ხოლო მეორე შემთხვევაში – ჰომოგენურ ტ ბგერას. ამჟამად ჩვენთვის მთავარია ის სემანტიკური გადაწყვეტა, რაც განუცდია კორთი ფორმას იმერულში: „ციცაბო აღმართი; ძნელად მისადგომი მადლობი; მთა-ბორცვიანი ადგილი“ („სიტყვის კონა“, გვ. 303). უხნავი მიწა, საძოვრად ქცეული, ხშირია სწორედ ბორცვებზე. იმიტომაც შეუძლებელი არაა მნიშვნელობის ასეთი ცვლა: კორდი → ბორცვი. ოროგრაფიული ნომენი კორტი გავრცელებულია ცხენისწყლის მარჯვენა მხარესაც, – სენაკური კილოკავის ბ.-მ. თქმის ზონაში, რომელიც უშუალოდ ეკვრის ქვემო იმერეთს. ტოპონიმები მარტვილის რ-ნში: **კორტი // მონიეფიშ კორტი** – მთის კონცხი ზემო ხუნწში; **კორტიგოლა** – სერი ლებაჩეში. მაშასადამე, კორდი

სიტყვას იმერულში მიუღია განსხვავებული ფონეტიკური და სემანტიკური იერი და გავრცელებულა მეგრული მეტყველების არეალში როგორც ოროგრაფიული ნომენი: კორტი “ყველაზე მაღალი ადგილი“.

მამული ლექსემის უძველესი და თავდაპირველი მნიშვნელობა არის „მამისეული. მამის ნაქონი, მამისაგან მომდინარე“. სალიტერატურო ქართულსა და დიალექტებში ამ წარმოქმნილ ლექსიკურ ერთეულს მიუღია ორი ძირითადი მნიშვნელობა: 1. მემკვიდრეობით მიღებული საკუთრება – უძრავი ქონება, უპირატესად, მიწა-წყალი; 2. სამშობლო. ჩვენ ამჟამად გვინტერესებს „მამულის“ ის კონკრეტული და ვიწრო მნიშვნელობა, რაც მას მიუღია იმერულში და გადაჰყოლია მეგრულშიც. იმერეთში მამული აღნიშნავს ვენახს, ზვარეს. ზემო იმერეთშია ჩაწერილი: „ეს მამული სულ ჩვენი იყო, ღვინოი უამრავი გვქონდა“. „ბრუისში და ღარხევეში მამულიცაა და ყანაცა“ (ძოწენიძე, 1974). ი. ყიფშიძეც ასე განმარტავს: „მამული – „. მამული

ფართოდ გავრცელებული სამეურნეო ტერმინია მთელ სამეგრელოსა და სამურზაყანოში, რასაც გვიდასტურებს მრავალრიცხოვანი ტოპონიმური მასალა, რომლის ერთ ნაწილსაც აქვე წარმოვადგენთ: **მამული** – მინდორი სამქვარში; სერი ჩხორთოლში; ტყე მეორე მოხაშში და სხვ. **მამულონი** – ტყე ფშაურში (ბედიის თემი); სახნავი საესებულოში და სხვ. **მამუი** – სახნავი ნაჯახავოში; **მამუდონი** – სახნავი ლეხაინდრავოში; **მამიანა//მამუდონა** – სახნავი ლევახანეში; **მამიონა//მამუდონა** – საძოვარი ლეცავეში; **მამლონი** – ტყე ლეახალეში; **მავლუონი//მამლუონი** – სახნავი ხამისკურში; **ნამამულ** – სახნავი რიყეში. მაშასადამე, მამული (ბ.-მ. თქმაში: მამუი, მამუდ) ფართოდ გავრცელებული სამეურნეო ტერმინია რიონ-ცხენისწყლიდან ღალიძგამდე. მისი მნიშვნელობაა ბალ-ვენახი; ვენახიან-ხეხილიანი ადგილი; ადგილი, სადაც ხეებზე ადესის ჭიმის ვენახია აშვებული.

საჩეხი პოლისემანტიკური სიტყვა. მისი ძირითადი და ფართოდ გავრცელებული მნიშვნელობა დაკავშირებულია ჩეხვა, გადაჩეხვა ზმნებთან: საჩეხი არის ის, რაც უნდა ჩეხონ, ისიც, რითაც უნდა ჩეხონ და ადგილიც, სადაც შეიძლება გადაჩეხვა (ქეგლ, VI). დასავლურ კილოებსა და მეგრულში მოიპოვება ჩეხ-, ჩიხ-

სახელური ფუძეები, რომელთა ზოგადი მნიშვნელობაა: „ჯებირი, შემოზღუდული ადგილი“. გურულში ჩიხი არის „შემოღობილი საბალახო პირუტყვისათვის“, ხოლო ზემოიმერულში ჩეხი, ჩიხი აღნიშნავს ფარეხს, საჩეხეს, ქართას (მიმწყვდეულ ადგილს გულის-ხმობს ქართული ჩიხიც: „გზა (ქუჩა), რომელიც ერთი მხრიდან ჩაკეტილია“). მეგრულში ჩიხი არის ჯებირი, კაშხალი, საერთოდ, მისამწყვდევი ადგილი (ქ. სენაკში ტეხურს ერთვის დღეე **ტაიაშ ჩეხი**. იგი ოდესღაც ტაიას გადაუკედლავს საწისქვილე არხში წყლის გადასაგდებად). აქედანაა წარმოქმნილი ნასახელარი ზმნები: გოჩიხუა, გოჩეხუა „გადაკედლვა (მდინარისა), მომწყვდევა (ვთქვათ, კლდისძირას)“. ამ ზმნათა წარსული დროის მიმღეობები **ნაჩიხა** და **გოჩიხილი** ხშირად გვხვდება სამეგრელო-სამურზაყანოს ტოპონი-მიაში. ამავე ფუძიდან ჩანს ნაწარმოები მეთევზეობასთან დაკავში-რებული ტერმინი ოჩხე „სამწყვდევი“ (ჩიხუა → ოჩიხე → ოჩხე).

ჩეხ, ჩიხ ფუძეების შემცველი ნასახელარი ზმნები, რომელთა მნიშვნელობა დაკავშირებულია დამწყვდევასთან, მიმწყვდევასთან, იმერულშიც უნდა გვქონოდა, რასაც ადასტურებს მიმღეობები **საჩეხე** და **საჩიხე**. ეს სამეურნეო ტერმინები ასეა განმარტებული: „სარით ან წნელით შემოღობილი გადაუხურავი საზაფხულო სამწყვდევი საქონლისა“ (ძოწენიძე, 1974), „ეზოში (ჩვეულებრივ, სახლს უკან) შემოღობილი ადგილი პირუტყვის სადგომად, შეშის საწყობად და სხვა დანიშნულებისათვის“ (ქეგლ, VI). სწორედ იმერულ-გურული **საჩეხი**, **საჩიხე** არის შეთვისებული მეგრულის მიერ (მეგრულში ამ ფორმებს შეესაბამება **ოჩიხე** და **ოჩიხუ**). მოგვყავს საილუსტრაციო მასალა: **საჩეხი** – სახნავი იმ ადგილას, სადაც უწინ “ჭყონდარის ჯოგის საჩეხი ყოფილა“ (სოფ. სა-ბოკუჩავო); მინდორი ტარჩენის რკალში, სადაც ჩიხივით მიმწყვდეული ადგილია (სოფ. ლემიქავე) და სხვ. **საჩიხი** – მინდორი, სადაც დადიანს ჰქონია შემოღობილი ყანებში დაჭერილი საქონლის დასამწყვდევად (სოფ. ოირემე); **ნასაჩიხ** – ჯამპონაღალის ზემო წელი ურთაში, მინდორი კორცხელში და სხვ. მართალია, მეგრულს მოეპოვება სხვა (თავისი თუ ისევ იმერულიდან ნასესხები) ზმნური ფუძეები თუ ტერმინები საქონლისთვის შემოღობილი ადგილის აღსანიშნად, მაგრამ „საქონლისთვის სამწყვდევი ღია შემოღობილი ადგილისა“ და ზოგადად „მომწყვდეული ადგილის“ მნიშვნელობით

იმერულ-გურულიდან შეუთვისებია ჩიხი//ჩეხი და საჩეხი//საჩიხი ლექსემები.

ძმერხლი, როგორც ბოტანიკური ტერმინი, აღნიშნავს დაბალ მხოხავფესურიან მარადმწვანე ნახევრად ბუჩქ მცენარეს, რომელიც გავრცელებულია დასავლეთ საქართველოსა და ქართლში (ქეგლ, ქსე). სულხან-საბასთან და დ. ჩუბინაშვილთან დამოწმებულია ჯმერხი, რომელიც, შესაძლოა, დასავლელი რესპოდენტისაგანაა ჩაწერილი. აღ. მაყაშვილის „ბოტანიკურ ლექსიკონში“ აღნუსხულია დასავლურქართულ დიალექტებსა და ენებში გავრცელებული ფორმები: **ჯმერხლი** – იმერულში, **ჯილმეხი** – რაჭულსა და ლეჩხუმურში, **ზურმეხი**, **ზერმეხი** – ლაზურში, **ზორმეხი** – მეგრულში და **ზემეხ** სვანურში. სამეგრელოს ტოპონიმიამ გამოავლენს **ზომოხ**, **ზორმეხ**, **ზუმოხ**, **ზემახ** ვარიანტებს: **ზომოხონა**//**ზორმეხონა** – ოგვარგვალემის შენაკადი ნაკიანში; **ზუმოხონა** – ტყე მოხაშში; **ზემახონა** – ხეშეობონუს შენაკადი ალერტში.

საინტერესოა, ზემოთ აღნიშნულ ვარიანტებში რომელია თავდაპირველი? ასეთი შეიძლება იყოს ძმერხლი, რომელიც დეზაფრიკატიზაციით (ძ→ ზ) მოგვცემდა ლაზურ-მეგრულ ზომეხ, ზორმეხ, ზურმეხ, ზუმოხ, ზერმეხ, ზემეხ ფორმებს (მეგრულიდან სვანურში სესხებით), ხოლო ძ - ჯ მონაცვლეობით - ჯმერხლს. ამ უკანასკნელს უკავშირდება ჯილმეხი.

იმერულში **ღია** აღნიშნავს დაბალ ადგილზე გადასულ მდინარეს, ხოლო **სოხანე** – იატაკად დატყეპნილ მიწას. ორივე სიტყვას გაულწევია ცხენისწყალს გაღმა, მარტვილის რაიონში, და ჰიდრონიმად ქცეულა: ცხენისწყლის მარჯვ. შენაკადს ეწოდება **სუხანე** (ონოღია, ნაჯახავო, ნაგებერავო, ლეხანდრაო), ხოლო მის ზემო წელს (ზემო და ქვემო ნაგვაზავოში) – **ღია**//**რღია**//**ღეე**. იმერულ სიტყვას მეგრულში მცირე სემანტიკური ცვლილება განუცდია. ადგილობრივთა განმარტებით, „რღია არის მცირე მდინარე, იგივე ღეე, რომელიც არ შრება“. ლეხალესა და ნაკიანში (ჩხოროწყუს რ.) გაედინება და ზანას ერთვის მარჯვენა მხრიდან **ღვია**. ესეც იმერული სიტყვაა და ნიშნავს მღვრიეს.

სამურზაყანო-სამეგრელოს ტოპონიმიში გვხვდება აგრეთვე გურული **ურეკი**, იმერული **მჭადა** (იხ. ცხადაია, 1999, გვ.105-107, 59-60) და სხვ. მრ.

იმერული და გურული ლექსემების არსებობა სამეგრელოს ტოპონიმიაში, მით უმეტეს, იმერეთისა და გურიის მომიჯნავე ტერიტორიაზე, ბუნებრივია, მაგრამ რით აეხსნათ ზემორაჭულში, თვით ღებში გავრცელებული ოროგრაფიულ-ლანდშაფტური ტერმინების დადასტურება სამეგრელოსა და სამურზაყანოს ტოპონიმიაში? მთისძირა სოფელ ლარაში (წალენჯიხის რ.). ერთგან, ბოგაშის მთის კალთას ორ ხევს შუა აუყვება დიდი დაქანების მქონე ფერდობი, რომელსაც **ფარი** ეწოდება. ქველ-ისეული განმარტება „ფარ“-ისა სახელდებულ ობიექტს ვერ მოერგო, ხოლო „ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონაში“ ეს ლექსემა საერთოდ არ აღმოჩნდა. ხუთიოდე წლის წინათ რიონის ხეობის რამდენიმე სოფლის ტოპონიმია აღვსუსხეთ. ჩვენი გაკვირვება გამოიწვია ფარ-ტოპოლექსემის სიმრავლემ. ღებში ჩავიწერეთ: **აღამაფარუკა** – სათიბი, **ფარი** – სათიბი ფერდობები (იყოფა: ბერუკიანფარი, საძაღლე ფარი, ალხიეფარი და სხვ), ბოძაღფარი – სათიბი და სხვ. საქმე ისაა, რომ ზემორაჭულში **ფარი აღნიშნავს სათიბს დიდი დაქანების ფერდობზე, მთის კალთაზე**, ხოლო ფარუკა, შესაბამისად, პატარა ფარია. ჩვენ მიერ სოფ. ლარაში დადასტურებული ფარიც საძოვარია დიდი დაქანების მთის კალთაზე. სხვა მაგალითი: ღებში, ჭიორაში, საკაურაში ფართოდაა ცნობილი **ხოლი, ხოლე**. ასე ეწოდება ფერდობს ან გზას ფერდობზე. ტოპონიმებია: ხოლი – მდინარე ჭიორაში; ხოლითავი – დავაკება ღების ცენტრში; ხოლები – ფერდობები ღებში; ხოლე(ები) – აღმართი ნიგავზების შესასვლელში და სხვ. უნებურად იბადება ასოციაცია გალის რ-ნის სოფელ ხოლეს სახელთან. ეს სოფელიც მდებარეობს ბორცვზე, მაღალი აღმართების თავზე. შემთხვევითი დამთხვევებია?!

დასავლურქართული დიალექტებიდან ნასესხები კიდევ რამდენიმე ათეული ტოპოლექსემა დასტურდება სამეგრელოსა და სამურზაყანოს ტოპონიმიაში, მაგრამ თვით სესხების ფაქტისა და ხასიათის დასადგენად დასახელებული და გაანალიზებული მასალაც საკმარისია. მაშასადამე, დასკვნა ასეთია: 1. ქართული სალიტერატურო ენის ლექსემები ჯერ დასავლურ კილოებში გადასხვაფერებულა ფონეტიკურად (თა, ელი, კოდმე), სემანტიკურად (მამული) ან ფონეტიკურადაც და სემანტიკურადაც (კორთი//კორტი) და მერე შეუთვისებია მეგრულს; 2. ნასესხებ ტოპოფუძეთა ერთი ნაწილი ოდენ დასავლურქართული დიალექტების კუთვნილებაა და ფონეტიკურ-სემანტიკურ ცვლილებათა გარეშე

(ან უმნიშვნელო ცვლილებით) არის შეთვისებული მეგრულის მიერ (ანგარო, ბეჩა, კაკუტი, კვანტილა, საჩეხი, ურეკი). ზოგი ნასესხები სიტყვა მეგრულიდან სვანურშია გადანაცვლებული; 3. დასავლურ-ქართული დიალექტებიდან ნასესხებ ტოპოლექსემათა ერთი ნაწილი მხოლოდ იმერეთისა და გურიის მოსაზღვრე რაიონების ტოპონიმიაშია დადასტურებული, მეორე ნაწილი კი გავრცელებულია მთელ სამეგრელოში და სამურზაყანომდეც აღწევს.

6.4. მეთევზეობის ლექსიკა. უცხოური და ქართული წერილობითი წყაროები, ფოლკლორულ-ეთნოგრაფიული მასალები და, განსაკუთრებით, არქეოლოგიური აღმოჩენები ცხადყოფენ, რომ შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთი სანაპიროს მოსახლეობა უძველესი დროიდანვე მისდევდა მეთევზეობას. “საამისო ტრადიციები აქ ნეოლითის ხანიდან იღებს სათავეს“ (ხახუტაიშვილი, 1986, გვ. 143). აჭარის, გურიის, სამეგრელოს ნეოლითურ და ენეოლითურ ფენებში ნაპოვნია ქვის საწაფები, ძვლის ანკესები და ჭვილთები, თევზსაჭერი საძირეები (ხოშტარია, 1944, გვ. 211; გოგიტიძე, 1977; ლორთქიფანიძე, 1970, გვ. 70-72). როგორც ჩანს, ისტორიულ კოლხეთში მეთევზეობა სამეურნეო საქმიანობის დამხმარე, მაგრამ ტრადიციული და მნიშვნელოვანი დარგი იყო. თევზის ჭერას მისდევდნენ დასავლეთ საქართველოს როგორც ზღვისპირა, ისე შიდა რაიონებში (მირიანაშვილი, 1975, გვ. 98). ამის ხელშემწყობ პირობებს ქმნიდა დიდი და მცირე მდინარეების სიუხვე. მეგრულში მეთევზეობის ლექსიკა ძირითადად მდინარეში თევზჭერასთან არის დაკავშირებული. ასეთივე სურათია აჭარულ დიალექტში (თანდილავა, 1976, გვ. 59).

თევზჭერის ტრადიციები მეგრელებმა, ისევე როგორც ლაზებმა (ნარაკიძე, 1987, გვ. 81) ჩვენს დრომდე შემოინახეს. თევზის მოსაპოვებლად კოლხეთის მოსახლეობა დღესაც ძირითადად იმავე ხერხებსა და იარაღებს იყენებს, რასაც მისი წინაპრები იყენებდნენ უძველეს დროში.

ა. თევზჭერის იარაღები და მოწყობილობანი

ფაცერი არის „თევზის საჭერი ლასტის მახე ღარისნაირი“ (ქეგლ). ასეთ მახეს მეგრულში **გეჩა** ეწოდება. მართალია, ფაცერი სამეგრელოშიც ლასტია, მაგრამ არა ღარისნაირი, არამედ ფართო და ბრტყელი, შუაში მრგვლად ჩაზნექილი (შდრ.: სულხან-საბასა და დ. ჩუბინაშვილის განმარტებანი: „ფაცერი – თევზის მახე“; 130

„ფაცერი – მახე თევზთა“). მას დგამენ მდინარის ბუნებრივი თუ ხელოვნური ტოტის დაქანების ადგილას, ან შეუდგამენ მცირე ჩანჩქერს: წყალი წნულში გადის, თევზი კი ზედ რჩება. ტოპონიმური მასალის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ფაცერი უფრო გავრცელებული ყოფილა მთაგორიან რეგიონში, სადაც რელიეფი და, მამასადამე, წყლის კალაპოტიც დაქანებულია, რაც ხელსაყრელ პირობებს ქმნის ამ მახის გამოყენებისათვის. როგორც ცნობილია, ფაცერი, სამეგრელოს გარდა, გვხვდება გურიაში, იმერეთში, რაჭაში, აჭარაში, მესხეთში (თანდილავა, 1976, გვ. 69). ტოპონიმებია: **ოფაცერე** – ვაკე, უბანი სქურჩის ორსავე ნაპირას, ჯუმათში (ხაბუმის თემი); **ნაფაცერ** – სახნავი ხობისწყლის ნაპირას, პირველ გურიფულში და ტეხურის ჭალა ნამიკოლაგო პირველში; **ნაფაცერუ** – სახნავი ტეხურის მარცხ. მხარეს, საოდიშარიოში და აბაშის მარჯ. მხარეს, საგვაზავოში (აბაშის რ.); **საფაცერო** – მორევი ტეხურზე, ნახურცილაგოში; **საფაცეროლალ** – ქვაფონის მარცხ. შენაკადი სირიაჩქონში და სხვ.

გეჩა თევზის საჭერი ღარისნაირი მახეა, წნელით დაწნული, სიგანით 60-70 სმ, სიგრძით 3-5 მ. თავში ღიაა, ბოლოში – დახურული, რათა თევზი არ ამოხტეს. მდინარეს მთლიანად (თუ მცირეა) ან ნაწილობრივ გადაკედლავენ, ვიწრო ღარში ჩააგდებენ და გეჩაზე მიუშვებენ. ი. ყიფშიძე გეჩა სიტყვას განმარტავს როგორც თევზსაჭერ ძარას და შესადარებლად მოჰყავს სულხან-საბასა და ნ. ჩუბინაშვილის განმარტებანი გეჯა სიტყვისა („გეჯა – ხის დიდი გობი“; „გეჯა – დიდი გობია ხისა ნავის მსგავსად ამოჭრილი“). პ. ჭარაიას აზრით, გეჩა ფაცერია. გეჩა სიტყვა ჩანს ტოპონიმებში: **ნაგეჩ** – ენგურის ტოტი შამგონაში; **ნაგეჩუ** – ხობისწყლის ჭალა მეორე გურიფულში; **ჯონიშ ნაგეჩ** – წყალმარჩხი ენგურის ტოტზე, ტყაიაში.

ღარჩი ისეთივე მოწყობილობაა, როგორც გეჩა (იხ. ცხადაია, 1999, გვ 18). ტერმინი გვხვდება სამურზაყანოში: მეორე გულდავაში აძურუს მონაკვეთს ეწოდება **ნადარჩი**.

კუნო თევზის საჭერი მახეა, წნელით ან ტყეჩით დაწნული (ამჟამად რბილი მავთულისგანაც წნავენ), გოდრის ან გიდლის ფორმისა. აქვს ძაბრისებური ყელი, ან ფართო ღია პირში ჩაწნულ-ჩადგმულია მომცრო გიდელი. ვიწრო ყელ-შესასვლელში თევზი ადვილად შედის, მაგრამ უკან ვერ გამოდის, წნულ კედლებს შორის ემწყვდევა. კუნოს აბამენ მდინარეში ჩასობილ მარგილზე წყლის

დინების საპირისპიროდ. თუ წყალი მდორე და ღრმაა, მაშინ ჩაჰკიდებენ და ბოლოში მძიმე საგანსაც გამოაბამენ. ამ შემთხვევაში თევზის მისატყუებლად საკვებსაც ჩაყრიან. ძველ ქართულში ასეთ მახეს ეწოდებოდა კოკოზა, კუდმოზვერი, დგველამური. სალიტერატურო ქართულსა და დიალექტებში ამ მნიშვნელობით იხმარება: პირშექცეული, პირსაქცეულა, გოდორა, გოდორყური, გუდულა, კოკოჩანა, გონძლო, გოდორძლო, ძარა და სხვ. ლაზურში მას ლესა ეწოდება. კუნო ალბათ იგივეა, რაც ქართული “კონი“, რომელსაც ლექსიკოგრაფები ასე განმარტავენ: „ქვემოლამ ალმავალის თევზის საპყრობი გოდორი პირშექცეულითა“ (ს.-საბა); „ორაგულის სანადირო ფაცერი, მდინარეზედ გაბმული, რომელშიაც ჩაიდგმიან პირშექცეული გოდრები“ (ნ. ჩუბინაშვილი) და სხვ.

კუნო ჩანს გეოგრაფიული სახელწოდებებში: **კუნოში** – უბანი ჭუმის ნაპირას, დარჩელში; **ნაკუნუ** – სახნავი გურძემის ნაპირას, მოხაშში; **ხუკუნის ნაკუნუ** – სათევზაო ადგილი ზორღათზე, განარჯიის მუხურში.

გორდ(ი)ოული, იგივე გოდორე, ისეთივე მახეა, როგორც კუნო. სიტყვა გავრცელებულია მარტვილისა და აბაშის რაიონებში და უნდა მომდინარეობდეს გურულ-აჭარული გოდორა//გოდერე-საგან. ფიქსირებულია ორ სახელწოდებაში: **გოდორო(უ)** – სახნავი ხუხუნიაშ დაის ნაპირას, პირველ ბალდაში; **ანდრიგორდოუ** – მორევი ნოდელაზე, ნაჯახავოში.

ფაცერი, გეჩა, დარჩი, კუნო, გორდ(ი)ოული ხმელეთზე მზადდება და მერე იდგმება მდინარეში. მაგრამ თევზის საჭერი ან მოსაზიდი ზოგი მოწყობილობა მდინარეზევე იგება. ასეთია კვახილი და ხორგი. **კვახილი** შემდეგნაირად იგება: მდინარეს გარდიგარდმო მარგილებით გადატიხრავენ, გადაკედლავენ. ერთგან (შეიძლება მეტგანაც) დაუტოვებენ შესასვლელს, რომელიც გადის წრიულ შემოღობილში. თევზი იქ ემწყვდევა და ხესქერით ამოჰყავთ. თევზჭერის ეს წესი ჩავიწერეთ ზუგდიდის რ-ნში. მარტვილის რ-ნში მსგავს მოწყობილობას **კვახირი** ეწოდება: მდინარეზე გადებენ ჰოკს ან ხეს. მას მიაყრდნობენ ჩელტს და გაუკეთებენ ორ გასასვლელს, რომლებსაც მიუდგამენ გორდოულებს სხვადასხვა მხარეს, რათა დაიჭირონ როგორც ალმა, ისე დაღმა მოძრავი თევზი (იხ. 1999, გვ. 37-38).

ხორგი მეგრულში აღნიშნავს ქვის ან ხის ხერგს, გროვას. მეთევზეთათვის ესაა ხეებით შეკრული ხელოვნური ღრუ, რაც

თევზის დასაბუდედლად კეთდება. მარტვილის რ-ნის სოფ. ორქაში ჩავიწერეთ ხორგის მომზადების ასეთი წესი: მდინარეში, ნაპირთან ახლოს, სამკუთხედის ფორმით შეკრულ ხეებს ჩააწყობენ, ზედ მიაყრიან ფოთლიან ტოტებს, ძეძვს. წინ დაასობენ მარგილებს და მას მიაყრდნობენ ლასტს. იგი წყლის დინებას ანელებს. ძეძვსა და მდორე წყალში თევზი იბუდება. ხორგს აქვს სამი „თვალი“ – კარები, რომლებსაც მიუდგამენ გორდოულებს. თევზი სწორედ მათში ემწყვდევა ხორგიდან გასვლისას ან შესვლისას. უფრო მარტივი ტიპის ხორგი, ანუ ხურგი, კეთდება კვახილის მსგავსად: მდინარეზე გადებულ ხეს მიაყრდნობენ ჩელტს და მიაყრიან ძეძვს.

კვახილი და ხორგი დამოწმებულია გეოგრაფიულ სახელწოდებებში: **კვახილი** – ტყე ლეფონღალის მარცხ. მხარეს, ფიცარღალში; **ნაკვახილ** – ბუის მორევი ერგეტაში; **გვილეფიშ ნაკვახილ** – სათევზაო ადგილი ონწყვეშია-ღალზე, ჭურიაში. **მამაშიაშ კვახილი** – სათევზაო ადგილი ხობისწყალზე, გაღმა ქარიატაში; **სამსოშ ხორგი** – სათევზაო ადგილი ლეეზე, ორქაში.

თევზის დასაბუდედლად სამეგრელოში ქვის ყორეებსაც აგებენ. მათ **ქუფე** ან **ბათარია** ეწოდება. მათი ძირითადი დანიშნულებაა მდინარის ნაპირის გამაგრება ან წყლის დინებისათვის მიმართულების შეცვლა: ქუფე დიდი გოდრის მსგავსადაა შემოღობილი, წყალში ჩადგამენ და ქვით აავსებენ; ბათარია გრძელი ქუფეა. მათი დაშლა, რა თქმა უნდა, არ შეიძლება, მაგრამ ზამთარში თევზის დასაბუდედლად მათ მსგავს ყორეებს აგებენ მოსახერხებელ ადგილებში, საჭიროების ჟამს კი ნელ-ნელა შლიან და ქვებს შორის დაბინავებულ თევზს ხელით იჭერენ. შდრ.: „ქოფე (ლეჩხ.) – ხვიმირა, ალატი“; „ქუბი – კონუსისებურად დაწყობილი ჩალის ზვინი“ („სიტყვის კონა“), „გოდორყურე – დაწნული და ქვით სავსე დიდი ჭინი მდინარის ნაპირის გასამაგრებელი (ქეგლ, ტ. 2). **ბათარია** სოფელი და სოფსაბჭოს ცენტრი მენჯის სას. საბჭოში, მდ. ცივის მარჯვ. ნაპირას. როგორც ჩანს, მდ. ცივზე იყო აგებული ბათარია, რაც შემდეგში სოფელს დარქმევია. სოფ. ახალსოფელში (ზუგდიდის რ.) ჯუმის მორევეს ეწოდება **ბათარიაშ ტომბა**, ხოლო ნაბაკევი ენგურისპირა სახნავს – **ნაქუფი**.

ნაშრომში „მეთევზეობის ლექსიკიდან“ (გვ. 70) ზ. თანდილავა აღნიშნავს: „სამეგრელოში გოდორას აღსანიშნავად იხმარება აგრეთვე კუნო ან ქუფე“. საქმე ისაა, რომ ამჟამად მეთევზეთა ერთი ნაწილი მართლაც ურევს ერთმანეთში თევზსაჭერ მახეთა სახელ-

წოდებებს. ამის გარდა, ბანძურ-მარტვილურ თქმაში ქუფე, ანუ ცხეკუ, მართლაც ეწოდება კუნოს მსგავს მოღობილს, რომელსაც ხორგში ჩადგამენ ან ჩაჰკიდებენ. მასში ათავსებენ დაჭერილ თევზს, საკვებად უყრიან და საჭიროების დროს ამოიყვანენ.

დიდი ქვების ერთმანეთზე მიწყობით შემორაგული თევზის საბუდარი საქართველოს თითქმის ყველა კუთხეშია ცნობილი. ქართულში ძველთაგანვე გვაქვს სათანადო ტერმინიც. ესაა **ოჩხი** „თევზთ საბუნაგო ადგილი ნაშენები“, „თევზთ საბუნაგე“ (ნ. ჩუბინაშვილი, დ. ჩუბინაშვილი), „ქვებით შემოზღუდული ორმო მდინარეში თევზის დასაჭერად“ (ქეგლ). აჭარულსა და მესხურში გავრცელებული ყოფილა **ოჩხე** ფორმა. აჭარულში იგი აღნიშნავს ღრუს ან სადგომს, რომელსაც თევზის შესატყუებლად ამზადებენ (თანდილავა, 1976, გვ. 71), ხოლო მესხურში – მდინარეში თევზის საჭერად ჩაყრილ ქვის ყორეს (ლლონტი, 1984). ოჩხე მეგრულში აღნიშნავს ქარქაშს, რაც მითითებული აქვს ი. ყიფშიძესაც. ამაზე დაყრდნობით ზ. თანდილავა გამოთქვამს ვარაუდს, რომ „ხელოვანურად გაკეთებული თევზის ბუნაგის ანუ თევზსაჭერი ორმოს სახელწოდება ოჩხე//ოჩხი იგივე ბუდის მნიშვნელობის მქონე ლაზურ-მეგრული ოჩხე უნდა იყოს“ (თანდილავა, 1976, გვ. 71).

ჩვენი ვარაუდით, ოჩხე//ოჩხი უნდა დაუკავშირდეს ქართულსა და ზანურში დაცულ ჩიხ//ჩიხ ფუძეს, რომელიც ზოგადად შემორაგულ, დასამწყვდევ ადგილს გამოხატავს: ჩიხი გურულში პირუტყვისათვის შემოღობილი საბალახოა. იმერულში საჩხე ეწოდება ეზოში შემოღობილ ადგილს პირუტყვის სადგომად, შეშის დასაწყობად და სხვა დანიშნულებისათვის (ქეგლ, ტ.6; გაჩეჩილაძე, 1976, გვ. 123; ძოწენიძე, 1974, გვ. 349). მეგრულში **ჩიხ** – ფუძისაგან ზმნებიც წარმოიქმნება: **გოჩიხუა** – მდინარის, გზის გადაკედლვა, გადატიხრვა, გადაღობვა, ჯებირის აღმართვა; **მიკოჩიხუა** – მიმწყვდევა, მიქუჩება; **გეჩიხუა** – დახვავება, დაქუჩება და სხვ. ჩიხუა ზმნის მომავალი დროის მიმღობაა **ოჩხე**, რაც ქართულ საჩხეს შეესატყვისება. ფუძისეული ი ხმოვნის ამოვარდნა მეგრულისათვის უცხო არ არის. ამავე ზმნის წარსული დროის მიმღობა ნაჩიხა ჩვენ მიერ ჩაწერილ ტოპონიმურ მასალაში **ნაჩხა**-ს სახითაცაა წარმოდგენილი.

მაშასადამე, **ოჩხი//ოჩხე, როგორც შემოზღუდული, შემორაგული ადგილი, თევზის შესატყუებელ-დასამწყვდევი, სემანტიკურად და მორფოლოგიურად მეგრულ ოჩხეს უნდა უკ-**

ავშირდებოდეს. მიუხედავად ამისა, ხელოვნურად გაკეთებული თევზის ბუნაგის სახელად ოჩხი მეგრულში დღეს აღარ გვხვდება. თუმცა ზოგი მეთევზის განმარტებით, **ოჩხი** არის იგივე კუნო. ალბათ, ასეთსავე მახეს გულისხმობდა კ. გამსახურდია, როცა წერდა: „მეწისქვილე ნიორთავასთან მივდივართ ოჩხის ამოსადე-ბად“. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ჩიხ-, ოჩხე ფუძეებს უკავშირებს მ. ბერიძე ტოპონიმ ახჩიას, ხოლო კ. კაკიტაძე ტოპონიმ საჩხეურის წარმომავლობას (კაკიტაძე, 1986).

ბ. თევზჭერის ადგილები. ყველაზე ზოგადი ტერმინები, რომლებითაც აღინიშნება თევზით მდიდარი წყლის მონაკვეთი, არის **ოჩხომე** „სათევზე“ და **ოჩხომური** „სათევზაო“. ოჩხომე ეწოდება როგორც თევზის მოსაშენებელ და გასამრავლებელ მცირე ხელოვნურ აუზს, ტბორს, ისე ბუნებრივად თევზით მდიდარ მონაკვეთს მდინარისას. გალის რაიონის სოფ. ქვემო ბარლებში ოჩხომეს ასე ამზადებენ: ღელეს გადაღობავენ და „კარს“ დაუ-ტოვებენ. წყალდიდობა რომ კლებას იწყებს, თევზი დაღმა მიემართება. სწორედ ამ დროს „კარს“ გადაკეტავენ და თევზი გადაღობილთან რჩება. ამ სოფელშია ჩაწერილი ჰიდრონიმები – სათევზე ადგილის სახელები: **ჭითაწყარიშ ოჩხომე, კაკუციშღ-ალიშ ოჩხომე, ლეფონიშღალიშ ოჩხომე.** ამ სიტყვასთან დაკავშირებული სხვა გეოგრაფიული სახელებია: **ოჩხომე** – სახნავი ტეხურის ნაპირას, ნამიკოლავო პირველში; ტლაპო ახალბასთუმ-ანში, სადაც სათევზე ტბორი ჰქონიათ; გუბე ცივის ნაპირას, ლეჭობალეში და სხვ. **ოჩხომელალ** – ჭანისწყლის შენაკადი კურორტ სქურში; ცორკას შენაკადი ილორში. **ოჩხომე** – სათევზე ტბორი ქ. წალენჯიხაში. **ოჩხომე ტობა** – მორევი ჩხოუშიაზე, სადაც დიდრონი თევზი სცოდნია (სოფ. ცაცხვი).

„ოჩხომური“ მომავალი დროის მიმდებარა **ჩხომუა** „თევზის ჭერა“ ზმნისა, ხოლო შინაარსით ადგილის დანიშნულებას გამოხატავს. იგი გვხვდება ტოპონიმებში: **ოჩხომური** – მდინარე და სოფელი ჩხოროწყუს რ-ში; მუნჩიას შენაკადი გამოღმა შუა ხორგაში; **ოჩხომური//ოჩხომებოგა** – ღელე გაღმა ზანათში. **ოჩხომურწყარი** – ჭიჭე ერწყარის ტოტი ნათოფური-ხუმენში.

სამეგრელოს გეოგრაფიულ სახელწოდებებში გვხვდება ლექსემები **პალური, საყოფი, საღობი, ო(ნ)ძილე,** რაც აგრეთვე სათევზე ადგილების სახელებია (იხ. დაწვრილებით: ცხადაია, 1995, გვ. 108-111).

გ. **თევზჭერის ხერხები და მეთოდები.** სამეგრელოში დღემდე შემორჩენილია თევზაობის მრავალი უძველესი ხერხი, როგორცაა: **ანკესუა** „ანკესით ჭერა“, **წყარიშ გინოცოთამა** „წყლის გადადება“, **ნოთეთ ჭოფუა** (იგივე **გესინთუა**) „მამხალით ჭერა“, **სარსოლუა** „საგდები ბადით ჭერა“, **რახუშუა** „თევზის გადენა საჭირო მიმართულებით“, **ჩხომიშ წამალუა** „თევზის დაწამლვა“ და სხვ.

თევზის დასაწამლავად იყენებენ ლაფანს (მეგრ. ლეფონი//იფონი), რასაც **ლეფონუა** ანუ **ნო(რ)ზუა** ეწოდება. ლეფონუა ხდება სხვადასხვაგვარად, როგორც, მაგალითად: **ლეფონიშ ხაშუა** „ლაფნის მოხარშვა“ (ლაფნის ნედლ შტოებს მოხარშავენ და ნახარშს ჩაასხამენ მდინარეში); **ლეფონიშ ინოჭაგაგუა** „ლაფნის ჩანაყვა“ (ლაფნის შტოებს დაყრიან ქვიან ადგილას და ქვით ან ხელკეტით ნაყავენ. თევზს თვალები ეწვის, ბრუვდება და წყლის ზედაპირზე იწყებს ტივტივს). თევზაობის ზემოაღნიშნული ხერხებია ასახული ტოპონიმებში: **ნალეფონა** – მორევი ხუშუმქურზე, სიდაში (გალის რ.), **ონო(რ)ზუე** – მორევი ჭალაქვანაზე, ნაკიანში (ჩხოროწყუს რ.). ამ მორევებში წყლის დაწამლვა ხშირად ხდებოდა.

დ. **ტოფობის ადგილები.** გაზაფხულზე ქვირითის დასაყრელად შედარებით თბილი შენაკადებისკენ თევზის ჭგუფურად მოძრაობას მეგრულში **ციმა** „ცვენა“ ეწოდება (ჩხომი ცენს „თევზის ჭგუფი მიდის ქვირითის დასაყრელად“), ხოლო თვით ქვირითის ყრას – **ტოფობა//ტოფუა** (ჩხომი იტოფანს „თევზი ქვირითს ყრის“). გეოგრაფიულ სახელად მრავალგზის გვხვდება ამ ზმნათა მომავალი დროის მიმღობანი **ოციმუ(ე)** და **ოტოფუ(ე)**: **ოციმ** – ამარწყუნას შესართავი ჩხოუშიასთან პირველ გურძემში და ტუტაღალის შესართავი ტეხურთან თამაკონში; ლეფონჯარის მონაკვეთი ქ. წალენჯიხაში და სხვ. **ოციმე** – ღვანდარის მონაკვეთი ჟინოთაში; **ოციმუ** – კინესქურის მონაკვეთი ჯალრაში; **ოცუმ** – ჩეღალის შესართავი ტეხურთან თარგამეულში; **ოცემ** – წყალმარჩხირეკაზე, ნამიკოლავო მეორეში. **ოცემუ** – ჩხოუშიას შესართავი ტეხურთან ნამიკოლავო მეორეში და სხვ. ტოფ ძირს შეიცავს გეოგრაფიული სახელწოდებანი: **ოტოფე** (//**ოტობე**//**ოტობე**) – სახნავი ნოდელის პირას ნაჯახავოში. **ოტოფუე** – უბანი ჭანისწყლის ნაპირას, საჩინოში; ჭანისწყლის შენაკადი ნაკიფუში;

აკვარათების შესართავი ნიშონთან ლეკუმხარაში, ბულიშინჯის შესართავი ოხოჯესთან ბულიშინჯში და სხვ. **ონტოფო** – სოფელი აბაშის რ-ნში. **ონტოფოღლე** – ცხენისწყლის შენაკადი ზემო ხუნწში. **ციმა** და **ტოფ** – ფუძეებს სხვა მნიშვნელობებიც აქვს მერულში. კერძოდ, ციმა აღნიშნავს რაიმეს, მაგალითად, ქვადორღის ჩამოცვენასაც. ჩხოროწყუს რ. სოფ. თაიაში ქვაცვენია კლდეს ეწოდება ოციმუე. **ციმუა** მარწყვია. ამიტომ ოციმუე შეიძლება დაერქვას მარწყვიან ადგილსაც. ტოფუ თევზის სახეობაცაა (შდრ.: იმერული ტაფელა). იგივე სიტყვა ჩაღრმავებულ ადგილსაც გამოხატავს. ტოფუ(რი) ბალახია (სამყურა). ეს ბალახი იზრდებოდა უწინ ნატოფუ-ში (პატარა მინდორია მარტვილის რ. სოფ. პატარა ინჩხურში, ჭითაკირდეს ძირას). ყოველივე ეს იმაზე მიგვანიშნებს, რომ ტოპონიმის ეტიმოლოგიისას მეტად მნიშვნელოვანია ისტორიულ-გეოგრაფიული მონაცემების გათვალისწინება.

თევზის მიერ ქვირითის ყრას **კარჩხუა**ც ეწოდება. **ოკარჩხუე** „ქვირითის საყრელი ადგილი“ ოჩხომურის მორევის სახელწოდებაა მოიდანახეში.

ე. **თევზის სახელწოდებანი**. სამეგრელოში გავრცელებული თევზის მრავალი სახელწოდებიდან ტოპონიმიში დასტურდება: **ზინთხუ** „ზუთხი“ → **ოზინთხე** ტყეა ხობისწყლის ნაპირას, ჭიხუში (წყალდიდობისას წყლით იფარებოდა და ბოლოს ზუთხი ტყეში რჩებოდა); **ოზინთხუე** მორევია ენგურზე, ორსანტიაში), აგრეთვე: **კალმახი** „კალმახი“, **ღ(გ)ლამი//რლამი** „ლღავი“, **კაბარჭელა//კაპარჭელა** „კაპარჭინა“. **მაზანდარა** (თევზია ერთგვარი, კობრისნაირთა ოჯახისა), **ლორჯო** „ლორჯო“, **(რ)ცამი** (თევზია ერთგვარი), **ცენდერი** (თევზია ერთგვარი), **წვერე//წერე** „მურწა“ (იხ. სათანადო მასალა: ცხადაია, 1999, გვ. 113-114).

მაშასადამე, მეგრული ტოპონიმის ერთი ნაწილი მეთევზეობის ლექსიკასთანაა დაკავშირებული და წარმოაჩენს, ერთი მხრივ, ამ ლექსიკის მრავალფეროვნებას, ხოლო მეორე მხრივ – ტოპონიმიკური ნომინაციის საინტერესო ფაქტებს. თევზაობაში გამოყენებული მრავალი სიტყვა-ტერმინი ფონეტიკურ-სემანტიკურ თუ ლექსიკურ პარალელს პოულობს სალიტერატურო ქართულსა თუ მის რომელსამე დიალექტში, განსაკუთრებით, იმერულსა და გურულში. მაგრამ მეთევზეობის ლექსიკა მეგრულში ბევრად უფრო მდიდარია, ვიდრე ეს ჩანს ტოპონიმიკური მასალების მიხედვით

(ნაშრომის ამ მცირე მონაკვეთში დასახელებული სიტყვების ძირითადი ნაწილი ჯერ კიდევ არაა დაფიქსირებული ლექსიკონებში). მათი სრულად გამოვლენა-შესწავლა და ქართველურ ენათა და მათი დიალექტების მონაცემებთან შეპირისპირება საინტერესო სურათს გადაგვიშლის.

6.5. სვანური ტოპონიმური სუბსტრატი

მეგრულ-სვანური ენობრივი შეხვედრები ისე მრავალგვარი და მრავალფეროვანია, რომ საქმე უნდა გვექონდეს ინტერფერენციის (და არა ოდენ მარგინალური კონტაქტირების) გამოძახილთან. ეჭვს არ იწვევს, რომ ძვ.წ. XX-V საუკუნეებში სვანებს ეკავათ დასავლეთ საქართველოს ბარის რაიონებიც. „სვან ტომთა კვალს აშკარად გაედევნება თვალი“ რიონ-ცხენისწყლიდან ენგურამდე და მის ჩრდილო-დასავლეთით თვით ისტორიული ცხუმის მიდამოებამდე (მიქელაძე, 1974, გვ.12). ამ კონცეფციის დასასაბუთებლად ხშირად მიმართავენ ტოპონიმებსაც, რომლებიც სვანური წარმომავლობისად ითვლება. ესენია: **ლანჩხუთი** (გაბლიანი, 1926, გვ. 20), **ფოთი**, **სოხუმი** (მელიქიშვილი, 1966, გვ. 84-86) და **მუჟავა** (ქალდანი, 1980, გვ. 221). შემდგომში ამ მასალას დაემატა: შქედი, ლარა, ნაკა, კაცხარა, ლაჩახვა (იხ. ცხადაია, 1974, გვ. 188-189). აქ კი წარმოვადგენთ ახალმოძიებულ ტოპონიმებს, რომლებიც, აშკარად ჩანს, სვანთა დანატოვარია. სუბსტრატულ ტოპონიმებს კი, როგორც ცნობილია, მეტად დიდი მნიშვნელობა, ხშირად გადამწყვეტიც კი, ენიჭება ამა თუ იმ ხალხის ისტორიისა და ეთნოგენეზის მრავალი საკითხის გასარკვევად.

ისტორიული კოლხეთის ცენტრალურ ნაწილში, სადაც უწინდელი ლაზიკეს ადგილას დღეს სამეგრელო-სამურზაყანო მდებარეობს, ბევრი ისეთი გეოგრაფიული სახელწოდება აღმოჩნდა, რომელთა აგებულებისა და შინაარსის ამოცნობა მხოლოდ სვანური ენის მონაცემების გათვალისწინებით ხდება შესაძლებელი. ბუნებრივია ის გარემოებაც, რომ ზოგ მათგანს სეხნია ეძებნება არა მარტო სვანეთის, არამედ ლეჩხუმის სვანურენოვან (სუბსტრატულ) ტოპონიმიაშიც. უპირველეს ყოვლისა, ყურადღებას იქცევს დერივაციული ტოპონიმები, რომლებშიც გამოიყოფა საწარმოქმნო მორფემები: ლა-//ლე-, -იშ//შ-, -არ -ერ-, -არა. წარმოვადგენთ სათანადო მასალას:

ა) **ლა** – დანიშნულების სახელთა მაწარმოებელია სვანურში. იგი გვხვდება როგორც სახელურ, ისე ზმნურ სიტყვათწარმოებაში. იგი ხშირია სვანეთის გეოგრაფიულ სახელწოდებებში და დასტურდება ზემო სამეგრელოს ტოპონიმიშიც, სადაც ზოგი მათგანი აშკარად სვანური სუბსტრატია, რასაც დაგვიდასტურებს ქვემოთ წარმოდგენილი მასალა: **ლაყორია** – 1. ენგურის ხეობის დასაწყისი, ორმხრივ კლდოვანი ვიწრობი, სადაც ენგური ხეობიდან გაშლილ ველზე გამოდის (სოფ. ჭალე, ქ. ჯვარი); 2. მაღალი კლდე ჭანისწყლის მარცხ. ნაპირას, ხეობის ვიწრო ყელთან, რომლის შემდეგ მდინარე გაივსება. კლდე-კედელს, რომელიც კეტავდა მთელ სქურის ხეობას, დატანებული აქვს კარიბჭე. გადმოცემით, ლაყორია თავდაპირველად ამ კარიბჭეს ერქვა; 3. **ლაცორია** // **ლაცორიაშ კირდე** – მაღალი კლდე ტეხურის მარჯვ. მხარეს, ხეობის ვიწრობის დასაწყისში. კლდის ძირას გადიოდა მდინარის ზემოთში მიმავალი გზა, რომლითაც სვანეთშიც შეიძლებოდა გადასვლა და ლეჩხუმშიც. ამ გზის გადაკეტვით, ალბათ, მთელი ხეობა ჩაიკეტებოდა. აქ დასახლებულ **სამსავე ობიექტს ნამდვილად შეეფერება სვანური სიტყვა ლაყორია//ლაცორია, ანუ საკარე, შესასვლელი ადგილი**. სამივეგან მთა ეშვება მდინარისაკენ და არის ბუნებრივი კარი (სვანური ყორ „კარი“. კარი ლექსემა ქართულშიც ხშირად გამოიყენება გადატანითი მნიშვნელობით: „ადგილი, საიდანაც ყველაზე ადვილად შეისვლება რომელიმე მიწა-წყალზე, მხარეში, ქალაქში და მისთ“. იხ. ქეგლ, ტ.5). **ლადვაშია**//**ლადვაჟია** ღელეა, გაივლის ქ. ჯვარის ცენტრს და ერთვის მდ. ენგურს; **ლადვაჟია** წისქვილარის მარჯვ. შენაკადია სქურის ხეობაში. ღუაშ სვანურად ხარჯიხვია. მაშასადამე, ლადვაშ აღნიშნავს საჯიხვე ადგილს. ლადვაშია ამოსავალი ფორმა ჩანს, ლადვაჟია მისი ვარიანტია. ა. ჭკადუას მიერ გამოსაცემად გამოზადებულ „სვანეთის ტოპონიმიში“ დასახლებულია რამდენიმე ლადვაშ და ლადვაშილარ. ლადვაშ დასტურდება ლეჩხუმშიც, კერძოდ, სოფ. ზედა ლუხვანოში (შესადარებელი ლეჩხუმური მასალისათვის იხ: ჩიქოვანი, 1939; ჩიქოვანი, 1949; ალავიძე, 1958); **ლახუნწარა** ეწოდება წყაროსა და საძოვარს მთა ოხაჩქუეს ჩრდ. კალთაზე (წალენჯიხის რ.). სვანეთში კი დაფიქსირებულია ლანხუწარ (საძოვარი ზემო მარდში) და ლანხუწარიშ დარ (ღელე ტიტაში). ტოპონიმისათვის ამოსავალი ფუძეა **ხუწ** „ვიწრო“ ან ხუწარ (შდრ. ხუწარ –

სახნავ-სათიბი სვანეთში, სოფ. ბაგვდანარში); **ლაბარჯია** ხევის სახელია ვედიდის კალთაზე, ნობულევის შემოგარენში. სვანეთსა და ლეჩხუმში ამ ფუძეს შეიცავენ ტოპონიმები: ბარჯ - საძოვარი ლატალში; ბარჯაში - სოფელი სვანეთში და სახნავი ლეჩხუმში (სოფ. ორბეთი); **ლაჩახვა** მდინარეა წალენჯიხის რაიონში. ქვემო წელზე ეწოდება სქურჩა და ერთვის ხობისწყალს დაბა ჩხოროწყუს პირდაპირ. სვანურში ლაჩახუ არის „საბალახო, საძოვარი“ (თოფ-ურია, ქალდანი, 2000, გვ. 374); **ლაბარაში//ლაბერაში** ჩადაბლებული ადგილია ენგურ-მაგანის წყალგამყოფზე, ქ. ჯვარში. **ბარ** ფუძე (სვანურში ნიშნავს დაბანას) გვხვდება სვანეთისა (ლაბარ - საძოვარი ცალდაშში; ლაბრაშ - ტყე ადიშში) და ლეჩხუმის (ლებარეში - სახნავი ხოჯში; ლაბარელა - წყარო ლახეთაში) ტოპონიმიაში. ლე- პრეფიქსითაა ნაწარმოები ჰიდრონიმი **ლეკერე** (ენგურის მარცხ. შენაკადი ქ. ჯვარში). ჩვენი ვარაუდით, ამოსავალია სვანური კაკ „კაკლის ხე“. ტოპონიმის მიერ განვლილი გზა ასე წარმოგვიდგენია: ლე-კაკ-ერ → ლე-კკერ-ე → ლეკერე. ლეკკერ ხშირად გვხვდება სვანეთის ტოპონიმიაში (კაკლიანების სახელებია ხევრაში, ხაიშში, ნაკში, ზედა ვედში, შგედში და სხვ.). საერთოდ, სვანური ლა-//ლე- პრეფიქსები მეგრულს შემორჩა და სპეციფიკურ ტოპოფორმანტად იქცა (იხ. ცხადაია, 1976), ე.ი. წარმოადგენს მორფოლოგიურ სუბსტრატს.

ბ) ვარაუდობენ, რომ **-ის** ფლექსიის ნიშანს სიტყვაწარმოებითი დანიშნულება ჯერ კიდევ საერთოქართველურ ფუძეენაში ჰქონდა მოპოვებული. ქართველურ ენებში მას ტოპონიმთა წარმოების ფუნქცია უჩანს. სვანურმა შეითვისა ზანური **-იშ// -შ**, რომელსაც დღემდე წარმატებით იყენებს. მ. ქალდანის მიერ გამოთქმული მოსაზრების თანახმად, „ნანათესაობითარი გეოგრაფიული სახელების წარმოების ეპოქაში **-იშ** სუფიქსი სვანური ენის კუთვნილებასაც წარმოადგენდა. იგი ამ ფორმანტს უფრო მარჯვედ და ინტენსიურად იყენებდა გეოგრაფიული სახელების საწარმოებლად, ვიდრე ზანური ენა“ (ქალდანი, 1963, გვ.70). მართლაც, სვანეთის ტოპონიმთა მნიშვნელოვანი ნაწილი **-იშ// -შ** სუფიქსებზე ბოლოვდება. ეს დაბოლოებანი გამოიყოფა სამეგრელო-სამურ-ზაყანოს გეოგრაფიულ სახელწოდებებშიც. მათი ერთი ნაწილი სვანური მოსახლეობის მიერ ჩანს შერქმეული და დატოვებული. ასეთებია: **ღუმურიში** - სოფელი გალის რაიონში, კოლხეთის ბა-

რისა და მთიანეთის საზღვარზე. ტოპონიმისათვის ამოსავალი სვანური სიტყვა ლუმურ //ლუმირ „ნაძვი“ (სხვათაშორის, ლუმირს ასახელებენ იმ სვანურ სიტყვათა შორის, რომლებიც ქართველური წარმოშობისანი არიან, მაგრამ მონათესავე ენებში არ დასტურდება (იხ. კლიმოვი, 1962, გვ. 17); **ჭუბიში** –ბორცვი და უბანი ზუმში. ამოსავალი ჩანს სვანური ჭუბ//ჭუბ „ჭაობი“; **კაკეში** – სახნავი ახუთში. ამ ტოპონიმის ფუძეშიც სვანური კაკ „კაკლის ხე“ ჩანს.

გ) **-არ(ა)** და **-ერ** სუფიქსთა გავრცელების არეალიც დას. საქართველოში ემთხვევა იმ რეგიონს, სადაც იყო დამკვიდრებული ან დღესაც მკვიდრობს სვანი მოსახლეობა (სვანეთი, ლეჩხუმი, სამეგრელო). საკვლევი რეგიონებიდან დავასახელებთ მხოლოდ ისეთ ტოპონიმებს, რომლებიც სტრუქტურულადაც და სემანტიკურადაც სვანურის მონაცემებით აიხსნება: **კაცხარა** ეწოდება ბორცვს მედანიში და კონცხს მაზანდარაში. ტოპონიმში გამოიყოფა ფუძისეული მორფემა **კაცხ**, რაც სვანურში აღნიშნავს მთის წვერს, მწვერვალს, კლდისთავს (შდრ. ტოპონიმები სვანეთში: კაცხ – სოფელი, კაცხარ – სახნავი ჟაბეშში, კაცხილდ – სათიბი ზეგანში და სხვ.); მართალია, მ. ალავიძე გამოთქვამს ვარაუდს, რომ კაცხი ქართული სახელწოდებაა სვანურ ენაში (ალავიძე, 1984, გვ.120), მაგრამ ეს სიტყვა სვანური ენის ძირითად ლექსიკურ ფონდს უძველესი დროიდანვე უნდა გამოჰყოლოდა; **კაკარა//კაკარო** – მალღობი ზანა-ცივის წყალგამყოფზე (მარტვილის რ.). ამოსავალი **კაკ** ფუძე სვანურია და, როგორც ზემოთ ორჯერ უკვე მივუთითეთ, აღნიშნავს კაკლის ხეს. **მოლარი** – სერი ოღვაბეს მარცხ. მხარეს, ჭოღაში. ამ ტოპონიმის ფუძეა სვანური მოლ „მდელო“. მოლარ სვანეთში ორმოცამდე მიკროობიექტის სახელია (იხ. ა. ჭკადუას ლექსიკონი). **-ერ//ელ** ხშირია სვანეთისა და ლეჩხუმის ტოპონიმიაში. ამ სუფიქსების შემცველი ზოგი მეგრული ტოპონიმიც, ალბათ, სვანურის მონაცემებით შეიძლება აიხსნას.

დ) კოლხეთის სვანურენოვან ტოპონიმთა ერთი ნაწილი ოდენ ფუძის სახითაც არის წარმოდგენილი. დავკმაყოფილდებით რამდენიმე ნიმუშის წარმოდგენით: **ლარა** მთისძირა სოფელია წალენჯიხის რაიონში, ლარე კი სახნავია საბერუ-ლავოში (**ლარე** სვანურში სათიბს, მინდორს ნიშნავს. ლარა, ლარალ, ლარელ აგრეთვე ხშირად გვხვდება სვანეთის ტოპონიმიაში); **მუჰა** ნატბევია ქებიბაში (მარტვილის რ.). ამავე ფუძეს უნდა შეიცავდეს **მუჰალა** (კლდეები და საძოვრები ეგრისის ქედზე, სვანეთის საზღვართან) და **მუჰალა**

(საძოვარი ნაფიჩხოვოსა და საბერულავოს შემოგარენში). მუჰ//მგჰ სვანურად ტბაა. სვანეთში რამდენიმე ათეული მიკროობიექტი ატარებს ასეთ სახელებს: მუჰპარ, მგჰ, მგჰპარ, მგჰპაშ, მგჰპერ და სხვ.; **ხორგა** სოფელია ხობის რაიონში, ხობისწყლის ნაპირებზე. ჯერ კიდევ ა. ნ. გრენმა ივარაუდა ტოპონიმ ხორგა-ს შესაძლო კავშირი სვანურ სიტყვა ხორგასთან (გრენი, 1890, გვ. 127). სვანურში ხორგა ნიშნავს იმასვე, რასაც მეგრულში მათხოჯი, ე.ი. უშნო, მახინჯი, საძაგელი.

აქვე დავასახელებთ კოლხურ გეოგრაფიულ სახელებს, რომელთაც მოეპოვებათ ზუსტი ან დაახლოებითი ორეულები სვანეთის ან ლეჩხუმის (ზოგ შემთხვევაში ორივე რეგიონის) ტოპონიმიაში: ლარჩვა, ლაშქერდა, ლაშქიდარი, ლახვაშია, ფაკვაში, ღანჯიში, ცაიში, 'ვეიბაში, ბარხა, გუბანი, თხაპე, კახა, კახრა, კერცხი, ტყაპა, ტყვაპი, რახა, უნწა, უღვაი, ყაფუ, ღვაბრა, ხაშა და სხვ. შესაძლოა შემდგომმა კვლევა-ძიებამ გამოამჟღავნოს, რომ ზოგი ამ სახელწოდებათაგანი მაინცდამაინც სვანური წარმომავლობისა არ არის, მაგრამ საერთო სურათს ეს ვერ შეცვლის: **კოლხეთში, განსაკუთრებით მთიან სამეგრელოში, სვანებსა და მეგრელებს კარგა ხანს ერთად უცხოვრიათ, რისი შედეგიცაა სვანური სუბსტრატი სამეგრელო-სამურზაყანოს ტოპონიმიაში (აგრეთვე მეგრულის მორფოლოგიასა და ლექსიკაში) და მეგრული ნასესხობანი სვანურ (და სვანურის გზით ლეჩხუმურ) ტოპონიმიაში და აპელატიურ ლექსიკაში.**

მეგრულისა და სვანურის სისტემატური ტოპონიმიკური და ლექსიკურ-მორფოლოგიური შეხვედრები გვაფიქრებინებს, რომ სვანთა და მეგრელთა თანაცხოვრება, რასაც მოჰყვა სვანი მოსახლეობის ერთი ნაწილის ასიმილაცია მეგრელებთან (მთისძირა სოფლებში), ხოლო მეორე ნაწილის განსახლება ენგურისა და ცხენისწყლის ხეობებში, გრძელდებოდა ძველი და ახალი წელთაღრიცხვის მიჯნაზე და უფრო გვიანაც. როგორც ჩანს, პტოლემეაიოსის მიერ (II საუკუნე ახალი წელთაღრიცხვით) პონტოს გასწვრივ მობინადრე ტომთა შორის “სუანო კოლხოი“-ს მოხსენიებას რეალური საფუძველი ჰქონდა. სვან-კოლხთა ნარეკ ტომს სხვა წყაროებიც ასახელებენ.

თავი მეორე

სამურზაყანოს ისტორიული და თანამედროვე ტოპონიმია

შესავალი

(სამურზაყანოს ისტორიულ-გეოგრაფიული მიმოხილვა)

სამურზაყანო ისტორიული მხარეა დასავლეთ საქართველოში. როგორც პოლიტიკური ერთეული, იგი ჩამოყალიბდა XVII-XVIII საუკუნეთა მიჯნაზე და მოიცავდა ძირითადად ახლანდელი გალის რაიონის ტერიტორიას, რომელიც 1705 წელს მემკვიდრეობით მიუღია მურზაყან შერვაშიძეს. სწორედ მისი სახელისგანაა ნაწარმოები მხარის სახელწოდება. 1805 წელს სამურზაყანო შევიდა რუსეთის შემადგენლობაში. 1813-40 წლებში ექვემდებარებოდა ლევან V დადიანს. 1840 წელს რუსეთის ხელისუფლებამ ეს ტერიტორია გამოისყიდა სამეგრელოს (ოდიშის) სამთავროსაგან და დააარსა სამურზაყანოს საბოქაულო. სამეგრელოს სამთავროს გაუქმების (1857 წ.) შემდეგ სამურზაყანო დაუქვემდებარდა სამეგრელოს მმართველს, 1864 წლიდან სოხუმის სამხედრო განყოფილების შემადგენლობაშია, ხოლო 1883 წლიდან შევიდა სოხუმის ოკრუგის შემადგენლობაში სამურზაყანოს უბნის სახელწოდებით (ქსე, 9, გვ. 37).

ალექსანდრე ცაგარელი და იოსებ ყიფშიძე მიუთითებენ, რომ სამურზაყანო არის სამეგრელოს ჩრდილო-დასავლეთი ნაწილი ენგურსა და ღალიძგას შუა (ყიფშიძე, 1994, გვ. 488). სამურზაყანოს მხარის ჩრდილოეთი საზღვარი რუსეთის მაღალჩინოსნებისთვისაც მდ. ღალიძგაზე გადიოდა. 1843 წელს ბარონი როზენი აფრთხილებს აფხაზეთის მთავარს – მიხეილ შერვაშიძეს, რომელსაც ილორის მოსახლეობა მისდამი ერთგულებაზე დაუფიცებია: „ხელისუფლებისათვის ცნობილია, რომ ცოცხალი საზღვარი სამეგრელოსა და აფხაზეთს შორის არის მდინარე ღალიძგა და რამდენადაც სოფელი ილორი მდებარეობს მის მარცხენა მხარეზე, ის არ შეიძლება აფხაზეთს ეკუთვნოდეს“ (იხ. გასვიანი, 1998, გვ. 244). ა. დიაჩკოვ-ტარასოვსა და მრავალ სხვა რუს მოხელესაც აღუნ-

იშნავთ, რომ სამურზაყანო ოდიტგანვე სამეგრელოს განუყოფელი ნაწილია და ყოველთვის იყო დასახლებული მეგრელ-ლაზებით (იქვე, გვ. 244). უცხოელი მოგზაურებისა თუ მისიონერების (არქან-ჯელო ლამბერტი, ჯოვანი ლუკა, მაკარი ანტიოქელი, ჟან შარდენი, ჟაკ გამბა და სხვ.) ნაწერებიდანაც იგივე დასკვნა გამოდინარეობს.

სხვათაშორის, თვით ძირძველი სამურზაყანოელებიც აღნიშნავენ: „ჩვენი კუთხე სამურზაყანო მდებარეობს ენგურსა და ღალიძგას შუა. ენგურს იქით არის სამარგალო, ხოლო ღალიძგის იქით – აბჟუა“ (ჩავიწერეთ გუდავასა და ოხოჯაში 1975 წელს). მხარის სახელწოდებისაგან წარმოიქმნა გეოგრაფიული ნომენი „სამურზაყანოს დაბლობი“, რომელიც მოიცავს ბევრად უფრო ფართო ტერიტორიას, კერძოდ, კოლხეთის დაბლობის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილს მდ. ენგურიდან მდ. კელასურამდე (უკლება, 1985, გვ. 37).

1840 წლამდე სამურზაყანოს ცენტრი იყო სოფელი (პირველი) ბედია, შემდეგ, 1908 წლამდე – ოქუმი, 1908 წლიდან კი – (მეორე) გალი. ჩვენ სახელწოდებით „სამურზაყანო“ აღვნიშნავთ გალის რაიონსა და ოჩამჩირის რაიონის იმ ნაწილს, რომელიც მდებარეობს ღალიძგის მარცხენა მხარეს.

ენგურ-ღალიძგის შუამდინარეთი უძველესი „ოქრომრავალ კოლხეთის“ ერთი მცირე ნაწილია. აქ ადამიანს უცხოვრია პალეოლითშიც, ნეოლითშიც და ბრინჯაოს ხანაშიც, მრავალგანაა ნაპოვნი ანტიკური ხანის ოქროს ნაკეთობანი, რომაული მონეტები (ნაბაკევში, ლუმურიშში), და, რაც მეტად მნიშვნელოვანია, კოლხური თეთრი, ძვ. წ. VI-III სს. ვერცხლის მონეტა (საბერიოში – 44 მონეტა, ნაბაკევში – 430 მონეტა, ბარლებში – 359 მონეტა და სხვ.)...

კოლხეთ-ლაზიკეს შესახებ ჩვენამდე მოღწეულ გეოგრაფიულ თუ სხვა ხასიათის ბერძნულ წყაროებში მოიხსენიება **ზილანა** (მაგალითად, I საუკუნის სწავლულთან და სახელმწიფო მოღვაწესთან პლინიუს უფროსთან), რომელიც მდებარეობდა დღევანდელი გუდავას ადგილას (სადაც ოქუმი ერთვის შავ ზღვას), აგრეთვე **ხოზოსი** (ასე აღნიშნავს მდ. ენგურს ფლავიუს არიანე – II საუკუნის ბერძენი ისტორიკოსი და ფილოსოფოსი), **სინგამი**, ანუ ერისწყალი. ბასილი სოფენელი ბიზანტიის საეკლესიო კათედრათა შორის მოიხსენიებს ზილანეოსს, ზილანისს (იგივე ზილანას). ბერძნულ ძეგლში „ორიენტოსისა და ძმათა მისთა მარტვილობა“ (რომელიც შეეხება IV საუკუნის დამდეგის ამბებს, მაგრამ დაწერილია XI საუკუნეში), ნათქვამია, რომ ქრისტიანობის გამო რომიდან დევნილი

ორიენტაციის გარდაიცვალა ზილანისში. ამ ეპიზოდთან დაკავშირებით ყურადღებას იქცევს ორი ცნობა. პირველი: ძირითად ტექსტში ნათქვამია, რომ ზილანეოსი მდებარეობს ლაზეთში. სვინაქსარულ რედაქციაში ლაზეთი შეცვლილია საეგროთი და აღნიშნულია: „მოვიდა რა საეგროსა ქუეყანასა, ადგილსა, რომელსა ეწოდების ზილანეოს“; მეორე: ზემოთ მოყვანილი სტრიქონის გასწვრივ მინაწერია: „**გუდაყუასა** იტყვიან ზილანეოსად“ (იხ. გეორგიკა, IV, გვ. 415).

სამურზაყანოს ერთ-ერთი ცნობილი ისტორიული პუნქტია **ბედია**, რომლის თავდაპირველი სახელი თითქოს ეგრისი უნდა ყოფილიყო. ლეონტი მროველი საისტორიო ნაშრომის „ცხოვრება ქართველთა მეფეთა“ იმ ნაწილში, რომელიც ეთნარქებისადმი მიძღვნილი, აღნიშნავს, რომ ნოეს შთამომავალმა თარგამოსმა თავის რვა შვილს დაურიგა ქვეყნები, კერძოდ, ეგროსს მისცა ქვეყანა ლიხიდან ზღვამდე და ხაზარეთის მდინარემდე და „ამან ეგროს აღაშენა ქალაქი და უწოდა სახელი თვისი ეგრისი. აწ ამ ადგილსა ჰქვიან ბედია“ (ქ. ც., 1955, გვ. 5). ხოლო „მატიანე ქართლისა“ გვაუწყებს, რომ მე-11 საუკუნის დამდეგს ბაგრატს (მესამეს, აფხაზთა და ქართველთა მეფეს) საკათალიკოსო კათედრა გუდაყვიდან ბედიაში გადაუტანია: „ამანვე დიდმან მეფემან აღაშენა საყდარი ბედიისა და შექმნა საყდრად საეპისკოპოსოდ, მოცვალა მუნ გუდაყვისა საეპისკოპოსო“ (ქ. ც., 1955, გვ. 281). გუდავაში, ოქუმწყარის მარცხ. მხარეს, არის ორი დიხაგუძუბა (დაბალი ხელოვნური მიწაყრილი). ერთს ეწოდება ნაოხვაჰ//წმიდა ბარბაღე (აქაა სასაფლაო და ნაეკლესიარი), მეორეს – ზაქარაიფიშ სუკი. გადმოცემით, ერთ-ერთ ამ ბორცვზე უხსოვარ დროს ყოფილა მონასტერი, მაგრამ მას წყალი შემოსდგომია და ბედიაში გადაუტანიათ.

ბედიაზე თხრობას ვახუშტი ბატონიშვილი იწყებს ლეონტი მროველისეული ლეგენდით: „ხოლო ამ ეგრისის მდინარესა (ე.ი. ლალიძგას – პ.ც.) ზედა, მთასა შინა, არს ეგრი/სი/, სადაცა მოვიდა პირველად ეგროს, ძე თარგამოსისა, და აქა აღაშენა ქალაქი და დაიპყრა საზღვარი თვისი. არამედ ამას შემდგომად უწოდეს ბედია... აქავ, ბედიას, აღაშენა მეფემან ბაგრატ ეკლესია დიდშუენიერ გუმბათიანი და შეამკო სიმღიდრითა დიდითა ფრიად... დასუა ეპისკოპოზი ოდიშისა, და აწცა ზის ... აქავ მოიღო იგივე მეფე ბაგრატ ზვიად ერისთავმან და დაფლა“ (ქ. ც., 1973, გვ. 780). ამავე წყაროს მიხედვით, ფარნაოზმა „დასუა ქუჯი ერისთავად

ეგრისს, რომელი აღაშენა ეგროს და უწოდა ბეღია, ვინა»თგან ჰპოვა ბეღი...“ (იქვე, გვ. 794).

ბეღიის ტაძრის მშენებლობის დამთავრება (999 წ.) მეფე ბაგრატს და დედამისს – დედოფალ გურანდუხტს – აღუნიშნავთ ოქროს თასის შეწირვით, რომელზეც სათანადო წარწერაცაა. ტაძრის ახლანდელი ნაგებობა განეკუთვნება XIII-XIV საუკუნეებს. ქართული ხუროთმოძღვრების მნიშვნელოვანი ძეგლია ილორის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიაც, რომელიც XI ს. პირველ მეოთხედშია აგებული. იგი განუახლებია ლევან II დადიანს XVI ს-ში და წარწერაც გაუკეთებია აფხაზთა სასტიკად დამარცხების შესახებ. მართალია, ეკლესია თურქებს დაუწვავთ 1736 წელს, მაგრამ საფუძვლიანად შეუკეთებიათ ოდიშის მთავრებს XIX ს-ის 40-იან წლებში. ილორის წმინდა გიორგის ხატი ითვლებოდა ერთ-ერთ უძლიერეს და სასწაულმოქმედ ხატად თითქმის მთელ დასავლეთ საქართველოში. აქ გიორგობაზე (20 ნოემბერს) სამეგრელოს მთავარიც კი მობრძანდებოდა (ილორში გამართულ გიორგობას ვრცლად აღწერს არქანჯელო ლამბერტი).

ილორის ტაძარი საყურადღებო ეპიგრაფიკული ძეგლიცაა. აღმოსავლეთ ფასადზე შემონახულია ქართულწარწერებიანი ხუთი ფილა, რომლებიც აგრეთვე XI საუკუნის პირველი ნახევრით თარიღდება (იხ. სილოგავა, 1980; მიბჩუანი, 1999). განსაკუთრებით საინტერესოა ერთი ნუსხური წარწერა, რომელიც პალეოგრაფიული ნიშნების მიხედვით XI-XII საუკუნეებს განეკუთვნება: „წმიდაო გიორგი, შეიწყალე გიორგი ქოჩოლვაი მღვდელი“ (სხვა წაკითხვით: „მლაღადებელი“). ქართველი მკვლევრებისათვის უდავოა, რომ ამ წარწერაში დასახელებულია ამავე რეგიონში მცხოვრები კოლხის (მეგრელის) გვარი **ქოჩოლვა**. საერთოდ, აღნიშნული წარწერა მრავალმხრივ არის საყურადღებო. ჯერ ერთი, ქრონოლოგიურად იგი ერთ-ერთი პირველი ქართული წარწერაა დასავლეთ საქართველოში; მეორე: ეს წარწერა, ისევე როგორც წებელდის XIII ს. წარწერა (სადაც დასახელებულია ლუკა მარტინავა), ერთხელ კიდევ ცხადყოფს, რომ XI-XIII საუკუნეებში აშქამინდელი აბჟუისა და კოდორის ხეობის ტერიტორიაზე ნამდვილად უცხოვრია კოლხურ (მეგრულ) მოსახლეობას“ (გვანცელაძე, 1998, გვ. 35). მესამე: ქოჩოლვა უტყუარი საბუთია იმისა, რომ XI საუკუნისათვის კოლხებს (მეგრელებს) უკვე ჩამოყალიბებული ჰქონიათ -ვა დაბოლოებიან გვარსახელთა

მოდელი (ვ ჩანართია, გვარს აწარმოებს -ა. იხ. ცხადაია, 2000, გვ. 12-27).

სამურზაყანოს ტერიტორიაზე მრავალი სხვა სახურომოდ-ღვრებო თუ ეპიგრაფიკული ძეგლი, თავდაცვითი ნაგებობების ნაშთები, ნაეკლესიარები მდებარეობს (მაგალითად, წველიკარის, ღუმურიშის, წარჩის, ჩხორთოლის, ლაშქინდარის, სათანჯოს, ოცარცის...).

მე-17 საუკუნეში ენგურსა და კოდორს შუა მოსახლეობა მთლიანად ქართული (მეგრული) იყო. ამას, უპირველეს ყოვლისა, ადასტურებენ ენგურ-ღალიძგის შუამდინარეთის საეკლესიო საბუთებიც: 1621 წელს შედგენილი „აფხაზეთის საკათალიკოსო გამოსავალი მოსაკრებლობის დავთრის“ მიხედვით, ნაქანელში (ამჟამინდელი ოტობაია) ცხოვრობენ: უჩაია, დიღია, ჯაკობია, კოდია, ჯგუბურია, სუბუქია, შუშანია, კუატარია, მჭითანაა, ძაძუა, სამელია, გოგილაა, მატოფია, ქაჯაია, მარკოზია, ჯომინია, ციკუტია (//სიკუტია), ღრუბლაია, გურუა, ხისტარია, დავითია, ლოგუა, რუსაყია, ელიშია, კონჯარია, ჭვიტიშია, ფიოლია, კოტარია (კუატარია), კონტარია. ხოირს (ამჟამინდელი ოხურეი) მოსახლეობენ: დიღია, ჩაგუა, ლასურია, მუზურგანია, ქუნია, ჯიტა/ვა/, გრიგოლია, ჯიქია, ბიჭვა/ვა/, დამაკოჩია, ამბალია, ჯომ/ი/ნია, კაკუა, ქურია, ჯაკობია, კოს/ა/ტაია, გამკერვალია, ხერგუა. სუბეიშში (დღევანდელი აჩიგვარა) მკვიდრობენ: კიტია, პერტია, გავაშელი, ქორჩოლუა, ჯაკონია, ღუაჯაგია, მახუტია, არტონია, ხვინგია, მიქელია, ბიგუა, ჯიშია... ამ პერიოდში, ე.ი. XVII ს. პირველ ნახევარში, აფხაზეთის სამეფო ვრცელდებოდა კოდორიდან ჯიქეთამდე. ფრანგი მოგზაური შარდენი, რომელმაც 1672-1673 წლებში იმოგზაურა საქართველოში და, როგორც თვითონ აღნიშნავს, ფეხდაფეხ დაიარა მთელი სამეგრელო, აცხადებს, რომ მდ. კოდორი გამოყოფს სამეგრელოს აფხაზეთისაგან. მაგრამ ლევან II დადიანის გარდაცვალების შემდეგ აფხაზი ფეოდალები რამდენიმე ათასი დაქირავებული თუ მოხალისე ჩრდილოკავკასიელის დახმარებით ადვილად, თითქმის უბრძოლველად დაეუფლნენ აფხაზეთის სამეფოს სამხრეთით მდებარე ვრცელ ტერიტორიას თვით მდ. ენგურამდე. მართალია, აბჟუა თითქმის მთლიანად გააფხაზდა, მაგრამ სამურზაყანოში დემოგრაფული ვითარება თითქმის უცვლელი დარჩა (ალბათ, ხოცვა-ჟლეტასა და გაყიდვას გადარჩენილ აბორიგენთა და

ოდიშის სიღრმეში ლტოლვილთა შთამომავლების უკან მობრუნების წყალობით).

მე-17 საუკუნის მეორე ნახევარში გაჩაღებული სისხლის-მღვრელი ომების შედეგად აფხაზებმა ენგურამდე მოაღწიეს. ზიგნაყ შერვაშიძის შვილებმა – როსტომმა, ჭიქეშიამ და ყვაპუხ – დაინაწილეს აფხაზეთის სამთავრო: როსტომს მიუღია სამფლობელო ბზიფიდან კოდორამდე, ჭიქეშიას – კოდორიდან ლალიძგამდე (ამჟამინდელი აბჟუა, ანუ შუა ქვეყანა), ხოლო ყვაპუხს – ლალიძგიდან ენგურამდე. განსაკუთრებით გაპარტახებულია და დაცარიელებულია ლალიძგა-ენგურის შუამდინარეთი. „ეს უკანასკნელი ნაწილი, – როგორც იტყობინება შერვაშიძეთა შესახებ 1897 წელს გაზეთ „კვალში“ გამოქვეყნებული ისტორიული ნარკვევი, ამღვრეულ დროებათა გამო ყოფილა უფრო დაცარიელებული მცხოვრებთაგან. ამის გამო ყვაპუხს გამოუყვანია ბზიბიდან... რამდენიმე გვარი თავადნი და აზნაურნი... რომელთათვისაც დაუნაწილებია საზღვარი, ხოლო თავისდა სახასოდ შეუცაცეს სოფელი ბედია, ფახულანი და ბორბალო“. ყვაპუხს გარდაცვალების (1705 წ.) შემდეგ სამფლობელო მიუღია მის შვილს მურზაყანს, რომელსაც, ზემოთ დასახელებული წყაროს მიხედვით, „აღუყვავებია ადგილი და უწოდნია... სამურზაყანო და უფელნია სამურზაყანოში“ (იხ. ზუხბაია, 2001 წ.).

ბედიის გარდა, შერვაშიძეებს სამურზაყანოს სხვა სოფლებშიც ჰქონიათ სასახლეები, კერძოდ, საბერიოში, ნაბაკევი. 1770 წელს ლევან შერვაშიძეს რუსეთის იმპერატორისათვის უთხოვია მისი სამფლობელოს მიღება რუსეთის მფარველობაში (სამურზაყანოს უკანასკნელი მფლობელი მანუჩარ შერვაშიძე 1813 წელს ბედიაში მოკლა მისგან პატივყარილი ქალის მეუღლემ – გლეხმა მაჯი კვარაცხელიამ). 1805-1840 წლებში სამურზაყანო სამეგრელოს სამთავროში შედიოდა, შემდეგ რუსეთის მფლობელობაში მოექცა და 1917 წლამდე ჭერ სამურზაყანოს საბოქაულო, ხოლო შემდეგ სამურზაყანოს უბანი () ეწოდებოდა. 1917-1925 წლებში ადმინისტრაციულ ერთეულს ერქვა სამურზაყანოს მაზრა, 1925-1929 წლებში – გალის მაზრა, ხოლო 1929 წლიდან – გალის რაიონი.

დაცარიელებულ სამურზაყანოში მიწა-წყლის საძებნად გადმოდიოდნენ ჩრდილოეთ კავკასიიდანაც. მიუხედავად ამისა, შეუძლებელი შეიქნა აბორიგენი მოსახლეობის სრული გააფხაზება. ისინიც კი, ვინც აფხაზად ეწერებოდნენ, ინარჩუნებდნენ ქართულ (მეგრულ) ენასა და ეთნოგრაფიულ სახეს, მართლმადიდებლობას.

არსებობს 1867 წლის ოფიციალური მონაცემები აფხაზეთის მოსახლეობის შესახებ, საიდანაც ირკვევა, რომ ამ პერიოდისათვის აფხაზეთის მოსახლეობის მთელი შემადგენლობის (65 ათასი სული) თითქმის ერთი მესამედი (22 ათასი) ცხოვრობს სამურზაყანოში. „ამასთან სამურზაყანო თითქმის მთლიანად ქართველებით (მეგრელებით) იყო დასახლებული“ (თოთაძე, 1995, გვ. 81-82). ე.წ. „კავკასიაში ქრისტიანობის აღმდგენი საზოგადოების“ ანგარიშებში (მე-19 ს. II ნახევარი) არაერთგზის არის აღნიშნული, რომ სამურზაყანოში უძველესი დროიდანვე ცხოვრობენ მეგრელები და „ილორიდან დაწყებული მთელ სამურზაყანოში ბატონობს მეგრული ენა“, ხოლო „სამურზაყანოელები ეკუთვნიან ქართულ ტომს, ლაპარაკობენ მეგრულ ენაზე და არა აფხაზურზე“ (იქვე, გვ. 86).

1886 წელს ჩატარებული კამერალური აღწერის (საოჯახო სიების) მიხედვით, სამურზაყანოს უბანში ცხოვრობს 29520 „სამურზაყანოელი“, 984 მეგრელი, 4 რუსი და არც ერთი აფხაზი. „სამურზაყანოელი“, რაც სადაურობის სახელია და არა ტომობრივ-ეთნოგრაფიული ტერმინი, განზრახ არის შემოგდებული, რათა შეემციკრებინათ აფხაზეთში ქართველთა რაოდენობა (ჩვენი აზრით, სამურზაყანოელი უწოდეს სამურზაყანოში მცხოვრებ ძირძველ მეგრელებს, ხოლო „მეგრელი“ – სამეგრელოდან ბოლო ათწლეულებში გადმოსახლებულებს). სხვათა შორის, რამდენიმე ასეული „სამურზაყანოელი“ კოდორის უბანშიც. ამგვარი მანიპულაციის შედეგად 1886 წელს აფხაზეთში მცხოვრები 67864 პირიდან აფხაზი აღმოჩნდა 58963, ხოლო ქართველი – 4166. სინამდვილეში კი, როგორც გაირკვა, ქართველი იყო 34078 სული, ხოლო აფხაზი (გააფსუებული მეგრელების ჩათვლით) – 28320 (იხ. თოთაძე, 1995, გვ.82). მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ სადავო არ შეიძლება იყოს სამურზაყანოს მოსახლეობის ეთნიკური კუთვნილების საკითხი, აფსუა ისტორიკოსები მაინც დაობენ და ცდილობენ, დაამტკიცონ, ვითომ ეს ტერიტორია ძველდაც და შემდეგაც აფსუების კუთვნილება იყო.

მე-16 ს-დან თურქების გავლენით აფხაზეთში ვრცელდება მაჰმადიანობა. მაგრამ სამურზაყანოს ძირძველმა ქართულმა მოსახლეობამ ბოლომდე შეინარჩუნა ქრისტიანული მრწამსი.

§ 1. აფხაზ მკვლევართა მიერ მითვისებული კოლხური ტოპონიმები სამურზაქანოში

როგორც ცნობილია, „საკუთრივ აფხაზებს მათი დღევანდელი ტერიტორიის დიდ ნაწილზე წინ უსწრებდა ქართველური მოსახლეობა ერთი მხრით, სვანური შტოთი, მეორე მხრით – ჭანურ-მეგრულისა“ (ჯანაშია, 1959, გვ. 15). პტოლემეაიოსი (ახ. წ. II ს.) მათ „სუანო-კოლხებს“ უწოდებს. დასაბუთებულია, რომ აბაზგ-//აფხაზ- დასავლურქართველური წარმომავლობის სატომო სახელწოდებაა, (რომელიც შემდგომ, XVI-XVII საუკუნეებში ჩამოსახლებულ აფსუებზე გადავიდა: ლორთქიფინიძე, 1990, გვ. 17-20; ონიანი, 1889; ონიანი, 1994). ამ დებულებას კიდევ უფრო განამტკიცებს უკანასკნელი პერიოდის ლინგვისტური ძიებანი: „ბერძნულში... დადასტურებული „აბაზგ“ ფორმა პირველადი „აფხაზ“-//„აბხაზ“- ფორმის ფონეტიკური გარდაქმნის შედეგს წარმოადგენს ბერძნული ფონეტიკური ნორმებისდა შესაბამისად და არავითარ კავშირში არ არის ერთი შეხედვით მის მსგავს „აბაზა“ სახელთან, რომელიც თანამედროვე აფხაზ-აბაზინელთა საერთო სახელწოდებას წარმოადგენს. თვით ეს უძველესი „აბაზა“ ფორმა დასაბამს აძლევს თანამედროვე აფხაზთა თვითსახელ „აფსუა“-ს, რომელიც უნდა წარმოადგენდეს „აბაზა“ ფორმის ხმოვან-რედუცირებულ ვარიანტს: „აბაზა“ → „აბზა“ → აფსა → აფსა-უა → აფსუა“ (გამყრელიძე, 1991, გვ. 100).

შუა საუკუნეებში აფხაზებს დღევანდელი აფხაზეთის მხოლოდ ჩრდილო-დასავლეთი ნაწილი ეჭირათ. მე-ნ საუკუნის პირველ ნახევარში თანამედროვე აფხაზეთის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში (დაახლოებით მდ. ლალიძგამდე) ბინადრობდნენ **ლაზები**. მათგან ჩრდილოეთით და ჩრდილო-აღმოსავლეთით (წებელდამდე) ცხოვრობდნენ **აფშილები**. სამხრეთ-აღმოსავლეთი მთიანი ნაწილი აფხაზეთისა ეკავათ **მისიმიანებს**. აფშილეთის ჩრდილო-დასავლეთით, ზღვისპირეთიდან კავკასიის ქედამდე, თითქმის მდ. ბზიფამდე კი, სახლობდნენ **აბაზგები**. ამ უკანასკნელთაგან ჩრდილო-დასავლეთით, თანამედროვე გაგრის რაიონის ტერიტორიაზე – **სანიგები** (ანჩაბაძე, 1959, გვ. 16). მე-15 საუკუნის იტალიურ რუკებზე მდ. კელასურის შესართავთან აღნიშნულია „მეგრული პორტი“.

XV ს. ერთ თურქულ საბუთში ნათქვამია, რომ გურიელის ქვეყნის შემდეგ სოხუმამდე არის დადიანის ქვეყანა, ხოლო იმის შემდეგ აფხაზეთი (თურქული წყაროები, 1983, გვ. 5). XVII ს. შუა ხანებში კელასური ხდება საზღვარი ოდიშ-აფხაზეთს შორის (ხორავა, 1990, გვ.75-76). „კლისურის ზღუდეს“ საგანგებოდ ამაგრებს ლევან II დადიანი. არქანჯელო ლამბერტი, რომელიც 1633-1649 წლებში ცხოვრობდა და მოღვაწეობდა ენგურის-პირა სოფელ წიფურიაში, სამეგრელოს „ყველაზე უკანასკნელ მდინარედ“ ასახელებს კოდორს (ლამბერტი, 1991, გვ.176). მის მიერვე შედგენილ რუკაზეც სამეგრელო მოთავსებულია რიონსა და კოდორს შუა. „სხვადასხვა-ენოვანი წერილობითი წყაროებიდან სავსებით ცხადია, რომ უძველესი დროიდან გვიანდელ შუა საუკუნეებამდე ცხუმის მოსახლეობა ქართული იყო“ (გვანცელაძე, 1996, გვ. 11).

XVII ს. II ნახევარში აფხაზმა ფეოდალებმა ჩრდილოკავკასიელთა დახმარებით დაიპყრეს ოდიშის სამთავროს ჩრდილოეთი ნაწილი ჯერ ლალიძგამდე, ხოლო შემდეგ ენგურამდე (ამაზე თქვა მხატვრულად ბესიკმა: „ქართველთა სისხლი სწყურდათ, თუცა შეესვათ გობითა“: ბესიკი, 1962, გვ. 124), ადგილობრივი მოსახლეობა ან ამოწყვიტეს, ან გაყიდეს, ან დაიმონეს. „ამ დროიდან ენგური ხდება აფხაზთა სამთავროს სამხრეთი საზღვარი“ (ანჩაბაძე, 1960, გვ.21). უფრო მეტიც: მურზაყან შერვაშიძე და მისი მემკვიდრეები ენგურის მარცხენა ნაპირის რამდენიმე სოფელსაც ფლობდნენ. დაპყრობილი ტერიტორიის ეთნიკური ათვისების მიზნით აფხაზმა ფეოდალებმა აქ აფხაზთა („აზნაურთა და გლეხთა“) დასახლება დაიწყეს. აბჟუაში დროთა განმავლობაში მოხდა მეგრელთა სრული გააფხაზება, სამურზაყანოში კი ძირძველი მოსახლეობა უფრო მდგრადი აღმოჩნდა. „საერთოდ, სამურზაყანოს გააფხაზება მიმდინარეობდა ძალიან ნელა, ხოლო შემდეგ (უკვე XIX ს.) სრულებით შეწყდა“ (იქვე, გვ. 26).

მასასადამე, უტყუარ ისტორიულ წყაროებზე დაყრდნობით შეიძლება ითქვას: ვინც სამურზაყანოს ტერიტორიაზე უძველეს აფხაზურენოვან გეოგრაფიულ სახელებს ეძებს, არისტოტელეს ფრაზა რომ გამოვიყენოთ, „ფიქრობს სინამდვილის საპირისპიროდ“. სინამდვილის, ამ შემთხვევაში ისტორიის, საპირისპიროდ „ფიქრის“ ნიმუშად მოვიყვანთ შალვა ინალიფას თეზას: „სიმჭიდროვე და ეთნიკური მკაფიოობა აფხაზეთის ტოპონიმისა და ჰიდრონიმისა მდ. მზიმთის აუზიდან... თითქმის მდ. ენგურამდე...

ცხადყოფს, რომ აფხაზი ტომები წარმოადგენდნენ მთელი ამ ტერიტორიის ძირითად მაცხოვრებლებს“ (ინალიფა, 1976, გვ. 381). ხოლო ის გარემოება, რომ ტოპონიმთა „სიმჭიდროვე“ და „მკაფიოობა“ „რამდენამდე სუსტდება“ სამხრეთ-აღმოსავლეთ აფხაზეთის განაპირა ნაწილში ქართული წარმოშობის გეოგრაფიული სახელების გავრცელების შედეგად, ამგვარადაა ახსნილი: ეს შედარებით მცირე ფენა ქართული ტოპონიმიკური ლექსიკისა გვიანდელი (შუა საუკუნეების) ხანისაა და თავისი წარმომავლობით დაკავშირებულია აფხაზეთ-საქართველოს გაერთიანებული სახელმწიფოს არსებობასთან, აგრეთვე ბატონყმურ ექსპლუატაციასა და უმიწობას გამოქცეულ მეგრულ გლეხთა სამხრეთ აფხაზეთში მასიურ გადასახლებასთან, რამაც გამოიწვია გეოგრაფიული ნომენკლატურის შეცვლა. ამის შედეგად საზღვრისპირა ზოლში მოიპოვება „შედარებით გვიანდელი ქართული ელემენტი“ (იქვე, გვ. 382). ამ ჰიპოთეზის „დასაბუთებას“ აფხაზი მკვლევრები ცდილობენ სამურზაყანოს ზოგი ტოპონიმის (წკელკარი, ერწყარი, ფოქვეში, ლუმურიში, ჩხორთოლი და სხვ.) თავისებური ინტერპრეტაციით.

წკელკარი – X საუკუნის დარბაზული ტიპის ეკლესია XII-XIV სს. მიშენებული ეკვდრებით – მნიშვნელოვანი ქართული არქიტექტურული და ეპიგრაფიკული ძეგლია. ეკლესიის ნანგრევებში აღმოჩნდა ასომთავრული და მხედრული წარწერები კედლის მხატვრობის მრავალ საინტერესო ნიმუშთან ერთად (შერვაშიძე, 1980, გვ. 193-211). ლევან შერვაშიძე, რომელმაც 1962-1963 წლებში შეისწავლა ეს ძეგლი, იზიარებს კონსტანტინე შაყრილის მოსაზრებას, რომ ამ ეკლესიის ადგილმდებარეობას მართლაც შეეფერება მისი სახელწოდების აფხაზური ვარიანტი „აკკარ“ (ჩაწერილი ადგილობრივ ხანდაზმულთაგან), რაც ნიშნავს: „კუთხე, მიჯნა, საზღვარი“, ხოლო „წკელკარი“ წარმოადგენს ამ აფხაზური ტოპონიმის ენობრივ ტრანსფორმაციას (შერვაშიძე, 1967, გვ. 39).

ერისწყალი (მეგრ. ვარიანტი: ერწყარი) სამურზაყანოს მთებში იწყება, ჩაუვლის ქ. გალს და ზედ ზღვისპირას ერთვის მდ. ოქუმს მარცხენა მხრიდან. შალვა ინალიფა თვლის, რომ მდინარის სახელწოდების თავდაპირველი ფორმა „ძველაფხაზურია“. ესაა უარძ, „მღვრიე ნაკადი – მდინარე“ (აფხაზ. აუარ „ნაკადი“, აძგ „წყალი, მდინარე“), რომელმაც მეგრული ენის კანონების თანახმად

მიიღო გაფორმება „ერწყარი“, ე.ი. უარ → ერ, ხოლო „აძგ“ ითარგმნა (ინალიფა, 1976, გვ.381).

აფხაზეთის გეოგრაფიულ სახელებში ტამიშ, დღამიშ, თოუმ-იშ, წკირიშ და სხვ. ხუხუტი ბლაჟბა გამოყოფს ადიღეურ-ჩერქეზულ ტოპონიმურ სუფიქსს -შ, რაც, მისი აზრით, აღნიშნავს ადგილს, მაგალითად, ტამიშ „ტამების ადგილი“ (ბლაჟბა, 1964, გვ.267). თუმცა მოგვიანებით დაწერილ ნაშრომში „აფხაზეთის ტოპონიმების ზოგიერთი საკითხი“, განიხილავს რა ექვს ტოპოფორმანტს (ფს //ფსა, ფშ//ფშა, ფ//ფა, რ-ხუა//ხუა, თა, რა), არაფერს ამბობს -შ სუფიქსზე (ბლაჟბა, 1974, გვ.163-180). შალვა ინალიფა -ფშ ელემენტს გამოყოფს აბჟუსისა და სამურზაყანოს ტოპონიმებში - გულრიფში, ფშაფი, ფშაური და ამავე რიგში ასახელებს ტამიში (აფხ. ტამიშ), ფოქვეში (აფხაზ. ფაქუაშ), ღუმურიში (აფხაზ. ღუმრიშ) სახელებსაც (ინალიფა, 1976, გვ.379). რაც, შესაძლოა, იმაზე მიუთითებდეს, რომ მკვლევარი „შ“-ს თვლის -ფშ ელემენტის ვარიანტად (შენიშვნაში შ. ინალიფა აღნიშნავს, რომ ოთხმოცი წლის ოქუმელი ალ. ზუხბას გადმოცემით, გალის რ-ნის სოფ. ღუმურიშს უწინ აფხაზები უწოდებდნენ ღუმრიფშს (იქვე, გვ.379). ირა ანჭვაბი თვლის, რომ -შ არის არა ადიღეურ-ჩერქეზული ტოპონიმური სუფიქსი, როგორც ამას ამტკიცებსო ხ. ს. ბლაჟბა, არამედ ოდენ აფხაზური და იგი ფართოდაა გამოყენებული „ისტორიული აფხაზეთის მთელ ტერიტორიაზე სოჭიდან ქუთაისამდე“. ეს -შ წარმოქმნის დასახლებული პუნქტების სახელებს საგვარეულო, სათემო, სატომო სახელებისაგან. ასეთი ტოპონიმებია: ქუთეშ (ქუთაისი), ტამშ (ტამიში), თოუმ-იშ (თოლშიში), ლაღუაშ, ბარმიშ (ბარმიში), მჭიშ და სხვ. (ანჭვაბი, 1984, გვ.9).

მაშასადამე, აფხაზ მკვლევართა ერთი ნაწილის აზრით, ფოქვეში, ღუმურიში აფხაზურენოვანი ტოპონიმებია. შ. ინალიფა აფხაზურენოვან ტოპონიმიში გამოყოფს -ალ// -ულ სუფიქსიან წარმოებებსაც და, მართალია, შენიშვნაში, მაგრამ მაინც, ასახელებს მაგალითებს: გალი, დალი, ჯალი, ჯამალი, ამტყელი (აფხაზ. ამტყაალ), ხოჯალი (აფხაზ. ხუაჯალ), ჩხორთოლი (აფხაზ. ჩხუართალ), ტყვარ-ჩელი (აფხაზ. ტყუარჩალ), მერხეული და სხვ. (ინალიფა, 1976, გვ.378).

რა შეიძლება ითქვას ყოველივე ამის შესახებ? მხოლოდ ის, რომ ზოგ მკვლევარს სასურველი სინამდვილედ ეჩვენება. ამაში ქვემოთ დავრწმუნდებით.

თითოეულ ენას მოეპოვება თავისი ტოპონიმური სისტემა, რასაც ქმნიან გარკვეული მორფოლოგიური მოდულები და ლექსიკური ერთეულები. კერძოდ, ქართველურ ენებში მცირე დასახლებული პუნქტების სახელების საწარმოებლად გამოიყენება ე.წ. ინდიკატორები, რომლებიც სწორედ დასახლების სახეობაზე მიუთითებენ: ქალაქი, დაბა, სოფელი, უბანი, კარი. „საქართველოს სსრ ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის“ 1987 წლის გამოცემის მიხედვით, „კარი“ კომპონენტი გამოიყოფა 86 სოფლის სახელწოდებაში როგორც აღმ., ისე დას. საქართველოში (არას ვამბობ სოფლის უბნების სახელებზე, სადაც ეს ინდიკატორი კიდევ უფრო ხშირია). სამეგრელოს სოფლებია: წალიკარი, გულიეკარი, ოხვამეკარი, ჯიხაშკარი, მანცხვარკარი, ვედიდკარი, ალერტკარი, ოხვამეკარი, თხინაშკარი (გალის რაიონშია) და სხვა. კარ-ინდიკატორიანი რთული ტოპონიმის პირველ კომპონენტს ხშირად წარმოადგენს ეკლესიის ან წმინდანის (ხატის) სახელი. ამას ადასტურებს ტოპონიმიაც და მიკროტოპონიმიაც: **მანცხვარკარი** „მაცხოვრისკარი“ (სოფელი აბაშის რაიონში, ბორცვი ქ. ზუგდიდში და სხვ. **ბარბალეკარი** (ნაეკლესიარი, სასაფლაო პირველი ონტოფოს ცენტრში; სახნავები პირველი ნოსირისა და შუა ნოსირის საზღვარზე, სადაც მდგარა წმ. ბარბალეს ეკლესია) და სხვ. **უფალკარი** (სოფელი, ყოფილი შრომისკარი სენაკის რაიონში. „უფალი“ მეგრულში ღმერთის სინონიმია), **ქირსეშკარი** „ქრისტესკარი“ (სახნავი სარაქონში), **ყულიშკარი** (სოფელი ზუგდიდის რაიონში. საბჭოთა პერიოდში ეწოდებოდა ორჯონიკიძე. ყულიწყარის ნაპირას, მაღალ ბორცვზე, დგას „ყულის ეკლესია“. ხანდაზმულთა განმარტებით, „ყული ძლიერი ხატია. იგი წმინდა გიორგის ნაწილია. ყული და ალერტი ძმები არიან“).

აღნიშნული მასალის მოხმობა იმისათვის დაგვჭირდა, რომ ცხადყოფთ: **წკელკარი** (მოტივირების თვალსაზრისით) **გრამატიკულადაც, ლექსიკურადაც და ეტიმოლოგიურადაც მეგრულ ტოპონიმურ სისტემას განეკუთვნება**. სამურზაყა-ნოელთა განმარტებით, წკელიც ხატია, იგივე მანცხვარწკელი თუ მიქელ-გაბრიელი. იგი ესვენა ხის ძირას (ზოგი ვარიანტით, ეს ხე წყავია) ამ მაღლობზე, მდ. ერისწყლის მარცხენა მხარეს, სოფ.

ხოლეში (გალის რ.). აქ მოდიოდნენ ავადმყოფები და ღმერთს ევედრებოდნენ განკურნებას... (სინამდვილეში ეკლესია წმ. ესტატეს სახელობისა უნდა ყოფილიყო, თუმცა კი წარწერებში მოიხსენიება წმ. გიორგი. მაგალითად, „წმიდაო გიორგი მწკელიკარისაო...“ (იხ. მიბჩუანი, 1999, გვ.59). ვ. ზუხბაიას მტკიცებით, შუა საუკუნეებში ამ ეკლესიას ეწოდებოდა „წყევლის კარი“, ხოლო ამჟამად ხალხი „წკნელის კარს“ (მეგრულად წკელიკარს) უწოდებს (ზუხბაია, 1998, გვ. 140). ჩვენი აზრით, ვარიანტები წყევლის კარი და წკნელის კარი გადააზრების შედეგია. იგი არ დასტურდება წერილობით წყაროებსა თუ ზეპირ გადმოცემებში.

მტკიცება, რომ „წკელიკარი“ აფხაზური სიტყვა „აცკარ“-ის მეგრული ტრანსფორმაციაა, საფუძველს მოკლებულია ფონეტიკურადაც, როგორც დამყარებული მხოლოდ ორიოდ ბგერის იდენტურობაზე. **აფხაზური აცკარ მეგრულში უცვლელად გამოვიდოდა. მეგრულ წკელიკარს კი აფხაზური მხოლოდ აწკარად შეითვისებდა.** წკელიკარი უხინჯოდ იხსნება მეგრულის მონაცემებით და სახელდების ტრადიციით, ისევე როგორც ალერტკარი, ბარბალეკარი, მანცხვარკარი და სხვ. და რაც მთავარი და ისტორიულად დადასტურებულია, წკელიკარის წარწერების შესრულების ხანაში (XI-XVI სს.) ამ რეგიონში არ არის მოსალოდნელი აფსუათა კომპაქტური დასახლებანი.

ქართულში ჰიდროგრაფიული ტერმინი „წყალი“ ძველი დროიდანვე მონაწილეობდა ჰიდრონიმთა წარმოქმნაში. მეგრულში დიდ მდინარეს ეწოდება „წყარი“, ხოლო მასზე მცირეს – ღალ „ღელე“. ეს ორი ლექსემა ხშირია სამეგრელო-სამურზაყანოს ჰიდრონიმიაში. არქანჯელო ლამბერტის რუკაზე აღნიშნულია ჰიდრონიმები – ცხენისხარი, ჰეთისკარი, ჯობასხარი, მოქვისხარი. **ცხენისხარი** ცხენისწყალია, რიონის მარჯვენა შენაკადი; **ჯობასხარი** არის ჯოცობაწყარი (ზუხბაია, ზანთარაია, 1988, გვ.137). იგი გამოედინება ჭაობ „ჯოცობადან“ და ერთვის ანარიაწყარს მარცხნიდან (და არა ზღვას. როგორც ლამბერტის რუკაზე ჩანს); **მოქვისხარი** მოქვისწყალია. ავტორის აზრით, მდინარეს ასე იმიტომ ეწოდება, „რომ იგი ჩაუდის მოქვის საეპისკოპოსოს“.

როგორც ვხედავთ, მეგრული სიტყვა „წყარი“ იტალიურ ენაზე სამ შემთხვევაში გადატანილია „სხარი“, ხოლო ერთ შემთხვევაში „სკარი“ ფორმით. ამჟამად გვიანტერესებს **Hetiscari**. „აღწერის“ ტექსტში ნათქვამია: „ენგურს იქით არის ხეთი,

რომელსაც სიპატარავის გამო რუკებზე არ აღნიშნავენ, თუმცა ღირსშესანიშნავია თევზის სიუხვით; ზღვას შეერთვის გაგიდასთან“ (ლამბერტი, 1991, გვ. 175). აქ მთარგმნელი ალ. ჭყონია შენიშნავს: „ამ მდინარეს დღეს გაგიდა ჰქვია“. გაგიდა//გაგიდაწყარი სხვა მდინარეა. იგი მართლაც უერთდება ზღვას სოფ. გაგიდასთან. ერისწყალი კი ოქუმის მარცხენა შენაკადია (ქსე, 4, გვ.195; ქსე, 3, გვ.642). სამწუხაროდ, გალის რაიონის მცირე სქემატურ რუკაზე (ქსე, 2, გვ. 241) ერისწყალი ცალკე მიერთვის ზღვას. „აღწერის“ **Heti** და რუკის **Hetiscari** არის **ერ(ი)წყარი** (ლიტერატურული ტრადიციული ფორმა: „ერისწყალი“), ოქუმის მარცხენა შენაკადი. ეს ჰიდრონიმი წარმოადგენს რთულ სიტყვას, რომლის ორივე კომპონენტი მეგრული ენის მონაცემებით აიხსნება. „ერისწყალს... ეწოდებოდა ერთის წყალი. იმ მთას, საიდანაც იგი მოედინება, ერთიმ გვალა (ერთის მთა) ეწოდება“ (ბერაძე, 1967, გვ.63). დავაზუსტოთ: ერთიში ეწოდება ფართო ხეობას ოხაჩქუეს კარსტული მასივის სამხრეთ-აღმოსავლეთ კალთაზე (წალენჯიხის რ.), ზღვის დონიდან 500-600 მეტრ სიმაღლეზე. ტოპონიმი წარმოქმნილია ზანურ-სვანური -(ი)ში სუფიქსით. ამოსავალი ფუძე ერთ(ი) ჩანს შემოკლებული ფორმა პირსახელისა ერთუმე (ეჭვთიმე). მდინარეს, რომელიც სათავეს იღებს ერთიში, ბუნებრივია, დარქმევია **ერთიშწყარი**, რამაც ფონეტიკური გამარტივების შედეგად მოგვცა **ერ(ი)წყარი**. როგორც ჩანს, არქანჯელო ლამბერტის ჰეთი და ჰეთისკარი ამ ერთიწყარის **რ** დაკარგული ვარიანტია.

მაშასადამე, ჰიდრონიმი „**ერწყარის**“ **ორივე კომპონენტი მეგრულია** და, აქედან გამომდინარე, უსაფუძვლოა მისი დაკავშირება ჰიპოთეტურ „უარძე“-სთან. როგორც ჩანს, ერწყარის პირველი კომპონენტი -ერ აფხაზებმა **გაიაზრეს** როგორც აფხა-ზური ა-უარ, ხოლო მეორე კომპონენტი **თარგმნეს**.

ქართულში -ის ნათესაობითი ბრუნვის ნიშანია, მაგრამ გეოგრაფიულ სახელებთან სიტყვაწარმოებითი ძალა აქვს მოპოვებული. მას სადერეიაციო ფუნქცია საერთოქართველურ ფუძეენაშიც უნდა ჰქონოდა (კლიმოვი, 1962, გვ.99). მისი მეგრულ-ჭანური შესატყვისია -**იშ**, რომელსაც, ერთი მხრივ, ერთვის ემფატიკური -**ი**, ხოლო მეორე მხრივ, ბოლონმოვნიან სახელებთან ეკვეცება ბრუნვის ნიშნისეული -**ი** (ჩიქობავა, 1956, გვ. 260).

-იშ// -იში გეოგრაფიულ სახელთა აქტიური მაწარმოებელი იყო და არის მეგრულსა და სვანურში. მისი გავრცელების არე უწინ უფრო ფართო ყოფილა – ლეჩხუმი, ქვემო რაჭა, ქვემო იმერეთი, გურია. მ. ქალდანი მივიდა იმ დასკვნამდე, რომ „-იშ// -შ სუფიქსიანი ლეჩხუმური გეოგრაფიული სახელების შემოქმედია არა ზანური, არამედ სვანური მოსახლეობა“ (ქალდანი, 1963, გვ. 69). ეს თვალსაზრისი მიღებულია ქართულ ისტორიოგრაფიაში (მელიქიშვილი, 1970, გვ.341). ბოლო დროს სულ უფრო მეტი მკვლევარი იზიარებს იმ თეზას, რომ საერთო-ქართველურ ფუძემნას თავდაპირველად გამოეყო არა სვანური, არამედ ქართული ენა, ხოლო შემდეგ კარგახანს გრძელდებოდა სვანურ-ზანური ერთობა (ქურდიანი, 1996). აქედან გამომდინარე, -იშ// -იში სუფიქსი შეიძლება ჩაითვალოს საერთო ზანურ-სვანურ სიტყვაწარმოებით ელემენტად. არც ისაა გამორიცხული, „სვანურ-ზანური ერთობა“ მეორეული იყოს – შედეგი ენობრივი ინტერფერენციისა კოლხეთის ბარის გარკვეულ ნაწილში. სამეგრელოს მთისძირა ზოლში უხვადაა დადასტურებული სვანური ტოპონიმური სუბსტრატი, მათ შორის: ლაყორია, ლაღვაშია, ლაჩხვა, ლეკერე, ლარა, ნაკა, მუჰა, ჭუბიში და სხვ.

ამ ფონზე უნდა გავანალიზოთ ტოპონიმი **ღუმურიში**, რომლის ამოსავალი ფუძე სვანურია. ესაა ღუმურ „ნაძვი“. -იშ კი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, საერთო ზანურ-სვანური სუფიქსია, რომელიც მცენარეთა სახელებისაგანაც აწარმოებს ადგილის სახელებს, ისევე როგორც -ის// -ისა (შინდისი, ცხემლისი, ბუიში „ბლისა“, ინჭირიში „ანწლისა“ და სხვ. (იხ. ცხადაია, 1985, გვ. 97).

მაშასადამე, ტოპონიმი ღუმურიში სვანთა დანატოვარია დღევანდელი აფხაზეთის ტერიტორიაზე, ისევე როგორც ცხუმი და ზოგიც სხვა, რაც ჯერ კიდევ მოითხოვს მოძიებასა და გამოკვლევას.

როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, აფხაზ მკვლევართა ერთი ნაწილის აზრით, ფოქვეშიც (აფხაზ. ფაქუაშ) -შ სუფიქსიანი აფხაზურენოვანი გეოგრაფიული სახელწოდებაა. არადა ფაქვა, ფაკვა, ფოკვა, ფოქვი დღესაც ცოცხალი ლექსიკური ერთეულია მეგრულში და ნიშნავს: „მღვიმე, მცირე გამოქვაბული; შეღრმავება კლდის ძირას, სადაც მწყემსები სადგომსაც მიაშენებდნენ ხოლმე“. ზემო სამეგრელოში ფიქსირებულია მიკროტოპონიმები: ფაკვა, ფაქვა (მრავალგან), ფაქვაშდუდი, ფაქვაში, ფაქვაშია, ფოქვა (მრავალგან), ფოქვაიწყარი, ფოქვაშდუდი, ფოქვაში, ფოქვაშკარი,

ფოქვები... თვით სამურზაყანოშიც კი დასტურდება ასეთი ტოპონიმები: ფოქვა – მღვიმე სათანჯოს კალთაზე, ფაქვა//ჯვეშ კოჩიშ ქუდე – კლდე კეიშის ნაპირას, ზემო ლუმურიშში; აპათუ//ფოქვა – გამოქვაბული რეჩხში (აპათ, აფხაზური სიტყვაა და ნიშნავს იმასვე, რასაც ფოქვა).

ასე რომ, დალიძის მარცხენა ნაპირას მდებარე სოფლის სახელი **ფოქვეში** ყველა პარამეტრით ზანურია (მეგრულში ჩვეულებრივია კონტრაქცია აი → ე. მაშასადამე: ფოქვა-იში → ფოქვეში) და აფხაზურენოვან ტოპონიმად მისი ჩათვლა, მსუბუქად რომ ვთქვათ, არაკორექტულია. -იში სუფიქსს შეიცავს არქანჯელო ლამბერტის რუკაზე დატანილი ორი ტოპონიმიც: სუბეიში (ოქუმის მარცხენა მხარეს, დღევანდელი აჩიგვარის ადგილას) და თხეიში (ერწყარის მარცხენა მხარეს, გოგიელს ზემოთ).

ლინგვისტიკაში ცნობილია განმეორებად დაბოლოებათა ოდენ ანალიტიკური გზით გამოყოფისა და მათი სადერივაციო მორფემებად მიჩნევის მეთოდი. მაგრამ ეს მეთოდი ეფექტური არ არის, რადგანაც ეტიმოლოგიისათვის გადამწყვეტი მანძი ეტიმონის დადგენაა. საჩოთიროა, დალი, ფალი, ჯალი, გალი... ტოპონიმებში გამოვყოთ -ალ სუფიქსი და არც მისი მნიშვნელობა ვიცოდეთ და არც დარჩენილი თანხმონითი ნაწილისა. მით უმეტეს, თუ მოიპოვება საანალიზო სახელწოდების ისეთი ახსნა-განმარტება, რომელიც საბუთიანია როგორც ისტორიულ-ეთნოგრაფიული, ისე ენობრივი თვალსაზრისით. ეს პირველ რიგში შეეხება ტოპონიმს **ჩხორთოლი**, რაც ლამბერტის რუკაზე წარმოდგენილია სწორი თავდაპირველი „ჩხორთოლი“ ფორმით („ჩხუართალ“ აფხაზური ვარიანტია).

მსოფლიოს მრავალ ენაში „თვალ“ სემემის შესატყვისი ლექსემა იმავე დროს წყაროსაც აღნიშნავს. ასეთი მეტაფორიზაცია ქართველურ ენებშიც ხდება. კერძოდ, მეგრულში თოლი//თოი „თვალი“ იმავე დროს არის ხვრელი მიწაში (საიდანაც წყალი ამოდის) ან თვით წყარო, ნაკადული, წყაროსთვალი (შდრ.: „წყაროსთვალი – ადგილი, სადაც წყალი ამოდის“; ქველ, IV). სამეგრელოში დაფიქსირებულია: **თოლდუდი** „წყაროსთავი“ – წყარო ისულაში; **თოლისკური** – უტორის მარცხენა შენაკადი ხამისქურში; **წყუთოი** „წყაროსთვალი“ – სახნავეები თარგამეულში (ინფ.: „მიწას აქვს თვალები და როცა მოწვიმს, წყაროები ამოდის“);

წყუთორი – სახნავები მდ. ნოღელის ნაპირას, ზემო ნაგვაზავოში და სხვ.

სხვადასხვა ხალხში გარკვეულ რიცხვებს საკრალური მნიშვნელობა აქვთ მინიჭებული, რაც ასტრალური მითოლოგიიდან მომდინარეობს. ქართული ფოლკლორის მიხედვით, წმინდა რიცხვებია 3, 7, 9. კერძოდ, წარმართულ საქართველოში „მზის წმინდა რიცხვი იყო ცხრა“ (პატარიძე, 1972, გვ. 149). ზოგ ხალხში გარკვეულ რაოდენობით რიცხვით სახელებს აქვთ განუსაზღვრელი მრავლობითის, სიმრავლის გადმოცემის უნარი. სლავებისათვის ასეთი რიცხვებია 7 და 40 (შჩეტინინი, 1972, გვ. 154-156), თურქებისათვის – 40. ბაშკირეთის ჰიდრონიმიაში 7 და 9 ზოგჯერ მიუთითებს არა ობიექტის რაოდენობაზე, არამედ წყლის სიუხვეზე (კამალოვი, 1969, გვ. 11). ქართველებში რიცხვი 9 იხმარებოდა (და დღესაც გამოიყენება) სიმრავლის, სიშორის, მიუწვდომელის მნიშვნელობით: ცხრაგვარი („მრავალგვარი, მრავალნაირი“), ცხრაგზის („მრავალგზის, ბევრჯერ“), ცხრაკეცი („მრავალფენიანი“) და სხვ. საქართველოს ჰიდრონიმიაში დადასტურებულია: ცხრაწყარო, ცხრანაკადა, ცხრაპირა (მდინარეა ჭიათურის რ-ნის სოფ. ქვაციხეში. ინფორმატორი განმარტავს: „წყალი ჩამოდის ცხრაპირად, ანუ მრავალ ნაკადად“), ჩხოროდალ, ჩხოროწყუ, ცხროჭა და სხვ. ყველა დასახელებულ შემთხვევაში რიცხვი „ცხრა“ გამოყენებულია წყლის სიუხვის ან წყარო-ნაკადულთა სიმრავლის აღსანიშნავად. ჩხორთოლიც (← ჩხოროთოლი „ცხრა თვალი“) აღნიშნავს უხვწყლიან, მრავალ წყარონაკადულიან მდინარეს ან ადგილს (ხალხური ეტიმოლოგიით, ჩხორთოლი დარქმევია ერთი შენობის გამო, რომელიც ცხრათვალიანი ყოფილა). მეგრულიდან აფხაზურში სახელთა სესხების წესების თანახმად, „ჩხორთოლს“ აფხაზურში უნდა მოეცა „ჩხვართალ“ ფორმა. პირუკუ, ე.ი. აფხაზური „ჩხვართალ“-იდან მეგრულ „ჩხორთოლს“ ვერ მივიღებდით (მღრ.: განიხილავს რა აფხაზურ-ქართული ვარიანტების მქონე ტოპონიმებს, როგორცაა კგდდრგ – კოდორი, ოჩამჩგრა – ოჩამჩირე, ჭარჩა – ვარჩე, ელგრ – ილორი, ფაქამა – ფოქევი, კდგტოლ – კვიტოული, ჭგრდგლი – ჭერდული, ტყდარჩალ – ტყვარჩელი და სხვა, თ. გვანცელაძე, ასკვნის: „ანალიზი გვიჩვენებს, რომ ამ რიგის ტოპონიმები ქართველური წარმოშობისაა და აფხაზური

ვარიანტები მათგან არის მიღებული“. იხ. გვანცელაძე, 1989, გვ. 13-14).

ღალიძგაც, რომელსაც აფხაზები ააღძვას უწოდებენ, მეგრულ ტოპონიმიკურ სისტემაში თავსდება როგორც ლექსიკურად და სტრუქტურულად, ისე ნომინაციის ტრადიციითაც. ოღონდ გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ ღალიძგა თავდაპირველად უნდა ყოფილიყო (და, როგორც ისტორიული წყაროები აჩვენებენ, იყო კიდევაც) არა მდინარის, არამედ ადგილმდებარეობის, კერძოდ, დასახლებული პუნქტის სახელი. მეგრული **ძგა** სიტყვის მნიშვნელობაა „კიდე, ნაპირი“, მაგრამ ჰიდრონიმ ღალიძგა-ს მნიშვნელობა მაინც სხვადასხვანაირად არის განმარტებული. პავლე ინგოროყვას აზრით, „სახელწოდება ამ მდინარისა ღალიძგა სიტყვისიტყვით ნიშნავს ღელე კიდისა, მდინარე საზღვრისა“ (ინგოროყვა, 1954, გვ.128). თამაზ ბერაძეც დაახლოებით ასევე განმარტავს აღნიშნულ სახელწოდებას იმ მოტივით, რომ ეს მდინარე ერთ დროს ალბათ წარმოადგენდა საზღვარს ორ პოლიტიკურ ერთეულს შორის: „მდინარის სახელი ღალიძგა კიდე-მდინარეს ნიშნავს... ხომ არ წარმოადგენდა ეს მდინარე საზღვარს ცხუმისა და ოდიშის საერისთავოს შორის? ამ შემთხვევაში ოდიშის საერისთავოს დას. საზღვრად მდ. ღალიძგა უნდა გვეგულისხმა“ (ბერაძე, 1967, გვ.168). ბადრი გოგია თვლის, რომ „შესაძლოა, მდ. ეგრისწყალს და მიმდებარე სოფ. ეგრისს... ღალიძგა დაერქვათ მაშინ, როცა აფხაზეთის მთავრებმა გაიფართოვეს და დაიპყრეს სამეგრელოს ტერიტორია ამ ეგრის-წყლამდე და რადგანაც აქ მოსახლეობა დასავლურქართული (მეგრული) იყო, ეგრისწყალს უკვე პოლიტიკური მნიშვნელობით (განაპირა, საზღვარ-მდინარე) ღალიშ ძგა (→ ღალიძგა) დაერქვა“. ავტორი ვარაუდობს, რომ ერთი ქართველური სახელწოდების შეცვლა მეორე ქართველური სახელწოდებით ხდება 1650-იან წლებში (გოგია, 1990, გვ.81). მაგრამ საქმე ისაა, რომ სოფლის სახელწოდება ღალიძგა დას. საქართველოს საეკლესიო საბუთებში გვხვდება XVII ს. პირველ ნახევარშივე. გონერი არახამია დამაჯერებლად ასაბუთებს, რომ ღალიძგა XVIII ს. დასაწყისამდე არ ყოფილა სასაზღვრო მდინარე არც ეთნოგრაფიულ და არც პოლიტიკურ ერთეულებს შორის (არახამია, 1998, გვ.192-202).

ალ. ცაგარლისა და ი. ყიფშიძის განმარტებით, ღალიძგა სიტყვისიტყვით ნიშნავს (ყიფშიძე, 1994, გვ. 577) და

თავდაპირველად ასე ერქვა სოფელს. ამ მოსაზრებას ჩვენ მხარი დავუჭირეთ ჟურნალ “არტანუჯისათვის“ ჯერ კიდევ 1997 წ. გადაცემულ სტატიაში „ტოპონიმიკური ვითარება სამურზაყანოში“, რომელიც მხოლოდ 2000 წელს დაიბეჭდა. ამავე პერიოდში გ. არახამია, იზიარებს რა ი. ყიფშიძის განმარტებას, ასკვნის: “ღალიძგას“ ეტიმოლოგიურად კავშირი არა აქვს საზღვრის, მიჯნის ცნებასთან. ღალიძგა თავდაპირველად ერქვა დასახლებულ პუნქტს – აწინდელ ბესლახუბას, რომლის სახელწოდებაც შემდეგ მდინარეზე გადავიდა“ (არახამია, 1998). ქართულში **ღელე** სიტყვის მნიშვნელობისა („ხევი, ხეობა“) და ქართველურ ენებში ნავარაუდევია ღ/გ მონაცვლეობის შესაძლებლობის გათვალისწინებით ქ. ლომთათიძე სვამს კითხვას: „ხომ არ უნდა გავიგოთ ღალიძგა როგორც გალიძგა „გალის (ანუ ღელის) განაპირა მხარე?!“ („ერთი და იმავე გეოგრაფიულ სივრცეში დადასტურებული და დღემდე შემორჩენილი „გალი“ და „ღალი“ საერთო ამოსავალს შეიცავს“. იხ. ლომთათიძე, 1999, გვ.40).

დავიწყოთ იმით, რომ ქართულშიც მოგვეპოვება საკუთარი ან საზოგადო სახელისაგან „პირი“ ინდიკატორით წარმოქმნილი ოიკონიმები: მეჭუდისპირი, მაჭახლისპირი, აბაშისპირი, რუისპირი, ველისპირი, მთისპირი, ტყისპირი. ზემო იმერეთის ტოპონიმიაში 45-მდე „პირი“ კომპონენტისანი კომპოზიტური მიკროტოპონიმი აღმოჩნდა, მათ შორის: ღელისპირი, ღელისპირი, წყლისპირი, წყლისპირი, გზისპირი, ხევისპირი, კოდიპირი, წყაროსპირი და სხვ. (საქ. ტოპონიმია, 1987, გვ. 429-430). ყველა ამ შემთხვევაში „პირი“ გამოყენებულია მისი ერთ-ერთი არაძირითადი მნიშვნელობით: „განაპირა ადგილი, კიდე. ნაპირი (მდინარისა, ზღვისა...)“ (იხ. ქეგლ, VI, გვ.186-187). სამეგრელოს მიკროტოპონიმიაშიც **ძგა** “ნაპირი“ მეტაფორული გეოგრაფიული ტერმინია, ისევე როგორც „პირი“, მაგალითად: **ღალიძგა** „ღელისპირი“ – ოწყარიეს მარჯ. შენაკადი ახუთში, **ღაიჩაძგა** – სახნავები ღაიჩას ნაპირებზე, ვედიდკარში. კიდევ ერთი მაგალითი: ზანა რამდენიმე მცირე მდინარეს ეწოდება სამეგრელოში. ერთ-ერთი მათგანია ხობისწყლის მარცხ. შენაკადი. მდინარის სახელი სოფელზე გადავიდა. ალბათ ამის შემდეგ მდინარე ზანას სოფელ ზანიდან ქვემოთ ხობისწყლის შესართავამდე ეწოდა **ზანაძგა**, რაც თავიდანვე უთუოდ ზანისპირა ჭალა-სახნავების სახელი იქნებოდა.

დაახლოებით ამგვარი მეტონიმია (აგროონიმი \bar{E} ოიკონიმი \bar{E} ჰიდრონიმი) უნდა განეცადა სახელწოდება ლალიძგასაც. ლალიძგა XVII საუკუნის პირველი ნახევრის ისტორიულ საბუთებში მხოლოდ დასახლებული პუნქტის სახელია. ბიჭვინთის ღმრთისმშობლისადმი შეწირულობის სიგელში, რომელიც 1616-1621 წლებშია შედგენილი, კათალიკოსი გრიგოლი აღნიშნავს: „არის ბატონის ლევან დადიანისაგან ლალიძგა სასახლე და ზემოთ რიონის პირი წყალიძგა ბიჭვინთისა ღმრთისმშობლისა შეწირული საკათალიკოზო...“ (ქსდ, III, გვ.476; იხ. აგრეთვე გვ.500-502). ლევან დადიანისაგან ბიჭვინთის ტაძრისადმი შეწირულობის სიგელშიც (1628 წ.) ვკითხულობთ: „ხოლო ესე ჩვენგან გაჩენილი აღაპი ერთი ქვემოდ ლალიძგას კათალიკოზის სასახლეში, მეორე ზემოდ კიდევ კათალიკოზის სასახლეში წყალიძგას“ (კაკაბაძე, 1921, გვ.46).

როგორც ვხედავთ, ამ სიგელებში „ძგა“ კომპონენტით ნაწარმოები მეორე ოიკონიმიც მოიპოვება – რიონისპირა სოფელი წყალიძგა. რიონი//რიონწყარი უფრო დიდი მდინარეა და ამიტომ მსაზღვრელი კომპონენტია „წყალი“ და არა ლალ. თუმცა არც სხვაგვარი მოტივაცია არის შეუძლებელი: ლალიძგა თავდაპირველად დაერქვა ლალიძგის ერთ-ერთი მარჯვენა პატარა შენაკადის ნაპირას წარმოქმნილ დასახლებულ პუნქტს და შემდეგ ამ სოფლის სახელი გადავიდა მდინარეზე (ტოპონიმიკის ისტორია მრავალ ამგვარ შემთხვევას იცნობს).

არქანჯელო ლამბერტის „სამეგრელოს რუკაზე“ ოქუმსა და მოქვისწყალს შუა ჩანს დიდი მდინარე, რომელსაც ორგან აწერია Echalis, ხოლო მის მარჯვენა ნაპირზე ეკლესიას – Echalisgas, რაც „ლალიძგა“-ს დამახინჯებული ფორმა ჩანს.

მოყვანილი მასალა ასაბუთებს, რომ, ერთი მხრივ, ჰიდრონიმ ლალიძგის ი. ყიფშიძისეული განმარტება „ღელისპირი“ ლექსიკურ-გრამატიკული და მოტივაციის თვალსაზრისით სწორია; ხოლო მეორე მხრივ, ტოპონიმი თავდაპირველად წარმოადგენდა ოიკონიმს, ე.ი. დასახლებული პუნქტის სახელს და შემდეგ, ტოპონიმიკაში ცნობილი ზოგადტოპონიმიკური კანონზომიერების (მეტონიმიის) მოქმედების შედეგად, იქცა იმ მდინარის სახელად, რომელიც მას ჩაუდიოდა (მდრ. თ. ბერაძის თვალსაზრისი: „XVII ს. I ნახევრის რამდენიმე ისტორიულ საბუთში დამოწმებულია ტოპონიმი ლალიძგა. მართალია, ის ამ საბუთებში დასახლებულ

პუნქტს გამოხატავს, მაგრამ თვით სახელი დალიძეა (კიდევ-ღეღე) იმის მანიშნებელია, რომ სწორედ მდინარისაგან უნდა მიეღო ამ შემთხვევაში დასახლებულ პუნქტს სახელი“ (ბერაძე, 1967, გვ.138).

ზემოთ იმ ტოპონიმებზე გავამახვილეთ ყურადღება, რომელთაც ზოგი მკვლევარი აფხაზურენოვან სახელწოდებებად თვლის, **სინამდვილეში კი ქართველური წარმომავლობისაა და მათგანაა მიღებული აფხაზური ვარიანტები**. როგორც დადგინდა, „პირუკუ პროცესის დაშვებას ეტიმოლოგიასთან ერთად ხელს უშლის სესხების კანონზომიერებანი – აფხაზურ ვარიანტებს ისეთი ფონემატური სტრუქტურა აქვთ, რომ მათგან ქართული ვარიანტების მიღება ვერ იხსნება“ (გვანცელაძე, 1989, გვ.13-14). ქვემოთ კიდევ გავაანალიზებთ სამურზაყანოს რამდენიმე ისტორიულ-გეოგრაფიულ სახელს, რომელნიც ადასტურებენ, რომ ქართველები, კონკრეტულად კი მეგრელები, წარმოდგენდნენ დალიძე-ენგურის შუამდინარეთის ძირძველ მოსახლეობას დიდი ხნით ადრე, ვიდრე გაჩნდებოდა სახელწოდება „სამურზაყანო“.

§2. წერილობითსა და კარტოგრაფიულ წყაროებში დადასტურებული სხვა ქართველური ტოპონიმები სამურზაყანოში

არქანჯელო ლამბერტის „სამეგრელოს აღწერასა“ და „სამეგრელოს რუკაზე“ მოიპოვება კიდევ რამდენიმე ტოპონიმი, რომელნიც აშკარად მეგრული წარმომომობისაა. ესენია: ოქუმი, შეშელეთი, საჩინო, სათანჯო და სხვ.

ოქუმი გალის რ-ნის ერთ-ერთი დიდი სოფელია. მდინარესაც, რომელიც ამ სოფელს ჩაუვლის, დარქმევია ოქუმი (ადგ. ვარიანტი: ოქუმწყარი. იგი ერთვის შავ ზღვას გუდავასთან). სოფლის სახელწოდებისათვის ამოსავალია მეგრული სიტყვა ქუმუ. იგი ქართული „ქუმელ“ ფუძის კანონზომიერი შესატყვისია (იხ. ქველ, 2000, გვ. 497-498). ქუმელი აღმ. საქართველოში ეწოდება მოხალული მარცვლის ფქვილსაც და დანაყილი სელის საწებელსაც, სამეგრელოში კი **ქუმუ** აღნიშნავს სელსაც და ჭვავსაც (ყიფშიძე, 1994, გვ.550). სოფ. ლევიქეში ოჩხომურისპირა ჭალა-სახნავეს

ეწოდება **ნაქუმუა**. რესპოდენტი განმარტავს: „ქუმუს ვუწოდებდით სელსაც, ლომისლომსაც, ჭადისჭადსაც (ე.ი. ფეტვს – პ. ც.), ქვრიმასაც – მცენარესა და ნაყოფს. ქუმუს დაფქვავენ, თაფლში მოზეღენ, კვერცხის სიდიდის კვერს გააკეთებენ, მოხარშავენ ან გამოაცხობენ. ძალზე მაწიერია“.

სამეგრელოსა და სამურზაყანოში ტოპონიმიკური სახელდებისათვის ხშირად გამოიყენება დანიშნულების გამომხატველი პრეფიქსი **-ო**, რომელსაც, ჩვეულებრივ, ახლავს სუფიქსი **-ე**. იგი დაერთვის მარცვლეულის სახელებსაც: ოქობალე ← ქობალი „ხობალი“, ოღუმუე ← ღუმუ „ლომისლომი“, ოჭვე ← ჭვე „ჭვავი“, ოჭკიდე ← ჭკიდი „ფეტვი“ და სხვ. ოქუმიც ამგვარი გეოგრაფიული სახელწოდებაა და მეგრულად „სასელეს“, „საჭვავეს“ ნიშნავს (ჭუმბურიძე, 1987, გვ.485). იგი ერთ-ერთი უძველესი ქართველური ტოპონიმია, წარმოქმნილი აფხაზთა მიერ ამ რეგიონის ანექსიამდე (ე.ი. XVII საუკუნის მეორე ნახევრამდე) კარგა ხნით ადრე. ლამბერტის რუკაზე მდინარეს, რომელიც გუდავასთან (Gudas) ერთვის შავ ზღვას, ქვემო წელზე აწერია **Ochums**.

არქანჯელო ლამბერტის რუკაზე ერისწყლის მარჯვენა მხარეს, გოგიელსა (თანამედროვე გალი) და ხვითს შორის ეკლესიასა და, მასასადამე, სოფელს ეწოდება **Sciascialeti**, რომელიც, ცხადია, არის თანამედროვე სოფელი შეშელეთი (პირველი შეშელეთი, მეორე შეშელეთი) XVII საუკუნეშივე აშენებული ეკლესიით. როგორც ცნობილია, ქართულში „ტოპონიმიკურ სახელთა საწარმოებლად ძალიან ხშირად გამოყენებულია **-თ**-ს შემცველი დაბოლოებანი ყველა ხმოვნისანი ვარიანტით: **-ეთ**, **-ით**, **-ათ**, **-ოთ**, **-უთ**, **-თა**. აღნიშნული დაბოლოებით ნაწარმოები გეოგრაფიული სახელები გავრცელებულია მთელი საქართველოს ტერიტორიაზე“ (ზურაბიშვილი, 1961, გვ. 140). განსაკუთრებით პროდუქტიულია **-ეთ** სუფიქსი. სამეგრელოში სოფლებს ეწოდებათ: გეჭეთი, ციხეთი, სეფიეთი, გულუხეთი, სერგიეთი და სხვ., ხოლო სამურზაყანოში – ბოგვეთი და, რა თქმა უნდა, შეშელეთი, ერთ-ერთი უძველესი ქართული (მეგრული) ტოპონიმი. ამ მოდელის ტოპონიმთათვის ამოსავალი, ჩვეულებრივ, არის ანთროპონიმი. შეშელ- ფუძესაც კოლხური ანთროპონიმის ზოგადი სტრუქტურა უჩანს (იხ. იგივე ფუძე აქარულ-გურულ გვარ შეშელიძეში). (მდრ. შეშელეთი –

ვაკე-ტაფობი თარზენის კალთაზე, ზინდში; ჩხოროწყუს რ-ნის სოფ. ქოყოში).

წარჩე/წარჩეწყარი მდინარეა გალის რაიონში. ერთვის მდ. ოხოჯეს მარცხენა მხრიდან სოფ. ფუწყურში (თვით ოხოჯე ცოტა ქვემოთ მარჯვნიდან ერთვის ოქუმს). წარჩეწყარის შუა წელზე მდებარეობს სოფელი წარჩე, ხოლო ზემო წელზე – ჩხორთოლი. არქანჯელო ლამბერტის რუკის მიხედვით, ჩხორთოლიდან მომდინარე მდინარის მარცხენა მხარეს, ეკლესიის თავზე, არის წარწერა Tarsce. სწორედ ეს უნდა იყოს წარჩე. „სამეგრელოს აღწერაში“ კი ლამბერტი ასეთ ინფორმაციას გვაწვდის: „ხეთის იქით არის ოქუმი, რომელიც ჩაუდის ტარშენს (Tarchen)“. თუ ამ ტარშენშიც წარჩე ვიგულისხმეთ, მაშინ ყველაფერი თავის ადგილზე დადგება: სოფელი წარჩე დღესაც წარჩის შუა წელზეა, ხოლო ჩხორთოლი მის სათავე-სთანაა. არქანჯელო ლამბერტის რუკაზეც ასეთივე ვითარებაა.

წარჩე ორფუძიანი კომპოზიტია: მეორე კომპონენტია /რ/ჩე „თეთრი“, ხოლო პირველი – იგივე, რაც გვაქვს ჰიდრონიმ წაჩხურასა და ოიკონიმ წაჩხურში (მარტვილის რ.). ი. ყიფშიძე განმარტავს:

„... მაშასადამე, წარჩეც მეგრული სიტყვაა და ნიშნავს „წყალთეთრა-ს“. ეს ჰიდრონიმული მოდელი სტრუქტურულად და სემანტიკურად საერთოქართველურია. საქართველოს მრავალ რეგიონში დადასტურებულია ჰიდრონიმები: წყალთეთრა, წყალშავა, წყალწითელა და სხვ. მონაცვლეობისათვის წყალ – წა/ლ/ მეგრულში ანალოგად გამოდგება ზოგი საკუთარი და საზოგადო სახელი, როგორცაა: წაჩხური „წყალცივი“, წამელო/წყამელო (←წყარმელე „წყალგაღმა“), რაც მინდვრის სახელია მდ. მაგანის მარცხ. ნაპირას, ნასოფლარ წყავაშში (წალენჯიხის რ.), წაკურთხია ← წყალკურთხევა და სხვ.

საჩინო ძველი ქართული სიტყვაა. მისი მნიშვნელობაა: „შესამჩნევი, ჩინებული, გამოჩენილი, ცხადი“ (აბულაძე, 1973). ქველ-ის მიხედვით, საჩინო იგივეა, რაც თვალსაჩინო, ე.ი. გამოსაჩენი, შესამჩნევი, ადვილად დასანახი, აშკარა, ცხადი, ნათელი. როგორც ჩანს, ეს სიტყვა იქცა ერთგვარ გეოგრაფიულ ტერმინად, რომელიც აღნიშნავს ლამაზ, მშვენიერ, წარმტაც, შემკულ ადგილს, მხარეს. მართლაც, საჩინო ერქვა ისტორიულ მხარეს (იმერეთში) და ჰქვია სოფლებს წალენჯიხისა და ოჩამჩირის რაიონებში. ლამბერტის რუკაზე ოქუმის ორ მდგენელს შუა ეკლესიის თავზე არის წა-

რწერა Sacino. მის აღმოსავლეთით აღნიშნულია ბედია (ბედიის ეპარქია), ხოლო დასავლეთით – სანარდო. ამ ჩვენებას იმეორებს 1654 წლის ლათინურენოვანი რუკა „კოლხეთი, დღევანდელი სამეგრელო“ (დაცულია პარიზის ეროვნულ ბიბლიოთეკაში), რომელიც ავთ. თორდიას მიერ გადმოქართულებულ ვარიანტთან ერთად დაბეჭდა ილია ტაბაღუამ (იხ. ტაბაღუა, 1986). უეჭველია, ეს Sacino არის დღევანდელი სოფელი საჩინო (ოჩამჩირის რ.), რომელიც სინამდვილეში მდ. ოხურეის მარცხენა ნაპირასაა გაშლილი.

სათანჯო. მთა, რომელიც ისტორიულად და დღესაც ამ სახელს ატარებს, აღმართულია ენგურის მარჯვენა ნაპირზე, დიხა-ზურგასა და ჭუმბურხინჯს შუა. იგი ზღვისპირა ვაკის შემდეგ პირველი მაღალი ადგილია მთისწინეთში. მთაზე შემორჩენილია VIII-X სს. ციხის ნანგრევები და XII-XIV სს. მაღალი კოშკები. გავრცელებული შეხედულების თანახმად, სახელდება „საფუძვლად უძვეს თარჯ სიტყვა, რომელიც მეგრულში თანჯ-ად გამოითქმის და „ზღუდეს“, „გალავანს“, „საზღვარს“ ნიშნავს (ჭუმბურიძე, 1987, გვ. 495). ი. ყიფშიძეც ტოპონიმ სათანჯოს უკავშირებს სიტყვა თანჯს (ყიფშიძე, 1994, გვ. 444).

საერთოდ, სახელწოდება სათანჯოს წარმომავლობასთან დაკავშირებით მოსაზრებები გამოთქმული აქვთ ს. მაკალათიას, ჯ. როგავას, კ. სამუშიას, ა. ტულუშს, ჟ. ლაშხიას (იხ. მიმოხილვა: ტულუშში, 1998, გვ. 205-207), რომლებიც სახელწოდება სათანჯოში აგრეთვე „სანიშნეს“ ხედავენ, ოღონდ ჩვენგან განსხვავებული მოტივირებით. ა. ტულუში წერს: „სათანჯო, ვფიქრობ, სანიშნეს უნდა ნიშნავდეს, რადგან, როგორც ცნობილია, ენგურისპირა სათანჯოს ოთხსართულიანი კოშკი... ლამის მთელი ბარის სამეგრელოს გადაჰყურებს. აქ დანთებული კოცონისა და მისი კვამლის მეშვეობით იგებდა მთელი სამეგრელო ჩრდილო-დასავლეთიდან გააფსარებული აფხაზების მოთარეშე რაზმების გამოჩენას და საომარ თადარიგს იჭერდა“ (იქვე, გვ. 206-207). მაგრამ სახელწოდება სათანჯო არსებობდა დიდი ხნით ადრე, ვინემ მოთარეშე აფხაზები სამურზაყანოში გამოჩნდებოდნენ. საკმარისია გავისხენოთ, რომ ლამბერტის რუკაზეც (1654 წ.) და ე.წ. სამეგრელოს ლათინურენოვან რუკაზეც (აგრეთვე 1654 წ.) ეს მთა აღნიშნულია როგორც **Satangi** სათანჯო. აქვე უნდა აღინიშნოს: ო. ქაჯაიას „მეგრულ-ქართულ ლექსიკონში“ (ტ. 2) და ქეგლ-ში (ტ.4) განმარტებულია:

თანჯუა (ქართ. **თარჯვა**) – თარჯის (საზღვრის, სამანის, დალის) აღნიშვნა. ნაჭდევი, ანუ ხეზე სასაზღვრო ნიშნის ამოჭრა.

როგორც თ. ბერაძეც აღნიშნავს, „სათანჯოს ციხე ზღვიდან კარგად მოჩანდა. ამიტომ ორიენტირდაც იყენებდნენ“ (ბერაძე, 1984, გვ. 656). მაშასადამე, სათანჯო უნდა ნიშნავდეს სანიშნოს, საორიენტაციოს, ყურადღებამისაქცევს. მართლაც, ზღვისპირა ბარში მცხოვრებთათვის, რომლებიც მზერას მიაპყრობენ (ან მიემართებიან) აღმოსავლეთით, **ეს მთა თვალსაჩინო ორიენტი-რია როგორც ჰორიზონტის ბოლოს პირველი მაღალი ადგილი**. ზოგი უცხოელი და ქართველი მკვლევარი (ბართოლომეი, ბრუნი, ვლ. ალფენიძე) თვლის, რომ სათანჯო არის შუა საუკუნეებში ცნობილი სანტ-ანჟელი (თუ სანტ-ანჟელო), ე.ი. „წმინდა ანგელოზი“, რომელიც აგრეთვე ენგურის მარჯვენა ნაპირზე მდებარეობდა და გენუელ ვაჭართა ფაქტორიას წარმოადგენდა (იხ. ზუხბაია, 2000, გვ.93). თუ ეს ვარაუდი სინამდვილეს შეეფერება, მაშინ სათანჯო წარმოქმნილა უცხო სიტყვიდან თავდაპირველად ჰაპლოლოგიის (სანტ-ანჟელო → სატანჟო), ხოლო შემდეგ (და იმავედროულად) ყრუ მკვეთრი ტ ბგერის გაფშვინვიერებისა და ქ-ჯ მონაცვლეობის გზით.

სამურზაყანოს კიდევ ერთი ძირძველი მეგრული ტოპონიმი დასტურდება 1628 წ. შედგენილ საბუთში. აქ ჩამოთვლილია, რომელ სოფელში ვის რა სახის საეკლესიო ბეგარა მართებს, სად და როდის უნდა მოიტანონ იგი. ერთგან ნათქვამია: “შემოგვიწირავს ღალიძგას... მოსახლე კაცი ერთი პარასქია ალექსანდრია და მისი კაცი, მეორე მოსახლე ხახუტაი კოზმა რეკას...” (კაკაბაძე, 1921, გვ.41).

რეკა ოროგრაფიული ტერმინია მეგრულში: აღნიშნავს მდინარისპირა ქვიან ადგილს. ამ სიტყვის ეს მნიშვნელობა შეუნიშნავს ლამბერტისაც. იგი ცდილობს, საზოგადო სახელი რეკა დაუკავშიროს ქალღმერთ **რეას** კულტს: „რადგან **რეას** კერპი ფაზისის ნაპირად იყო, მე ვფიქრობ, რომ მეგრული სახელწოდება ნაპირისა რეკა აქედან უნდა სწარმოებდეს: სიტყვა **რეა** გადაუსხვაფერებიათ რეკა-დ“ (ლამბერტი, 1991, გვ.174). რეკა ეწოდება ჩხოუშისის ზემო წელს პ. ეწერში (წალენჯიხის რ.), ვაკესა და დელეს ნამიკოლავო პირველში (მარტვილის რ.), სოფელს ცივის მარჯ. მხარეს (სენაკის რ.) და სხვ.

ისტორიულ წყაროებში დამოწმებულ კიდევ ერთ ტოპონიმს შევხვებით: 1723 წლის რუკაზე ანაკლიის მახლობლად მინიშნებული ყოფილა **Cotoboi**, რასაც ვ. კვარჭია აიგივებს გალის რ-ნის სოფ. ოტობაიასთან (კვარჭია, 1969, გვ. 66). ამოსავალი ფუძე ტობა მეგრულში „ღრმა წყალს“ ნიშნავს. მაშასადამე, **ოტობაია** ღრმაწყლიანი, ჭაობიანი ადგილია. მეგრული ენის არეალში ამგვარი სახელწოდება მარტვილის რაიონშიც დასტურდება: ოტობაია მორევებია ნოღელაზე ონოღიაში და აბაშაზე ნაჯახავოში, ტყე-საძოვარია ტეხურის ხეობაში, სამ მცირე ტბასთან.

აქ შეიძლება გავაკეთოთ პირველი დასკვნა: **სამურზაყანოს ყველა ტოპონიმი, რომელნიც დამოწმებულია შუა საუკუნეების ქართულ თუ უცხოურ ისტორიულ წყაროებსა და რუკებზე და რომელთა ეტიმოლოგიაც შესაძლებელია, არის მხოლოდ და მხოლოდ ქართველური (ქართული, სვანური, მეგრული) წარმომავლობისა.**

ლამბერტისა და ე.წ. ლათინურენოვან რუკაზე ენგურ-ღალიძგის შუა აღნიშნულია პუნქტი **NaAlbachia**. იგი უნდა იყოს ამჟამინდელი სოფელი ნაბაკევი (გალის რ.), რაც ი. ყიფშიძის ლექსიკონში დაფიქსირებულია ორი ვარიანტით: ნა-ბაკევი, ნა-ბაკევი. ვ. ზუხბაიას ცნობით, აფხაზები ნაბაკევს ეტიმოლოგიურად აკავშირებენ აბაყა („ძეგლი“) სიტყვასთან (ზუხბაია, 1998, გვ. 138). სინამდვილეში ტოპონიმისათვის ამოსავალი ჩანს ქართულიდან ნასესხები სახელური ფუძე **ბაკი** „საქონლის დასადგომად შემოზღუდული ადგილი“ ან ზმნა ბაკუა (ქართ. **ბეკ-ნ-ა** : მეგრ. ბაკუ-ა) „ტკეპნა, ბეკნა“. ზღვისპირეთი ოდითგანვე საზამთრო საძოვრებად ჰქონდათ გამოყენებული ეგრისის მთისწინეთში მცხოვრებ კოლხებს. ალბათ მათს ერთ-ერთ სადგომს (ან ნადგომ ადგილს) ეწოდება ნობაკი, ნაბაკი ან ნაბაკა. ნა-პრეფიქსთან -ევ სუფიქსი ქართულის გავლენას უნდა მივაწეროთ (შდრ. ნოჯიხევი, ნოქალაქევი. XVI-XVII სს. საეკლესიო საბუთების მიხედვით დღევანდელ ოტობაიას ეწოდებოდა ნაჟანეული//ნაჟანევი).

1621 წლის საეკლესიო საბუთში „აფხაზეთის საკათალიკოზო გამოსავლის მოსაკრებლობის დავთარი“ ერთადაა დასახელებული სუბვი (იგივე სუბეიში, დღევანდელი აჩიგვარის ადგილას) და **მუხური** (ქსდ, III, გვ. 426). მუხური დღესაც სოფელია გალის რაიონში, ოქუმიწყარის მარცხ. ნაპირას. დასავლეთ საქართველოში (სამე-

გრელო, იმერეთი, გურია) რამდენიმე სოფელი თუ მიკროობიექტი ატარებს ამ სახელს. ხშირია იგი რთული ტოპონიმის შემადგენლობაშიც. კოლხური **მუხური** (ქართ. მუ¹/₂ლ-ი: მეგრ. მუხური „კუთხე, მხარე“. იხ. ქეელ, 2000) საზოგადო სიტყვაა, კერძოდ, გეოგრაფიულ-ტერიტორიული ტერმინია და აღნიშნავს კუთხეს, მომწყვედვულ ადგილს. ი. ყიფშიძე განმარტავს: „მუხური

„ და ასახელებს სოფელ ხიტუმ მუხურს სამურზაყანოში. პ. ჭარაიას და გ. ელიავას ლექსიკონების მიხედვითაც მუხური არის კუთხე, მხარე. გურულში, იმერულში, ლეჩხუმურში მას მიუღია „უბან“-ის (ოიკონიმურ ტერმინის) მნიშვნელობა. ასეთი სემანტიკა ამ სიტყვას მეგრულშიც უჩანს (ინფ.: „ჩქენი მუხური“ ნიშნავს ჩვენს კუთხეს“). მაშასადამე, სამურზაყანოს სოფლის სახელწოდება მუხურიც აბორიგენ კოლხთა მიერ არის შერქმეული ჯერ კიდევ მაშინ, როცა აფსუებს დღევანდელი აფხაზეთის მხოლოდ უკიდურესი ჩრდილოეთი ნაწილი ეკავათ.

არქანჯელო ლამბერტის რუკაზე ოქუმის მარცხენა მხარეს, ოხოჯასთან მისი შეერთების ქვემოთ, აღნიშნულია პუნქტი **Pazcuar**. 1654 წლის ლათინურენოვან რუკაზეც **Pazcuar** იკითხება. ქართველი მკვლევრები ამ ტოპონიმს აიგივებენ ფუწყურთან (იხ. ტაბალუა, 1986, „კოლხეთის ანუ სამეგრელოს რუკა“). **ფუწყური** რთული სახელწოდებაა და იხსნება მეგრულის მონაცემებით. თავდაპირველი ფორმა უნდა იყოს ფუქი (ნ)წყური. „ფუქი ფურსი მიწის სახეობაა: არც ძალზე მაგარია, არც ძალზე რბილი. ტკილი ახლავს“, – ასე განმარტა რესპოდენტმა სოფელ ფუქის (წალენჯიხის რ.) სახელწოდების წარმომავლობა. სიტყვის ბოლო მარცვალი მოკვეცილია კომპოზიტურ ტოპონიმში ფუსქური (← ფუქი+სქური), რაც ჭანისწყლის მარცხენა შენაკადია ჯგალსა და მაზანდარაში (წალენჯიხის რ.). ასეთივე ვითარებაა ფუწყურის შემთხვევაშიც: მისი პირვანდელი ფორმა უნდა ყოფილიყო ფუქი (ნ)წყური, ანუ „დაქცეული (ჩაქცეული), დამეწყრილი ფუქი“. (ნ)წყური, (ნ)წყვირი და (ნ)წყვილი წარმოადგენენ (ნ)წყულა „დაქცევა, ჩაქცევა, ჩაძირვა“ ზმნის მიმღებებს და ტოპონიმიაშიც ხშირად გვხვდება. გაუვალი ჭაობის, ღრმა ტლაპოს სახელწოდებად სამეგრელო-სამურზაყანოში ხშირად გვხვდება პაპანწყვილი, პაპანწყვირი, პაპანწყური. სხვათაშორის, ფუწყურელმა მთხრობელმა ასე განმარტა თავისი სოფლის სახელის წარმომავლობა: “ცუდი, დაქცე-

ული ადგილია. ვინც პირველმა ნახა, უთქვამს: ფუ, ნწყური ცოფენია“.

როგორც ვხედავთ, ფუწყურიც ამ მიწაზე აბორიგენ კოლხთა ცხოვრების ერთ-ერთი ნაკვალევია (ფუწყური საბჭოთა პერიოდში ორ სოფლად იყო დაყოფილი. ერთი შედიოდა აჩიგვარის, ხოლო მეორე – წარჩის სასოფლო საბჭოში).

ოქუმწყარსა და დალიძგას შუა, „სამეგრელოს რუკის“ მიხედვით, შავ ზღვას ერთვის მცირე მდინარე **Giobaschari**. 1654 წ. ლათინურენოვან რუკაზე კი ამ ადგილას აღნიშნულია **Goibaschari**, რაც ავთ. თორდიას ქართულად გადმოუტანია როგორც გოიბაწყარი. სწორი ფორმაა ჯობაწყარი. კომპოზიტის პირველი კომპონენტი ჯობა არის იგივე მეგრული სიტყვა **ჯოცობა**, რაც სამურზაყანოშია გავრცელებული და აღნიშნავს ჭაობს. ამ სახელს ატარებს ჭაობიც და უბანიც ფოქვეშსა და აყვარაშში, აგრეთვე ნაჭაობარი მეორე გულდავაში, სადაც ტბა დიდი ბებესირიდან ცორკაში გადის **ჯოცობაწყარი**. სწორედ ესაა **Giobaschari** და **Goi-baschari**. აღნიშნული ჰიდრონიმიც ამ მხარეში აფხაზთა გამოჩენამდე დიდი ხნით ადრეა წარმოქმნილი.

ზემოთ დასახელებულ ორ რუკაზე ენგურის მარჯვ. მხარეს აღნიშნულია სოფელი კადარი. **კადარი** მეგრულში მივიწყებული სიტყვაა, მაგრამ მისი მნიშვნელობის დადგენა მაინც მოხერხდა : აღმოჩნდა რომ **კადარი**, **კადარა** ყველგან არის მზისკენ მოქცეული ფერდობი, ბორცვის აღმოსავლეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთი კალთები (ამისი საპირისპირო ტერმინია შქედი). კადარ- ფუძეს შეიცავს ორ ათეულზე მეტი მარტივი და რთული მიკროტოპონი ზემო და ქვემო სამეგრელოში. კადარი ერქვა სოფელსაც ზანის ორსავე ნაპირას (აბაშის რ.).

კადარი, ისევე როგორც წერილობით და კარტოგრაფიულ წყაროებში შემონახული სხვა მრავალი ტოპონიმი (ბარღები, წიფური, ხოირი, სიდა, სანავარდო, პაპათი, გენათი...), რომელთაც აქ არ შევხვებით, ისევე და ისევე კოლხური ენის სალაროდანაა აღებული და შერქმეულია აბორიგენტთა მიერ მშობლიური კუთხის სხვადასხვა ადგილისათვის შუა საუკუნეებშივე (იქნებ ზოგი მათგანი უფრო ადრეც).

§ 3. არქანჯელო ლამბერტის „სამეგრელოს რუკაზე“ აღნიშნული ორი ტოპონიმის შესახებ

რომის პაპის გადაწყვეტილებით საქართველოში გამოგზავნილ მისიონერებს ევალეზობდათ კათოლიკური სარწმუნოების პროპაგანდა, ადგილობრივ მკვიდრთა ყოფა-ცხოვრების ყველა ასპექტის (რელიგია, პოლიტიკა, ეთნოგრაფია, კულტურა, სამეურნეო საქმიანობა...) დაწვრილებითი აღწერა. არქანჯელო ლამბერტი სამეგრელოს (როგორც თვითონვე აღნიშნავს, „ბარბაროსთა ქვეყანას“) ეწვია 1633 წელს. კოლხეთში 18 წელიწადი დავყავი და მთელი ეს ქვეყანა რამდენიმეჯერ შემოვიარეო, აღნიშნავს იგი „კოლხეთის აღწერის“ წინათქმაში. იტალიელი მისიონერი ცხოვრობდა ენგურისპირა სოფელ წიფურიაში (ვარაუდით, გალის რაიონის სოფ. თაგილონის ტერიტორიაზე. არსებობს სხვა ლოკალიზაციაც. იხ. პაჭკორია, 1974, გვ. 52-66), სადაც მდებარეობდა სავაჭრო-სახელოსნო პუნქტი და კათოლიკე მისიონერთა ცენტრი (აქ სხვადასხვა დროს მოღვაწეობდნენ აგრეთვე ჭუდიჩე მილანელი, ქრისტეფორე დე კასტელი და სხვ.).

„სამეგრელოს აღწერას“ ახლავს „სამეგრელოს რუკა“, რომელზეც ბევრად მეტი გეოგრაფიული სახელია დატანილი, ვიდრე მოხსენიებულია თვით „აღწერის“ ტექსტში. სამწუხაროდ, სახელდებულ ობიექტთა ლოკალიზაცია ზოგ შემთხვევაში არაა ზუსტი, თვით სახელწოდებათა აღქმა-ჩაწერაშიცაა დაშვებული ზოგი უზუსტობა. როგორც ჩანს, ავტორს არა აქვს შემუშავებული ერთიანი წესი მეგრული ფონემების ლათინურ ენაზე ტრანსკრიფციისა. ამიტომაც, ch გრაფემებით გადმოცემულია როგორც ქ (მაგალითად, Scuachalachi შუაქალაქი), ისე ცხ (მაგალითად, Corchen კორცხელი); ასევე: მეგრულ წყ-ს ზოგ შემთხვევაში შეესაბამება sc (მაგალითად, Heti-Scari ერისწყალი), ზოგშიც -Sch (მაგალითად, Giobaschari ჯოცობაწყარი) კომპლექსები. დაშვებულია შეცდომები ზოგი გეოგრაფიული ობიექტის განლაგებაშიც. ავტორი ყოველივე ამას დიდ ცოდვად არ თვლის, რაც კარგად ჩანს მისივე სიტყვებიდან: „ჩემს მოთხრობაში მკითხველი

იპოვნის მხოლოდ ფაქტებს, გულწრფელად და ჭეშმარიტად აღნუსხულს. რაც შეეხება ისტორიას და ენის სიწმინდეს, არც ერთისა და არც მეორის ზედმიწევნით ცოდნა მე არ მომეთხოვება“ (ლამბერტი, 1991, გვ.8).

„სამეგრელოს რუკაზე“ აღნიშნულია ენგურ-ღალიძგის შუამდინარეთის მრავალი გეოგრაფიული ობიექტის სახელი, რომელთაც დღემდე უცვლელად ან მცირე ცვლილებით მოაღწიეს. ესენია: სათანჯო, სიდა, ხვითი, წამხარი, გაგიდა, ჩხორთოლი, შეშელეთი, გუდავა, ბედია, საჩინო, ჯოჯობაწყარი, ოქუმი, ერისწყალი, წარჩე, ღალიძგა და სხვ. აქ შევეხებით ორ ტოპონიმს, რომელთაც ასახელებენ დღემდე ვერმოდწეულ გეოგრაფიულ სახელწოდებათა შორის და თანაც არასწორადაა წაკითხულ-გადმოტანილი. მაგალითად, ვ. ზუხბაიასა და ხ. ზანთარაიას წიგნში „გალი“ (სოხუმი, 1988), ვკითხულობთ: „სუგიონა (სუჯიონა) – სათანჯოს ჩრდილო-აღმოსავლეთით ენგურის მარჯვენა ნაპირას“ და „ჩხორთოლის ჩრდილო-აღმოსავლეთით მთების ძირას – გირპიგი“ (გვ.138). საუბარია ტოპონიმებზე **Sugiona** და **Girpigi**. პირველი მათგანი მართლაც მთების ძირას მდებარეობს, რუკაზე აღნიშნული **Heti-Scari**-ის (ერისწყალი) ორ სათავე-მდგენელს შუა, ხოლო მეორე – დაახლოებით ყოფილი საბერიოს სასოფლო საბჭოში შემავალი რომელიმე ენგურისპირა სოფლის ტერიტორიაზე (თუმცა ე.წ. ლათინურენოვან რუკაზე **Sugiona** (სწორი წაკითხვა: სუჯონა) სულაც ენგურის მარცხენა მხარესაა მოთავსებული).

დაკვირვებამ ცხადყო, რომ ლამბერტისეული **Girpigi** სინამდვილეში არის ზანური ჰიდროგრაფიულ-ოროგრაფიული ტერმინი **ქირპიჯი** „ორპირი“.

ცნობილია, რომ „მოტივაცია საგნის მხოლოდ თვალში საცემი თვისება... და არა უსათუოდ კონსტიტუციური, არსებითი ნიშან-თვისება“ (ფოჩხუა, 1974, გვ.121). მართლაც, ორი მდინარის შეერთების ადგილი, როგორც სახელდების მოტივაციის საფუძველი, თვალმისაცემი ნიშანია. ძველ ქართულში ადგილს, სადაც ერთი მდინარე მეორეს ერთვის (და ორ წყალს შუა მდებარე ადგილსაც, ე.ი. ნახევარკუნძულს) აღნიშნავდა სიტყვა **ხერთვისი** (შანიძე, 1973, გვ.582). ამ სემემის გამოსახატავად ახალ ქართულში ყველაზე გავრცელებული ლექსემაა შესართავი („ადგილი, სადაც შენაკადი უერთდება მდინარეს, ან ზღვას“: ქეგლ, 7), ან ორწყალი

და ორხევი, რომლებიც აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში სინონიმები არიან. მთიულეთში, „ჩვეულებრივ, ორწყალს ორი ხევის შესართავს უწოდებენ“ (ხორნაული, 1983, გვ. 77), ერწო-თიანეთშიც ორწყალი ორი ხევის (ღელის) შესაყარი ადგილია (ბედოშვილი, 1980, გვ.149). ორწყლის ვარიანტებია: ორწყალნი, ორწყალანი. ქართული ენის დასავლურ კილოებში ამ მნიშვნელობით გვხვდება როგორც ორწყალი და ორხევი, ისე ორღელეც. სამაგიეროდ, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში (აჭარა, მაჭახელი, ნიგალი, გონია, ჭანეთი) არ ჩანს არც ორწყალი, არც ორხევი, არც ორღელე იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ მათ ცვლის ორპირი.

ორპირი ხერთვისის (ორწყლის, ორხევის, ორღელის) მნიშვნელობით ქართული ენის დასავლურ კილოებში გავრცელებულია, იშვიათი გამონაკლისის გარდა, მხოლოდ ზანურის უწინდელი გავრცელების არეალში. „**ორთოგრაფიულ ლექსიკონში**“ შეტანილია სამი ორპირი: 1. მდინარე ადიგენის რ-ნში, ოცხის მარჯ. შენაკადი; 2. მდინარე ლანჩხუთის რ-ნში, კუკანის მარჯ. შენაკადი; 3. სოფელი ტყიბულის მერიის ტერიტორიაზე, მდ. წყალწითელის ნაპირებზე. ზემო იმერეთში „**ორპირი**“ არ ჩანს, ქვემო იმერეთში კი იგი რამდენიმეა დაფიქსირებული. დავასახელებთ ერთ მათგან: ორპირი ეწოდება რიონისა და ცხენისწყლის შესართავს და მიმდებარე ჭალა-ფშანებსაც. გურიაში კი, კერძოდ, სუფსანატანების ხეობებში, ათამდე ორპირია (იხ. ღლონტი, 1993), ხოლო სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში – ათეულზე მეტი (იხ. სიხარულიძე, 1958). ეს გარემოება გვაფიქრებინებს, რომ **ქართული ორპირი ზანური ჟირპიჯის კალკია** და, როგორც გეოგრაფიული ტერმინი, წარმოქმნილია დღევანდელი ქვემო იმერეთის, გურიისა და აჭარის მოსახლეობის „ქართიზაციის“ შედეგად.

ერთმანეთთან რაიმეს შერთვა, ერთმანეთში გარევა მეგრულში აღინიშნება ზმნით **აკოკათაფა**. ამ ზმნური ფუძიდანაა წარმოქმნილი ღელე-მდინარეთა შესართავის აღმნიშვნელი ტერმინები: **აკაკათაფუ, აკათაფუ, აკაკათაფური, ოკაკათაფური, ოკათური...** მაგრამ უფრო ძველი ჩანს **ჟირპიჯი, ჟიპიჯი, ჟერპიჯი** „**ორპირი**“. ჩვენი დაკვირვებით, პიჯი „პირი“ ამ კომპოზიტებში მეტაფორულად აღნიშნავს ღელეს, მდინარეს (და არა ნაპირს). სამეგრელოში აღნუსხული გვაქვს ტოპონიმები: **ჟიპიჯი** (←ჟი-რპიჯი) – ვაკე ოჩხომურ-ჭოღაღალის შესართავთან, მოიდანახეში;

სახნავი ნარნესა და ნაურის შესართავთან, კეთილარში. **ჟირპიჯი//ჟერპიჯი** – რაჩხაწყარისა და ხარჩიოწყარის შესართავი და იქვე მდებარე ჭალა (აბაშის ხეობაში); სკურდღლისა და ჟინოთაშ ღაის შესართავი სკურდში.

ჭანეთში ნ. მარისა და ი. ყიფშიძის მიერ ხოფის უბნად დასახელებული ზურპიჯი, ჟდურპიჯი, აგრეთვე ჟურპიჯი და ხუთვე-რსიანი რუკის , რა თქმა უნდა, და ამას ი. სიხარულიძეც აღნიშნავს, ზანური კომპოზიტია და „ორპირს“ ნიშნავს (სიხარულიძე, 1977, გვ.56-57).

ცხადია, ლამბერტის **Girpigi** არის ზანური ჟირპიჯი „ორპირი“, ერთ დროს მთელ კოლხურ ზღვისპირეთში გავრცელებული გეოგრაფიული ტერმინი: იტალიურში **g** გრაფემა **i** ხმოვნის წინ იკითხება როგორც **ჯ** (თუ, თავის მხრივ, **gi** კომპლექსს არ მოსდევს **a, o, u**), მეორე მხრივ, იტალიურში **ჟ** ბგერა არ მოიპოვება და უცხო სიტყვებში მასაც **g** გამოხატავს (შდრ. **giraffa** ჯირაფა „ჟირაფი“). მაშასადამე, **ლამბერტისეული Girpigi** არის მთელ **კოლხურ ზღვისპირეთში გავრცელებული გეოგრაფიული ტერმინი „ჟირპიჯი“ ანუ ორპირი**. ქართულ ენაში ორპირი ჰიდროგრაფიულ-ოროგრაფიულ ტერმინად ვერ განვითარდა, რადგანაც მიიღო სულ სხვა მნიშვნელობა (ფლიდი, გაუტანელი, სიტყვის გამტეხი).

უეჭველია, ერისწყლის სათავესთან, მთის ძირას, ორ მდგენელს შუა აღნიშნული **Girpigi** მდებარეობდა იქ, სადაც დღეს არის ჟირღალი//ჟირთომი. ქვემო წელზე მას ეწოდება **/რ/თომი** და ერთვის ერისწყალს მარჯვენა მხრიდან, დაახლოებით ისე, როგორც „სამეგრელოს რუკაზეა“ მითითებული (თვით რთომი შედგება ორი მდგენლისაგან და აქედან მიუღია სახელი ჟირღალი//ჟირთომი). ბუნებრივია, რომ ორი ღელის შუამდინარეთსა და მიმდებარე ბორცვებზე გაშლილ სოფელს ამჟამად ეწოდება ჟირღალიშქა (ლეკუხონის თემი, ადგ. ვარიანტი: ჟირთომიშქა). როგორც ჩანს, XVII ს. მეორე ნახევარში აფხაზთა მიერ გადამწვარ-გადაბუფულ სოფელში რამდენიმე ათეული წლის შემდეგ დაბრუნებულმა ახალმა თაობამ სოფლის სახელდებისათვის ისევ და ისევ თვალსაჩინო სამოტივაციო ნიშანი გამოიყენა – ორი ღელის შეერთება. ამან გამოიწვია ჟირპიჯის შეცვლა ჟირღალით და წარმოქმნა სოფლის სახელწოდებისა „ჟირღალიშქა“.

ქართველურ ენათა მკვლევართ დადგენილი აქვთ, რომ ქართულ **სურო**-ს მეგრულსა და ლაზურში შესატყვისება **სუჯ**- (ლაზურში ვარიანტებია: მსუჯ, მსიჯ, ფსიჯ. იხ. ქეელ, 2000, გვ. 208). ზ. ჭუმბურიძის მსჯელობა ოიკონიმ სუჯუნა-ს (აბაშის რ.) წარმომავლობასთან დაკავშირებით ასეთია: „მის სახელწოდებაში წარმოდგენილია **სურო** სიტყვის ძველი კოლხური შესატყვისი ფორმა **სუჯ**-ი, რომელიც დღეს მეგრულში აღარ გვხვდება და მხოლოდ ჭანურ კილოშია დაცული. ამ ფუძეს დართული აქვს უნ-ა(//ონ-ა ← ქართ. ოვან) სუფიქსები. ამრიგად, სუჯუნა (სუჯ-ონ-ა) ნიშნავს „სუროიანს“ (ჭუმბურიძე, 1987, გვ. 505). გ. როგავას აზრითაც, „მეგრულ ტოპონიმ სუჯუნას ეტიმოლოგია ადასტურებს, რომ ქართ. სუროს შესატყვისი სუჯ- ფუძე ზანურის ორსავე დიალექტისათვის ყოფილა დამახასიათებელი“ (როგავა, 1990, გვ. 77).

შეუძღვებელი არაა, სუჯუნა მართლაც უკავშირდებოდეს სუჯ- „სურო“ სიტყვას, მაგრამ სუჯ- ამ მნიშვნელობით დღეს მეგრულში აღარ გვხვდება (როგორც ამას თვით ზ. ჭუმბურიძეც აღნიშნავს). ი. ყიფშიძის, პ. ჭარაიას, გ. ელიავას ლექსიკონების მიხედვით, ქართული „სუროს“ მნიშვნელობით მეგრულში გავრცელებულია მხოლოდ **სურუ** და **ცურუ** ლექსემები. გ. როგავა აღნიშნავს, რომ, მართალია, სუჯ- ფუძე ზანურის ორივე დიალექტისათვის ყოფილა დამახასიათებელი, მაგრამ „სუჯ- მეგრულში შეცვალა ქართულმა სურომ“, რომლის ვარიანტია ცურუ (იქვე, 77). ამას ადასტურებს სამეგრელოსა და სამურზაყანოს ტოპონიმიაც: **სურონა** „სუროვანი“ - ტყე პირველ კიწიაში; ტყე, ხევი საგუნიოში და სხვ. **სურონი** - ტყე სეფიეთში. **სურ/უ/ონა** - ტყე სალხინოს შემოგარენიში. **სურუონი** - ტყე ციზეთიში, სახნავი მეორე ლესიჭინეში და სხვ. **სურნა** (← სურონა) - მინდორი საშურ-ლაიოში. **სურუამრობუ** „სუროიანი ხევი“ - ტყე-ხევი, ჭოდა-წყარის მარც. შენაკადი დღვანაში. **სურუამჯაპი** „სუროიანი თუთა“ - საჩრდილებელი თუთის ხე ონოლიაში. **ცურონი** „სუროიანი“ - საძოვარი მედანში. **ცურ/უ/ონი** - ტყე ლესალეში. **ცურნა** (← ცურუონა) - წკვიბლალის შენაკადი და მისი ხეობა ლეღვინ-ჯილეში. **ცურუამდალ//ცურუონდალ** „სუროიანი ღელე“ - ტყე-ხევი სამესხიოში. **ცურუამჯა** „სუროიანი ხე“ - მინდორი ხურჩაში. **ცურუამკოკი** „სუროიანი ნახევარკუნძული“ - ტყე გინძე ეწერში (გალის რ.). **ცურუონი** - ბუჩქნარი მ. გუდავაში (გალის რ.). რო-

გორც ვხედავთ, ლექსემა სურუ გავრცელებულია სამხრეთ-დასავლეთ სამეგრელოში, რომელიც უშუალოდ ეკვრის იმერული და გურული დიალექტების გავრცელების ზონას, ხოლო ცურუ - ჩრდილო-დასავლეთ სამეგრელოსა და სამურზაყანოში.

მეგრულში გვხვდება სუნჯ- ძირიც (ნ განვითარებულია), ოღონდ სხვა მნიშვნელობით. როგორც დადგენილია, ქართული ცუარ-//ცურ- „ცვარი“ ლექსემას მეგრულში შეესატყვისება ცუნჯ-//ცუნდ-//სუნჯ-//სუნდ- (*ცჷორ- → ცჷუჯ- → ცუნჯ- „ცვარი“; დისიმილაციური დეზაფრიკატიზაციის გზით ცუნჯ- → ცუნდ-// → სუნდ-. მეორე მხრივ, ცუნჯ- → სუნჯ-. იხ. ქეელ, 2000, გვ. 580). სუ/ნ/ჯ- ფუძე დასტურდება ტოპონიმებში (ზემოთ აღნიშნული სუჯუნა-ს გარდა): **სუჯ/ი/ნაღალ//სუჯ/უ/ნაღალ** - სქაიის შენაკადი ნარაზენში. **სუჯუნათი //სუჯინათი** - უბანი დღვებაში; ტყე საელიავოში. **ოსუნჯელალ//ცუნჯამღალ** - ზანის მარცხენა შენაკადი და მისი ხეობა ახუთში (ინფ.: „ცვარი რომ არსად იყოს, აქ მაინც დასველდება კაცი, ყოველთვის ნამია“). **სუჯუნეთი** - სახნავი ქედის რ-ნის სოფ. შევაბურში. მას ჩამოთვლიან ზანურიდან მომდინარე ტოპონიმთა შორის (სიხარულიძე, 1958, გვ.37, 58).

არქანჯელო ლამბერტის „სამეგრელოს რუკაზე“ ენგურის მარჯვენა ნაპირას აღნიშნული და ცოცხალ მეტყველებაში ვერმოდრეული **ტოპონიმი Sugiona სინამდვილეში არის** არა სუჯიონა ან სუგიონა, არამედ **სუჯონა** (იტალიურში **gio** იკითხება როგორც **ჯო**. შდრ. **Giovane** ჯოვანე „ახალგაზრდა“). ამასთანავე, იგი უფრო „**ცვარნამიან ადგილს**“ უნდა ნიშნავდეს, ვიდრე „**სუროვანს**“.

§ 4. აფხაზური აფსკა იძიხ და კოლხური მავაწყარი

ზოგი აფხაზი მკვლევარი ცდილობს, მოიძიოს სამურზაყანოში უძველესი ფენა აფხაზური გეოგრაფიული სახელწოდებებისა. მათ მიერ აფხაზურ ტოპონიმიკურ სუბსტრატად ჩათვლილი ფოქვეში, ღუმურიში, ჩხორთოლი, აცკარი (წკელკარი), უარძ, (ერისწყალი) და სხვ., როგორც ზემოთ დავრწმუნდით, აშკარად ქართველური ენების (მეგრულის, სვანურის, ქართულის) კუთვნილებათა საწარმოებელი ფუძეებითაც და სიტყვაწარმოებითი საშ-

უაღებებითაც. შ. ინალიფა გამოთქვამს პროტესტს იმ ჭეშმარიტებასთან დაკავშირებით, რომ მუდმივი აფხაზური მოსახლეობა კოდორის სამხრეთით ჩნდება მხოლოდ მე-17 ს. დამლევდიან, და აღნიშნავს: „მაგრამ არის ერთი სერიოზული წყარო, რომელიც ცხადყოფს, რომ აფხაზებიც ბინადრობდნენ კოდორის აუზიდან მნიშვნელოვნად სამხრეთით. ეს წყაროა ტოპონიმია. ისეთი აფხაზური სახელწოდებანი თანამედროვე სამხრეთ აფხაზეთისა, როგორცაა **აფსჰა იძიხ**, ე. ი. „აფხაზეთის მეფის წყარო“, და **აჩიგვარა**, ე. ი. „ცხენის სადგომად შემოზღუდული ადგილი“, რომ არაფერი ვთქვათ სხვა უამრავ ძველ აფხაზურ მიკროტოპონიმოლოგიურ ფაქტებსა და მთის ობიექტთა მასიურ აფხაზურ სახელწოდებებზე თვით მდ. ენგურამდე, მეტყველებენ იმაზე, რომ აფხაზები მკვიდრობდნენ ქვეყნის ამ ნაწილში დიდი ხნით ადრე მე-17 ს. მეორე ნახევრამდე, ჯერ კიდევ აფხაზთა სამეფოს ეპოქაში და მნიშვნელოვნად ადრეც“ (ინალიფა, 1976, გვ.218). ვ. ფაჩულია, მართალია, ეყრდნობა შალვა ინალიფას ამ მოსაზრებას, მაგრამ არაა ასე კატეგორიული: „თუ გადმოცემებს დაუზღვრებთ, აქ ოდესღაც მდებარეობდა საძოვარი აფხაზეთის მეფის ცხენებისათვის. სამწუხაროდ, არ მოიპოვება უტყუარი ცნობები სოფლისა და მისი სახელწოდების წარმოშობაზე. საიდუმლოებითაა მოცული სახელწოდება აფსჰა იძიხიც, რაც დარქმევია სოფლის მახლობლად მდებარე წყაროს. გადმოცემის თანახმად, ამ წყაროსთან რამდენიმე დღით გაჩერებულა სამეგრელოში მიმავალი დედოფალი აფხაზეთისა“ (ფაჩულია, 1976, გვ.155). ამგვარი გადმოცემა დაფიქსირებული აქვს შალვა ინალიფასაც (ინალიფა, 1971, გვ.226-227). აფსა იძიხ წყაროს სახელი ყოფილა კუტოლშიც (ინალიფა, 1976, გვ. 409).

აჩიგვარა მართლაც აფხაზური სახელწოდებაა. ისტორიული ვითარების გათვალისწინებით, მისი წარმოქმნა მოსალოდნელია მხოლოდ მე-17 საუკუნის შემდეგ. ხომ ცხადია, რომ სამურზაყანოს იმ გეოგრაფიული სახელწოდებებიდან, რომლებიც დამოწმებულია მრავალრიცხოვან ქართულ და უცხოურ ისტორიულ წყაროებში, არც ერთი არ იხსნება აფხაზური ენის მეშვეობით. გალის რაიონში დღემდე შემორჩენილი აფხაზური ოიკონიმები (აჩიგვარა, აგვავერა, შაშიკვარა, აკვარაკვა) აფხაზთა ე. წ. კუნძულებრივი დასახლებების ნაკვალევიანა.

აფსპა იძიხთან დაკავშირებით შევნიშნავთ: 1. აძგხ მართლაც წყაროს აღნიშნავს (ჯანაშია, 1954, გვ.378). ხოლო ა-ფსპა აფხაზურად აღნიშნავს აფხაზეთის მთავარს, მფლობელს (იქვე, გვ.280) და არა „აფხაზეთის მეფეს“. აფხაზებს ხომ მეფე არც ჰყოლიათ. გრძნობს რა ამ უხერხულობას, შალვა ინალიფა განმარტავს: „აფხაზებმა მშობლიური ენის ბაზაზე შექმნეს აფხაზური გამოხატვა ცნებისა „მეფე“, კერძოდ, „აფსპა“, რომელიც დღემდე გამოიყენება „აფხაზეთის მეფის“ (და არა „მფლობელის“) მნიშვნელობით და რომელიც, ისევე როგორც მისი ქართული ეკვივალენტი „აფხაზთა მეფე“, უეჭველია, დაკავშირებულია აფხაზთა სახელმწიფოს წარმოშობასთან“ (ინალიფა, 1976, გვ. 409); 2. რაც მთავარია, **აფსპა იძიხ ზანური „მაფაწყარის“ თარგმანია.** ზანური ენის გავრცელების ისტორიულ და თანამედროვე არეალში რამდენიმე ათეული წყარო ატარებს სახელს მაფაწყუ, მაფაშწყუ, მაფაწყარი, მაფაწყარი, მაფაწყურგილი, მაფაშწყურგილი.

ქართულსა და ზანურში ცნება „მეფის წყარო“ (იშვიათად, „დედოფლის წყაროც“) გამორჩეული, უხვდებიტიანი წყაროს (ე.ი. ვოკლუზის) ეპითეტია. **მეფისწყარო** ეწოდება: 1. მთას ვანისა და ჩხოროწყუს რაიონებში, მესხეთის ქედზე; 2. სახნავს ადიგენის რ-ნის სოფ. ზემო ენთელში (სიხარულიძე, 1964, გვ. 137); 3. წყაროს ხელვაჩაურის რ-ნის სოფ. კირნითში (სიხარულიძე, 1958, გვ. 135); **დედოფლისწყარო** – 1. წყარო, რომლის სახელიც ეწოდება ქალაქსა და რაიონულ ცენტრს ქიზიყში. ამ სახელწოდების ვარიანტებია: მეფისწყარო და თამარისწყარო (ლლონტი, 1982, გვ.42, 48, 55); 2. წყაროები ქართლში – ბაიანთხევში, ფცაში, ქვენატკოცაში (ლლონტი, 1988, გვ. 44).

ქართულ „მეფისწყაროს“ მოეპოვება ზანური ეკვივალენტები, რასაც ადასტურებს ქვემოთ დასახელებული მაგალითები ჭანეთის, სამეგრელოსა და სამურზაყანოს ტოპონიმიდან.

ჭანეთი: **მაფაწყა(რ)ი** – წყარო ზღვის სანაპიროზე – სოფ. ბუჯალში (ხოფიდან ნახევარი საათის სავალზე). სახელი ძველი-სძველი ჩანს, იხსენიება სასიძღვრო ლექსშიც. ამ წყაროზე ცნობები მოუპოვებია იოსებ ყიფშიძეს 1910 წლის აგვისტოში ლაზისტანში მივლინებისას. მკვლევარს მოჰყავს მთხრობელის გადმოცემა, რომ მაფაწყარი ქართველთა მეფის თამარის წყაროს ნიშნავს. ი. სიხარულიძე, რომელმაც აგრეთვე შეკრიბა ცნობები ამ მაფაწყარის

შესახებ, ამასთან დაკავშირებით სწორად აღნიშნავს: „ამ ფაქტში უთუოდ არის შორეული გამოძახილი თამარ მეფის სახელის ოდინდელი პოპულარობისა ჭანეთში, მაგრამ ეს „მაფაწყარის“ მაინც გვიანდელი გააზრებაა და მეორეული ამბავია. მისი პირვანდელი შინაარსის შესაცნობად კი ძალიან საინტერესოა იმავე ჩემ-ოლლის ცნობა: „მთელ სოფელში სხვა ასეთი კარგი წყალი არ არის“. მაშასადამე, არა „მეფის წყარო“, არამედ „მეფე წყარო (სიხარულიძე, 1977, გვ.61). ირინე ასათიანის ერთ-ერთი რესპოდენტის (ანაკლიაში მცხოვრები ლაზი ქალბატონის) მიერ მოცემული განმარტება, რომ „მაფაწყარი“ ჭოროხს იქით ტყეშია, შეიძლება ამ ან სხვა წყაროს გულისხმობდეს (ასათიანი, 1974, გვ. 196).

ზემო სამეგრელო: **მაფაწყუ//ნაფაწყუ** – წყარო ზედა ჭველეში (სოფ. ჭველე); **ნაფაწყუ** – წყარო ხანწყში (ინფ.: „ამ წყაროსთან თურმე ხშირად ჩერდებოდა მეფე“); მინდორი გაჰედილში; წყარო, ხევი ფოცხო-ეწერში და სხვ.

ქვემო სამეგრელო: **მაფაშწყარი//დიდწყურგილი** – ვოკლუზი ჭკადლუაშში (ინფ.: „მაფაშ წყარი არის დაუმრალი წყარო, ერთბაშად გამოდის იმდენი წყალი, რომ წისკვილს დაატრიალებს“). **მაფაშ წყურგილი** – წყარო ზემო ბიაში. **მაფაწყუ** – წყარო, ჩეკის შენაკადი ჭაქვინჯში (ინფ.: „გვალვა ყოფილა და მეფის ცხენის ნაფლოქვარიდან წყალი ამოსულა“); წყარო, ცივის შენაკადი სახარბედიოში და სხვ. **მაფაწყუ//ნაფაწყუ** – წყარო ჭველეში; **მაფაწყუ//ჟგრი მაფაწყუ** – ორი წყარო მდ. ფაქვის მარჯვენა და მარცხენა მხარეს (უფალკარი).

სამურზაყანო: **მაფაშ წყურგელი** – წყარო გინძე ეწერში (გადმოცემის თანახმად, აქ მეფეს უცხოვრია); **მაფაშ წყურგილი** – წყარო ხიტუმ მუხურში; ალასაძისის სათავე ოხურეში (აჩიგვარის თემი. ინფ.: „წყალუხვი წყარო ყოფილა. ხელი რომ ჩაგებანა, აუცილებლად წვიმა მოვიდოდა. მის გვერდით, დაბურულ ტყეში, „ტყაშ მაფა“ თუ „წყარიშ დიდა“ ცხოვრობდა თურმე“); წყარო ფუწყურში (წარჩის თემი. ინფ.: „აქ ტარდებოდა წვიმის მოსაყვანი რიტუალი „ცემჰვაშ ხვამა“) და სხვ. **მაფაწყუ//მაფაშ წყურგილი** – წყარო, ფართოღალის სათავე ხუმენი-ნათოფურში (ინფ.: „ცივია და წყალუხვი. ხურვებისას აქ სამჯერ დაიბანდნენ და არჩენდა. გადმოცემით, კახაკებს ამ წყაროში გვიმები ჩაუდგამთ და ირგვ-

ლივ მოუკირწყლავთ“); **აფსპა იძიხ**//აკანტორადიხ//ალასადიხ - წყარო კაცივაბლაში.

დასახელებული ჰიდრონიმები და სათანადო ჰიდროგრაფიული ობიექტების დათვალიერება ცხადყოფს, რომ **მაფაწყუ** (და მისი ვარიანტები), ისევე როგორც **მეფისწყარო**, გამოიყენებოდა არა პირდაპირი, არამედ გადატანითი მნიშვნელობით: **იგი გამორჩეული, საუცხოო, უხვდებიტიანი წყაროს (ვოკლუზის) ეპითეტი იყო.**

დასკვნა ერთადერთია: აფხაზურში აფსპა იძიხ-ს არ მოეპოვება ის გადატანითი მნიშვნელობა, რაც მას ქართველურ ენებში აქვს. სამურზაყანოში წყაროს სახელად დაფიქსირებული **აფსპა იძიხ**, **აშკარაა, მეგრულ-ჭანური მაფაწყარის (მაფაწყუ, მაფაშწყურგილი) თარგმანს (კალკს) წარმოადგენს და წარმოქმნილია ამ რეგიონში აფხაზთა ძალადობით დამკვიდრების შემდგომ პერიოდში, ე. ი. არა უადრეს მე-18 საუკუნისა.**

§5. ტოპონიმი ჯგერინანი და ზოგი ძრისტოლოგიური ტერმინის მებრულში ბავრცელების საპითხი

„ქართლად ფრიადი ქუეყანაი აღირაცხების, რომელსაცა შინა ქართულითა ენითა ჟამი შეიწირვის და ლოცვაი ყოველი აღესრულების“, - სიამაყით აცხადებს გიორგი მერჩულე 951 წელს დაწერილ ნაწარმოებში. რამ გამოიწვია ავტორის ასეთი პათეტიკა? რა თქმა უნდა, იმან, რომ „აფხაზეთის მმართველმა წრეებმა ჯერ კიდევ IX ს-ში გაათავისუფლეს თვით ეკლესია კონსტანტინეპოლის პატრიარქის დამოკიდებულებისაგან და დაუქვემდებარეს მცხეთის კათალიკოსს“ (ბერძენიშვილი, 1990, გვ.33). იგივე ისტორიული ჭეშმარიტება ასეც შეიძლება გამოითქვას: „ბერძნული ენა, რომელიც აფხაზეთში გაბატონებული ენა იყო, სწორედ აფხაზთა დინასტიის მიერ შეიცვალა ქართული ენით, რომელსაც, როგორც სახელმწიფო ენას, დაეკისრა სამწერლობო, საქმისწარმოებისა და საეკლესიო ღვთისმსახურების ფუნქციები; დასავლეთ საქართველოს ეკლესია საბოლოოდ გამოეყო კონსტანტინოპოლის სამწყსოს და მცხეთის კათალიკოსს დაექვემდებარა, გაუქმდა ბერძნული და დაარსდა ქართული საეპისკოპოსოები“ (თოთაძე, 1995, გვ. 57). ამის შედეგად, „IX-X საუკუნეებში როგორც დასავლეთ, ისე აღმოს-

სავლეთ საქართველოში, ე. ი. როგორც საკუთრივ ქართლში, ასევე ეგრისსა თუ აფხაზეთში, ერთადერთი სახელმწიფო და საეკლესიო ენა იყო ქართული“ (ფუტკარაძე, 2000, გვ. 327). მანამდე კი „ბიზანტიის პოლიტიკური, სარწმუნოებრივი და კულტურული გავლენა განსაკუთრებით საგრძნობი იყო დასავლეთ საქართველოში, სადაც ბერძნული ენა ეცილებოდა ქართულს როგორც საეკლესიო მღვდელმსახურებისა და რამდენადმე სახელმწიფო ენა“ (დანელია, 1999, გვ. 242).

დასავლეთი საქართველო, როგორც ცნობილია, ქრისტიანობის ანაბანას ეზიარა პირველ საუკუნეშივე თვით ანდრია მოციქულისა (პირველწოდებულისა) და სვიმონ კანანელის უშუალო ქადაგებით. ლეონტი მროველის „ქართველ მეფეთა ცხოვრება“ გვაუწყებს, რომ სვიმონ კანანელი ნიკოფსიაში აღესრულა, „ხოლო ანდრია მოაქცივნა მეგრელნი და წარვიდა გზასა კლარჯეთისასა“ (ქ.ც. I, 1955, გვ.38). მესხეთის გაქრისტიანების შემდგომაც „კუალავ განამტკიცნა წმიდამან ანდრია მეგრელნი და აფხაზნი და წარვიდა სკვთედ“ (იქვე, გვ. 43). უკვე IV საუკუნისათვის ეს ახალი რელიგია საკმაოდ მომძლავრებულია დასავლეთ საქართველოს ზღვისპირეთში (როგორც გარნიზონებში გამწესებულ ბიზანტიელთა შორის, ისე ადგილობრივ მოსახლეობაში, განსაკუთრებით, მმართველ წრეებში). ამასთან დაკავშირებით ს. ყაუხჩიშვილი ოპონენტებს შეახსენებდა: „არ არის საეჭვოდ მისაჩნევი ის ურყევი დებულება, რომ ტრაპეზუნტისა და ბიჭვინთის ეპისკოპოსები, რომელნიც 325 წელს პირველ მსოფლიო საეკლესიო კრებას დაესწრნენ ნიკეაში, მხოლოდ ბერძნულ მოსახლეობას კი არ წარმოადგენდნენ, არამედ მთელ მოსახლეობას, როგორც ბერძნულს, ისე ადგილობრივ მკვიდრ მოსახლეობას“ (გეორგიკა, I, გვ.9). მკვლევარი ყურადღებას მიაქცევს იმ ანალოგიურ ფაქტს, რომ ქართლშიც კი „მოქცევის“ პირველ ხანებში მღვდელმსახურებას ბერძნულ ენაზე აწარმოებდნენ კონსტანტინოპოლიდან მოწვეული ბერძენი მღვდელმსახურები (იქვე, გვ.6). ამავე პერიოდში ფოთის (ფაზისის) მახლობლად არსებულა მძლავრი რიტორიკული სკოლა, სადაც განათლების მისაღებად ბიზანტიიდანაც კი ჩამოდიოდნენ. 532 წელს დადებული „საუკუნო“ ზავის შემდეგ ბიზანტიელებმა ლაზიკის ციხეებში თავიანთი ჯარი ჩააყენეს, შეზღუდეს ლაზთა მეფეების უფლებები და განიმტკიცეს პოლიტიკური და რელიგიური გავლენა. მაშასადამე,

ბიზანტიისთვის ქრისტიანობა შავიზღვისპირეთის ქვეყნებში სახელმწიფო პოლიტიკის ნაწილი, კერძოდ, პოლიტიკური და ენობრივი ზეგავლენის მძლავრი ბერკეტი იყო.

ფაქტია, რომ ბერძენთა მიერ კოლხეთის შავიზღვისპირეთის კოლონიზაცია დაიწყო ჩვენს წელთაღრიცხვამდე დიდი ხნით ადრე, გაგრძელდა ბიზანტიის იმპერიის (ქართული წყაროებით – საბერძნეთი; ევროპული წყაროებით – რომანია) დაარსების (IV ს.) შემდეგაც, ხოლო ბიზანტიის პოლიტიკური და რელიგიური გავლენა აფხაზეთსა და ეგრისზე განსაკუთრებით გაძლიერდა VII საუკუნის პირველ ნახევარში ჰერაკლე კეისრის მიერ (610-644 წწ). ირანის დამხობისა და მისი მოკავშირე ქართლის დასუსტების შემდეგ. როგორი იყო კონკრეტულად ბიზანტიის პოლიტიკური, კულტურული და ეკლესიური გავლენა (თუ ბატონობა) ზღვისპირეთში? კერძოდ, რომელ ენაზე სრულდებოდა ღვთისმსახურება? ისევ ფაქტები: ა) კოლხეთის გარკვეული ნაწილი (ზღვისპირეთი) ბიზანტიის მიმართ თითქმის ვასალურ დამოკიდებულებაშია; ბ) X საუკუნემდე შესრულებული ყველა წარწერა, რომლებიც კი დღემდე არის აღმოჩენილი დასავლეთ საქართველოში (ბიჭვინთა, სოხუმი, ვანი, ფიჭვნარი, გონიო, ციხისძირი) შესრულებულია ლათინურ ან, უფრო იშვიათად, ბერძნულ ენაზე; გ) აფხაზეთისა და ეგრისის საეპისკოპოსოები ექვემდებარებოდნენ კონსტანტინოპოლის პატრიარქს; დ) მშენებლობა-არქიტექტურაში დომინირებს ბერძნული სტილი.

ჩვენ განსაკუთრებით გვაინტერესებს ბერძნული ენის სტატუსის საკითხი ამ რეგიონში. გამოთქმული მოსაზრებანი შეიძლება სამ ვარიანტად დაჯგუფდეს: ა) გავრცელებული და გაზიარებული თვალსაზრისი: IX-X საუკუნეებამდე დას. საქართველოში, ძირითადად ზღვისპირა კოლხეთში, სახელმწიფო და ღვთისმსახურების ენა იყო ბერძნული (ლორთქიფანიძე, 1970, გვ. 126-127; მუსხელი-შვილი, 1980, გვ. 152); ნ. ბერძენიშვილიც ასკვნიდა, რომ იოანე საბანისძის დროს (ე.ი. VIII საუკუნეში) „მთელი ლიხთიქითი ქრისტიანულია და არავინ უწმუნო იქ არ მოიპოვება“, მაგრამ ეს ქრისტიანობა არაა ქართული. მხოლოდ მოგვიანებით, „ბიზანტიის მისუსტების პირობებში... ადვილად შესაძლებელი გახდა დიდი მნიშვნელობის ფაქტი: ლიხთიქითში ბერძნული ქრისტიანობა შეიცვალა ქართული ქრისტიანობით“ (ბერძენიშვილი, 1980, გვ.597).

ბ) ბერძნული ენა ასე ფართოდ და ასე დიდხანს არ იყო გავრცე-

ლებული ეგრისში. „ბერძნული ენა დასავლეთ საქართველოს მნიშვნელოვან ნაწილში საეკლესიო ენად ოფიციალურად იქცა მხოლოდ VII საუკუნის 30-იანი წლებიდან, როცა ირაკლი კეისარმა დაიპყრო შავიზღვისპირეთი“ (ჯაფარიძე, 1988, გვ.507). კოლხეთში ადგილობრივი ენის გვერდით საპატიო ადგილი ეკავა ბერძნულსაც (ყაუხჩიშვილი, 1964, გვ.117); გ) სრულიად საპირისპირო თვალსაზრისი: „ეგრისის სამეფოში თავიდანვე სახელმწიფო-საკანცელარიო ენა იყო ადგილობრივი, ზანური ან მისი განაყოფი ენა – ქართული, ხოლო ღვთისმსახურების ენა IV საუკუნის დასასრულიდან მაინც იყო ქართული ენა“ (დიასამიძე, 1999, გვ.64).

ბერძნულის გავრცელებულობაზე მეტყველებს აფხაზეთის ტერიტორიაზე, რომლის ძირითადი მოსახლეობა ქართველური იყო, აღმოჩენილი და შესწავლილი ბერძნული წარწერებიც, მათ შორის ბიჭვინთის ნაქალაქარის იატაკის მოზაიკაც. სამწუხაროდ, დასავლეთ საქართველოში პირველი ქართულენოვანი ეპიგრაფიკული წარწერა მხოლოდ IX-X საუკუნეებს განეკუთვნება. ესაა გუდაუთის რ-ნის სოფ. პრიმორსკოეს მახლობლად, მსიგხუას მთაზე მდებარე ეკლესიის ნანგრევების ე.წ. „მიქაელის წარწერა“ კერამიკული კალიპტრების ანტიფიქსზე (სილოგავა, 1980; მიბზუანი, 1999). სწორედ ამ პერიოდიდან ფართოდ გაიშალა ქართული ქრისტიანული ტაძრებისა და ეკლესიების მშენებლობა, ოფიციალურ საერო და სასულიერო ენად ქართული გაბატონდა, რასაც ხელს უწყობდა VII-VIII საუკუნეებში ეგრისის გაქართველებული ნაწილების – აჭარის, გურიის, ქვემო იმერეთის – წარმოქმნა (მაკალათია, 1992, გვ.66).

ზემოთ მოყვანილი მასალა სადავოს ხდის დებულებებს, რომ V საუკუნეში „ყველა ქართული სამეფოს სახელმწიფო და საეკლესიო ენა მაინც სალიტერატურო ქართულია“ (ფუტყარაძე, 2000, გვ.330-331) და დას. საქართველოში ბერძნული, როგორც ღვთისმსახურების ენა, გამოიყენებოდა მხოლოდ ქრისტიანობის გავრცელების შემდეგ პირველ ათწლეულებში (დიასამიძე, 1999, გვ.101).

ბერძნული ენის, კულტურისა და ქრისტიანობის რამდენიმე-საუკუნოვან მძლავრ დაწოლას არ შეეძლო უკვალოდ ჩაევიღო. და მართლაც, კოლხურის (და სვანურის) ლექსიკას ეტყობა კვალი ბერძნულთან უშუალო კონტაქტისა: „სვანურში, ისევე როგორც მეგრულში, მოიპოვება უშუალოდ ბერძნულიდან ნასესხები სიტყვები, რომელთა ნაწილი ქრისტიანული რელიგიის ტერმინებია“

(დანელია, სარჯველაძე, 1987, გვ.339). ამ ასპექტით მრავლისმეტყველია ბერძნული სტაუროს („ჯვარი“) სიტყვის პოვნეირება სვანურში. აკ. შანიძემ გაარკვია, რომ ამ სიტყვის აკუზატივის ფორმა **სტაურონ** ჩანს (სტარუნ-ის სახით) პირჯვარის წერის გამომხატველ სინტაგმაში სვანურის რამდენსამე კილოში და (ნათესაობითი ბრუნვის ფორმით) ტოპონიმ **სტარუნში**-ში (ლექსუმ-სვანეთის საზღვარზე. ლექსუმლები უწოდებენ ჯვრის მთას (შანიძე, 1957, გვ.318-320). აკაკი შანიძის დასკვნა ასეთია: „სვანურ ენაში საკმაოდ მოიპოვება ბერძნულიდან ნასესხები სიტყვები, რომელთაგანაც ზოგი (უმცირესი ნაწილი) უმეშველოდ უნდა მომდინარეობდეს ბერძნულიდან, ზოგი კი (უმეტესი ნაწილი) – სხვა ენათა საშუალებით (ქართულისა, მეგრულისა, აფხაზურისა). ნასესხებ სიტყვებს შორის არის ქრისტიანული წარმოშობის ტერმინები“ (იქვე, გვ.320). ამასთან დაკავშირებით გავიხსენოთ ს. ყაუხჩიშვილის დაკვირვებაც: „დასავლეთ საქართველოში ბევრი ისეთი ბერძნული სახელია, - რომელიც აღმოსავლეთ საქართველოში არაა ცნობილი, მაგალითად, ანეპოდისტე (კაცისა), პისტი (ქალისა), მიტროფანე, მიტრადორა (ქალისა) და მრ. სხვ.“ (გეორგიკა, I, გვ.10. სქოლიო).

მეგრულში რომ უშუალოდ ბერძნულიდან ნასესხები სიტყვები მოიპოვება, ამას თ. გვანცელაძეც აღნიშნავს: განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ აფხაზურის მიერ მეგრულიდან ნასესხებ ტერმინთა შორის არის ბერძნული წარმოშობის ფუძეებიც, რომლებიც მეგრულში უშუალოდ ბერძნული ენიდანაა ნასესხები ანდა ქართული სალიტერატურო ენის შუამავლობით არის მასში დამკვიდრებული (გვანცელაძე, 2000, გვ.58).

ქართულ ენაში დადასტურებულია წიგნური გზით შეთვისებული ბიზანტიური პერიოდის ბერძნული ლექსიკა. ამათ გარდა, საერთოდ ქართველურ ენებში გვხვდება უძველეს ხანებში ზეპირი გზით შემოსული ბერძნული სიტყვებიც. მათ ერთი ნაწილი, ფონეტიკურად ადაპტირებული, საგრძობლად განსხვავდება ამოსავალი ბერძნული წყაროსაგან (როგავა, 1985, გვ.169). როგორც ნ. მარის, ი. ყიფშიძის, არნ. ჩიქობავას გამოკვლევებში არის აღნიშნული, ბერძნულიდან ზეპირი გზით ნასესხები სიტყვები (ე. წ. გრეციზმები) უხვადაა დასავლურქართველურ ენებსა და დიალექტებში, განსაკუთრებით ჭანურში. გ. როგავამ ამ საკითხს მიუძღვნა სპეციალური ნარკვევი (იხ. როგავა, 1975, გვ.345-348), სადაც გამოავლინა ბერძნულიდან სვანურსა და მეგრულში უშუალოდ

ნასესხები სიტყვები, კერძოდ, სვანური: ცხემად „მშვილდ-ისარი“, თხერე „მგელი“, ფამლი „მონა. შინაყმა“, მალე „ძლივს, ოდნავ“; ზანური: თხოლო (ქართ. თხლე), მეგრული: ქულა „კოჭლი“, ბორო „სულელი“, კაბეტი „დიდი“, ბებელი „უწმინდური“, „ძალის განავალი“, კუნტა „მოკლე“, კოტო „ქოთან“, დოფა „ღველფი, ღადარი“, დირე „ღვირე, სახლის ძელი“, ცომი (ქართ. ცომი) და სხვ. (როგავა, 1975).

კოლხეთს იბერიისაგან დამოუკიდებლად რომ მიუღია ქრისტიანობა, ამას ამტკიცებს მეგრულ-ჭანურში არსებული ქართული-ლისაგან განსხვავებული ქრისტოლოგიური ტერმინები: შობა – **ქისე** (← ქრისტე), აღდგომა – **თანაფა** („თენება“), ეკლესია – **ოხვამე** („სამლოცველო“), მღვდელი – **პაპა** (ბერძნ.-ლათ.) და სხვ. (კ. დანელია, 1983, გვ.196). მეორე მხრივ, აშკარაა, რომ ქართული-დანაა შეთვი-სებული: **ნათლისმცემელი** (მეგრ. ვარიანტები: ნას(ი)მერი, ნაცმერი, ნათისცემერი, ნათისცემი და სხვ.), **მაცხოვარი** (მეგრ. ვარიანტები: მანცხვარი, მანცხოვარი), **ფერისცვალება** (მეგრ. ვარიანტი: ფერცველობა), **წმინდა** (მეგრულში: წიმდა, წინა), **ღვთისმშობელი** (მეგრ. ვარიანტები: ღვთიმშობელი, ღვთიმშობეი, ხვთიმშობეი), **წყალკურთხევა** (მეგრ. წაკურთხია), **წინამძღვარი**, **წირვა**, **ნათელა**, **სახარება**, **მოციქული** და სხვ.

განვიხილოთ ამათ გვერდით რამდენიმე საკუთრივ კოლხური ტერმინი, მაგალითად, **მარაშინა** „მარიამობა“. **ყველა სხვა შემთხვევაში წმინდანის ხსოვნის დღის აღმნიშვნელია ქართული –ობა სუფიქსით ნაწარმოები სიტყვები**: გერგობა (←გიორგობა), თერდობა (← თევდორობა), პერტობა (← პეტრე-პავლობა), ბარბალობა და ა.შ. **რალა მაინცდამაინც მარიამობის ნაცვლად გვაქვს მარაშინა**, რაც სიტყვასიტყვით არის „მარიამის ხსენება“? (ასე გაუაზრებიათ კოლხებს ბერძნული „ტა პანაგეიას“, „კოიმესის ტეს თეოტოკონ“). სხვათაშორის, მარაშინა „მარიამობის, აგვის-ტოს“ მნიშვნელობით ჯერ კიდევ ყოფილა შემორჩენილი თურქეთში მცხოვრებ ლაზებს შორის (თანდილავა, 2000, გვ.68). ეს გარემოება ცხადყოფს, რომ მარ(ი)აშინა მეგრულ-ლაზთა წინაპრებს უმუალოდ ბერძნულიდან გადმოუღიათ ლაზიკის ორ ერთეულად – სამეგრელოდ და ჭანეთად – გათიშვამდე, რაც ემთხვევა დას. საქართველოს ეკლესიის გათავისუფლებას ბიზანტიური ენის, კულტურისა

და ქრისტიანობის გავლენისაგან და ქართული ეკლესიისადმი მის დაქვემდებარებას.

როგორც ბერძნულ „ანასტასის“-ს, ისე ქართულ აღდგომას აქვს ორმაგი მნიშვნელობა: პირველადი, ძირეული (აღგილიდან წამოდგომა, ადგომა ...) და მეორეული, ქრისტოლოგიური (ქრისტეს მკვდრეთით აღდგომა, გაცოცხლება). ქართულ „აღდგომა“ სიტყვას არაფერი უშლიდა ხელს, რომ კოლხურშიც გავრცელებულიყო ისევე, როგორც სახარება, მოციქული, ნათვლა, წირვა, ნათლისმცემელი, მაცხოვარი, წმინდა და სხვ. მაგრამ კოლხურში მას უკვე დახვდა ჯერ კიდევ წარმართული დროიდან მომდინარე და ქრისტოლოგიური ტერმინ „ანასტასის“-ის ეკვივალენტად ჩათვლილი თანაფა, ე.ი. თენება. კ. დანელიამ უკვე გაამახვილა ყურადღება იმაზე, რომ „სინათლის წარმართული კულტი უნდა ჩანდეს „აღდგომის“ კოლხურ „თანაფა“ ეკვივალენტში, რომელიც ქართული „თენება“-ს კანონზომიერ შესატყვისობას წარმოადგენს“ (დანელია, 1983, გვ.197).

როგორც ცნობილია, ქრისტიანობამ ბევრი რამ შეითვისა მითრანიზმისაგან, მათ შორის მკვდრეთით აღდგომის იდეაც. მითრა წარმოდგენილია როგორც მზე-ღმერთი, რომელიც ქვეყნიერებას სიცოცხლესა და სინათლეს ანიჭებს. ქრისტეც, ადრინდელი ქრისტოლოგიური ლიტერატურით, არის „ნათელი ნათლისაგან“, „მზე სინათლისა“... პავლე მოციქულს ქრისტეს ხილვა უდიდესი ნათლის ხილვად აქვს წარმოდგენილი: „მეყსეულად ზეცით გამობრწყინდა ნათელი დიდი ჩუენ ზედა“. მაშასადამე, ქრისტეს მკვდრეთით აღდგომა ჩვენმა კოლხმა წინაპრებმა გაიაზრეს როგორც ცისკრის მოვლინება, როგორც ნათლის დადგომა, ანუ გათენება მთელი კაცობრიობისათვის, რაც აღინიშნა კიდევ თანაფა „გათენება“ ტერმინით, რომელიც შეუნაცვლეს ბერძნულ ქრისტოლოგიურ ტერმინ ანასტასისს..

ძველი ბერძნული „ჰაგიოს“ ლექსემის თავდაპირველი და ძირეული მნიშვნელობაა „სუფთა, ხალასი, შეურყვნელი“, ხოლო მეორეული, ქრისტოლოგიური - „წმინდა“ (ეპითეტი წმინდანისა) და „წმინდანი“. ანალოგიური ვითარებაა ქართულშიც: წმინდა - ზედსართავი: 1. შეურყველი, ხალასი, ანკარა, სუფთა... 2. სპეტაკი, უმწიკვლო... 3. რელიგიური შეხედულებით - ღმერთთან, სარწმუნოებასთან დაკავშირებული, ღვთაებრივი ძალის მქონე, თაყვანისცემის საგანი... //იხმარება წმინდანის სახელის წინ; 186

არსებითი სახელი: წმინდანი (ქეგლ, VIII, გვ. 1158). ქართული „წმინდა“ სიტყვის ძირითად მნიშვნელობას (ანკარა, სუფთა, ხალასი, შეურეველი) მეგრულში გამოხატავს ზედსართავი სახელი „წკონდა“. რაც შეეხება წმინდანის ეპითეტს ან ტერმინ „წმინდანს“, იგი მეგრულს ქართული ოფიციალური საეკლესიო ენიდან შეუთვისებია. ი ყიფშიძე განმარტავს: „წმინდღე, წმინდა, წინა, წმინდა –“.

სამეგრელო-სამურზაყანოს ტოპონიმური მასალა გამოავლენს ვარიანტებს: წმინდა, წმინდა, წინდა, წინა, წილა... მოგვყავს ეკლესიათა და ნაეკლესიართა სახელები როგორც საილუსტრაციო მასალა:

ზემო სამეგრელო: **წმინდა გიორგი ალერტი** – ეკლესია ალერტში. **წმინდა გიორგი მებისარიონი** – ეკლესია ლემიქავეში. **წმინდა გიორგიშ ოხვამე** – ნაეკლესიარები თარგამეულში, ქვაითში და სხვ. **წმინდა კვირკე ივლიტა** – ეკლესია წინაკვირკვეში. **წინა გიორგი** – სასაფლაო ნახუნავოში. **წინა თე(ნ)დორე** – ნაეკლესიარი მუხურჩაში. **წინაკვერკვე** – სოფელი მარტვილის რაიონში. **წინდაგოლა** – ფერდობები თარგამეულში.

ქვემო სამეგრელო: **წმინდა ანდრიაშ ოხვამე** – ნაეკლესიარი ახალსოფელში (სენაკის რ.). **წმინდა ბარბალა** – ნაეკლესიარები წყემსა და ისულიაში. **წმინდა ბარბალე** – ნაეკლესიარი ლესაჯა-იეში. **წმინდა გიორგი** – ეკლესია ბეთლემში, ზუბში (ახალხიბულის თემი) და სხვ. მრ. **წმინდა გიორგიშ ოხვამე** – სასაფლაოები აბაშ-აში, სენაკში და სხვ. **წმინდა ივლიტაშ ოხვამე//წმინდა კვირკვეშ ოხვამე** – სასაფლაო პ. ნოსირში. **წმინდა სტეფანე** – ნაეკლესიარი უფალკარსა და საოდი-შარიოში. **წმინდა კვირკვე** – ეკლესია პ. გურიფულში. **სტეფანეწმინდა //სტეფანეშ ოხვამე** – ნაეკლესიარი უფალკარში. **წინაგოლა** – სოფელი ხობის რ-ნში. **წინა გიორგიშ ოხვამე** – სასაფლაოები ლეგოგინეში, საგაბესკირიოში და სხვ.

სამურზაყანო: **წმინდა ბარბალე** – ნაეკლესიარები ოცარცეში, მ. გუდავაში.

ყოველივე, რაც ზემოთ ითქვა, საჭირო იყო როგორც შესავალი ძირითადი საკითხისათვის, რაც ტოპონიმ „ჯგერინის“ ეტიმოლოგიასა და წმინდა გიორგის ეკვივალენტ „ჯგერგე“-ს მეგრულში გავრცელების საკითხს შეიცავს.

ჯგერიანი სოფელია ოჩამჩირის რაიონში, ოხურეიწყარის მარცხენა ნაპირზე. 1928 წელს შედგენილი საქართველოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის თანახმად, გაღის მაზრის რეკის სასოფლო საბჭოში შედიოდა: ოხურეი, რეკა, საჩინო, ჯგერიანი (დემგერფანი). შემდეგ აღდგა სწორი ფორმა ჯგერიანი და ეს სოფელი რეკის სასოფლო საბჭოს სხვა სოფლებთან ერთად ადმინისტრაციულად დაუქვემდებარდა ოჩამჩირის რაიონს. რეკის თემის სოფლების ონომასტიკური მასალა ჩავიწერეთ 1982 წლის 30-31 აგვისტოს. ძირითად მოსახლეთა გვარებია: სოფ. რეკაში – აბშილავა, ბასარია, ლოგუა, ნარმანია, პაპავა, ქიშმარია და სხვ.; სოფ. საჩინოში – აბშილავა, კორტავა, ლაგვილავა, პერტაია, ქუჩუბერია, შათიფა და სხვ.; სოფ. ჯგერიაში – კორტავა, ლაბახუა, კუპრავა, ბრუმი... გვართა უხუცესებს, ჩვეულებრივ, ანსოვთ გადმოცემა იმის შესახებ, თუ საიდან გადმოსულან მათი წინაპრები – სამხრეთიდან თუ ჩრდილოეთიდან.

ჯგერიანი, როგორც ჩანს, ეწოდებოდა ტყით დაფარულ ფართო სერს, მდ. ოხურეიწყარისა და დღეე ბებეშიაშ ღალის წყალგამყოფს. ამ სერის შუაში მდებარეობს ბორცვი ეკლესიის ნაშთით. 1982 წელს დარჩენილი იყო ერთი კედელი და სახურავის ნაწილი. ეკლესია ნაშენებია რიყის ქვით, აქა-იქ ურევია ნათალი ქვა, შესასვლელ კართან ჩუქურთმიანიც კი (ალბათ უწინდელი ეკლესიიდან). სერს ეწოდება ჯგერიაში სუკი//ჯგერია აბაა. პირველი ვარიანტი მეგრულია და ნიშნავს „ჯგერიანის სერს“, ხოლო მეორე აფხაზურია და ნიშნავს „ჯგერიანის ციხე-სიმაგრეს“. სოფლის ხანდაზმულთა გადმოცემით, ამ ეკლესიაში ესვენა ხატი ჯგემარია//ჯგემერია, რაც, რა თქმა უნდა, არის ჯ(გ)ეგე მარია (წმინდა მარიაში).

როგორც ჩანს, **ქრისტიანობის გავრცელების პირველ პერიოდში**, ე. ი. სანამ დასავლეთ საქართველოს ეკლესია ბერძნული ეკლესიის გავლენას განიცდიდა (IX ს-მდე), **ზოგი ყველაზე აუცილებელი ქრისტოლოგიური ტერმინი ბერძნულიდან კოლხურ ენაზე ითარგმნა და დამკვიდრდა**. მაგალითად: ოხვამე (ეკლესია, სალოცავი), თანაფა („აღდგომა“), მარაშინა („მარიამობა“), ჯგირი („წმინდა, წმინდანი“) პაპა „მღვდელი“ და სხვ. აკ. შანიძე აღნიშნავს: დღეს, მართალია, მეგრული **ჯგირი** „კეთილს“, „კარგს“ ნიშნავს, მაგრამ მას ძველად **წმინდის** მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა (შანიძე, 1971). „ჯგირი“ ეპითეტის ეს მნიშვნელობა ჩვენ 188

დავადასტურეთ ტოპონიმურ მასალაში: **ჯგირელია** „წმინდა ელია“ ეწოდება მინდორსა და წყაროს ეკის მთის კალთაზე, საჩიქობავოში. როგორც ცნობილია, ელია ქართული წარმართული ღვთაებაა, წვიმა-სეტყვისა და ჭექა-ქუხილის გამგებელია (ხალხის წარმოდგენაში იგი შეერწყა ბიბლიურ წინასწარმეტყველ ელიას, რომელიც აგრეთვე წვიმასა და ჭექა-ქუხილს განაგებს). ელია ბრმაა და ზოგჯერ უადგილო ადგილას დაუშენს სეტყვას, მაგრამ მას კარგად ესმის და ანგარიშს უწევს, როცა გვალვაა და წვიმას ითხოვენ, ხოლო წვიმიანობისას – მზის გამოჩენას. ამიტომაც ჯგირი, ანუ კეთილი.

ი. ყიფშიძის „მეგრულ-რუსულ ლექსიკონში“ მითითებულია ჯგეგ სიტყვის ვარიანტები - ჯგეგე, ჯგეჰე, გეგე და მათი ორი მნიშვნელობა: 1. კონკრეტული: „წმინდა გიორგი, ანუ ჯგე გიორგი“; 2. ზოგადი: „წმინდანი, ხატი, ეკლესია“. აქვეა დასახელებული აგრეთვე ჯგეგ-მარიამი „წმინდა მარიამი“, ჯგეგ-ხანგარამი (ეკლესია სოფ. ნაესაკაოში), ჯგეგთა (მალღობი სოფ. ხეთაში) და მამაკაცის სახელები: ჯგეგ, ჯგეგია, ჯერგე, ჯგეგშია .

ნაშრომში „სვანური კულტის ტერმინი ჯგგრაგ“ აკ. შანიძე არ იზიარებს ნ. მარის ახსნას, რომ სვანური ჯგგრაგ და მეგრული ჯგეგე წარმართული საკულტო ტერმინებია და მათთვის ამოსავალია სვანური ჯგგ (ანუ ჯიჰრა „მუხა“) და რაგ (რა – აგ), რაც მრავლობითობის ნიშანია **სვანურსა და ადიღეურში**. ხოლო ვ. აბაევის მოსაზრებაში, რომ სვანური ჯგგრაგ მიღებულია მეგრული ჯგგრაგეგე („კეთილი გიორგი“) ფორმისაგან, აკ. შანიძეს შეაქვს გარკვეული კორექტივი: სვანური ტერმინის პირველ კომპონენტში უნდა გვქონდეს არა „ჯგგრა“, არამედ „ჯგირი“, რომელსაც ძველად, როგორც ჩანს, „წმინდანის“ მნიშვნელობაც ჰქონდა. მაშასადამე, აკ. შანიძის ეტიმოლოგიით, მეგრული **ჯგგრაგე** მიღებულია **ჯგგრა გეგე**-საგან, ხოლო სვანური **ჯგგრაგ - ჯგირ გივარგი**-საგან ასეთი თანამიმდევრული გარდაქმნებით: ჯგირ გივარგი → ჯგირარგი → ჯგირაგი → ჯგგრაგი → ჯგგრაგ (შანიძე, 1973). აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ელ. ვირსალაძის აზრით, სვანური ჯგგრაგ სულაც მცენარეების სულის განმასახიერებელი ტყის არსებაა, რომელიც შეენაცვლა დალის კულტს ყველა მისი ფუნქციით (ვირსალაძე, 1964, გვ.120-121).

ზემოთ დასახელებული ჯგირელია ერთადერთი ტერმინი როდია, სადაც ჯგირი ეპითეტს აქვს მნიშვნელობა „წმინდა“, „კეთილი“. ი. ყიფშიძის აზრით, **ჯგერეგუნა//ჯგერაგუნა** ფუტკართან დაკავშირებული ღვთაებაა და ნიშნავს „წმინდა აგუნას“. გელიავას „მეგრულ-ქართული ლექსიკონის“ მიხედვითაც, ჯგარაგუნა, ჯგერაგუნა ფუტკარისა და თაფლის წარმართული ღვთაებაა. ორი მდინარის - ჭალაყანისა და ზანის - შესართავთან (სოფ. ახუთი, ნაკიანი) მაღალ კლდეს ეწოდება ჯ(გ)არაგუნა//ჯ(გ)არაგონა. ინფორმატორმა განმარტა: კლდის ნაპრაღში სკა ბუღობს. სკის სახელს არ ამხელენ, ვაშინერს. ამიტომაც იტყვიან ჯგარაგონას. თაფლის გამოღებისას უნდა ითქვას (მეგრულად): „ჯარაგუნა დიდებულო, დაილოცოს შენი სახელი, მომეცი ამის ბედი და იღბალი, გამიმრავლე“. ამღლების დღესასწაულზე კი სკას ასე დალოცავენ: „ჯგარაგუნამ აგაშენოს“. მაშასადამე, **ჯგარაგუნა მართლაც ნიშნავდა „კეთილ აგუნას“, „წმინდა აგუნას“**. „წმინდას“ უნდა ნიშნავდეს ჯგეგ ორონიმ **ჯგეგთაშიც** (იხ. ქვემოთ). სხვა ტოპონიმებში ჯგეგ, ჯგეგე ნიშნავს „წმინდა გიორგის“, თუკი ამ სახელწოდებით აღნიშნულ ადგილზე იყო წმინდა გიორგის სალოცავი, ან მხოლოდ „წმინდას“, თუკი მას მოსდევს წმინდანის სახელი მარიამი, რომელიც ამგვარ კომპოზიტებში დასტურდება მარიონი, მარიანი, მარია ფორმით.

სამურზაყანო-სამეგრელოს ტოპონიმია ცხადყოფს, რომ: ა) ჯგეგ, ჯგეგე წმინდა გიორგის ეპითეტებია: **ჯგეგჯინჯი** - სერი აბასთუმანში. **ჯგეგ(შ)ჯინჯი** - ბორცვი წყოლუში. **ჯგეგეკარი** - უბანი და სასაფლაო, სადაც მდგარა წმ. გიორგის ეკლესია (სოფ. ბანძა). **ჯგეგვერდი//ვერდი** - ბორცვი, ნაეკლესიარი ნოღაში. **ჯგეგსუჯინა** //სუჯინამ ოხვამე - ეკლესია ლეახალეში. **ჯგეგმისარონი//წმინდა თევდორე ტირონი** - ნაეკლესიარი აბასთუმანში (ინფ.: „წმინდა თევდორე ტირონი ჯგეგმისარონი ხატის სახელია“). **ჯგეგხანგარამი** - ეკლესია ნაესაკაოში (ნ. მარის განმარტებით, ესაა „წმინდა ხანგარამი“. აკ. შანიძის ახსნა: ჯგეგხანგარამი იგივეა, რაც „წმინდა მახვილოსანი“, ანუ წმინდა გიორგი: ხანგარ, ხანჯარ სვანურში ნიშნავს ხმალს, მახვილს, ხანჯალს). **ჯგეგეცხირი//ქუაჯვარი** ოხვამე - ნაეკლესიარი ცხირში (გალის რ.). გადმოცემის მიხედვით, აქ ესვენა ხატი ჯგეგეცხირი. **ჯ(გ)ეგეცუნა** - ეკლესია ლუმურიში (ინფ.: „აქ ესვენა ხატი ცუნა//ჯგეგეცუნა,

რომელზეც გამოხატული იყო გველშაპის გამგმირავი წმინდა გიორგი. ხატი მოუპარავთ ბედის მონასტრიდან). **ჯგერაგი//მოცინარე** – ნაეკლესიარი ჩქვალერში. გადმოცემით, სვანებს აქედან გაუტაციათ წმინდა გიორგის ხატი.

ბ) ჯგეგ. ჯგეგე ნიშნავს ზოგადად წმინდანს და მიემართება წმინდა მარიამ ღვთისმშობელს, მაგრამ ტოპონიმებში უმეტეს შემთხვევაში ბგერობრივად არიან სახეცვლილნი: **ჯგემარიონი//ჯგემარიონი** – ვაკე-ბორცვი გარახაში. **ჯგამარიონი** – მორვეი, ჩანჩქერი ოჩხომურის კლდოვან კალაპოტში. რესპ.: „ამ მორვეში ყოველთვის ბევრი თევზია. ამიტომ დაურქმევიათ“ (სოფ. მოიდანახე). **ჯგემარიონი** – ბორცვი ჭკადუაში. **ჯგემა//ჯგემარიონი** – ბორცვი, სადაც დგას წმინდა მარიამის სახელობის ეკლესიის ნაშთი (მეორე მოხაში). **ჯგემარიონი//ჯგაბარიონი** – ბორცვი ნაეკლესიართა და სასაფლაოთი ბეთლემში.

ყოველივე ზემოთ ნათქვამიდან და დასახელებული მაგალითებიდან გამომდინარე, ოიკონიმ ჯგერიანის ეტიმოლოგია ასე წარმოგვიდგენია: ჯგეგემარიამი “წმინდა მარიამი” → ჯგეგემარიანი (დისიმილაციით) → ჯგერიანი (ორმაგი ჰაპლოლოგიით ამოვარდა – გე და მა – მარცვლები).

მთელი ზემოთ მოყვანილი მსჯელობა, ფაქტები, მასალა და, განსაკუთრებით, ჯგირი, ჯგეგე ფუძიანი ტერმინები თუ ტოპონიმები ცხადყოფენ, რომ **კოლხურში ქართული სალიტერატურო-საეკლესიო ენიდან „წმინდა“ ეპითეტის შეთვისებამდე ამავე მნიშვნელობით ბერძნული „აგიოს“** –ის ეკვივალენტად უკვე დამკვიდრებული იყო „ჯგირი“, როგორც უპირველესი წმინდანების – ღვთისმშობლისა და დიოკლეტიანეს მიერ წამებული ქრისტიანის – ეპითეტი.

საერთო დასკვნა: IX საუკუნის I ნახევრამდე დასავლეთი საქართველო, განსაკუთრებით, კოლხეთის ზღვისპირეთი, ბიზანტიის ძლიერ პოლიტიკურ-რელიგიურ გავლენას განიცდიდა, ეკლესიებში ღვთისმსახურება ბერძნულ ენაზე მიმდინარეობდა. ადგილობრივ ელიტარულ საზოგადოებაში ამ ენას ბევრი ძალიან კარგად ფლობდა საოჯახო თუ უმაღლესი განათლების წყალობით. მაგრამ ყველაზე აუცილებელ საღვთისმეტყველო (ქრისტოლოგიურ) ტერმინებს, როგორც ჩანს, კოლხური ეკვივალენტები მოეძებნა. მათ შორისაა ბერძნული „აგიოს“, რომელსაც შეეფარდა

ჯერ კიდევ ქრისტიანობამდელ ღვთაებათა ეპითეტად დამკვიდრებული „ჯგირი“. დროთა განმავლობაში იგი შეცვალა „ჯგერი გიორგის“ შეკვეცით მიღებულმა ჯგეგე, გეგე ლექსებმა და წარმოიქმნა სინტაგმები: ჯგეგე გიორგი, ჯგეგე მარიამი, ჯგეგე ხანგარამი... მაგრამ მას შემდეგ, რაც აფხაზეთის სამეფოს წარმოქმნის პარალელურად დასავლეთ საქართველოს ეკლესია გაერთიანდა აღმ. საქართველოს ეკლესიასთან, ეგრისშიც ღვთისმსახურება მთლიანად ქართულ ენაზე განხორციელდა და ქართულიდანვე გავრცელდა სათანადო საღვთისმეტყველო ტერმინოლოგიაც, მათ შორის წმინდანის ეპითეტი „წმინდა“ (ვარიანტებითურთ).

როგორც ტოპონიმია ადასტურებს, ისტორიული ეგრისის ჩრდ.-აღმოსავლეთ ნაწილში (რომელშიც შედის ამჟამინდელი სამურზაყანოც), უფრო გავრცელებული ყოფილა კოლხური ჯგეგე, ჯგეგე, ხოლო სამხ.-დასავლეთ ნაწილში (ამჟამინდელი აბაშისა და მარტვილის რაიონები) – ქართულიდან შეთვისებული „წმინდა“ (ვარიანტებით). მეგრული მარაშინა და ლაზური მარიაშინაც მეგრულ-ლაზურ ერთიანობის დარღვევამდე (VII-VIII სს.) არის წარმოქმნილი.

ჯგეგე, ჯგეგია პირსახელებიცაა, კერძოდ, ქვემოთ დასახელებულ ტოპონიმებში (რესპოდენტთა ინფორმაციების მიხედვით): ჯგეგიაში – ბორცვი ჯოლევიში, **ჯგეგეფაცხა** – სერი ფუქში, **ჯგეგე ეწერი** – სერი ჭაქვინჯში, **ჯგეგეჰელეთი** – ტყე კახათში. ხოლო **ჯგეგეთა** (ურთის მთის ნაწილი ზუგდიდის რ-ნში) ნიშნავს „წმინდა მთას“, ან „წმინდა გიორგის მთას“. ამ მთაზეა ეკლესია „ჯგეგე-მისარონი“, სადაც 23 აპრილს იმართებოდა „გერგობა“.

დასავლეთ საქართველოს ზღვისპირეთში ბიზანტიური (ბერძნული) ეკლესიის დომინანტობის პერიოდში სვანებსა და მეგრელებს ერთად უცხოვრიათ, რაც თვალსაჩინოდ ჩანს ზემო სამეგრელოს ტოპონიმიაშიც (ცხადია, 1986). როგორც ჩანს, სწორედ მაშინ შეუთვისებია სვანურს წმინდა გიორგის მეგრული ეკვივალენტი ჯგირი გივარგი, რასაც საბოლოოდ ჯგერაგ ფორმა მოუყვია.

§6. სამურზაყანოს აბორიგენული ტოპონიმის ლექსიკა

სამურზაყანოს ზოგი ტოპონიმი მომდინარეობს უკვე მივიწყებული ან თითქმის მივიწყებული მეგრული სიტყვიდან, რაც მათი სიტყვების ნიშანია. ასეთებია: რეფი, რეჩხი, ცხირი, დიხაგუძუბა, დიხაზურგა, ვეშკუდელი, ხუმენი, მუხური და სხვ. ამათ სამეგრელოში ორეულები მოეპოვებათ.

რეფი და **რეჩხი** მეგრულში ქვავნარი ადგილის სახელება, ოღონდ რეფი ამასთანავე ვაკე უნდა იყოს, ხოლო რეჩხი – ფერდობი. რეფი ეწოდება ოჩხომურის ქვიან-ფერდობიან ჭალას სოფ. ლესიჭინეში. გალის რაიონის სოფელი რეფიც ვაკეზეა გაშენებული. რეჩხი დარქმევია ქვავნარ ფერდობს სენაკის რ-ნის სოფ. საგაბესკირიოში და სახნავს ამავე რ-ნის სოფ. პატარა ზანაში. გალის რაიონის სოფელი რეჩხიც ქვიან ფერდობებზეა გაშენებული. მეგრულში **ცხირი** ძუის მახეა, **ცხირუა** კი – „ძუის მახის დაგება“ და „ღობვა მეჩხრად, წნელის შორი-შორს მოდებით, როცა საჭირია ვრცელი ტყის ან საძოვრის შემოსაზღვრა“ (შდრ. ქართ. ცხრილავს და ცხრილი). ტოპონიმებია: ცხირიი – ფერდობები პატარა უინოთაში, ცხირიში – ტყიანი ფერდობი ქვაითში და სხვ. ცხირი ერქვა ახლანდელი გალის აღმოსავლეთით მდებარე ვრცელ ტერიტორიას ერისწყლის ორსავე მხარეს მთა სათანჯოდან ღუმურიშამდე. ამჟამად ცხირი და ზემო ცხირი სოფლებია გალის რ-ნში. ზემო ცხირში, უძველესი ქვაჯვარის ადგილას, სასაფლაოს ეწოდება ქუაჯვარიშ ოხვამე//ჯგეგეცხირი (ქართული ცხრილი „თხელი ფიცრის რკალზე ამოკრული ტყეჩის ბადურა ხორბლეულის გასაწმენდად“ და მეგრული ცხირილი სწორედ ცხირუა ზმნის მიმღეობებია. მამასადამე, ცხრილი ქართულში ზანიზმია. დღემდე გამოცემულ მეგრულის სალექსიკონო მასალებში ცხირუა და ცხირილი არ ჩანს).

უძველეს დროშივეა წარმოქმნილი ოიკონიმები ნარჯხეუ, ლეჭარაიე, ლეცეტე (სამივე გალის რ-ნშია). **ნარჯხეუ** სოფელია ოხოჯის ზემოთში. თავდაპირველი ფორმა იქნებოდა მეგრული ნაჯიხუ „ნაციხარი“. მართლაც, სოფელში მაღალ გორაზე ძველი ნაციხარია. **ლეჭარაიე** სოფელია, ხოლო **ლეცეტე** – სერი და უბანი

ერისწყლის მარჯვ. ნაპირას. ჭარაიები და ცატავეები ახლომახლო არ ჩანან. ამასთანავე, სვანური **ლე**- პრეფიქსი მეგრულში გვართაგან აწარმოებდა ამ გვართ დასახლებული პუნქტის სახელს შუა საუკუნეებში. XVII-XVIII საუკუნეებში იგი შეცვალა ამავე ფუნქციის მქონე ქართულმა სა- თავსართმა. ეს გარემოება გვაფიქრებინებს, რომ **ლეჭარაიე და ლეცეტე უძველესი ოიკონიმებია, წარმოქმნილი აფხაზთა მიერ ღალიძგა-ენგურის შუამდინარეთის ანექსიამდე**. შესაბამისად, გალის რაიონის სოფლები და მათი სახელები საბუთბაიო, საბულისკერიო, სამამუგიო, სახახუბიო და სხვ. შედარებით გვიანდელი წარმონაქმნია, ისევე როგორც აფხაზური სოფლები და მათი სახელწოდებანი აკვარიკვა, აჩიგვარა, პატრახუწა, შაშიკვარა, კაციპაბლა და სხვ.

სამურზაყანოს (და საერთოდ სამეგრელოს) უძველეს ტოპონიმიკურ ფენას შემოუნახავს ძველი ქართულის (თუ ფუძეენის) ლექსიკური ერთეულებიც. ერთ-ერთი ასეთი სიტყვაა **ლია** „ლამი, ღრმა ტალახი, საფლობი“ (ლია - „ლერწმონთა საფლობი“: სულხან-საბა, ნ. ჩუბინაშვილი, დ. ჩუბინაშვილი). ქართული ენის დიალექტებში მას მიუღია მნიშვნელობა „გუბე, ტბორი; მოვარდნილი და დაგუბებული წყალი“ და სხვ. (ღლონტი, 1984). ენგურის მარცხენა ნაპირას სოფელს ლია ეწოდება (წალენჯიხის რ.). სამურზაყანოში ეს ფუძე ჩანს ორ მიკროპირონიმში: **ლიო** - ღელე ოჩამჩირის რ-ნში. ერთვის ტბა ონახვამს ილორში. **ოლიე** - ჭაობნარ-ისლნარი გინძე ეწერში (გალის რ.). რადგანაც ლია სიტყვის მნიშვნელობა ამაჟამად მეგრულში უცნობია, შეგვიძლია დაბეჭითებით ვთქვათ, რომ **ლიო და ოლიე უძველესი კოლხური ტოპონიმებია**.

გალის რაიონში სოფლებს ეწოდებათ **დიხაგუძბა** და **დიხაზურგა**. პირველი მათგანი მდებარეობს შავი ზღვის ნაპირას, მეორე კი ენგურ-ერისწყლის შუამდი-ნარეთში. **დიხაგუძბა და დიხაზურგა უძველესი ზანური ტერმინებია**, რომლებიც აღნიშნავენ მიწაზვინულებს, გორა-ნამოსახლარების ერთ-ერთ უძველეს სახეობებს. ისინი, ჩვეულებრივ, გარშემოვლებული თხრილითა და გალავნით იყო გამაგრებული. გორა-სამარხები განსაკუთრებით გავრცელებული იყო გვიანდელი ბრინჯაოსა და ადრინდელი რკინის ხანაში. როგორც ცნობილია, გორებზე დასახლება დაიწყო ნეოლითის ხანაში ბინადარ ცხოვრებაზე გადასვლის პარალელურად. ქსე-ში (ტ.3) ასეთი განმარტებებია მოცემული: დიხაგუძბა -

არქეოლოგიური ძეგლების ერთ-ერთი კატეგორია, ნამოსახლარი გორა კოლხეთის დაბლობზე. ზუსტად ასეა ახსნილი დიხაზურგას ლექსიკური მნიშვნელობაც. გათხრილი და გამოკვლეულია რამდენიმე დიხაგუძება ანაკლიის მახლობლად მდ. ენგურის შესართავთან (ხოშტარია, 1944; იხ. აგრეთვე: კილანავა, 1988).

გუძება, ზურგა და კურზუ სემემა ბორცვის აღმნიშვნელი თითქმის სინონიმური ლექსემებია. მართული მსაზღვრელი დიხა “მიწა” ბორცვს ალბათ მაშინ სჭირდებოდა, როცა იგი ხელოვნური იყო, ე.ი. მიწაყრილს წარმოადგენდა. მაშასადამე: დიხამ გუძება → დიხაგუძ(უ)ბა, დიხამ ზურგა → დიხაზურგა, დიხამ კურზუე → დიხაკურზუე. ესენი, ბუნებრივია, ვაკე-ბორცვებია, თავმოვაკებული შემაღლებებია. რა თქმა უნდა, ისინი გვხვდება ზღვისპირა ვაკეში და მთიანი სამეგრელოს მდინარისპირა ჭალებში.

ქვემო სამეგრელოში დაფიქსირებულია ტოპონიმები: **დიხა-გუძება** – სოფელი დიდი ნეძის თემში და ბორცვები ზუგდიდში, დღვანაში, საბაჟოში, აბასთუმანში, მუხურში და სხვ. **დიხაგუძბა** – ბორცვისებური მიწაზვინულეები ერგეტაში, ცაცხვში, ნარაზენში და სხვ. **დიხაგუზბა** – ბორცვები ბულიწყუში (1. პალოტიმ დიხაგუზბა; 2. ოტორონჯემ დიხაგუზბა). **დიხაბზუკა** – ბორცვი ბულვანში. **დიხაზურგა** – მრგვალი ბორცვები თხმელარში, გამოღმა ზანათში. **დიხაზურგე** – ბორცვები სუჯუნაში, საბესელიოში, ქ. აბაშაში. **დიხაზუგე** – შემაღლებული ადგილი წყემში. **დიხაზუკა** – დაბალი ბორცვი ქლობანში. **დიხაკურზუე // დიხაკურძუე** – ბორცვი აბაშის ნაპირას, ძიგუდერში. **დიხაძუგა** – ბორცვი პ. გურიფულში. **დიხაძუგუ** – ვაკეზვინული ახალსოფელში (სენაკის რ.). **დიხაძუგურო // დიხაზურგა** – შემაღლება რეკაში (სენაკის რ.) და სხვ.

მსგავსი გორა-ნამოსახლარები დაფიქსირებულია არა მხოლოდ კოლხეთის დაბლობის ჭაობიან და მიმდებარე ტერიტორიაზე, არამედ ოდიშის პლატოს მდინარისპირა ვაკე-ჭალებშიც: **დიხაზუკა // დიხაძუგა // ზუკა** – მცირე ბორცვი ლეფოჩხუეში; **დიხაკურზუე** – მცირე ბორცვები ლეციცხვაიეში, სერგიეთში და სხვ. **დიხაკურძულე // დიხაკურზუე** – მცირე ბორცვი ლებაჩეში და სხვ.

დაბალ გორას, ბორცვს აღნიშნავს **ზუგა** ლექსემაც (ადგილობრივთა განმარტებით, ზუგა და ზურგა “უბრალოდ მაღალი ადგილებია”). ტოპონიმებია: **ზუგა** – ვაკეშემაღლებანი ლეხანდრავოში, სირიაჩქონსა და ნაესაკავოში; **ზუგუ** – დაბალი

ბორცვი ძველ აბაშაში; **ზუგადიხა//ზუგუ//ზუკა** - ბორცვი მუხურჩაში. ამავე სოფელში ამ ბორცვიდან ერთ კმ-ზე აგრეთვე დაბალ ბორცვს ეწოდება **დიხაზუკა**. **ზუგდიდი** (← ზუგუ დიდი) და სხვ. ორიოდვე შემთხვევაში დაფიქსირებულია იმერულიდან გვიან შემოსული ზურგი ტერმინიც: **ზურგი** - შემადლება პ. ეწერში (სუჯუნის თემი); **ზურგია**- ვაკე-სერი მუხურში; **დიხა(შ)კურ-ზუე//კურკუზა** - ბორცვი აბედათში; **კურზუ** -სოფელი მარტვილის რაიონში; **კურზოკია//კურზუკია** - ბორცვი ქვ. ნაგვაზა-ვოში; **კურზუკია //კურზოკია** - სერი მ. კიწიაში; **კურზულსუკი//კურკუზია** - ბორცვი პ. კიწიაში (ადგილობრივთა განმარტები, კურზოკია, კურზულია არის დაბალი მრგვალი ბორცვი, რომელიც ხელოვნურს ჰგავს); **ძუგა** - სერები ახუთში, ხაბუშეში, ბორცვი ისულაში; **ძუგუ** ბორცვები ციხეთში, უფალკარში, ფოცხოში და სხვ. (ამ სოფლებში ძუგუს განმარტავენ როგორც მცირე დაქანების მქონე დაბალ ბორცვს); **ძუგუ(ში)** - სერი ვახაში; **ძუგმა-ღალი//ძუგუ** - ბორცვი ტყირში.

სამურზაყანოშია დადასტურებული: **დიდი დიხაგუძბა//ფა-რთო დიხაგუძბა** - მცირე შემადლება ერისწყლის მარჯვ. მხარეს. გვერდითაა **ჭიჭე დიხაგუძბა** (სოფ. ტოგონი). **დიხაგუძბა** - სოფელი გალის რ-ნში, მცირე ბორცვები - მიწაზვინულები ენგურის მარჯ. მხარეს (ზენი, ჭუბურხინჯის თემი), ხაიონის მარცხ. მხარეს (პატრახუწა, მზიურის თემი), ოხურეში (აჩიგვარის თემი) და სხვ. **დიხაგუძბა** - ბორცვები ნაჭკადუში, ქვ. ლუმურიში, აგვავერაში და სხვ. მრ. ადგილობრივთა განმარტებით, “დიხაგუძბა არის მცირე ბორცვი ვაკეზე. რომ ნახო, ხელით ნაკეთები გეგონება“. **დიხაზურგა** - სოფელი გალის რ-ნში. **კურზულე** - დაბალი მრგვალი ბორცვი ქვ. ლუმურიში. ინფ.: “კურზულე იმიტომაა, მრგვლადაა შეჭრილი მდინარე ფართოღალის რკალში და სამ მხრივ ფერდობები ეშვება“. **კურკუცა** - ბორცვის სახელები მ. შეშელეთში, სამელაიოში, ილორგანში და სხვ.

ძველი (და ახალი) ქართულის კუთვნილებაა **ველი** „ყანა, აგარაკი, ველობი, მინდორი“ (აბულაძე, 1973). ეს სიტყვა მეგრულში შემონახულია **ვე** ფორმით. ი. ყიფშიძე, რომელიც მას განმარტავს როგორც „ , „, მიუთითებს ამოსავალ **ველ**- ფორმაზეც. პ. ჭარაიას ლექსიკონის მიხედვითაც, ვე არის “ველი, მინდორი“. ტოპონიმურ მასალაზე დაკვირვებამ და მეგრულის კარგად მცოდნე

ხანდაზმულთა განმარტებებიდან გამომდინარე, ვე არის არა ყოველგვარი მინდორი, არამედ **პატარა მინდორი ტყეში**. სამეგრ- ელოში ორ ათეულამდე ტოპონიმში ჩანს ლექსემა ვე. მათ შორისაა: ვედიდკარი – სოფელი მარტვილის რ-ნში. ოიკონიმისათვის ამოსავალია ადგილის საკუთარი სახელი ვედიდი, რაც ვედიდს ნიშნავს. ინდიკატორი კარიც ხშირია ამ რეგიონის ტოპონიმიაში. მიკროტოპონიმებია: ვეგირდე „ველგრძელი“, ვეგიძე „ველგრძელი“, ვეჭვვე „ვიწრო ველი“, ვეჭინჯი „ველისძირი“, დიდვე „დიდველი“ და სხვ. შესაძლოა აქვე განვიხილოთ ვერჩეც, რომელსაც აგრეთვე განმარტავენ როგორც მცირე მინდორს ტყეში. **ვერჩე** ალბათ „ველთეთრს“ ნიშნავს: ეპითეტი თეთრი „სინათლი- ანის“ მნიშვნელობით კიდევ შეეფერება ტყეშემორტყმულ მზიან- ჩრდილიან ველობს.

სამურზაყანოში დაფიქსირდა ვე ლექსემის შემცველი ტოპო- ნიმები: **ვეშკუდელი** – სოფელი ოტობაიის თემში, ენგურის მარ- ჯვენა ნაპირას (როგორც გადმოსცემენ, თავდაპირველად ვე ერქვა ენგურის რკალში მოქცეულ ვაკეს); **ვე** – ფართო მინდორი წკ- ელკარში (ხოლე); **ვერჩე** – ვაკე-სახნავები პ. შეშელეთსა და ზენში (დიხაზურგის თემი), მცირე მინდორი ჭიჭე აკიბოში (მთა). **დიდვე** და **ბიაშვე** მინდვრები რეჩხში.

ქართველურ გეოგრაფიულ სახელწოდებათა სიძველის ერთ- ერთი ნიშანი არის ატრიბუტული მსაზღვრელის პოსტპოზიცია. რამდენიმე საუკუნეს მაინც ითვლიან ისეთი ტოპონიმები, რო- გორიცაა: **ცუმურხუმლა** „გამხმარი ტყემალი“ – ფერდობი სოფ. რეჩხში; **ღალხუმლა** „მშრალღელე“ – ერისწყლის მარცხ. შე- ნაკადი ქ. გალში და ამავე მდინარის მარჯ. შენაკადი სოფ. ფართონოხორში; **ჭყონხუმლა** „გამხმარი მუხა“ – სოფელი ჭუბურხინჯის თემში; **ნეძ/ი/ფარა** „ღრუ კაკალი“ – ღელე-ხეობა სოფ. მ. კოპიტში და ბუჩქნარი სოფ. ფართონოხორში; **მამულკვა- თილი** „გაკაფული ბაღვენახი“ – სახნავი სოფ. რეჩხში; **ჭყონკაკირი** „ნაჭდევი მუხა“ – ტყე სოფ. აჩიგვარაში და სხვ. თუ დავაკვირდებით, ადვილად შევამჩნევთ, რომ პოსტპოზიციურ მსაზღვრელიან ტოპონიმთა უმეტესი ნაწილი სწორედ მთიან-ბორცვიან, ე. ი. უძველესი დასახლებების ზონაზე მოდის.

§7. სამურზაყანოს ჰიდრონიმია ერთი ზოგადტოპონიმიკური კანონზომიერების ფონზე

მსოფლიოს მრავალი ხალხის გეოგრაფიულ სახელწოდებათა შესწავლის საფუძველზე იქნა დადგენილი ერთ-ერთი ზოგადტოპონიმიკური კანონზომიერება: დიდი ობიექტების, განსაკუთრებით კი მდინარეთა, სახელები, როგორც წესი, საუკუნეებში ცოცხლობენ, უძლებენ მოსახლეობის ეთნიკურ ცვლასაც კი. ეს დებულება ზედმიწევნით მიესადაგება სამურზაყანოს ჰიდრონიმიასაც. ენგურ-ღალიძგის შუამდინარეთის დიდი მდინარეების (ადგილობრივი მასშტაბით) და მათი მნიშვნელოვანი შენაკადების სახელწოდებანი მხოლოდ და მხოლოდ მეგრული ენის მეშვეობით აიხსნება. ზოგიერთ მათგანზე უკვე ვისაუბრეთ (ღალიძგა, ოქუმი, წარჩე, ერისწყალი, ჩხორთოლი). მათ რიგში მოექცევა: ანარია, ოტაფე, ოხოჯე, ოხურეი, ოჯოდორე, ნიშონი, ქვიმონა, ოლიე და სხვ.

ანარია სოფელია გალის რაიონის გუდავის თემში, ოხურ-ეიწყარის მარცხ. მხარეს (ქსე-ს I ტომში შეცდომითაა მითითებული, რომ ანარია არის სოფელი მდ. ოქუმის მარცხ. ნაპირზე). აქედან გადის და ოხურეიწყარს ერთვის ანარია (//ანარიაწყარი). ანარია არის აფხაზური ვარიანტი მეგრული სახელწოდებისა ონარია. ესაა დანიშნულების გაგების შემცველი მიმღეობა ზმნისა **ინარუუ** „ირწევა, ირყევა, ინძრევა; ლივლივებს (ტალღა)“. ონარეი შეიძლება ლაქაშმოდებული ჭაობი იყოს, რომელიც ნაპირზე ფეხის დადგმისას ირყევა, ინძრევა, ირწევა, ან ტბა, რომელიც ქარის მცირე დაქროლებაზე ტალღებს არწევს, ალივლივებს. სამეგრელოში **ონარია** ეწოდება ვრცელი ტორფნარ-ჭაობნარს ქ. ზუგდიდის სამხრეთ-დასავლეთით, სოფ. ჭითაწყარში და სახნავს გურძემიის მარჯ. მხარეს, მოხაშში. სამურზაყანოს ანარიაც (← ონარეი) ნაჭაობარია (იხ. ამის შესახებ ვრცლად: ცხადაია, 1999, გვ. 13-14). მაშასადამე, ეს სახელწოდება წარმოიქმნა როგორც ჰელონიმი, ან როგორც ლიმონიმი (მეგრულში „ნარი“ მცენარეცაა. მეორე მხრივ, ანარა, რაც მთა-საძოვრის სახელია აკიბოს მთაზე, არის აფხაზური ანარა და ნიშნავს ფერდობს).

ოტაფე (აფხაზ. ვარიანტი: ვატაფე) ეწოდება ღალიძგის მარცხ. შენაკადსა და მის ხეობას (სოფ. ატიშადუ, საჩაჩხალია –

ოჩამჩირის რ.). სათავე აქვს ნარჯხეუს კალთაზე. ამოსავალი ფუძე უნდა იყოს ტაფა(//ტაფაქუა), რაც მეგრულში ნიშნავს ფართო ბრტყელ ქვასაც და სალ კლდეცაც. ო- დანიშნულების სუფიქსია. ოტაფის ზემო წელის ორსავე მხარეს სალი კლდეებია. მეორე მხრივ, მეგრულ ოტოფე “თევზის ტობობის ადგილი“ ფორმასაც შეეძლო აფხაზურში მოეცა „ვატაფ“. მეგრულის მცოდნე აფხაზი ინფორმატორის განმარტება ასეთია: „ტაფ არის თევზი. ვატაფი სატოფე მდინარეა, თევზი ღალიძგიდან ამოდის ქვირითის დასაყრელად“.

ოხოჯეც მდინარეა. იწყება ლაშქინდარ-ოისირის კალთაზე, სოფელ აძხიდის თავზე. ერთვის ოქუმს მარჯვ. მხრიდან, სოფ. ბულ-ნიშინჯში. მეგრულად ნიშნავს „სახარეს“. სამეგრელოს ტოპონიმი-ისათვის ტიპურია ასეთი სახელწოდებანი: ოხოჯე, ოხოჯია, ოხოჯინა, ოხოჯური და სხვ. ოხოჯისა და ქოდეის შესართავთან მდებარეობს სოფელი ოხოჯა (ოჩამჩირის რ. აგუბედიის თემი). ადგილობრივი ვარიანტია სახოჯა (ამჟამად ცხოვრობენ ხოჯავეები).

ოხურეი – მდინარე. იწყება პატრახუწასა და რეკაში. სიგრძე 25 კმ-მდეა (ქსე-ს მიხედვით). ერთოდა ანარიას მარჯ. მხრიდან, რის შემდეგაც ზღვამდე, კერძოდ, ყურე ცორკამდე ორივე სახელს ატარებდა (არხით გადაუშვეს ღალიძგაში და მის უწინდელ კალაპოტს შეერქვა ჯვეშ ოხური). როგორც ჩანს, ოხურეი უწინ იყო სახელი ვრცელი ტერიტორიისა ოქუმსა და ღალიძგას შუა, სადაც ამჟამად არის სამი სოფელი სამ თემში (გალის რ-ნის აჩიგვარისა და გუდავის თემებში და ოჩამჩირის რ-ნის ილორის თემში), აგრეთვე პირველი ოხურეი, მეორე ოხურეი (ოჩამჩირის რ-ნის ოხურეის თემში). ქ. ლომთათიძის ეტიმოლოგიით, ოხურეი მეგრული ოხორი “სამოსახლო“ ფორმის ვარიანტია (ხალხური ეტიმოლოგია: აქ იყო ჭაობნარი, იცოდა ხურება და ამიტომაც დარქმევია ოხურეი). იგი იქცა იმ მდინარის სახელად, რომელიც აქ გაედინება (ადგ. ვარიანტი: ოხურეიწყარი).

ოჯოლორე/ოჯოლორეწყარი იწყება ქ. გალის ჩრდილო-აღმოსავლეთით, ჩაუვლის მზიურს, შაშიკვარას, რეფი-ეწერს და თხინაშკარში ერთვის ხუმუშქურს მარჯვნიდან. ამის შემდეგ მდინარე ატარებს ორსავე სახელს, უხვევს სამხრეთით, მიჰყვება ზღვისპირს და ერთვის დიდგაგიდას... ტოპონიმი ასახავს ერთ საყოფაცხოვრებო ჩვევას: უწინ სოფლის განაპირას ჰქონიათ ამორჩეული საგანგებო ადგილი, ჩვეულებრივ, ღრმა ხევი, ქარაფი, კარსტული ჭა, სადაც გადაადგებდნენ ხოლმე მკვდარ ძაღლებს.

სწორედ ეს იყო ოჯოლორე „საძაღლე“. სამეგრელოში რამდენიმე ობიექტი ატარებს ამ სახელწოდებას.

ხუმუშქური სათანჯოს კალთებიდან ჩამოედინება და თხინაშკარში ერთვის ოჯოლორეს მარცხ. მხრიდან (ქსე-ში მითითებულია: „გაგიდის მარცხ. შენაკადი“). მის ნაპირას მდებარე სოფელსაც ხუმუშქური „ხმელი ვაშლი“ ეწოდება. ფიტონიმი (ცალკეული ხის საკუთარი სახელი) ხშირად ქცეულა უფრო დიდი ობიექტის – სოფლის, მთის, მდინარის – სახელად (მაგალითად: ხემაღალი – სოფელი ხარაგაულის რ-ნში, მსხალდიდი – სოფელი მცხეთის რ-ნში, ჯალრა „ღრუ ხე“ – სოფელი წალენჯიხის რ-ნში, ჭყონხუმლა „გამხმარი მუხა“ სოფელი გალის რ-ნში და სხვ). ხალხური ეტიმოლოგია: ა) ხუმუ მოკლეს აბრაგებმა ვაშლის ძირას და სწორედ ამ ვაშლს უწოდეს ხუმუშ უშქური; ბ) ხუმუ იყო აბრაგი, დასდევდნენ დასაჭერად. ერთი ქუსლი მრუდე ჰქონია, ნაფეხური უცვნიათ და უთქვამთ: „ა, ხუმუშ ქური“; გ) გამხმარი ვაშლის ხიდი ყოფილა ღელეზე გადებული.

სამურზაყანოს უფრო მცირე მდინარეებია: **ქვიშონა** (მეგრ. „ქვიშნარი“) – ერისწყლის მარცხ. შენაკადი ქ. გალში, **ნიშონი** (მეგრ. „სანავე“) – ერისწყლის მარჯ. შენაკადი პირველ შეშელეთში, **ქოღეი//ქვადი** – ოხოჯის მარჯ. შენაკადი სოფ. აყვარაში (შდრ. ქუაღეე – მდ. ნოდის მდგენელი მარტილის რ-ნის სოფ. ნახუნ-აოში), **ჩელალ** „თეთრი ღელე“ – ოხურეის მარჯ. შენაკადი (აფხაზური აყვარაში თარგმანი ჩანს) და სხვ.

მაშასადამე, სამურზაყანოს დიდ (შედარებით დიდ) მდინარეთა და მეტად თუ ნაკლებად მნიშვნელოვანი შენაკადების სახელები მხოლოდ და მხოლოდ მეგრული წარმომავლობისაა. აშკარაა, რომ ისინი, ისევე როგორც ისტორიულ წყაროებში დამოწმებული და წინა პარაგრაფებში გაანალიზებული სახელწოდებანი, მათ შორის ღალიძგა, სამურზაყანოს ტოპონიმის უძველეს ფენას განეკუთვნება და შექმნილია აბორიგენტთა მიერ მე-17 საუკუნის დამლევამდე (როცა იწყება რეგიონის მოსახლეობის ძალისმიერი ეთნიკური ცვლა). როგორია ამ თვალსაზრისით ამ მდინარეთა მცირე-მცირე შენაკადების სახელები?

წყარო-ნაკადულთა სახელები სამურზაყანოს მთაში ძირითადად აფხაზური წარმომავლობისაა (ბარში – იშვიათად). მაგალითად, მდინარე ოქუმს ოქუმაფსთაში (აფხაზ. „ოქუმის ხეობა“) ქმნიან მიკრომდინარეები: აბზაკვარა, არაშკვარა, აპაკვარა, აპუ-

გარა, აფსრაკვარა, აშთგრცა, აჩადარა, ახვაწკვარა, ბაქალძიხი, მარშანკვარა, თყვამ ღალ, ბებლაღალ, უჩა ღალ (მხოლოდ ბოლო სამი სახელწოდებაა მეგრული); მდ. წარჩის მდგენლებია: ათუაძარა, ალრა, ყვარათბა (ყველა სახელწოდება აფხაზურია); მდ. ოხოჯის მდგენლებია: აშანწაკვარა, აცგღმუა, კუხაიკვარა და აძხიდა. ისინი ერთდებიან არშაარხუში. მთლიანად აფხაზურია ღალიძგის ზემო ღინების შენაკადების სახელებიც.

აფხაზი მკვლევარი ხ. ბლაჟბა აღნიშნავს: აფხაზეთის ტოპონიმიში გამოიყოფა ქართული და ზანური ფენა ძირითადად კოდორიდან ენგურამდე. ოჩამჩირის რ-ში მთის საძოვრებისა და მღინარეთა სახელებში აშკარაა აფხაზური ელემენტი... მაგრამ დასახლებული პუნქტებისა (მათ შორის დიდი ობიექტების) და მღინარეთა სახელები ზოგ შემთხვევაში ინარჩუნებენ ზანურ იერს, რაზეც მეტყველებენ ტოპონიმები: ცხენიწყარი, წყურგილი, პაპა-წყური, ჩხუართალი (მეგრული ჩხორთოლიდან), ჩხოროწყუ, ბეღია, სათამაშა, ოჩამჩირე, ღალიძგა, სვანურენოვანი ცხუმი. ხოლო „გალის რაიონში აფხაზური ტოპონიმიკური ფენა (თუმცა კი აშკარად იგრძნობა მთიან ზოლშიც და ბარშიც) თხელდება და ადგილს უთმობს ზანურს“ (ბლაჟბა, 1974, გვ.180). ფაქტი ძირითადად სწორადაა შენიშნული, მაგრამ არაფერია ნათქვამი პრინციპულ საკითხზე: **ქართველური ფენა ამ რეგიონში უწინარესია, აბორიგენტა მიერაა შექმნილი, ხოლო აფხაზური ფენა გვიანდელია**, აფხაზთა მიერ კოდორ-ენგურის შუამღინარეთის დაპყრობისა და, შესაბამისად, მოსახლეობის ეთნიკური ცვლის დაწყების შემდგომდროინდელი (იხ. მომდევნო პარაგრაფი). ამასთანავე, ზემოთ მოყვანილ ციტატაში ფრაზა „აშკარად იგრძნობა“ () ძირითადად მხოლოდ მთის მიკროტოპონიმიას შეეხება. ამას თავისი ახსნა მოეპოვება. მთავარი ისაა, რომ აფხაზური ტოპონიმიური ფენა კი არ „უთმობს“ ადგილს ზანურს, არამედ პირიქით: **ამ კუთხეში აფხაზთა დამკვიდრების შემდეგ საგრძნობლად შეთხელდა ზანური მიკროტოპონიმი.**

დასკვნები: 1. სამურზაყანოს ღიდ (ადგილობრივი მასშტაბით) მღინარეთა და მათი მნიშვნელოვანი შენაკადების სახელები (ღალიძგა, ოქუმი, ერისწყალი, წარჩე, ოხურეი, ოხოჯა, ოჯოდორე, ანარია, ნიშონი, ქვიშონა, ვატაფი, ოლიე) მხოლოდ და მხოლოდ მეგრული წარმომავლობისაა და შექმნილია აფხაზთა მიერ ამ მხარის

ანექსიამდე (არის წარუმატებელი ცდა ზოგი ამ ჰიდრონიმის აფხაზური ენის მონაცემებით ახსნისა).

2. სამურზაყანოს დიდ მდინარეთა მდგენლებისა და მცირე შენაკადების სახელები, განსაკუთრებით მთიან ზონაში, თითქმის მთლიანად აფხაზურია, რასაც ზოგი მკვლევარი მიიჩნევს ამ რეგიონში აფხაზთა აბორიგენობის საბუთად. არის კი პირიქით: დიდ მდინარეთა სახელები ათასწლებში ცოცხლობენ, უძლებენ მოსახლეობის ცვლასაც კი, ხოლო მცირე ობიექტები ხშირად იცვლიან სახელს. ამასთანავე, ერთი მხრივ, მთის წყარო-ნაკადულებისათვის სახელები შერქმეულია მწყემსების მიერ, ხოლო მეორე მხრივ, ბარში აფხაზური წარმომავლობის მიკროჰიდრონიმები თავმოყრილია აფხაზთა კუნძულებრივი დასახლებების ან მათი საზამთრო საძოვრების გარშემო (აკვარიქვა, შაშიკვარა, ალაფხარა...).

§8. სამურზაყანოს ქართველურ და აფხაზურენოვან ტოპონიმთა პრონოლოგიური ურთიერთმიმართება

უძველესი დროიდან ცხუმის სამხრეთით ენგურამდე აბორიგენ მოსახლეობას მხოლოდ ქართველური ტომები (ქართველები, სვანები, ზანები) წარმოადგენდნენ, ხოლო აფხაზთა მიერ ამ რეგიონის ძალდატანებითი ეთნიკურ-ტერიტორიული ათვისება მხოლოდ მე-17 საუკუნის ბოლო ათწლეულებიდან იწყება, ამაზე უწინარეს შექმნილი აფხაზურენოვანი ტოპონიმების ძიება აბჟუასა და სამურზაყანოში ისევე უპერსპექტივოა, როგორც შავი კატისა ბნელ ოთახში, მით უმეტეს, თუ იგი იქ არც იმყოფება. მიუხედავად ამისა, შ. ინალიფა თამამად აცხადებს, რომ მზიმთის აუზიდან თითქმის მდინარე ენგურამდე ტოპონიმთა ანალიზი „ცხადყოფს, რომ აფხაზი ტომები წარმოადგენდნენ მთელი ამ ტერიტორიის ძირითად მაცხოვრებლებს“ (ინალიფა, 1976, გვ.381). ხოლო სამხრეთ-აღმოსავლეთ აფხაზეთის განაპირა ნაწილში ქართული გეოგრაფიული სახელების სიჭარბეს ხსნის როგორც აფხაზეთ-საქართველოს გაერთიანებული ფეოდალურ-მონარქიული სახელმწიფოს არსებობისა და ბატონყმურ ექსპლუატაციისა თუ უმწიფობას გამოქცეულ მეგრულ გლეხთა სამხრეთ აფხაზეთში მასო-

ბრივი გადასახლების შედეგს, რამაც გამოიწვია გეოგრაფიული ნომენკლატურის შეცვლა და საზღვრისპირა ზოლში „შედარებით გვიანდელი ქართული ელემენტის“ წარმოქმნა. აქვე, მოიშველიებს რა ეთნოგრაფ ნ. ალბოვის „დაკვირვებას“, შ. ინალიფა ერთხელ კიდევ დაბეჯითებით ირწმუნება: „

“ (იქვე, გვ. 382).

დააკვირდით: **ადგილობრივი ქართველობა გვიან მოსულ მოსახლეობად არის მიჩნეული, ხოლო გვიან მოსულ აფხაზებს აბორიგენი მოსახლეობის მანტია აქვთ მოსხმული.** სწორედ ამაზე შეიძლება ითქვას, რომ ყველაფერი თავდაყირაა დაყენებული და სასურველი სინამდვილედაა წარმოდგენილი.

სამურზაყანოში აფხაზთა აბორიგენობის „დასაბუთებას“ აფხაზი მკვლევრები ცდილობენ ზოგი ტოპონიმის გაუმართლებელი ინტერპრეტაციით, რაზეც ზემოთ გვქონდა საუბარი. სამურზაყანოს ისტორიული ტოპონიმების ეტიმოლოგია შესაძლებელია მხოლოდ ქართველური ენების მონაცემებით (ან მათ მოეპოვებათ ორეულები საქართველოს სხვა მხარეებში). ყოველ შემთხვევაში, აფხაზური ენის მეშვეობით ვერც ერთი მათგანი ვერ ამოიხსნება დამაჯერებლად.

ამასთანავე, სამურზაყანოში მოიპოვება მრავალი აფხაზური ტოპონიმი როგორც ღალიძგის მარცხენა ნაპირას (ოჩამჩირის რანის სოფლები), ისე გალის რაიონშიც. აშკარაა, რომ ისინი წარმოქმნილნი არიან XVII საუკუნის შემდგომ პერიოდში, როცა აფხაზებმა დაიწყეს დამკვიდრება დაპყრობილ ტერიტორიაზე. აგუბედიის, ილორის, ოხურეის, რეკის, ტყვარჩელის, ფოქვეშის თემებში აშკარად აფხაზურენოვანია სოფლის სახელები: აძხილა, ახეცარა, აჯრა, პატრახუწა, აყვარაში (ალბათ მეგრული ჩეღალის თარგმანია), ატიშადუ, აყვარჩაფანი, კაციჰაბლა... აშკარად მეგრული წარმომავლობისაა: ნარჯხეუ, ოხოჯა, ქვალონი, ილორი, ზენი, ნაგვალაუ, ოხურეი, სუკი, ილორგანი, საჩინო, რეკა, ჯგერიანი (← ჯგერი მარიამი „წმინდა მარიამი“), ტყვარჩელი, ფოქვეში, საჩაჩხალია.

გალის რაიონში ცხრა ათეულამდე სოფელია. მათგან აფხაზურ სახელს ატარებს მხოლოდ რამდენიმე: აჩიგვარა, აგვავერა, ლეკუმხარა (სიტყვა ლეკუმხა „ხეჭრელი“ მეგრულიდანაა შე-

თვისებული აფხაზურის მიერ), პატრახუწა, შაშიკვარა, აკვარიკვა. დანარჩენი სახელწოდებანი ქართველური (ძირითადად მეგრული) წარმომავლობისანი არიან. დასახელებულ ექვს სოფელში მოსახლეობა ამჟამად ძირითადად ქართულია (გალის რ-ნში აფხაზთა კომპაქტური დასახლება და აფხაზური ოთხწლიანი სკოლა არსებობდა მხოლოდ ჩხორთოლში). ამასთანავე, ეს სოფლები ქართულ-სახელწოდებიან სოფლებს შორისაა მოქცეული. მაგალითად, ქ. გალის დასავლეთით ერთმანეთის მეზობლად მდებარე სოფლებს ეწოდებათ პატრახუწა, შაშიკვარა და აკვარიკვა. როგორც ჩანს, აქ აფხაზებს ე. წ. კუნძულებრივი დასახლებანი ჰქონდათ.

დაუსახლებელ ადგილებს აფხაზები საძოვრებად იყენებდნენ (როგორც სამეცნიერო ლიტერატურაშია მითითებული, XVII-XVIII საუკუნეებში აფხაზები ძირითადად მესაქონლეობას მისდევდნენ, მაშინ როცა მეგრელთა ძირითადი საქმიანობა მიწათმოქმედება იყო). ამის შედეგად გაჩნდა სამურზაყანოს ბარში ცალკეული აფხაზური მიკროტოპონიმები. მაგალითად, ერწყარის მარჯვენა მხარეს (მ. შველეთში) ვრცლად გაშლილ ვაკე-სახნავეებს ეწოდება **ბოშინიაგლართა**. ეს ის ადგილია, სადაც აფხაზი მწყემსი ბოშინია მდგარა თავისი საქონლით. ამ აფხაზური სახელწოდების „გამეგრულების“ ცდა გვაქვს მითში „ბოშინია გილართა და ტყაშიმაფა“, სადაც აფხაზური სიტყვა გილართა „სადგომი“ გადააზრებულია როგორც მეგრული სიტყვა გილართ „იარა“. სახელდების მოტივი ასეა ახსნილი: ბოშინიას აქ, მუხნარში, უყვარდა სანადიროდ სიარული, ხოლო გილართა ნიშნავს „მოსიარულეს, მეთვალყურეს“ (ცანავა, გვერდწითელი, 1994, გვ.267).

წინა პარაგრაფში უკვე აღნიშნულია, რომ სამურზაყანოს მთების მიკროტოპონიმია ძირითადად აფხაზურია. ესაა საძოვრებისა და მცირე მდინარეთა სახელები. ამაზე მიუთითებს ხ. ბლაჟბაც, მაგრამ მისთვის დიდ მდინარეთა სახელები მხოლოდ „ზოგ შემთხვევაში“ ინარჩუნებენ ზანურ იერს. ამასთანავე, ავტორი არაფერს ამბობს პრინციპულ საკითხზე: ქართველური ფენა აღნიშნულ რეგიონში უწინარესია, აბორიგენტთა მიერაა შექმნილი, ხოლო აფხაზური ფენა გვიანდელია, აფხაზთა მიერ კოდორ-ენგურის შუამდინარეთის დაპყრობისა და, შესაბამისად, მოსახლეობის ეთნიკური ცვლის დაწყების შემდგომდროინდელი.

მთის მიკროტოპონიმიაში აფხაზური ტოპონიმების სიჭარბეს ახსნა მოეპოვება. ცნობილი ეთნოგრაფი თ. სახოკია, რომელმაც

XIX ს. დამლევს იმოგზაურა სამურზაყანოს მთასა და ბარში, წერდა: „ანარისა და იმის იქით მდებარე მთების იალაღზე, სვანეთის საზღვრამდე, მიუღით საქონელი თითქმის მთელ სამურზაყანოსა და აბჟუას მწყემსებს“. ფაქტობრივად, ეს ტერიტორია არის აკიბის ქედი (ღალიძგის ზემო დინებისა და ენგურის ხეობის წყალგამყოფი, სადაც 1970 და 1980 წელს ჩავიწერეთ 500-მდე მიკროტოპონიმი). ამ ქედის აღმ. ნაწილში, სადაც საქონელს ძირითადად საბერიოს, ლეკუხონის, რეჩხის, ლუმურიშის, ოქუმის (აგრეთვე წალენჯიხის რანის სოფლების) მწყემსები მიერეკებოდნენ, ადგილთა სახელწოდებანი თითქმის მთლიანად მეგრულია. ამ ქედის დასავლეთ ნაწილში საძოვრები აქვთ ჩხორთოლის, ბედიის, ფოქვეშის და აბჟუის მწყემსებს და, შესაბამისად, მიკროტოპონიმიაც აფხაზურია. საკუთრივ აფხაზ მწყემსებს აკიბის ქედის მეტი ტერიტორია ეკავათ, რაოდენობრივადაც მეტნი იყვნენ, მეტი თიფუც (ბინა) ჰქონდათ და მთებსაც, საძოვრებსაც, ხეებსა თუ წყარო-ნაკადულებს უმეტესად აფხაზური სახელები შეერქვა (არაა იშვიათი ჰიბრიდული – მეგრულ-აფხაზური – მიკროტოპონიმებიც). ამ რეგიონის მეგრულ მწყემსთა ლექსიკაშიც უხვად შეიჭრა აფხაზური სიტყვები. ზოგ მათგანზე თ. სახოკიამაც გაამახვილა ყურადღება: აფუნი „გაზაფხული“, აშვამკიათი „ჯამ-ჭურჭლის დასალაგებელი თარო“, პუშტა – „ტახტი“ და სხვ. (მეგრულ-აფხაზურ ლექსიკურ ურთიერთობაზე იხ. აგრეთვე: ბუკია, 1999; ბუკია, 2001 და სხვ.).

როგორც ზემოთ დავრწმუნდით, სამურზაყანოს დიდ მდინარეთა და მათი მეტად თუ ნაკლებად დიდი შენაკადების სახელები მხოლოდ მეგრულია (ღალიძგა, ოქუმი, ერწყყარი, ოხოჯა, წარჩე, ოჯლორე, ანარია, ნიშონი, ქვიშონა, ოტაფე და სხვ.), მათი მცირემცირე შენაკადები კი, ძირითადად მთაში, უპირატესად აფხაზურ სახელებს ატარებენ.

ძირითადი დასკვნა: **სამურზაყანოს აფხაზურენოვანი ტოპონიმია გვიანდელია, წარმოქმნილია ბოლო 2-3 საუკუნის მანძილზე (ე. ი. აფხაზთა მიერ ენგურ-კოდორის შუამდინარეთის ანექსიის შემდეგ), მაშასადამე, წარმოადგენს სუპერსტრატს და, ამდენად, ამ რეგიონში აფხაზთა უძველესი განსახლების საბუთად ვერ გამოდგება.** მეორე მხრივ, სამურზაყანოს ისტორიული, XVII საუკუნეზე ადრინდელი, სახელწოდებანი, რომელთა ნაწილი ქართულ და უცხოურ წერილობით წყაროებშია

დამოწმებული, მხოლოდ და მხოლოდ ქართველურია, ე.ი. შექმნილია აბორიგენი მოსახლეობის, ანუ მეგრელთა, მიერ.

§ 9. აფხაზთა და იმერელთა თანამედროვე ენოლოგიაში-ტირიტორიული საზღვარი და ტოპონიმიკური ინტერფერენცია

XIV-XVI საუკუნეებში აფხაზთა (თვითწოდებით: აფსუათა) და ქართველთა (ეთნოგრაფიულ-ენობრივი თვალსაზრისით – მეგრელთა) ეთნიკურ-პოლიტიკური საზღვარი კელასურ-კოდორის აუზს ემთხვეოდა. ამას მრავალი ავტორი (ქართველი თუ უცხოელი) ადასტურებს. აღწერს რა კოლხეთის მდინარეებს, არქ. ლამბერტი საგანგებოდ აზუსტებს: „ყველაზე უკანასკნელი მდინარე არის კოდორი, რომელიც უნდა იყოს (ძველთა) კორაქსი, როგორც ფაზისი ჰყოფს სამეგრელოს გურიისაგან, ისე კორაქსი ჰყოფს მას აფხაზეთისაგან, და როგორც ფაზისის გაღმა მეგრული იცვლება ქართულით, ისე კორაქსის გაღმა – იცვლება აფხაზურად. აქედან ცხადია, რომ მეგრელების კოდორი ძველებური კორაქსია, რადგან კოდორს გადაღმევე ცხოვრობენ აფხაზები თავისის განსაკუთრებულის ენით“ (ლამბერტი, 1991, გვ. 163).

XVIII საუკუნემდე კოდორსა და ენგურს შორის რომ მხოლოდ ქართველები ცხოვრობდნენ, ამას ადასტურებს ბიჭვინთის საკათალიკოსოს საბუთები, სიგელ-გუჯრები, აფხაზეთის სულთა მატეანეები. ამ საისტორიო წყაროებში დასახელებული 250-ზე მეტი გვარსახელიდან სამის გარდა (ისიც მეგრული -ია დაბოლოებით: შამბაია, ზვანბაია, ლაკირბაია) ყველა ქართულია, ძირითადად მეგრული (მიბჩუანი, 1995).

XVII საუკუნის მეორე ნახევრიდან (ფაქტობრივად, ლევან II დადიანის გარდაცვალების შემდეგ) იწყება კოდორ-ენგურის შუამდინარეთის ინტენსიური ეთნიკური ათვისება აფხაზებისა და მათი მონათესავე ტომების მიერ. ოდიშში სამისიონერო ფუნქციით მყოფი ძამპი 1674 წელს რომს ატყობინებდა: „სამეგრელო აღარ არსებობს... დაქცეული და აოხრებულია... მუდამ აფხაზების თავდასხმის შიშშია... ალანები, ჩერქეზები, ჭიჭები და აფხაზები იკლებენ ამ ქვეყანას და აწუხებენ ერსა და პატრებს“ (თამარა-

შვილი, 1902, გვ.204-207). როგორც ჩანს, ძირძველი მოსახლეობის აყრა-აწიოკება და გაყიდვა იმის შემდეგაც გრძელდებოდა, რაც აფხაზთა დაპყრობითი ომი დამთავრდა. 1706 წელს დაწერილ შეწირულობის წიგნში კათალიკოსი გრიგოლ ლორთქიფანიძე აღნიშნავს: „ნაჟანევს (აიგივებენ სოფ. ოტობაიასთან – პ. ც.) სოფელი საკათალიკოზო... აფხაზისაგან აყრილიყო, ყვავ შერვაშიძეს (მურზაყან შერვაშიძის მამაა – პ.ც.) სხვა დაეყიდა და ექუსი მოსახლე ყავდა... რომ შერვაშიძე მოკუდა, მივედით ჩუენ და ნიშანიც მართებული ავიღეთ და ექუსი მოსახლე კაცის მეტი აღარიყო და ის წამოვიყვანეთ მისის ყოვლისფერთა“. ამ მოსახლეთა გვარები ყოფილა: ღრუბელაია, ელიშია, კოდუა, ჯგუბურია, სუბუქია, ბიგვაა (ქსძ, III, გვ. 647). ამ პერიოდშივე ხდება გარკვეული ეთნიკური ცვლილებები ოდიშის სამთავროსათვის წართმეულ ტერიტორიაზე, განსაკუთრებით, აბჟუსა და სამურზაყანოს ჩრდილოეთ ნაწილში. ყოველივე ამან მკვეთრად შეცვალა დემოგრაფიული სიტუაცია: დახოცილი, ტყვედ გაყიდული თუ განდევნილ მეგრელთა დაცარიელებულ სამოსახლოებს მოაშურეს ჩრდილო-აღმოსავლეთით მცხოვრებმა „მეზობლებმა“. ამას რუსი ავტორებიც აღნიშნავენ.

სამურზაყანოს მოსახლეობის ნარევაობაზე მრავალი მკვლევარი მიუთითებს. XIX საუკუნის რუსი კავკასიოლოგი ა. დიაჩკოვ-ტარასოვი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ აფხაზები (გულისხმობს აფსუებს) „ჩრდილოეთიდან მოვიდნენ, შეავიწროვეს ქართველური ტომები, შეჩერდნენ ენგურზე. აქ მოხდა აღრევა ორი ერთმანეთისათვის უცხო ტომისა – მეგრელთა და აფხაზთა, რამაც მოგვცა სამურზაყანოს შერეული მოსახლეობა“ (ვუთითებთ: ცხუმელი, 1990, გვ.111). გრანატის ენციკლოპედიურ ლექსიკონში ნათქვამია, რომ სამურზაყანოელები მეტყველებენ მეგრულ და აფხაზურ ენებზე. ივ. ჯავახიშვილიც აკონკრეტებს, რომ სამურზაყანოს მოსახლეობა მეგრული იყო და არის, მაგრამ შეთვისებული აქვს აფხაზური ენა და ზნე-ჩვეულებები (ჯავახიშვილი, 1989, გვ. 7-8). ცხადია, აბჟუაში დარჩენილი მეგრელები სრულიად გააფხაზდნენ, მაგრამ სამურზაყანოში, რომელიც მეგრულ-აფხაზური ეთნოგრაფიული ნიშნის მატარებელი იყო მთელი საუკუნენახევრის განმავლობაში, აბორიგენი მოსახლეობა უფრო მდგრადი აღმოჩნდა. როგორც ზ. ანჩაბაძე აღნიშნავს: „სამურზაყანოს გააფხაზება

მიმდინარეობდა ძალიან ნელა, ხოლო შემდეგ (უკვე XIX საუკუნეში) სრულებით შეწყდა“ (ანჩაბაძე, 1960, გვ. 26).

აფსუათა შორის გავრცელებული გადმოცემების თანახმად, აგრბათა, აღღებათა, ინაპშბათა წინაპრები ყარაჩიდან მაშინ ჩამოსახლებულან, როდესაც გაუგიათ, რომ „აფხაზეთი მოსახლეობისაგან დაცარიელდა“. სამურზაყანოში გავრცელებულ ზოგ გვარზე გადმოცემები ჩვენც ჩავიწერეთ: ზემო ღუმურიშში მცხოვრებმა იასონ ნოჩოს ძე ზუხბაიამ (დაბ. 1903 წ.) გვიამბო (1974 წელს): „ჩერქეზები ვართ და არა აფხაზები. ჯინჯიხატი „შაგნოხა“ ყარაჩში გვაქვს. ჩვენი წინაპრების აქ გადმოსვლა ასე მომხდარა: ლალიძგასა და ენგურს შუა ქვეყანას პატრონი არა ჰყოლია, ნარ-ეკლითა და მაღალი ბალახით ყოფილა დაფარული, ხალხი აქა-იქ თუ ესახლა. მურზაყან შარაშია და დადიანი ეცილებოდნენ თურმე ერთმანეთს ამ ადგილებს. შეთანხმებულან, ფალავნები ვაჭიდაოთო. შარაშიას ერთი ემხვარი უპოვია, დიდი ძალ-ღონით განთქმული. ჭიდაობა გამართულა გუმარაპიტაში, კოხორის ქვემოთ, სადაც დღეს „მოსე“ გადის. ემხვარს წაუქცევია დადიანის ფალავანი და მისთვის მენჯის ძვალიც ამოუგდია. დარჩენია მთელი ეს ტერიტორია მურზაყან შარაშიას. მას კი ემხვარისათვის უბოძებია რეჩხი, ღუმურიში, ჩხორთოლი. ამ ემხვარს დედა ჩერქეზი ჰყოლია, წასულა და ჩამოუყვანია დედის ძმისშვილები – ქ,ნთ,ჟი და ლაწ,სი. ღუმურიშელი ზუხბაიები მათი შთამომავლები ვართ. ჩვენზე უწინ ახლომახლო მხოლოდ ქვაჩახია და მელიავა სახლებულან“. ხიტუმ მუხურში მცხოვრები კაკალიები ჰყვებიან: „ძმებს – გიორგობეს, თანაფიასა და ცუტუს – ყარაჩში მოუკლავთ თავადი ანჩიბაია და გამოქცეულან: გიორგობე მამბირში (დღეს ტყეა მდ. ქირის მარც. მხარეს) დამკვიდრებულა. მისი შთამომავლები ქართველები არიან, გვარად კიკალიები; თანაფია კვიტოულში დარჩენილა. მისი შთამომავლები აფხაზები არიან, გვარად კაკალიები; ცუტუს უფრო შორს წასულა – გურიაში. მისი შთამომავლების გვარია კიკალიეშილი. ამ სამი გვარის „ძველებს“ ჰქონიათ მიმოსვლა ერთმანეთთან“.

სოფელ ფოქვეშში მცხოვრები ნესტორ ჩერქეზიას (დაბ. 1910 წ.) ჩამადი (ე. ი. პაპის პაპა) უხანუყვა „ჩერქეზეთიდან“ ჩამოსულა ორ ძმასთან ერთად. თვითონ ფოქვეშში დასახლებულა, ძმები – წარჩესა და ბედილაში. ნესტორი ათწლეულების მანძილზე იყო თავისი სოფლის თავკაცი. თავს აფხაზად თვლიდა, თუმცა აფხაზურს ცუდად ფლობდა. დედა მეგრელი ჰყავდა, გვარად ანთია, მეგრული 208

თავისუფლად იცოდა, მაგრამ ბრაზობდა, როცა ეუბნებოდნენ, მე-გრელი ხარ და არა აფხაზიო... საერთოდ, ყარაჩი და ჩერქეზეთი ხშირად ფიგურირებს სამურზაყანოელთა მიერ წინაპრების საცხოვრისად დასახელებულ რეგიონებს შორის. „ყარაჩი“ აღნიშნავს ყარაჩისაც და ყარაჩაელსაც – თურქულ-ყივიყური მოდგმის ხალხს და აგრეთვე აღიღესა და აღიღეღეს, ე. ი. ჩერქეზს. ჩვენი დაკვირვებით, სამურზაყანოელები ხშირად ურევენ ერთმანეთში ყარაჩისა და აღიღეს, ყარაჩაელსა და ჩერქეზს. მაგრამ ერთი რამ ცხადია: ყარაჩი არის ქვეყანა „დიდი მთების“ იქით. სექანიების „ძველები“ ბარში სამუშაოდ ჩამოსულ სვანებს გაატანდნენ ხურდა ფულს და სთხოვდნენ, გადაეგზავნათ იგი „ჯინჯიხატის“ მოსალოცად ყარაჩში, დიდი მთების იქით. „დიდი მთები“, რა თქმა უნდა, კავკასიონის მთავარი ქედია.

საერთოდ, სამურზაყანოში განსახლებულმა თითქმის ყველა გვარმა იცის, სადაა მათი წინაპრების „სამშობლო“, სად დადიოდნენ მათი „ძველები“ ჯინჯიხატის მოსალოცავად, მერამდენე თაობას წარმოადგენენ აქ დამკვიდრების შემდეგ. მაგალითად, ეზუგბაია, ნაყოფია, ქაცბაია და ქვაცბა (ორივე გვარის წინაპარი ყოფილა ქეცბა), ყოლბაია, გვაგვალია, აკიშბაია, ხუტკუბია, დოჩია (ეს სამი გვარი ერთად ჩამოსულა გუდავიაში, ერთმანეთისათვის ძმობა შეუფიცავთ და ამიტომ მათ შორის ქორწინება აკრძალული ყოფილა), ბუთბაია, აბუხბაია, გერზმავა, კონჯარია, ზვამბაია, ცობეხია (წინაპარი – ცვეიბა) ჩამოსულან **ზუფუდან** (ზუფუ//ზგფუ, იგივე ბზიფი, ისტორიული მხარეა მდ. ბზიფსა და გუმისთას შუა). ზოგნი ასახელებენ არა მარტო თავიანთი წინაპრების ისტორიულ მხარეს, არამედ კონკრეტულ დასახლებულ პუნქტსაც. მაგალითად, **ფსხუდან** (ფსხოუ, სხუ) ჩამოსულან თარბაია, გვარამია, არშბა, ქიშმარია, თანია, ფაჩულია, ხაშბა, ჯინჯოლია, ლიხნიდან კი – მიქელბაია, ქირთბაია, შარია, ეშბა... რა თქმა უნდა, ასევე ახსოვთ წინაპრების საცხოვრებელი ადგილი „სამარგალოდან“ თუ „საქორთუოდან“ (იგულისხმება: გურია, იმერეთი, რაჭა-ლეჩხუმი) ჩამოსულებს. მიზეზი იყო, როგორც ცნობილია, სოციალური კონფლიქტი და მცირემიწიანობა (სამეგრელოშიც ბევრნი მოიძებნებიან ისეთნი, აფხაზეთიდან რომ არიან გადმოსულნი. სენაკის რ-ნის სოფ. რეკაში მცხოვრები ფაჩულიების წინაპრები ოჩამჩირის რ-ნის სოფ. რეკადან წამოსულან და სოფლის სახელიც „წამოულიათ“).

აღ. ცაგარელი, რომელიც „მეგრულ ეტიუდებში“ საგანგებოდ შეეხო ტერიტორიულად მოსაზღვრე ენებთან მეგრულის ურთიერთობის საკითხს, აღნიშნავს, რომ ენგურიდან ჩრდილოდასავლეთით მამაკაცებმა საკმაოდ კარგად იციან აფხაზურიც, ხოლო ოხურეისა და დალიძგის შუა უკვე აფხაზური ენაა გაბატონებული როგორც საზოგადოებრივ ურთიერთობაში, ისე ოჯახშიც (ცაგარელი, 1880, V-IX). სამიოდე ათეული წლის შემდეგ ი. ყიფშიძე ასეთ კომენტარს უკეთებს აღ. ცაგარლის ცნობას: „საერთოდ, დღესაც იგივე ვითარებაა“ და შემდეგ აზუსტებს: „სამურზაყანოში სულ ცოტა ხნის წინათ მეგრულთან ერთად გავრცელებული იყო აფხაზური ენაც და ამჟამადაც ვიწრო ზოლში მდინარეებს – ოხურეისა და დალიძგას შუა, სოფ. ილორის გამოკლებით, გაბატონებულია აფხაზური ენა, მაგრამ სხვაგან იგი ადგილს უთმობს **მეგრულს, სამურზაყანოელთა მშობლიურ ენას**“ (ყიფშიძე, 1994, გვ.28-29). სამურზაყანოში (ოხურეის სამხრეთით) აფხაზური ენის გავრცელებას ხელს უწყობდა: აფხაზთა კუნძულებრივი დასახლებანი, აფხაზეთიდან გამოთხოვილი ქალები და მწყემსები. აფხაზები ხომ ძირითადად მესაქონლეობას მისდევდნენ. სამურზაყანოს მთიანეთის საძოვრები თითქმის მთლიანად მათი იყო. ზღვისპირა საზამთრო საძოვრებზეც მათ ჰყავდათ საქონელი. მცირერიცხოვანი მეგრელი მწყემსები ძალაუნებურად აფხაზურსაც ითვისებდნენ. ერთი ხანდაზმული სამურზაყანოელი მწყემსის გადმოცემით, მთაში მეგრელი მწყემსები ერთმანეთს აფხაზურადაც ესალმებოდნენ. რა თქმა უნდა, ეს იშვიათად ხდებოდა, მაგრამ ფაქტია, რომ ენგურსა და ოხურეის შუა, სადაც ამჟამად არ არის აფხაზთა კომპაქტური დასახლებანი, მოიპოვება აფხაზური ტოპონიმები, რომელთაც აფხაზი მკვლევრები ამაოდ თვლიან აფხაზთა უძველესი განსახლების საბუთად.

სამი საუკუნის მანძილზე თანაცხოვრებამ, ყოველდღიურმა კონტაქტებმა, რაც ცხოვრებისა და საქმიანობის ყველა სფეროს მოიცავდა, დაახლოვა აფხაზნი და ქართველნი (მეგრელები), ერთმანეთს შეერწყა მათი ზნე-ჩვეულებანი, ტრადიციები, ჩვეულებრივი გახდა შერეული ქორწინებანი, მით უმეტეს, აბჟუასა და სამურზაყანოში მცხოვრები აფხაზების წინაპრები, როგორც ცნობილია, ენობრივად და გენეტიკურად ქართველები იყვნენ, ხოლო რელიგიურად – ქრისტიანები (შიგადაშიგ წარმართული რწმენა-წარმოდგენების გადმონაშთებით). **ხანგრძლივი უშუალო**

ენობრივ-ტერიტორიული კონტაქტები ბუნებრივად იწვევს ორენოვნებას, ორი ენის თანაბრად ფლობასა და გამოყენებას ყოველდღიურ ურთიერთობაში. ტოპონიმიკური მასალის ჩაწერისას (მეოთხედი საუკუნის წინათ) ისეთ სიტუაციასაც შევსწრებივარ, როცა ეროვნებით (პასპორტის მიხედვით) აფხაზი შვილიშვილს მეგრულ ენაზე უყვებოდა ზღაპარს... ქ. ტყვარჩელის განაპირა სოფელ კუმიზში მცხოვრები 90 წელს მიღწეული სანდრო არშა და მისი უმცროსი მოგვარე ხუხუნი სიამაყით იხსენებდნენ, როგორი პატივისცემით ხვდებოდნენ მათ ლაკადაში, წალენჯიხის რ-ნის სოფელ ჯვარში (ჯვარზენის უბანში), სადაც ცხენებით მიემგზავრებოდნენ ყოველწლიურად, რათა მიედოთ მონაწილეობა გიორგობის დღესასწაულსა და ცხენოსნურ თამაშობებში, ეყიდათ უნაგირი, ნაბადი, მოენახულებინათ ნაცნობ-ნათესავები.

ტოპონიმიკური ინტერფერენცია, რაც ენობრივი ინტერფერენციის ერთ-ერთი კერძო შემთხვევაა, **ვლინდება ტოპოლექსემების სესხებაში, გეოგრაფიული ობიექტის ორსახელიანობაში, ნასესხები ტოპონიმების ადაპტირებაში, ჰიბრიდულ სახელწოდებებში.**

აფხაზურ-მეგრული ტოპონიმიკური ინტერფერენცია, უპირველეს ყოვლისა, ტოპოლექსემათა სესხებაში გამოიხატება. აფხაზთა მიერ შექმნილ მიკროტოპონიმებში გამოყენებულია ქართულ-მეგრული ტოპოლექსემები (რა თქმა უნდა, სათანადო ფონეტიკური ცვლილებებით). ჩამოვთვლით ამ ტოპოლექსემებს და დავასახელებთ ტოპონიმებს, რომლებშიც ისინი ჩანან. ტოპონიმები და ტოპოლექსემები წარმოდგენილი გვაქვს ისე (ბგერობრივ-ფონოლოგიური თვალსაზრისით), როგორც მას ადგილობრივნი (სამურზაყანოელნი) წარმოთქვამენ:

აფხაზ. აბანა „აბანო. აბაზანა“ ← მეგრ. აბანა „აბანო. სამკურნალო წყალი ან ტალახი. ადგილი, სადაც წყლით ან ტალახით მკურნალობენ“ ← ქართ. აბანო. ტოპონიმი: აბანაჲდ “აბანოს წყალი” – სამკ. წყალი აყვარაშში (ფოქვეშის თემი).

აფხაზ. ა-დგაღლ – „მიწა, მიწა-წყალი; ადგილი, მხარე“ ← ქართ.-მეგრ. ადგილი „სივრცის ნაწილი დედამიწის ზედაპირზე, მიდამო“. ტოპონიმი: კუკულ იდგილ „კუკურის ადგილი“ – სახნავი, ქვაჩალ იდგილ „ქვაჩალის ადგილი“ – ტყე (ორივე სოფ. მეორე კოპიტში); გოჯიადგილ – მინდორი, დათაიადგილ – საძოვარი, შაში-

ადგილ – სახნავი (სამივე სოფ. საჩაჩხალიაში); ბახვიადგილ – საძოვარი, ყვამანიადგილ – ფერდობი (ორივე სოფ. ურთაში) და სხვ.

აფხაზ. **ა-დაუ, ადაუგ** „დევი“ ← ქართ. დევი „უზარმაზარი მავნე არსება, კაცის მსგავსი, რქიანი და ბანჯგვლიანი...“ (მეგრ. ნდემი „დევი; დიდტანიანი ვინმე ან რაიმე“). ტოპონიმი: ადე-უიჩკობართა//ადუიჩკვაბართა//ადაუციტყვაბართა „დევის საბანაო“ – მღვიმე, წყარო მთა მგუვათიშხის კალთაზე, სოფ. აძხიდაში (ტყვარჩელის თემი). აფხაზ. **ა-ჩდგუაბართა** „საბანაო; საბანებელი /ადგილი/“.

აფხაზ. **ა-თგუ** „ადგილი, ალაგი. კარავი, მწყემსის სადგომი“ ← მეგრ. თიფუ, თფუ „მწყემსის ბინა. მწყემსის სადგომი“ (თიფუა „თიბვა“). თ. სახოკია აღწერს; „ბინა, ანუ, როგორც მწყემსები ეძახიან, თიფუ, სადაც მე უნდა გავჩერებულყავი, წარმოადგენდა მინდორს მთის კალთაზე, ერთი ხევის ახლოს... ფარდული აქ არა არის-რა. ერთ ალაგას დიდი ცეცხლია დაგუგუნებული და... გარშემო მწყემსები უსხედან“ (სახოკია, 1950, გვ. 278). ასეთ თიფუსთან ხშირად კარეც (ხის დროებითი ნაგებობა) დგას. ქართულ თიფ//ათიფ (შდრ. თივა) სიტყვას, რომლის სემანტიკა ძალზე გაფართოებულია და, აფხაზურის გარდა, აბაზურშიც არის გავრცელებული, ზოგი მკვლევარი აკავშირებს ინდოევროპულ ენებთან (იხ. ძიძარია, 1988, გვ. 69-70). ტოპონიმები: ბიშხუტითფე „ბიშხუტის სადგომი“ – ტყე-ფერდობი ატიშადუში; უთრათფე – საძოვარი ანარაში (სამურზაყანოს მთა).

აფხაზ. **ა-ინჭა, ეინჭა** „კარსტული ჭა“ (ინფორმატორის განმარტება) ← მეგრ. ინჭა „ჭა“. ტოპონიმი: ეინჭა – კარსტული ჭა სამურზაყანოს მთაში, მდ. წარჩის სათავესთან. ინჭა-ს მთიან სამეგრელოშიც უჩანს მნიშვნელობა „კარსტული ჭა“.

აფხაზ. **აისგრ** „ისლი“ ← მეგრ. ისერი „ისლი“ ← ქართ. ისლი. ტოპონიმები: აისგრთრა „საისლე, ისლიანი“ – ტყე აჭირკვატანკვარის სათავესთან, ფოქვეშში; აისგრრა//ეისგრე//ოისგრე „საისლე“ – მთა, ლაშქინდარის განშტოება მეორე კოპიტში (ეისგრრა მთაა ლალიძგის მარჯ. მხარესაც). გურეისგრე – ბულონსუკის კუდი ოქუშმაბასთში. მეგრული გური აფხაზურში ნიშნავს შუას, ცენტრს.

აფხაზ. **ა-კალოშ, ა-კვალაშ** „ყურძნის ჯიშია ერთგვარი“ (ინფორმატორის განმარტება) ← მეგრ. კოლოში (ვაზის ჯიშია. კოლო „მწარე“). ტოპონიმი: აკალოშრა – ხევი ჭუხუს მარც. მხარეს, ჩხორთოლში (ინფ.: „ნოლო ადგილია, კალოშს ჰგავს“; „კალოში ხარობდა. ვაზის ჯიშია“).

აფხაზ. **ა-კაჟუა** „კა“ ← ქართ.-მეგრ. კუ, კუვი. ტოპონიმი: აკუათრა „საკუვე /ადგილი/“ – ლალიძგის მარც. შენაკადი არხახუჭში (სოფ. საჩაჩხალია).

აფხაზ. **ა-კაგრ** „კირი“ ← ქართ.- მეგრ. კირი. ტოპონიმები: აკირახუ//კირახუ „კირის ბორცვი“ – სერი, უბანი ოტაფის მარც. მხარეს (აქვეა აკირძე „კირის წყარო“). აკირბღვრთა „კირის გამოსაწვავი ადგილი“ (ინფ. განმარტება) – ფერდობი წარჩის მარჯ. მხარეს, ჩხორთოლში.

აფხაზ. **ა-სგბ** „სიპი“. მერგელის ქანი (ინფ. განმარტება) ← მეგრ. სიპი ← ქართ. სიპი „მაგარი, გლუვი ზედაპირის მქონე ქვა; სრიალა ზედაპირის მქონე, მოლიპული, გასიპული“ (ქეგლ). ტოპონიმები: ასგბრა „სიპიანი“ – ორგან ეწოდება მორევს დალიძგაზე, ფოქვეშში. განარჩევენ მსაზღვრელის დართვით: აცჰა-ასგბრა (აცჰა „ხიდი“) და აშეცრაასპრა (აშეცრა „ბზანარი“). ასგბ სიტყვის ვარიანტი ჩანს /ა/სგბ: ასგბკვარა – შანწაკვარის მარჯ. შენაკადი აძხიდაში (ტყვარჩელის თემი).

აფხაზ. **ა-ტახტ** „ფართო ლოდი“ (ინფ. განმარტება) ← მეგრ. ტახტი „ხის ფართო საწოლი. ფართო ლოდი“ ← ქართ. ტახტი. ტოპონიმი: ჩამანუყვა/ი/ტახტ – ფართო ლოდი სერზე, რომელსაც ჩამანუყვაახუ „ჩამანუყვას ბორცვი“ ეწოდება (სოფ. აყვარაში, ფოქვეშის თემი) შამანუყვა (ჩამანუყვა) ფაჩულიას ეს ლოდი კამეჩებით ამოუთრევია ამ ბორცვზე. სადამოობით ზედ ჯდებოდა და გარემოს გადაჰყურებდა თურმე. მისი ბადიშის ოჯახში 1980 წელს ჰქონდათ ყამა და ქამარი, რომლებზეც ქართულად იყო წარწერილი დიდი პაპის სახელი და გვარი.

აფხაზ. **ა-ფანი** „ფონი“ ← ქართ.-მეგრ. ფონი „გასასვლელი მდინარეზე, სადაც თავთხელია“. ტოპონიმები: აყვარაჩაფანი – სოფელი ლალიძგის ნაპირას (ოჩამჩირის რ. ინფ.: „აფხაზურში აყვარჩ არის ადგილი, სადაც ადიდებულმა წყალმა ხე-ტყე დახერგა. ხერგი“). მარკოზ იფან, შეგვ იფან, მიხა იფან – ფონები და მორევები

ღალიძგაზე, ფოქვეშში. ხაპა ივან//ხაპაშ ფონი- ფონი ოხურეიზე, საჩინოში.

აფხაზ. **აქამპგერ** „ხეა ერთგვარი“ (ინფ. განმარტება) ← მეგრ. კამპარი, კამპური „ჯონჯოლი“. ტოპონიმი: აქამპურა//აქამპურა – ტყე აგვავერაში.

ა-ქუაბ „ქვაბი (სპილენძისა)“ ← მეგრ. ქვაბი. მეგრულში ქვაბი აღნიშნავს როგორც გამოქვაბულს, ისე ქვაბულსაც, ჩავარდნილ ადგილს ხმელეთზე ან წყლის ფსკერზე. ამ მნიშვნელობით „ქვაბი“ შესულია სამურზაყანოელ აფხაზთა მეტყველებაშიც. ტოპონიმები: აქვაბრა – მორევი ღალიძგაზე, საჩაჩხალიოში (აქვეა სახნავები აქვაბარხა „აქვაბის ვაკე“ და აქვაბრახ „აქვაბისთავი“); ქვაბისთოუ//აქვაბუსთოუ – ღრმა ხევი ჩხორთოლოში (ინფ.: „აქვაბისთოუ ისეთი ადგილია, თითქოს ქვაბია ჩავარდნილი“).

აფხაზ. **ა-ღლაშ** „ღლავი, ლოქო“ ← მეგრ. ღლამი← ქართ. ღლავი. ტოპონიმი: აღლამიახაშიზ „სადაც ღლავი მოკლეს“ (ინფ. განმარტება) – მორევი ღალიძგაზე, კაციპაბლაში.

აფხაზ. **ა-წურბელ** „წურბელა“ ← ქართ.-მეგრ. წურბელა. ტოპონიმი: აწურბელთრა//აწულბელთრა „საწურბლე“ – გუბე აძხიდაში (ტყვარჩელის თემი).

აფხაზ. **ა-ჭარკვატან, ა-ჭგრკვატან** „ბალახია ერთგვარი“ (ინფ. განმარტება) ← მეგრ. ჭაკვარტანა „ყვითელი შროშანი“, ჭარკვატანა „კოთხოჯი“ (იხ. მაყაშვილი, 1991). ტოპონიმი: აჭარკვატანრა//აჭგრკვატან/კვა/რა – წიფიკვარის შენაკადი აყვარაშში (ფოქვეშის თემი).

აფხაზ. **აჯირგვალ** „მწყემსის ჯიხური“ (ინფ. განმარტება) ← მეგრ. ჯარგვალი „რგვალი ხეებით აგებული სახლი, ქოხი, ფაცხა“. ტოპონიმი: აჯირგვალ – ტყე ღალიძგის ზემოთში (ქ. ტყვარჩელი).

რა თქმა უნდა, საუკუნეების მანძილზე სიტყვათა სესხება ხდებოდა არა მარტო ერთი მიმართულებით – ქართველური ენებიდან აფხაზურში, არამედ – პირიქითაც. ამას ადასტურებს სამურზაყანოს ტოპონიმიაც. კერძოდ, მეგრელთა მიერ შექმნილ მიკროტოპონიმებში გამოყენებულია აფხაზური ენის გეოგრაფიული და სამეურნეო ტერმინები:

აგვართა მეგრულსა და გურულში გავრცელებული სიტყვაა. ი. ჭყონიას განმარტებით, ესაა მწყემსის ან მონადირის საყარაულო

ქოხი მთაში ან ტყეში (ჭყონია, 1910). პ. ჭარაიას აზრით, აგვართა (და მისი რ გადასმული ვარიანტი არგვართა) „წარმომდგარი აფხაზური სიტყვისაგან აგურა, რომელიც მეგრულში ახლაც ნიშნავს საქონლის ჩასამწყვდევე ალაგს“ და განიმარტება როგორც: „მრავალი საქონელი ერთად, რომელსაც აყენებდნენ ღობეგარშემოვლებულ ალაგს“ (ჭარაია, 1997, გვ. 33). ი. ყიფშიძისათვის არგვართა არის , . ამასვე იმეორებს გ. ელიავაც: „არგვართა – ხალხის კრებული, ბრბო“. აგვართა ფუძისაგან წარმოქმნილი ზმნა „დოგვართუა“ აღნიშნავს საქონლის გუნდის დაყრა-დაწოლას (შდრ. გ. ელიავას განმარტება: გვართა „ზვინ“. გვართუა „დაზვინვა“). ტოპონიმი სამურზაყანოში: ნააგვარ//ნაგვართ//ხუტუშ ნა/ა/გვართ – სახნავი ერისწყლის მარჯ. ნაპირას (სოფ . პ. შეშელეთი). ინფ.: „ხუტუს აქ ჰყოლია საქონელი და ჰქონია აგვარ/თ/ა“.

აკვარა, კვარა „ღელე“ ← აფხაზ. ა-კუარა „ღელე“. ტოპონიმები: ჭიჭე აკვარა//ჭიჭე ღალ „პატარა ღელე“ – უჩა ღალის შენაკადი აყვარაშში. ხუსაშ კვარა, ჯოგლოშ კვარა, ჯოჯიშ კვარა – ღელეები ოხოჯაში.

აფთარა, აფთურა, აფთერა „ქართა, საქონლის დასამწყვდევედ შემოღობილი ადგილი“ ← აფხაზ. ააფთარა „მწყემსების საზამთრო სადგომი ადგილი ბარში“. ტოპონიმები: ნააფთერ – მინდორი რეჩხში; ტყე ჩხორთოლში და სხვ. კუბელიშ ნააფთერ – მინდორი ოქუმაფსთაში; კერებიშ ნააფთერ – საძოვარი რეჩხში. აფთერა ლექსემაც დასტურდება მთიანი სამეგრელოს ტოპონიმიში.

აფშირა „ყველის ჩასაწყობი ხის ჭურჭელი“ ← აფხაზ. ა-ფშერჰა „სარქვეანი. მთლიანი ხისაგან გამოთლილი ცილინდრისებური ჭურჭელი“. ტოპონიმი: აფშირამ დენადგემ „სადაც აფშირა დადგეს“ – ფართო მინდორი სამურზაყანოს მთაში. აქვეა ბორცვი „აფშირამ სუკი“ და უღელტეხილი „აფშირამ გინალ“ (გზა გადადის ბერზოაფუდან აშთაში). გადმოცემა: „ჯვარელი მწყემსი ჯაბუ კიბოდან მოერეკებოდა საქონელს. გზაში დიდმა თოვლმა მოუსწრო, აქ დატოვა ყველით სავსე აფშირა და გზა განაგრძო, სუმი ჯიმა წიფურამდე მოაღწია, იქ დაიბარგა, დაიძინა და მოკვდა. იმ ადგილს ეწოდება ჯაბუშ დენანჯირა“.

აქელა, აქალა „მწყემსის დროებითი სადგომი, რამდენიმე ფიცრისაგან შეკოწიწებული“ ← აფხაზ. ა-ქალა „კარავი“. მეგრულში უფრო გავრცელებულია ვარიანტი /ა/ლუქელა. აფხაზ. ა-ლუ „ფიცარი“ (ე.ი. აღუქელა „ფიცრის კარავი“). ტოპონიმები: აქელა//აქალა – ტყე, დეღე ხუმლაღალის მარჯ. მხარეს (სოფ. სიდა, თაგილონი); აღუქელა//აღუქალა – დავაკება ჩხორთოლის შემოგარენში. ა/რ/ლუნარქელა – ხეობა აგვავერაში (არლუნა პირსახელია); აღუნარქელა //აღმარქელა – ტყე-ფერდობი საბულ-ისკერიოში (ოქუმის თემი); ლუქელა – ტყე-საძოვარი გვალაიასთან (სამურზაყანოს მთა) და დავაკება ყირღალიშქაში; უშულიმ ლუქელა – ტყე აბზაკვარის ხეობაში (სამურზაყანოს მთა); თარაშ ნალუქელ – მინდორი დიდ აკიბოსა და შიფშხერის შუა (სამურზაყანოს მთა) და სხვ.

აყრა „გზა, ბილიკი“ ← აფხაზ. აყრა „გზა მთაში, ბილიკი“ (ინფ. განმარტება). ტოპონიმები: დიდი აყრა, ჭიჭე აყრა – ტყეები რეჩხში; თუნთიშაყრა//თუნთიმ შარა – კლდე-ფერდობები ოქუმ-აფსთაში (ინფ.: „აყრა აფხაზურად გზაა, მეგრულად – შარა. აქ დათვის ბილიკებზე ხაფანგს აგებდნენ. აქვეა ტყე „კაკო ნანაშ აყრა“.

აძაგა, ძაგა „მლაშე წყალი, მუჯა“ ← აფხაზ. ა-ძაგა „მუჯა“. ტოპონიმები: აძაგა//დიდი აძაგა – ოქუმწყარის შენაკადი ოქუმაფს-თაში. ძაგა – ვეძა და ძაგაშ სუკი – სერი რეჩხში; ჯოლორძაგა – საძოვარი აკიბოს მთაზე და სხვ.

აძიხ, ძიხ „წყარო“ ← აფხაზ. აძხეძ „წყარო“. ტოპონიმები: აძიხ – შაშიკვარის მარც. შენაკადი აკვარეკვაში; კაბტონიმ ძიხ, ტუტუშ ძიხ – წყაროები რეკაში.

აძმახი, აზმახი „გუბე, პატარა ტბა (ბუნებრივი ან ხელოვნურად გამართული მწყემსის სადგომის ახლოს)“ ← აფხაზ. ა-ძმახ „ჭაობი, ჭანჭრობი“ (ჯანაშია, 1954. იხ. აგრეთვე: ძიძარია, 1988, გვ. 70). ტოპონიმები სამურზაყანოს მთაზე: ფართო აძმახი – საძოვარი სარაგვოსა და უჩანაშ ნაყოთემს შუა, დიდაზმახი – გუბე ოფუჯესა და ოჭაკეში, ჭუბურაძმახ(ი) – გუბე ბულონსუკსა და ოისგრეს შუა და სხვ. აძმახი, აზმახი დასტურდება მთიანი სამეგრელოს ტოპონიმიაშიც.

ახკარა, ხეკარა „მწყემისა და საქონლის დროებითი სადგომი“ ← აფხაზ. ა-ხკაარა „შემოდომილი ადგილი, რომელიც ეზოს აკრავს“. ტოპონიმები: ნახკარ – მინდორი ნაგვალოუში (ინფ.: „ზღვისპირას ახკარა იყო, საქონლისათვის ჰქონდათ შემოდომილი“) და ჩაის ფართობი მუხურში. ახკარა, ხეკარა დასტურდება მთიანი სამეგრელოს ტოპონიმიაშიც.

ახრა „მაღალი, მიუვალი კლდე“ ← აფხაზ. ა-ხრა „ციცაბო კლდე“. ტოპონიმები: ახრა – კლდე წარჩეში; სალი კლდე ჭყონხუმ-ლაში და სხვ. აბძაკვარაში ახრა – კლდე აბძაკვარის სათავესთან, ოქუმაბსთაში; გორლამილი ახრა – კლდეები სამურზაყანოს მთაში (მეგრ. გორლამილი „ჩარღვეული, ნაპრაღიანი“); მიკოთო-ლირი ახრა – პიტალო კლდე მ. კოპიტში (მეგრ. მიკოთოლირი „ჩამოთლილი“); წკონწკერიში ახრა – კლდე წკონწკერში (სამურზაყანოს მთა) და სხვ.

აჰაფუ, ჰაფუ „მღვიმე, გამოქვაბული. შედრმავებული ადგილი კლდის ძირას“ ← აფხაზ. ა-ჰაფ, „გამოქვაბული, მღვიმე“. ინფორმატორთა მტკიცებით, აფხაზური აჰაფ, აღნიშნავს კლდის ზემო ნაწილსაც. ტოპონიმები: კერებაიაში აჰაფუ – მღვიმე პირველ ოხურეში. წყარამაჰაფუ „წყლიანი მღვიმე“ – მღვიმე ოქუმაბსთაში (ჭერიდან წყალი მოწვეთავს); ჭითა აჰაფუ//ჭითა წყარიში აჰაფუ – მღვიმე მთა ოისირის კალთაზე (სამურზაყანოს მთა) და სხვ.

სამურზაყანოში, განსაკუთრებით, აფხაზთა და მეგრელთა ეთნიკურ-ტერიტორიულ საზღვარზე, დასტურდება ხელოვნურ თუ ბუნებრივ-გეოგრაფიულ ობიექტთა ორსახელიანობა, ანუ ტოპონიმიკური სინონიმია, რაც ცნობილი ზოგადტოპონიმიკური (უნივერსალური) მოვლენაა. **ორსახელიანობა შედეგია**, მიზეზი კი შეიძლება იყოს **ტოპონიმის თარგმნა** ერთი ენიდან მეორე (რო-გორც წესი, შემდეგ მოსული ხალხის) ენაზე (ამ შემთხვევაში სინონიმები სხვადასხვადროულია) ან ორი სხვადასხვა ენობრივი (დიალექტური) ჯგუფის მიერ თავ-თავისი (იდენტური ან განსხვავებული) **სამოტივაციო ნიშნის დამოუკიდებლად ამორჩევა ნომინაციისათვის** (ამ შემთხვევაში სინონიმია შეიძლება იყოს ერთდროული ან სხვადასხვადროული წარმონაქმნი). სინონიმებს იდენტური სოციალური ფუნქცია აკისრიათ – ისინი აღნიშნავენ ერთსა და იმავე გეოგრაფიულ ობიექტს, მაგრამ განსხვავდებიან

ერთმანეთისაგან სახელდებისას ჩადებული სემანტიკითა და სიტყვაწარმოებითი მოდელით.

ორსახელიანობა თავს იჩენს ტოპონიმთა ყველა კლასში – ჰიდრონიმიაში, ორონიმიაში, ოიკონიმიში, აგრონიმიაში... გვარსახელთაგან ამ გვარით დასახლებული პუნქტის სახელის წარმოება მსოფლიოს მრავალ ქვეყანაშია გავრცელებული. მაგრამ სხვადასხვა ენაში საამისოდ არსებული ენობრივი საშუალებანი მეტ ან ნაკლებ პროდუქტიულობას იჩენენ. ოიკონიმები მეგრულში იწარმოება ლე-, სა-, -თი მორფემებით, იშვიათად, „მხარე“, „კუნთხუ“ ინდიკატორებით, აფხაზურში კი დასახლებული პუნქტის სახელთა საწარმოებლად ჩვეულებრივია დასახლების ტიპის გამომხატველი ტერმინები ა-ჰაბლა და ა-ქეთა „სოფელი“. აქედან გამომდინარე, მეგრული ოიკონიმები სტრუქტურულად, როგორც წესი, წარმოქმნილია, ხოლო აფხაზურში – რთული. ეს გარემოება იწვევს ამგვარ სინონიმის: ნაჭყებია/ა/ რჰაბლა//სანაჭყებია – ნაჭყებების უბანი და საფაჩულიო//ფაჩულია/ა/ რჰაბლა – ფაჩულიების უბანი სოფ. კაციჰაბლაში (თვით კაციჰაბლაში კაც პირსახელია), საგვარამიო//გვარამიაა რქეთ – გვარამიებით დასახლებული უბანი მეორე კოპიტში; სალაბახუო//ლაბახუაა რჰაბლა – ლაბახუების უბანი რეკაში; არცგვარამიაა//მოლენგვ-არამიეფი „გამოღმა გვარამიები“ (აფხაზ. აარცვ „გამოღმა“ იგივეა, რაც მეგრული „მოლენი“) მეორე კოპიტში და სხვ. დასახლებული სინონიმური ტოპონიმები იდენტურნი არიან ფუნქციითაც და სემანტიკურადაც, და ზოგ შემთხვევაში, როგორც ვხედავთ, სიტყვაწარმოებითი მოდელითაც.

აფხაზურ- და მეგრულენოვან კომპოზიტურ ტოპონიმებში, რომლებიც სინონიმები არიან (აღნიშნავენ ერთსა და იმავე ობიექტს), ხშირია საზღვრული კომპონენტის (ჩვეულებრივ, გეოგრაფიული ტერმინის) თარგმნა-მონაცვლეობა (თუმცა არც ისაა გამორიცხული, თარგმნა მოჩვენებითი იყოს და სინამდვილეში საქმე გვქონდეს ვარიანტთა სინქრონიულ წარმოქმნასთან).

ვასახელებთ გეოგრაფიულ ტერმინებს, რომლებიც აფხაზურ და მეგრულ პარალელურ (სინონიმურ) ტოპონიმებში ენაცვლებიან ერთმანეთს:

მეგრ.	აფხაზ.
სუკი „ბორცვი, ბეჭობი გორაკი“	ა-ხუ (იმავე მნიშვნელობით.)
რზენი „ვაკე“	არხა „ვაკე“ (ინფ. განმარტება)
ფერდი „ფერდობი, გვერდობი“	ა-ნაარა (იმავე მნიშვნელობით.)
წყურგილი „წყარო“	აძგხ „წყარო“
ღალ „ღელე“	ა-კუარა „ღელე“
ტყა „ტყე“	ა-ბნა „ტყე“
ოჩაიე „საჩაიე“ (ჩაის ფართობი)	ა-ჩაითრა „ჩაის პლანტაცია“
კირდე „კლდე“	ა-ბოხუ „კლდე“ (ინფ. განმარტება).
რიყე „რიყე“	ა-ყუარა „რიყე“
ნოხორი „ნასახლარი“	ა-ნხართა „სამოსახლო, ნასახ-ლარი“
ქვიჩი „ძირი. ფსკერი“	ა-მწა „ძირს“, „წინ“
გოლა „მთა“	ა-შხა „მთა“
ტო/მ/ბა „ღრმა წყალი, მო-რევი“	ა-ძმგუ „პატარა ტბა, საგუბი ღელეზე“

ვასახელებთ სინონიმურ ტოპონიმებს, რომლებშიც ძირითად განსხვავებას სწორედ ზემოთ ჩამოთვლილი და განმარტებული ლექსემების მონაცვლეობა ქმნის: ივანე იხუ//ივანეშ სუკი – ბორცვი მეორე კოპიტში, საჩინოხუ//საჩინოშ სუკი – გორა პატარახუწაში (ოჩამჩირის რ.), ლოგუა რხუ//ლოგუეფიშ სუკი – სერი რეკაში, პეტიამ სუკი//პეტიახუ – ბორცვი მეორე კოპიტში და სხვ. ბაღდა

ირხა//ბარდლამ რზენი – სახნავი მეორე კოპიტში, როზან
 ირხა//როზანიშ რზენი – ვაკე მეორე კოპიტში; გედლაჩ ინარა//გე-
 დლაჩიმ ფერდი – ფერდობი მეორე კოპიტში. არანაძიხ//არანამ
 წყურგილი – წყარო ნარჯხეუში, პეტრემ წყარი//პეტრე იძიხ –
 წყარო საჩინოში, ბახვა იძიხ//ლაბახუამ წყურგილი – წყარო
 რეკაში, გოჯოგიაძიხ//გოჯოგიაშ წყარი – წყარო მეორე კოპიტში და
 სხვ. აგრუაკვარა//აგრუამ ღალ – ღელე საჩინოში, ბორძალიშ
 ღალ//ბარზალკვარა – ღელე რეკაში. ხუმფ იკვარა//ლაბახუეფიმ
 ღალ – ღელე ოხოჯაში და სხვ. ზუყვამ ტყა//ზუყვა იბნა – ტყე
 რეკაში; კუჩამ ოჩაიე//კუჩა იჩაითრა და ხუმფ იჩაითრა//ხუმფუმ
 ოჩაიე – ჩაის ფართობები რეკაში; მაციბოხუ//მაციამ კირდა –
 ბორცვი საჩინოში; რეყე//აყვარა – ვაკე-სახნავები კაციპაბლაში;
 გვაგვა ინხართა//გვაგვამ ნოხორი – სახნავი ოხოჯაში, ჯოგლამ
 ნოხორი//ჯოგლ ინხართა – ბორცვი ოხოჯაში, ღარწკიანხა-
 რთა//ღარწკიეფიმ ნოხორი – მინდორი ნარჯხეუში, ჯახუტიშ
 ნოხორი//ჯახუტლენხართა – სახნავი რეკაში და სხვ. ახრამქვიჩი
 //ახრამწა – კლდისძირები წარჩის ზემოთში; ჟიბ იშხა//ჟიპიმ გოლა
 – მთა, საძოვარი აკიბის გზაზე. აძმგე//ტომბა – მორვეი ოხოჯეზე,
 აძიდაში (აგუბედიის თემი), ხაპა იფან//ხაპამ ფონი – ფონი
 ოხურეიზე, საჩინოში და სხვ.

ქრონოლოგიურ (თარგმნილ) ან სინქრონიულ სინონიმებს წა-
 რმოადგენენ აგრეთვე ქვემოთ ჩამოთვლილი პარალელური
 ტოპონიმები: აგუბედია//გურბედია “შუა ბედია“, ცემპვამ წყა-
 რი//სუბუქიეფიმ წყურგილი, ჭიჭელალ//აკვარა, გუგვი იძაგა//გუგ-
 უმ ძაგა, გუგუმ ძაგამ წყარი//აძაგად, ახეცარა//ცხიმურონა,
 ნარგს//აურგსრგმუა, აბააჟუხუ//ნაჯიხ, ახეფორხუ//ფორხი
 ჭუბური; საშაკაიო//ახუწა, სეფან იჰუსთა//სეფანიშ ნანოქუნ, ვასა-
 სართა//შხურიშ ოლაჭუე, ახუნწა//მენჯი, საშნამ კვა-
 რა//საშნალკვარა, სალომკაარხუ//სოლომკეფიმ ნოხორი, ანიშვა-
 ფშაკვარა//ჭითადიხამ ღალ, ჯგერიანაბარხუ//ჯგერიანიშ სუკი,
 მენჯი//აწუწუკვარა; ამთამ ღალ//ამთაკვარა, ახრა//ლაკადა,
 კაკურიფართა//კაკურიაშ ნასხაპა, მარშანაკვარა-
 წყარი//მარშანკვარა, უჩა სუკი//ახუე»ქვამწა, ყარაბაქიმ ნოხო-
 რი//ყარაბაქიაფთრა, აძმანქვარყან//ცორადილი აძმანი, აფსრა-
 კვარა//სამაჯინო, აღრუპყრა//ფიცარიშ კიბე, ახვარ-

რა//თარხვანტიონი, აპვეიკვარა//აპვეიშ ღალ, ჰამაქერა//მაქერე სხული და სხვ.

ზოგიერთ შემთხვევაში აშკარად ჩანს ამა თუ იმ ენობრივი ვარიანტის უწინარესობა. მაგალითად, ტყის სახელი კოლოშანი (სოფ. ნარჯხეუ) უფრო ადრინდელია, წარმოქმნილი მეგრული -ან (← -ონ) სუფიქსით, ვინემ მისი აფხაზური ვარიანტი აკვალაშანი (კოლოში ლექსემა მეგრულიდან აფხაზურშიცაა შესული. იგი ვაზის ჯიშის სახელია). ქართული სიტყვა „ხურმა“ აფხაზურშიცაა გავრცელებული, მაგრამ ტოპონიმი ახურმანა (ბორცვი კოხორაში) მეგრულში უკვე არსებული ოხურმანა (-ანა ← -ონა) სახელწოდების გვიანდელი ვარიანტია. ამასთანავე, აფხაზური წარმომავლობის ტოპონიმების მეგრულ ვარიანტებს ხშირად მხოლოდ თავკიდური ა ხმოვანი აქვს ჩამოცილებული: აკვარათბაა//კვარათბა, აჩადიშხვა//ჩადიშხვა, აშანწაკვარა//შანწაკვარა, აჭამგვართა//ჭამგვართა, ახაფალარა//ხაფალარა და სხვ.

ტოპონიმიკური ადაპტაციისას ხშირია გადააზრება ერთი ან რამდენიმე ბგერის მსგავსების ნიადაგზე, ან კომპოზიტური სახელწოდების ერთი კომპონენტის გადააზრება, ხოლო მეორის თარგმნა (იხ. მაგალითები ზემოთ: წკელკარი – აცკარი, ერწყარი – უარძ, და სხვ.).

როგორც ცნობილია, შუა საუკუნეებში ქართულიდან (ქრისტიანული ლიტერატურის გავლენით) და მეგრულიდან (უმუშალო კონტაქტებით) ნასესხები ლექსიკის ხვედრითი წილი აფხაზურში მეტად მნიშვნელოვანია. ამასთანავე, ამ ნასესხებ ლექსიკაში, როგორც მოსალოდნელი იყო, ჭარბობს ბარისათვის დამახასიათებელი კულტურული და გარეული მცენარეების, აგრეთვე იხთიოფაუნის აღმნიშვნელი სიტყვები (გვანცელაძე, 1997). XVII საუკუნის შემდეგ კოდორ-ენგურის შუამდინარეთში აფხაზთა დამკვიდრებამ უფრო ინტენსიური გახადა კულტურულ-ეთნოგრაფიული და ენობრივი ინტეგრაცია, რაც სამურზაყანოს ტოპონიმიშიც აისახა აფხაზურენოვანი სუპერსტრატისა და აღსტრატის (ღალიძგა-ოხურეის შუა) სახით.

მაშასადამე, ტოპონიმიკური ინტერფერენცია აფხაზთა და მეგრელთა თანამედროვე ეთნიკურ-ენობრივ საზღვარზე წარმართა რამდენიმე მიმართულებით:

ა. აფხაზურენოვან ტოპონიმებში ქართულ-მეგრული ტოპოლექსემების (ძირითადად გეოგრაფიული ტერმინების) გამოყენებით (რა თქმა უნდა, სათანადო ფონეტიკური ცვლილებებით);

ბ. მეგრულ ტოპონიმებში აფხაზური გეოგრაფიული და სამეურნეო ტერმინების გამოყენებით (მცირეოდენი ცვლილებით);

გ. ტოპონიმიკური ადაპტაციით, რაც გამოიხატა ნასესხები ტოპონიმის გადააზრებაში ბგერათა მექანიკური დამთხვევის საფუძველზე;

დ. ორსახელიანობით (ტოპონიმიური სინონიმით), რასაც იწვევს თარგმნა ან იდენტური სამოტივაციო ნიშნების ამორჩევა ნომინაციისათვის.

თავი მესამე

კოლხურ გვარსახელთა სისტემა

შესავალი

კოლხეთი (და, საერთოდ, ზანურ-სვანური ენების არეალი) ქართული ცივილიზაციისა და სახელმწიფოებრიობის ერთ-ერთი შეურყეველი მესაძირკვლე იყო. დასავლეთ საქართველოს ზღვისპირეთში ბიზანტიელთა პოლიტიკურ და ეკლესიურ ბატონობას თითქოს კიდევ უნდა გაემრუდებინა საერთო ქართული ცნობიერების ჩამოყალიბების მაგისტრალური ხაზი, მაგრამ ცალკეულ მხარეთა დაუოკებელმა სწრაფვამ კულტურულ-რელიგიური გაერთიანებისა და პოლიტიკური ცენტრალიზაციისაკენ, რაც VIII-IX საუკუნეებიდან იწყება, გააძლიერა „ჩვეულებისაებრ მამულისა სლვა“. სწორედ ამ პერიოდში ჩნდება სამემკვიდრეო სახელი, რომელსაც დღეს გვარსახელს ვუწოდებთ და აუცილებელი სოციალურ-სამართლებრივი კატეგორიაა.

საკუთარი სახელი (ტოპონიმი, ანთროპონიმი და სხვ.) როგორც ენობრივი, ისე ისტორიული და ეთნოგრაფიული ფაქტია. ამიტომ იკვლევენ მას ენათმეცნიერებიც, ისტორიკოსებიც, ეთნოგრაფებიც. იმ შრომებს შორის, რომლებიც მიეძღვნა ქართული ანთროპონიმიის ზოგად თუ კერძო პრობლემებს, უნდა გამოირჩეს ზურაბ ჭუმბურიძის „რა გქვია შენ?“ (გამოიცა რამდენიმეჯერ) და ილია მაისურაძის „ქართული გვარსახელები. სემანტიკა, სტრუქტურა, ეტიმოლოგია“ (თბ., 1979). მათში განხილულია ქართული პირსახელებისა და გვარსახელების ისტორიის, სემანტიკისა და სტრუქტურის ზოგადი და კერძო საკითხები. ქართული გვარსახელების ეთნოისტორიული ასპექტით კვლევის შედეგია როლანდ თოფჩიშვილის ნაშრომი „როდის წარმოიქმნა ქართული გვარსახელები“ (თბ., 1997. იხ. აგრეთვე მისივე: „ლეჩხუმური გვარსახელები“, „მოხეური გვარსახელები“). ქართული გვარსახელების წარმოშობის პრობლემას შეეხებოდა გიგი ხორნაულის სადოქტორო დისერტაციის ერთი ნაწილიც. მაგრამ, მიუხედავად

ყოველივე ამისა, დასრულებული, განმაზოგადებელი და მრავალასპექტიანი მონოგრაფია ქართველურ საკუთარ სახელებზე, განსაკუთრებით, გვარებზე, დღემდე არ მოგვეპოვება. ქართულ-ქართველური ანთროპონიმის ცალკეულ საკითხებზე საყურადღებო მოსაზრებანი აქვთ გამოთქმული ნ. მარს, ივ. ჯავახიშვილს, ს. ჯანაშიას, პ. ინგოროყვას, ს. ყაუხჩიშვილს, გ. ახვლედიანს, აკ. შანიძეს, არნ. ჩიქობავას, ვ. თოფურიას, გ. როგავას, მ. ანდრონიკაშვილს და სხვა მრავალ ცნობილ მკვლევარს, მაგრამ ამ მოკლე წინათქმაში მათ არ შევეხებით.

ქართული სამეცნიერო ლიტერატურა და ლექსიკოლოგია დარბობია ანთროპონიმული ლექსიკონებითაც. იმათ შორის, რაც მოგვეპოვება, საკვლევი ობიექტისადმი ენათმეცნიერული მიდგომითა და პროფესიონალიზმით გამოირჩევა ილია მაისურაძის „ქართული გვარსახელები. სალექსიკონო ბიბლიოგრაფიული მასალები“ (გამოიცა ორჯერ). მასში შესულია 3000-მდე გვარი, რომელთაც, სადაც კი შესაძლებელი იყო, ახლავს ისტორიულ-ეთნოგრაფიული ცნობები და ეტიმო-ლოგიური ხასიათის განმარტებანი. ორიგინალური, შედარებით სრული და, ამდენად, მკვლევართათვის მეტად საჭირო შენაძენია „პირთა ანოტირებული ლექსიკონი“ (ჯერჯერობით მხოლოდ ორი ტომია გამოცემული), რომელიც ეყრდნობა XI-XVII სს. ქართულ ისტორიულ საბუთებს (გამოსაცემად მოამზადეს დ. კლიაშვილმა, მ. სურგულაძემ, ე. ცაგარეიშვილმა, გ. ჯანდიერმა) და ავთანდილ სილაგაძისა და ანზორ თოთაძის მიერ ვაუჩერების მიმღებთა სიების მიხედვით შედგენილი „გვარ-სახელები საქართველოში“ (თბ., 1997). ეს ლექსიკონი გვაწვდის საინტერესო და აუცილებელ მონაცემებს ამა თუ იმ გვარის მატარებელთა სულადობისა და განსახლების ძირითადი ადგილების, აგრეთვე ცალკეული საგვარსახელო აფიქსების პროდუქტიულობის შესახებ როგორც მთელი ქვეყნის, ისე რეგიონების მასშტაბით (სამწუხაროდ, წიგნში ვერ შევიდა ის გვარსახელები, რომელთაც საქართველოში ოცზე ნაკლები პირი ატარებს). ანთროპონიმით დაინტერესებული მკვლევარი თუ რიგითი მკითხველი გვერდს ვერ აუვლის ალ. ლლონტის „ქართველურ საკუთარ სახელებს“ (გამოიცა ორჯერ) და ნ. გურგენიძისა და მ. ჯიქიას ნაშრომს „თურქული წარმომავლობის ანთროპონიმები ქართულში“ (თბ., 1994), ბერძნული და რომაული საკუთარი სახელების ორთოგრაფიულ ლექსიკონს (თბ., 1985. შეადგინა კ. გიგინეიშვილმა). მნიშვნელოვანია უკანასკნელ ხანს გა-

მოცემული რამდენიმე გენეალოგიური მასალა. ესენია: იოანე ბაგრატიონის “აღწერა საქართველოს თავადთა და აზნაურთა გვარებისა” (თბ., 1997. რედაქტორი და გამომცემელი ზურაბ კაცელაშვილი), “გურიის თავადთა და აზნაურთა ოჯახები” (თბ., 1993. ფოტოტიპიური გამოცემა ზურაბ ჭუმბურიძისა და ქველი ჩხატარაისშვილისა), “იმერეთის თავადთა და აზნაურთა ოჯახები” (თბ., 1999. ფოტოტიპიური გამოცემა ზურაბ ჭუმბურიძისა) და სხვ. რა თქმა უნდა, სამეგრელოს (ისევე როგორც სხვა რეგიონების) თავად-აზნაურთა საგვარეულოების ოფიციალური სიებიც დასამუშავებელი და გამოსაქვეყნებელია.

შესაშურია იაკობ ახუაშვილის მიზანსწრაფული შემართება: „ქართული გვარ-სახელების“ I ტომი (1994 წ.) რვაას, ხოლო II ტომი (1999 წ.) ცხრაას გვერდს შეიცავს. ავტორს გულმოდგინედ შეუსწავლია სამეცნიერო საზოგადოებისათვის ცნობილი თუ უცნობი მრავალი საისტორიო და საარქივო მასალა. დასახელებული „ქართული გვარ-სახელების“ I ტომში წარმოდგენილია მონაცემები 1350-მდე გვარზე. მაგრამ, სამწუხაროდ, ეს სალექსიკონო ნაწილი წიგნისა გადატვირთულია ისეთი ჩანართებითა და ლექსიკოლოგიური წიაღსვლებით, რომელთაც არაფერი აქვთ საერთო გვარის ისტორიასა თუ ეტიმოლოგიასთან, პირდაპირ რომ ვთქვათ, მხოლოდ აფუჭებს კარგ საქმეს. ჩვენს ნათქვამს დავასაბუთებთ რამდენიმე მაგალითით: 1. გვარ ბაღდასარაშვილს ავტორი აკავშირებს პირსახელ ბაღდასარასთან. მაგრამ სრულიად გაუგებარია, რა მიზნით მოსდევს ამ სწორ თვალსაზრისს ქსე-დან ამოღებული ვრცელი განმარტება „ბაღჩა“ სიტყვისა; 2. შტოგვარის სახელ სელეპანაშვილის წარმომავლობის დადგენის მიზნით ერთმანეთთანაა დაკავშირებული ქართული სიტყვა **სელი** „ძვირფასი სკამი, სავარძელი“ და პოლონური **პანი** „ბატონი“ (ვითომ გადატანით სელეპანა ნიშნავს „ამაღლებულს, ძვირფას სკამზე მჯდომს“); 3. შემოთავაზებულია პირსახელ ფარემუზას ასეთი წარმოდგენელი ეტიმოლოგია: „**ფარი** - ქართული ანბანის ოცდამეერთე ასოს ფ-ს სახელწოდება. **მუზა** (ბერძნ.) - პოეტური შთაგონების წყარო. აგრეთვე თვით პოეტური შთაგონება, შემოქმედება (ქეგლ)“. ცხადია, ასეთ სარეველათაგან გაწმენდა ი. ახუაშვილის წიგნებს უფრო საინტერესოსა და სანდოს გახდიდა.

ნ. ჯომიდავას წიგნებზე „კოლხური გვარსახელები“ და „3000 მეგრული გვარსახელი“ ნაშრომის საერთო შესავალში გვქონდა საუბარი.

ყოველივე ზემოთქმული მიანიშნებს, რომ აუცილებელია რეგიონების მიხედვით გვარსახელთა სრული აღნუსხვა და თითოეული მათგანის ისტორიისა და მიგრაციის, აგრეთვე წარმომავლობის დადგენისათვის საჭირო მასალების გამოწვლილვით მოძიება. როგორც ი. მაისურაძე აღნიშნავდა ორი ათეული წლის წინათ, “ზოგადი და ეპიზოდური დაკვირვებანი, თუნდაც კამერალური ძიებანი ამ მხრივ მაინც შორს ვერ წაგვიყვანს. საჭიროა სპეციალური კვლევის ფართოდ გაშლა, რასაც წინ უნდა უძღოდეს ფაქტობრივი მასალის გამოვლენა და შეკრება-პუბლიკაცია“ (მაისურაძე, 1979, გვ.5). მართალია, განვლილ პერიოდში ამ მიმართულებით ზოგი რამ გაკეთდა კიდევ, მაგრამ გასაკეთებელი ბევრად უფრო მეტია. აქედან გამომდინარე, მიზნად დავისახეთ, შეგვეცხოვრო ქართული ანთროპონიმული ლიტერატურა საქართველოს ერთი დიდი რეგიონის გვარსახელთა სრული ლექსიკონით და გამოგვეკვლია მოპოვებული მასალა სტრუქტურისა და სემანტიკის თვალსაზრისით (სამეგრელოს სოფლების მიხედვით გვარები და ამ გვარების კომლობრივი რაოდენობა დავადგინეთ 1990-1996 წლებში, ხოლო 2000 წელს გამოიცა ჩვენი წიგნი „გვარები და გვართა დასახლებანი სამეგრელოში“. სამწუხაროდ, სამურზაყანოს მცხოვრებთა გვარების სრულად აღწერა ვერ მოვასწარი). მაინცდამაინც კომლთა რაოდენობაზე (და არა სულადობაზე) იმიტომ გავამახვილეთ ყურადღება, რომ, როგორც წიგნის სათაურიდანაც ჩანს, გვართა დასახლების სახელწოდების წარმოქმნის საკითხიც გვანტერესებდა და სწორედ კომლი („ცალკე ოჯახი, მოსახლე“: ქეგლ) არის სახელმწიფოს უმცირესი სამეურნეო-სოციალური და სამემკვიდრეო-სამართლებრივი ერთეული. ამასთან ერთად, მიკროოიკონიმი (სოფლის ნაწილის, უბნის, კვარტალის სახელწოდების) წარმოქმნას სწორედ კომლთა გარკვეული რაოდენობის კომპაქტური დასახლება განსაზღვრავს. კომლთა მრავალრიცხოვნება, თავის მხრივ, ერთ-ერთი (ზოგ შემთხვევაში ერთადერთი) კრიტერიუმი, რათა დადგინდეს ამა თუ იმ გვარის პირველსაცხოვრისი, სამკვიდრო, „სამშობლო“ და ამავე თუ სხვა რეგიონში მიგრაციის მიმართულება (ამაში განსაკუთრებით გვეხმარება საგვარეულო გადმოცემები და უწინდელი სალოცავი ხატ-ჯვარის ადგილსამყოფლის გამოვლენა).

§1. გვარსახელი. მისი წარმოშობა და ფუნქცია

დღევანდელი კაცობრიობისათვის გვარი, როგორც სოციალურ-სამართლებრივი კატეგორია, იმდენად ბუნებრივი და აუცილებელი მოთხოვნილებაა, რომ გვიკვირს კიდევ, როგორ ცხოვრობდნენ ჩვენი წინაპრები მის გარეშე*. პირველყოფილ ადამიანთა საზოგადოების პრიმიტიული ცხოვრების წესისა და კარჩაკეტილი სამეურნეო საქმიანობისათვის ოდენ პირსახელიც საკმარისი იყო. მით უმეტეს, როცა მას მისტიკურ-საკრალური დატვირთვაც ჰქონდა: საკუთარ სახელს მიაწერდნენ მაგიურ ძალას, ადამიანის ბედისა და სიცოცხლის წარმართვის უნარს.

გვარსახელის, როგორც განსაკუთრებული ანთროპონიმული კატეგორიის ჩამოყალიბებისა და საყოველთაოდ გავრცელება-დაკანონების პროცესი მეტად ხანგრძლივი და თანდათანობითი იყო. როგორც ცნობილია, ადამიანთა საზოგადოებაში არაფერი იქმნება ისეთი, რაც არაა განპირობებული სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური განვითარების აუცილებლობით. სახელმწიფოს შექმნა მისთვის აუცილებელი საპოლიციო, საგადასახადო, სამხედრო, ადმინისტრაციული სტრუქტურებით ვაჭრობის განვითარება, მოსახლეობის ზრდა მოითხოვდა სათანადო დოკუმენტირებას, რისთვისაც საჭირო იყო პიროვნების სახელდება ორ- ან სამწევრიანი ანთროპონიმული მოდელით. მოგვეყავს ვრცელი ამონარიდი ზ. ჭუმბურიძის მსჯელობიდან: „შრომის განაწილება, მოსახლეობის ზრდა, ტომებს შორის ურთიერთობის

* შენიშვნა: როგორც თითქმის ველაფერში, აქაც არის გამონაკლისი – არსებობს უგვართა ქვეყანა. ესაა ისლანდიის რესპუბლიკა კუნძულ ისლანდიაზე. ქვეყნის კანონში, რომელიც 1925 წლის 27 ივნისს არის მიღებული, ჩაწერილია: „ჩვენს ქვეყანაში არავინ უნდა დაირქვას გვარი“. თუმცა ეს ხელს არ უშლის ნებისმიერ ისლანდიელს, იცოდეს თავისი წინაპრების 27-ვე თაობა. ცხადია, გვარის მაგივრობას ეწევა მამიშვილობის აღნიშვნა, რასაც ანთროპონიმულ ფორმულაში მეორე ადგილი უკავია: ჰუნარ ბენედიქტსონი (ცნობილი მწერალი) ნიშნავს „ჰუნარ ბენედიქტეს ძეს“. არის გამონაკლისიც: მწერალ ხალდოურ ლაკსნესისათვის ლაკსნესი გვარია. საქმე ისაა, რომ ოჯახებს, რომელთაც წინა საუკუნეებიდან ჰქონდათ გვარსახელი, დართეს მისი ტარების უფლება

გაცხოველება და ხალხის უფრო მრავალრიცხოვან კოლექტივად ჩამოყალიბება აუცილებელს ხდიდა არამართა იმის ცოდნას, თუ რა ჰქვია ამა და ამ პირს, არამედ – რა ხელობის კაცია იგი, ვისი შთამომავალია, სადაურია და ა.შ. ამრიგად, სახელის გვერდით გაჩნდა კიდევ მეორე, დამატებითი სახელი, რომელიც აზუსტებდა პიროვნების ვინაობას, მეტ ცნობებს იძლეოდა მასზე და თანაც აადვილებდა სეხნიების გარჩევას. აი, ამ დამატებითი სახელისაგან დროთა განმავლობაში წარმოიშვა გვარი, როგორც პიროვნული სახელის თანმხლები, განუყრელი ნაწილი“ (ჭუმბურიძე, 1987, გვ.293-294).

პიროვნების ვინაობის დაკონკრეტების მიზნით მეორე სახელის (ანთროპონიმული ფორმულის მეორე წევრის) გამოყენების ტრადიციას თანდათანობით ჩაეყარა საფუძველი. პირსახელს ემატებოდა მამიშვილობის ან პაპიშვილიშვილობის აღნიშვნა, საერო, სასულიერო თუ სამხედრო თანამდებობის, ან მოხელეობა-მოსაქმეობის აღმნიშვნელი ტერმინი, ზედწოდება, მეტსახელი და ა.შ. მაგრამ ეს მეორე სახელი არ იყო მემკვიდრეობითი, არ გადადიოდა მომდევნო თაობებზე. დროთა განმავლობაში მრავალ ხალხში წარმოიქმნა საოჯახო სახელებიც, რომლებსაც გარდამავალ ფორმებად თვლიან: გვარსახელები სწორედ მათგან წარმოიშვა.

როდის და სად წარმოიქმნა გვარსახელი საერთოდ?

სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ გვარსახელი წარმოიქმნა ჩრდილოეთ იტალიაში XI საუკუნეში და ერთი ასწლეულის მანძილზე ფართოდ გავრცელდა საფრანგეთში, გერმანიაში, ინგლისში. ფეოდალებს გვარსახელი სჭირდებოდათ მიწაზე შთამომავლობითი უფლების დოკუმენტური დადასტურებისათვის, ბურჟუაზიას კი – ფირმების მემკვიდრეობის შენარჩუნებისა და კლიენტურის გაფართოებისათვის. ვაჭართა კლასისათვის გვარი იყო ერთგვარი სავაჭრო ნიშანი, ნდობისა და ავტორიტეტის ფაქტორი. მოქალაქეებს სჭირდებოდათ გვარსახელი, როგორც იურიდიული საბუთი. XIII ს. დამლევს სტრასბურგში ყველა მოქალაქეს ჰქონდა გვარსახელი, თუმცა კი გერმანელ გლეხებში მისი დამკვიდრება ერთი საუკუნის შემდეგაც არ იყო დასრულებული. რუსეთში „პროზვიშიე“-ს (მეტსახელი და ზედწოდება) გაგვარსახელება დაიწყო XIV ს-ში: კერძოდ, თავადთა გვარები წარმოიშვნენ XV საუკუნიდან, აზნაურთა გვარები - XV-XVII საუკუნეებში, ვაჭართა უმეტესობამ გვარი დაიმკვიდრა XVIII ს-ში.

გლახობისათვის გვარი აუცილებელი გახდა ბატონყმობის გადავარდნის (1861 წ.) შემდეგ. ბევრ ქვეყანაში გვარსახელი შემოღებულ იქნა საკანონმდებლო აქტებით XIX ს. II ნახევარსა და XX ს. I ნახევარში (ნიკონოვი, 1989, გვ. 9).

არის მოსაზრება, რომ გვარი წარმოიქმნა უფრო შორეულ წარსულში, კერძოდ, ჩვენს წელთაღრიცხვამდე რამდენიმე საუკუნით ადრე საბერძნეთსა და რომის იმპერიაში, მაგრამ ამ საკითხის განხილვას აქ არ შევუდგებით.

მაინც რა არის გვარი?

ენციკლოპედიებსა და დარგობრივ ლექსიკონებში ანთროპონიმული ტერმინი „ (ლათ. familia, ინგლ. family) განმარტებულია ოჯახის ცნებასთან დაკავშირებით. მაგალითად,

„

(პოდოლსკაია, 1988, გვ. 140). „ქართული საბჭოთა ენციკლოპედია“ (ტ.3) გვარსახელის ასეთ დეფინიციას გთავაზობს: „დაბადებით ან ქორწინებით მიღებული და შთამომავლობით გარდამავალი გვარეობითი სახელწოდება, რომელიც ერთვის ადამიანის საკუთარ სახელს“. „ონომასტიკურ ტერმინთა განმარტებით ლექსიკონში“ (ცხადაია, 1988) მოცემული განმარტება გვარისა, როგორც ოფიციალური და მემკვიდრეობითი საოჯახო სახელწოდებისა, რომელიც ერთვის პიროვნულ სახელს, სრული და ამომწურავია, ვთქვათ, ევროპის ხალხებისათვის, მაგრამ არა ქართველთათვის. საქმე ისაა, რომ „გვარსახელი ქართული სინამდვილისათვის მხოლოდ ოჯახის – ამ პირველადი სოციალური უჯრედის დამახასიათებელი მოვლენა არ არის... ის ოჯახზე უფრო მსხვილი ნათესაური გაერთიანების მემკვიდრეობითი სახელწოდება“ (თოფჩიშვილი, 1997, გვ. 4).

მართლაც, გვარსახელს საქართველოში მნიშვნელოვანი ფსიქოლოგიური, ზნეობრივი და საადათწესო დატვირთვა აქვს. იგი სისხლის აღრევის პროფილაქტიკური საშუალებაცაა: გვარის შიგნით მტკიცეა და ცული ეგზოგამია – ქორწინების აკრძალვა. ქართველი სირცხვილად და დანაშაულად ც კი თვლიდა თანამოგვარეზე დაქორწინებას მაშინაც კი, როცა ეს თანამოგვარე, ფაქტობრივად, სხვატომელი, სხვაგვარელი (ნაშვილები, შენაკედლები, სამოსახლომცემული) იყო. საბუთიანი მსჯელობის შემდეგ რ. თოფჩიშვილი ასკვნის: „გვარსახელი არის ის მემკვირე-

ობითი სახელი, რომელიც სულ ცოტა სამი თაობის განმავლობაში მაინც გადაეცემა თაობიდან თაობას“ (იქვე, გვ.5). განმარტება მისაღებია, მაგრამ... საქართველოს თითქმის ყველა კუთხეშია ცნობილი გვარის დანაყოფის (შტოგვარის, ქვეგვარის) სახელები, რომლებიც გვარის ალტერნატივას წარმოადგენენ, ოღონდ არაოფიციალურ სიტუაციაში. ხშირად გვარისა და შტოგვარის სახელები ერთი და იმავე ეპონიმისაგან მომდინარეობენ, მაგრამ სხვადასხვა სტატუსით სარგებლობენ. ჩეკურას შთამომავლები არიან ჩეკურაშვილებიც და ჩეკურაანიც. ყოველდღიურ არაოფიციალურ ურთიერთობაში ეს უკანასკნელი ვარიანტი უფროა გავრცელებული, მაგრამ ოფიციალურ სიტუაციაში მას არ მიმართავენ: მხოლოდ „ჩეკურაშვილს“ აქვს სადოკუმენტაციო, სამართლებრივი ფუნქცია. ყოველივე აქედან გამომდინარე, ქართული სინამდვილისათვის (დღევანდელი გათვალისწინებით) უფრო მისაღები ხომ არ იქნება ასეთი განმარტება: **გვარსახელი არის წინაპრის შთამომავალთა გამაერთიანებელი მემკვიდრეობითი სახელი, რომელსაც ოფიციალურ-სამართლებრივი სტატუსი აქვს მინიჭებული.**

თვით ტერმინი „გვარი“ გვარსახელის დღევანდელი გაგებით უკვე გვხვდება XII ს. დამლევის ერთ საბუთში, რომლითაც „მღვიმის კრებული“ მიმართავს იოვანე, ნიკოლოზ და ნიანია ტოხაისძეებს, თქვენი გვარის („თქუენისა გვარისა“) კაცი ბასილ ტოხაისძე კვირიკე კახთა მეფის მოძღვარი ყოფილიყო... 1200 წელს ხარაისძეთა მიერ დაწერილ პირობის წიგნში გვხვდება ფრაზები „ჩუენისა გვარისა“, „გუარმან ჩუენმან“ და სხვ.

ითვლება, რომ ქართველებს გვარსახელი, როგორც ენობრივი და სოციალური ფენომენი, უკვე ჰქონდათ 12-13 საუკუნის წინათ. ზ. ჭუმბურიძის დაკვირვებით, „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში“ მოხსენიებული „დაფანჩული“ (IX ს. დამდეგის ეპიზოდი) უკვე გვარსახელია როგორც მემკვიდრეობითი სახელი, რომელსაც მისი შთამომავლები ატარებენ საუკუნენახევრის შემდეგაც: „ეგრეჲ მას სახელი გაბრიელ დაფანჩული, და აწ ნათესავთა მისთა (ე.ი. შთამომავლებს: პ.ც.) ჰრქჳნ დაფანჩულნი“. ალ. ლლონტის აზრით, გვაროვნული სახელი ქართველ ტომებში ადრინდელი ფეოდალიზმის ეპოქაში ჩასახულა და VII-VIII სს-ში მისი ჩამოყალიბების პროცესი თითქმის დასრულებული ჩანს (ლლონტი, 1986, გვ. 48). უფრო ადრინდელ პერიოდში ქართველთა შორის

გვარსახელის არსებობის დასამტკიცებლად სათანადო მასალა არ მოგვეპოვება. მიუხედავად ამისა, ანზორ შონია მცირე ნარკვევში „გვარები მეტყველებენ...“ აცხადებს: „მეგრული გვარი პირველი ათასწლეულის დასაწყისში, უფრო სწორად, საქართველოში ქრისტიანული რელიგიის ოფიციალურად აღიარებამდე წარმოიშვა“ (შონია, 1997, გვ. 26). გასაგებია: ავტორს ამოძრავებს კეთილი განზრახვა და ამიტომაც სასურველი სინამდვილედ ეჩვენება.

შუა საუკუნეებში ჩვენი წინაპრების ანთროპონიმული ფორმულა უკვე სამწევრიანი იყო. 1104-1118 წწ. დაწერილ დავით მეფის სიგელში აღნიშნულია: „გაუშვით ნიანია ნიანიასძე, გრიგოლ მაოხრებლისა შვილი მისითა მამულითა ვეძისხევითა“. ცხადია, რომ ნიანია პირსახელია, გრიგოლ მაოხრებელი მამაა, ხოლო ნიანიასძე გვარია. ამავე საუკუნის სხვა საბუთში დასახელებულნი არიან „მიხითარაისძენი დავითის შვილნი ოქრაი და მახარაი, ბრაჭი და იოვანე“, რაც ამას ნიშნავს: ოქრაი, მახარაი, ბრაჭი და იოვანე ძმები არიან. დავითი მათი მამაა, ხოლო მიხითარაისძე მამა-შვილთა გამაერთიანებელი გვარსახელია. იმ პერიოდის სამწევრიანი სახელდებითი ფორმულის კომპონენტების თანმიმდევრობა ჯერ კიდევ არაა საბოლოოდ დადგენილ-დაკანონებული. გვხვდება რამდენიმე ვარიანტი: გვარსახელი – მამიშვილობა – პირსახელი (თოთაძე გიორგისშვილი გაბრიელ), მამიშვილობა – გვარსახელი – პირსახელი (ზაქარაის შვილი კილაძე ბესო), გვარსახელი – პირსახელი – მამიშვილობა (აბულეთისძე ძაგან, ძე ერისთავთ ერისთავისა იოვანესი) და სხვ. XIII ს. დამლევის ერთ საბუთში ერთი და იგივე პიროვნება – გრიგოლ ჭაჭნიას ძე ჭარმაული – ერთგან დასახელებულია როგორც ჭარმაული ჭაჭნიაშვილი გრიგოლ, ხოლო მეორეგან – როგორც ჭაჭნიაშვილი გრიგოლ ჭარმაული (შუა საუკუნეების საისტორიო წყაროებში მრავალი ასეთი მაგალითი დასტურდება. იხ. თოფჩიშვილი, 1997).

გვარსახელი როგორც ლინგვისტური, ისე ექსტრალინგვისტური ფაქტია. იგი შეისწავლება სამი ასპექტით: ენათმეცნიერული, ისტორიული, ეთნოგრაფიული. ენათმეცნიერს აინტერესებს გვარსახელთა სემანტიკა და სტრუქტურა, ძირეული და საწარმოქმნო მორფემები, სინქრონიული და დიაქრონიული შრეები, კონვერსიის მექანიზმის მოქმედება... ცნობილი მეცნიერი ზ. ჭუმბურიძე ქართულ გვარებში გამოყოფს სემანტიკურ ჯგუფებს:

სახელებისაგან წარმოქმნილი გვარები, დახასიათების შემცველი გვარები, ხელობისა და თანამდებობის აღმნიშვნელი გვარები, წარმომავლობისა და სადაურობის აღმნიშვნელი გვარები, სხვადასხვა საგნის სახელწოდებებისაგან ნაწარმოები გვარები. რა თქმა უნდა, იგულისხმება ძირეული სიტყვების სემანტიკა, თორემ, ფაქტობრივად, თითქმის ყველა გვარი (ხელოვნურ გვართა გარდა) წარმოქმნილია ეპონიმის პირსახელისა, მეტსახელისა და ზედწოდებისაგან, რომელნიც სუფიქსაციის შედეგად ან კონვერსიით (უშუალოდ, სუფიქსის დაურთველად) გაგვარსახელდნენ. თვით ზ. ჭუმბურიძეც წერს: „ვიმეორებთ, ბევრი იმ სიტყვათაგანი, რომელიც გვარის შემადგენლობაში გვხვდება, ჯერ საკუთარ სახელად (ან მეტსახელად) ყოფილა გამოყენებული და შემდეგ ამ სახელისაგან წარმოქმნილა გვარი“ (ჭუმბურიძე, 1987, გვ. 319).

არსებულ სამეცნიერო ლიტერატურასა და საისტორიო საბუთების ჩვენებაზე დაყრდნობით რ. თოფჩიშვილიც ასკვნის: „საქართველოში გვარსახელს დიდი ხნის, საუკუნეების ისტორია აქვს. ქართული გვარსახელების არსებობა დოკუმენტურად დასტურდება VIII-IX სს-დან, თუმცა, რა თქმა უნდა, ის ამ დროს არ წარმოქმნილა. გვარსახელი ჩვენში უფრო ადრეა წარმოშობილი“ (თოფჩიშვილი, 1997, გვ. 100. იხ. აგრეთვე მისი თეზისები „ქუთაისური საუბრების“ VI სიმპოზიუმის მასალებში). ქვემოთ ვასახელებთ საბუთებს კოლხურ გვარსახელთა სიძველის შესახებ. ასე რომ, გ. ხორნაულის დებულება, „რუსეთთან შეერთების შემდეგ (1801 წლიდან)... გვარი, ჩანს, აუცილებლობად გამოცხადდა“ საქართველოში (ხორნაული, 1994, გვ. 85), ასე უნდა გავიგოთ: რუსეთის იმპერიის მიერ ჩატარებულმა სხვადასხვა ხასიათის აღწერებმა პიროვნების სახელების სამწევრიანი მოდელი სავალდებულო გახადა იმათთვისაც, ვისაც ჯერ კიდევ არ ჰქონდა დოკუმენტირებული გვარსახელი.

გვარსახელი კიდევ უფრო (ვინემ პირსახელი) აკონკრეტებს და გამოარჩევს პიროვნებას ადამიანთა სიმრავლეში და, ამავე დროს, გამოხატავს მის მიკუთვნებას ამა თუ იმ ოჯახისადმი. ესაა გვარსახელის ოფიციალური სოციალური ფუნქცია (არაოფიციალურ სიტუაციაში ამ მიზნით გამოიყენება გვარის დანაყოფის, ანუ შტო-გვარის, სახელი, ჯგუფური ან ინდივიდუალური მეტსახელი...). გვარსახელთა მცირე ნაწილი იმეორებს საზოგადო სახელს (მენაბდე, მემარნე, მესტუმრე...), ხოლო უმეტესი ნაწილი გაფორმებულია

საგვარსახელო მორფემებითა თუ მორფემოიდებით (მენაბდიშვილი, ჭელიძე, ვიბლიანი, შონია...). მაშასადამე, გარდა იშვიათი გამონაკლისისა, ქართული გვარსახელი სწორედ სტრუქტურით (კერძოდ, დაბოლოებით) გამოირჩევა. და ეს მაშინ, როცა მრავალ ხალხში პირსახელი და გვარსახელი ფორმით ემთხვევა ერთმანეთს და მათი ფუნქციის გასარკვევად ანთროპონიმულ მოდელში შემავალ კომპონენტთა დაკანონებული თანამიმდევრობის ცოდნაა აუცილებელი. მაგალითად, ფრანგულ ორწევრიან რქმევის ფორმულაში პირველი წევრი პირსახელია, მეორე კი – გვარსახელი. ხშირად მოჰყავთ ასეთი კლასიკური მაგალითი: მსახიობ ჟერარ ფილიპისათვის ჟერარი პირსახელია, ხოლო ფილიპი გვარსახელი გახლავთ. მაგრამ კომპოზიტორ ფილიპ ჟერარისათვის პირიქითაა: სახელია ფილიპი, გვარსახელია ჟერარი. ქართველებს ამ თვალსაზრისით თითქმის იდეალურად გვაქვს საქმე: გვარსახელისა და პირსახელის დამთხვევა (ერთი რეგიონის ფარგლებში) ძალზე იშვიათია.

ქართულ (ქართველურ) გვარსახელებში გამოყოფენ 13 დაბოლოებას („ქართული“ და „ქართველური“ ამ შემთხვევაში ერთმანეთს ფარავს: „ქართული“ სახელმწიფოებრივ-ლიტერატურული ენისა და ეროვნული ცნობიერების გამომხატველი სიტყვაა, ხოლო „ქართველური“ ოდენ ენათმეცნიერული ტერმინია და გულისხმობს მონათესავე ენებს – ქართულს, სვანურს, მეგრულ-ლაზურს, რომელთაც, გარდა საერთო ფუძენისა, აერთიანებს ქართული სალიტერატურო ენა, კულტურა და მწიგნობრობა). საქართველოში მცხოვრებ ქართველთა სულადობა გვარის დაბოლოებათა მიხედვით (იხ. სილაგაძე, თოთაძე, 1997, გვ.288). ასეთია:

1. -ძე	1 649 222	8. -ელ	55 017
2. -შვილ	1 303 723	9. -ულ	23 729
3. -ია	494 224	10. -ში	7 263
4. -ვა	200 642	11. -სკირი	2 375
5. -იან	129 206	12. -ჭკორი	1 831
6. -ურ	76 044	13. -ყვა	1 023
7. -უა	74 816		

ამ დაბოლოებათაგან ზოგი სიტყვაწარმოებითი მორფემაა (მაგალითად, -ია, -ვა, -იან, -ურ, -ელ, -ულ), ზოგიც ბრუნვის ნიშანი (-იში) ან მორფემოიდი (საზოგადო სახელი, რომელმაც

სიტყვაწარმოებითი ფუნქცია მიიღო, მაგალითად, -ძე, -შვილ, -ბერე, -სკირ-ი, ჭკორ-ი). ქართულ გვარებში ყველაზე გავრცელებულია -ძე და -შვილ დაბოლოებანი.

ჩამოთვლილ მორფემათა და მორფემოიდთა ტერიტორიულ-რეგიონული განაწილება ძირითადად ასეთია: -ძე პირველობს აჭარაში, გურიაში, იმერეთში, სამცხეში, ჯავახეთში, რაჭაში (ყველა ამ რეგიონში მეორე ადგილზეა -შვილ დაბოლოება); -შვილ უპირატესობს ქართლში, კახეთში, თბილისში (აქ ყველგან მეორე ადგილზეა -ძე დაბოლოება) და აღმ. საქართველოს მთის რეგიონებში (სადაც მეორე ადგილი -ურ სუფიქსს, ხოლო მესამე -ძე-ს უკავია). განსხვავებული ვითარება ჩანს ლეჩხუმსა და სვანეთში, სადაც პირველ ადგილზეა -იან, ხოლო მეორეზე -ძე დაბოლოება. სამეგრელოში ყველაზე პროდუქტიულია -ია, მას მოსდევს -ვა, -ძე, -უა და სხვ. (იქვე, გვ. 289). მოგვყავს დაბოლოებათა მიხედვით სულთა რაოდენობის მონაცემები სამეგრელოსათვის:

1. -ია	321 571	8. -ელ	987
2. -ვა	124 526	9. -ურ	956
3. -ძე	46 718	10.-ჭკორი	891
4. -უა	43 192	11. -ში	358
5. -შვილ	26 329	12. -ულ	101
6. -იან	10 218	13. -ყვა	46
7. -სკირი	1 500		

საქართველოში ყველაზე გავრცელებული ათასი გვარის სიის თავშია მოქცეული გვარი ბერიძე – 24 797 სული. მეათასე ადგილი უკავია ბოხუას – 1064 სული. ყველაზე გავრცელებულ ას ქართველურ გვარსახელში 17 კოლხური გვარია. მათში -ია დაბოლოება აქვს თორმეტს, -ვა დაბოლოება – სამს და -უა დაბოლოება – მხოლოდ ორს. ეს მონაცემები თავისთავად მიანიშნებს ამ დაბოლოებათა პროდუქტიულობაზე კოლხურ გვარსახელებში („დაბოლოება“ ზოგადი ტერმინია, რომელიც გულისხმობს სუფიქსსაც და არასუფიქსსაც).

1 (6) კვარაცხელია-	13 618	10 (54) გოგოხია-	6064
2 (8) შენგელია -	12 764	11 (55) ქარდავა -	6014
3 (24) თოდუა -	8079	12 (58) ნაჭყებია -	5759
4 (27) შონია -	7648	13 (60) დანელია -	5666

5 (33) ფიფია - 7142	14 (73) ქობალია - 5209
6 (39) ჭანტურია - 6698	15 (76) წულაია - 5091
7 (44) ჯიქია - 6432	16 (96) მიქავა - 4550
8 (46) გაბუნია - 6389	17 (99) გაგუა - 4526
9 (53) სიჭინავა - 6102	

(განმარტება: ნუმერაცია 1, 2, 3... აღნიშნავს გვარის ადგილს 100 მეგრულ გვარსახელში, ხოლო ნუმერაცია (6, 8, 24...) აღნიშნავს კოლხური გვარსახელის ადგილს ქართულ გვარსახელებში).

ქართველური გვარსახელების ფინალური მორფემების წარმოშობისა და ისტორიის საკითხებს მრავალი მკვლევარი შეჰხებია. მათ შორის ერთ-ერთი პირველი იყო ს. ჯანაშია. მან თავის ნაშრომში „თუბალ-თაბალი, ტიბარენი, იბერი“ საგანგებოდ განიხილა მეგრული -ია და -ვა დაბოლოებების საკითხი და დაასკვნა, რომ ისინი სვანური -იან-ისა და -ვან-ის თანხმოვანმოკვეცილი ვარიანტებია (ჯანაშია, 1959, გვ. 34-35). ამ სვანურ სუფიქსებში ძირითადია „ქართველურ ენებში ფართოდ გავრცელებული -ან სუფიქსი“, რომელიც „უკავშირდება ფუძეს ზოგჯერ უშუალოდ, უმეტეს წილად-კი - ი, ე, ო, უ ინფიქსების საშუალებით. ამ ინფიქსებსა და სუფიქსს შორის ხშირად ჩნდება თანხმოვანი ვ“ (იქვე, გვ. 34-35). ზ. ჭუმბურიძის თვალსაზრისითაც, „მეგრულ გვარებში გავრცელებული ვა და ია სუფიქსები... უან//იან დაბოლოებისაგან უნდა იყოს მიღებული“ (ჭუმბურიძე, 1987, გვ. 296). საერთოდ კი უძველეს საგვარსახელო სუფიქსად ითვლება -ეთ (-თ), რომელიც დღეს ამ ფუნქციით არაა დატვირთული, და -ან, რომელიც გამოხატავდა კრებითობა-ქონებასაც და წარმოშობა-სადაურობასაც (ჯანაშია, 1959, გვ. 34).

აღმოსავლეთ საქართველოში პროდუქტიული -ურ სუფიქსი „ამაჰაკაცის სახელს ერთვის და კუთვნილებას აღნიშნავს. არაბული, ცისკარაული, ანთაური ნიშნავს მხოლოდ არაბას, ცისკარას, ანთას შთამომავლებს“ (თოფჩიშვილი, 1997, გვ. 106). ამასთანავე, შუა საუკუნეებში ხდება -ძე და -შვილ დაბოლოებათა გაბატონება. სამეცნიერო ლიტერატურაში უკვე მიექცა ყურადღება ისეთ შემთხვევებს, როცა ერთსა და იმავე საისტორიო საბუთში გვარსახელთა დაბოლოებანი მონაცვლეობენ: ჯაბნიაური და ჯაბნიაშვილი, ჭინჭარაული და ჭინჭარაძე, მანგაური და მანგ-ოშვილი... ისიცაა აღნიშნული, რომ -ძე და -შვილ დაბოლოებანი

ერთვის უკვე არსებულ გვარებს: გოგუა → გოგუაძე, ოდიშელი → ოდიშელიძე, ბენია → ბენიაშვილი... (ე. წ. მეორეული აფიქსაცია).

ქართულ გვარსახელთა ერთი ნაწილი წარმოქმნილია საგანგებო (საგვარსახელო) სუფიქსაციის გარეშე, კონვერსიის გზით, როცა სიტყვა (ლექსიკური ერთეული) იძენს საკუთარი სახელის, კერძოდ, გვარსახელის ფუნქციას ფორმა-სტრუქტურის შეუცვლელად. ასეთი სიტყვები აღნიშნავენ პროფესია-მოსაქმეობას, თანამდებობას (მდივანი, მეზღვრე, ერისთავი, ხარატი, ხელისუფალი და სხვ.) ან ეთნოსს (ბერძენი, დვალი, სვანი, მეგრელი და სხვ.). გვარსახელებში გვხვდება ადამიანთა შინაგანი თვისებისა და გარეგნობის ამსახველი სიტყვებიც (ბუთხუზი, ჩქოფორია...). ამთავითვე შეიძლება აღინიშნოს, რომ კოლხთა შორის ამგვარი გვარსახელები ძალზე იშვიათია.

§2. კოლხურ გვარსახელთა ისტორიიდან

ქართველური ანთროპონიმული სისტემა ერთიანია (და უძველესი), მაგრამ ამ ერთიანობის ფარგლებში ქართულ, სვანურ და კოლხურ (ზანურ) გვარსახელებს გარკვეული თავისებურებანი მოეპოვებათ როგორც ამოსავალ ფუძეთა (პირსახელთა, მეტსახელთა...) სემანტიკის, ისე სუფიქსაციის თვალსაზრისით. კერძოდ, კოლხურად ითვლება გვარსახელები, რომელთაც ფინალში აქვთ: -ია, -უა, -ვა, -ში, -სქირი, -სქუა, -ბერი, -ჭკორი.

ვახუშტი ბატონიშვილი თავისი საისტორიო-გეოგრაფიული ნაშრომის ერთ მცირე ქვეთავში („მთავართა გუარათათვის“) ძველ მთავართა გვარებს შორის ასახელებს: „ბაღუში, რომელ იყო ლიპარიტისძე..., „მარუშისძე...“ (ქ.ც., 1973, გვ. 27-28). ბაღვაშების საგვარეულო, ანუ „სახლი ბაღვაშთა“, როგორც მას მოიხსენიებს დავით აღმაშენებლის მემკვიდრე (ქ.ც., 1955, გვ. 326) ცნობილი იყო IX-XIII სს. საქართველოში. ბაღვაშები არგვეთის (ზემო იმერეთის) მფლობელები იყვნენ. ლიპარიტ ბაღვაში 876 წ. დავით კურაპალატის ვასალი გამხდარა, სამართავად მიუღია თრიალეთის მიწა-წყალი და აუშენებია კლდეკარის ციხე. საისტორიო წყაროებში ბაღვაშთა სახლი „ლიპარიტეთი“

ფორმითაც მოიხსენიება. ბაღვაშები მუდმივ ოპოზიციაში ედგნენ გაერთიანებული საქართველოს მეფეებს. 989 წელს ბაგრატ III-სთან ჭიდილში დამარცხებული რატი I ბაღვაში, ლიპარიტის ძე, უბრუნდება თავის მამულს – არგვეთს... X-XI სს. დას. საქართველოში ერთ-ერთი უძლიერესი ყოფილა მარუშისძეთა, ანუ მარუშისძეთა, ფეოდალური საგვარეულოც. საისტორიო წყაროებში ისინი უფრო ხშირად მარუშისძეებად არიან დასახელებულნი: ივანე მარუშისძე – ქართლის ერისთავი 970-იან წლებში (სწორედ მისი მონღომებით გახდა ბაგრატ III, აფხაზთა მეფის შთამომავალი დედის მხრიდან, აფხაზეთის სამეფოს მეფე); ზვიად მარუშისძე – აფხაზთა მეფე ლეონ III-ის მოხელე და ჯავახეთის ერისთავი 60-იან წლებში; ზვიად ერისთავი – ბაგრატ III-ის მოხელე და თრიალეთის ერისთავი X-XI სს. (სწორედ მან გადაასვენა ბაგრატ III-ის ცხედარი ტაოდან ბედიაში 1014 წელს). მარუშისძეთა საგვარეულოდან მომდინარეობენ ვარდანისძენი და დადიანები.

აღნიშნული ორი საგვარეულო სახელი ჩვენთვის ამჯერად საინტერესოა როგორც **საისტორიო წყაროებში კოლხურსუფი-ქსიანი გვარსახელების უძველესი დაფიქსირება**. ამასთანავე, ორივე ეს ანთროპონიმი – გვარსახელი ბაღვაში (ბაღუაში, ბაღუში) და პირსახელი მარუში – ცხადყოფენ, რომ ამ პერიოდისათვის (ე.ი. IX-X სს.) **-(ი)ში** ბრუნვის ნიშანს უკვე ჰქონდა მოპოვებული სიტყვაწარმოებითი ფუნქცია ეპონიმის შთამომავალთა აღნიშვნისა: **ბაღუაში ნიშნავს ბაღუს შთამომავალს**. ბაღო, ბაღუ, ბაღუა პირსახელთა რეალურობას ადასტურებენ გვარები ბაღოშვილი, ბაღუაშვილი, ბაღუშვილი (ეს უკანასკნელი სენაკისა და აბაშის რაიონებშია გავრცელებული). საისტორიო წყაროებში ბაღვაშ-ორბელთა საგვარეულო ჭანური წარმომავლობის მამიკონიანთა გვარის განშტოებად არის მიჩნეული. ზოგი წყარო ლიპარიტს აფხაზადაც კი იხსენიებს (იხ. სათანადო ლიტერატურის მიმოხილვა: ბალიშვილი, 1999, გვ. 106-107). ანთროპონიმი მარუში შეიძლება პირსახელადაც ვიგულოვოთ (თუ მხოლოდ მამიშვილობას გამოხატავს) და გვარსახელადაც (თუ რამდენიმე თაობას გადაეცა მემკვიდრეობით). საგვარეულო სახელია როგორც მარუშისძე, ისე მარუშისძე. ორსავე შემთხვევაში მომხდარა უკვე სუფიქსდართული ანთროპონიმის ხელახალი სუფიქსაცია ფეოდალურ იერარქიაში უფრო მიღებული -იან სუფიქსით ან -ძე სუფიქსოვლით (ამგვარი,

ე.წ. მეორეული სუფიქსაცია არაა იშვიათი. შდრ.: გეგე → გეგეში → გეგეშიძე, კვატა → კვატაში → კვატაშიძე და სხვ.). ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მარშვან, მარშვან დაფიქსირებულია სვანეთის საისტორიო საბუთებშიც, ხოლო პირსახელი მარშ(ა) გამოიყოფა გვარ მარშაშვილშიც (იმერეთი).

კოლხური გვარსახელი დოკუმენტირებულია ეპიგრაფიკულ ძეგლებში ჯერ კიდევ XI ს-დან. ილორის წმინდა გიორგის სახელობის ტაძრის ნუსხურ წარწერაში (თარიღდება X-XI საუკუნეებით) მოხსენიებულია გიორგი ქოჩოლვაი, ხოლო წებელდის XIII ს. ასომთავრულ წარწერაში - ლუკა მარტინ(ი)ვა. სპეციალისტთა აზრით, ქოჩოლვა შესაძლებელია წაკითხულ იქნეს როგორც ქოჩოლვა ან ქუხულავა, ხოლო მარტინ(ი)ვა - როგორც მარტინავა. ეს საშუალებას იძლევა, „კიდევ ერთხელ დავრწმუნდეთ, რომ XI-XIII საუკუნეებში ამჟამინდელი აბჟუისა და კოდორის ხეობის ტერიტორიაზე ნამდვილად უცხოვრია კოლხურ (მეგრულ) მოსახლეობას, ხოლო -ვა დაბოლოებიან გვარსახელთა მოდელი XI საუკუნეში უკვე საბოლოოდ ყოფილა ჩამოყალიბებული“ (გვანცელაძე, 1998, გვ. 35).

კოლხურ გვარსახელთა ისტორიის კვლევის თვალსაზრისით მნიშვნელოვანია წალენჯიხის მაცხოვრის ეკლესიის წარწერებიც. ერთ-ერთ მათგანში აღნიშნულია, რომ ვამეყ დადიანს (1384-1396 წწ.) კონსტანტინოპოლიდან მხატვრის ჩამოსაყვანად გაუგზავნია ორი ბერი - ანდრონიკე გაბისულავა და მახარებელ ქვაბალია. გვარ გაბისულავას ჩვენამდე არ მოუღწევია, არც სხვა საისტორიო წყაროებში დასტურდება. მაგრამ ქვაბალია ფართოდაა გავრცელებული ქობალიას ფორმით.

კოლხური ანთროპონიმული სისტემა, ჩვეულებრივ, ქართლისა და სვანურის სათანადო სისტემებს მიჰყვება და იმეორებს. ეს შეეხება გვარსახელების სემანტიკასაც და სტრუქტურასაც. განსხვავება კი თავს იჩენს ზოგი ლოკალური სუფიქსისა თუ სუფიქსოიდის სახით. **კოლხური გვარსახელების დიდზე დიდი ნაწილი ეპონიმურია**, რაც პრაქტიკულად ორ გარემოებაში გამოიხატება: ა) გვარი იმეორებს ეპონიმის სახელს (აფიქსაციის გარეშე გვარადქცეული სახელი, მეტსახელი ან ზედწოდება). ბ) გვარი იწარმოება ეპონიმის სახელზე სუფიქსოიდის, სპეციალური სუფიქსის ან ნათესაობითი ბრუნვის ნიშნის დართვით. ეპონიმი (ინგლ.

eponym) შეიძლება ვუწოდოთ ნებისმიერ (და არა მარტო რაიმეთი ცნობილ) პირს, რომლის სახელმაც ამა თუ იმ გვარსახელს მისცა დასაბამი. ამ თვალსაზრისით ეპონიმური გვარის ფუძეში შეიძლება შეგვხვდეს პიროვნების აღმნიშვნელი ყოველგვარი საკუთარი თუ საზოგადო სახელი. საერთოდ, პირსახელი შეიძლება იყოს **ოფიციალური**, სადოკუმენტაციო (ძველ დროში – ნათლობის, თანამედროვე მსოფლიოში – საპასპორტო) ან **არაოფიციალური** (როგორცაა: ოფიციალური პირსახელის შემოკლებული თუ კინობითი ვარიანტი, მეტსახელი, თანამდებობისა თუ მოხელეობის აღმნიშვნელი ტერმინი, სატომო თუ სადაურობის სახელი, პატრონიმული სახელი და სხვ.). აქვე დაისმის კითხვა: მაშ რაღაა არაეპონიმური გვარსახელი?! მათი რაოდენობა ძალზე მცირეა: ძირითადად ესაა ფსევდონიმი ან ხელოვნური გვარი (რომელსაც პირობით იღებს ოჯახი თუ ინდივიდი. მაგალითად, აჭარის სოფ. სარფში მცხოვრებმა ქესოლოლებმა ნახევარი საუკუნის წინათ მიიღეს გვარი ქორიძე, რადგანაც, როგორც ამ სოფლის მკვიდრი, ენათმეცნიერი ო. მემიშიში გადმოსცემს, სათანადო დებულება მოითხოვდა წინანდელი გვარის პირველი ბგერის შენარჩუნებას).

ონომასტიკურ სიტყვაწარმოებაში ცნობილია ე.წ. კონვერსიის მეთოდი, რაც გულისხმობს საზოგადო სახელის გადაქცევას საკუთარ სახელად ან საკუთარი სახელის გადანაცვლებას ერთი ლექსიკურ-სემანტიკური და ფუნქციური ჯგუფიდან მეორეში აფიქსაციის გარეშე. **შერმადინი** პირსახელია (1995 წელს საქართველოში ამ სახელს ატარებდა 469 პირი), მაგრამ ათასზე მეტი ქართველისათვის იგი გვარსახელია. თითოეულ ადამიანს დაბადებისას ან ნათლობისას არქმევენ მისთვის შერჩეულ (ჩვეულებრივ, კალენდარულ) სახელს, რაც არ გამორიცხავს ცხოვრების გზაზე ზედწოდების ან მეტსახელის „დამსახურებასაც“ (მეტსახელი -

– გარეგნული ან შინაგანი ნიშნის მიხედვით შერჩეული სახელი; ზედწოდება – პირსახელის ფუნქციით გამოყენებული ხელობა-მოსაქმეობის ტერმინი). ერისთავი, ათაბაგი, გამგებელი... სახელისუფლო ტერმინებია, მეგრელი, მესხი, სვანი... სატომო, ხოლო თუხარელი, ლიქოკელი, მეტრეველი... სადაურობის სახელებია, მებუხრე, მებუკე, მემარნე... ხელობა-მოსაქმეობას ასახავენ. ეს და ამის მსგავსი მრავალი ათეული საზოგადო სახელი თავდაპირველად პიროვნების ზედწოდებად, ხოლო შემდეგ მის

შთამომავალთა გვარსახელად ქცეულა საგვარსახელო აფიქსაციის გარეშე. **კოლხურში ამგვარი (ე.ი. კონვერსირებული) გვარსახელი იშვიათია.** შეგვიძლია დავასახელოთ სოციალური სტატუსის გამომხატველი საზოგადო სახელი – რთული სიტყვა გეგეჰკორი (← გეგემ ჰკორი “გეგეს ყმა“. გეგე ამ შემთხვევაში წმინდა გიორგია). როგორც ვხედავთ, პიროვნების ზედწოდება ეპონიმის შთამომავლებს გვარსახელად უქცევიათ. ჰკორ–ზე დამთავრებულ გვარსახელს ატარებს საქართველოში 1831 პირი (მათგან სამეგრელოში – 891). სხვა შემთხვევაში ამგვარი სემანტიკისა და სტრუქტურის მქონე ზედწოდება გაგვარსახელებულა -ა სუფიქსის დართვით: პაპაჰკორი → პაპაჰკორია → პაჰკორია, ვადაჰკორი – ვადაჰკორია და სხვ.

„კოლხური გვარსახელი“ ეთნიკურ-ენათმეცნიერული ტერმინია და აღნიშნავს კოლხური (ზანური, ანუ მეგრულ-ჭანური) ენის საგვარსახელო მოდელს (სემანტიკითა და სტრუქტურით, ე.ი. ფუძეებით, სუფიქსებითა და სუფიქსოიდებით). როგორც გამოირკვა, ამ მოდელის მქონე ყველა გვარსახელის სამშობლო და ძირითადი სამკვიდრო არის არა მხოლოდ სამეგრელო. 1995 წლის 1 თებერვლისათვის ვაუჩერების მიმღებთა გვარსახელების სიის მიხედვით (იხ. სილაგაძე, თოთაძე, 1997) სამეგრელოს მომიჯნავე ეთნიკურ-დიალექტურ რეგიონებში - აჭარა-გურია-იმერეთში დაფიქსირდა 100-მდე კოლხური გვარი, რომელნიც არ გვხვდება სამეგრელოში (არ ვეხებით სამურზაყანოს, რომლის სრული მონაცემები არ მოგვეპოვება). ამ თვალსაზრისით გამორჩეულია იმერეთი, სადაც მკვიდრობს კოლხურსუფიქსიანი გვარები:

-ია დაბოლოებიანი (ნაჩვენებია სულთა საერთო რაოდენობაც): აშვეთია – 150, აშოთია – 175, ბაბუხადია – 453, ბექაია – 223, ბოდოკია – 523, გელაზონია – 144, გიორგაია – 98 (შდრ. იმერეთშივე: გიორგაძე – 14 582), დეკანოია – 27 (შდრ. იმერეთშივე განსახლებული დეკანოიძე – 1673), ინჯია – 107 (შდრ. სამეგრელოში ინჯია – 631), კვატია – 21 (შდრ. იმერეთშივე კვატიძე – 56), კვირკვილია – 22 (შდრ. კვირკველია – 2693, ძირითადად სამეგრელოში), მურღულაია – 36 (შდრ. მურღულია – 825, ძირითადად სამეგრელოსა და იმერეთში), მუჭერია – 245, ტონია – 210, ურდია – 48 (შდრ. ურიდია – 660, ძირითადად სამეგრელოში), ფიოლია – 199, ფოცხვერია – 405, ჭავთარია – 125 (დაფიქსი-

რებული სამეგრელოში საეკლესიო საბუთების მიხედვით), ქუ-
ჩუბერია – 21, ღვინერია – 217, ყენია – 23, ყვინჩია – 23 (შდრ.
კვინჩია – 245, ძირითადად სამეგრელოში), ჩიხორია – 54, წოწელია
– 22 (შდრ. წოწერია – 202, ძირითადად სამეგრელოსა და
იმერეთში), ხაბურძანია – 225 (შდრ. ხაბურზანია – 913, ძირითადად
სამეგრელოში), ხაჟალია – 553 (შდრ. ხაჯალია – 106, ძირითადად
სამეგრელოსა და იმერეთში), ხვარეშია – 135, ჯიბუხაია – 82,
ჯიმუტია – 23, ჯოხია – 26. ვიმეორებთ, ამ 32 კოლხური გვარის
სამშობლო და ძირითადი სამკვიდრო არის იმერეთი.

-ვა დაბოლოებიანი: ბანძავა – 276, განუგრავა – 98, დოდავა
– 56, ლანჩავა – 1296 (შდრ. ლანჩაშვილი – 66 სული რუსთავში, გო-
რში, თბილისში), ლეჟავა – 4063 (იმერეთში თავადები იყვნენ.
ორიოდე ათეული კომლი დაფიქსირდა სამეგრელოშიც), მელუავა –
25 (შდრ. მელუა – 482, ძირითადად გურიაში), სარავა – 42, უგლავა
– 235 (შდრ. უგულავა – 1532, ძირითადად იმერეთსა და სამეგრ-
ელოში), ფანცხავა – 1110, ყურავა – 73 (შდრ. ყურაშვილი – 497,
ძირითადად იმერეთსა და ლეჩხუმში), ჩიტავა – 27 (შდრ. ჩიტაია –
1435, ძირითადად სამეგრელოში, და ჩიტაიშვილი – 415,
ძირითადად გურიასა და იმერეთში), წვერავა – 516, ჭიქავა – 60,
ხინგავა – 299, ხოჯავა – 505 (შდრ. ხოჯაშვილი – 110 სული თიანეთსა
და იმერეთში და ხოჯანაშვილი – 176, ძირითადად იმერეთსა და
გურიაში). აქ ჩამოთვლილია –ვა სუფიქსიანი 15 გვარი, რომელთა
სამკვიდროა იმერეთი.

-უა დაბოლოებიანი 4 გვარის სამკვიდროც აღმოჩნდა
იმერეთი. ესენია: დონდუა – 192, სტურუა – 1809 (ორიოდე ათეული
კომლი დაფიქსირდა სამეგრელოშიც), ჩაჩუა – 2218 (შდრ. ჩაჩავა –
1145, ძირითადად სამეგრელოში), ხობუა – 302 (შდრ. ხუბუა – 1166,
ძირითადად სამეგრელოში).

ზოგი კოლხურსუფიქსიანი გვარსახელის სამკვიდრო არის
გურია. კერძოდ, გურია აღმოჩნდა გავრცელების ძირითადი რეგი-
ონი -ია, -ვა, -უა დაბოლოებიანი გვარსახელებისათვის. -ია
დაბოლოება: ალექსაია – 68, ლოდია – 57, ლაჟონია – 103,
ჩოლობარგია – 38, ციკორია – 26 (შდრ. ციკოლია – 1093,
ძირითადად სამეგრელოში); -ვა დაბოლოება: მანტკავა – 54,
მანწკავა – 178, პატარავა – 198 (შდრ. პატარაია – 2130, ძირითადად
გურიასა და სამეგრელოში), შალიკავა – 39 (შდრ. შალიკაშვილი –
231, ძირითადად ქართლში, და შალიკიანი – 645, ძირითადად

იმერეთში); -უა დაბოლოება: მელუა - 482 (შდრ. მელუავა - 25, იმერეთში), ჩიკაშუა - 275. აჭარაც აღმოჩნდა ძირითადი სამკვიდრო სამიოდე კოლხურსუფიქსიანი გვარისა: მოქერია - 44, ხიბაია - 59, ფალავა - 1346.

კოლხურსუფიქსიან გვართა ერთი ნაწილი გავრცელებულია ორ ან სამ რეგიონში (ოღონდ არა სამეგრელოში): კერძოდ, გურიასა და აჭარაში მკვიდრობენ: ბასილია - 422 (შდრ. ბასილაია - 1485, ძირითადად სამეგრელოში), ბზეკალავა - 215, გოგელია - 843, დარჩია - 1819 (შდრ. დარჩიძე - 763, ძირითადად ისევ აჭარასა და გურიაში), კეშელავა - 794 (რამდენიმე კომლი დაფიქსირდა სამეგრელოშიც), კუკულავა - 295, ლომჯარია - 496, მალულარია - 300, მოქია - 362, მუხაშავრია - 245, ქვილითაია - 66. ასევე ორ ან სამ რეგიონში (სამეგრელოს გარეთ) არის გავრცელებული შემდეგი კოლხურდაბოლოებიანი გვარები: გზობავა - 90 (ლეჩხუმი, იმერეთი), გიგაია - 117 (ქართლი, აჭარა. შდრ. გიგავა - 159, ძირითადად სამეგრელოში. შდრ. აგრეთვე გიგანი, გიგაშვილი), გუგავა - 956 (ლეჩხუმი, იმერეთი, ქვ. სვანეთი), კობრავა - 233 (იმერეთი, აჭარა), კორძაია - 1131 (აჭარა, ზ. სვანეთი), ლორია - 1537 (იმერეთი, აჭარა), მანდარია - 469 (ლეჩხუმი, იმერეთი), პატარაია - 2130 (გურია, სამეგრელო), ჟღერია - 163 (იმერეთი, გურია), სალაღაია - 66 (ქართლი, კახეთი. შდრ. სალაყაია - 535, ძირითადად სამეგრელოში, და სალალიშვილი - 29, ძირითადად თბილისსა და ქართლში), ჭიღვარია - 312 (იმერეთი, რაჭა, ლეჩხუმი. შდრ. ჭიხვარია - 97, ძირითადად სამეგრელო-გურიაში). რამდენიმე კოლხურ გვარს უნდა ვუწოდოთ "ქალაქური გვარები", რადგანაც ძირითადად მხოლოდ ქალაქებში გვხვდებოდა. ასეთებია: ტუსკია - 37 (ბათუმი - 21, თბილისი - 15 და სხვ.), შარუხია - 115 (თბილისი - 47, ფოთი - 27, ბათუმი - 19), წურქავა - 25 (ბათუმი - 5, თბილისი - 5 და სხვ.), კინტრაია - 31 (რუსთავი - 19, თბილისი - 10 და სხვ. შდრ. კინტირაია - 113, ძირითადად სამეგრელოში), კილტავა - 40 (თბილისი - 19, ბათუმი - 13 და სხვ.), ლანდია - 56 (თბილისი - 48, ფოთი - 2 და სხვ.), კოკოლია - 33 (თბილისი - 32, ბორჯომი - 1. შდრ. კოკოლიშვილი - 82, ძირითადად თბილისში, გურჯაანში, რუსთავში), ტოტოჩავა - 176 (თბილისი - 21, ბათუმი - 17 და სხვ. შდრ. ტოტოჩია - 55, ძირითადად სამეგრელოში). უნდა აღინიშნოს ერთი გარემოებაც: ზემოთ დასახელებული გვარების ერთი ნაწილი სამურზაყანოდან დევნილთა გვარებია. დევნილები კი ძირითადად

ქალაქებში არიან ჩასახლებულნი (რიცხვი ყველა შემთხვევაში მიუთითებს სულადობაზე).

„კოლხური (ზანური) გვარსახელი“ გულისხმობს როგორც მეგრულ, ისე ჭანურ (ლაზურ) მასალაც, მაგრამ ჩვენ ამ მოკლე ნარკვევში მხოლოდ სამეგრელოში გავრცელებულ გვარსახელებზე ვსაუბრობთ. ლაზური (ისტორიული) გვარსახელები, რა თქმა უნდა, ასევე გულდასმით არის მოსაპოვებელი და შესასწავლი. აქ კი მოგვყავს ც. ნარაკიძის ცნობა: “ისტორიულ ლაზეთში გავრცელებული გვარების უმეტესობა პიროვნული სახელებისაგან მომდინარეობს, რომლებიც ძირითადად სუფიქსებითაა გაფორმებული. მაგ.: ბაწაში, თანთუში, მუთინაფე, ხაშაფე, ნარაკია, ბიტია, ჩიჩუა, ანდრავა, გულავა, თანდილავა, მეკისქირი, პეტესქირი, სავასქირი, გულაბერი... (ეს გვარები გვხვდება როგორც საქართველოში, ისე ისტორიული ლაზეთის იმ ტერიტორიაზე, რომელიც ამჟამად თურქეთის რესპუბლიკის ფარგლებშია)“. (ნარაკიძე, 1997, გვ. 40).

§3. კოლხურ გვარსახელთა წარმოება

განვიხილოთ სამეგრელოში გავრცელებული გვარსახელები ტრადიციულად გამოყოფილი დაბოლოებების მიხედვით:

-ია დაბოლოება

საქართველოში 830-მდე გვარში დადასტურდა ფინალური -ია. მათგან სამეგრელოში გავრცელებულია და ჩვენს ლექსიკონშიც შეტანილია 790-მდე. პროდუქტიულობის (სულთა რაოდენობის) მიხედვით -ია დაბოლოება საქართველოში მესამე ადგილზეა (494 224), სამეგრელოსა და მის შვიდსავე რაიონში – პირველ ადგილზე: ზუგდიდი – 123 677, წალენჯიხა – 39 211, სენაკი – 37 246, მარტვილი – 30 975, ხობი – 30 189, ჩხოროწყუ – 22 561, აბაშა – 15 730 და ქ. ფოთი – 21 962 (სულ სამეგრელოში – 321 571 სული). -ია დაბოლოების სიხშირეზე ისიც მეტყველებს, რომ საქართველოში ყველაზე გავრცელებული 100 გვარის ნუსხაში იგი 12 გვარსახელს მოეპოვება.

მეგრულში -ია **ომონიმური მორფემა**, რაც იმას ნიშნავს, რომ სიტყვაწარმოებაში გამოიყენება ორი -ია, რომლებიც ერთმანეთს ემთხვევიან ბგერობრივად, მაგრამ სხვადასხვანი არიან წარმომავლობითა და ფუნქციით: ერთი წარმოქმნის გვარსახელებს,

მეორე კი – საკუთარ და საზოგადო სახელთა კნინობით-მოფერებით ვარიანტებს. შ. აფრიდონიძეს ყურადღება გაუმახვილებია იმ გარემოებაზე, რომ -ია, -უა სუფიქსები ზანურ გარემოში გვარებს აწარმოებს, ხოლო არაზანურ გარემოში (მაგალითად, აღმ. საქართველოში) – აღამიანთა სახელების კნინობითი ფორმებს და ასკვნის: „იდენტური სუფიქსების განმასხვავებელი ფუნქციები და არეალი, როგორც ჩანს, ერთ-ერთი გამოვლენაა სახელისა და გვარის გამიჯვნის ტენდენციისა“ (აფრიდონიძე, 1987, გვ. 252).

როგორც ცნობილია, ქართულში კნინობით სახელებს ძირითადად -ა სუფიქსი აწარმოებს, მაგრამ „თუ ფუძე თავდება ა-თი, მაშინ მაწარმოებელია ია: და-ია“ (შანიძე, 1973, გვ. 120). ფუძისეული -ა აქ შენახულია (არ იკვეცება) ფუძისავე სიმოკლის გამო: ძამა→ ძამა-ია→ ძამია, კაცი→ კაცა→ კაცა-ია→ კაცია... გარდა ამისა, კნინობითობის -ა მიღებულია აკ-ისაგან (იქვე, გვ. 121) “გოგია“ ტიპის სახელებში კნინობით-საალერსო მნიშვნელობას გამოხატავს -ა, ხოლო ი ფუძისეულია (მორფემების ლექსიკონი, გვ. 213). აკ. შანიძე არ ეხება -ია სუფიქსის ი კომპონენტის ფუნქციას. ვ. თოფურის თეზისებიდან “კნინობითი ქართველურ ენებში“ ის დასკვნა გამომდინარეობს, რომ -ია რთული სუფიქსია და ი ნაშთია -ინ, -იტ სუფიქსებისა. შდრ.: პაპია – პაპინა – პაპიტა (თოფურია, 1979, გვ. 102). ქ. ლომთათიძემ დიდძალი მასალა გააანალიზა იმის დასასაბუთებლად, რომ -ია **მომდინარეობს -ინ-ა// -ილ-ა-საგან** (ბიძა→ ბიძა-ინ-ა→ ბიძ-ინ-ა→ ბიძ-ია, პაპა→ პაპა-ინ-ა→ პაპ-ინ-ა→ პაპ-ია, მამა→ მამა-ინ-ა→ მამ-ინ-ა→ მამ-ია, ძღაბი (მეგრ.)→ ძაბა → ძაბა-ინ-ა→ ძაბ-ინ-ა→ ძაბ-ია ... გურულში შემონახულიც კი ყოფილა ნავარაუდღევი დედაინა და მამაინა ფორმები) და დაასკვნა: სუფიქსი -ია, როგორც ეს ვ. თოფურისა ჰქონდა აღნიშნული, მარტივი სუფიქსი არ არის და **სათანადო ფუძეებში ჩავარდნილია თანხმოვანი** (კერძოდ ნ სონანტი) ხმოვანთა შორის“ (ლომთათიძე, 1987, გვ. 69-70). მნიშვნელოვანია ამ ნაშრომის ძირითადი დებულება: -ინ-ა (// -ილ-ა) და მისი გამარტივებით მიღებული -ია **თავდაპირველად გამოხატავდა მსგავსება-კუთვნილებას** (შდრ. „ქართლური დიალექტის ლექსიკონში“ დამოწმებული ფრაზა: „თუ მამას დაემგვანება ხომე შვილი, მამაილას ეტყვიან, თუ დედასა და – დედაილასა“), ხოლო კნინობითობა-მოფერებითობის გადმოცემის ფუნქცია გვიან (თანაც ძირი-

თადად „დადებითი ლექსიკური მასალის“ გამოყენებისას) აქვს შექმნილი (იქვე, გვ. 71-73). ამავე ნაშრომის ერთ-ერთ სქოლიოში გამოთქმულია სრულიად მისაღები ვარაუდი: „გამარტივების გზით მიღებული -ია სუფიქსი, უნდა ვიფიქროთ, შემდგომში დამოუკიდებელ მაწარმოებლად იქნა გამოყენებული“ (იქვე, გვ. 70).

გამოვლენილია ყველა სუფიქსი, რომელიც კი ქართულში კნინობითი სახელების სემანტიკურ ჯგუფს წარმოქმნის: -ა, -აკ, -იკ, -უკ, -ან, -ინ, -უნ, -ატ, -იტ, -ოტ, -უტ, -ალ, -ელ, -ილ, -ულ, -უჭ, -უჩ და სხვ. მაგრამ მათი საშუალებით წარმოქმნილი ენობრივი მასალა „ერთგვაროვანი მაინც არ არის. თვით კნინობითის შინაარსი იძლევა საფუძველს – მცირე მოცულობის საგნებს მოფერება-ალერსის ელფერი მიეცეთ, ზოგჯერ კიდევ დამცირებითისა“ (ფოჩხუა, 1974, გვ. 136). მართლაც, კნინობით სახელთა ორი ჯგუფი გამოიყოფა: კნინობით-მოფერებითი (დემინუტიური* ← ლათ. *deminuo* „დამცირება“) და კნინობით-დამცირებითი (პეიორატიული ← ლათ. *peior* „ცუდი, საძაგელი, სამარცხვინო“).

ქართულ სინამდვილეში პირსახელისაგან წარმოქმნილი კნინობით-მოფერებითი და კნინობით-დამცირებითი სახელები ფორმით (გამოხატვის პლანი) არ განსხვავდებიან ერთმანეთისაგან და მათს ემოციურ ელფერს (შინაარსის პლანი) განსაზღვრავს სიტუა-

* ონომასტიკურ სამეცნიერო ლიტერატურაში ექსპრესიულ (ემოციურ-შეფასებით) საკუთარ სახელს კვალიტატივსაც უწოდებენ (იხ. პოდოლსკაია, 1988, გვ. 71-72. ქართულად: ცხადაია, 1988, გვ. 56). კვალიტატიური პირსახელი შეიძლება წარმოიქმნას სახელის სრული ან შემოკლებული ფუძისაგან (შდრ.: დავით – დავითა – დათია). ამასთანავე, შეფასების სუბიექტურობა ვლინდება კონტექსტის მიხედვით და ყოველთვის არაა დამოკიდებული სათანადო აფიქსებზე. კვალიტატიური პირსახელები სემანტიკური თვალსაზრისით გამოხატავენ აუგმენტატიურობას (გაზვიადებულობას, მაგალითად, რუსულში: ივანიშიე, ვარვარიშია...), დემინუტიურობას (მოფერება-კნინობითობას, მაგალითად, რუსულში: ვასენკა, ენენიკა, სანეჩკა, სონიურა... იხ. კარპენკო, 1980) და პეიორატიულობას (დამცირება-კნინობითობას, მაგალითად, რუსულში: დუნიაშკა, სერიოშკა...).

ცია, კონტექსტი (მაგალითად, ასაკობრივი თუ სოციალური იერარქია) ან კიდევ კნინობითი სახელის მომხმარებლის პოზიცია: ახლობელი და კეთილმოსურნეა იგი თუ გარეშე და არაკეთილად განწყობილი. მნიშვნელობა აქვს სიტუაციის ოფიციალურობასაც. ამის დამადასტურებელი მრავალი მაგალითი აქვს დაძებნილი ქ. გოდერძიშვილს (იხ. გოდერძიშვილი, 1998): ნოდარა. – მიმართავდა მწერალ ნ. ღუმბაძეს ბავშვობისას მეგობარი გოგონა. გაიარა ორმოცმა წელმა. ბავშვობის მეგობრები შეხვდნენ ერთმანეთს და იმ გოგონამ, უკვე შვიდი შვილის დედამ, ასე მიმართა მწერალს: „ბატონო ნოდარ“! ასეთი მიმართვა გამოწვეული იყო იმით, რომ სახელის სრული ფორმა სოლიდური, დარბაისლური ჟღერადობისაა. თვით ნ. ღუმბაძის მოთხრობაში „მე ვხედავ მზეს“ მასწავლებელი ასე მიმართავს მოსწავლეს: „სოსო“! მაგრამ ხატია მიმართვისას იყენებს –ია დართულ ფორმებს: „ლამაზი როგორია, სოსო“.

საერთოდ, საქართველოში პიროვნულ სახელთა კნინობით ფორმებს ერთგვარი სოციალური დატვირთვაც ჰქონდა, რაც აისახა კიდევ მხატვრულ ნაწარმოებებში. სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ “ერთი და იმავე სახელის სხვადასხვა ვარიანტის გამოყენება სხვადასხვა პერსონაჟისათვის ავტორის გარკვეული პოზიციის მიმანიშნებელია“ (აფრიდონიძე, 1988, გვ. 135). საამისო კლასიკური მაგალითია მოთხრობა „ოთარაანთ ქვრივი“, სადაც ოთარაანთ ქვრივის შვილის სახელია გიორგი (და არავითარ შემთხვევაში: გოგია), მაგრამ მის სეხნიას, ასევე მშრომელ, მაგრამ უავტორიტეტო გლეხს, თვით ოთარაანთ ქვრივი „დამპალ გოგიად“ მოიხსენიებს. ამ სახელდებაში არასიმპათიურობას, დამცირებას გამოხატავს არა მხოლოდ (და იმდენად) ეპითეტი „დამპალი“, არამედ აგრეთვე (და უპირატესად) პირსახელის კნინობითი ვარიანტი. როგორც ცნობილია, სამეგრელოში დადიანს, თავადსა და ჟინოსქუას (აზნაურიშვილი) ყოველთვის შეეძლო გლეხის სახელისათვის –ია დაემატებინა. აბა თვით მებატონისათვის მიგემართათ ამგვარი ფორმით, ხაჯალური (ხის ბორკილი) არ აგცდებოდათ. მაშასადამე, კნინობითი სახელი ხშირად გამოიყენებოდა დაბალი სოციალური წრისადმი მიკუთვნების ხაზგასასმელად, ანტიპათიის, დაცინვის გამოსახატავად. მეგრული ანდაზაცაა ასეთი: კოჩიუ კოჩისია სახელი ხოლო უკოჩობაში უღუღუა, ე.ი.

„კაცის კაცს (ანუ ყმას) სახელიც უკაცობისა ჰქონდაო“. სხვათაშორის, სამეგრელოში გვარის ფორმასაც კი ჰქონია ერთგვარი სოციალური დატვირთვა: როგორც ხანდაზმული მთხრობელებისაგან მოგვისმენია, ემუხვარი თავადი იყო, ხოლო ეხვია – მხოლოდ გლეხი, ასევე: აფაქიძეები თავადები იყვნენ, ხოლო აფაქელავები – მათი უკანონო შვილების შთამომავლები.

პირველი, ვინც მეგრული საზოგადო და საკუთარი სახელების -ია დაბოლოება რთულ სუფიქსად ჩათვალა და თითოეულ კომპონენტს ფუნქცია გამოუნახა, იყო ი. ყიფშიძე. მისი აზრით, -ა კნინობით-მოფერებით სახელებს აწარმოებს, ხოლო -ი სახ. ბრუნვის ნიშანია, შემონახული სწორედ ამ -ა სუფიქსის წინ: ბაბა-ი-ა, ნანა-ი-ა, ჩელა-ი-ა, ორტვინი-ა (← ორტვინი „ბოსტანი“), ჩუვანი-ა (← ჩუვანი „ქვაბი“), თამური-ა (← თამარი) და სხვ. (ყიფ-შიძე, 1994, გვ. 177). ეს თვალსაზრისი ჩვენ უფრო მისაღები გვეჩვენება.

-ია, რომელიც მეგრულში გვარსახელებს აწარმოებს, სხვა წარმომავლობისა ჩანს. ამ საკითხთან დაკავშირებით გამოთქმულია განსხვავებული მოსაზრებანი. ს. ჯანაშია თავის ნაშრომში „თუბალ-თაბალი, ტიბარენი, იბერი“ აღნიშნავს: „მეგრ. -ია -იან-ის ნაშთია“ და „-ია-ც სწორედ ამ გზითაა (ე.ი. ფინალში ნ-ს მოკვეციოთ. - პ.ც.) მიღებული იან-ისაგან“ (ჯანაშია, 1959, გვ. 40-41). ამასთანავე, ეს -იან რთული სუფიქსია და არის ვარიანტი „საერთოქართველური“ -ან სუფიქსისა, რომლის პირვანდელი და უძველესი ფუნქციაა კრებითობა-წარმომავლობის გამოხატვა. „ეს მნიშვნელობა ფორმანტისა ნათლად არის წარმოდგენილი ქართველურ გვარისსახელებში, რომელთაც სათანადო დაბოლოება მოეპოვებათ. გვარისსახელების ეს დაბოლოება თავდაპირველად გავრცელებული იყო, ჩანს, ყველა ქართველ ტომში, და ქართველურის პატრონიმისტიკულ მორფოლოგიაში იგი ერთი ყველაზე ადრინდელი მოვლენათაგანია... ყველაზე კარგად ამჟამად იგი სვანეთშია დაცული“ (იქვე, გვ. 35). -ი-ან სუფიქსის ი კომპონენტთან დაკავშირებით ს. ჯანაშია აღნიშნავს: „სიტყვათწარმოების მექანიზმის თვალსაზრისით უნდა აღინიშნოს, რომ -ან სუფიქსი უკაშირდება ფუძეს ზოგჯერ უშუალოდ, უმეტეს წილად კი -ი, ე, ო, უ ინფიქსების საშუალებით. ამ ინფიქსებსა და სუფიქსს შორის ხშირად ჩნდება თანხმოვანი ვ, რომელიც ზოგჯერ შეცვლილია ბ-

თი“ (იქვე, გვ. 34-35). ს. ჯანაშიას მტკიცებით, **მეგრული -ია სუფიქსის -იან-ისაგან წარმომავლობა კარგად ჩანს მეგრულ-სვანური გვარსახელების შედარებისას:** მეგრ. კუცია - სვან. კვიციანი, მეგრ. ჩხეთია - ქართ.-სვან. ჩხეთიანი, მეგრ. გაბელია - სვან. გაბლიანი და სხვ. ეთნოისტორიკოსი რ. თოფჩიშვილი, რომელმაც ქართული გვარსახელების წარმოქმნის საკითხს სპეციალური გამოკვლევა მიუძღვნა, მრავალ ამგვარ მაგალითს აწვდის დაინტერესებულ მკითხველს: კვარცხელიანი - კვარაცხელია, აფაქიანი - აფაქია (აფაქიძე), გაბუნიანი - გაბუნია, გობეჩიანი - გობეჩია, სტეფანიანი - სტეფანია, გუარამიანი - გვარამია, რუსიანი - რუსია, წიფურიანი - წიფურია, ბოკერიანი - ბოკერია, ხაზალიანი - ხაზალია, კვირკველიანი - კვირკველია, ჯამბურიანი - ჯამბურია... (თოფჩიშვილი, 1997, გვ. 102), ჩვენი აზრით, **ფუძეთა ასეთი დამთხვევების ყველა შემთხვევა იმას არ ნიშნავს, რომ პირველადი წარმონაქმნი აუცილებლად სვანური ვარიანტია.**

გ. როგავა იზიარებს ს. ჯანაშიას თვალსაზრისს, რომ მეგრული გვარსახელების -ია დაბოლოება მომდინარეობს -იან-ისაგან, მაგრამ რთული სუფიქსის პირველ კომპონენტად, ისევე როგორც არნ. ჩიქობავა, მიიჩნევს -ივ სუფიქსს და მოჰყავს ასეთი კონკრეტული მაგალითი: ჩხეტ-ივ-ან → ჩხეტ-ი-ან → ჩხეტ-ია, მელ-ივ-ან → მელ-ივა → მელია (როგავა, 1955, გვ. 4). მაშასადამე, ი ← ივ.

განსხვავებულ მოსაზრებას გვთავაზობს ჯ. ონიანი როგორც ი-ან, ისე -ია დაბოლოებასთან დაკავშირებით: „მეგრული ამჟამინდელი გვარები ბოლოვდებიან არა -ია, -ავა, -უა სუფიქსებით, არამედ მხოლოდ -ა სუფიქსით, რომელიც -ან(ი) დაბოლოების ნაშთია“ და „გვარში წულუკია ი ნანათესაობითარია და არა გვარის დაბოლოების ნაწილი ისევე, როგორც სვანურ წულუკ-ი-ან-ში“ (ონიანი, 1979, გვ. 84). მაშასადამე, ჯ. ონიანი იზიარებს ს. ჯანაშიას ძირითად დებულებას, რომ -ა სვანური -ან-ის თანხმოვანმოკვეცილი ნაწილია, ოღონდ მიიჩნევს, რომ ეს “-ან(ი) ოდესღაც ძესა და შვილს ნიშნავდა უშუალოდ და ამიტომ იქცა იგი გვარის დაბოლოებად როგორც წარმომავლობის აღმნიშვნელი“, ხოლო ი-ან დაბოლოების -ი კომპონენტი არის ან ფუძისეული ხმოვანი, ან ნათეს. ბრუნვის ნიშნის ნაშთი თანხმოვანფუძიან სახელებთან. მაშასადამე, -იან←იშ-ან (იქვე, გვ. 85).

აქ ერთხელ კიდევ გავიხსენოთ, რომ ი. ყიფშიძისათვის -ია სუფიქსის ი კომპონენტი სახელობითი ბრუნვის ნიშნის ნაშთია, ხოლო -ა კნინობითობა-მოფერებითობას გამოხატავს, და დავა-სკვნათ: **ორი სხვადასხვა სუფიქსის შეერთებითა და შემდგომი გამარტივებით წარმოქმნილ -ია კომპლექსს სიტყვაწარმოებითი მორფემის ფუნქცია მიუღია**, კერძოდ, გვარსახელთა მაწარმოებელ საგანგებო (სპეციალურ) სუფიქსად ქცეულა კოლხურში (მეგრულში).

კოლხური გვარსახელის ფინალში გამოვლენილი -ია ყოველთვის არ არის გვარსახელის მაწარმოებელი. როგორც ცნობილია, ქართულშიც და მეგრულშიც ეა → ია. მაშასადამე: პეტრე → პერტე → პერტე-ა → პერტია, ალექსანდრე → ალექსანდრე-ა → ალექსანდრია, გეგე → გეგე-ა → გეგია და სხვ.

ცალკე უნდა შევეხოთ გვარებს, რომელთაც ბოლოში აქვთ -ნძია კომპლექსი. აქაც -ია მიღებულია -ეა-საგან. -ძე სუფიქსს გალისა და ზუგდიდის რ-ნებში წინ **ნ ჩაერთვის**. რატომღაც -ნძე დაბოლოება არ აღმოჩნდა საკმარისი და **საგვარსახელო ფუნქციის გაძლიერების მიზნით დაერთო -ა სუფიქსი**. სამეგრელოში დაფიქსირებულია გვარები გოლა-ვა და გოლა-ნ-ძია (შდრ. ქართლში: გოლაშვილი - 89 სული, გოლაძე - 28 სული). გოლანძია-ს გავლილი აქვს წარმოქმნის ასეთი გზა: გოლაძე → გოლანძე → გოლანძე-ა → გოლანძია. ასევე: ქვარაძე (შდრ. ქვარაია) → ქვარანძე → ქვარანძე-ა → ქვარანძია და სხვ.

ზოგ გვარსახელს -ია დაბოლოება გადმოყოლილი აქვს მეტ-სახელისაგან, სადაც იგი შეიძლება გამოხატავდეს კნინობითობა-მოფერებითობას ან რაიმე თვისების მქონებლობას. ჩქოფორია და ჩქოფორია (ჩქვეფერია) მეგრულში სახეგაბადრული და მსუქანი კაცის ეპითეტებია. ორივე ფორმა გვარსახელადაც გვხვდება: გვარ ჩქოფორიას ატარებს 211 სული, ხოლო ჩქოფორიას - 74 სული.

გვარსახელებში -ია მორფემის წინ ჩვეულებრივია თანხმოვნები ან -ა ხმოვანი. ამ ზოგადი პოზიციის დარღვევის ორიოდ შემთხვევის ახსნა სიძნელეს არ წარმოადგენს: დეკანოია (27 სული) იმერეთშია დაფიქსირებული და ამავე რეგიონში ფართოდ გავრცელებული დეკანოიდის (1673 სული) ვარიანტია. ქიშმარია (26 სული) სამტრედიის რაიონში გვხვდება. ძირითადად ამავე რაიონშია განსახლებული ქიშმარია (58 სული) და ქიშმ-

არეიშვილი (61 სული). ამოსავალია პირსახელი ქიშმარა. მარტვილის რ-ნში გვხვდება გვარი მაისაია (509 სული), ხოლო მეზობელ ხონის რ-ნში - მისი ვარიანტი მაისეია (28 სული). აქაც ქვემოიმერულისათვის დამახასიათებელი ფონეტიკური პროცესი (აი → ეი) მომხდარა. კიდევ ერთ ანალოგიურ მაგალითს დავასახელებთ: ნასარაია (215 სული) ფოთსა და ხობის რ-ნშია განსახლებული, ხოლო ნასარეია (84 სული) – სამტრედიის რ-ნში.

-ვა დაბოლოება

საქართველოში 310-მდე გვარს უჩანს -ვა დაბოლოება. მათგან სამეგრელოში განსახლებულია 270-მდე გვარსახელი, ხოლო დანარჩენი – ძირითადად მეზობელ რეგიონებში (იმერეთში, გურიაში, აჭარაში, ლეჩხუმში). ზემოთ უკვე აღინიშნა, რომ -ვა სუფიქსიან გვარსახელს ატარებს საქართველოში 200 642 სული (IV ადგილი), ხოლო სამეგრელოს რეგიონში – 124 526 (II ადგილი. მეორე ადგილი უკავია ამ გვარს სამეგრელოს შვიდსავე რაიონსა და ქ. ფოთშიც). წარმოვადგენ -ვა სუფიქსის პროდუქტიულობას სხვა რეგიონების მიხედვით: აჭარა - IV ადგილი (6108 სული), იმერეთი - V ადგილი (23 952 სული), გურია - IV ადგილი (3 798 სული), თბილისი - IV ადგილი (34 336 სული) და სხვ. საქართველოში ყველაზე გავრცელებულ 100 გვარში მხოლოდ სამს აქვს ფინალური -ვა. ეს გვარებია: სიჭინავა - 53-ე ადგილი (6102 სული), ქარდავა - 55-ე ადგილი (6014 სული) და მიქავა - 96-ე ადგილი (4550 სული).

გვარსახელის ფინალში -ვა მორფემას წინ, ჩვეულებრივ, უძღვის -ა ხმოვანი, რის გამოც მავანს შეიძლება მოეჩვენოს, რომ გვარსახელის მაწარმოებელია -ავა. ი. ყიფშიძე ეყრდნობა და იზიარებს ნ. მარის ვარაუდს, რომ მეგრული გვარის დაბოლოება -ვა იმავე ძირისაა, რაც აფხაზური ა-ფა „ძე“. ეს -ვა გამარტივებულია თანხმოვნითი ნაწილის დაკარგვით. მაშასადამე, ვა → ა: პაპა-ვა → პაპა (ყიფშიძე, 1994, გვ. 437). მაგრამ **კოლხურ გვარსახელთა -ვა დაბოლოება დამოწმებულია ჯერ კიდევ XI საუკუნეში**, მაშინ როცა „აფხაზური გვარსახელის გაჩენა სავარაუდოა მხოლოდ მას შემდეგ, რაც დაიშალა აფხაზურ-აბაზური ენობრივი ერთობა და აფხაზები ყუბანის აუზიდან ჩამოსახლდნენ ამჟამინდელი აფხაზეთის მიწა-წყალზე. ეს კი, როგორც გაირკვა, მომხდარა XVI საუკუნის მეორე ნახევარში, კერძოდ 1561 წლის შემდგომ, როცა აფხაზურში ჩამოყალიბდა აბაზურისაგან

განსხვავებული გვარსახელთა მოდელი“ (გვანცელაძე, 1999, გვ.56). ს. ჯანაშია -ვა სუფიქსზე მსჯელობას იწყებს ნ. მარის მოსაზრების უარყოფით: „ნ. მარი მას უყოყმანოდ აფხაზურიდან შენათვისებ ელემენტად სთვლიდა, - მეგრულ ნიადაგზე სახეცვლილი აფხაზური სიტყვა ბა//ფა („ძე“) არისო... ამ მოსაზრების გაზიარება შეუძლებელია. ჯერ ერთი, არ არის ნაჩვენები ნაგულისხმევი გადასვლის ფონეტიკური კანონზომიერება. შემდეგ, ანგარიში არ ეწევა მოცემული ფორმანტების ფუნქციონალურ სხვაობას; აფხაზურში იგი აღნიშნავს გვარსახელის მხოლოდ მამრობითი სქესის მატარებელს, მეგრულში კი - ორივე სქესისას. და ბოლოს, არც სესხების ისტორიული პირობებია გარკვეული - როდის უნდა ყოფილიყო ასეთი წამლევაკვი გავლენა აფხაზურისა მეგრულზე“ (ჯანაშია, 1959, გვ. 40). ს. ჯანაშია -ვა მორფემის წარმომავლობასთან დაკავშირებით დაბეჭივებით წერს: „**აქ უკვე შეკვეცილი ვან უნდა გვქონდეს**“ (იქვე, გვ. 41). ამას მკვლევარი ასაბუთებს სვანურ-მეგრული პარალელებითაც: სვან. ფაღავან → მეგრ. ფაღავა, სვან. გაღდავან → მეგრ. გაღდავა... ეს -ვან (ისევე როგორც -იან, -უან და სხვ.) ვარიანტია საერთოქართველური -ან სუფიქსისა, რომლის ძირითადი და თავდაპირველი დანიშნულებაა კრებითობისა და წარმომავლობის გამოხატვა (-ვ კომპონენტის ფუნქციას მკვლევარი არ ეხება, თუმცა ო-ვ-ან და -ე-ვ-ან რთულ სუფიქსებთან დაკავშირებით აღნიშნავს, რომ -ან სუფიქსისა და ფუძესთან დამაკავშირებელ ხმოვანი ინფიქსის შუაში ზოგჯერ თავს იჩენს -ვ ან - ბ). ცოცხალ მეტყველებაში მეგრული გვარსახელებისათვის -ვა დაბოლოების მოკვეცა გვიანდელი მოვლენაა და „საფიქრებელია, აფხაზურშიაც იჩენს თავს გვარისსახელთა კრებითობის ფორმის აფიქსში -აა (თუ გრძელი ა), მაგ., კოზმაა (კოზმავები), ჟენიაა (ჟვანიები), მარშანაა (მარშანიები) და სხვ.“ (იქვე, გვ.40).

გვარსახელების -ვა დაბოლოებასთან დაკავშირებით არსებობს სხვა მოსაზრებანიც: გ. როგავა სტატიაში „ზოგი ქართული გვარის სუფიქსაციისათვის“ იზიარებს ს. ჯანაშიას შეხედულებას (ვან→ ვა) და აზუსტებს ზოგ დებულებას: ისტორიულად -ან სუფიქსის წინ დასტურდება -ავ, -ევ, -ივ, -ოვ, -უვ. გამარტივების შედეგად მივიღეთ: ევ-ან → ეან → -იან → -ია, -ივან → -ივა → -ია (ქობალ-ივ-ან → ქობალია, ჩხეტ-ივ-ან → ჩხეტიანი → ჩხეტია),

-ავ-ან → -ავა (ქობალ-ავ-ან → ქობალავა), -უვან → -უვა → -უა (დონდ-უვ-ან → დონდუა) და ა.შ. დას. საქართველოში პარალელურად ყოფილა გავრცელებული -ივ-ან და -ავ-ან. **გვარსახელების დაბოლოება -ავა სამწერლო ენამ შემოინახა, მაგრამ გამარტივდა მეტყველებაში: ხმოვნებს შორის ვ დაიკარგა:** ჭით-ავ-ან → ჭითავა → ჭითა → ჭითა (როგავა, 1955, გვ. 5). ჯ. ონიანი თვლის, რომ მეგრული გვარსახელების -ავა დაბოლოებაში სუფიქსია მხოლოდ -ა, რომელიც, როგორც ამას ს. ჯანაშიაც ვარაუდობდა, -ან სუფიქსის ნაშთია. “გვარის მაწარმოებელი სუფიქსი აქ მხოლოდ ა არის. სოტკილავა, ბჟალავა მეგრულად არის სოტკილაა, ბჟალაა (სვანური გაფორმებით იქნება – სოტკილაანი, ბჟალაანი). ეს გვარები მიღებულია ხმოვანფუძიანი სახელებიდან. რაც შეეხება ვ ბგერის ჩართვას ამ გვარებში, იგი ახსნა პროფ. მ. ქალდანმა. ა სუფიქსით დაბოლოებული მეგრული გვარები იმავე სისტემას იცავენ უკლებლივ, რაც სვანური გვარისათვის არის დამახასიათებელი. მეგრულმა გვარებმა -ან(ი) დაბოლოების დაკარგვისთანავე ფუნქციის გაგება გააძნელეს. ამიტომაც, რომ დღევანდელი სვანისათვის -ან(ი) დაბოლოება გასაგებია ისევე, როგორც ქართული ძე და შვილი, ხოლო მეგრული-სათვის საკუთარი გვარის დაბოლოება თითქმის გაუგებარია (რა თქმა უნდა, ა სუფიქსით დაბოლოებული)” (ონიანი, 1955, გვ. 85). ზ. ჭუმბურიძის თვალსაზრისითაც, „მეგრულ გვარებში გავრცელებული ვა და ია სუფიქსები უან//იან დაბოლოებისაგან უნდა იყოს მიღებული“ (ჭუმბურიძე, 1987, გვ. 296).

-ვა მორფემის წინ, ჩვეულებრივ, -ა ხმოვანია. ორიოდ შემთხვევაში ეს წესი დარღვეულია: მელივა, გ. როგავას მოსახრებით, მიღებულია სვანური მელივან-ისაგან. ორ სხვა შემთხვევაში -ვა შესაძლოა -უა-ს ფონეტიკური ვარიანტი იყოს: გურიში დადასტურებულია როყვა (572 სული) და როყუა (89 სული), აგრეთვე ჯახვა (27 სული), რაც ჯახუა-ს ვარიანტია. სამურზაყანოში გავრცელებული საბულუა-ს (244 სული) ადგილობრივი ვარიანტია საბულვა.

სრულიად განსხვავებული თვალსაზრისი გამოთქვა მეგრული გვარსახელების -ავა დაბოლოებასთან დაკავშირებით მ. ქალდანმა: „მეგრული გვარების -ავ ელემენტს გენეტური კავშირი არ უნდა ჰქონდეს ძველი ქართულის საზოგადო სახელთა სიტყვაწარმოებაში

დაცულ -ევ, და მით უფრო, -ავ სუფიქსთან. მეგრულ გვარებში წა-რმოდგენილი -ავ ელემენტი ქართულ-სვანურ -ელ სუფიქსს უნდა შეესატყვისებოდეს“. აქვე მკვლევარი სვამს კითხვას: „რას წა-რმოადგენს ქართულ-სვანურ გვარსახელებში -ელ ელემენტი?“ და უპასუხებს, რომ ესაა ქართველურ გვარსახელთა საწარმოებლად გამოყენებული უძველესი სუფიქსი, რომელიც ამ ფუნქციით -ან, -ი-ან, -ძე, -შვილ კომპონენტების დამკვიდრების შემდეგ ფუძეს შეხორცვბია: მარგვ-ელ-ა-შვილი, ქუთათ-ელ-ა-ძე, მარგვ-ელ-ან, ცინდ-ელ-ან და სხვ (ქალდანი, 1980, გვ. 69-70). აღნიშნული -ელ სუფიქსი ქართულსა და სვანურში უცვლელადაა შემონახული. უცვლელად შემოუნახავს იგი მეგრულსაც -ია (← -ი-ან) დაბოლოების მქონე გვარებში: კვირკვ-ელ-ი-ა, კვარაცხ-ელ-ი-ა, დარა-ს-ელ-ი-ა, ქუთ-ელ-ი-ა... ამ შემთხვევაში ქართ. ე : მეგრ. - ა შესატყვისობის დარღვევას (ე.ი. ე ხმოვნის გაფართოებას) „ხელი შეუშალა მომდევნო მარცვლისეულმა ი-მ“ და „სხვა ფონეტიკურ გარემოცვაში ე : ა შესატყვისობა უგამონაკლისოდ არის გატარებული“ (იქვე, გვ. 70).

ნაშრომის ბოლო ნაწილში მკვლევარი ასკვნის: **საერთო-ქართველურ -ელ-ან მოდელს მეგრულში -ავა დაბოლოება შეესატყვისება. მისი ბოლოკიდური -ა არის -ან სუფიქსის ბოლომოკვეცილი ვარიანტი, -ავ სუფიქსი კი საერთო ქართულ-სვანური -ელ სუფიქსის ფონეტიკური სახესხვაობაა.** შესატყვისობა ე : ა ცნობილია და სადავო არ არის, ხოლო ლ : ვ შესატყვისობის ფონეტიკური საფუძველი ასეთია: სვანურში ორგვარი ლ შეინიშნება: რბილი ლ ... და მაგარი, ლაბიალიზებული ლ, რომელიც მეგრულისათვის უცხო იყო. „მაგარსა და ლაბიალიზებულ ლ-ს მეგრული ან უ/ვ-ს, ან რ-ს სახით წარმოთქვამდა“ (იქვე, გვ. 72). ამიტომაც ქართულ-სვანური -ელ სუფიქსი „მეგრულ გვარსახელებში კანონზომიერ -ავ შესატყვისობას იძლევა“ (იქვე). მაშასადამე, მეგრული ცირდავა//ცინდავა და სვანური ცინდელან ერთმანეთს შეესატყვისება, ისევე როგორც მიქავა და მიქელან, ჭითავა და წითელან, ფადავა და ფეხელან, ხოჯავა და ხოჯელან, კანკავა და კეკელიძე, მაშავა და მეშველან, ჯობავა და ჯაბელან... (იქვე, გვ. 73). მ. ქალდანის მთავარი დასკვნა ასეთია: “მეგრული -ავ-ა ქართულ-სვანურ -ელ-ა სუფიქსს უნდა უკავშირდებოდეს. ლ-ს გადაქცევა ვ-დ ამ ლ-ს ლაბიალიზებულობის შედეგი უნდა

იყოს. მეგრულს არ შეეძლო ლაბიალიზებული მაგარი ლ-ს წარმოთქმა. ამ სიძნელეს იგი ზემოწარმოდგენილ შემთხვევაში ლაბიალური ელემენტის წინ წამოწევით აღწევდა თავს“ (იქვე, გვ. 73). ამასთანავე, მ. ქალდანი უფრო ადრე (თეზისებში) ამასაც აღნიშნავდა: მეგრულ გვარსახელებში რთული სუფიქსი -ავა მხოლოდ მაშინაა კანონზომიერი, თუ შესაძარბებელ ქართულ-სვანურ გვარებში -ელ-ა, -ელ-ან დაბოლოება გვაქვს. სხვა შემთხვევაში მეგრული გვარების -ვა სუფიქსი ანალოგიის შედეგი უნდა იყოს და ფორმათა პარადიგმატული გასწორების ტენდენციის ნაყოფი ჩანს (ქალდანი, 1976, გვ.24).

საისტორიო წყაროებში დადასტურებულია -ვა დაბოლოებ-ბიან გვარსახელთა სამი ვარიანტი: ა) -ვა უცვლელადაა შემონახული; ბ) -ვა გამარტივებულია და გვარის ფუძეს ერთვის მხოლოდ -ა სუფიქსი; გ) ნაშთის სახით დარჩენილი -ა სუფიქსიც მოკვეცილია. საილუსტრაციო მასალას წარმოვადგენთ შუა საუკუნეების დას. საქართველოს საეკლესიო საბუთებიდან: ნაქანელში (ამქამინდელი ოტობაია გალის რ-წში) მცხოვრები გოგილავები (საეკლესიო გლეხები) XVI ს. დამლევის საბუთში დასახელებულნი არიან როგორც **გოგილავა** (ქსძ, III, 384), ხოლო ორი ათეული წლის შემდგომდროინდელ (1621 წ.) საბუთში - როგორც **გოგილაა** და **გოგილა** (იქვე, 420, 421). ამავე (1621 წლის) საბუთში ორ-ორი ვარიანტითაა წარმოდგენილი **გირგოლავა** და **გირგოლა**, **შარინავა** და **შარინა** და სხვ. „საცაიშლო გამოსავალი მოსაკრებლობის დავთარი“ (1616-1621 წწ.) ჯგალში მცხოვრებ ფათხავებს ორი ვარიანტით მოიხსენიებს: გიორგი ფათხავა, ოსავთარი ფათხავა და მიქაი ფათხაა, ბანუა ფათხაა, თომიხილა ფათხაა. აქვე ეს გვარი დასახელებულია მრ. რიცხვის ფორმითაც: ფათხაები (ქსძ, III, 471-472). დავასახელებთ ამავე ძეგლიდან კიდევ რამდენსამე ნიმუშს: სიჭინავა, ცისკარავა, მალურავა, აფხაზავა, გოგორდავა, ძიგურავა, თომავა, ვართაგავა, ასმავა, გიგიდავა... გაგაა, კუკაა, სალაბეხაა, გვაზაა, ტურაა, ვართაგაა, ბულაა, ფარცხელაა... ე.ი. -ვა სუფიქსის სრულად მოკვეცის შემთხვევები იშვიათია.

სათანადო მსჯელობით (იხ. ქვემოთ -ა სუფიქსთან) ცხადი ხდება, რომ კოლხურ გვარსახელთა -ავა დაბოლოებაში წინამავალი -ა ფუძისეულია, ბოლოკიდური -ა საგვარსახელო სუფიქსია, ხოლო თანხმოვანი ვ (და ქ) გარკვეული ფუნქციის მქონე ჩანართია ინტერვოკალურ პოზიციაში. ორი სხვადასხვა დანიშნულების

მორფემის შეერთებით მიღებული -ვა კომპლექსი, თავის მხრივ, გვარსახელთა მაწარმოებელ რთულ სუფიქსად იქნა აღქმული.

-უა დაბოლოება

დამკვიდრებული თვალსაზრისის თანახმად, კოლხურ გვარსახელთა ერთ-ერთი აქტიური მაწარმოებელია სუფიქსი -უა. ამ დაბოლოებას პროდუქტიულობით საქართველოში VII ადგილი უკავია (74 817 სული), ხოლო სამეგრელოში - IV ადგილი (43 192 სული, რაც საერთო სულადობის თითქმის 60%-მდეა). სხვა რეგიონებში ასეთი სურათია: იმერეთი - VI ადგილი (10437 სული), გურია - VI ადგილი (2427 სული), აჭარა - VIII ადგილი (1931 სული), სვანეთი - III ადგილი (1001 სული), თბილისი - VIII ადგილი (13 068 სული) და სხვ. ერთადერთი რეგიონი ჯავახეთია, სადაც -უა დაბოლოებიანი გვარი არ გვხვდება. საქართველოში ყველაზე გავრცელებულ 100 გვარში მხოლოდ ორი ბოლოვდება -უა-ზე: თოდუა - 24-ე ადგილი (8079 სული) და გაგუა - 99-ე ადგილი (4526 სული). საქართველოში დღესდღეობით დაფიქსირებულია 100-მდე გვარსახელი, რომელთაც ფინალში აქვთ -უა. მათგან ოთხის ძირითადი სამკვიდრო და განსახლების რეგიონი არის იმერეთი (დონდუა, სტურუა, ჩაჩუა, ხობუა), ხოლო დანარჩენისა - სამეგრელო.

კოლხური გვარსახელების -უა დაბოლოების წარმომავლობის საკითხი ს. ჯანაშიას საგანგებოდ არ განუხილავს, მაგრამ მკვლევარი, როგორც ჩანს, ვარაუდობდა -ვან → -უა (ასახელებს პარალელურ ფორმებს: სვან. გოშვან → მეგრ. გოშუა. იხ. ჯანაშია, 1959, გვ. 36). ალბათ აქედან გამომდინარეობს ჯ. ონიანის დასკვნა ამ -უა-ს წარმომავლობაზე: „ს. ჯანაშიამ -ი-ან დაბოლოება საერთო-ქართველურ ფორმად მიიჩნია და მის პარალელურ ფორმებად ჩათვალა მეგრული გვარების დაბოლოებიანი -ია(ნ), -ავა(ნ), -უა(ნ)“ (ონიანი, 1979, გვ. 80).

გ. როგავა თვლის, რომ სვანური -ოვ-ან// -უვ-ან სუფიქსის -ნ მოკვეცილი სახეობა უნდა იყოს -უა სუფიქსიანი გვარები დასავლეთ საქართველოში: დონდ-უა ← დონდ-უვ-ან (შდრ. სვან. დონდვან), გოშ-უა ← გოშ-უვ-ან (შდრ. სვან. გოშვან), გულ-უა ← გულ-უვ-ან და სხვ.“ (როგავა, 1955, გვ. 5-6). მკვლევრის მსჯელობიდან გამომდინარეობს, რომ -ოვ-ან რთულ სუფიქსში ძირითადია -ოვ ელემენტი, რომელსაც „დართული აქვს -ან სუფიქსი“ (იქვე, გვ. 4), მაგრამ არაფერია ნათქვამი ამ სუფიქსების

ფუნქციებზე. გ. როგავას დასკვნით, -ოვ-ან (თუ -უვ-ან) რთულ სუფიქსს ჯერ მოკვეცია ბოლოკიდური ნ (შედარებისათვის ასახელებს: რენ → რე „არის“), ხოლო შემდეგ ხმოვნებს შორის ამოვარდნილა ვ თანხმოვანი. ე.ი. -უვან → უვა → უა. ამასთან დაკავშირებით საინტერესოა აღინიშნოს ერთი ფაქტი: 1904 წლის საკომლო აღწერის მასალებში (მოგვაწოდა რ. თოფჩიშვილმა) დაფიქსირებულია რამდენიმე გვარი, რომელთაც აქვთ -უვა დაბოლოება: გუჩუვა (სოფ. ფახულანში აღღრიცხავთ: გუჩუვა – 9 კომლი, გუჩუა – 3 კომლი), გუნჯუვა (სოფ. პ. კოკი), ტორუვა (სოფ. თაია), ყურუვა (სოფ. ხორგა, 2 კომლი), ჭკადუვა (სოფ. ნარაზენი, 5 კომლი), ხუბუვა (სოფ. შამგონა, 2 კომლი), ჯახუვა (სოფ. დარჩელი). როგორი კვალიფიკაცია მიეცეთ ამ ფაქტს. -ვ ჩანართია თუ სუფიქსადქცეული -ვა დართვია -უ ბოლოკიდურიან პირსახელს?

ზ. ჭუმბურიძის თვალსაზრისით, „მეგრულ გვარებში გავრცელებული ვა და ია სუფიქსები... უან//იან დაბოლოებისაგან უნდა იყოს მიღებული“ (ჭუმბურიძე, 1987, გვ. 296). ამასთანავე, მის მიერვე გვარსახელთა ერთ-ერთი დაბოლოების ასე დასახელება - „უა(ვა)“ შეიძლება იმას ვარაუდობდეს, რომ -უა და -ვა მასალობრივად (და არა მარტო ფუნქციით) ერთმანეთთანაა დაკავშირებული.

ზემოთ უკვე აღნიშნული გვაქვს, რომ ჯ. ონიანის თვალსაზრისით, კოლხურ გვარსახელებს აწარმოებს -ა სუფიქსი (და არა -ია, -ვა, -უა), რომელიც სვანური -ან სუფიქსის ნაშთია (ონიანი, 1979, გვ. 84). ამასთანავე, -ან (და მისი გამარტივებული ვარიანტი -ა) დაერთვის პირსახელის ნათესაობითი ბრუნვის ფორმას (ბრუნვის ნიშანი სრულადაა დაკარგული ხმოვანფუძიან სახელებთან). -უა დაბოლოებასთან დაკავშირებით ავტორი საილუსტრაციოდ ასახელებს ერთადერთ გვარსახელს, რომლის წარმოქმნის გზა ასეა წარმოდგენილი: გაგუ → გაგუ-შ-ან-ი → გაგუ-ან(ი) → გაგუ-ა (იქვე, გვ. 85). მანამდე კი დასახელებულია ასეთი პარალელური ფორმები: მეგრ. გაბუნია – სვან. გაბუნიანი, მეგრ. გოშუა – სვან. გოშუანი. საერთოდ, **თითქმის ყველა მკვლევართან სიტუაცია ისეა წარმოჩენილი, რომ -ა-ზე დაბოლოებული გვარები თვით მეგრულის წიაღში კი არ არის აღმოცენებული, არამედ სვანური -(ი)ან დაბოლოებიანი გვარების -ნ მოკვეცილი ვარიანტებია** (ზოგ შემთხვევაში ასეცაა).

როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, საქართველოში ასიოდე -უა დაბოლოებიანი გვარსახელია. საგვარსახელო სუფიქსი -ა უმეტეს შემთხვევაში დაერთვის -ო ან -უ ხმოვნებზე დაბოლოებულ პირსახელებს ან მეტსახელებს (ისინი დადასტურებული არიან ალ. ლლონტის „ქართველურ საკუთარ სახელებში“ ან ჩვენს მასალებში):

ა) -ა სუფიქსი დაერთვის -ო ხმოვანზე დაბოლოებულ ფუძეებს (ე.ი. -უა← ოა): ბაბილო→ ბაბილო-ა→ ბაბილუა, ბოხო „მსხვილი“ (ქცეულა მეტსახელად) → ბოხო-ა→ ბოხუა, ბოჯგო → ბოჯგო-ა → ბოჯგუა, გაგო (შდრ. გაგო-ში-ძე)→ გაგო-ა→ გაგუა, გოგო (შდრ. გოგოძე)→ გოგო-ა → გოგუა და სხვ. (სულ 31 გვარი).

ბ) -ა სუფიქსი დაერთვის -უ ხმოვანზე დაბოლოებულ ფუძეებს: გოჩუ → გოჩუა, გუ(ნ)ჯუ → გუნჯუა, გუჩუ → გუჩუა, თოშხუ (← თოლშხუ “თვალმსხვილი“. მეტსახელი) → თოშხუა, ქორთუ (“ქართველი“) → ქორთუა და სხვ. (სულ 22 გვარი).

„ზოგი მეგრული გვარი -ლუა დაბოლოებით - ტაბაღუა, ბაძაღუა და სხვა შეიძლება -უა სუფიქსს არ გამოყოფს, რამდენადაც არაა გამორიცხული ამ გვარების უცხოურობა“, - აღნიშნავს გ. როგავა (როგავა, 1955, გვ.6). სავარაუდოა, რომ -გუ (შდრ.: ზარაგუა, ჯოლოგუა), -ქუ (შდრ. შარაქუა), -ხუ, -ყუ დაბოლოებიანი სახელები ნასესხებია ჩრდილოეთ კავკასიის ხალხთა ენებიდან და დართული აქვს -ა საგვარსახელო სუფიქსი. ორიოდ შემთხვევაში გვარსახელი იმეორებს მეტსახელს, ე.ი. ხდება კონვერსია - სახელის მიერ ფუნქციის (სემანტიკის) გამოცვლა სუფიქსაციის გარეშე: **ქუცურუა** მეგრულში იხმარება პატარა ტანისა და გაქუცულ-გასაცოდავებული კაცის ეპითეტად; **ხუნჯურუა** ითქმის დაბალ, სქელ და მხრებაწურულ კაცზე. ქუცურუა და ხუნჯურუა ჯერ მეტსახელებად ქცეულან და შემდეგ გვარსახელის სტატუსიც მიუღიათ.

განალიზებული მასალა ადასტურებს, რომ -უა-ზე დაბოლოებულ კოლხურ (მეგრულ) გვარებში გვართა მაწარმოებელია -ა სუფიქსი. მაგრამ ცნობილია, რომ ფონეტიკურ ნიადაგზე ან მორფემათა საზღვარზე წარმოქმნილი ბგერათკომპლექსი შეიძლება მორფოლოგიურ (სიტყვაწარმოებით) ელემენტად გადაიქცეს. ამ პირობით (და ოდენ სინქრონიულ დონეზე) -უა ზოგ შემთხვევაში კიდევაც შეიძლება საგვარსახელო სუფიქსად

ჩავთვალთ (როგორც ფორმათა პარადიგმატული გასწორების ტენდენციის შედეგი)*.

-ა სუფიქსი

ქართულში აქტიურად გამოყენებული და მრავალფუნქცი-
იანი სახელადი სუფიქსი -ა საერთო ქართულ-ზანური წარმო-
მავლობისა ჩანს (ბოლოკიდურ პოზიციაში არ განვითარდა შესატ-
ყვისობა ქართ. ე : მეგრ. ა). მისი თავდაპირველი ფუნქცია ძალზე
ზოგადი უნდა ყოფილიყო (ნ. მარის, აკ. შანიძის, არნ. ჩიქობავას
ვარაუდით, -ა აღნიშნავდა განსაზღვრულობას სხვა ენათა
ართრონის მსგავსად). ცხადია, რომ -ა სუფიქსმა ქართულშიც და
**ზანურშიც მრავალი (იდენტური თუ განსხვავებული)
მნიშვნელობა განივითარა.** კერძოდ, ქართულში (სახელებთან)
იგი: 1. გამოხატავს: ა) რისამე მქონებლობას (ცხვირ-ა „ცხვირი-
ანი“); ბ) რაიმე თვისების მქონებლობას (შვინდ-ა „შინდისფერი“);
2. ასუბსტანტივებს ზედსართავ სახელებსა და პირველად საწყისებს
(ლურჯ-ი → ლურჯ-ა “ლურჯი ფერის მქონე რაღაც“, ტივტივ-ი →
ტივტივ-ა “ის, რაც, ჩვეულებრივ, ტივტივებს“, ქაქან-ი → ქაქან-ა
“მოქაქანე. ვისაც ქაქანი უყვარს“); 3. აწარმოებს საზოგადო თუ
საკუთარ სახელთა კნინობით-მოფერებით ფორმებს (დედოფალ-ი
→ დედოფალ-ა, ნოდარ → ნოდარა, ვანო → ვანო-ა – ვანუა...) და
სხვ. შევნიშნავთ, რომ ქართულში (კონკრეტულად, ქართულურ და
გურულ დიალექტებში) -ა სუფიქსს ერთგვარად მსგავსება-წარ-
მომავლობის გამოხატვის უნარიც შეუძენია: დედა-ილ-ა ნი-
შნავს „დედის მსგავსი, დედისა“, მამა-ილ-ა – „მამის მსგავსი, მამისა“
და ა.შ. ამგვარ ფორმებში წარმომავლობა-მსგავსებას უნდა

* შ. აფრიდონიძე სტატიაში „ზანური ანთროპონიმის ზოგი საკითხისა-
თვის“ ასახელებს „მეგრული გვარსახელების მაწარმოებელ -ია და -უა
სუფიქსებს და სქოლიოში აღნიშნავს: ეგვევ -ია და -უა სუფიქსები,
როგორც ცნობილია, შეიძლება კნინობით პირთა სახელებსაც აწარმო-
ებდეს (მაგ., გოგ-ია, ბერ-უა), მაგრამ ა რ ა ზ ა ნ უ რ გარემოში! ალბათ,
სწორედ ამიტომ გახდა შესაძლებელი, რომ აღნიშნულმა სუფიქსებმა
იკისრეს ზ ა ნ უ რ გ ვ ა რ თ ა წარმოება, და პირიქით: აღმოსავლეთ
საქართველოში, სადაც პირთა სახელების კნინობით ფორმებში -ია და -
უა ბოლოსართები ძალზე ხშირია, გვარების საწარმოებლად მათ აღარ
იყენებენ. იდენტური სუფიქსების განსხვავებული ფუნქციები და არეალი,
როგორც ჩანს, ერთ-ერთი გამოვლენაა სახელისა და გვარის გამიჯვნის
ტენდენციისა“ (აფრიდონიძე, 1987, გვ. 252).

გამოხატავდეს –ა და არა –ილ. შდრ. მამ-ილ-ო, რაც მხოლოდ მოფერებითი მიმართვაა (მიუხედავად -ილ სუფიქსის პოზიციებისა).

აღნიშნული –ა კიდევ უფრო გააქტიურდა მეგრულში: 1. **საკუთარ სახელთაგან** აწარმოებს მოფერებით-კნინობით ფორმებს: გერგე → გერგა (შდრ. გვარი გერგაია), დავით → დავითა (შდრ. გვარი დავითაია), თედორე → თედორა (შდრ. გვარი თედორაია). პერტე → პერტა (შდრ. გვარი პერტაია) და სხვ. 2. **საზოგადო სახელთაგან** აწარმოებს პირსახელებს, რომელნიც იმავდროულად მსგავსებასაც გამოხატავენ: გვაჯი (მოფერებითი მიმართვის ფორმა) → გვაჯა (შდრ. გვარები: გვაჯაია, გვაჯავა), კოჩი „კაცი“ → კოჩა (პირსახელი), მაისი (თვის სახელი) → მაისა (მაისში დაბადებული კაცის თუ საქონლის სახელი. შდრ. გვარი მაისაია), ქაცარი „თიკანი“ → ქაცარა (შდრ. გვარი ქაცარავა), ხოჯი „ ხარი“ → ხოჯა (შდრ. გვარი ხოჯავა), ჭგუნჯგი „მსხვილი მესერი, პალო“ → ჭგუნჯვა (შდრ. გვარი ჭგუნჯავა) და სხვ. 3. **ახლავს რთულ სუფიქსებს**, რომლებიც აწარმოებენ: ა) ზედსართავთაგან – თვისების გამოხატველ არსებით სახელებს, რომლებიც ამავე დროს საკუთარ სახელთა კლასში გადადიან: ჭითა „წითელი“ → ჭით-ან-ა (შდრ. გვარი ჭითანავა), ქულა „კოჭლი“ → ქულ-ან-ა (შდრ. გვარი ქულანავა) და სხვ. ამგარი წარმოება ქართულშიც დასტურდება: ჭროლა – ჭროლანა, შავი – შავანა... ბ) პირსახელთაგან – წარმომავლობის, კერძოდ, მამიშვილობის სახელებს: ხუბუ → ხუბულ-ა ან ხუბ-უნ-ა „ხუბუისი, ხუბუს შთამომავალი“ (შდრ. გვარები: ხუბუნავა, ხუბულავა), ხუფუ → ხუფ-უნ-ა (შდრ. გვარი ხუფუნაია) და სხვ. –ა სუფიქსის წინ განსაკუთრებით ხშირია ნ, ლ სონანტიანი კნინობით-მოფერებითი სუფიქსები: –ალ, –ელ, –ილ, –ოლ, –ულ; –ან, –ენ, –ინ, –ონ, –უნ. ქვემოთ წარმოვადგენთ შესაბამის მასალას:

–ალ-ა: აბრა → აბრალა (შდრ. აბრალავა), ფირცხე → ფირცხალა (შდრ. ფირცხალავა) და სხვ.

–ელ-ა: ჭიჯი → ჭიჯელა (შდრ. ჭიჯელავა), აფაქი → აფაქელა (შდრ. აფაქელავა), ანთი → ანთელა (შდრ. ანთელავა, ანთია) და სხვ.

–ილ-ა: ხუბუ → ხუბილა (შდრ. ხუბილავა), გოგი → გოგილა (შდრ. გოგილავა), ბაჩა → ბაჩილა (შდრ. ბაჩილავა) და სხვ.

-ოლ-ა: გოჩა → გოჩოლა (შდრ. გოჩოლავა), ხოჭო → ხოჭო-
ლა (შდრ. ხოჭოლავა), ჭინჯი → ჭინჯოლა (შდრ. ჭინჯოლავა) და სხვ.

-ულ-ა: ბერი → ბერულა (შდრ. ბერულავა), კუკუ → კუ-
კულა (შდრ. კუკულავა), გორდი → გორდულა (შდრ. გორდულავა)
და სხვ.

-ან-ა: ჩაგუ → ჩაგანა (შდრ. ჩაგანავა), ჩიქვი → ჩიქვანა (შდრ.
ჩიქვანავა) და სხვ.

-ენ-ა: ჯვებე → ჯვებენა (შდრ. ჯვებენავა), გეგე → გეგენა
(შდრ. გეგენავა), პერტე → პერტენა (შდრ. პერტენავა, პერტია) და
სხვ.

-ინ-ა: ჩაგუ → ჩაგინა (შდრ. ჩაგინავა), გოგი → გოგინა (შდრ.
გოგინავა), ჭიჭი → ჭიჭინა (შდრ. ჭიჭინავა) და სხვ.

-ონ-ა: წოწო → წოწონა (შდრ. წოწონავა).

-უნ-ა: გუგუ → გუგუნა (შდრ. გუგუნავა), ჩაგუ → ჩაგუნა
(შდრ. ჩაგუნავა), ჯაგა → ჯაგუნა (შდრ. ჯაგუნავა) და სხვ.

მოგვიანებით, როცა საზოგადოებრივ-ეკონომიკურმა განვითარებამ მოითხოვა გვარსახელის კატეგორიის ჩამოყალიბება-
დამკვიდრება, მსგავსება-წარმომავლობის გამომხატველმა -ა სუ-
**ფიქსმა იკისრა შთამომავლობის აღნიშვნაც და იქცა საგვარ-
სახელო სუფიქსად.** ამ ფუნქციით იგი დაერთო თვით იმ სახე-
ლებსაც, რომელთაც უკვე ჰქონდათ დართული წარმომავლობა-
შთამომავლობის, მსგავსებისა თუ კნინობითობა-მოფერებითობის
გამომხატველი მარტივი (ოდენ -ა) ან რთული (-ალ-ა, ელ-ა, -ილ-
ა და ა.შ.) სუფიქსი. ამის შედეგად **აუსლაუტში აღმოჩნდა ორი ა:**
გოგილა-ა, პერტენა-ა, გუგუნა-ა, კვესელა-ა, ჭინჯოლა-ა, ჯვებენა-
ა და ა.შ. სწორედ ამ **ინტერვოკალურ პოზიციაში მოხდა ვ-ს
ჩართვა.**

დადგენილია, რომ ქართულში „ყველა რიგის (, ,)
ხმოვანთა კომპლექსი ისწრაფვის ერთხმოვნობისაკენ“ (ძიძიგური,
1946, გვ. 33), ანუ “აკრძალულია უშუალო თანამიმდევრობაში ორი
ხმოვანი ერთი მორფემის ფარგლებში“ (ქობალავა, 1967). რადგანაც
ქართულში ფონემატური სტრუქტურით იკრძალება ხმოვნის
მეზობლობა ხმოვანთან, „მორფემულ საზღვარზე ხმოვანთა კომ-
პლექსის ცვლილება უნდა წარიმართოს ამ კომპლექსის დაშ-
ლისაკენ“ (უთურგაიძე, 1976, გვ. 32). გამოვლენილია ორი ხმოვნის

უშუალო მეზობლობის მოშლისა და მათი ერთ ხმოვანზე დაყვანის სამი გზა: **ასიმილაცია** (აუ → ოუ → უუ → უ →უ), **დიფთონგიზაცია** (უა → უა → ვა → ა) და **შერწყმა** (აა → ა → ა). „კომპლექსის განვითარების დასრულებულ სახეს მიაღწია ზანურმა (ე.ი. უკვე მივიღეთ ერთი ხმოვანი), ხოლო ქართული კილოები ამ პროცესის სხვადასხვა საფეხურზე დგანან“ (ძიძიგური, 1946, გვ. 33). ზანურის ანალოგიური ვითარება აღმოჩნდა სვანურშიც (თოფურია, 1967, გვ. 52-53; ქალდანი, 1953). ქართულ კილოებში გამოვლენილი ვითარება, გ. მაჭავარიანის დაკვირვებით, ახასიათებდა საერთოქართველურსაც, სადაც ორ ხმოვანს არ შეუძლია უშუალო მეზობლობა, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ისინი სხვადასხვა მორფემას ეკუთვნიან.

„ზოგადი ფონეტიკის საფუძვლებში“ გ. ახვლედიანი აღნიშნავს: „ზოგიერთი ენა ერიდება ჰიატუსს და თავიდან იცდენს მას სხვადასხვა გზით: კონტრაქციით (და კრაზისით) ან ლიეზონით“ (ახვლედიანი, 1999, გვ. 240). აქვეა განმარტებული, რომ **კონტრაქცია** (და კრაზისი) არის „მეზობლობაში მყოფი ორი ხმოვნის შერთვა ერთ ხმოვანად (მაგ., დედაუფალი → დედოფალი), ხოლო **ლიეზონი** არის ჰიატუსის ასარიდებლად თანხმოვნის ჩართვა სიტყვის ბოლო ხმოვანსა და მომდევნო სიტყვის თავკიდურ ხმოვანს შუა“ (იქვე, გვ. 29). ლიეზონი დასტურდება მეგრულშიც ორი მორფემის საზღვარზე და გამოწვეულია სუფიქსის ფუნქციის შენარჩუნების აუცილებლობით. ასეთი სიტუაცია წარმოიქმნება, როცა ზმნის ბოლოკიდურ -ა ხმოვანს მოსდევს სხვათა სიტყვის -ა (შდრ. ქართ. -ო). ი. ყიფშიძე აღნიშნავს, რომ ასეთ შემთხვევაში „ჰიატუსის ასაცილებლად ჩაერთვის ხმოვანთგასაყარი ვ“, მაგ.: მავ-ა „მეო“, მუ ფქიმინა-ვ-ა „რა ვქნაო“ (ყიფშიძე, 1994, გვ. 0143).*

* შეიძლება დავასახელოთ სხვა მაგალითებიც ი. ყიფშიძის მიერვე ჩაწერილ ფოლკლორულ მასალაში: სქანი ღურა-ვ-ა „შენი სიკვდილიო“, მუშო მოკოდუ თიში ჯუნა-ვ-ა „რად მინდოდა მისი კოცნაო“, სო დიმჯირა-ვ-ა „სად დავწვეო“, ბჭკუმა-ვ-ა დო ვარია „ვჭამო თუ არაო“, ობიშხა რენია ამდლა-ვ-ა „პარასკევია დღესაო“ და სხვ. (ხმოვანთგასაყარი ვ იშვიათად ჩნდება ოა და ეა კომპლექსებშიც: მიდგაქუნუქუ ჩილო-ვ-ა „წაგყვები ცოლადო“, დინახალე-ვ-ა „შიგნითაო“). აღსანიშნავია, რომ კოლხურის არეალში სიტყვის აო ბოლოკიდურში ვ ბგერის ჩართვა დაფიქსირებულია

ცხადია, ასეთივე ლიეზონი ჩანს ვ კოლხურ გვარსახელთა -ავა დაბოლოებაში. ჩანართი ვ საჭიროა გვარსახელთა მაწარმოებელი -ა სუფიქსის ფუნქციის შესანარჩუნებლად. წინააღმდეგ შემთხვევაში აუსლაუტის ორი ა შეერწყმოდა ერთმანეთს და სუფიქსის დანიშნულება დაიბინდებოდა (საერთოდაც, მეგრული სიტყვის ბოლოში ორი ა არ დასტურდება). ჰიატუსის თავიდან ასაცილებლად გვარსახელებში, როგორც ჩანს, ყ თანხმოვანიც გამოიყენებოდა. აბაშის რ-ნის სოფ. გუგუნაყათში მოსახლეობენ გუგუნავეები. სოფლის სახელწოდების ადგ. ვარიანტი გუგუნაყათი გვავარაუდებინებს, რომ გუგუნავეს გვერდით არსებობდა გუგუნაყა ფორმაც.

მკვლევრები, რომელთაც გვარსახელთა წარმომავლობის საკითხი განუხილავთ, ერთხმად აღნიშნავენ, რომ მეგრული გვარსახელების მაწარმოებელი -ა მომდინარეობს სვანური -ან-ისაგან (რომელთანაც სხვადასხვა ფუნქციას აკავშირებენ). უფრო მეტიც: საქმე ისეა წარმოდგენილი, რომ -ია, -ვა, -უა რთული სუფიქსები მეგრულშივე კი არ წარმოქმნიდა გვარსახელებს, არამედ -იან, -ვან, -უან დაბოლოებიანი სვანური გვარების მიგრაცია ხდებოდა კოლხეთის ბარში, სადაც იქმნებოდა მათი -ია, -ვა, -უა დაბოლოებიანი ვარიანტები. ს. ჯანაშია სვანურსა და ქართულის დიალექტებში დადასტურებულ -ან სუფიქსს უწოდებს „საერთო-ქართველურს“, რომელმაც მეგრულში მოგვცა -ა. მართალია, ბოლოკიდური ნ მეგრულში იკარგება (რენ → რე), მაგრამ სვანეთიდან სამეგრელოში მიგრირებული -ან დაბოლოებიანი გვარი მაშინათვე დაირთავდა სახ. ბრუნვის ნიშანს და ნ თანხმოვანს დაკარგვის საფუძველი არ ექნებოდა. მაშ როგორ ავხსნათ, რომ ზოგ შემთხვევაში -იან სუფიქსიან სვანურ გვარს ოდიშში მიგრაციის შემდეგ გაუჩნდა -ია დაბოლოება? ეს უნდა მომხდარიყო პარადიგმატური შენაცვლებით იმის შემდეგ, რაც მეგრულში უკვე დამკვიდრებული იყო -ია სუფიქსით გვარსახელის წარმოება (შდრ. ქართ. ხელა-ძე -მეგრ. ხელა-ია, ქართ. მხეციძე -მეგრ. ხეცია...).

როგორც ზემოთ უკვე აღნიშნული გვაქვს, გვარსახელთა მაწარმოებელი -ა ქართულ-ზანური ერთობისდროინდელი ზოგადი სახელადი სუფიქსი ჩანს (შდრ. აკ. შანიძე: ა ← აკ), რომელმაც

XIII საუკუნის ეპიგრაფიკულ ძეგლშიც: ილორის წმინდა გიორგის ხატზე ასომთავრული წარწერა ასე იწყება: “წმინდაო გიორგი ილორისავო...”
262

ქართულშიც და ზანურშიც განივითარა ახალი ფუნქციები, კერძოდ, ზანურში თავდაპირველად მსგავსება-ჩამომავლობის აღნიშვნის ფუნქცია შეიძინა, ხოლო შემდეგ, როცა ამის აუცილებლობა დადგა, კიდევ უფრო გააქტიურდა და საგანგებო საგვარსახელო სუფიქსად იქცა.

მაშასადამე, **კოლხურ გვარსახელთა -ია, -ვა, -უა დაბოლოებანი სხვადასხვა წარმომავლობისაა. გვარსახელთა ფაქტიური და ისტორიული მაწარმოებელია -ა, მაგრამ სინქრონიულ ჰრილში სამივე დასახელებული რთული სუ-ფიქსი შეიძლება საგვარსახელო სუფიქსებად ჩავთვალოთ.**

სუფიქსი -(ი)ში

კოლხური ნათესაობითი ბრუნვის ნიშანი -იში//ში, რო-მელიც გამოხატავს კუთვნილება-დანისუნულებას (ისევე, როგორც მისი ქართული შესატყვისი -ის), სიტყვაწარმოებითი სუფიქსის ფუნქციით აღჭურვილია დიდი ხნის წინათვე. ამას ადასტურებს ტოპონიმიაც (იხ. ცხადაია, 1985, გვ.95-102) და ანთროპონიმიაც: -ში დაერთვის ეპონიმის სახელს და აღნიშნავს ამ ეპონიმისადმი მიკუთვნებულობას, მისგან მომდინარეობას. მაშასადამე, ტულუში ნიშნავს „ტულუს შთამომავალს“ (სიტყვასიტყვით: ტულუსი), ხალვაში - „ხალვას შთამომავალს“ და სხვ.

შუა საუკუნეების საისტორიო წყაროებში შემონახულია ფე-ოდალური საგვარეულოების სახელები, რომლებშიც სწორედ ეს -ში ჩანს. ზემოთ დასახელებულია ორი მათგანი: ბალუაში და მარუშისძე (იგივე მარუშიანი. შდრ. მარუაშვილი). დავსახელებთ კიდევ ერთ ცნობილ საგვარეულოს, რომელიც აგრეთვე დასავლეთ საქართველოს არეალთანაა დაკავშირებული. ესაა **შარვაშიძე.**

შერვაშიძეთა (შარვაშიძეთა) უძველესი საგვარეულო აფხაზეთის უცვლელი ერისთავები და მთავრები იყვნენ. მათი რეზიდენცია იყო ლიხნი. საქართველოს გამოჩენილ ხელისუფალთა შორის შერვაშიძე მოიხსენიება XIII საუკუნიდან: თამარის ისტორიკოსი ასახელებს ცხუმის ერისთავს - დადათო შერვაშიძეს და მონღოლთა წინააღმდეგ მებრძოლ მხედართმთავარს - დარდინ შერვაშიძეს. საკუთრივ აფხაზთა შორის ეს საგვარეულო მოიხსენიება როგორც **ჩაჩბა**. XVII ს. დამდეგს შერვაშიძეები დამოუკიდებელი მთავრები გამხდარან (ქსე, 10). საისტორიო თქმულება გვარ შარვაშიძის წარმომავლობას უკავშირებს თამარ მეფის დროს ტყვედ წამოყვანილ და აფხაზეთში გაზრდილ შა-

რვანშაჰს, მაგრამ სინამდვილეში **შარვაში** –ში სუფიქსით წარმოქმნილი კოლხური მამიშვილობის აღმნიშვნელი სახელია. კოლხური ვარიანტი **შარაშიაც** ჩანს საისტორიო წყაროებში: იტალიელი მისიონერი არქანჯელო ლამბერტი 1654 წელს ნეაპოლში გამოცემულ „სამეგრელოს აღწერაში“ აღნიშნავს, რომ ლევან დადიანმა „ცოლად შეირთო აფხაზეთის მთავრის შარაშის ქალი“ (ლამბერტი, 1991, გვ.23). ცნობილია კასტელის მიერ კოლხეთში შესრულებული პორტრეტი „აფხაზეთის მთავარი სეტემან შარაშია“ (XVII ს.). გვარის ეპონიმის სახელი უნდა იყოს შარვა, რაც შარვანის შემოკლებული ფორმაა, ან შარუა, რაც XVIII ს. წყაროებშიცაა დამოწმებული. შერმადინის შემოკლებულ ვარიანტ შერმა-საც შეეძლო მოეცა შერვა. მაშასადამე შარვაში (შერვაში) ეპონიმური სახელია და ნიშნავს „შარუასი“ (შერუასი), ანუ „შარუას შთამომავალი“ (შდრ. გვარები: ბაღვაში, თანდილაში, ტულუში, ვანილიში, ხაღვაში...). ხელმეორე სუფიქსაციისას **შარუაში** ფუძეს დართვია გვარსახელის მაწარმოებელი –ა სუფიქსი, მაგრამ მოგვიანებით, „ქართიზაციის“ პროცესში (ე.ი. აფხაზეთის სამეფოს შექმნისა და შავიზღვისპირა რეგიონების ქართლთან პოლიტიკური და ეკლესიური გაერთიანების შემდეგ), შარუაშია//შარვაშია ფეოდალურ ოფიციალურ დოკუმენტაციაში შეუცვლიათ –ძე დაბოლოებიანი ფორმით (შდრ. მარუშიძე, აბაშიძე, უფრო მოგვიანებით: დგებია → დგებუაძე, ანჯაფარია → ანჯაფარიძე, აფაქია → აფაქიძე და სხვ.). გვარი შარაშია (← შარვაშია ← შარუაშია) დღესაც არის გავრცელებული ენგურის მარჯვენა მხარის სოფლებში (იხ. ცხადაია, 2000, გვ. 146-147).

მიუხედავად პირსახელ აბაშის რეალურად არსებობისა (აბაშ აბაშიძე დამოწმებულია 1448 წ. ალექსანდრე მეფის მიერ გაცემულ წყალობის წიგნში), მაინც საფიქრებელია, რომ გვარი აბაშიძე წარმოქმნილია დასავლეთ საქართველოს სინამდვილეში და ამოსავალია კოლხურსუფიქსიანი სახელი **აბაში**, რაც **ნიშნავს აბას შვილს, აბას მოდგმას**. პირსახელი **აბა** გვხვდება ხევსურეთშიც და სვანეთშიც. (შდრ. გვარები აბაიძე, აბაიშვილი). მაშასადამე, აბაშიძე აგრეთვე ორმაგი სუფიქსაციით წარმოქმნილი გვარია (შდრ. მარუშისძე, შერვაშიძე).

–ში სუფიქსით გვარსახელის წარმოება დამახასიათებელია ლაზებისა და ლაზურისათვის და სუბსტრატის სახით არის

შემორჩენილი აჭარასა და გურიაში. კერძოდ, გურიაში მოსახლეობენ ტულუშები, ჯაშები... აჭარაში კი – ხალვაშები, მემიშიშები, ვანილიშები, ჯევაიშები და სხვ. ზოგი მათგანი ძალზე მრავალრიცხოვანია (ტულუში – 2677 სული, ხალვაში – 2235 სული, ჯაში – 1007 სული), რაც ამ გვარების შორეული დროიდან მომდინარეობის ნიშანია. ჩვენს ქვეყანაში –ში დაბოლოებიან გვარსახელებს ატარებს მხოლოდ 7263 პირი (X ადგილი), მათგან აჭარაში – 3250 (V ადგილი), გურიაში – 1665 (VII ადგილი), იმერეთში – 402 და სამეგრელოში – მხოლოდ 358 სული (იხ. სილაგაძე, თოთაძე, 1997). სამეგრელოში დადასტურებული ორიოდე –ში დაბოლოებიანი გვარი (ძირითადად, ზღვისპირა სოფლებსა და ქალაქებში) მიგრირებულია (და არა ადგილობრივი), როგორც, მაგალითად, სოფ. ორსანტიაში მოსახლე მოხვაშთა 8 კომლი. კიდევ ერთ გარემოებას უნდა გაესვას ხაზი: –ში დაბოლოებიან ეპონიმურ სახელს დართვია –ძე (იმერეთში, იშვიათად – გურიასა და აჭარაშიც) ან –ა (სამეგრელოში): გეგეშიძე, გურეშიძე, დათეშიძე, კვატაშიძე, ლამბაშიძე, ყიფშიძე (ყველა იმერეთში), ნაკაშიძე (გურია-აჭარაში), მორგოშია, ჯანაშია, ნაკაშია, ჯაშია (სამეგრელოში). ამათგან ჯანაშია (3559 სული) და მორგოშია (1529 სული) სამეგრელოს მკვიდრი გვარებია, ხოლო ნაკაშია ნაკაშიძის, ჯაშია კი – ჯაშის ვარიანტები ჩანან.

ნახევარი საუკუნის წინათ, როცა აჭარის სოფელ სარფის მცხოვრებლებმა გადაწყვიტეს გვარისათვის ქართული იერის დაბრუნება, უმეტესობამ აირჩია –(ი)ში დაბოლოება (მემიშ-ოლლი → მემიშიში, ჯევარ-ოლლი → ჯევაიში, კარახასან-ოლლი → კახაილიში, ბეჭირ-ოლლი → ბეჭირიში), სხვებმა კი –ძე, –შვილ, –ია, –ვა დაბოლოებებზე გააკეთეს არჩევანი.

სუფიქსოიდები –სჭირი (სკირი), –სჭუა (სკუა)

სუფიქსოიდი არის ცოცხალი ლექსიკური ერთეული, რომელიც გარკვეულ სიტუაციაში (კონტექსტში, მოდელში) ითავსებს სუფიქსის ფუნქციას. გვარსახელთა დიდი ნაწილი გამოხატავს მიკუთვნებას ეპონიმისადმი, ერთი წინაპრისაგან მომდინარეობას. საამისოდ ქართველური ენები, სუფიქსების გარდა, გამოიყენებენ სუფიქსოიდებსაც, კერძოდ, „შვილ“ ცნების შემცველ სიტყვებს. კონკრეტულად ასეთი საერთო სურათი იხატება: საკუთრივ ქართულ ენაში დომინირებს „ძე“ და „შვილ“

სუფიქსოიდების შემცველი გვარები. სვანურში ქართული შვილ-ფუძის კანონზომიერი შესატყვისი სგვი გვარსახელებთან არ დასტურდება, ხოლო კოლხური -სქირი „შვილი“ (მით უმეტეს სქუა „შვილი“) არაა პროდუქტიული: იგი მხოლოდ რამდენიმე გვარსახელთან დადასტურდა.

სქირი და მისი ფონეტიკური ვარიანტი სკირი მეგრულში დაერთვის ნათეს. ბრუნვის ფორმას (ბრუნვის ნიშანი დაკარგულია). ი. ყიფშიძე “მეგრულ-რუსულ ლექსიკონში” ასახელებს სქილი, სქირი ფორმებს და აღნიშნავს, რომ ისინი მხოლოდ რთულ სიტყვებში გამოიყენება. აქვეა დასახელებული (ბროსეზე მითითებით) ვარიანტი სკირი და გვარი ჩაგალოსკირი (ყიფშიძე, 1994, გვ. 323). გ. ელიავას ლექსიკონში დადასტურებულია სქირი, სქილი, სქიი ვარიანტები, ხოლო დ. ფიფიას სალექსიკონო მასალებში - სქი „ძე“ და სქუა „შვილი“ (ფიფია, 1999).

-სქირი და -სკირი დაბოლოებების მქონე გვარსახელს საქართველოში ატარებს 2375 სული (XI ადგილი), მათგან სამეგრელოში მოსახლეობს 1500 (VII ადგილი), თბილისში - 541, იმერეთში - 145, აჭარაში - 50 და სხვ. წარმოვადგენთ საილუსტრაციო მასალას: ასკილესკირი - 28 სული, კვეკესქირი - 20 სული, კვეკესკირი - 852 სული, კვეკესქირი - 115 სული (კვეკვე//კვერკვე კვირკვეს, იგივე კვირიკეს, ვარიანტებია. კვეკე კიდეც უფრო გამარტივებული ფორმაა), პაპასკირი (←პაპაშ სკირი “მღვდლის შვილი“. შდრ. პაპაძე, პაპაშვილი) - 530 სული, პაპასქირი - 159 სული (ზუგდიდის რ-ნიში მოსახლეობენ პაპასკირებიც და პაპასქირებიც), წულესკირი - 645 სული (ამოსავალია პირსახელი წულა. შდრ. წულაია, წულაძე). XVII ს. დამღვეის საეკლესიო საბუთში დასტურდება წულისკერი, ხოლო XVIII ს. დამღვეის საბუთში - წულაისქირი (ქსძ, III, გვ.613, 677), რომლის თავდაპირველი ფორმაა წულა-იშ სქირი. საერთოდ, ამ პერიოდში უფრო ფართოდ ყოფილა გავრცელებული -სქირი, -სკირი სუფიქსოიდები. 1549 წლის საბუთში დასახელებულია ქორესუბანს მცხოვრები მეზუთხე თემნა ბუბასკირი (პალ, I, 562). 1621 წ. შედგენილ „აფხაზეთის საკათალიკოსო გამოსავლის დავთარში“ თილთის მცხოვრებ გლეხთა შორის დასახელებულნი არიან მიხილია სთეფანასკირი, შურითოლი სთეფანესკირი, კუტულია სთეფანესკირი, ბაბასკური ჟვანესკირია, ქალარა ჟვანესკირია (ქსძ, III, გვ.429). უკანასკნელ შემთხვევაში „ჟვანესკირი“ ფორმას

საგვარსახელო ფუნქციის უფრო მეტად წარმოჩენის მიზნით დართვია სუფიქსი -ა (შდრ. გიგიბერი → გიგიბერია, გეგეში → გეგე-ეშიძე). დავასახელებთ -სკირი დაბოლოებიან კიდევ რამდენიმე გვარს, რომელთაც შემდგომში განმეორებით დაირთეს საგვარსახელო სუფიქსი -ა: ბულესკერია, ბულესკირია, ბულის-კერია, ბულისკირია, ბულისქირია, გაბისქირია, გაბისკირია, გაბეს-კირია, გულისკერია და სხვ. საერთოდ, -სქირი, -სკირი სუფიქსო-იდიანი გვარები უფრო სამურზაყანოშია გავრცელებული.

გვარსახელებში ამჟამად იშვიათია სქუა (სკუა) „შვილი“ დაბოლოება. შეგვიძლია დავასახელოთ ერთადერთი ფუძე, სადაც ორივე ეს ვარიანტი გვხვდება. ესაა პაპასქუა („მღვდლის შვილი“) – 200 სული (ზუგდიდისა და წალენჯიხის რ-ნებში, ქ. თბილისში) და პაპასკუა – 141 სული (ზუგდიდის რ-ნში, თბილისში, ქუთაისში). ტოპონიმი ნაგაგესკოუ (სახნავი სკურდში) აღადგენს უწინ არსებულ გვარ გაგესკუა-ს, ხოლო ხარასკუა ჭანტურიების შტოგვარია მანცხვარკარში (აბაშის რ.). ასი წლის წინათ -სკუა დაბოლოებიანი რამდენიმე გვარი მაინც ფუნქციონირებდა. 1904 წლის აღწერის მასალებში გვხვდება გვარები: ქორთუსკუა (ზუგდიდი, დარჩელი), ბერისკუა (ზუგდიდი, პ. კოკი, ობუჯი), ნარუსკუა (ზუგდიდი, ხორგა. ზუგდიდში პარალელურად დადასტურებულია ნარუშვილი ფორმაც), ბიძნასკუა (დ. კოკი). ამჟამად ყველა ამ გვარში -სკუა დაბოლოება შეცვლილია -შვილ სუფიქსოიდით. საერთოდ, ერთსა და იმავე დასახლებულ პუნქტში გვარის დაბოლოებათა მონაცვლეობა არაა იშვიათი. ზემოთ აღნიშნული საბუთის მიხედვით, შხეფში მოსახლეობს 10 კომლი კინწურავა და 13 კომლი კინწურაშვილი, ნაღვფსაოში მკვიდრობენ სულაბერიებიც და სულაბერიძეებიც, ხუნწში დაფიქსირებულია ძიძიგურიც და ძიძიგ-ურიაც.

სუფიქსოიდი -ბერე, -ბერი

ბერე ჭანურში ნიშნავს ძე-ს, შვილ-ს: „დიდი ჯუმას ანშ ბერე უყონუნ, მაჟურას ოთხ ბერე უყონუნ...“ (ყიფშიძე, 1994, გვ. 645). ბერე//ბერი დაერთოდა ნათესაობითი ბრუნვის ფორმას. იგი მეორეული სუფიქსაციის გარეშე მხოლოდ ერთადერთ გვარშია შემონახული. ესაა კაკუბერი „კაკუს ძე“ (122 სული მარტვილისა და სენაკის რ-ნებში, ქ. თბილისში). ყველა სხვა შემთხვევაში ბერე (ბერი) დაბოლოებიან ფორმას დართვია -ა სუფიქსი (სამეგრ-ელოში) და -ძე (აჭარა-გურია-იმერეთში). უნდა აღინიშნოს, რომ

მათში მრავალრიცხოვანი გვარი არცაა: გიგიბერია – 601 სული, გოგიბერია – 38 სული, კაკუბერია – 25 სული, კილაბერია – 127 სული (შდრ. კილავა, კილაძე), ქუჩუბერია – 21 სული, ჩაკაბერია – 507 სული (უნდა აღინიშნოს, რომ ამ მოდელის გვარსახელთა ძირითადი სამკვიდრო არის ქვემო სამეგრელო, ზემო სამეგრელოში კი იშვიათია). ბევრად მეტია -ძე (იშვიათად შვილ-) დართული ვარიანტები: გოგიბერიძე, გიორგბერიძე, დოლაბერიძე, თუთბერიძე, კიკაბერიძე, ლოსაბერიძე, სულაბერიძე, დოლობერიძე, გოგიბერიშვილი და სხვ. **ბერ-** სიტყვის მნიშვნელობასთან დაკავშირებით არსებობს სხვა მოსაზრებანიც: ივ. ჯავახიშვილი ბერ-ს თვლიდა ვაჟიშვილის აღმნიშვნელ საერთოქართველურ სიტყვად (ჯავახიშვილი, 1950, გვ.124-125). ი. მაისურაძე ბერ-ს განიხილავდა მამრობითი სქესის აღმნიშვნელ ლექსემად, რომელიც დაერთვის საკუთარ სახელს როგორც პოსტპოზიციური ატრიბუტული მსაზღვრელი (ე.ი. გიორგიბერი არის არა გიორგის ვაჟი, არამედ გიორგი ვაჟი, გიორგი მამაკაცი).

XVII ს. ოდიშში მრავალრიცხოვანი ყოფილა გვარი გეგებერია: 1616-1621 წწ. შედგენილ „საციიშლო გამოსავალი მოსაკრებლობის დავთარში“ დასახელებულია ოცზე მეტი საეკლესიო გლეხი, გვარად გეგებერია. ისინი მოსახლეობენ ცაიშსა და მის ახლომახლო სოფლებში (იხ. ქსძ, III, 439-440, 442, 468-469...). ამავე საბუთშია დამოწმებული გვარი ქუდუბერია (იქვე, 448).

სუფიქსი -(ი)ან

სვანეთსა და რაჭა-ლეჩხუმში გავრცელებული გვარსახელების ძირითადი ნაწილი -ან, -იან დაბოლოებებს შეიცავს (ჯ. ონიანის მტკიცებით, გვარსახელს აწარმოებს -ან, ხოლო -ი ნათეს. ბრუნვის ნიშნის ნაშთია). აღნიშნული სუფიქსით დაბოლოებულ გვარსახელს ატარებს 129 206 ქართველი (V ადგილი ქვეყნის მასშტაბით). პროდუქტიულობის (სულთა რაოდენობის) მიხედვით -(ი)ან პირველ ადგილზეა სვანეთსა (16 736 სული) და ლეჩხუმში (8 900 სული). სხვა რეგიონებში ასეთი სურათია: რაჭაში – 1802 სული (IV ადგილი), იმერეთში – 38 449 სული (IV ადგილი), გურიაში – 2689 სული (V ადგილი), აჭარაში – 2903 სული (VI ადგილი), სამეგრელოში – 10 218 სული (VI ადგილი), თბილისში – 28951 სული (V ადგილი). დავაკვირდეთ, რომ -იან დაბოლოებიანი გვარი იმერეთში ბევრად მეტია, ვიდრე სვანეთში, რაჭასა და ლეჩხუმში ერთად აღებული. სამეგრელოს რეგიონში -(ი)ან სუფიქსს შეიცავს 80-მდე გვარი

(რომლებიც ერთ სოფელში სამ კომლს მაინც შეადგენენ). მათში ორი ჯგუფი გამოიყოფა: ა) სვანეთიდან მიგრირებულნი; ბ) ადგილობრივი, ე.ი. მეგრულ გარემოცვაში, წარმოქმნილნი.

სამეგრელოში სვანთა მიგრაცია ხდება ძირითადად მესტიის რ-ნიდან. მცირემიწიანობას, უმუშევრობას, უგზობობას გამორიდებულნი ძირითადად ჯვარი-ზუგდიდის ავტომაგისტრალის მიმდებარე სოფლებში სახლდებოდნენ, სადაც მძლავრი კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები იყო. ამ გზით დამკვიდრდნენ თუნდაც ერთ სოფელში, კერძოდ, ჩხორიაში: ვიბლიანები, გურჩიანები, გვიჩიანები, გუჯეჯიანები, გოლეთიანები, გერლიანები, თამლიანები, კვანჭიანები, კვიციანები, მილდიანები, პაკელიანები, ოთხვანები, სუბელიანები, ფირცხელანები, ქალდანები, შუკუანები, ჩხვიმიანები და სხვ.

-(ი)ან სუფიქსიანი გვარსახელების მცირე ნაწილის სამშობლო და სამკვიდრო უნდა იყოს სამეგრელო. დავასახელებთ რამდენსამე მაგალითს: არზიანი – 619 სული (ძირითადად სენაკის რ-ნსა და ქ. ფოთში), გოროზიანი – 94 სული (ძირითადად სენაკის რ-ნსა და ქ. ფოთში. შდრ. გოროზია), კვიტატიანი – 534 სული (ძირითადად ზუგდიდისა და მარტვილის რ-ნებში. კომპაქტური დასახლებანი დაფიქსირდა ბანძაში, აბედათში, ვედიკარში, შამგონაში, ინგირში, ოდიშში), კიკიანი – 98 სული (ძირითადად ზუგდიდისა და მარტვილის რ-ნებში. ამ გვარისგანაა წარმოქმნილი სოფლის სახელწოდება ნაკიანი, რომელიც XIX ს. საბუთებსა და რუკებზე აღნიშნულია როგორც ნაკიკიანი).

ცნობილია, რომ -ან სუფიქსი გვხვდება აღმ. საქართველოშიც. ბუნებრივია, დაისმის კითხვა: სამეგრელოში -ან (თუ -იან) სუფიქსით გვარსახელების წარმოება ბოლო საუკუნეებში სვანურის (სვანეთიდან მიგრაციების) გავლენის შედეგია თუ სვანთა და მეგრელთა ოდინდელი თანაცხოვრების გამოძახილი? (როგორც ცნობილია, ეგრისის მთისწინა სამეგრელოში სვანებსა და მეგრელებს დიდი ხნის მანძილზე ერთად უცხოვრიათ და ეს ალბათ პირველი ათასწლეულის დამლევამდე გრძელდებოდა). რა თქმა უნდა, გასათვალისწინებელია სვანთა სამეგრელების ტრადიციის შედეგებიც. ამასთან დაკავშირებით გ. გასვიანი წერს: „შუა საუკუნეების აფხაზეთში შეინიშნება აგრეთვე სვანების თანდათან გამეგრელება, რომლის მაჩვენებელია, მაგალითად, გვარეულობათა გადაქცევა: მარდიანის (აფხ. მარდან-) მარდანიად, მარუშიანის –

მარშანიად, ჩხეტიანის – ჩხეტიად, კვიციანის – კვიცინიად... და ა.შ.“ (გასვიანი, 1998, გვ. 143).

სუფიქსი -არ

პირველმა ა. შანიძემ გამოყო მეგრულში სადაურობის („ვინაობის“) სუფიქსი -არ და იგი ეტიმოლოგიურად დაუკავშირა ამავე დანიშნულების ქართულ -ელ სუფიქსს (შანიძე, 1957, გვ.29-32). მაქსიმე ქალდანმა მიაქცია ყურადღება იმ გარემოებას, რომ -არ წარმომავლობის სახელთა საწარმოებლად გამოიყენება ჭანურის არქაბულ კილოკავში და თანაც მხოლოდითი რიცხვის ფორმაში (ქალდანი, 1981, გვ. 91). ორივე მკვლევრის დასკვნით, მეგრულში -არ გამოიყენება მხოლოდ მრავლობითი რიცხვის ფორმებში -ეფ ნიშნის წინ (სენაკი – სენაკ-არ-ეფ-ი), თუმცა კი სამეგრელოსა და სამურზაყანოში დღესაც კი მოისმენთ ასეთი მხოლოდითი რიცხვის ფორმებს: ოტობ-არ-ი „ოტობაიელი“, ზუგიდ-არ-ი „ზუგდიდელი“, ახუთ-არ-ი „ახუთელი“, კიწი-არ-ი „კიწიელი“, ხანწკ-არ-ი//ხანწკუ-არ-ი „ხანწკელი“ და სხვ. მსგავსი ფორმები დასტურდება მიკროტოპონიმიშიც და საისტორიო წყაროებშიც: სოფ. დიდი ნეძის კახათის საქირიოს უბანში სახნავს ეწოდება ცეიშარიშ დიხა//საბერო დიხა; ოდიშის მთავარი ლეონ II დადიანი (XVII ს. პირველი ნახევარი) მისივე ბრძანებით მოჭედილ ილორის წმ. გიორგის ხატის წარწერაში გვაუწყებს ზუფუჟი (ბზიფი – ისტ. მხარე აფხაზეთში) წარმატებული ლაშქრობის შესახებ: „... კაპოეტის წყალზე შემოგვებნეს ზუფუჟარი და სიხუარი მარშანიები და დავხოცეთ და ზოგი ხელთ დაგვრჩა და გამარჯვებული მოვედით“.

სადაურობის სუფიქსი -არ შემონახულია კოლხური გვარების ფუძეებში: ოდიშარია „ოდიშელი“, ცხომარია „ცხუმელი“ (ანუ სოხუმელი), ხუნწარია „ხუნწელი“, ხომტარია „ხოსტელი“ და სხვ. (ჭუმბურიძე, 1987, გვ. 315). კოლხური გვარსახელების ლექსიკონზე მუშაობის პროცესში გამოვლინდა კიდევ რამდენიმე გვარსახელი, რომლის საყრდენ ფუძეში, ე.ი. ეპონიმის ზედწოდებაში, აღმოჩნდა სადაურობა-წარმომავლობის სუფიქსი -არ. ეს გვარებია:

ზანთარია (248 სული) და **ზანთარია** (176 სული) ძირითადად ზუგდიდის რ-ში გვხვდება. **ზამთარ**- (საზოგადო თუ საკუთარი სახელი) მეგრულში არ დასტურდება. ამიტომ შეიძლება ითქვას, რომ აღნიშნული გვარები იმერული ზანთარადის ვარიანტებია. მაგრამ უფრო ისაა საფიქრებელი, რომ ზან-

თარ- შეიცავს სადაურობის -არ სუფიქსს: აბაშის რაიონში არის სოფელი **ზანათი**. აქედან გამომდინარე, გვარის წარმოქმნის გზა ასე გვესახება: ზანათი → ზანათ-არ-ი → ზანათარი-ა → ზანთარია, ან: ზანათარი → ზანათარ-ა (ეს -ა აქ მანთროპონიმებელი სუფიქსია) → ზანთარა → ზანთარა-ია.

ლატარია ერთ-ერთი მრავალრიცხოვანი (2263 სული, ძირითადად ხობისა და ზუგდიდის რ-ნებში) და უძველესი გვარია (1616-1621 წწ. საეკლესიო საბუთის მიხედვით, ლატარიები არან ცაიშის საყდრის მებეგრენი). გვარის საყრდენი ფუძე სადაურობის სახელია: **ლათა** არის სოფელი მდ. კოდორის მარჯვენა ნაპირზე. ლათას მცხოვრები იქნება ლათ-არ-ი. როგორც ჩანს, მომხდარა ყრუ ფშვინვიერი **თ** ბგერის გამკვეთრება: ლათარი → ლატარი → ლატარია.

ქანთარია მრავალრიცხოვანი გვარია (2299 სული, ძირითადად ზუგდიდისა და წალენჯიხის რ-ნებში). ერთი შეხედვით, შეიძლება გვეფიქრა, რომ გვარის საყრდენი ფუძეა ეპონიმის ზედწოდებად ქცეული სამოხელეო ტერმინი ქალანთარი (იგივე კალანტარი), რაც სპარსულში ნიშნავს „ქალაქისთავს“, „პოლიციის უფროსს“ (და გვარის ფუძეცაა საქართველოსა და სომხეთში). მაგრამ ჩვენი აზრით, აქაც სადაურობა-წარმომავლობის სახელთან გვაქვს საქმე: **კანთი** ერქვა მცირე მთისძირა სოფელს, რომელიც შეუერთდა გვერდით მდებარე ასეთსავე მცირე სოფელ ლეთოფურეს და წარმოიქმნა ლეთკანთი (სოფელია წალენჯიხის რ-ნში). მაშასადამე: კანთი → კანთ-არ-ი „კანთელი“ → კანთარი-ა → ქანთარია (ასიმილაცია-გაფშვინვიერება: კ/ქ ფშვინვიერი **თ**-ს გავლენით).

ჭიხვარია მცირერიცხოვანი გვარია (97 სული სამეგრელოსა და გურიაში), ისევე როგორც **ჭიღვარია** (312 სული, ძირითადად იმერეთსა და ლეჩხუმში), **ჭიხორია** (116 სული, ძირითადად იმერეთში) და **ჩიხორია** (54 სული. ძირითადად იმერეთში). ძირითადი და თავდაპირველი ვარიანტია ჭიხვარია, რომლისთვისაც ამოსავალია სადაურობის სახელი ჭიხუარი. **ჭიხუ** ერქვა დიდ სოფელს, რომლის ერთი ნაწილი შეუერთდა ქ. ხობს, ხოლო მეორე ნაწილი სოფლის სტატუსით შედის ბულიწყუს თემში. ჭიხუს მცხოვრებს გარეშეთაგან დაერქმეოდა ჭიხუარი, რაც ჯერ ზედწოდებად, ხოლო შემდეგ გვარის საყრდენ ფუძედ იქცა.

მაშასადამე: ჭიხუ-არ-ი → ჭიხუარი-ა → ჭიხვარია (მონაცვლეობა უა / ვა გავრცელებული ფონეტიკური მოვლენაა). ჭიხვარიას ვარიანტია ჭიხორია (ვა / ო მონაცვლეობა აგრეთვე ცნობილია). თავის მხრივ, ჭიხორიას მოუცია ჩიხორია (მკვეთრი ჭ ბგერის გაფშვინვიერებით). ამის გარდა, დისიმილაციური გამჟღერების გზით (ხ→ღ) წარმოქმნილა ლეჩხუმში გავრცელებული ვარიანტი გვარისა ჭიღვარია. ეთნოგრაფიული მასალების ანალიზით გამოირკვა, რომ ლეჩხუმს მცხოვრები ჭიღვარიები სამეგრელოდან ყოფილან მიგრირებულნი: „სამეგრელოში სამ ძმას ბატონი მოუკლავს და ლეჩხუმში გადმოხვეწილან, ლეჩხუმის ბატონთან მისულან და ორი მათგანი ლასხანაში დაუსახლებია, მესამე – ჭყვიში (რაჭა), სადაც ახლაც მოსახლეობენ. ლეჩხუმში ჭიღვარიები ნახსენები არიან 1766 წ. საბუთში“ (თოფჩიშვილი, 1993, გვ. 15-16).

ხვითარია მცირერიცხოვანი გვარია (102 სული. ძირითადად სენაკსა და ფოთში). **ხვითი** ეწოდება ადგილსა და მდინარეს ზემო ბარლებსა და სიდაში (გალის რ). მაშასადამე, ხვითარი ნიშნავს ხვითელს, ხვითიდან გამოსულს. ეპონიმის ზედწოდებას დართვია გვარსახელთა მაწარმოებელი -ა სუფიქსი.

ხუფაცარია მცირერიცხოვანი გვარია (245 სული. ძირითადად ზუგდიდისა და გალის რ-ნებში). თუ დავუშვებთ თ - ც მონაცვლეობას, მაშინ აქაც -არ სუფიქსით წარმოქმნილი სადაურობის სახელი გვექნება გვარსახელის ფუძეში: ხუფათი ეწოდება ღელესა და ხეობას ჯოღევში. ამ ხეობაში უწინდელი საცხოვრისის კვალია შემორჩენილი. მაშასადამე: ხუფათარი „ხუფათელი“ → ხუფათარი-ა → ხუფაცარია. -არ ჩანს სხვა გვართა ფუძეებშიც, რომელთა ეტიმოლოგიაზე საჭიროა მუშაობის გაგრძელება (ჩანთარია, ცხვიტარია, მაქანდარია...).

მეგრულში სადაურობის სახელების საწარმოებლად იშვიათად გამოიყენება ქართულიდან ნასესხები -ელ, რაც კარგად ჩანს გვარებში: ხობ-ელ-ი-ა, ხონ-ელ-ი-ა, ხუნწ-ელ-ი-ა, გორდ-ელ-ა-ვ-ა, ზოდ-ელ-ა-ვ-ა; ხოლო სუფიქსი -ურ, რაც მეგრულში ჩვეულებრივი და ძირითადი მაწარმოებელია ადამიანთა და არაადამიანთა სადაურობა-წარმომავლობისა, გვარსახელთა ფუძეებში არ ჩანს. ზანური -ერ (ამდღანერი „ღღევანდელი“, ჰამსენერი „ამღამინდელი“... იხ. ქალდანი, 1981) როგორც ჩანს, ადამი-

ანთა სადაურობასაც გამოხატავდა (ისევე როგორც -ელ). იგი ჩანს გვარ ხოფერიაში: ხოფი (იგივე ხობი) → ხოფ-ერ-ი → ხოფერია.

სუფიქსოიდები -ძე, -შვილ

სამეგრელოში -ძე დაბოლოება უჩანს 300-ზე მეტ გვარსახელს, ხოლო -შვილ დაბოლოება - 130-მდე გვარსახელს (იგულისხმება გვარსახელები, რომლებიც ერთ სოფელში სამ-სამი კომლით მაინც არიან წარმოდგენილნი). სულთა რაოდენობის თვალსაზრისით კი ასეთი სურათია: -ძე დაბოლოებიან გვარსახელს ატარებს 46 718 სული (III ადგილი რეგიონში), ხოლო -შვილ დაბოლოებიანს - 26 329 სული (V ადგილი რეგიონში). ამ გვარსახელთა უმეტესობა მიგრირებულია ძირითადად დას. საქართველოს სხვადასხვა დიალექტურ-ეთნოგრაფიული რეგიონიდან (იმერეთი, გურია, აჭარა, რაჭა), სადაც მათი ძირითადი სამკვიდროა. მაგრამ, ამასთანავე, ხაზგასმით უნდა აღინიშნოს ორი გარემოება:

1. როგორც ცნობილია, შუა საუკუნეებში საქართველოს თითქმის ყველა კუთხეში იწყება გვარსახელთა “ქართიზაცია“, ე.ი. გადასვლა -ძე და -შვილ დაბოლოებებზე. ამ პროცესმა სამეგრელოში, უპირველეს ყოვლისა, მოიცვა თავად-აზნაურთა გვარსახელები: იერუსალიმის ჯვრის მონასტრის აღაპებში (XI-XIII სს.) მოხსენიებულნი არიან ა ფ ა ქ ი ძ ე ე ბ ი, ხოლო XIII ს. სვანეთის სულთა მატიანეებში - ა ფ ა ქ ი ა ნ ე ბ ი (ინგოროყვა, 1941, გვ. 121, 128...). თავდაპირველი ფორმა უნდა ყოფილიყო მეგრული ა ფ ა ქ ი ა (როგორც სამეგრელოში იყო და არის ცნობილი); დ გ ე ბ უ ა ძ ე ე ბ ი აზნაურები იყვნენ. გვარი დამოწმებულია XVII ს. საისტორიო საბუთში (პალ, II, 58). მაგრამ თავდაპირველი ფორმა უნდა ყოფილიყო **დგებია**, რაც ადგილობრივ ვარიანტად დღემდე შემორჩა. დგებია-დგებუაძეების სამკვიდრო ორ სოფელს ეწოდება ლედგებზე (ერთი მარტვილის რაიონშია, მეორე - ზუგდიდის რაიონში. ესაა დღევანდელი ოდიში). ა ნ ჯ ა ფ ა რ ი ძ ე ე ბ ი აზნაურთა ცნობილი საგვარეულოა. ადგილობრივ ანჯაფარიას იტყვიან. ისინი მოსახლეობდნენ კიწიაში (მარტვილის რ.), სადაც მათს ყოფილ საცხოვრისს ეწოდება ლეანჯაფარიე//საანჯაფარიო.

ცხადია, გვარსახელებში -ძე და -შვილ დაბოლოებებს ერთგვარი სოციალურ-ფსიქოლოგიური დატვირთვაც ჰქონდა. ლეჩხუმელი (კერძოდ, ოყურეშელი) ყურაშვილების შთამომავლები ამჟამად ჯოლევი (სენაკის რ.) მოსახლეობენ. მათს უბანს ეწოდება

ეყურეუე//ეყურასქუე. ინფორმატორი განმარტავს: „გლეხები იწე-რებოდნენ ყურაჟად, ხოლო სამღვდელონი – ყურაშვილად. ახლა ყველანი ყურაშვილობას ამჯობინებენ“. საგულისხმოა გვარ დიდისთან დაკავშირებული ვითარება: ამჟამად საქართველოში 214 სული დიდია ცხოვრობს, ოღონდ ძირითადად სამტ-რედიის რ-ნსა და ბათუმში. სამეგრელოში კი ამ გვარის მხოლოდ ერთი კომლი აღმოჩნდა (აბაშის რ.). და ეს მაშინ, როცა დიდია უწინ საკმაოდ გავრცელებული გვარი ყოფილა: XVI-XVII სს. საეკლესიო საბუთების მიხედვით, სამურზაყანოს სოფლებში – ნაჟანეულსა (დღევანდელი ოტობაია) და ხოირში (დღევანდელი ოხურეი) – რამდენიმე კომლი დიდია არის დაფიქსირებული. მოიდანახეში (ჩხო-როწყუს რ.) ბორცვს, სადაც დიდებს უცხოვრიათ, ეწოდება ნა(დ)იდუ. როგორც ჩანს, სამეგრელოში ამ გვარის დაბოლოება შეიცვალა და ამჟამად ზუგდიდის რაიონის სოფლებში (ცაიში, ოქტომბერი, ურთა, ოდიში) რამდენიმე ათეული დიდიშვილი მოსახლეობს. მათს უბანს ს. ურთაში ეწოდება სადიდიშვილო.

2. -ძე და -შვილ მორფემოდებზე დაბოლოებული გვარსახელები უშუალოდ (მეორეული სუფიქსაციის გარეშე) არიან წარმოქმნილნი მეგრულ გარემოცვაში. ერთ-ერთი ასეთი გვარია გ უ გ უ შ ვ ი ლ ი, რომლის ძირითადი სამკვიდროა აბაშის რ-ნის სოფლები – სუჯუნა, ძველი აბაშა, საკუთრივ აბაშა, ნაესაკაო, კეთილარი... საგვარეულო გადმოცემა ასეთია: „სამურზაყანოდან გამოქცეული ლომიკია ზვამბაია ჭყონდარს სუჯუნაში დაუსახლე-ბია (მის ნასახლარს ამჟამად ლომნობორი ეწოდება). მის შვილს ერქვა გუგუ. გუგუშვილები მისი შთამომავლები ვართ“. გარშემო სოფლის მცხოვრებნი ამ გვარს გუგუსკუად მოიხსენიებენ და მათს უბანს საგუგუსკუს უწოდებენ. აქვე დავასახელებთ რამდენიმე გვარს, რომელნიც მთლიანად (ან თითქმის მთლიანად) არიან განსახლებულნი სამეგრელოში: ამანაძე – 38 სული (აბაშის, მარტ-ვილისა და ხობის რ.), ბაკარაძე – 129 სული და ბაკარანძე – 382 სული (გალის რ.), ბაღიშვილი – 783 სული (მარტვილისა და ზუ-გდიდის რ.) და ბაღუშვილი – 125 სული (სენაკისა და აბაშის რ.) და მრ. სხვ.

საქართველოს სხვადასხვა კუთხეში გვარსახელებს ხშირად ერთი და იგივე ამოსავალი ფუძეები მოეპოვებათ და მხოლოდ დაბოლოებებით განსხვავდებიან. მაგალითად, გოგინა-საგან მომდინარეობენ: გოგინავა – 1016 სული (სამეგრელო), გოგინაძე – 20

სული (იმერეთი), გოგინაშვილი – 2608 სული (ძირითადად ქართლ-კახეთი); **გოგოლა** უდევს საფუძვლად გვარებს: გოგოლავა – 28 სული (სამეგრელო), გოგოლაური – 1026 სული (აღმ. საქართველო), გოგოლაშვილი – 1675 სული (იმერეთი, კახეთი), გოგოლაძე – 9791 სული (ქართლ-კახეთი); **გელა**-საგან მომდინარეობენ გვარსახელები: გელავა, გელაძე, გელაშვილი, გელოვანი... ასეთ შემთხვევებში ორი ვარაუდის დაშვებაა შესაძლებელი: ა) გვარსახელები წარმოიქმნენ ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად ერთი და იმავე პირსახელისაგან; ბ) გვარი მიგრირებულია და ახალ რეგიონში შესაბამისი დაბოლოება მიუღია. თითოეული კონკრეტული შემთხვევისათვის გასათვალისწინებელია ამოსავალი ფუძის სემანტიკა, საისტორიო წყაროების მონაცემები, გადმოცემები გვარსახელის უწინდელი საცხოვრისისა და სალოცავების შესახებ, დაბოლოს, ერთგვარად მრავალრიცხოვნებაც (ჩვეულებრივ, „მშობლიურ“ რეგიონში გვარი უფრო მრავალრიცხოვანია და კომპაქტურად დასახლებულიც). ფონეტიკურ ცვლილებათა მიმართულების გათვალისწინებაც იძლევა გარკვეულ სურათს: გურული იმედაიშვილი (145 სული) სამეგრელოში მიგრირებულია იმდღეშვილის ფორმით (43 სული. ძირითადად სენაკის რ-ნში, რომელიც ესაზღვრება სამტრედიისა და აბაშის რ-ნებს). ნაწილობრივი რეგრესული ასიმილაცია აი→ეი მომხდარა ქვემოიმერულში („ქვემო-იმერულში უპირატესობა ასიმილირებულ ფორმებს ენიჭება“ (ჯორბენაძე, 1989, გვ. 449), ხოლო ე ხმოვნის სინკოპე მეგრულში იშვიათი არაა. მაშასადამე: იმედაიშვილი (გურული)→ იმდღეშვილი (იმერული) → იმდღეშვილი (მეგრული).

ახალ რეგიონში მიგრირებული გვარი შეიძლება გამრავლდეს და ვარიანტებიც გაიჩინოს. სამეგრელოში მრავალი საამისო შემთხვევა დაფაფქსირეთ. მოგვყავს ერთი მაგალითი: ბუსკანაძე – 34 სული (ძირითადად მარტვილის რ.), ბუსკანაძე – 7 კომლი (ხობი), ბუსკაძე – 113 სული (ძირითადად სენაკის რ.), ბუსქანაძე – 58 სული და ბუსქანძე – 22 სული (ძირითადად ზუგდიდის რ.). ეს უკანასკნელნი ქმნიან უბან საბუსქანძოს (საკვიკვინიო, ხობის რ.). ერთ-ერთი ბუსქანძე გადმოგვცემს: „ჩვენი წინაპრები იმერეთიდან გადმოსულან ჯერ მოხაშში და მერე აქ დამკვიდრებულან“. იმერეთში ამჟამად ბუსქანძეები არც ჩანან. „გვარ-სახელები საქართველოში“ გვამცნობს, რომ სამტრედიის რ-ნში დაფიქსირე-

ბულია 22 სული ბუსკაძე. როგორც ჩანს, ბუსკაძე ძირითადი და თავდაპირველი ვარიანტია. მოხაშში ამჟამად მართლაც მოსახლეობს 7 კომლი ბუსკანძე და მათს უბანს ეწოდება ლებუსკანძე. იქიდან ხობის რ-ნში მიგრირებულნი უკვე ბუსკანძეებად იწერებიან.

-ყვა, -ტი დაბოლოებანი, ინფიქსი -ხ

გურიის ანთროპონიმიში გამოვლენილ -ყვა, -ქვა დაბოლოებებს მკვლევართა ერთი ნაწილი ოდინდელ ჩერქეზულ-ადიღეურ ელემენტებად თვლის. პ. ინგოროყვას მიერ ჩაწერილი გამმოცემის თანახმად, XVIII ს. დამდეგს ერთმორწმუნე თურქეთისაკენ მიმავალი რამდენიმე ჩერქეზული ოჯახი გურიაში დარჩენილა და გაქართველებულა. მამასადამე, -ყვა, -ქვა ქართული სინამდვილისათვის სუპერსტრატული მოვლენაა. მაგრამ არც ისაა გამორიცხული, ჩრდილოკავკასიური ენებიდან ნასესხებ -ყუ და -ქუ დაბოლოებიან საკუთარ სახელებს დართოდა კოლხური საგვარსახელო სუფიქსი -ა და მიგველო გვარები: ინგოროყვა (←ინგო-როყუ-ა), როყვა (← როყუ-ა), ღელეყვა (← ღელეყუ-ა), ჭანუყვაძე (← ჭანუყუ-ა-ძე), სალუქვაძე (←სალუქუ-ა-ძე) და სხვ. მაგრამ ბ. ცხადაძის აზრით, -ყვა ბოლოსართი -ვა სუფიქსის ფონეტიკური ვარიანტია: „ყ(//ყ) რამდენიმე გვარსახელში გაჩენილა ხმოვნის დამართვის შედეგად სიტყვის ბოლოში: ინგორო(ვ)ა → ინგოროყ(ვ)ა//ინგოროც(ვ)ა, ართილა(ვ)ა → ართილაყ(ვ)ა //ართილაც(ვ)ა“ (ცხადაძე, 1996, გვ.9). -ყვა-ს წარმოშობა-ფუნქციასთან დაკავშირებით არსებობს სხვა მოსაზრებებიც.

რამდენიმე გურულ გვარში გამოყოფენ -ტი, -ნტი დაბოლოებას, რომელთაც კნინობით-მოფერებითი სახელების მაწარმოებელ სუფიქსად თვლიან (ჭუმბურიძე, 1987, გვ. 229). სამეგრელოში დაფიქსირდა: უღენტი (10 კომლი ტყვირში), დავიანტი - (7 კომლი ზუგდიდში) და სხვ. აღნიშნული ელემენტები აღმოჩნდა ორმაგი სუფიქსაციის მქონე მეგრულ გვარსახელებშიც: მირგატია, გელანტია, ციმინტია, ხუბუტია, გეგუტია... ჩვენი აზრით, ამ გვარებში უნდა გამოიყოს კნინობით-მოფერებითი სახელების მაწარმოებელი სუფიქსები -ატ//-ანტ, იტ//ინტ, -უტ, რომელთაც დართული აქვთ (სახ. ბრუნვის ნიშნის შემდეგ) საგვარსახელო სუფიქსი -ა. მკვლევრები ზოგ კოლხურ გვარსახელში (კობა-

ხია//კობახიძე, სხულუხია, პერტახია, გოგოხია, კუჭუხიძე, ლაბახუა და სხვ) გამოყოფენ ხ ინფიქსს და უკავშირებენ მას კოლხი, ტაოხი, მესხი, ჯავახი ეთნონიმებში გამოყოფილ მრავლობითი რიცხვისა და ტომის სახელწოდებათა მაწარმოებელ -ხ სუფიქსს (როგავა, 1955, გვ. 8; ჭუმბურიძე, 1987, გვ. 299).

სასუბიექტო მიმღეობის იშვიათი ფორმები კოლხურ გვარსახელებში

ი. ყიფშიძე აღნიშნავს, რომ მეგრულში მოქმედებითი გვარის მიმღეობა, გარდა მა- პრეფიქსისა, იწარმოება აორისტის პირველი-მეორე პირისა და საწყისის ფორმებით: **გორგ** „მძებნელი“, **თასუუ** „მთესველი“, **ჩუ** „მცველი“ (რთულ სიტყვაში: ტყაჩუ „ტყისმცველი“), **კორობი** „შემკრები“, **დგმუუ/დგუმუ** „მდგმელი“, **ცოთამგ** „მტყორცველი“, „მსროლელი“. ჩვენი აზრით, ყველა დასახელებულ შემთხვევაში დაკარგულია თავკიდური მ, რომელიც, როგორც ჩანს, მა- პრეფიქსის პარალელურად ზოგი ფუძისაგან აწარმოებდა სასუბიექტო მიმღეობის ფორმებს. ჩვენი მოსაზრება ასეთია: ჭკომუ ← მ-ჭკომ-უ „მჭამელი“ (რთულ სახელში: ფერჭკომუ „ფერისმჭამელი“), ჭკომური ← მ-ჭკომ-ური-ი „კიბო. ავთვისებიანი სიმსივნე“, ჭუ ← მ-ჭუ „მწველი“ (თოჭუ თვალის ავადმყოფობაა ერთგვარი), შქვილუ ← მ-შქვილ-უ „მხრ-ჩობი. მახრჩობელა“ და სხვ. მრ. პრეფიქსდაკარგული სასუბიექტო მიმღეობა პიროვნების მეტსახელად ან ზედწოდებად, ხოლო შემდგომ გვარის ფუძედ ქცეულა. მაგალითად: **ჭკადუა** „ჭედვა“ → მ-ჭკად-უ → **ჭკადუ** „მჭედელი“ → ჭკადუ (ზედწოდება) → **ჭკადუა** (გვარსახელი ჭკადუ-ს შთამომავლებისათვის), **ჩიჩუა** „ჩინჩვლა“ → მ-ჩიჩ-უ → **ჩიჩუ** (მოარშიყე, მექალთანე კაცის მეტსახელი) → **ჩიჩუა** (გვარსახელი); **ყურშუა** „ხარბად სმა“ (შდრ. ქართული ყურსვა) → მ-ყურშ-უ → **ყურშუ** (ღვინის მსმელი კაცის ეპითეტი) → **ყურშუა** (მცირერიცხოვანი გვარი ზუგდიდის რ-ნში), **ყურწუა** „ყლურწვა“ → მ-ყურწ-უ → **ყურწუ** „მყლურწვაი“ (ღვინის მოყვარულის მეტსახელი) → **ყურწუა** (იშვიათი გვარია ზუგდიდის რ-ნში), **ჯგვიშუა** „მუჭლუგუნის კვრა“ → მ-ჯგვიშ-ი → **ჯგვიში**//**ჯგუში** (მოჩხუბარი, შარიანი კაცის მეტსახელი) → **ჯგუშია** (მცირერიცხოვანი გვარი ზუგდიდის რ-ნში. არასაპასპორტო ვარიანტი: ჯგვიშია). ამ გვარებს აწარმოებს -ა სუფიქსი.

თავი მეოთხე

ზოონომთა მოტივირებისა და სტრუქტურის ძირითადი საკითხები

§1. **მოტივირება.** წარმოშობის მომენტში ნებისმიერი საკუთარი სახელი **მოტივირებულია**, რაც იმას ნიშნავს, რომ აღმნიშვნელი (ონომა) თავისი შინაარსით შეეფერებოდა აღსანიშნს (დენოტატს, ანუ სახელსადებ ობიექტს). საერთოდ, საკუთარი სახელთა მკაცრი მოტივირებულობის თეორია სათავეს იღებს ბერძნული ფილოსოფიიდან. ცნობილი თანამედროვე ონომატოლოგებიც აღნიშნავენ: „არ არსებობს საკუთარი სახელი მოტივაციის გარეშე“ (ნიკონოვი, 1974, გვ.95), „არც ერთი სახელი არ წარმოიქმნება ისე, უბრალოდ“ (სუპერანსკაია, 1973, გვ.326). უმოტივაციო (რაიმე მიზეზის გარეშე დარქმეული) საკუთარი სახელი არ მოიპოვება. იგულისხმება არა მხოლოდ და მხოლოდ რეალური მოტივირება, არამედ პირობითიც. ყოველი კონკრეტული შემთხვევისათვის ტრადიციული საკუთარი სახელიც მოტივირებულია, ე.ი. ამორჩეულია გარკვეული მოტივით, პირობით. საერთოდ, როგორც წესი, **პირსახელები პირობითადაა მოტივირებული, ხოლო ზოონიმთა ძირითადი ნაწილი – რეალურად, ანუ შინაარსით.**

რუსი ონომატოლოგის ვ. ნიკონოვის მიერ ნათქვამი „თითქმის არაფერი მოგვეპოვება კავკასიის ზოონიმიაზე“ (ნიკონოვი, 1980, გვ.184) ქართველურ ზოონიმისაც შეეხებოდა. სამწუხაროდ, ქართველური ზოონიმის აღნუსხვის, სათანადო მასალის პუბლიკაციისა და მეცნიერული კვლევის საქმე ამის შემდეგაც დიდად არ წასულა წინ. ტოპონიმისა და ანთროპონიმის მასალებთან ერთად ვიწერდით ცხოველ-ფრინველთა სახელებსაც. მხოლოდ მარტვილის რაიონში აღინუსხა თითქმის 1800-მდე ზოონიმი (იხ. ჩვენი: კოლხური ზოონიმის მასალები: ონომასტიკა, I, თბ., 1987. გვ. 426-475), მათგან ძროხის სახელია – 608, ხარისა – 300, კამეჩისა – 47, ცხენისა – 193, თხისა – 228, ღორისა – 37,

ქათმისა – 32, ძაღლისა – 367, კატისა – 5. ყველაზე გავრცელებული სახელებია: **ძროხისათვის:** ფუჯა, ფუჯია, ფუჯიე (სიხშირე: 28), ლამაზა, ლამაზია, ლამაზო (24), წიქარა, წიქარე (20), ირემა, ირემია (15), ჭარამე (14), ჭითაშია (15), აფანია (11), მერიშე (11), ფაჩია (11) და სხვ. **ხარისათვის:** ჯორა, ჯორე, ჯორია (30), ღვინა, ღვინე, ღვინია (29), ლომა (15), შანგუ (13), კაბე, კამბო, კაბელა (12), ჯოტი, ჯოტია, ჯოტო (12) და სხვ. **ცხენისათვის:** კუკუ, კუკური (18), არაბია (11), ალია (11), ვასკა, ვასქა (10), ლურჯა (9) და სხვ. **ძაღლისათვის:** თუნთია (15), გიშერა (12), ბათურა (10), შარიკი (9) და სხვ.

რომელი სახეობის ცხოველ-ფრინველს ერქმევა სახელი და რა ასაკში? რა ფუნქცია აკისრია ამ სახელს?

მართალია, „საკუთარი სახელის ზოგადი თეორიის“ ავტორი აღნიშნავს, რომ მასობრივად გავრცელებულ ცხოველებს – ცხვარს, ღორს და შინაურ ფრინველს, ჩვეულებრივ, არ მოეპოვებათ საკუთარი სახელი (სუპერანსკაია, 1973, გვ.179), მაგრამ სხვადასხვა ხალხის ზოონიმიის შესწავლამ შემდეგი ფაქტები წარმოაჩინა: ავარიულ (ხუნძურ) ენაში კატას (რომელიც, ჩვეულებრივ, ერთი ჰყავთ ოჯახში) და ცხვარს (რომელიც ბევრია ფარაში) არ არქმევენ სახელს (მიქაილოვი, 1980, გვ.163); აზერბაიჯანელები კი სახელს არქმევენ ცხვარსაც, კატასაც და ქათამსაც (გაჯიევი, 1980, გვ. 161); ყაზახებს, რომლებიც ადრე მომთაბარე ცხოვრებას ეწეოდნენ, კატა არ უყვართ და არც რამეს უწოდებენ (ბურახანოვი, 1971, გვ.304); უდმურტეთში ფიქსირებულია ცხენის, ხარის, ძროხის, თხის, ცხვრის, ძაღლის, კატის, ქათმისა და იხვის სახელები (არხიპოვი, ივანოვი, 1971, გვ. 306).

სამეგრელოში საკუთარი სახელი ერქმევა **ყოველგვარ შინაურ ცხოველ-ფრინველს** – ძროხას, ხარს, კამეჩს, ცხენს, თხას, ძაღლს, იშვიათად, – ცხვარს, ღორს, ქათამს. ბევრი რამაა დამოკიდებული ტრადიციებზე. ზოგ ოჯახში მხოლოდ მოსახმობი შორისდებულებით კმაყოფილდებიან (მით უმეტეს, თუ ოჯახში თითო ძროხა, ხარი, ცხენი... ჰყავთ), ხოლო გამოსარჩევად (თუ ეს საჭიროა) მიმართავენ აღწერის ხერხს.

ზოონიმი ორგვარია: **გამოსარჩევი და მოსახმობი.** სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ გამოსარჩევი ზოონიმი ტიპურია საზოგადოებრივი მეურნეობისათვის, ხოლო მოსახმობი – ინდივიდუალურისათვის. თვითონ ცხოველსა თუ ფრინველს სახელი არ სჭირდება, მაგრამ ადამიანი საჭიროებს,

გამოარჩიოს და მოუხმოს თავის ძროხას, ხარს, ცხენს... ზოონიმური ნომინაციის მიზეზიც და მიზანიც სწორედ ესაა. **საბაბად კი იქცევა დენოტატის რაიმე გარეგნული ნიშან-თვისება ან შინაგანი ღირსება თუ ნაკლი, ან სხვა გაუთვალისწინებელი გარემოება.** ცხოველს სახელი ძირითადად ერქმევა მოზარდობის პერიოდში. უფრო ადრე (ვთქვათ, დაბადებისას) დარქმეული სახელი შეიძლება დროთა განმავლობაში „შეუფერებელი“ აღმოჩნდეს და საჭირო გახდეს გადარქმევა ახალ გარემოებათა გამო. ხანდაზმული ინფორმატორი მ.წ. (სოფ. სკურდი) მეოთხედი საუკუნის წინათ იხსენებდა: „ოჯახში ერთი გამხდარი, გაქუცული ხბო გვეყავდა. სახელიც შესაფერისი ვუწოდეთ - **ძაღუია**. რომ გაიზარდა, გასუქდა, ტანთ აიყარა და, რადგანაც წითელი ფერისა იყო, **შვინდა** დავარქვით“.

მოსალოდნელია, კოლხური ზოონიმის გამოწვლილვითმა ანალიზმა ბევრი ისეთი ფაქტი გამოავლინოს, რაც საინტერესო იქნება ქართველური ენების მკვლევართათვის. ამჯერად კი მოტივირებისა და ზოონიმური სიტყვაწარმოების ზოგი საკითხის გარკვევით დავკმაყოფილდებით. კოლხური ზოონიმი, როგორც წესი, მოტივირებულია (თუმცა იშვიათად სახელდამრქმევიც კი ვერ ხსნის მაინცდამაინც ამ სახელის დარქმევის მიზეზს). მოტივირება უმრავლეს შემთხვევაში რეალურია, ე.ი. **ზოონიმი საკუთარი სახელიცაა და იმავე დროს შეიცავს გარკვეულ ინფორმაციასაც დენოტატის რაიმე ნიშან-თვისებაზე, ან გამოხატავს სახელმდებლის სუბიექტურ-ემოციურ მიმართებას, ან აღნიშნავს დენოტატთან დაკავშირებულ რაიმე კონკრეტულ შემთხვევას.**

როგორც ცნობილია, ეტიმოლოგიის დასადგენად არაა საკმარისი აპლატივის მიკვლევა და მისი სალექსიკონო მნიშვნელობის დადგენა, არამედ, ამასთანავე ერთად, საჭიროა აგრეთვე გამომჟღავნება იმ კონკრეტული შემთხვევისა და მისგან გამომდინარე ასოციაციისა, რომელმაც ბიძგი მისცა ზოონიმის წარმოქმნას. იშვიათი არაა ისეთი შემთხვევაც, როცა სეხნია ზოონიმებიც კი მოტივირების თვალსაზრისით სხვადასხვანაირი წარმომავლობისანი არიან. მოვიყვანთ ერთ მაგალითს: **ძეგვერია** ნიშნავს: „ჩია ტანისა, უშნო შესახედავი და თმააჩეჩილი“. მაგრამ ერთგან ამ სიტყვის მოკლე ფორმა **ძეგვე** დაურქმევიათ თმააბურძგნული და ჩია, გამხდარი ქათმისათვის (ინფ.: „ზღარბივით ქათამია, ბუმბული 280

ქაცვივით აქვს“). სხვაგან იგივე სახელი ხარისთვის დაურქმევიათ სულ სხვა მიზეზით. ხარის პატრონი განმარტავს: „ძეგვე კაცს ერქვა სალხინოში. „შიშტი“ ვინმე იყო, ჩქარი, ჩხუბისა და აყალმაყალის ამტეხი, ჭკუას ვერ მოჰკითხავდი, არავის უყვარდა. იმას მივამსგავსე ეს ხარი, მასავით **უსვენარია**, ამიტომ სახელიც მისი ვუწოდე“. პირველ შემთხვევაში სახელი მოტივირებულია აპელატივის სალექსიკონო მნიშვნელობით (მინიშნებულია დენოტატის გარეგნულ ნიშან-თვისებაზე), ხოლო მეორე შემთხვევაში სახელდების მიზეზია სხვა ობიექტთან მიმსგავსება ქცევა-მოქმედების მიხედვით (მეტაფორიზაცია) და, ამასთანავე, არაკეთილგანწყობის (სუბიექტურ-ემოციური დამოკიდებულების) გამოხატვაც. უმოტივაციო ზოონიმი არ არსებობს, ოღონდ ზოონიმის წარმომავლობა-მოტივირება შეიძლება იყოს მეტი ან ნაკლები ხარისხით გაბუნდოვანებული და, ამის შესაბამისად, ეტიმოლოგიის დასადგენად საჭირო იყოს ჩადრმავებული კვლევა-ძიება.

სამეცნიერო ლიტერატურაში ზოონიმთა კლასიფიკაციის განსხვავებული სქემები და მოდელები არსებობს (იხ. ბაიროვა, 1975; მოკიენკო, ფონიკოვა, 1976). ჩვენ ვიზიარებთ იმ თვალსაზრისს, რომ ზოონიმთა მოტივირება ბოლოსდაბოლოს მხოლოდ ორგვარია: **რეალური** და **პირობითი**. პირობითი მოტივირებისას, როგორც უკვე აღინიშნა, ხდება მზა საკუთარი სახელის **არჩევა-მიკუთვნება**, ხოლო რეალური მოტივირებისას ხდება ახალი, სწორედ ამ ობიექტისათვის შესაფერისი და სპეციალური სახელის **შექმნა, რომელსაც ერთდროულად ორმაგი ფუნქცია აკისრია: საკუთარ სახელსაც წარმოადგენს და სახელდებული ობიექტის დახასიათებასაც შეიცავს**.

რეალური მოტივირება. ზოონიმი, თავის მხრივ, ორგვარია: ვიწროლექსიკური (ვიწროსემანტიკური) მნიშვნელობით მოტივირებული და ფართოლექსიკური (ფართოსემანტიკური) მნიშვნელობით მოტივირებული.

ვიწროსემანტიკური მოტივირება. ვიწროლექსიკური მნიშვნელობით მოტივირებისას საკუთარი სახელის სემანტიკური რაობა ადვილად ამოსაცნობია: ზოონიმი, ჩვეულებრივ, **თვითონვე** მიგვანიშნებს, თუ რომელი სახეობის ცხოველის სახელია იგი. ენაში (დიალექტში), ჩვეულებრივ, მოიპოვება ამგვარი სპეციალური სიტყვები – ზოონომენები (ზოოტერმინებსაც უწოდებენ), რომლებიც შეიცავენ ცხოველთა კონკრეტული სახეობის

დახასიათებას მხოლოდ ჭიშის, ასაკის ან ფერის თავისებურების მიხედვით. თითოეული ამგვარი ნომენი უკვე გამოარჩევს აღსანიშნს და ამიტომაც ადვილად და ბუნებრივად იქცევა მისსავე საკუთარ სახელად. ონიმიზაციის პროცესში აპელატივის მნიშვნელობა კიდევ უფრო ვიწროვდება (მხოლოდ ერთი ობიექტის აღმნიშვნელი ხდება), რასაც შეიძლება ეწოდოს სემანტიკური რედუქცია. აპელატივის ვიწროლექსიკური მნიშვნელობით არის მოტივირებული ზოონიმები: **სალარა** – შუბლთეთრი ცხენი, **ალია** – წითელი ფერის ცხენი; **არაბია** – შავფერა ჭიშიანი ცხენი; **აფანია** – შუბლთეთრა ძროხა; **შანგუე** – შავი ფერის ხარა; **ჯოტია** – პირთეთრა და ფართოსახიანი ხარი; **ჯაკია** (ბ.-მ. თქმა) „დეკეული“ და სხვ.

ფართოსემანტიკური მოტივირება. ფართო ლექსიკური მნიშვნელობის მქონე სიტყვით მოტივირებისას ერთი და იგივე აპელატივი შეიძლება საკუთარ სახელად მიესადაგოს სხვადასხვა ჭიშისა თუ ასაკის ცხოველს. მაგალითად, **პუხა** „კუზიანი“ და **პირჩე** „პირთეთრი“ პრაქტიკულად შესაძლებელია მიემართებოდეს ცხენსაც, ძროხასაც, ხარსაც, კამეჩსაც, თხასაც... ობიექტის ინდივიდუალიზაციის (სიმრავლიდან ერთის გამოცალკევების) საჭიროება არის მიზეზიც და მიზანიც საკუთარი სახელის წარმოქმნისა, მაგრამ საჭიროა აგრეთვე გარკვეული ფსიქიკური ასოციაცია, რომელმაც ინდივიდსა თუ ადამიანთა ჯგუფს ბიძგი უნდა მისცეს ამ ასოციაციის შესაბამისი ლექსიკურ-სემანტიკური ერთეულის შერჩევისათვის, რაც შეიძლება აღძრას აღსანიშნის გარეგნობის აღწერამ ან სხვა საგანთან მიმსგავსებამ, სახელმძღვანის ექსპრესიულმა მიმართებამ (განწყობამ) აღსანიშნისადმი ან მასთან დაკავშირებულმა რაიმე შემთხვევამ. აქედან გამომდინარე, ფართოლექსიკური მნიშვნელობით მოტივირებულ ზოონიმთა ოთხი ჯგუფი გამოიყოფა: აღწერიითი, მეტაფორულნი, მიმართებითი და ოკაზიურნი.

ა) **აღწერიითი:** სახელდების მოტივად დენოტატის გარეგნული ფიზიკური თუ შინაგანი ნიშან-თვისებების, ქცევისა და სიარულის მანერის აღნიშვნა ფართოდ გავრცელებული მეთოდია სამეგრელოში ცხოველ-ფრინველთა სახელდებისას. ნიმუშები: **ჩე/ჩელა** „თეთრი“ (ფიქსირებულია ძროხის, ხარის, ცხენის, თხის სახელად); **უჩანა** „შავანა“ (ძროხა, კამეჩი, ცხენი, თხა); **ცარქა** „ცალრქიანი“ (ძროხა); **კულა** „უკულო. კულმოკლე“ (ხარი, კამეჩი);

ღვაშქირუა „ლოყანაცრისფერი“ (თხა); **ქატკუბა** „რქებშეტყუბებული“ (თხა, ცხვარი); **ფრიმულამი** „წვერებიანი“ (ქათამი); **კვიზა** (ცხენი) – კვიზალი „ამაყი, გულმოსული“, **ფაცურა** (ცხენი) „სწრაფად და ფიცხად მოსიარულე“; **კვაკვალა** (ძაღლი) „წკაპვკავა. წვრილი ხმით მყეფარი“ და სხვ. როგორც მოყვანილი მაგალითებიდან ჩანს, აღწერით ზოონიმთა ერთი ნაწილი სინეკდოხური წარმომავლობისაა (ნაწილის აღმნიშვნელ სიტყვას დაკისრებული აქვს მთელი საგნის აღნიშვნის ფუნქცია).

ბ) **მეტაფორულნი**: სხვა ობიექტთან გარეგნული თუ შინაგანი ნიშან-თვისებების მიხედვით მიმსგავსების (მეტაფორიზაციის) შედეგად ზოონიმებად იქცნენ ცხოველების, მცენარეთა და მეტალის აღმნიშვნელი საზოგადო სახელები, აგრეთვე ანთროპონიმები: **ირემა** (ძროხა, ხარი, თხა: ირემივით რქებგაშლილნი და მალაღნი იყვნენ); **ზესქვია** (თხა) ← ზესქვი „შაშვი“ (შაშვისფერი იყო); **ერცქემია** (თხა) ← ერცქემი „არჩვი“ (არჩვისფერი იყო); **ვირიკა** (ძროხა: ვირივით ჯიუტი და უხეში იყო); **მუნჩქვია** (ღორი) ← მუნჩქვი „მაჩვი“ (მაჩვივით თხრიდა და ჩიჩქნიდა მიწას); **ოქრო** (ძროხა) – ლამაზი იყო და კარგადაც იწველიდა; **კოჩა** (ღორი) ← კოჩი „კაცი“ (კაცივით მშვიდი და ჭკვიანი იყო); **ანუსია** (ქათამი) – ანუსია თურმე ერთ ჩია და ულაზათო ქალს ერქვა. ქათამიც მას მიაღმსგავსეს.

გ) **მიმართებითნი**. ზოონიმთა ერთი ნაწილის მოტივაციას უშუალო კავშირი არა აქვს აღსანიშნთან, რადგანაც სახელმდებელი გამოხატავს თავის ექსპრესიულ-ემოციურ დამოკიდებულებას, გამოთქვამს სასიკეთო სურვილს ცხოველ-ფრინველისა და საკუთარი თავის მიმართ. არაა გამორიცხული, რომ აქ გვეკონდეს გადმონაშთი იმ ტრადიციისა, როცა ადამიანი სახელს მაგიურ დანიშნულებას ანიჭებდა (ე.წ. სახელთა მისტიფიკაცია). ზოონიმთა წარმოქმნის ეს მოტივი ნაკლებპროდუქტიულია კოლხურში: **ოშია** (ძროხა) ← ოში „ასი“ (რესპ.: „იმიტომ დაერქვა, რომ გამრავლდეს, ასად იქცეს“); **იმრავლია** (ძროხა) ← იმრავლი „იმრავლე“ (რათა გამრავლდეს); **ჭოფია** (მონადირე ძაღლი) ← ჭოფი „დაიჭირე“ (რათა ნადირი დაიჭიროს); **აჩი** (ძაღლი) „უკბინე“; **ქუგინი** (ძაღლი) „გაუფე. იგრძენი“ (რათა ქურდი არ გამოეპაროს) და სხვ.

დ) **ოკაზიურნი**. ოკაზიურია ზოონიმი, რომლის წარმოქმნის მოტივი არის ცხოველთან დაკავშირებული რაიმე კონკრეტული

შემთხვევა, დაბადების დრო ან ადგილი, დანიშნულება და სხვ. (ლათ. ოკაზიო „შემთხვევა“): **სორდია** (თხა) ← სო რდი „სად იყავი?“ (რესპ .: „თხა დაიკარგა და იპოვეს“); **ვალურია** (თხა) ← ვალური „არ მოკვდი“ (რესპ .: „ავად იყო და გადაარჩა“); **ვადინა** (კამეჩი) „არ დაიკარგო“ („ზაქობისას დაიკარგა და იპოვეს“); **ობოლა** (ძროხა: „ობლად გაიზარდა“); **კვირია** (ძროხა) – კვირას დაიბადა; **ტყაიმაფა** (ძროხა) „ტყის დედოფალი“ (ტყეში დაიბადა); **ოლიმპიადა** (ძალი) – „ოლიმპიადა-80“-ის გახსნის დღეს დაიბადა; **ქისა** (ღორი) ← ქისე „შობა“ (შობას უნდა დაეკლათ) და სხვ.

როგორც ზემოთ წარმოდგენილი მსჯელობიდან და მასალიდან ჩანს, ფართოლექსიკური მნიშვნელობის მქონე ლექსემების ონიმური შესაძლებლობანი შეუზღუდავია, ხოლო ვიწროლექსიკური მნიშვნელობის მქონე ლექსემებისა – მკაფიოდ შეზღუდული.

პირობითი მოტივაცია. ევროპის მრავალ ქვეყანაში შემუშავებული აქვთ სტაბილიზებული, მზამზარეული ზოონიმები (განსაკუთრებით, ცხენებისა და ძაღლებისათვის), რომელთაგან სახელმძღვანელო ამოარჩევს ერთ-ერთს რაიმე ნიშნის მიხედვით (ემოციური იერი, კეთილშოვნება, სისხარტე, მოდა, პოპულარობა). ასეთი ტრადიციული ზოონიმები კოლხურს არ მოეპოვება, მაგრამ ტრადიციულთან ახლოს დგას ზოგი ზოონიმი, მათ შორის, განსაკუთრებით, კინონიმი (ძაღლის საკუთარი სახელი) და ჰიპონიმი (ცხენის სახელი), მაგალითად: **ბოთურია**, **ბოთია** რესპ.: „ყველანაირ ძაღლს არქმევენ“), **კაზბეგი** (რესპ.: „ძაღლს არქმევენ და მეც დავარქვი“), **მარჯანა** („მონადირე ძაღლის სახელად გამიგონია“), **შარიკი** (ძაღლი) – „ისე დავარქვით, არ შეეფერება“ (რესპ.). **ვასია** (რესპ .: „ხშირია ღორის სახელად და მეც დავარქვი“, **კოლია** (რესპ.: „ცხენს არქმევენ, რომ სახელი ჰქონდეს“), **მიშკა** (რესპ.: „წინაპრებისაგან გამიგონია ცხენის სახელად“), **ქარია** (რესპ.: „ძაღლის ტრადიციული სახელია ჩვენს ოჯახში“ და ა.შ.

პირობითი მოტივაციად ვთვლით ისეთ მეტონიმისაც, როცა ცხოველისა თუ ფრინველისათვის **გადმოაქვთ** სხვა მსგავსი თუ არამსგავსი ობიექტის საკუთარი სახელი. ამ თანრიგშიც რამდენიმე ჯგუფი გამოვყავით: ა) ლიტერატურული ნაწარმოებიდან თუ კინოფილმიდან გადმოტანილი: **ბასარა** (მეორეკლასელმა ბავშვმა გაიარა პროგრამით გათვალისწინებული მოთხრობა – ი. ევლო-

შვილის „ჭკვიანი ბასარა“ და იმ პერიოდში დაბადებულ ლეკვსაც ბასარა უწოდა), **გულკანა** (გაზეთში წაიკითხა წერილი გულკანაზე – რეკორდსმენ ძროხაზე და თავის ხბოსაც ეს სახელი უწოდა), **ბუიანი** (ცხენი) „კინოს ვუყურე და იქ ერქვა ცხენს“ (რესპ.) და სხვ. ბ) მშობლის ან გამყიდველის სახელის მექანიკური გადატანით წარმოქმნილი: **ქუზუ** (ხარი) – ერქვა დედა ძროხას; **შონია** (თხა) – გამყიდველის გვარია; **ჩაჩანი** (ცხენი) – ბომასაგან უყიდიათ (ჩაჩანი „ბომა“), **შათა** (ქათამი) – „შამათავას გამოართვეს და შათა უწოდეს. ხუთი წელი ჰყავდათ“, **კატია** (ძროხა) – „სენაკში მცხოვრები რუსი უწოდებდა თავის ძროხას“ (რესპ.) და სხვ. გ) ტრანსლანიმირებულნი: ცხოველ-ფრინველთა საკუთარ სახელებად ხშირია ანთროპონიმები, ტოპონიმები, კოსმონიმები. ქართულში ამგვარი ზოონიმების წარმოქმნა რუსული ოჯახების გავლენას უნდა მიეწეროს. გარდა ამისა, საბჭოთა პერიოდში კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში რუსეთიდან ჩამოჰყავდათ საქონელი, რომელსაც სახელიც თან მოჰყვებოდა. ამ გზით კოლხთა ოჯახებშიც გაჩნდა ანთროპოზოონიმები: მარინა, როზა, თამარა, ზოია (ძროხის სახელებია), კოლია, კოზმა, მიშა (ცხენის სახელები) და სხვ. ორიოდ შემთხვევაში საკუთრივ კოლხურმა ანთროპონიმაც განიცადა ზოონიმოზაცია (პიპონიმები: გელა, გოგი, მერაბი, ჩაგუ და სხვ.).

რამდენიმე შემთხვევაში დადასტურდა სეხნია ზოონიმი და ანთროპონიმი, ოღონდ აქ საქმე გვაქვს არა ტრანსლანიმოზაციასთან. **კუკური** და **კუჭუჭი** ტრადიციული და, მაშასადამე, პირობითი მოტივაციის მქონე ანთროპონიმებია. მათი რეალური მოტივაცია გაბუნდოვანებულია. ეს სახელები ზოონიმიაშიც გვხვდება და მაშინ ისინი რეალურად არიან მოტივირებულნი: კუკური ერქმევა ცხენს, თუ ის კობტა და ტანმოორჩილია; კუჭუჭიც ტანმომცრო ცხენს ერქმევა, ოღონდ იგი, ამასთან ერთად, შავთმიანი და პატარათავიანი უნდა იყოს. მაშასადამე, მოგვეცა გასაღები კუკურისა და კუჭუჭის, როგორც ანთროპონიმების, თავდაპირველი ლექსიკური შინაარსის დასადგენად. ყოველივე ეს მიგვანიშნებს, რომ **ქართ-ველური ზოონიმის შესწავლამ შესაძლოა შუქი მოჰფინოს რიგი ქართველურივე ანთროპონიმის წარმომავლობასაც.**

მაშასადამე, კოლხურ ზოონიმთა ძირითადი ნაწილი წარმოქმნილია **რეალური მოტივირების** (დენოტატისათვის „შესაფერისი“ სახელის შექმნის) გზით, ხოლო **პირობითი მოტივირება** (მზა სახელის შერჩევა ან გადატანა) იშვიათადაა

გამოყენებული და, აშკარაა, ზოგი სხვა ენის გავლენით იკაფავს გზას. თავის მხრივ, რეალური მოტივირებისათვის გამოიყენება როგორც ვიწროსემანტიკური (შედარებით იშვიათად), ისე ფართოლექსიკური (ძირითადად) მნიშვნელობის მქონე ლექსემები. ამ უკანასკნელ შემთხვევაში ერთი და იგივე ლექსემა შეიძლება იქცეს სხვადასხვა სახეობის ცხოველის სახელად. სათანადო მასალაზე დაკვირვებით გამოიყო ფართო მნიშვნელობის მქონე ლექსემებით მოტივირებულ ზოონიმთა ოთხი ჯგუფი: აღწერითი, მეტაფორულნი, მიმართებითი, ოკაზიურნი.

§2. სტრუქტურა. კოლხური ზოონიმია, როგორც მოსალოდნელი იყო, სამ სტრუქტურულ ჯგუფს ქმნის: მარტივფუძიანი (დაახლოებით 40%), წარმოქმნილი (დაახლოებით 50%) და რთულნი (დაახლოებით 10%). რა თქმა უნდა, ვგულისხმობთ ისეთ შემთხვევებს, როცა ფუძე თუ ფუძეები სემანტიკურად გამჭვირვალეა. **მარტივფუძიანი ზოონიმები** ძირითადად წარმოადგენენ ცხოველ-ფრინველის აღმნიშვნელ ლექსემებს (ნომენებს), როგორცაა: **დულუ** „ურქო თხა“, **კაბო** „ჭრელი (თეთრი და შავი, ან თეთრი და წითელი), **ზებრა** „ზებრისფერი“, **გვიმარა** „გვიმრისფერი“, **ბოჭკა** „რქებგადაჭდობილი“, **ბუსქა** „მკვრივი და ხორციანი“, **ვასკა** „წითელი“, **კოჭო** „კობტა და ტანმცირე“, **ლამფა** „თხელი და გვერდებფართო“, **მერი** „კარგი მეწველი წითელი ძროხა“, **ნუკრი** „ლამაზი და ტანმცირე“, **ოქრო** „კარგი და ლამაზი“, **პეპელა** „შუბლზე პეპლის ფორმის თეთრი ნიშნის მქონე“, **უჩა** „შავი“, **კანჯარი** „შერეული ფერისა“, **მაგანა** „ნამგალი“, **ლაფშა** „დაკოდილი ცხენი“, **ფარშავანგი** „ქარავნის წინამძღოლი ცხენი“, **ზარი** „ზარივით კრიალა ხმის გამო“, არენდო, ივარგე, დეკვირი „დაუკვირდი“ და სხვ.

წარმოქმნილ სახელთა დიდი ნაწილი ნაწარმოებია - ა სუფიქსით, რომელსაც რამდენიმე ფუნქცია უჩანს: ა) **გამოხატავს მსგავსებას** ცოცხალ ან არაცოცხალ საგანთან და, ამასთანავე, **ზოონიმად აქცევს საზოგადო სახელს**: ერცქემი „არჩვი“ → **ერცქემ-ა** (ძროხა, თხა), კალმახი → **კალმახ-ა** (ძროხა), ძიხვი „ჯიხვი“ → **ძიხვი-ა** (ძროხა), არწივი → **არწივ-ა** (ცხენი), ბერწული „ბროწული“ → **ბერწულ-ა** (თხა), ოქრო → **ოქრო-ა** → **ოქრუა** (ცხენი), ეშმაკი → **ეშმაკ-ა** (თხა) და სხვ. ბ) **აარსებითებს და ზოონიმად აქცევს ზედსართავ სახელებს**: სქვამი „ლამაზი“ →

სქვამ-ა (ხარი), ხვალახე „მარტოხელა“ → ხვალახე-ა → ხვალახია (ძროხა), ფერადი „სხვადასხვა ფერისა“ → ფერად-ა (ძალლი), ობოლი → ობოლა (ძროხა), და სხვ. გ) აარსებითებს და ზოონიმად აქცევს ზმნის პირიან ფორმებს: მირდი „გაიზარდე“ → მირდი-ა (კამეჩი), გემრავლი „გამრავლდი“ → გემრავლი-ა (ძროხა), სო რდი „სად იყავი“ → სორდი-ა (ძალლი), ჭოფი „დაიჭირე“ → ჭოფი-ა (ძალლი), მერთი „მიდი“ → მერთი-ა (ძალლი) და სხვ. დ) საწყისიდან წარმოქმნის სასუბიექტო მიმღეობის შინაარსის მქონე სახელებს, რომლებიც იმავე დროს ზოონიმებს წარმოადგენენ: ქუთოლი „ლაქუცი“ → ქუთოლ-ა „ლაქუცა“ (ძალლი), რაქვალა „ხმამალალი განუწყვეტელი ლაპარაკი“ → რაქვალ-ა (თხა) და სხვ. ე) გამოხატავს რისამე მქონებლობას: პუხუ „კუზი“ → პუხ-ა „კუზიანი“ (ხარი), ტყუბი „ტყუბი“ → ტყუბ-ა (რქაშეტყუპებული თხა) და სხვ.

ანთროპონიმული მასალის შემცველ საისტორიო ძეგლებთან კოლხურ ზოონიმთა შედარებამ წარმოაჩინა, რომ ადამიანთა და ცხოველ-ფრინველთა ერთი რიგის (ე.წ. „მოლაპარაკე“) სახელები ერთნაირი ყალიბითა და სემანტიკით წარმოიქმნება. მაგალითად, 1621 წელს შედგენილი ერთი საეკლესიო საბუთის მიხედვით სოფ. ხიბულაში ბეგარავალდებული გლეხების სახელებია: მაჭიხოლა, კოჩა, დაბალა, თოსკუამია, მირჩქილია, სორდია, ინგარია, გოკურცხია და სხვ. (იხ. ქსდ, III, გვ. 414-419). დასახელებულ ანთროპონიმებში -ა სუფიქსს ისეთივე ფუნქცია აქვს, როგორც ზემოთ განხილულ ზოონიმებში. კოლხურ ზოონიმებში სხვა, იშვიათად გამოყენებული, სუფიქსებიც დასტურდება. ესენია: -ანა: უჩ-ანა „შავანა“, ჭით-ანა „წითლონა“ და სხვ; -ამ: ორტყაფუ-ამი „სარტყლიანი“ (თხას ზურგზე შავი ზოლი გასდევდა სარტყელივით), ბურდლ-ამი „ბალნიანი“ და სხვ. -ო: ჭუბური „წაბლი“ → ჭუბურ-ო (ძროხა), ფერი „ფერი“ → ფერ-ო (ძროხა), ლამაზი → ლამაზ-ო (ძროხა) და სხვ. -იკა, -იკელა: ვირ-იკა (ძროხა), ვირ-იკ-ელა (ხარი); -ია: კვირა-ია (კვირას დაბადებული ძროხა), ორქო-ია (ძროხა) და სხვ. -ალა: ჭითა „წითელი“ → ჭით-ალა (ქათამი) ...

რთული ზოონიმები, ჩვეულებრივ, ორფუძიანია. ერთ-ერთი ფუძე ცხოველის სხეულის ნაწილის სახელია, ვთქათ, რქა, თავი.

მაგ.: თხის სახელებში შეგვხვდა ასეთი ფორმები: **ქაბირჯლა** „რქებგაშლილი“, **ქაღულა** „რქამოდუნული“, **ქატკუბა** „რქებშეტყუბებული“, **ქაკუტა** „რქამოკლე“, **ქაფართო** „რქებფართო“, **ღუდიშქირუ** „ნაცრისფერთავიანი“, **ღუღუჩა** „შავთავა“, **ღუჩე** ← ღუდი ჩე „თეთრთავა“, **ღუჭი** (← ღუდიჭითა „თავწითელი“), **პისქვამია** „პირლამაზა“, **ღვაშქირუა** „ლოყანაცრისფერი“ და სხვ. ძროხის სახელებია: **თოლუჩა** „თვალშავა“, **თოლჩე** „თვალთეთრი“, **პირჩე** „პირთეთრი“, **ქაგილა** (← ქაგილატახილი „რქამოტეხილი“), **ღვაჭითა** „ლოყაწითელი“, **წაბიჩე** „წარბთეთრი“ და სხვ. ზემოთ გაანალიზებულ რთულ ზოონიმთა ერთი ნაწილი ფაქტობრივად რთულ-წარმოქმნილია (ღვა-შქირუ-ა, პი-სქვამი-ა და სხვ.).

როგორც ვხედავთ, **მარტივი ზოონიმები ძირითადად წარმოადგენენ ცხოველ-ფრინველის ჯიშის, ფერის, მანერის, ასაკის აღმნიშვნელ ლექსემებს** (ე.წ. ნომენებს), **წარმოქმნილი ზოონიმები ძირითადად კნინობითობა-მოფერებითობას გამოხატავენ** (ზოგ სხვა ნიუანსთან ერთად), ხოლო რთული ზოონიმები შეიცავენ **დენოტატის გარეგნულ დახასიათებას ადვილად თვალში საცემი ერთი რომელიმე დეტალის მიხედვით**. როგორც ცნობილია, ქართულსა და ზანურში კნინობითობის სუფიქსები ერთმანეთს ემთხვევა (-ა, -ანა, -ალა და სხვ). ამ შემთხვევაში წარმოქმნილი სახელის ენობრივი მიკუთვნება განისაზღვრება ამოსავალი ფუძეების მიხედვით. ამიტომ სავარაუდებელია, რომ ისეთი ზოონიმები, როგორიცაა წითელა, შაველა, წიქარა, ლამაზა, ყორანა, მერცხალო, წაბლა (აგრეთვე: ყურცქვიტა, არენდო, ივარგე...) და სხვ. შეთვისებულია ქართულიდან და შესაბამისი დენოტატისათვის არის დარქმეული.

ზოგადი დასკვნები

1. კოლხურში რედუქციის საკითხთან დაკავშირებით საენათ-მეცნიერო ლიტერატურაში გავრცელებულია ასეთი შეხედულებანი: რედუქცია ზანურში „იმთავითვე სუსტი უნდა ყოფილიყო“ (ვ. თოფურია); რედუქცია „მეგრულ-ჭანურში უკვე უძლურია“ (ა. შანიძე); რედუქცია მეგრულისათვის „თითქმის უჩვეულოა“ (ს. ჟღენტი). ისიც ცნობილია, რომ „რედუქციის ძალა უმთავრესად სუფიქსებს აქვთ შემორჩენილი“ (არნ. ჩიქობავა). მეგრული ონიმური მასალის ანალიზმა ამ დებულებებში ასეთი კორექტივი შეიტანა: ა) **მეგრულში რედუქცია საკმაოდ ძლიერი ფონეტიკური მოვლენა** ყოფილა (და არის დღესაც); რედუქციას ექვემდებარებოდა ყველა ხმოვანი და ირაციონალური გ; ბ) რედუქციას იწვევს ყველა პრეფიქსი (ლე-, ნა-, სა-, ო-, მა-). სინკოპირებულია ფუძის თავკიდური ან მომდევნო ხმოვანი (მიქა → ნა-მქ-უ, კაჭარა → ლე-კაჭრ-ე). გ) **რედუქციის შედეგად რჩება თანხმოვანთკომპლექსები**, რომლებიც შედგება ჩქამიერისა და სონორისაგან (60%), სონორისა და ჩქამიერისაგან (30%), ჩქამიერთაგან (8%) ან სონორთაგან (2%). **რედუქცია უკავშირდება მახვილის გადანაცვლებას სიტყვის თავმარცვალზე.**

2. ქართულში ჰაპლოლოგიის არც თუ ისე ბევრი მაგალითია ცნობილი. მეგრულში კი ეს ფონეტიკური პროცესი ფართოდ ყოფილა და არის გავრცელებული. ამას ასაბუთებს რამდენიმე ათეული საზოგადო თუ საკუთარი სახელის, განსაკუთრებით, ტოპონიმთა ანალიზი: ა) **ჰაპლოლოგია ხდება როგორც იდენტურ, ისე მსგავს მარცვალთა შორის მორფმათა საზღვარზე** (კინონოხორი → კინოხორი) და ერთი ფუძის ფარგლებშიც (ფიფია → ლე-ფიფი-ე → ლეფიე, პაპამ ჭკორი → პაპაჭკორი → პაჭკორია); ბ) მსგავს მარცვლებში იდენტურია ან თანხმოვნები, ან ხმოვნები; გ) **დისიმილატორი და დისიმილირებული მარცვლების თანხმოვნები ერთგვაროვანი არიან ან ჩქამიერობის, ან სონორობის მიხედვით**; დ) მიმართულების მიხედვით მარცვლის დისიმილაციური დაკარგვა შეიძლება იყოს

პროგრესულიც (ძირითადად რთულ სახელებში) და **რეგრესულიც** (ძირითადად წარმოქმნილ სახელებში), ხოლო მანძილის მიხედვით – **კონტაქტური** (დისტანციური ჰაპლოლოგია ძალზე იშვიათია); საერთოდ, როგორც ცნობილია, უმწერლობო ენებსა და დიალექტებში ფონეტიკურ პროცესებს მეტი გასაქანი აქვთ.

3. ზემო სამეგრელოს ტოპონიმიში ჩვენ მიერ აღრე გამოვლენილ სადერივაციო მორფემებს (ლე-, სა-, ნა-, ო-, -ონა, -ში, -თი, -ია, -ალა და სხვ.) ქვემო სამეგრელოსა და სამურზაყანოს ტოპონიმის ანალიზის შედეგად შეემატა ოთხი აფიქსი: ა) **-იან** არც თუ ისე დიდი ხნის წინათ ჩანს შეთვისებული ქართულიდან (ჭვიჭვიანი „წიწვიანი“); ბ) **მა-** ქართული მე- პრეფიქსის ფონემურ-სემანტიკური შესატყვისია ზანურში და დასტურდება უძველეს ტოპონიმებში, სადაც იგი, როგორც სასუბიექტო მიმღებობის მაწარმოებელი, გამოხატავს ზმნის ფუძით გადმოცემული მოქმედების განმეორებადობას (ღვლაკუა „ღრეკა“ → მა-ღლაკ-ი „დაკლაკნილი“, ლიმა „ზღვის ღელვა“ → მა-ღემი-ა – მდინარე, რომელიც ნაწვიმარზე ყოველთვის გადადის ნაპირებიდან); გ) **-ობა** აგრეთვე ქართულიდანაა შეთვისებული და, ისევე როგორც ქართულის ზოგ დიალექტში, მეგრულსა და ლაზურშიც ავლენს ახალ ფუნქციას, ოღონდ ტოპონიმიში: **გეოგრაფიულ ტერმინებთან** (ზოგ შემთხვევაში სხვა ლექსემებთანაც) **გამოხატავს კონკრეტულ მრავლობითობას** (მენჯი „ვეძა“ → მენჯობა „ვეძები“, ზენი „ვაკე“ → ზენობა „ვაკეები“); დ) **-შური** იმერული -ს-ეულ//ს-ოულ კომბინირებული დაბოლოების ვარიანტია და აღნიშნავს კუთვნილებას (კაკუ-შური-ი „კაკუს-ეული“).

4. ქართველურ ენებში ოიკონიმები (და მიკროოიკონიმები) წარმოიქმნება ორი გზით: ა) **პირველადი ნომინაციით** (ოიკონიმი იმთავითვე წარმოიქმნა როგორც ოიკონიმი: ბეჟათუბანი, ჯიქურ-აულთკარი, ლესიჭინე) ან ბ) **მეორეული ნომინაციით** (არაოიკონიმი იქცა ოიკონიმად კონვერსიის გზით: მაგალითად, ხემაღალი და ჭუბურხინჯი „წაბლისხიდი“ ამჟამად სოფლის სახელებია). საერთოდ, ქართველურ ენათა ოიკონიმიისა და მიკროოიკონიმიის 49% (მიახლოებითი გამოანგარიშებით) პირველადი ნომინაციითაა წარმოქმნილი, ხოლო ასევე 49% – მეორეული ნომინაციით. გამოიკვეთა ასეთი თავისებურება:

ქართულში პირველადი ნომინაციით წარმოქმნილ სახელთა უდიდესი ნაწილი მოტივირებულია ოიკონიმური ტერმინებით (როგორცაა: უბანი, კარი და სხვ.), ხოლო მეგრულში – საგანგებო ოიკონიმური მორფემებით (როგორცაა ლე- და სა-).

5. სამეგრელო-სამურზაყანოში დაფიქსირებული 9 ათასამდე ჰიდრონიმის წარმოქმნაში დიდ როლს ასრულებს **ჰიდროგრაფიული ტერმინოლოგია**. საკმარისია აღინიშნოს, რომ 4 სიტყვა – ღალ „ღელე“, ტობა „ღრმა წყალი, მორევი“, წყუ „წყარო“ და წყარი „წყალი“ – გამოიყოფა რეგიონის მთელი ჰიდრონიმიის თითქმის 66%-ში. ასეულამდე სხვა ნაკლებპროდუქტიული ჰიდროტერმინი განაწილდა 9 სემანტიკურ ჯგუფში: ა) ნესტიანი, ტალახიანი, დაჭაობებული ადგილი; ბ) ღრმა, დაგუბებული წყალი; გ) მიმდინარე წყალი; დ) ზედაპირზე ამოხეთქილი მიწისქვეშა წყალი; ე) წყალი მაღლიდან გადმონადენი; ვ) მდინარეთა შეერთების ადგილი; ზ) ვეძა. მლაშე ან მჟავე მინერალური წყალი; თ) სასმელი წყალი; ი) ფონი, მარჩხობი. ჰიდროგრაფიულ ტერმინთა ერთი ნაწილი საერთოქართველურია, ე.ი. მომდინარეობს ფუძეენიდან და ქმნის გარკვეულ ფუძეთშესატყვისობებს (წყუ, წყარი, ღალ, ტობა...), მეორე ნაწილი საერთოა დასავლურქართულ დიალექტებთან (ნოლა, შხივი, ღვარღვაცი...), ხოლო ძირითადი ფონდი საკუთრივ მეგრულია, მათ შორის ზოგი ისეთიც აღმოჩნდა, რომელიც ძალზე ვიწროლოკალურია: დასტურდება მხოლოდ ორ-სამ სოფელში (შანი, კიზუ, ობარხალაია, ოცანცალეში, ნალუ, ნაწიორა, რახვინი, ონწარე, კოკუღეე და სხვ).

6. კოლხურ ჰიდრონიმთა ერთი ნაწილი წარმოქმნილია მეტონიმიის საშუალებით, ე.ი ხდება **ტრანსტოპონიმიზაცია**. შედარებით ხშირია მეტონიმია: ორონიმი → ჰიდრონიმი (ბეჩა „მღვიმე“ → ბეჩა – მდინარე, გოლწო „ვიწრობი“ → გოლწო – მდინარე...) და დრიმონიმი (ბოტანონიმი) → ჰიდრონიმი (ზომოხონა „ძმერხლნარი“ → ზომოხონა – მდინარე), ხოლო უფრო იშვიათია ოიკონიმი → ჰიდრონიმი (ლიარსანე – უბანი → ლიარსანე – მდინარე), აგრონიმი → ჰიდრონიმი (ოხოჭური „ხარით სახნავი მიწა“ → ოხოჭური – მდინარე) და სხვ. ხდება ტრანსჰიდრონიმიზაციაც.

7. ტოპონიმის წარმოქმნაში მონაწილეობენ **გარეენობრივი ფაქტორებიც**. ამიტომ ვერც ოდენ ამოსავალ ფუძეთა ლექსიკური მნიშვნელობის დადგენითა და ვერც ხალხურ გადმოცემებზე

დაყრდნობით მივალწვევთ მართებულ ეტიმოლოგიას, თუ არ გავითვალისწინებთ მოტივაციას, ეტიმოლოგიას. ამის ნათელსაყოფად მოვიყვანთ რამდენიმე მაგალითს: კოლხურ ტოპონიმთა ლექსიკონებში აგროონიმი **ნაყვარა** გაგებულა პირდაპირი მნიშვნელობით როგორც „ნაყვარი“ (თითქოს აქ კაცი კასტრაციით დაუსჯიათ), მთის სახელი **მიგარია** განმარტებულია როგორც „მტირალა“, ხოლო **ოჩხონაფუ** დაკავშირებულია ჩხონაფა „ცხონება“ ზმნასთან. სინამდვილეში **ნაყვარა** ასახავს ქართველ ტომებში გავრცელებულ ერთ-ერთ ხალხურ ჩვეულებას (მსხმოიარობაშეწყვეტილ ხეს ახალ წელს „შეშინების“ მიზნით ცულს შემოჰკრავენ); **მიგარია** არის მიქამგარიას (მიქელ-გაბრიელის) ჰაპლოლოგიკური ფორმა. **ოჩხონაფუ**-სათვის ამოსავალია მიწათმოქმედების სისტემის ამსახველი ტერმინი მოშხუნაფა „ახოს გაკორდება-გატყეება რამდენიმე წლის შემდეგ ხელახლა საყანედ გაკათვის მიზნით“. სათანადო მიმღეობა ოშხონაფუ მნიშვნელობის გაბუნდოვანების შემდეგ გადააუზრებიან როგორც ოჩხონაფუ „საცხონებელი“ (თითქოს, ვინც ახოს დაამუშავებდა, ღვთისაგან ცხონდებოდა).

8. მოპოვებული ტოპონიმური მასალის გათვალისწინებით შესაძლებელი გახდა რამდენიმე ახალი ქართულ-მეგრული ფუძეთშესატყვისობის გამოვლენა: ა) ქართ. **ბზეგ**- : მეგრ. **ზაკ**- (ტოპონიმი: ო-ზაკ-ა-ია „სარწველა“); ბ) ქართ. **ბრეგ**- : მეგრ. **რაგ**- (ტოპ.: რაგა - ბორცვი); გ) ქართ. **ლაფ**- : მეგრ. **ლოფ**- (ტოპ.: ლოფო - ტალახიანი ადგილი, ოლოფუეში - ხევი.); დ) ქართ. **მერ-ე** : მეგრ. **მარ-ა** (ტოპ.: მარა, მარაგანი); ე) ქართ. **ნოყ-ო** : მეგრ. **ნოც-ო** (ტოპ.: ნოცო, ნოცოწყარი, ნოცია); ვ) ქართ. **ფეხვ**- (← ფახვ) : მეგრ. **ფოხვ**- (ტოპონიმები: ფოხვი, ფორხვი, ფოხი, ფოხუ); ზ) ქართ. **მახ-ა** : მეგრ. **მოხ-ა** (ტოპონიმი: მოხაში - სოფელი).

9. მეგრულ ტოპოლექსემებში, გარდა საკუთრივ მეგრულისა, გამოიყოფა 4 ფენა: ა) **არქაული ლექსიკა** (ლექსემები, რომელთაც მოეპოვება ქართული ფუძეთშესატყვისობანი: ხურუ, მუხური, ცალიში//ოცალეში და სხვ. ბ) **ძველი ქართულის ლექსიკა** (აკვანი, აკლდამა, ბაბილო, ბავრაყი//ბერალი, კაპარი, კბოდე//კმოდე, კალო, მეედანი და სხვ. გ) **დასავლურქართული დიალექტური ლექსიკა** (ანგარი, ბეჩა//ბეჩო, (მ)თა, იელი, კაკუტი, კვანტილა, კორდი, მამული, საჩეხი, ძმერხლი, ღია, ურეკი, ფარი, ხოლი და სხვ.

დ) უცხოენოვანი ლექსიკა (რუს. პალოტი ბოლოტო „ჭაობი“, აფხაზ. ამძახ „ტბორი, გუბე“ და სხვ). ნასესხები ლექსიკის ნაწილს განუცდია ფონეტიკური თუ სემანტიკური ცვლილებანი.

10. მეგრული მდიდარია მეთევზეობასთან დაკავშირებული ტერმინოლოგიით, რაც თავს იჩენს ტოპონიმიაშიც, განსაკუთრებით, ჰიდრონიმიაში. გამოიყო სემანტიკური ჯგუფები: ა) თევზჭერის იარაღები და მოწყობილობანი; ბ) თევზჭერის ადგილები; გ) თევზჭერის ხერხები და მეთოდები; დ) ტოფობის ადგილები; ე) თევზის სახელწოდებანი. მეთევზეობასთან დაკავშირებული ლექსემების ერთი ნაწილი პარალელს პოულობს სალიტერატურო ქართულსა თუ მის დიალექტებში (განსაკუთრებით, იმერულსა და გურულში).

11. ისტორიოგრაფიაში გავრცელებულ შეხედულებას, რომ სვანებს უწინ კოლხეთის ბარიც ეჭირათ, განამტკიცებს სამეგრელო-სამურზაყანოში გამოვლენილი ახალი მასალა სვანური სუბსტრატული ტოპონიმებისა: ლაყორია, ლადვაჟია, ლახუნწარა, ლაბარჯია, ლაბარაში, ლეკერე, ლუმურიში, კაკეში, მუჰა და სხვ.

12. აფხაზი მკვლევრები ცდილობენ, ტოპონიმის მონაცემების გაყალბებით „დაამტკიცონ“, რომ აფხაზები იყვნენ სამურზაყანოს აბორიგენები, ხოლო ქართველები (მეგრელები) გვიან შუა საუკუნეებში არიან ჩასახლებულნი და, შესაბამისად, სამურზაყანოს აფხაზურენოვანი ტოპონიმია **სუბსტრატულია**. სამურზაყანოს ისტორიული და თანამედროვე ტოპონიმის ანალიზმა გამოავლინა საპირისპირო ვითარება: **ტოპონიმები, რომელთაც აფხაზი მკვლევრები მოიშველიებენ, სინამდვილეში ქართველურია**.

ყველა გეოგრაფიული სახელწოდება, რომელიც აღნიშნულია იტალიელი მისიონერის – არქანჯელო ლამბერტის – „სამეგრელოს რუკაზე“ (1654 წ.) იხსნება მხოლოდ და მხოლოდ მეგრულის ან სვანურის ლექსიკური მონაცემებით (ლუმურიში, წკელკარი, ერისწყალი, ფოქვეში, ჩხორთოლი, წარჩე და სხვ). მართალია, გალის რაიონში 6 სოფელი ატარებს აფხაზურ სახელწოდებას (აგვავერა, აკვარიკვა, აჩიგვარა, ლეკუმხარა, პატრახუწა, შაშიკვარა), მაგრამ ესენი აფხაზთა კუნძულებრივი დასახლებების ადგილასაა დარჩენილი და, მაშასადამე, **სუპერსტრატს** წარმოადგენენ. რაც შეეხება ჰიდრონიმ **აფსპა იძიხ**-ს (თითქოს აფხ. „აფხაზ მეფეთა წყარო“. წყარო მდებარეობს აჩიგვარის მახლობლად), იგი მეგრულსა და ლაზურში გავრცელებული

ტოპოლექსემა **მაფაწყუ//მაფაწყარ**-ის („მეფე-წყარო, საუკეთესო, წყალუხვი, რჩეული წყარო“) აფხაზურენოვანი თარგმანია.

13. აფხაზი მკვლევრები განსაკუთრებით ხშირად მანიპულირებენ იმ გარემოებით, რომ სამურზაყანოს მთებში ჰიდრონიმიის მეტი ნაწილი აფხაზურენოვანია, მაგრამ არ ითვალისწინებენ, რომ ესენი მიკროჰიდრონიმებია. საქმე ისაა, რომ მსოფლიოში ცნობილი ზოგადტოპონიმური კანონზომიერების მიხედვით, დიდ მდინარეთა სახელები საუკუნეებს უძლებს, ხოლო მცირე მდინარეთა სახელები, როგორც წესი, ხშირად იცვლება. ასეა სამურზაყანოშიც: დიდ მდინარეთა და მათი მნიშვნელოვანი შენაკადების სახელები მეგრულია (დალიძგა, ოქუმი, ოხოჯე, ოჯოდორე, ერისწყალი, ქვიშონა, წარჩე და სხვ.), ხოლო მცირე მდინარეთა სახელები, განსაკუთრებით მთაში, დარქმეულია აფხაზ მწყემსთა მიერ უკანასკნელი ორი საუკუნის განმავლობაში.

14. არქანჯელო ლამბერტის რუკაზე აღნიშნული ორი ამოუხსნელი ტოპონიმი **Girpigi** (ერისწყლის მარჯვენა ნაპირას) და **Sugiona** (ენგურის მარჯვენა ნაპირას), რომლებიც გადმოჰქონდათ როგორც „გირპიგი“ და „სუგიონა“, აღმოჩნდა მეგრული ჰიდროგრაფიულ-ლანდშაფტური ტერმინები **ჟირპიჯი** „ორპირი“ და **სუჯონა** „ცვარნამიანი ადგილი“ (ორპირი „ხერთვისი“ სწორედ ზანური „ჟირპიჯი“-ს თარგმანია და, შესაბამისად, გავრცელებულია მხოლოდ ზანურის უწინდელი გავრცელების არეალში – ქვემო იმერეთში, გურიაში, აჭარაში). საერთოდ, სამურზაყანოს მრავალი სხვა ტოპონიმიც მომდინარეობს უკვე მივიწყებული ან თითქმის მივიწყებული მეგრული სიტყვიდან, რაც მათი სიძველის ნიშანია. ესენია: რეფი, რეჩხი, ცხირი, დიხაგუძუბა, დიხაზურგა, ვეშკუდელი, ხუმენი, მუხური, ნარჯხეუ, ლეჭარაიე, ლეცეტე, ლიო, ოლიე, კურზულე და სხვ.

15. ჯგერიანი ეწოდება სოფელს ოჩამჩირის რ-ნში. ოიკონიმის ეტიმონი აღმოჩნდა ორგზის ჰაპლოლოგიკურებული ჯგირი მარიაში, ანუ წმინდა მარიაში (აკ. შანიძემ ჯგირი „კეთილი. წმინდანი“ გამოავლინა სვანურ საკულტო ტერმინ ჯგერაგში). სადავო არ უნდა იყოს, რომ დასავლეთ საქართველოში ბიზანტიის იმპერიის პოლიტიკური და რელიგიური ბატონობის ხანაში (VIII ს. დამლევამდე) კოლხებს უშუალოდ ბერძნულიდან გადმოუღიათ ზოგი ქრისტოლოგიური ტერმინი, მათ შორის „მარაშინა“ (შდრ.

ლაზეთში: მარიაშინა „აგვისტო“ და „ჯგირი“ (შდრ. ტოპონიმები: ჯგარაგუნა, ჯეგემისარონი, ჯეგესუჯინა, ჯეგეჯინჯი, ჯეგეხანგარამი, ჯეგეცხირი, ჯეგემარიონი, ჯეგემარიონი, ჯგამარიონი//ჯგაბარიონი და სხვ), რაც დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს ეკლესიურ-პოლიტიკური გაერთიანების შემდეგ შეცვალა ქართულმა „წმინდანმა“.

16. თანამედროვე ეთნიკურ-ტერიტორიული საზღვარი მეგრელებსა და აფხაზებს შორის გადის ღალიძგის მარცხენა ნაპირის სოფლებზე, სადაც ამ ათიოდე წლის წინათ ფაქტიური ორენოვნება იყო. ამასთანავე, გალის რაიონის რამდენიმე სოფელში აფხაზები ცხოვრობდნენ (შეერწყნენ მეგრელებს). ამ გარემოებებმა გამოიწვიეს **ტოპონიმური ინტერფერენცია**, რაც გამოიხატა: ა) აფხაზურენოვან ტოპონიმებში ქართულ-მეგრული (აბანო, ადგილი, დევი, თიფუ, ინჭა, ისირი, კალოში (ყურძნის ჯიშა), კუ, კირი, სიპი, ტახტი, ფონი, კამპარი, ქვაბი, ღლამი, წურბელა, ჭარკვატანა, ჯარგვალი), ხოლო მეგრულ ტოპონიმებში აფხაზური (აგვართა, (ა)კვარა, აფთარა, აფშირა, აქელა, აყრა, (ა)ძაგა, (ა)ძიხ, აძმახი, ახკარა, ახრა, (ა)ჰაფუ) ტოპოლექსემების პოვნეირებაში (სათანადო ფონეტიკური ცვლილებებით); გ) ობიექტის ორსახელიანობაში (ტოპონიმურ სინონიმიში), რასაც იწვევს თარგმნა ან იდენტური სამოტივაციო ნიშნების ამორჩევა ნომინაციისათვის. სინონიმურ ტოპონიმებში მეგრულ-აფხაზური ლექსემები კიდევაც ენაცვლებიან ერთმანეთს (ივანე იხუ//ივანემ სუკი - ბორცი, ზუყვამ ტყა//ზუყვა იბნა - ტყე, გვაგვა ინხართა//გვაგვამ ნოხორი - სახნავი და სხვ.

17. ონომასტიკურ სამეცნიერო ლიტერატურაში გავრცელებული შეხედულების თანახმად, გვარსახელი (თანამედროვე გაგებით) წარმოიქმნა იტალიაში XI საუკუნეში და სწრაფად გავრცელდა საფრანგეთში, გერმანიაში, ინგლისში. მაგრამ ფაქტებით დასტურდება, რომ **ქართველურ ენებში** (როგორც ქართულში, ისე სვანურსა და ზანურში, სადაც ქართული აგრეთვე სალიტერატურო-საეკლესიო ენა იყო) **გვარსახელის კატეგორიის ჩამოყალიბება ერთდროულად მიმდინარეობდა და XI საუკუნისათვის უკვე დასრულებული ჩანს**. საკმარისია, აღინიშნოს, რომ -ში დაბოლოებიანი ზანური გვარსახელი ბალუაში ისტორიაში ცნობილია IX საუკუნიდან, ხოლო მარუშისძე//მარუშიანი, რომლისთვისაც ამოსავალია ზანური ფორმა მარუში, X-XI საუ-

კუნეებში ერისთავთა გვარი იყო. ყველაზე ადრინდელი ეპიგრაფიკული დაფიქსირება კოლხური გვარისა ეკუთვნის XI საუკუნის პირველ მეოთხედს: ილორის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიის (აფხაზეთში) კედლის ნუსხურ წარწერაში დასახელებულია მღვდელი გიორგი ქოჩოლავა; ქრონოლოგიურად შემდგომია წებელდის ეკლესიის (აგრეთვე აფხაზეთში) XIII საუკუნის ასომთავრული წარწერა, სადაც იკითხება ამშენებლის სახელი და გვარი ლუკა მარტინავა. ასევე მნიშვნელოვანია წალენჯიხის მაცხოვრის ეკლესიის XIV ს. დამლევის წარწერა, სადაც ნათქვამია, რომ ვამეყ დადიანს (1384-1396 წწ.) კონსტანტინოპოლიდან მხატვრის ჩამოსაყვანად გაუგზავნია ბერები ანდონიკე გაბისულავა და მახარებელ ქვაბალია.

18. მართალია, შუა საუკუნეების აღმ. საქართველოს საისტორიო წყაროებში ხშირია სამწევრიანი ანთროპონიმული ფორმულა (გვარი, სახელი, მამის სახელი), მაგრამ XIV-XVIII სს. კოლხეთის (და, საერთოდ, დას. საქართველოს) საეკლესიო-საკანონმდებლო ძეგლებში საეკლესიო გლეხები მხოლოდ სახელითა და გვარით არიან დასახელებულნი, რაც უკვე ჩამოყალიბებული ნორმა ჩანს.

19. დღემდე გავრცელებული შეხედულების თანახმად, კოლხურ გვართა -ია, -ვა, -უა დაბოლოებანი წარმოადგენენ სვანურ -(ი)ან, -(ვ)ან, -(უ)ან სუფიქსთა ნ მოკვეცილ ვარიანტებს (ჩხეტიან → ჩხეტია, გალდავან → გალდავა, დონდუვან → დონდუა). ამგვარი მსჯელობა ეყრდნობა მეგრულ ზმნაში ბოლოკიდური ნ მორფემის მოკვეცის ფაქტს (რე-ნ „არის“ → რე). მაგრამ სვანური გვარი კოლხეთში მიგრირებისთანავე დაირთავდა სახელობითი ბრუნვის ი ნიშანს და ამით ნ-ს გამოეცლებოდა ფონეტიკური საფუძველი მოკვეცისათვის. ცნობილია სხვა მოსაზრებანიც: ა) -ვა აფხაზური ა-ფა „ვაჟი, ვაჟიშვილი“ სიტყვის მეგრული ვარიანტია; ბ) -ავა დაბოლოება კანონზომიერად შეესატყვისება ქართულ-სვანურ -ელ-ა დაბოლოებას. ჩვენი დაკვირვებით, **კოლხურ გვარსახელთა თავდაპირველი მაწარმოებელი იყო -ა**, რაც კარგად ჩანს -ო და -უ ხმოვნებით დაბოლოებულ ფუძეებში: თოშხუ → თოშხუ-ა, ქორთუ → ქორთუ-ა, ბაბილო → ბაბილო-ა → ბაბილუა, ბოხო → ბოხო-ა → ბოხუა და სხვ. ეს -ა ქართულ-ზანურის ერთიანობის ხანაში ზოგადი დანიშნულების სუფიქსი

უნდა ყოფილიყო, რომელსაც ამ ერთიანობის დაშლის შემდეგ ქართულსა და ზანურში რამდენიმე იდენტური თუ განსხვავებული ფუნქცია განუვითარებია. სახელობითი ბრუნვის -ი ნიშანთან, მორფემათგასაყარად ჩართულ -ვ თანხმოვანთან და ფუძისეულ -უ (ზოგ შემთხვევაში უ ← ო) ხმოვანთან აღნიშნული -ა სუფიქსის შეზრდის შედეგად **წარმოქმნილა მეორეული (კომბინირებული) სუფიქსები -ია, -ვა, -უა, რომლებიც აგრეთვე სპეციალური საგვარსახელო სუფიქსებია** (როცა დაერთვიან ეპონიმის სახელს და გამოხატავენ შთამომავლობა-მემკვიდრეობითობას).

20. ამჟამად ქართველთა თითქმის 20% ატარებს 1300 კოლხურ გვარს. ამ გვართაგან -ია, -ვა, -უა დაბოლოებებს შეიცავს 1240 (-ია სუფიქსს – 830, -ვა სუფიქსს – 310, -უა დაბოლოებას – 100), ხოლო დანარჩენი 60 გვარი წარმოქმნილია -(ი)ში, -სქირი//სკირი, -სქუა//სკუა, -ბერე//ბერი სუფიქსოიდებით. სამეგრელო-სამურზაყანოში მრავლადაა როგორც მიგრირებული, ისე ადგილობრივ გარემოში წარმოქმნილი -ძე, -შვილ, -იან დაბოლოებიანი გვარები. რაც შეეხება ლაზებს, მათ დავიწყებული აქვთ გვარები, მაგრამ ის გვარები, რომლებიც აღდგენილია საისტორიო წყაროებისა თუ ზეპირი გადმოცემების საშუალებით, იძლევა ასეთი დასკვნის გაკეთების საშუალებას: **გვართა ჩამოყალიბება ზანურში (კოლხურში) დაიწყო ლაზებისა და მეგრელების განცალკევებამდე (ე.ი. VIII საუკუნემდე) და შემდეგ გრძელდებოდა ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად, მაგრამ ერთნაირი ყალიბითა და სისტემით** (გვართა მოდელები და საწარმოქმნო საშუალებანი მეგრულსა და ლაზურში ფაქტობრივად ერთნაირია). და, საერთოდ, გვარსახელთა წარმოქმნა ქართველურ ენებში მიმდინარეობდა ერთდროულად, გვარსახელთა სისტემაც ერთიანია, მაგრამ განსხვავებას ქმნიან ადგილობრივი (ენობრივი, დიალექტური) ფუძეები და საწარმოქმნო საშუალებანი.

21. მეგრული ზოონიმის (1800-მდე ერთეული) ანალიზმა გამოავლინა, რომ მეგრელები სახელს არქმევენ თითქმის ყოველგვარ შინაურ ცხოველს (იშვიათად ფრინველსაც) და სახელდებისას ძირითადად რეალურ მოტივირებას მიმართავენ, ე.ი. ზოონიმი შეიცავს გარკვეულ ინფორმაციას დენოტატის რაიმე გარეგნულ ან შინაგან ნიშან-თვისებაზე, ან გამოხატავს სახელმდებლის სუბიექ-

ტურ-ემოციურ მიმართებას, ან აღნიშნავს დენოტატთან დაკავშირებულ კონკრეტულ შემთხვევას. ამის შესაბამისად გამოიყო სამოტივაციო ჯგუფები: აღწერითნი, მეტაფორულნი, მიმართებითნი, ოკაზიურნი. პირობითი მოტივირება, როცა ხდება ტრადიციული სახელის **ამორჩევა** (და არა შექმნა), მეგრულისათვის არაა დამახასიათებელი, მაგრამ ბოლო დროს იკაფავს გზას ზოგი სხვა ენის გავლენით. ზოონიმთა მცირე ნაწილი წარმოქმნილია ლიტერატურული ნაწარმოებებიდან თუ მხატვრული ფილმებიდან ცნობილი სახელების მექანიკური გადატანით. მოპოვებული მასალის სტრუქტურულმა ანალიზმა გამოავლინა, რომ მეგრულ ზოონიმთა 50% არის წარმოქმნილი (ძირითადად -ა სუფიქსით), 40% - მარტივი, ხოლო 10% - რთული (ზოგიც: რთულ-წარმოქმნილი). წარმოჩინდა ერთი საინტერესო ფაქტიც: ზოონიმთა სტრუქტურა, სემანტიკა და ლექსიკა თითქმის იდენტურია მეტსახელთა ერთი ჯგუფის (ე.წ. „მოლაპარაკე სახელების“) სტრუქტურასა, სემანტიკასა და ლექსიკასთან.

უმთავრესი დასკვნა: **კოლხური (ზანური) საკუთარი სახელის (ტოპონიმის, ანთროპონიმის, ზოონიმის) ფონეტიკური და დერევაციული სისტემები, სტრუქტურა და სემანტიკა, მოტივაციისა და სახელდების პრინციპები ძირითადად და ზოგადად ისეთივეა, როგორც სვანურისა და ქართულისა. ეს არ გამოორიცხავს (პირიქით, გულისხმობს) ყველა აღნიშნულ ასპექტში ენობრივ-დიალექტურ (ზოგ შემთხვევაში ვიწროლოკალურ) თავისებურებებს.**

დამოწმებული ლიტერატურა

1. აბაკელია, 1985 – ნ. აბაკელია, მთავარანგელოზის თაყვანისცემა დასავლეთ საქართველოში (სამეგრელოს მასალების მიხედვით): ისტორიულ-ეთნოგრაფიული შტუდიები, II, თბ., 1985, გვ. 198-206.

2. აბაკელია, 1999 – ნ. აბაკელია, ყოფის ისტორიის ნარკვევი: სამეგრელო (არქეოლოგიის, ენათმეცნიერების, ისტორიის, ხუროთმოძღვრებისა და ეთნოლოგიის ნარკვევები), თბილისი-ზუგდიდი, 1999, გვ. 295-304.

3. აბულაძე, 1973 – ი. აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბ., 1973.

4. ალავეძე, 1958 – მ. ალავეძე, ლეჩხუმური ტოპონიმიკური სახელწოდებანი: ა. წულუკიძის სახელობის ქპი შრომები, XVIII, 1958, გვ. 147-154.

5. ალავეძე, 1984 – მ. ალავეძე, გელათური ხელნაწერი ამტიკცებს: ჟურნ. „განთიადი“, ქუთაისი, №1, 1984, გვ. 178-183.

6. ანქვაბი, 1984 – . . .

– . . .

, , 1984.

7. ანჩაბაძე, 1959 – . . .

, , 1959.

8. ანჩაბაძე, 1960 – . . .

. . . , , 1960.

9. არახამია, 1998 – გ. არახამია, როდის გახდა ლალიძგა სასაზღვრო მდინარე. „ენგური“, 1998, №1-2, ზუგდიდი, გვ.192-204.

10. არხიპოვი, ივანოვი, 1971 – . . . , . . . , 2, 1971, გვ.306-

310.

11. ასათიანი, 1974 – ირ. ასათიანი, ჭანური (ლაზური) ტექსტები, თბ., 1974.

12. აფრიდონიძე, 1977 – შ. აფრიდონიძე, რთული ტოპონიმების კომპონენტთა შეხამებითი უნარისათვის: მაცნე, ენისა და ლიტერატურის სერია, 1977 წ., №3, გვ. 82-88.

13. აფრიდონიძე, 1987 – აფრიდონიძე შ., ზანური ანთროპონიმის ზოგიერთი საკითხისათვის (კვლავ ჯაკობია, ჟორდანიას ტიპის გვარების შესახებ). ონომასტიკა, I, თბ., 1987, გვ. 252-259.

14. აფრიდონიძე, 1988 – შ. აფრიდონიძე, „თუნდა წაბლიანს დავარქმევ...“ ჟურნ. „ბალავერი“, 2-3, 1988, გვ. 131-138.

15. აფრიდონიძე, მაკალათია, 1980 – შ. აფრიდონიძე, ფ. მაკალათია, ქართული ოიკონიმები: “ტოპონიმია“, II, თბ., 1980, გვ.5-292.

16. აფხაზავა, 1979 – ი. აფხაზავა, ერისწყალი: ქსე, 4, თბ., 1979.

17. ახვლედიანი, 1999 – გ. ახვლედიანი, ზოგადი ფონეტიკის საფუძვლები, თბ., 1999.

18. ბაიროვა, 1975 – . . . ,
: , №10,
, 1975, გვ. 142-146.

19. ბაკურაძე, ფუტყარაძე, 1996 – დ. ბაკურაძე, ტ. ფუტყარაძე, ტოპონიმთა კლასიფიკაცია მოტივაციის მიხედვით (ოკრიბის მასალები): ქართველური მემკვიდრეობა, I, ქუთაისი, 1996. გვ. 16-26.

20. ბალიშვილი, 1998 – ა. ბალიშვილი, ბაღვაშები: აია, 2, 1998, გვ.47-55.

21. ბალიშვილი, 1999 – ა. ბალიშვილი, ბაღვაშები (II ნაწილი): აია, 7, 1999, გვ. 93-110.

22. ბედოშვილი, 1980 – გ. ბედოშვილი, ერწო-თიანეთის ტოპონიმია, თბ., 1980.

23. ბერაძე, 1967 – თ. ბერაძე, ოდიშის პოლიტიკური გეოგრაფიიდან: “საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული“, III, თბ., 1967, გვ. 131-183.

24. ბერაძე, 1971 – თ. ბერაძე, ვახუშტი ბაგრატიონი და ოდიშის ისტორიული გეოგრაფიის საკითხები: საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული, IV, თბ., 1971, გვ.53-73.

25. ბერაძე, 1984 – თ. ბერაძე, სათანჯოს ციხე: ქსე, 8, 1984.

26. ბერიძე, 1992 – მ. ბერიძე, ჯავახეთი (ტოპონიმოკური ანალიზი), თბ., 1992.

27. ბერძენიშვილი, 1990 – ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, თბ., 1990.

28. ბესიკი, 1962 – ბესარიონ გაბაშვილი, თხზულებანი, თბ., 1962.

29. ბრეგაძე, 1969 – ნ. ბრეგაძე, მთის მიწათმოქმედება დასავლეთ საქართველოში, თბ., 1969.

30. ბლაჟბა, 1964 – . . .
, . . ., 1964.

31. ბლაჟბა, 1974 – . . .
, 1974.

32. ბუკია, 1999 – მ. ბუკია, მეგრულ-აფხაზური ენობრივი ურთიერთობის დინამიკა (მეცხენეობის ლექსიკის მაგალითზე): ქუთაისური საუბრები, VI. სიმპოზიუმის მასალები, ქუთაისი, 1999, გვ.57-58.

33. ბუკია, 2001 – მ. ბუკია, კოლხურ-აფხაზური ისტორიულ-ეთნოგრაფიული ურთიერთობის ასახვა ტრანსკუმანურ ლექსიკაში: ქუთაისური საუბრები, VIII. სიმპოზიუმის მასალები, ქუთაისი, 2001, გვ. 40-41.

34. ბურახანოვი, 1971 – . . .
, 2, 1971, გვ. 303-305.

35. გაბლიანი, 1926 – გაბლიანი, ძველი და ახალი სვანეთი, ტფილისი, 1926.

36. გამყრელიძე, მაჭავარიანი, 1965 – თ. გამყრელიძე, გ. მაჭავარიანი, სონანტთა სისტემა და აბლაუტი ქართველურ ენებში, თბ., 1965.

37. გამყრელიძე, 1991 – თ. გამყრელიძე, ძველი კოლხეთის სატომო სახელთა ისტორიიდან: ჟურნ. „ლიტერატურა და ხელოვნება“, № 4, 1991, გვ. 90-102.

38. გამყრელიძე, 2000 – თ. გამყრელიძე, სიბილანტთა შესატყვისობანი და ქართველურ ენათა სტრუქტურის ზოგი

საკითხი. მისივე: რჩეული ქართველოლოგიური შრომები, თბ., 2000, გვ. 14-94.

39. გასვიანი, 1998 – გ. გასვიანი, აფხაზეთი. ძველი და ახალი აფხაზები, თბ., 1998.

40. გაჩეჩილაძე, 1976 – პ. გაჩეჩილაძე, იმერული დიალექტის სალექსიკონო მასალა, თბ., 1976.

41. გაჯიევი, 1980 – . . . , , 1980, გვ. 161-162.

42. გეორგიკა, I – ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ. ტ.1, თბ., 1961.

43. გეორგიკა, IV – ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, ტ. 4, ნაკვ. 2, თბ., 1952.

44. გვანცელაძე, 1989 – თ. გვანცელაძე, აფხაზეთის ზოგი ტოპონიმის წარმომავლობის საკითხისათვის. მეორე რესპუბლიკური სამეცნიერო კონფერენცია ონომასტიკაში. მოხსენებათა თეზისები, თბ., 1989, 13-14.

45. გვანცელაძე, 1996 – თ. გვანცელაძე, ქართველური სუბსტრატის საკითხისათვის აფხაზურ ენაში საკულტო ლექსიკის მიხედვით: ქუთაისური საუბრები, III, 1996, გვ. 31.

46. გვანცელაძე, 1997 – თ. გვანცელაძე, აფხაზეთის ისტორიოგრაფიის ლინგვის-ტური საფუძვლები. ავტორეფერატი ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაციისა, თბ., 1997.

47. გვანცელაძე, 1998 – თ. გვანცელაძე, ილორისა და წებელდის მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობა XI-XIII საუკუნეთა ორი ლაპიდარული წარწერის მიხედვით: ქუთაისური საუბრები – V, სიმპოზიუმის მასალები, ქუთაისი, 1999, გვ.35.

48. გვანცელაძე, 1999 – თ. გვანცელაძე, ჩრდილო-დასავლეთ საქართველოს მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობა შუა საუკუნეების ლაპიდარული წარწერების მიხედვით: ქართველური მემკვიდრეობა, III, ქუთაისი, 1999, გვ. 53-58.

49. გვანცელაძე, 2000 – თ. გვანცელაძე, ქართველური ქრისტიანული ტერმინების აფხაზურ ენაში სესხების დროის საკითხისათვის: არტანუჯი. საისტორიო ჟურნალი, 10, 2000, გვ.51-66.

50. გოგია, 1990 – ბ. გოგია, საქართველოს შავიზღვისპირეთის აფხაზეთის მხარის ტოპონიმიკისათვის: ცხუმში. სტუდენტურ-ახალგაზრდული ჟურნალი, 3, სოხუმი, 1990, გვ. 43–87.

51. გოგიტიძე, 1977 – ს. გოგიტიძე, ახალი ტიპის ქვის საწაფები მახვილურის ნეოლითური ნამოსახლარიდან: სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ძეგლები, VI, თბ., 1977, გვ. 3–14.

52. გოგოლაშვილი, 1975 – გ. გოგოლაშვილი, სახელთა პრეფიქსული წარმოება ქართულში: ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში, №3, 1975, 22–24.

53. გოგოლაშვილი, 1981 – გ. გოგოლაშვილი, სახელთა ფუძისეული ხმოვნის რედუქციასთან დაკავშირებული ზოგი საკითხი ქართულში: ქესს, V, თბ., 1981, გვ. 111–116.

54. გოდერძიშვილი, 1998 – ქ. გოდერძიშვილი, სუფიქსი და ონიმის სუბიექტურ-ემოციური ელფერი: ქესს, VII, 1998, გვ. 106–117.

55. გორბანევსკი, 1982 – . . . ,

, 1, ., 1982.

56. გუდავა, 1972 – ტ. გუდავა, კნინობითის სუფიქსები მეგრულ გვარის სახელებში: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია. ენათმეცნიერების ინსტიტუტი. XXVIII სამეცნიერო სესია. მუშაობის გეგმა და მოხსენებათა თეზისები, გვ. 11–12..

57. გუდავა, 1979 – ტ. გუდავა, ბაგისმიერი თანხმომიერი ჩქამიერთა წინ მეგრულში: საენათმეცნიერო კრებული, თბ., 1979, გვ. 81–88.

58. დანელია, 1983 – კ. დანელია, ზოგიერთი ქრისტოლოგიური ტერმინის შესახებ. იხ. მისივე: ქართული სამწერლო ენის საკითხები, თბ., 1983, გვ. 189–200.

59. დანელია, 1999 – კ. დანელია, გიორგი მერჩულის „გიორგი ხანძთელის ცხოვრება“. იხ. იაკობ ხუცესი, შუშანიკის წამება; გიორგი მერჩულე, გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება. სასკოლო გამოცემა, თბ., 1999.

60. დანელია, სარჯველაძე, 1987 – კ. დანელია, ზ. სარჯველაძე: აკაკი შანიძე (ცხოვრება და მოღვაწეობა), თბ., 1987.

61. დიასამიძე, 1999 – ბ. დიასამიძე, ქრისტიანობის ისტორიისათვის დასავლეთ საქართველოში, ბათუმი, 1999.

62. დონდუა, 1967 – ვ. დონდუა, „ლიბარტეთისა“ და ანალოგიური გვარსახელებისათვის ქართულ ისტორიულ წყაროებში. იხ. მისივე: საისტორიო ძიებანი, I, 1967, გვ.101-128.
63. ელიავა, 1977 – გ. ელიავა, აბაშისა და გეგეჭკორის რაიონების ტოპონიმია, თბ., 1977.
64. ელიავა, ფარულავა, შენგელია, 1983 – გ. ელიავა, გ. ფარულავა, გ. შენგელია, ჩხოროწყუს რაიონის ტოპონიმის კატალოგი, თბ., 1983.
65. ელიავა, 1989 – გ. ელიავა, სენაკის რაიონის ტოპონიმია, თბ., 1989.
66. ელიავა, 1997 – გ. ელიავა, მეგრულ-ქართული ლექსიკონი, თბ., 1997.
67. ერთელიშვილი, 1969 – ფ. ერთელიშვილი, ლა-//ლე-პრეფიქსები ქართულში: მაცნე, №5, 1969, გვ. 155-164..
68. ვირსალაძე, 1964 – ელ. ვირსალაძე, ქართული სამონადირეო ეპოსი, თბ., 1964.
69. ზურაბიშვილი, 1961 – თ. ზურაბიშვილი, ტოპონიმის შესწავლისათვის: ქესს, II, თბ., 1961, გვ. 127-158.
70. ზუხბაია, ზანთარაია, 1988 – ვ. ზუხბაია, ხ. ზანთარაია – გალი (რაიონის ბუნება, ისტორიული ნარკვევი, სახალხო მეურნეობა), სოხუმი, 1988.
71. ზუხბაია, 1998 – ვ. ზუხბაია, აფხაზეთო ჩემო, თბ., 1998.
72. ზუხბაია, 2000 – ვ. ზუხბაია, ქართული გვარ-სახელები და ტოპონიმები აფხაზეთში, თბ., 2000.
73. ზუხბაია, 2001 – ვ. ზუხბაია, სამურზაყანო. გაზ. „მახარია“, I (6), 2001.
74. თამარაშვილი, 1902 – მ. თამარაშვილი, ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, ტფ., 1902.
75. თანდილავა, 1976 – ზ. თანდილავა, მეტეფეობის ლექსიკიდან: აჭარული დიალექტის დარგობრივი ლექსიკა, I, თბ., 1976, გვ. 58-72.
76. თანდილავა, 2000 – ლ. თანდილავა, ქრისტიანული ტრადიციის გადმონაშთები ლაზურში: ქუთაისური საუბრები, VII, ქუთაისი, 2000, გვ. 67-68.
77. თეორია... 1986 –
, ., , 1986.

78. თოთაძე, 1995 – ა. თოთაძე, აფხაზეთის მოსახლეობა – ისტორია და თანამედროვეობა, თბ., 1995.

79. თოფურია, 1944 – ვ. თოფურია, ბრუნების სისტემისათვის სვანურში სხვა ქართველურ ენათა ბრუნებასთან შედარებით: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის “მოამბე“, V, ნაკვ. 3, თბ., 1944, გვ. 338–347.

80. თოფურია, 1956 – ვ. თოფურია, გეოგრაფიულ სახელთა – თა სუფიქსისათვის ქართულში: სახელის ბრუნების ისტორიისათვის ქართველურ ენებში, I, თბ., 1956, გვ. 286–289.

81. თოფურია, 1967 – ვ. თოფურია, სვანური ზმნა, თბ., 1967.

82. თოფურია, 1979 – ვ. თოფურია, კნინობითი ქართველურ ენებში. მისივე: შრომები, III, თბ., 1979, გვ. 102.

83. თოფურია, 1979 – ვ. თოფურია, რედუქციისათვის ქართველურ ენებში. მისივე: შრომები, III, თბ., 1979, 145–172.

84. თოფურია, ქალდანი, 2000 – ვ. თოფურია, მ. ქალდანი, სვანური ლექსიკონი, თბ., 2000.

85. თოფჩიშვილი, 1993 – რ. თოფჩიშვილი, ლეჩხუმური გვარსახელები, თბ., 1993.

87. თოფჩიშვილი, 1997 – რ. თოფჩიშვილი, როდის წარმოიქმნა ქართული გვარსახელები, თბ., 1997.

88. თურქული წყაროები, 1983 – თურქული წყაროები XVI ს. I მეოთხედის სამცხე-საათაბაგოს ისტორიისათვის. თურქული დოკუმენტები ქართული თარგმანით, გამოკვლევითა და შენიშვნებით გამოსცა ც. აბულაძემ, თბ., 1983.

89. ითონიშვილი, 1976 – ვ. ითონიშვილი, ხევის ტოპონიმია, თბ., 1976.

90. ინალიფა, 1965 – . . . , 1965.

91. ინალიფა, 1971 – . . . , 1971.

92. ინალიფა, 1976 – . . . , 1976.

93. ინგოროყვა, 1941 – პ. ინგოროყვა, სვანეთის საისტორიო ძეგლები, ნაკვ. I, თბ., 1941.

94. ინგოროყვა, 1954 – პ. ინგოროყვა, გიორგი მერჩულე, თბ., 1954.

95. კაკაბაძე, 1921 – ს. კაკაბაძე, დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები, წ. I, ტფ., 1921.

96. კაკიტაძე, 1986 – კ. კაკიტაძე, ერთი ლექსმუხრი ტოპონიმის (საჩხეური) ეტიმოლოგიისათვის: მაცნე, ენისა და ლიტერატურის სერია, №3, 1986, გვ.140-144.

97. კამალოვი, 1969 – . . . ,
, , 1969.

98. კარპენკო, 1980 – . . . ,
:
, 1980, გვ. 99-110.

99. კატონოვა, 1975 – . . . ,
:
, 1975.

100. კაჭარავა, 1960 – გ. კაჭარავა, ზოგი გეოგაფიული სახელწოდების აგებულებებისათვის ქართველურ ენებში. ა. პუ-შკინის სახელობის თსპი შრომები, ტ. 15, თბ., 1960, გვ. 99-110.

101. კახაძე, 1987 – ო. კახაძე, ლექსიკური ზანიზმებისათვის იმერულში: იკე, XXVI, თბ., 1987, გვ.165-171..

102. კვარცია, 1981 – . . . ,
() , 1981.

103. კვარცია, 1985 – . . . ,
, 1985.

104. კილანავა, 1976 – ბ. კილანავა, „დიხა გუძუბას“ გაგებისათვის: ტოპონიმია, I. პროფ. შ. ძიძიგურის საერთო რედაქციით, თბ., 1976, გვ. 397-409.

105. კილანავა, 1988 – ბ. კილანავა, ეგრისელთა ეპონიმის ქალაქი (ეგრისი-ბედია): ჟურნ. “ეგრისი“, თბ., 1988, გვ. 232-243.

106. კლიმოვი, 1962 – . . . ,
-
,
1962.

107. კლიმოვი, 1962 – . . . ,
, ., 1962.

108. კობახიძე, 1987 – რაჭული დიალექტის ლექსიკონი (მასალები). შემდგენელი ალ. კობახიძე, თბ., 1987.

109. კორნილოვი, 1984 -XV

, 1984,

97-98.

110. ლამბერტი, 1938 – არქანჯელო ლამბერტი, სამეგრელოს აღწერა. თარგმანი იტალიურიდან ალექსანდრე ჭყონიასი; მეორე გამოცემა ლევან ასათიანის წინასიტყვაობით, რედაქციით და შენიშვნებით, თბ., 1938; მესამე გამოცემა ილია ანთელავასი, თბ., 1991.

111. ლელ, 1990 –

, ., 1990.

112. ლიპარტელიანი, 1994 – ა. ლიპარტელიანი, სვანურ-ქართული ლექსიკონი (ჩოლორული კილო), თბ., 1994.

113. ლომთათიძე, 1987 – ქ. ლომთათიძე, ნათესაობის ზოგი სახელის წარმოებისა და კნინობითობის -ია სუფიქსის საკითხი ქართულში: იკე, XXVI, თბ., 1987, გვ. 68-73..

114. ლომთათიძე, 1994 – ქ. ლომთათიძე, ტყვარჩელის გაგებისათვის: ბესარიონ ჯორბენაძის საზოგადოების სამეცნიერო კონფერენცია. 1994 წლის 10-11 მაისი, მოხსენებათა თეზისები, თბ., 1994, გვ. 7.

115. ლომთათიძე, 1995 – ქ. ლომთათიძე, ბაგისმიერის მიდრეკილება ანლაუტში მოხვედრისა აფხაზურ ენაში და ტოპონიმი „ამტყაალ“. ბესარიონ ჯორბენაძის საზოგადოების II სამეცნიერო კონფერენცია. მუშაობის გეგმა და მოხსენებათა თეზისები, თბ. 1995, გვ. 19.

116. ლომთათიძე, 1999 – ქ. ლომთათიძე, ღალიძგას გაგებისათვის: XIX რესპუბლიკური დიალექტოლოგიური სამეცნიერო სესია (მასალები), ახალციხე, 1999, გვ. 43-44.

117. ლომთაძე, 1996 – ე. ლომთაძე, მეგრულ გვარსახელთა ისტორიის ერთი ფურცელი: ქუთაისური საუბრები, III. სიმპოზიუმის მასალები, ქუთაისი, 1996, გვ. 52-54.

118. ლომოური, 1955 – ნ. ლომოური, კლავდიოს პტოლემეაიოსი, „გეოგრაფიული სახელმძღვანელო“, ცნობები საქართველოს შესახებ: მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. 32, თბ., 1955, გვ. 39-63.

119. ლორთქიფანიძე, 1970 – .

, ., 1970.

140 ლორთქიფანიძე, 1990 – მ. ლორთქიფანიძე, აფხაზები და აფხაზეთი, თბ., 1990.

141. მაისურაძე, 1979 – ი. მაისურაძე, ქართული გვარსახელები. სემანტიკა, სტრუქტურა, ეტიმოლოგია. თბ., 1979.

142. მაკალათია, 1979 – მ. მაკალათია, მესაქონლეობასთან დაკავშირებული რწმენა-წარმოდგენები სამეგრელოში: კრ. „სამეგრელო“, თბ., 1979, გვ. 62-85.

143. მაკალათია, 1992 – ს. მაკალათია, სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია, თბ., 1992.

144. მარტიროსოვი, 1984 – ა. მარტიროსოვი, ქართული ენის ჯავახური დიალექტი, თბ., 1984.

145. მალრაძე, 1995 – ვ. მალრაძე, ქართული გვარსახელებისაგან ნაწარმოები ოიკონიმები: იკე, XXXIII, 1995, გვ. 149-156..

146. მაყაშვილი, 1991 – ა. მაყაშვილი, ბოტანიკური ლექსიკონი, თბ., 1991.

147. მეგრელიძე, 1938 – . . . , . . . , 1938.

148. მელიქიშვილი, 1966 – . . . , . . . , 1, 1966, გვ. 82-87.

149. მელიქიშვილი, 1970 – გ. მელიქიშვილი, ქართველები, მათი წარმომავლობის საკითხი: საქართველოს ისტორიის ნარკვევები, I, თბ., 1970, 312-357.

150. მიბზუანი, 1989 – თ. მიბზუანი, დასავლეთ საქართველოს ქართველ მთიელთა ეთნოგენეზის, განსახლებისა და კულტურის ისტორიიდან, თბ., 1989.

151. მიბზუანი, 1995 – თ. მიბზუანი, აფხაზეთის მოსახლეობა (XVIII საუკუნემდე): გაზეთი „ლიტერატურული საქართველო“, №29, 1995.

152. მიბზუანი, 1999 – თ. მიბზუანი, აფხაზეთის მატერიალური კულტურის ძეგლები და ეპიგრაფიკა, თბ., 1999.

152. მირიანაშვილი, 1975 – ქ. მირიანაშვილი, თევზჭერის იარაღების შესწავლისათვის (ანკესი ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით): მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის, XVIII, თბ., 1975, გვ. 97-108.

153. მიქაილოვი, 1980 – . . . ,
: , , 1980,
გვ.162-166.
154. მიქელაძე, 1974 – თ. მიქელაძე, ძიებანი კოლხეთისა და
სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის უძველესი მოსახლეობის
ისტორიიდან, თბ., 1974.
155. მოციენკო, ფონიაკოვა, 1976 – . . . , . . .
,
, 4, , 1976, გვ.317-321.
156. მორფემების ლექსიკონი, 1988 – ბ. ჯორბენაძე, მ.
კობაიძე, მ. ბერიძე: ქართული ენის მორფემებისა და მოდალური
ელემენტების ლექსიკონი, თბ., 1988.
157. მურზაევი, 1970 – . . . ,
:
, ., 1970, გვ. 16-35.
158. მურზაევი, 1974 – . . . ,
, 1974.
159. მურზაევი, 1982 – . . . ,
, ., 1982.
160. მუსხელიშვილი, 1977 – დ. მუსხელიშვილი, საქართველოს
ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები, I, თბ., 1977.
161. მუსხელიშვილი, 1980 – დ. მუსხელიშვილი, საქართველოს
ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები, II, თბ., 1980.
162. ნარაკიძე, 1986 – ც. ნარაკიძე, მეთევზეობა-ნაოსნობის
ლექსიკიდან ლაზურში: აჭარული დიალექტის დარგობრივი
ლექსიკა, IV, თბ., 1996.
163. ნარაკიძე, 1987 – ე. ნარაკიძე, რამდენიმე ბერძნული
ტერმინის შესახებ ლაზურში: IX რესპუბლიკური დიალექტოლოგ-
იური სამეცნიერო სესია. მუშაობის გეგმა და მოხსენებათა
თეზისები, თბილისი, 1987, გვ. 37-38.
165. ნარაკიძე, 1997 – ც. ნარაკიძე, ზოგი კოლხური
გვარსახელის შესახებ. XVII რესპუბლიკური დიალექტოლოგიური
სამეცნიერო სესია. მუშაობის გეგმა და მოხსენებათა თეზისები, თბ.,
1997, გვ. 40.
166. ნებეირიძე, 1991 – გ. ნებეირიძე, ენათმეცნიერების
შესავალი, თბ., 1991.

167. ნიკონოვი, 1962 - . . . ,
: *Lingua Poznanien*, . IX, 1962, გვ. 113-114.
168. ნიკონოვი, 1965 - . . . ,
, ., 1965.
169. ნიკონოვი, 1969 - . . . ,
: *Onomastica*, . V, - , 1969.
170. ნიკონოვი, 1974 - . . . , . . . ,
1974.
171. ნიკონოვი, 1978 - . . . ,
: , ., 1974.
172. ნიკონოვი, 1980 - . . . , :
, , 1980, გვ. 183-189.
173. ნიკონოვი, 1989 - . . . ,
. . . : ს . “
”, ., 1974, გვ. 5-10.
174. ონიანი, 1989 - ა. ონიანი, აფხაზეთი და დასავლეთი საქართველო ენობრივ მონაცემთა მიხედვით: გაზეთი „სახალხო განათლება“, 20 დეკემბერი, 1989.
175. ონიანი, 1994 - ა. ონიანი, აფხაზეთი უძველესი ქართული მიწაა: გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, 19 მაისი, 1994.
176. ონიანი, 1979 - ჯ. ონიანი, სვანური გვარის ეთნოლინგვისტური ანალიზისათვის: მაცნე, ენისა და ლიტერატურის სერია, 2, 1979, გვ. 80-86.
177. ორთოგრაფიული ლექსიკონი, 1987 - საქართველოს სსრ გეოგრაფიულ სახელწოდებათა ორთოგრაფიული ლექსიკონი, თბ., 1987.
178. ოტინი, 1980 - . . . ,
(„ - “): ს . „
“, , 1980, გვ. 108-121.
179. პალ, I - პირთა ანოტირებული ლექსიკონი, I, თბ., 1991.
180. პალ, II - პირთა ანოტირებული ლექსიკონი, II, თბ., 1993.
181. პატარიძე, 1972 - რ. პატარიძე, ქართული ასომთავრული: ჟურნ. „მნათობი“, № 3, 1972, გვ. 139-166.
182. პაჭკორია, 1974 - მ. პაჭკორია, ფურცლები კოლხეთის ტოპონიმიდან, თბ., 1974.

183. პოდოლსკაია, 1988 – . . . ,
 , „1988.
184. პოპოვი, 1965 – . . . ,
 .- ., 1965.
185. ჟღენტი, 1960 – ს. ჟღენტი, ქართველურ ენათა
 შედარებითი გრამატიკა. I, მარცვლის აგებულების პრობლემა, თბ.,
 1960.
186. როგავა, 1955 – გ. როგავა, ზოგი ქართული გვარის სუ-
 ფიქსაციისათვის: აღ. წულუკიძის სახ. ქსპი შრომები, XIII,
 ქუთაისი, 1955, გვ. 1-8.
187. როგავა, 1975 – . . .
 :
 , ., 1975, გვ. 345-348.
188. როგავა, 1985 – გ. როგავა, ბერძნობები ქართველურ
 ენებში: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, 118,
 №1, 1985, გვ. 169-172.
189. როგავა, 1990 – გ. როგავა, **სურო** სახელის ვარიანტები
 ქართველურ ენებში: ეტიმოლოგიური ძიებანი, თბ., 1990, გვ. 76-78.
190. როზენტალი, ტელენკოვა, 1976 – . . . , . . .
 , - „
 1976.
191. რუხაძე, 1970 – ჯ. რუხაძე, ხალხური აგრიკულტურა
 დასავლეთ საქართველოში, თბ., 1970.
192. რუხაძე, 1985 – ჯ. რუხაძე, მიწათმოქმედების სისტემის
 ერთი მოდელი: კრ. „ხელეური“, თბ., 1985.
193. სარჯველაძე, 1984 – ზ. სარჯველაძე, ქართული
 სალიტერატურო ენის ისტორიის შესავალი, თბ., 1984.
194. სარჯველაძე, 1985 – ზ. სარჯველაძე, უმლაუტის კვალი
 ქართულში: საქ. მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, 120, I, თბ., 1985,
 გვ. 197-199.
195. სარჯველაძე, 2001 – ზ. სარჯველაძე, ძველი ქართული
 ენის ლექსიკონი, თბ., 2001.
196. საქ. ტოპონიმია, I, 1987 – საქართველოს სსრ ტოპონიმია
 (მასალები), ტ. I, ზემო იმერეთი. აკად შ. ძიძიგურის საერთო
 რედაქციით. ტომის რედაქტორი პ. ცხადაია, თბ., 1987.

197. საქ. ტოპონიმია, III - საქართველოს ტოპონიმია (მასალები), ტ. III, ქვემო იმერეთი, თბ.ბ 2003.

198. სახლთხუციშვილი, 1997 - უ. სახლთხუციშვილი, ადგილის დედა, ანუ რას მოგვითხრობენ ტოპონიმები, თბ., 1997.

199. სახოკია, 1950 - თ. სახოკია, მოგზაურობანი, თბ., 1950.

200. სელ, 1986 -
., 1980.

201. სილაგაძე, თოთაძე, 1997 - ა. სილაგაძე, ა. თოთაძე, გვარ-სახელები საქართველოში, თბ., 1997.

202. სილოგავა, 1980 - ვ. სილოგავა, ქართული ლაპიდარული წარწერების კორპუსი, წ. II, თბ., 1980.

203. სიტყვის კონა, 1984 - ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა. შემდგენელი ალ. ღლონტი, თბ., 1984.

204. სიხარულიძე, 1958 - ი. სიხარულიძე, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტოპონიმია, წიგნი I, ბათუმი, 1958.

205. სიხარულიძე, 1964 - ი. სიხარულიძე, მასალები სამცხის გეოგრაფიისათვის (ტოპონიმია): საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული, III, 1964, გვ. 131-166.

206. სიხარულიძე, 1977 - ი. სიხარულიძე, ჭანეთი, ბათუმი, 1977.

207. სიხარულიძე, 1982 - ი. სიხარულიძე, ვაკე-იმერეთის ისტორიული გეოგრაფიის მასალებიდან: საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული, VI, თბ., 1982, 102-120.

სუპერანსკაია, 1973 - . . . ,
., 1973.

208. სუპერანსკაია, 1985 - . . . ,
., 1985.

209. ტაბალუა, 1986 - ი. ტაბალუა, საქართველო ევროპის არქივებსა და წიგნსაცავებში, II, თბ., 1986.

210. ტულუში, 1998 - ა. ტულუში, ერთი მეგრული ტოპონიმის წაკითხვისათვის თურქულ წყაროებში (მცირე შენიშვნა). „ენგური“, 1998, №1-2, ზუგდიდი, გვ. 205-208.

211. უთურგაძე, 1976 - თ. უთურგაძე, ქართული ენის ფონემატური სტრუქტურა, თბ., 1976.

212. უკლება, 1985 - დ. უკლება, სამურზაყანო. ქსე, 9, თბ., 1985.

213. უსლ, 1990 – , ., 1990.
214. ფაჩულია, 1976 – . , , , 1976.
215. ფენრიხი, სარჯველაძე, 1990 – ჰ. ფენრიხი, ზ. სარჯველაძე, ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონი, თბ., 1990.
216. ფენრიხი, 1998 – Heinz Fahrnich, *Georgische Toponymie*. Jena, 1998.
217. ფიფია, 1999 – დ. ფიფია, მეგრულ-ქართული სალექსიკონო მასალები, თბ., 1999.
218. ფოჩხუა, 1966 – ბ. ფოჩხუა, სიტყვაწარმოება და ლექსიკოლოგია: იკე, XV, 1966, გვ. 104-122.
219. ფოჩხუა, 1974 – ბ. ფოჩხუა, ქართული ენის ლექსიკოლოგია, თბ., 1974.
220. ფუტყარაძე, 2000 – ტ. ფუტყარაძე, საქართველოს ენობრივ-ეთნიკური სიტუაციის დინამიკისათვის: ქართველური მემკვიდრეობა, IV, ქუთაისი, 2000, 325-337.
221. ქალდანი, 1953 – მ. ქალდანი, ელიზია სვანურში: იკე, ტ. 5, 1953, გვ. 193-202.
222. ქალდანი, 1963 – მ. ქალდანი, ლეჩხუმის გეოგრაფიულ სახელთა -იშ// -შ სუფიქსის საკითხისათვის: ქესს, ტ. III, თბ., 1963, გვ. 67-79.
223. ქალდანი, 1976 – მ. ქალდანი, -ავ სუფიქსის საკითხისათვის მეგრულ გვარებში: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტი. XXXII სამეცნიერო სესია. მუშაობის გეგმა და მოხსენებათა თეზისები, თბ., 1976, გვ. 24.
224. ქალდანი, 1980 – მ. ქალდანი, -ელ/-ავ სუფიქსთა საკითხისათვის ქართველურ გვარსახელებში: იკე, ტ. XXII, 1980, გვ. 67-73.
225. ქალდანი, 1980 – მ. ქალდანი, მუჟ-//მგჟ- ძირისაგან ნაწარმოებ ტოპონიმთა საკითხისათვის: იკე, ტ. XXII, 1980, გვ. 219-222.
226. ქალდანი, 1981 – მ. ქალდანი, წარმომავლობის -არ სუფიქსისათვის ქართველურ ენებში: ქესს, ტ. V, 1981, გვ. 91-95.
227. ქართლური... 1981 – ქართლური დიალექტის ლექსიკონი (მასალები). შემდგენლები: თ. ბეროზაშვილი, მ. მესხიშვილი, ლ. ნოზაძე, თბ., 1981.

228. ქართული დიალექტოლოგია, 1961- ი. გიგინეიშვილი, ვ. თოფურია, ი. ქავთარაძე, ქართული დიალექტოლოგია, I. დიალექტთა განხილვა, ტექსტები, ლექსიკონი, თბ., 1961.

229. ქველ - ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი I-VIII, 1950-1964. პროფ. არნ. ჩიქობავას საერთო რედაქციით, თბ., 1955.

230. ქველ, 1990 - ჰ. ფენრიხი, ზ. სარჯველაძე, ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონი, თბ., 1990.

231. ქველ, 2000 - ჰ. ფენრიხი, ზ. სარჯველაძე, ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონი, თბ., 2000.

233. ქობალავა, 1967 - ი. ქობალავა, სმს ტიპის ძირთა ფონემატური სტრუქტურისათვის ქართულში: თანამედროვე ზოგადი და მათემატიკური ენათმეცნიერების საკითხები, ტ. II, თბ., 1967.

234. ქსე - ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, 1-11, თბ., 1975-1987.

235. ქსს, 1986 - ალ. ღლონტი, ქართველური საკუთარი სახელები. ანთროპონიმთა ლექსიკონი, თბ., 1986.

236. ქსძ, III - ქართული სამართლის ძეგლები, III. ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო პროფ. ი. დოლიძემ, თბ., 1970.

237. ქურდიანი, 1996 - მ. ქურდიანი, საერთო-ქართველური ენის დიფერენ-ციაციისა და ქართველურ ენათა ურთიერთმიმართების საკითხისათვის. გაზ. „ბურჯი ეროვნებისა“, №4, 1996.

238. ქ.ც., 1955 - ქართლის ცხოვრება. ტ. I. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბ., 1955.

239. ქ.ც., 1973 - ქართლის ცხოვრება, ტ. IV. ბატონიშვილი ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბ., 1973.

240. ღლონტი, 1982 - ალ. ღლონტი, ქიზიყის ტოპონიმია, თბ., 1982.

241. ღლონტი, 1984 - ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა. შემდგენელი ალ. ღლონტი, თბ., 1984.

242. ღლონტი, 1986 - ალ. ღლონტი, ქართველური საკუთარი სახელები, თბ., 1986.

243. ღლონტი, 1988 - ალ. ღლონტი, ფრონეების ხეობების ტოპონიმია, თბ., 1988.

244. ღლონტი, 1993 – ალ. ღლონტი, სუფსა-ნატანების ხეობები, თბ., 1993.

245. ყაუხჩიშვილი, 1964 – ს. ყაუხჩიშვილი, რას გვიამბობენ ძველი ბერძნები საქართველოს შესახებ, თბ., 1964.

246. ყაუხჩიშვილი, 1976 – თ. ყაუხჩიშვილი, საქართველოს ისტორიის ძველი ბერძნული წყაროები, თბ., 1976.

247. ყიფშიძე, 1994 – ი. ყიფშიძე, რჩეული თხზულებანი. კრებული გამოსაცემად მოამზადა, წინასიტყვაობა და შენიშვნები დაურთო პროფ. კ. დანელიამ, თბ., 1994.

248. შანიძე, 1957 – ა. შანიძე, წელიწადის ეტიმოლოგიისათვის (რედუქციის საკითხი ქართველურ ენებში). მისივე: ქართული ენის სტრუქტურისა და ისტორიის საკითხები, I, თბ., 1957, გვ. 312-319.

249. შანიძე, 1957 – ა. შანიძე, ვინაობის სუფიქსი არ ქართულ ენაში. მისივე: ქართული ენის სტრუქტურისა და ისტორიის საკითხები, I, თბ., 1957 გვ. 28-32.

250. შანიძე, 1957 – ა. შანიძე, ბერძნული სიტყვა აკუზატივის ფორმით სვანურში. მისივე: ქართული ენის სტრუქტურისა და ისტორიის საკითხები, I, თბ., 1957, გვ. 320-322.

251. შანიძე, 1971 – ა. შანიძე, სვანური კულტის ტერმინი ჯგ, რაგ: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის „მაცნე“. ენისა და ლიტერატურის სერია, №2, 1973, გვ. 108-118.

252. შანიძე, 1973 – ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, თბ., 1973.

253. შერვაშიძე, 1967 – . . . ().
∴ „ „, ., 1967, გვ. 39-56

254. შერვაშიძე, 1980 – . . .
, ., 1980.

255. შონია, 1997 – ან. შონია, გვარები მეტყველებენ... თბ., 1997.

256. შჩეტინინი, 1972 – . . . , ,
1972.

257. ჩაიკო, 1974 – . . . ,
: , 8-9, , 1974, გვ. 96-106.

258. ჩანტლაძე, 1998 – ი. ჩანტლაძე, ქართველოლოგიური ძიებანი, თბ., 1998.

259. ჩიქობავა, 1937 – არნ. ჩიქობავა, სიტყვა „ზოგი“-ს ეტიმოლოგიისათვის: ენიმკი-ს მოამბე, ტ. I, 1937, გვ. 48-54.

260. ჩიქობავა, 1938 – არნ. ჩიქობავა, ქანურ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი, ტფილისი, 1938.

261. ჩიქობავა, 1942 – არნ. ჩიქობავა, სახელის ფუძის უძველესი აგებულება ქართველურ ენებში, თბ., 1942.

262. ჩიქობავა, 1956 – არნ. ჩიქობავა, სახელთა ბრუნების ისტორიიდან ქართულში: ფუძეუკვეც სახელთა ნათესაობითისა და მოქმედებითის ფორმანტთა ევოლუციისათვის: კრ. „სახელის ბრუნების ისტორიისათვის ქართველურ ენებში“, I, თბ., 1956, გვ. 239-269.

263. ჩიქობავა, 1974 – არნ. ჩიქობავა, ადგილის სახელთა წარმოების ტიპები და მათი ისტორიული ურთიერთობა ქართულში: იკე, XIX, თბ., 1974, გვ. 70-75.

264. ჩიქოვანი, 1939 – მ. ჩიქოვანი, ტოპონიმიკური ლექსიკონი: თსუ შრომები, IX, 1939, 135-155.

265. ჩიქოვანი, 1949 – მ. ჩიქოვანი, ტოპონიმიკურ სახელთა წარმოება ლეჩხუმური მასალების მიხედვით: ა.ს. პუშკინის სახ. თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, ტ. VII, 1949, გვ. 233-241.

266. ცაგარელი, 1880 – . . . , . . . II. . . . 1880.

267. ცანავა, გვერდწითელი, 1994 – მეგრული ზღაპრები და მითები. შეადგინეს და ქართულ სალიტერატურო ენაზე გამართეს აპოლონ ცანავამ და გურამ გვერდწითელმა, თბ., 1994.

268. ციკოლია, 1954 – მ. ციკოლია, მეგრულის სამურზაყანულ-ზუგდიდური კილოკავის ფონეტიკური მიმოხილვა: დ. გულიას სახელობის აფხაზეთის ენის, ლიტერატურისა და ისტორიის ინსტიტუტის შრომები, XXV, სოხუმი, 1954, გვ. 323-343.

269. ცინცაძე, ფაღავა, 1998 – მ. ცინცაძე, მ. ფაღავა, სამხრული დიალექტები და ქართული სამწერლობო ენა (V-XVIII სს.), ბათუმი, 1998.

270. ცხადაია, 1975 – პ. ცხადაია, მთიანი სამეგრელოს ტოპონიმია. სადისერტაციო ნაშრომი ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად, თბ., 1975.

272. ცხადია, 1976 – პ. ცხადია, ლ-ე, სა-//სა-ო აფიქსების შემცველი ანთროპოტოპონიმები მთიან სამეგრელოში: ტოპონიმია, I, თბ., 1976, გვ. 352-387.

273. ცხადია, 1985 – პ. ცხადია, მთიანი სამეგრელოს ტოპონიმია (ენათმეცნიერული ანალიზი), თბ., 1985.

274. ცხადია, 1986 – პ. ცხადია, სვანური სუბსტრატის საკითხისათვის სამეგრელოს ტოპონიმიაში: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის “მომბე“, 122, № 1, 1986, გვ. 185-188.

275. ცხადია, 1988 – პ. ცხადია, ონომასტიკურ ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონი, თბ., 1988.

276. ცხადია, 1995 – პ. ცხადია, მეთევზეობის ლექსიკა სამეგრელოს ტოპონიმიაში: ონომასტიკური ძიებანი, I, ახალციხე, გვ. 102-114.

277. ცხადია, 1996 – პ. ცხადია, ფეხვ- ზმნური ძირის ზანური (მეგრული) შესატყვისებისათვის: XVI რესპუბლიკური დიალექტოლოგიური სამეცნიერო სესია, მუშაობის გეგმა და მოხსენებთა თეზისები, თბ., 1996, გვ. 32-33.

278. ცხადია, 2000 – პ. ცხადია, გვარები და გვართა დასახლებანი სამეგრელოში, თბ., 2000.

279. ცხადაძე, 1996 – ბ. ცხადაძე, ქართველურ (მეგრულ-ჭანურ, სვანურ, ქართულ) გვარსახელთა ისტორიისათვის: შესავალი წერილი ნ. ჯომიდავას წიგნისა „კოლხური გვარსახელები“, თბ., 1996, გვ. 4-12.

280. ცხუმელი, 1990 – ბ. ცხუმელი, აფხაზეთი და აფხაზები აღმოსავლურ და ევროპულ წყაროებში (VIII-XVII სს.): “ცხუმი“. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოხუმის ფილიალის სტუდენტურ-ახალგაზრდული ჟურნალი, სოხუმი, 1990, გვ. 95-123.

281. ძიძარია, 1988 – . . . , . . . : . . .

XVI (. . .), . . ., 1988, გვ. 69-70.

282. ძიძიგური, 1946 – შ. ძიძიგური, ხმოვანთა კომპლექსების ფონეტიკურ პროცესთა საერთო საფუძველი ქართულ კილოებსა და ზანურში: იკე, I, 1946, გვ. 19-34.

283. წულაია, 1989 – . . . : “
“, ., 1989, გვ. 107-110.
284. ჭარაია, 1997 – პ. ჭარაია, მეგრულ-ქართული
ლექსიკონი, თბ., 1997.
285. ჭყონია, 1910 – ი. ჭყონია, სიტყვის კონა სულხან-საბა
ორბელიანისა და დავით ჩუბინაშვილის ლექსიკონებში
გამოტოვებული სიტყვებისა. ს.-პეტერბურგი, 1910.
286. ჭუმბურიძე, 1971 – ზ. ჭუმბურიძე, რა გქვია შენ? თბ.,
1971.
287. ჭუმბურიძე, 1987 – ზ. ჭუმბურიძე, დედაენა ქართული,
თბ., 1987.
288. ჭურღულია, 1961 – ო. ჭურღულია, სულხან-საბას
„სიტყვის კონა“ და მეგრულ-ქანური ლექსიკა. იხ. მისივე:
ლიტერატურული წერილები, II, სოხუმი, გვ. 266-306.
289. ხახუტაიშვილი, 1986 – ნ. ხახუტაიშვილი, ჩოლოქ-
ოჩხამურის ორმდინარეთი ადრერკინის ხანაში: „მაცნე“,
ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების
ისტორიის სერია, 1986, №1, გვ. 138-145.
290. ხორავა, 1991 – ბ. ხორავა, ოდიშ-აფხაზეთის
პოლიტიკური ურთიერ-თობის ისტორიიდან (ისტორიულ-გეოგრა-
ფიული მიმოხილვა): საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი
„ცხუმი“, № 3, სოხუმი, 1991, გვ.66-85.
291. ხორნაული, 1983 – გ. ხორნაული, მთები და სახელები
(მთიულეთ-გუდამაყრის ტოპონიმიკური მასალები და ძიებანი), თბ.,
1983.
292. ხორნაული, 1994 – გ. ხორნაული, ქართული გვარების
საკითხი. ონომასტიკური კრებული, თბ., 1994, გვ. 82-89 .
293. ხოშტარია, 1944 – ნ. ხოშტარია, დიხა გუძუბა,
კოლხეთის დაბლობის ძველი მოსახლეობა (გამოკვლევის წინასწარი
შედეგები): საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, ტ. 5, №2,
1944, გვ. 207-212.
294. ჯავახიშვილი, 1937 – ივ. ჯავახიშვილი, ქართული და
კავკასიური ენების თავდაპირველი ბუნება და ნათესაობა, თბ., 1937.
295. ჯავახიშვილი, 1950 – ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის
ისტორიის შესავალი, წიგნი პირველი. საქართველოს, კავკასიისა და
მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიულ-ეთნოლოგიური
პრობლემები, თბ., 1950.

296. ჯავახიშვილი, 1951 – ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, წიგნი პირველი, თბ., 1951.

297. ჯავახიშვილი, 1986 – ივ. ჯავახიშვილი, თხზულებანი, ტ. V, თბ., 1986.

298. ჯავახიშვილი, 1989 – ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს საზღვრები ისტორიულად და თანამედროვე თვალსაზრისით განხილული: იხ. ისტორიული რარიტეტები, თბ., 1989, გვ. 5-61.

299. ჯალაბაძე, 1986 – გ. ჯალაბაძე, ხელოსნობის ზოგიერთი დარგი და მეთევზეობა გურიაში: გურია, თბ., 1986, გვ. 165-181.

300. ჯალაბაძე, 1990 – გ. ჯალაბაძე, მემინდვრეობის კულტურა დასავლეთ საქართველოში, თბ., 1990.

301. ჯანაშია, 1954 – ბ. ჯანაშია, აფხაზურ-ქართული ლექსიკონი, თბ., 1954.

302. ჯანაშია, 1959 – ს. ჯანაშია, თუბალ-თაბალი, ტიბარენი, იბერი. შრომები, III, თბ., 1959, გვ. 1-74.

303. ჯაფარიძე, 1988 – ა. ჯაფარიძე, საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია, I, ახალციხე, 1988.

304. ჯომიდავა, 1996 – ნ. ჯომიდავა, კოლხური გვარსახელები, თბ., 1996.

305. ჯორბენაძე, 1989 – ბ. ჯორბენაძე, ქართული დიალექტოლოგია, I, თბ., 1989.

306. ჯორბენაძე, 1993 – ბ. ჯორბენაძე, ონომასტიკური გულანი, თბ., 1993.

307. ცხადაია, ძიებანი, 1999 – პ. ცხადაია, ძიებანი კოლხეთის ტოპონიმიდან, I, თბ., 1999.

სარჩევნი

შესავალი	3
თავი პირველი	
მეგრული ტოპონიმის სტრუქტურის, სემანტიკისა და	
ლექსიკის საკითხები	11
§ 1. მეგრულ ტოპონიმიაში გამოვლენილი ორი	
ფონეტიკური პროცესის შესახებ	14
§2. მეგრულ ტოპონიმთა ფორმობრივი ანალიზი	29
§3. კოლხურ ტოპონიმთა შინაარსობრივი კლასიფიკაცია	36
§4. გარეენობრივი ფაქტორების მნიშვნელობა ტოპონიმთა	
ეტიმოლოგიისას.....	84
§5. კოლხეთის ტოპონიმიაში გამოვლენილი ახალი	
ქართულ-მეგრული ფუძეთშესატყვისობანი	91
§6. მეგრული ტოპონიმის ლექსიკა	110
თავი მეორე	
სამურზაყანოს ისტორიული და თანამედროვე	
ტოპონიმია.....	143
§1. აფხაზ მკვლევართა მიერ მითვისებული კოლხური	
ტოპონიმები სამურზაყანოში	150
§2. წერილობით და კარტოგრაფიულ წყაროებში	
დადასტურებული სხვა ქართველური ტოპონიმები	
სამურზაყანოში	163
§ 3. არქანჯელო ლამბერტის „სამეგრელოს რუკაზე“	
აღნიშნული ორი ტოპონიმის შესახებ	171
§4. აფხაზური აფსჰა იძიხ და კოლხური მაფაწყარი	176
§5. ტოპონიმი ჯგერიანი და ზოგი ქრისტოლოგიური	
ტერმინის მეგრულში გავრცელების საკითხი	180
§6. სამურზაყანოს აბორიგენული ტოპონიმის ლექსიკა	193
§7. სამურზაყანოს ჰიდრონიმია ერთი ზოგადტოპონიმიკური	
კანონზომიერების ფონზე	198

§8. სამურზაყანოს ქართველურ - და აფხაზურენოვან
 ტოპონიმთა ქრონოლოგიური ურთიერთმიმართება202

§9. აფხაზთა და მეგრელთა თანამედროვე ეთნოგრაფიულ-ტერი-
 ტორიული საზღვარი და ტოპონიმიკური ინტერფერენცია.....206

თავი მესამე

კოლხურ გვარსახელთა სისტემა შესავალი223

§1. გვარსახელი. მისი წარმოშობა და ფუნქცია227

§2. კოლხურ გვარსახელთა ისტორიიდან236

§3. კოლხურ გვარსახელთა წარმოება243


თავი მეოთხე

**ზოონიმთა მოტივირებისა და სტრუქტურის ძირითადი
 საკითხები278**

ზოგადი დასკვნები289

დამოწმებული ლიტერატურა.....299

.....



gamomcemloba `universal`

Tbilisi, 0179, i. WavWavaZis gamz. 1, ☎: 2 22 36 09, 5(99) 17 22
 30

E-mail: universal@internet.ge; universal505@ymail.com

პაატა (პატიკო) ცხადია – ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ქართველური ონომასტიკის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის ხელმძღვანელი. წლების მანძილზე იყო თსუ ფილოლოგიის ფაკულტეტის დეკანის მოადგილე, თსუ სიღნაღის ფილიალის ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრის გამგე. იქვე იყო არჩეული სრული პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე. შეტანილია ბიბლიოგრაფიულ ლექსიკონ-ცნობარში „

...?“ (გამომცემლობა აკადემია, 2000 წ., გვ. 172). 2004 წელს გამოცემულ „სამურზაყანოს ისტორიულ და თანამედროვე ტოპონიმთა“ რამდენიმე გზის გამოცხადება „ამერიკის ხმა“.

სამეცნიერო კვლევის სფერო – ქართველური ონომასტიკა. ამ დარგში აქვს დაბეჭდილი სამეცნიერო სტატიები, მონოგრაფიები, ლექსიკონები. მათ შორის:

1. მთიანი სამეგრელოს ტოპონიმთა (ენათმეცნიერული ანალიზი), თბ., 1985.
2. ონომასტიკურ ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონი, თბ., 1987.
3. ძიებანი კოლხეთის ტოპონიმთა, I, თბ., 1999.
4. გვარები და გვართა დასახლებანი სამეგრელოში, თბ., 2000.
5. სამურზაყანოს გეოგრაფიული სახელწოდებანი, თბ., 2003 (ვ. ჯოჯუასთან ერთად).
6. რაჭის გეოგრაფიული სახელწოდებანი, I, თბ., 2003 (ვ. ჯოჯუასთან ერთად).
7. სამურზაყანოს ისტორიული და თანამედროვე ტოპონიმთა, თბ., 2004.
8. სამეგრელოს გეოგრაფიული სახელწოდებანი, I (წაღენჯიხის რაიონი), თბ., 2004.
9. რაჭის გეოგრაფიული სახელწოდებანი, II, თბ., 2005 (ვ. ჯოჯუასთან ერთად).
10. ონომასტიკის შესავალი (სახელმძღვანელო), თბ., 2005.

11. ათასი მეგრული ტოპონიმი, თბ., 2005.
12. სამეგრელოს გეოგრაფიული სახელწოდებანი, II (ზუგდიდის რაიონი), თბ., 2007.
13. სამეგრელოს გეოგრაფიული სახელწოდებანი, III (ხობის რაიონი), თბ., 2007.
14. სამეგრელოს გეოგრაფიული სახელწოდებანი, IV (ჩხოროწყუს რაიონი), თბ., 2009.
15. სამეგრელოს გეოგრაფიული სახელწოდებანი, V (მარტვილის რაიონი, I, სამხრეთი ნაწილი), თბ., 2009.
16. რაჭის გეოგრაფიული სახელწოდებანი, III (ამბროლაურის რაიონი), თბ., 2010 (ვ. ჯოჯუასთან ერთად).
17. რაჭის გეოგრაფიული სახელწოდებანი, IV, თბ., 2012.
18. სამეგრელოს გეოგრაფიული სახელწოდებანი, VI (მარტვილის რაიონი, II, ჩრდილოეთი ნაწილი), თბ., 2012.
19. სამეგრელოს გეოგრაფიული სახელწოდებანი, VII (სენაკის რაიონი), თბ., 2013.
20. სამეგრელოს გეოგრაფიული სახელწოდებანი, VIII (აბაშის რაიონი), თბ., 2013.
21. ლეჩხუმის გეოგრაფიული სახელწოდებანი, I (ლაჯანურის ხეობა), თბ., 2014.
22. წალენჯიხის მუნიციპალიტეტის გეოგრაფიული სახელწოდებანი (შევსებული გამოცემა), თბ., 2015.
23. საკუთარი სახელი კოლხურ (ზანურ) ენაში, თბ., 2016.